ვახტანგ ჯავახაძე

გალაკტიონის გარეშე

ნაწერები და ჩანაწერები



გამომცემლობა
ინტელექტი

რედაქტორები
ნატო გორდელაძე
ზვიად კვარაცხელია

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

ტექსტის ამკრეფი
მართა წიკლაური

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

გარეკანზე – გალაკტიონ ტაბიძის ავტოპორტრეტის ფრაგმენტი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

წიგნი გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

ISBN 978-9941-31-240-3
© ვახტანგ ჯავახაძე, 2020.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020.

მცირე მემუარები

„ჩამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი“

*

– მოდი, ერთი, ბაზარში შევიაროთ, – შემომთავაზა „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულმა პოეტმა“, რომლისთვისაც ბაზარი მხოლოდ ბაზარს არ წარმოადგენდა. ჩვენ ლიტერატურის ინსტიტუტის შენობიდან გამოვედით. იგი ამ ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. მე მისი ექვსტომეულის რედაქტორად დამნიშნეს და ჩვენი საქმიანი საუბრების შემდეგ – თბილისის ყველაზე პატარა ვერის ბაზრისაკენ ფეხით გავეშურეთ, რადგან ბაზარი იქვე – ინსტიტუტიდან ასიოდე მეტრით იყო დაშორებული.

შესვლისთანავე ყასბებთან აღმოვჩნდით: საღამოს ბაზარში მოწყენილები – პოეტის დანახვისთანავე გამოცოცხლდნენ: „თქვენი საკადრისი აღარაფერი შემოგვრჩაო, ბატონო გოგლა“, – მოუბოდიშა ერთ-ერთმა. ორი მოზრდილი ნაჭერი მაინც ააწონინა ერთად და მერე ცალ-ცალკე შეახვევინა. ნაყიდი კალათაში ჩაალაგა მძღოლმა, რომელიც თან გვახლდა. რაც იყიდა, ყველაფერი ორ-ორ პარკში ჩააწყობინა. დახლზე თურაშაულის პირამიდა და თურაშაულის გამყიდველიც მოეწონა. სადაურობა ჰკითხა და მართლაც მშვენიერმა ქალბატონმა გორის რომელიღაცა სოფელი დაუსახელა. მიცანიო? – ჰკითხა. დიახო, – უპასუხა გამყიდველმა და დაირცხვინა. აბა, ვინა ვარო? – არ დაცხრა პოეტი, ვიდრე სახელი და გვარი არ ათქმევინა.

ვაკისაკენ გავეშურეთ ავტომობილით. მძღოლმა მანქანა ბარნოვის ქუჩაზე გააჩერა, კალათიდან თითო-თითო პარკი ამოალაგა და სადარბაზოში გაუჩინარდა. აქ ჩემი და ცხოვრობსო, – ამიხსნა ბატონმა გოგლამ.

გზა რიგის ქუჩისაკენ გავაგრძელეთ. მერე მე მძღოლმა ვეძისში გამიყვანა.

*

– მოდი, ერთი, რუსთაველზე გავიაროთ, – შემომთავაზა ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის შემდეგ. უკვე ზამთარი იდგა. ადრე დაღამებულიყო და გაბრწყინებულ პროსპექტს გავყევით. ვიდრე ოპერას გავუსწორდებოდით, შემაჩერა და მარჯვნივ მიმახედა: ქუჩის პირას პატარა განათებულ ოთახში ფეხსაცმლის მწმენდავთან იოსებ ნონეშვილი იჯდა. „მგოსანი!“ – წარმოსთქვა და გზა გავაგრძელეთ.

მთავრობის სასახლეს რომ მივუახლოვდით, სასტუმრო „თბილისის“ წინ, მეორე მხარეს, ქალი და მამაკაცი შეიცნო და ქუჩა გადავჭერით. ცნობილი უზბეკი მწერალი და მისი მეუღლე დიდი აღფრთოვანებით გადაკოცნა და გამაცნო. სამწუხაროდ, მწერლის გვარი და სახელი აღარ მახსოვს, მახსოვს, რომ ის იყო ავტორი საბჭოთა კავშირში გახმაურებული რომანისა „სამარყანდის ვარსკვლავები“. კონსტანტინე გამსახურდიამ დაგვპატიჟა და მანქანას ველოდებითო, – განაცხადეს თბილისის სტუმრებმა. კარგახანს ისაუბრეს, მაგრამ მანქანა არ ჩანდა. ეტყობა, დღე ან საათი შეეშალათ. სასტუმროს წინ პირველ სართულზე რესტორანში მოქეიფეთა საუწყებო „ვოლგები“ იდგა. პოეტმა ერთ-ერთ მძღოლს მისი შეფის ვინაობა გამოჰკითხა და დაამატა, შედი და უთხარი, გიორგი ლეონიძეს სჭირდება მანქანაო. რესტორნიდან ნასვამი მამაკაცი გამოვი-

და და ბატონ გოგლას მიესალმა – როგორც გენებოთ, ისე მოიმსახურეთ ჩემი მძღოლიო.

გალის ქუჩისაკენ გავემგზავრეთ. გამსახურდიების რკინის ალაყაფთან სტურის არავითარი მოლოდინი არ შეიმჩნეოდა. საკმაო დაგვიანებით ალაყაფი გაიღო და სამმა სტუმარმა ეზოში შეაბიჯა. მე მძღოლს უკან გამოვყევი.

*

ერთხელ საღამოს ექვსი საათისათვის სახლში დამპატიჟა. იმ დღეს მოსკოვიდან ახლად ჩამოსული მიშა ქვლივიძე გამომეცხადა გამომცემლობაში და ჩვენ მიშას ჩამოსვლა ზემელზე კაფე „მეტროში“ აღვნიშნეთ. ექვსი საათისათვის საკმაოდ მომეკიდა არაყი და სტუმრობა ვეღარ გავბედე.

მეორე დღეს მისაყვედურა. მე სხვა მიზეზი მოვიმიზეზე. წინადღის სტუმრები ჩამომითვალა: ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, კირილე ზდანევიჩი და სხვები. მე გამიკვირდა და ვკითხე: კირილე ზდანევიჩი ცოცხალია-მეთქი? რა თქმა უნდა, ცოცხალია. მოსულიყავი და გაგაცნობდიო.

პატარძეულში რომ წყარო გამოიყვანა, მაშინაც მიმიწვია და, სამწუხაროდ, წყაროს გახსნას ვერ დავესწარი.

*

ძალიან ხშირად რეკავდა ტელეფონით. გამომცემლობაში რომ მესტუმრებოდა, ჩემს ტელეფონსაც ხშირად იყენებდა – პირადი და ახლობელთა თუ გარეშე მთხოვნელთა ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ქაღალდის ფურცელზე ჰქონდა ჩამოწერილი ტელეფონის ნომრები.

– შენ რატომ არაფერს მთხოვ? – შემეკითხა ერთხელ. მე ჯერ კიდევ თავისუფალი მოქალაქის სტატუსით ვსარგებლობდი და ოჯახს გვიან მოვეკიდე.

*

ერთხელ იოსებ გრიშაშვილი გაიხსენა:

– მოსკოვში მივემგზავრებოდით მატარებლით. სოსო ყოველ ვაგზალზე ჩადიოდა და გაზეთებს ყიდულობდა. კუპეში მივაკითხე და გაზეთები ვთხოვე. გულდასმით გადათვალა თითო-თითო და ისე ჩამაბარა.

*

ერთადერთი პირადი წერილი შემომრჩა – 1961 წლის სექტემბერში ქობულეთის მეოთხე სამმართველოს მესამე სანატორიუმიდან გამოგზავნილი:

– სალამი ვახტანგს! ძალიან გთხოვ შემატყობინე წიგნის ვითარება. რა დაიბეჭდა, ან გიამ რა ჰქნა! სხვათა შორის, დააკვირდი და გადაეცი გორდელაძეს, რა უხეშად, ტლანქად, ხალტურულად არის გაკეთებული ჩემი პორტრეტის რეტუში! გთხოვთ მიიღოთ ზომები! რა უპატრონობაა! გადაეცი აგრეთვე გორდელაძეს, იპოვა თუ არა ჩემი პორტრეტების კოლექცია?

გიამ ანუ გიორგი მარგველაშვილმა წინასიტყვაობა დაწერა პირველი ტომისათვის და საკმაო დაგვიანებით წარმოგვიდგინა ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი მთლიანად აწყობილი იყო და კიდევ მიუხედავად იმისა, რომ გია გიორგი ლეონიძის ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდათ. სწორედ ამ წინასიტყვაობას წარუმძღვარა გია მარგველაშვილმა ეპიგრაფად რამდენიმე წლით ადრე რეაბილიტირებული მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ნაჩუქარ წიგნზე მინაწერი უზუსტესი მეტაფორა – „გოგლა ლეონიძეს – ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“.

ეს საკმაოდ ვრცელი ნარკვევი-წინასიტყვაობა სწორედ იმ დღეებში მივიღე ბათუმიდან – წერილთან ერთად:

– ჩემო ვახტანგ, ჩამატების გადაბეჭდვა ვერ მოვასწარი. უნდა გადაბეჭდო – მეტი გზა არ არის. შენ კარგად გაერკვევი ჩემს ნაჯღაბნში. ის რუსული სტრიქონები, რომლებიც უნდა ითარგმნოს ერთ-ერთ ჩამატებაში – შენ გააკეთე. ბევრი არაა (რუსთა გამოხმაურება ლეონიძის პოეზიაზე). გააკეთე ეს, თუ ღმერთი გწამს. მეტი ამ ნარკვევის ფარგლებში აღარ გაკეთდებოდა. შენი გია.

გიორგი ლეონიძის წერილში მოხსენიებული გიორგი გორდელაძე – ჩვენი გამომცემლობის მთავარი მხატვრული რედაქტორი – კი პოეტის საყვედურს ნამდვილად იმსახურებდა.

და მიუხედავად ამ საყვედურისა, ორი წლის შემდეგ, გიორგი გორდელაძემ თავისი პირადი პრობლემის მოსაგვარებლად მთხოვა და ზაფხულში ერთად ვეწვიეთ ბატონ გოგლას წყნეთის აგარაკზე. მასპინძელმა ეზო დაგვათვალიერებინა და ერთ ატმის ხეს მიეყრდნო – ამ ხის ჩრდილში უყვარს ოცნება მგოსანსო (ფოტოსურათიც აქვს გადაღებული ხესთან ჩახუტებულ „ოლეს“ ავტორს).

საკმაოდ ფართო აივნის მარჯვენა კუთხეში ვეება საზამთრო თვითონ გაჭრა და კახური ღვინით გაგვიმასპინძლდა.

აივნის მეორე კუთხეში ტახტზე ქალბატონს ეძინა და პლედი ეფარა. ბორის პასტერნაკის მეუღლეაო, – გვაუწყა ბატონმა გოგლამ.

*

მესამე ტომის ხელშეკრულება წინასწარ გაუფორმეს და კუთვნილი ჰონორარის ნაწილიც გადაურიცხეს. არადა, დედნის წარმოდგენა საკმაოდ დაუგვიანდა, რაც საავტორო ვალდებულების აშკარა დარღვევას წარმოადგენდა. დირექტორმა რამდენიმეჯერ გამაფრთხილებინა. ბოლოს მოიწვია და ერთად ვეახლეთ. უსაყვედურა და სასამართლოთი დაემუქრა. მზადა

მაქვს და მალე წარმოვადგენო, – განუცხადა პოეტმა და მეც დამიმოწმა და მეც დავემოწმე.

კორიდორში რომ გამოვედით, უფრო განაწყენდა:

– ვირია ეგ შენი დირექტორი! – მომახალა და უცებ თვალი ტანსავსე ლამაზმანისაკენ გაექცა:

– გათხოვილია? – დაინტერესდა და, არა-მეთქი, – რომ ვაუწყე, კიდევ უფრო მეტად დაინტერესდა და ზედმეტადაც დაინტერესდა საქართველოს სახალხო პოეტი და აკადემიკოსი და სახელშეცვლილი სტალინური პრემიის სამგზის ლაურეატი (ნობელზე წარდგენა მაშინ სახიფათო გახლდათ!).

*

შეუძლოდ ბრძანდებოდა. ავტომობილი გამომიგზავნა და სახლში ვესტუმრე. ორი ტომი გამოცემული იყო. მესამეს ვამზადებდით.

შვილიშვილია ავად და ამჟამად კონსილიუმი მიმდინარეობსო, – მითხრა. სხვათა შორის მკითხა – სიგარეტი ხომ არა გაქვსო. მე არასოდეს ვეწეოდი, მაგრამ იმხანად თბილისში პირველად შემოიტანეს ლამაზი დიზაინის უცხოური სიგარეტი – ბულგარული „ბეტე“ და მე ხანდახან სახალისოდ ვეწეოდი. „ბეტე“ და ასანთიც ჯიბეში აღმომაჩნდა. ერთი ღერი ამოიღო, მოუკიდა და დიდი სიამოვნებით გააბოლა. ცოტახნის შემდეგ კარს ვიღაც მოუახლოვდა. უმალ საფერფლე ჩემკენ გადმოდგა და მოკიდეული სიგარეტი წინ დამიდო. ოთახში პოეტის მეუღლემ შემოიხედა, მომესალმე, შეყოვნდა და კარი მიიხურა. – ექიმებმა ამიკრძალესო, – ამიხსნა მასპინძელმა.

*

1962-1963 წლებში ექვსტომეულის პირველი და მეორე ტომები დაიბეჭდა – ლექსები და პოემები. მესამე და მეოთხე ტომებში პროზაული ნაწერები უნდა შეეტანა. „ნატვრის ხე“ უკვე დაწერილი და გამოცემული ჰქონდა 1962 წელს. როგორც მითხრა და უკანასკნელ ინტერვიუშიც აღნიშნა 1966 წელს, აპირებდა რომანი დაეწერა (1959 წელს გამოაქვეყნა კიდეც „ლიტერატურულ საქართველოში“ – „პატარა ტამალია. რომანის პროლოგი“). ამიტომ მეორე ტომის შემდეგ შეყოვნდა. მაგრამ რომანი ვერ გააგრძელა და ვერ დაასრულა. სახლში სტუმრობისას წარმომიდგინა რამდენიმე საქაღალდეში გადანაწილებული საკმაოდ ვრცელი ნარკვევი-გამოკვლევა დავით გურამიშვილზე, რომელიც „ნატვრის ხესთან“ ერთად მესამე ტომში უნდა შეგვეტანა. მაგრამ ამ ტომის საბოლოოდ შედგენა ვეღარ მოასწრო.

სამწუხაროდ, გიორგი ლეონიძის ექვსტომეულის გამოცემა ვეღარ გაგრძელდა და არც ახალი მრავალტომეული გამოცემულა დღემდის.

*

1963 წლის 3 იანვარს პირველი ტომის ფორზაცზე წამიწერა:

– ჩემს რედაქტორ-მოამაგეს, ვახტანგ ჯავახაძეს, პოეტს და პატარა ძმას. გ. ლეონიძე.

2011

გიორგი ლეონიძის რომანი

გიორგი ლეონიძე „ნატვრის ხის“ წინასიტყვაში წერს:

„ხელჩქარად მომიხდა ამ წიგნის წერა. სულ რამდენიმე თვეში!

ღოლოს უთქვამს: ნეტავი ჩემს პატრონს ათი წლის უნახავი ძმა მოუვიდეს, რომ კიდევ ვიხარშოო.

მე ვინატრებდი: ნეტავი ჩემს გამომცემელს ქაღალდის მოსვლამ შეუგვიანოს ზღვითა და ხმელეთით, რომ ნება-ნება ვწერო, რათა ჩემი სიტყვა გავჩარხო, გავაკამკამო და ისე წარვდგე მკითხველის წინაშე!“.

„ნატვრის ხის“ გამომცემელი გახლდათ გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი ხუტა ბერულავა.

სწორედ იმ დღეებში გიორგი ლეონიძემ მითხრა: ვაპირებ დავწერო რომანი ჩემს უიღბლო რომანზე არისტოკრატ ქალბატონთანო.

ახლა ვფიქრობ: მე რომ სათანადო თანამდებობა და უფლებამოსილება მქონოდა და დამეძალებინა, იქნებ გიორგი ლეონიძის რომანსაც ეხილა მზის სინათლე? მაგრამ, სამწუხაროდ, მე მაშინ ახალგაზრდა რიგითი რედაქტორი გახლდით.

სამაგიეროდ, როცა უფლებამოსილება მომეცა, ანა კალანდაძის პროზაული ნაწერების ტომმა იხილა მზის სინათლე!

1966 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა საუბარი გიორგი ლეონიძესთან, რომელმაც განაცხადა:

– „ნატვრის ხის" წერის დროს მე დავიწყე რომანი. სამ თაბახზე მეტი დავწერე, მაგრამ მერე თავი დავანებე. ჯერ ერთი, არა მაქვს იმედი, გავუძღვე მას იმ მასშტაბით, როგორც მქონდა განზრახული, მეორე კი, რომანის დასაწერად საჭირო დრო, მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობაში გართულს, არა მაქვს.

პოეტმა არ განაცხადა, რა თემაზე იწერებოდა რომანი. იქნებ ანგარიშგასაწევ ახლობელ პიროვნებას – მეუღლეს – მოერიდა და წერაც იმიტომ შეწყვიტა!

იაგორა მეეტლე და „მეეტლე იაგორა“

ჩემი ბავშვობის ქუთაისს კარგად ახსოვს იაგორა მეეტლე, რომელსაც „იაგორა საკალბასეს“ ეძახდნენ: ზედმეტად ჩასუქებული კოფოზე ძლივს ეტეოდა.

ეტლების რიგი ჩვენი ქუჩის მეზობელ ქუჩაზე იდგა და ამ რიგში თითქმის ყოველდღე ვხედავდი იაგორას – ზამთრობით საწვიმარი ლაბადით შემოსილსაც.

იაგორას ეტლი რომ ჩვენს ქუჩაზე ჩამოივლიდა, ბიჭები აბრაზებდნენ და „იაგორა საკალბასეს“ ეძახდნენ.

ერთხელ სარაჯიშვილის 49 ნომერ სახლთან – ოფიცრების სამსართულიან შენობასთან – ვთამაშობდით (ჩვენი ეზო 47 ნომერი იყო). იაგორამ ჩამოიარა. მე გავბედე და მივაძახე, მერე ჩვეულებრივად გავაგრძელე თამაში. უცებ შემთხვევით მივიხედე და რას ვხედავ: მოშორებით მეეტლეს ეტლი გაუჩერებია, ხელში მათრახი მოუმარჯვებია და მძიმე ნაბიჯებით ჩემკენ მოემართება. სხვა რა გზა მქონდა, საკმაოდ მაღალი სამსართულიანი სახლის სადარბაზოში შევვარდი, კიბეზე ავირბინე და მეორე სართულიდან გადმოვხედე: იაგორა ქოშინით ამოუყვა კიბეს. მესამე სართულზე ავიჭერი და მერე სხვენზე აღმოვჩნდი. ვინაიდან ქოშინი თანდათან მიახლოვდებოდა, სახურავზე გავედი და ბუხრის კოშკს ამოვეფარე. მეეტლე სხვენშიც ამოვიდა და სახურავის ჯიხურში გამოჰყო თავი, მაგრამ მეტი ვეღარ გაბედა, საკუთარი ტანის სიმძიმემ

არ ამოუშვა. მიიხედ-მოიხედა, ერთიც ამოიხვნეშა და მწარედ შეიგინა. შევყოვნდი და კარგახნის შემდეგ სახურავიდან დავინახე, როგორ გავიდა ქუჩაში და როგორ დაუბრუნდა საკუთარ ეტლს.

1992 წელს პატარა ლექსი დავწერე:

მოგონება ძველისძველი – ბევრი გამიმეტებია,
მაგრამ ამ ერთს ვერ ვიმეტებ: ჩემი ქუჩის ეტლებია!
ჩემი „მერსედესებია“, ჩემი „ტოიოტებია“,
სხვა ქუჩაზე დაჰქრიან და სამუდამოდ მშორდებიან!
ერთხელ კიდევ ჩაიარე და კვლავ აღარ გაგაბრაზებ,
ერთხელ, თქვენო ბრწყინვალებავ, იაგორა საკალბასე!

ეს ეპიზოდი გამახსენა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ ერთმა პატარა მოთხრობამ – „მეეტლე იაგორა“: იაგორა სოფლიდან გაიქცა და თბილისის ქუჩებში მიერეკებოდა ცხენებს. ორმოცი წლის შემდეგ „მიწამ მოაკითხა“ და სოფელს დაუბრუნდა. მაგრამ ქალაქის ნოსტალგიას ველარ გაუძლო და თავი ჩამოიხრჩო.

ასე შეხვდნენ ერთმანეთს გიორგი ლეონიძის იაგორა და ჩემი იაგორა. ცხადია, გიორგი ლეონიძე არ იცნობდა ქუთაისელ მეეტლეს და ეს ალბათ სახელების შემთხვევითი დამთხვევაა. ერთი კი დანამდვილებით შემიძლია დავიჩემო: ჩემი იაგორა თავის ჩამომხრჩობი ნამდვილად არ იყო.

„დიდებული“

1962 წლის შემოდგომაზე მთელმა საქართველომ დაიზეპირა იუგოსლავიის ერთი პატარა ქალაქის ძნელად წარმოსათქმელი სახელი: ვრნიაჩკა-ბანია. ყოველდღე სულმოუთქმელად მოველოდით ცნობას ამ საკურორტო ქალაქიდან, სადაც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი მიმდინარეობდა. პრეტენდენტთა შორის ირიცხებოდა ოცდაერთი წლის ნონა გაფრინდაშვილი. ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ ჭადრაკის ისტორიაში ქართველ მანდილოსანთა ჰეგემონია იწყებოდა... გული კი რაღაც საიმედოს გვიგრძნობდა. ნონას უკვე თორმეტი პარტია ჰქონდა ნათამაშები და ლიდერი გახლდათ. ამიტომ ჩვენი ყურადღება უფრო დაიძაბა და გულისფანცქალით მოველოდით ყოველი დილის გათენებას... დილით გამომცემლობაში – წიგნის სასახლეში – ბატონი პავლე ინგოროყვა მოვიდა და კატეგორიულად განაცხადა; დღეს ნონა ყაიმს გააკეთებს, მომდევნო პარტიას კი მოიგებსო. გაკვირვება რომ შეგვატყო, თავისი განუყრელი პორტფელიდან ფურცელი ამოიღო და მაგიდაზე დადო; წინა ღამით რუსთაველის გენეალოგიურ შტოსავით შეედგინა ნონას პარტიების მრუდი: ბოლო ტურებში ყოველ ორ გამარჯვებას ყაიმი მოსდევდა...

ყველაფერი ისე აგიხდეთ, როგორც ბატონი პავლეს იმდღევანდელი ვარაუდი ახდა და როგორც ქართველი ხალხის მაშინდელი მოლოდინი გაამართლა შემდეგ და შემდეგ ნონა

გაფრინდაშვილმა. მე მაშინ ბატონი პავლეს ყურადღებამ და ალღომ გამაკვირვა.

პავლე ინგოროყვას შინაგანად მკაცრად მოწესრიგებული პიროვნება, დაუმცხრალი ენერგია, მარად ახალგაზრდული შემართება და მტკიცედ დამკვიდრებული მოსაზრებებისადმი შეუპოვრად დაპირისპირების უნარი მრავალი ათეული წლის მანძილზე აოცებდა და აოცებს სხვადასხვა თაობას. მან ყურადღება მიაპყრო თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ყველაზე მწვავე და ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ჩვენი ისტორიის უაღრესად დაბინდულ და ტრაგიკულ პერიოდებს, შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები, მონოგრაფიები, კომენტარები, გახსნა და ახსნა ძველი და უძველესი ტექსტები, და მაინც უკმარისობას განიცდის. სურს ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიასა და პიროვნებაზე დაწეროს, ფიქრობს, რომ ღირსეულად არაა შეფასებული და დაფასებული პირველი ქართველი რომანტიკოსი. აპირებს მიუბრუნდეს ქართული დამწერლობის პრობლემას, რადგან იგი კვლავ აქტუალურად დადგა დღის წესრიგში. მუშაობს კიდეც ამ საკითხზე...

ვისაც უხილავს, როგორ წერს ბატონი პავლე, ალბათ გაუკვირდება, ასეთი დინჯი ტემპით როგორ მოასწრო ამდენი. როდესაც წერს, თითქოს ყოველ ასონიშანს ეალერსება, კი არ წერს – ხატავს. ასე წერდნენ ალბათ ძველი ქართველი ჟამთააღმწერელნი და გადამწერლები. ასეთი ხელნაწერი რემინგტონზე გადაბეჭდვასაც აღარ საჭიროებს, შეგიძლიათ პირდაპირ გააგზავნოთ სტამბაში.

ქართულ სტამბას პავლე ინგოროყვაზე შინაური კაცი არა ჰყავს. აქ იგი თავის სტიქიაშია. როდესაც მისი წიგნი ან მის მიერ შედგენილი და დადგენილი ტექსტი იბეჭდება, ბატონი პავლე ხანგრძლივად დასახლდება სტამბაში და უშუალოდ მონაწილეობს მთელს პოლიგრაფიულ პროცესში – დედნის აწყო-

ბიდან წიგნის ყდაში ჩასმამდე. მესტამბეთა უახლოესი მეგობარი მუდამ მათ გვერდით ტრიალებს. იქვე არჩევს შრიფტს, ასწორებს ანაწყობს, ამოწმებს სასინჯ ანაბეჭდებს, ყურადღებით ათვალიერებს ჩასწორებულ თაბახებს, აღტაცებული ადგას თავს საბეჭდ მანქანას, მოგებული ბრძოლის აღფრთოვანებით გამოაქვს სასიგნალო ეგზემპლარი, უძვირფასესი განძივით დაატარებს პორტფელით და მხოლოდ იმას გამოუჩენს, ვისაც მისი სიხარულის გაგებისა და გაზიარების ნიჭი გააჩნია.

პავლე ინგოროყვა გამომცემლობის გამორჩეული ავტორია, თუ შეიძლება ავტორი ეწოდოს. აქაც ყველასთან გაშინაურებული გახლავთ. მის დედნებს ცალკე თარო აქვთ გამოყოფილი რედაქციაში, რაც ერთადერთი და იშვიათი გამონაკლისია. ტექსტზე მუშაობას იგი გამომცემლობასა და სტამბაშიც ახერხებს და აგრძელებს. უყვარს სხვისი აზრის მოსმენაც. შესაფერის დროს, გარემოსა და განწყობილებას ელოდება, რათა თავისი თუნდაც პატარა ჩანაწერი თუ ფრაგმენტი წაგიკითხოთ. რამდენიმეჯერ მოგაკითხავთ, წინასწარ მოსვლის მიზეზს არ გაგიმხელთ, შეუძლია მთელი კვირა დაგელოდოთ, ვიდრე შესაბამის მომენტს არ შეარჩევს. როდესაც ამ მომენტს დაიჭერს, წინასწარ მოგამზადებთ, თვითონაც განეწყობა, კითხვას მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაიწყებს და თქვენგანაც მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს. კითხულობს დინჯად, აუღელვებლად, როგორც მისი ტექსტების ნათელსა და ლოგიკურად თანამიმდევრულ სტილს შეეფერება, კითხულობს ისე, როგორც კლასიკურ ნაწარმოებებს კითხულობენ მხატვრული კითხვის დიდოსტატები. სამწუხაროდ, ასეთი კითხვისა და მოსმენის ტრადიცია დავიწყებას ეძლევა.

პავლე ინგოროყვას ყველა გამოცემას, მის მიერ შედგენილ ყოველ კრებულს თუ მრავალტომეულს ერთი გრაფიკოსი აფორმებდა. ეს გახლდათ მისი განუყრელი მეგობარი ლადო

გრიგოლია. მხატვარიც თანამიმდევრულად მონაწილეობდა გამოცემის მთელს პროცესში, გრაფიკული ელემენტები სხვადასხვა დროს იქმნებოდა, პოლიგრაფიული მოთხოვნილების გათვალისწინებით. 1968 წელს პავლე ინგოროყვამ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო თხზულებანი. ამ გამოცემის ყოველი ლექსი ჯერ აიწყო, შემდეგ მხატვარმა ანაწყობი დაამაკეტა, მოარგო თავსართები და ბოლოსართები, შმუცტიტულებიც ჩასვა და, დროის მოგების მიზნით, ასე დამზადდა და დაიბეჭდა ცალკეული სასტამბო თაბახი, ბოლოს გაფორმდა ტიტული, კონტრტიტული, ყდა, ყუა და სუპერი. სხვათა შორის, ერთი ლექსი – „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ – ორ ფერში დაიბეჭდა. მწერლისა და მხატვრის შემოქმედებითი თანამშრომლობით შეიქმნა სანიმუშო გამოცემა. ამ გამოცემის გვერდებზე მარგალიტებივით გაბნეულმა ორნამენტებმა და დეტალებმა შემდეგ ქართული პრესის ფურცლებზე გადაინაცვლეს და მათ ავტორის მიუთითებლადაც სცნობენ.

ბატონი პავლეს წიგნებს მხატვრული და ტექნიკური რედაქტორები არ სჭირდება, რადგან ამ ფუნქციებს არავის ანდობს. რედაქტრის როლიც მეტად უმნიშვნელოა, რადგან კომპოზიციურად ლექსივით შეკრული რიტმი მისი ნაწერებისა ძნელად იტანს გარეშე ხელის ჩარევას. ამდენად მთავარი ყურადღება კორექტურას ექცევა, რაშიც თვითონაც აქტიურად მონაწილეობს. აქ კი გულგრილობას ვერ იტანს, უყურადღებობას არ გაპატიებთ, მკაცრია და დაუნდობელი.

– პოეზიას უჭირს! – ხშირად ამბობს ბატონი პავლე, როცა რუსთაველისა და ბარათაშვილის მაღალი სამზერიდან გახედავს მუზების სამყაროს. თვითონ პოეტური ბუნებისა, „პოეტი ადრე“, განსაკუთრებული სიმპათიით იხსენიებს გალაკტიონ ტაბიძეს და, ჩანს, ეს სიმპათია ცალმხრივი არ იყო. გალაკტიონის ერთ-ერთ დღიურში ამოვიკითხე: „გუშინწინ შემხვდა

პავლე ინგოროყვა და მითხრა: ჩვენ უკანასკნელ დღეებში ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ეს უდიდესი სიმპათიის ნიშანი უნდა იყოსო. დიდებული ადამიანია". როდესაც ამ ჩანაწერის შინაარსი დაბეჭდვამდე გავაცანი, ბატონმა პავლემ თვალები მოჭუტა, შორს გაიხედა და მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა: გალაკტიონი... გალაკტიონი...

მეგობართაგან ვახტანგ კოტეტიშვილს გამოარჩევს. ერთხელ მითხრა: ჩემი და ვახტანგ კოტეტიშვილის საყვარელი გამოთქმა იყო, – ვინც ჩვენს მომცდარ ყანაში თოხს მოიქნევს, ყველას მოვეფეროთო.

დიადი მიზნებითა და მაღალი იდეებით შეპყრობილი პიროვნების ცხოვრებაში ამქვეყნიურ ვნებებსა და პირად კომფორტს მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს. ჰონორარის გამო იშვიათად შეგაწუხებთ. ფულს „რომანტიკულ ყვავილს" ეძახის. ცნობილია იშვიათი ფაქტი: 1954 წელს გამოსცა ოთხმოცთაბახიანი გამოკვლევა „გიორგი მერჩულე" და ჰონორარის დიდ ნაწილზე უარი განაცხადა.

უკვე ორჯერ მოვიხსენიეთ ბატონი პავლეს პორტფელი. ეს არის საოცრად ტევადი მინი-ბიბლიოთეკა, რომელშიც ყველაფერი თავსდება, რასაც იმდღევანდელი პროგრამა ითვალისწინებს. ამ პორტფელს არავის დაანებებს. ერთხელ შევკადრე და შევეხიდე. ზედმეტად მემძიმა და გამაკვირვა ოთხმოც წელს გადაცილებულის გამძლეობამ. ის ხომ ამ „ტვირთს" გვერდიდან არ იშორებს.

სადაც მივა, განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის, თავისი შუქი და სინათლე შეაქვს, ყველგან აკადემიურ განწყობილებას ამკვიდრებს და თვითონაა ცოცხალი აკადემია.

ერთხელ ჩვეული სიდინჯითა და თანამიმდევრობით პორტფელიდან რემინგტონზე გადაბეჭდილი ფურცლები ამოიღო, ხელი დააფარა, რამდენიმეჯერ შემომხედა და, რაკი დარწმუნ-

და, რომ ცნობისწადილისა და მოლოდინის წამები ამოიწურა, კითხვას შეუდგა. ეს იყო მისი წარდგენა-დახასიათება აკადემიის წევრობაზე... ვუთხარი: ის ფაქტი უფრო საინტერესო და შთამბეჭდავია, თქვენ რომ უარი გითხრეს-მეთქი. ესიამოვნა და გაიღიმა. დიახ, იგი თვითონაა ცოცხალი აკადემია.

ბატონმა პავლემ მიამბო:

– ცეკაში დამიბარეს კანდიდ ჩარკვიანთან. როდესაც პირად მდივან ქალბატონს ჩემი ვინაობა მოვახსენე, მან სიაში ჩაიხედა და სიმონ ყაუხჩიშვილისა და შალვა ნუცუბიძის გვარებს მოკარი თვალი. ჩანს, დაბარებულებს ცალ-ცალკე იღებდნენ. დაკითხვას ალექსი ინაური ესწრებოდა. ბრალდების შინაარსს შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მე ბრალდების ეპიზოდებს არ დავეთანხმე. ამ საუბარში ჩემს წინააღმდეგ ცუდად ფიგურირებდა ერთი რეპრესირებული და გადარჩენილი ცნობილი ქართველი მწერალი, რომლის გვარიც ბატონმა პავლემ დაასახელა, მაგრამ მე თავს შევიკავებ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ეპიზოდი სუკის მიერ იყო პროვოცირებული. ამის შესახებ მე ვუთხარი ბატონ პავლეს და ბატონი პავლე თითქმის დამეთანხმა – შესაძლებელიაო.

ძნელია საქართველოს ისტორიის ან ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის რომელიმე პრობლემატურ საკითხს შეეხოთ და პავლე ინგოროყვას ციტირება არ დაგჭირდეთ. მომავალი საუკუნეების ვერცერთი სერიოზული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის პავლე ინგოროყვას მოსაზრებებს, აღმოჩენებს, მიგნებებს, ჰიპოთეზებს, შენიშვნებს. მისი მაძიებელი გონება და დაუმცხრალი სული ზუსტად საჭირო მანძილიდან და სიმაღლიდან ამოწმებს და აფასებს ფაქტებსა და მოვლენებს და ყოველთვის თამამი და გაბედული დასკვნები გამოაქვს. თანაც მაღალ მატერიებსა და რთულ კატეგორიებზე ისე სადად მსჯელობს, მსგავსი მაგალითების დასახელება გაგიჭირდე-

ბათ. მისი შრომების სიმეტრიული კომპოზიცია და ტექნიკური არქიტექტონიკა, სადაც თანამიმდევრულ კვლევას ზომიერად ენაცვლება ლირიკული წიაღსვლები, დაბოლოს – ტექსტის გრაფიკულ-პოლიგრაფიკული სტრუქტურა – აადვილებს და საინტერესოს ხდის გამოკვლევის კითხვასა და აღქმას. ამიტომაც იკითხება პავლე ინგოროყვას ნაწერები მხატვრული ნაწარმოებივით. ამიტომ გვირჩევნია მისი ვარაუდები და ჰიპოთეზები ზოგიერთების ორასპროცენტიან ჭეშმარიტებებს.

პავლე ინგოროყვა რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის. ასეთი რჩეულები იშვიათად მოგვევლინებიან. მრავალი პოეტის შთაგონება ააფორიაქა მისმა არსებამ თუ არსებობამ. ჩვენი საუკუნის დასაწყისიდავე ეხმიანებოდნენ მას პაოლო იაშვილი და იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე. ახლახან კი მურმან ლებანიძემ თითქოს ყველა ჩვენგანის მაგიერ უთხრა:

– შენ არ მოკვდები!

1983

„ოლონდ ხელი არ გამიშვა“

1966 წლის 24 აპრილს გარდაიცვალა სიმონ ჩიქოვანი. იმ დღეებში მოსკოვს ვიყავი მივლინებული და დაკრძალვას ვერ დავესწარი. თბილისში დაბრუნების შემდეგ შევუთანხმდი მიშა ქვლივიძეს, ერთად ვეწვიეთ ქალბატონ მარიკას და მივუსამძიმრე. დღე და საათი საგანგებოდ შევარჩიეთ: იმ საღამოს ერთად მოვისმინეთ სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი წინასწარ ჩაწერილი რადიორეპორტაჟი მოსკოვიდან: მიშა ქვლივიძის საუბარი და რუსი მსახიობების მიერ წაკითხული ლექსები.

ქალბატონმა მარიკამ გვიამბო ბატონი სიმონის უკანასკნელი დღეების შესახებ. გაიხსენა: თავი რომ ცუდად იგრძნო, ვინაიდან ვერ ხედავდა, ხელს აღარ მიშვებდა და მეუბნებოდა, სანამ შენ ხელს არ გაგიშვებ, არაფერი მომივაო.

1960-1966 წლებში ჩემს მიერ რედაქტირებული სიმონ ჩიქოვანის ოთხი წიგნი გამოიცა: „რჩეული“ და სამტომეული. უკანასკნელ წლებში პოეტი ვეღარ ხედავდა და სახლში ვეწვეოდი ხოლმე – თერთმეტსართულიანის მეექვსე სართულზე. დაუვიწყარია უტყუარი გემოვნების ინტელექტუალის საგულისხმო საუბრები არა მარტო მწერლებზე და მწერლობაზე. აღსანიშნავი და სამაგალითოა სიმონ ჩიქოვანის განსაკუთრებული ყურადღება და დამოკიდებულება ახალგაზრდა შემოქმედებისადმი, გამორჩეულად კი – ანა კალანდაძისადმი. ბატონმა სიმონმა „მნათობის“ რედაქციაში სამუშაოდ მიმიწვია და მხო-

ლოდ იმიტომ შევიკავე თავი, რომ გამომცემლობის ხელფასი ორჯერ აღემატებოდა ჟურნალის რედაქციისას. ახლახან ლიტერატურის მუზეუმში – პოეტის არქივში – აღმოვაჩინე 1962 წლის 13 და 30 დეკემბერს მოსკოვში გაგზავნილი ჩემი ორი ბარათი სიმონ ჩიქოვანისადმი. შენახული მაქვს იმავე წლის 20 დეკემბრის საპასუხო წერილი სიმონ ჩიქოვანისა. ვაპირებ, ეს სამი ბარათი კომენტარებით და ვრცელი მოგონება გამოვაქვეყნო მომავალში. ამჯერად კი გავიხსენებ ათიოდე სტრიქონს, რომლებიც ქალბატონ მარიკასთან საუბრის შემდეგ დავწერე:

თუმცა დიდი იმედი მაქვს გულის – ნაამაგარისა,
ხელი მაინც შემაშველე, ხელი მაინც არ გამიშვა.
რომ არასდროს გამიჭირდეს, როგორც ერთხელ გამიჭირდა,
არ დამტოვო, არ მომშორდე, არ მომშორდე ნაბიჯითაც.
როცა მტოვებ, ზუზუნებენ ბუკები და წინწილები
და ხელს ისე მაგრად გიჭერ, თითქოს წყალში ვიძირები.
გავექცევი მეგობრების ვალებსა და ანგარიშებს,
არაფერიც არ მომივა, სანამ შენ ხელს არ გამიშვებ,
არც იმედი არ მექნება ყავარჯნის და არგანისა,
ოღონდ ხელი შემაშველე, ოღონდ ხელი არ გამიშვა.

ლადო ასათიანის კვალდაკვალ

1960 წელს მურმან ლებანიძე აბასთუმანში ისვენებდა. მაშინ კურორტის დირექტორი გახლდათ ბიძაჩემი – დედისძმა ვარლამ მარგალიტაძე, რომელსაც მურმანმა ლექსი მიუძღვნა თავის „ფიქრების“ ციკლში.

იმ ზაფხულს აგვისტოში მე მურმანის სანახავად ჩავედი და შვებულება აბასთუმანში გავატარე. იქ გავიცანი უნივერსიტეტის კლუბის დირექტორი გოგი კობიაშვილი, რომელიც ადრე ლადო ასათიანთან ერთად ისვენებდა აბასთუმანში. გოგიმ დაგვათვალიერებინა ლადოსეული ადგილები. ერთხელ აბასთუმნის სასაფლაოზე წაგვიყვანა. რა თქმა უნდა, ლადოს ლექსი გამახსენდა:

ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული.
აქეთ-იქით საფლავები და მათ შორის ნაკადული...

გამახსენდა, მაგრამ ახლომახლო ნაკადული არსად ჩანდა. ერთხანს პაუზა ჩამოვარდა და უცებ სიჩუმეში ჩუხჩუხი შემოგვესმა. იქვე, შუა სასაფლაოზე, ძალიან პატარა ნაკადული ჩუმად მოჩუხჩუხებდა. ნაკადულს ვერც იტყოდი, ღარის წყალივით „გადაგდებული“ ვიწრო ღელე გახლდათ, საფლავებს შორის და ბალახებს შორის არც კი ჩანდა, დიაგონალივით კვეთდა სასაფლაოს დაღმართს და ერთადერთი არღვევდა იქაურ მარადიულ მდუმარებას.

იმ ზაფხულს აბასთუმანში ისვენებდა აგრეთვე ბატონი პავლე ინგოროყვა.

ჩვენ კურორტის მთავარ ხეივან-ქუჩაზე ვიკრიბებოდით, ხის სკამებზე ჩამოვსხდებოდით და ვსაუბრობდით.

ამ ქუჩას მალიშევა-გოპაძის ქუჩა ერქვა. გამოვთქვით მოსაზრება – ლადო ასათიანის სახელი გვეწოდებინა.

მურმანის აბასთუმნის ციკლის „ფიქრი მესამე“ ასე იწყება:

დაბადებიდან მიყვარდა მე ხეები ალვის,
სიკვდილის მერეც არ დავუთმობ ამ ხეებს არვის;
ბარე მეოცედ ავუვლ-ჩავუვლი მე ამ ხეივანს,
თამბაქოს ვაბოლებ მე არხეინად
და ვფიქრობ ქალზე – ვინმე მალიშევა-გოპაძის,
რომლის სახელიც ამ ხეივანს რატომღაც ერქვა,
ხოლო ჩვენ: მე და ინგოროყვამ და ჯავახაძემ –
ჩემმა ვახტანგმა, კობიაშვილ გოგისთან ერთად,
დავარქვით სახელი ჩვენი ლადო ასათიანის.

სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ არაფერი ვიცოდით „ვინმე მალიშევა-გოპაძის“ შესახებ.

გავიდა ნახევარი საუკუნე და 2010 წელს აკაკი წერეთლის ლექსებს შორის წავაწყდი ექსპრომტს – „პირუმთვნელად“, რომელიც დაწერილია აბასთუმანში და ეძღვნება „მარიამ სვიმონის ასულ გოპაძისას“:

კარგი რამ ხარ, როგორც დედა!..
უკეთესი – როგორც ცოლი!
თვალ-ტანადათ ლამაზ-სანდო...
საკადრისი ქმრის და ტოლი.
შემოქმედმა შენით შენზე
თვისი ძალა დაგვანახვა...

დიდება მის ძლიერებას!
რაღა ეთქმის პოეტსა სხვა.

1896. 12 აგვისტო. აბასთუმანი.

ქალბატონი მარიამ მალიშევა (1859-1939) აღმოჩნდა მეუღლე გამოჩენილი ქართველი თერაპევტის – ილია ზურაბის ძე გოპაძისა (1853-1932), რომელმაც პეტერბურგში დაამთავრა სამედიცინო-ქირურგიული აკადემია და ბერლინში აიმაღლა კვალიფიკაცია, 1894-1909 და 1921-1932 წლებში მოღვაწეობდა აბასთუმანში და დიდი ღვაწლი დასდო კურორტის აღორძინებას და კეთილმოწყობას. სწორედ ამ ილია და მარიამის ოჯახს სწვევია 1896 წლის ზაფხულში აკაკი და ეს ლექსი მიუძღვნია მასპინძელი ქალბატონისათვის, რომლის სახელიც, როგორც ჩანს, 1939 წელს – მისი გარდაცვალების შემდეგ – უწოდეს აბასთუმნის ერთ ქუჩას.

ალბათ, უპრიანი იქნება, ეს გახსენება ლადო ასათიანის სტრიქონებით დავამთავროთ:

ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ...

დაუვიწყარი

– ძმავ და მეგობარო, მამავ და მასწავლებელო! – ასე ესალმება ლადო ასათიანი ნიკა აგიაშვილს. მათი მეგობრობა ჩვენი უახლესი ისტორიის ულამაზესი და განუმეორებელი ეპიზოდია, მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი სხვაობა თოთხმეტ წელიწადს შეადგენდა. ნიკა აგიაშვილი სავსებით იმსახურებდა ამ დიდ სიყვარულსა და ყურადღებას:

– ვივა, აგიევ! ნიკოლაუს, აგიუს ფლავუს! ოქრონიკა! ნიკალა! ნიკალაი! ნიკალაშა! ნიკლიაუზნიკა! უნიკალურო ნიკალაი!

ნიკა აგიაშვილი მართლაც უნიკალური ჟანრის წარმომადგენელია. ეს ჟანრი ჯერჯერობით სახელდებულიც არაა. ამ ჟანრს ორიგინალური პიროვნებანი ქმნიან. ისინი კულისების გმირები გახლავან, მწერლობის თავისებური თანამზრახველები და მეცენატები, რომლებიც განუწყვეტლივ შემოქმედებით პროცესში არიან ჩართულნი და უფრო მეტს სხვებისთვის აკეთებენ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები იშვიათად მოგევლინებიან ხოლმე და მათ ჭეშმარიტ ღირსებას მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ შევიცნობთ.

ბატონმა ნიკამ სამი უძვირფასესი წიგნი დაგვიტოვა, მაგრამ არანაკლებ ღირებული და დასაფასებელია ის ამაგი, რომელიც მან თავის თანამედროვე მწერლებსა და მწერლობას დასდო.

ლადო ასათიანის „დაწყევლილ“ თაობას ერთ რამეში ნამდვილად გაუმართლა: მას აღმოაჩნდა დიდი გულშემატკივარი და მემატიანე. როგორ აკლია ასეთი მეისტორიე სხვა თაობებს, თუნდაც – ცისფერყანწელებს?!

ბატონ ნიკას კეთილშობილებისა და მიმტევებლობის გამორჩეული ნიჭი გააჩნდა. იშვიათად, ძალიან იშვიათად აღელდებოდა. დაძაბულ ურთიერთობებს ხშირად შემრიგებლად ევლინებოდა, უმალ განმუხტავდა და გაანელებდა მძიმე სიტუაციებს. შეეძლო ყოველ ადამიანთან გამოენახა საერთო ენა. თვითონაც მარად ჭაბუკი დარჩა. 1940 წელს ლადო ასათიანთან გადაუღია ფოტო და ლადოზე ახალგაზრდად გამოიყურება.

ამავე დროს გახლდათ მეტად შეუვალი და შეუპოვარი პრინციპულ საკითხებში. მისი „ჭაბუკები“ ოცდაათიანი და ორმოციანი წლების უაღრესად დრამატულ ქრონიკას აღადგენს და ავტორივით გულწრფელი და მართალი წიგნია.

იყო ბრწყინვალე მოქართულე და იშვიათი თანამოსაუბრე, ხალასი მეხსიერების პატრონი და მეტად საინტერსო მთხრობელი. მისი ზეპირი მოთხრობები მეორე ნიკა აგიაშვილს საჭიროებდნენ.

ხანგრძლივი წლების მანძილზე ბატონმა ნიკამ შეაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა ქართული სკაბრეზული პოეზიის ანუ ფუნაგორიების უნიკალური ერთტომეული, რომელიც მრავალ შედევრს შეიცავს და თავის გამომცემელს ელოდება. იგი თვითონ გახლდათ ამ ნიმუშების შესანიშნავი იმპროვიზატორი და კომენტატორი.

დაუვიწყარია ბატონი ნიკას გვერდით გატარებული ზაფხულის დღეები და საღამოები ქვიშხეთში. ყოველი მისი ჩამოსვლა თავისებურ ეშხსა და ინტიმს მატებდა ყიფიანების მამულს.

დაუვიწყარია ფარული კითხვის დეკადა: შუადღისას, როცა წვრილფეხობა მიწყნარდებოდა და მანდილოსნები ჭორაობით ერთობოდნენ, წინასწარ შერჩეულ მყუდრო ოთახში ბატონი ნიკა ფუნაგორიების დავთარს შემოიტანდა და იწყებდა. უმეტესობა ზეპირად ვიცოდით, მაგრამ მაინც სულგანაბული ვუსმენდით, თითქოს პირველად ვკითხულობდით, თანაც ვარიანტებს ვაზუსტებდით, ავტორებს ვადგენდით, ადრესატების ვინაობას ვარკვევდით.

დაუვიწყარია იმპროვიზებული მოგზაურობანი ქვიშხეთის მახლობელ სოფლებში. ყმაწვილებისა და შედარებით ახალგაზრდა მამაკაცების პატარა ჯგუფს წინ ჭაღარა მეგზური მიუძღოდა. გვიწვევდა, გვაქეზებდა, გვართობდა, გზადაგზა არგანს გამოთლიდა, სხვებსაც შეაიარაღებდა, იცინოდა და გვაცინებდა. ასე შეგვიტყუებდა განზრახულზე შორს და უხერხულიც კი იყო ჩამორჩენოდი, დაღლა გაგემხილა, მეგზურის ტემპსა და განწყობილებას არ აჰყოლოდი.

დაუვიწყარია ზეპირი კომენტარები, რომლითაც ბატონი ნიკა გვაცნობდა ყველაფერს, რასაც წავაწყდებოდით ან თვალს მოვკრავდით: სოფლებს, ეკლესიებს, ციხე-ტაძრებს, მთებს, მდინარეებს, ხეებს, ბალახებს, ყვავილებს.

დაუვიწყარია კამათლების მღერა ცაცხვების ჩრდილში და ბატონ ნიკასთან წაგებული ნარდი.

დაუვიწყარია მწერალთა კორპუსის ღია აივანზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრა და მთვარით განათებულ სუფრაზე ბატონი ნიკას სადღეგრძელო.

დაუვიწყარია ბატონი ნიკა!

1993

ლადო გრიგოლია

1998 წლის 9 აგვისტოს დამირეკა ბატონი ლადო გრიგოლიას მეუღლემ ქალბატონმა ინა დივნაგორცევა-გრიგოლიამ. მომიკითხა და მაცნობა, რომ ბატონი ლადოს გრაფიკულ ნახატებში იპოვა ჩემი პორტრეტის მრავალი ესკიზი. მიმიწვია და დამპირდა, რამდენიმეს გისახსოვრებო.

ლადო გრიგოლიამ 1966 წელს გააფორმა ჩემი „ლირიკა". თავისებურად დახატა სუპერი და გარეკანი. სუპერის ჩანაკეცზე მოათავსა ჩემი ორფეროვანი პორტრეტი, რომელიც ნატურიდანაც ჩაიხატა რამდენიმეჯერ და ფოტოც დაიტოვა. 1989 წელს გერმანიაში დაიბეჭდა ლადო გრიგოლიას ალბომი – წიგნი I. ალბომში შეტანილია ჩემი წიგნის გარეკანი, სუპერის ილუსტრაცია და ჩემი პორტრეტი.

15 აგვისტოს ვეწვიე ქალბატონ ინას – ჩემსავე ყაზბეგის ქუჩაზე, სადაც ადრეც რამდენიმეჯერ ვყოფილვარ. მანამდე მხატვარი ვაკეში ცხოვრობდა და ჩემი პორტრეტი იქ დახატა.

მაგიდაზე დამხვდა ბატონი ლადოს ალბომის II წიგნის მაკეტი. აქ წარმოდგენილია ქართული შრიფტის მეტად მრავალფეროვანი ნიმუშები. აქვეა ბატონი ლადოს ტექსტი ქართული შრიფტის შესახებ. მეორე წიგნის გამოცემა დაყოვნდა. ქალბატონმა ინამ წამაკითხა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის განკარგულება ფინანსთა და კულტურის მინისტრებისადმი. ფინეთში 1000 ეგზემპლარის დაბეჭდვა ჯდება 145 ათასი დოლარი. მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

შემდეგ მასპინძელმა გამოიტანა საქაღალდე, რომელსაც ბატონი ლადოს ხელით აწერია „ვახტანგ ჯავახაძე". თვითონაც გაკვირვებული გახლდათ, ამდენი ესკიზი არცერთი პორტრეტისათვის არ დაუხატავსო. ეს ალბათ თქვენდამი დიდი სიმპათიის გამოხატულებააო. მეც გამიკვირდა. ოცდაათამდე ესკიზი დავთვალე, მათ შორის – რამდენიმე პროფილი. მე მხოლოდ ანფასები მახსოვდა. ქალბატონმა ინამ ორიგინალთან ერთად აირჩია რამდენმე: გამოფენებისათვის, ლიტერატურის მუზეუმისათვის, მწერალთა პორტრეტების ალბომისათვის და შემომთავაზა, დარჩენილებიდან აიღეთ, რამდენიც გნებავთო. მე ოთხი ცალი ავარჩიე, ძირითადად პროფილები. გემოვნება მომიწონა და მითხრა, ნუ გერიდებათ, კიდევ აიღეთო. ბოლოს და ბოლოს, მაჩუქა ჩემი პორტრეტის 17 ესკიზი. დამიბრუნა ჩემი ფოტო, რომელიც 1966 წელს დავუტოვე მხატვარს. გადმომცა აგრეთვე ჩემი ხელით დაწერილი წიგნის ანოტაცია, რომელიც ბატონ ლადოს გადაუწერია და შუაში ორი სიტყვა ისე გაუთიშავს, რომ ტექსტის მართკუთხედი უკვე ნახატის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქალბატონმა ინამ რუსულად წამიწერა და მაჩუქა იმავე 1998 წელს გერმანიაში დაბეჭდილი ალბომი (მე ჩემი ადრე შეძენილი ანა კალანდაძეს ვუსახსოვრე).

ნამცხვრისა და ხილის სუფრაზე მე ბატონი ლადო ვადღეგრძელე. კარგახანს ვისაუბრეთ გამორჩეულ პიროვნებაზე, პატრიოტი მხატვრის გულისტკივილზე.

ქალბატონი ინა წარმოშობით პოლონელია. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იყო ბატონი ლადოს სტუდენტი.

სამწუხაროდ, მე – როგორც გამომცემელმა – ვერაფერი შევთავაზე მხატვრის მეუღლეს. მხოლოდ ჩემი „უცნობი" ვაჩუქე და მივუთითე აბზაცები, სადაც ბატონ ლადოს ვიხსენიებ.

მიხას ფანჯარა

არქიტექტურულად უაღრესად ერთფეროვანი საბურთალოს რომელიღაც მასივის რომელიღაც კორპუსის რომელიღაც სადარბაზოს რომელიღაც სართულზე მიხა ქვლივიძეს ერთოთახიანი ბინა ჰქონდა. სამხატვრო აკადემიადამთავრებულმა პოეტმა კედლები ფერადი ნახატებით გადატვირთა და ყველაზე დიდი ფანჯრის ჩარჩო წითელ-ყვითელი საღებავებით ისე „ააყვირა“, რომ მომავალ სტუმრებს შორიდანვე ეპატიჟებოდა.

– ერთფეროვან მასივში შენი ბინის მოგნება რომ არ გაგვიჭირდეს, ალბათ ამიტომ შეღებე ასეთი ფერებით-მეთქი, – მოვუწონე მიხას.

– სიმართლე გითხრა, სტუმრებზე არ მიზრუნია. ეს იდეა ჩემმა გასაჭირმა მიკარნახა: ნასვამი რომ ვბრუნდები, მე თვითონ მიჭირს ჩემი სახლის პოვნაო.

მე კი მგონია, მთავარი მიზეზი სულ სხვა იყო: მიხას ბევრი თაყვანისმცემელი ქალბატონი ჰყავდა და ეს წითელ-ყვითელი ფანჯარა შესანიშნავ ორიენტირს წარმოადგენდა სტუმარი ლამაზმანებისათვის.

მიქელანჯელოს მემკვიდრეს ვერასდროს ვერ დავივიწყებ:
კაპელასავით მოხატა ოთახი მიხა ქვლივიძემ.
უფალო ვინსენტ ვან გოგის შთამომავალიც დალოცე:
წითელ-ყვითელი ფანჯარა აყვირდა საბურთალოზე,

და ახლა ალექსანდრიის შუქურასავით დაეძებს
იმას, რომელიც დაეცა, ან – შეიძლება დაეცეს.
გამოიღიძა კვარტალმა ასების ასლამაზივით
და გამოფხიზლდა ერთბაშად მონოტონური მასივი:
ადგილის დედა დავლოცეთ კონიაკით და საკეთი:
ერთოთახიან სამოთხეს არ დაედება საკეტი.
ასეთი გახლავთ განზრახვა მარტოკა მობინადრესი:
დღეიდან არცერთ მადონას არ შეეშლება ადრესი.
ჩემი მორჩილი თარიღიც აქ უნდა გადამიხადო
და წერილებიც გავცვალოთ, ჩემო მიხა და მიხაკო.
რამდენიც გინდა, დალიე და ბახუსს ნიშნი მიაგე,
საკუთარ სახლს და ფანჯარას აუცილებლად მიაგნებ.

წერილები ჩემი არქივიდან

ჩემო მიხა! სამოცდაათი წლისათვის მოულოდნელი საჩუქარი მოგიმზადე: მე შენ ორმოცი და ორმოცდაათი წლის მიხეილ ქვლივიძეს გაგიცოცხლებ. შენ ძალიან დიდხანს ცხოვრობდი იმპერიის დედაქალაქში და ქართული სიტყვის ნოსტალგია ხშირად გაწერინებდა წერილებს, რომლებიც დღემდე მხოლოდ მე მქონდა წაკითხული. ახლა ხელახლა გადავიკითხე შენი ეპისტოლური მემკვიდრეობის სრული კრებული და საგულისხმო სტრიქონები ამოვკრიბე ალაგ-ალაგ. მოდი, ერთად გავიხსენოთ უახლესი წარსულის დაუვიწყარი წუთები და წამები, ერთხელ კიდევ გავესაუბროთ ერთმანეთს: ჯერ – ავტორი და რედაქტორი, მერე – პოეტი და პოეტი, ბოლოს – მეგობრები – მიხო და ვახო. ნურაფერს ჩავასწორებთ, რადგან წარსულის შეცვლა შეუძლებელია:

– ძმაო ვახო! სიტყვები არ მყოფნის, არ ვიცი როგორ გამოვხატო ჩემი სიხარული, აღტაცება, ბედნიერების გრძნობა და სხვა და სხვა, რაც განვიცადე დღეს დილით, როცა მოულოდნელად ფოსტალიონმა მომიტანა ჩემი წიგნის ანაბეჭდები! ამ წიგნს ველოდი მთელი ჩემი ცხოვრება და აჰა, მგონი, გამოვა კიდეც.

– წუხელ 41-ში გადავაბიჯე. არავინ მესტუმრა, მარტო ვიყავი და პატარებთან ერთად ტელევიზორს ვუყურებდი. მერე – დავიძინე... ჩვეულებრივად მეძინა, უსიზმრებოდ. აქ უშველებელი თოვლი დადო. ახლა თბილა და ნელ-ნელა დნება. ყე-

ლამდე წყალში ვართ: გვასხამს ზემოდან და ქვემოდან, ვსველდებით (ოღონდ არა შიგნიდან!) და ეს არის!

– ჩემკენ ახალი ისაა, რომ თბილისისაკენ მომიწევს გული და თუ ჩამოვედი, ალბათ მოსკოვში აღარ დავბრუნდები.

– ევტუშენკოს ინტერვიუ და ჩემი ლექსები – გუშინ გამოგიგზავნე (სახლში). ჩემს ლექსებში ორი ციკლია, ერთი ცოტა „შაყირული“, მეორე ნორმალური. რომელიმე მათგანი დამიბეჭდეთ. რასაც ამოიღებ, შენ იცი, – შენს გემოვნებას და ალღოს ისევე ვენდობი, როგორც საკუთარ თავს (ცოტა მეტადაც).

– გაგიჭირე საქმე, მაგრამ მოგეხსენება, წიგნი – შვილივითაა და თვალს რომ მოშორდება, გულიდან კი არ ამოვარდება ისე იოლად.

– პასუხს თუ ერთ ახალ ლექსსაც გამოაყოლებ, უბრალოდ გამახარებ, როგორც მეგობარსა და მკითხველს, რადგან სულ გამოვყრუვდი ამ დაწყევლილ ჩრდილოეთში.

– სადღაც მაინც მეგულები: ვიცი, რას წარმოვადგენ შენთვის და მიხარია, რომ თუ ამჟამად უდაბნოში მიტოვებულ მეცხვარის ცეცხლივით ვბჟუტავ ღამეში, ამ ცეცხლს შორიდან შენ მაინც ხედავ.

– აქ ძალიან აცივდა. თავისებური რუსული „სუბსარქისი“ დაიწყო, ქარბუქი ქრის და ყინავს. ერთი სული მაქვს, როდის დადგება აპრილი, რომ თბილისისაკენ მოვუსვა.

– სხვა რა მოგწერო? გასულ ორშაბათს აქეთია, ახალი არაფერი მომხდარა: მთვარეზე არავინ დამჯდარა, მე ჯერ ცოცხალი ვარ და ჩემი წიგნისა და ჩემი ცხოვრების ბედი ისევე გაურკვეველია, როგორც ჩინეთის „კულტურული რევოლუცია“.

– მე მივიღე „ჰეროიკული“ გადაწყვეტილება: 1975 წლის 22 თებერვალს, ჩემი 50 წლის იუბილეს თბილისში გადავიხდი! ჩამოვალ ცოტა ადრე, თადარიგს დავიჭერ და ჩემი დის სახლში შევკრებ ჩემს საყვარელ ადამიანებს, ჩემს მეგობრებს, და თუ

იმ დრომდე ჩემი წიგნიც გამოვიდა, ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ იქნება.

– რომ მენატრები და ხშირად გიგონებ ხოლმე, ამას არ მოგწერ. იცი.

– გამიგრძელდა მოსკოვში ყოფნა! აღარ შემიძლია...

– ამჟამად ვამთავრებ წიგნს, რომელიც საწყალ გოგლა ლეონიძისაგან მქონდა „დავალებული“ – გურამიშვილის ცხოვრებაზე.

– ალბათ მიიღებდი ჩემს გამოგზავნილ წიგნს – „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიას“. დიდზე დიდი თხოვნა მაქვს: თუ ღმერთი გწამს, მიშოვე ერთი ცალი „პოეზიის დღე“ და გამომიგზავნე.

– ძალიან მომენატრა თბილისი და შენი ნახვა. რამდენიმე ახალი ლექსი დავჯღაბნე. ძმურად გკოცნი, ისე ვარ, თვალზე ცრემლი მადგას.

– ცენზორს არ დააჩაგვრინო წიგნი!

– ყველგან, სადაც გინდა, მხოლოდ ლიტერატურაში თაღლითობა, რა ვქნა, არ შემიძლია! ეს შენც იცი.

– ეს წიგნი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია (ისაა, რომლის მერე პოეტს შეუძლია საერთოდ აიბარგოს ამ ქვეყნიდან).

– როდისღა იქნება, მეც რომ თქვენთან ვიცხოვრებ თბილისში? მივატანთ კი იქამდე?

– უღრმესი მადლობა – მივიღე „პოეზიის დღე“.

– მე ხვალ მივფრინავ მაგადანში, სამწუხაროდ!.. დამილოცე მშვიდობით დაბრუნება იმ „მოუსავლეთიდან“!

– ეგ ერთი და სხვა მრავალი, ჩემო ვახო! „ჩვენ – ჩვენი ვცადოთ“ – როგორც თქვა შენმა მეგობარმა და ჩემმა კარგმა ნაცნობმა, შენმა მკითხველმა მიხოია ქვლივიძემ.

– გმადლობთ თბილი წერილისათვის. ამ მძიმე დღეებში თურმე ძალზე საჭირო ყოფილა ადამიანური ნუგეშის გაგონება. შენ ჩემი სულის კაცი ხარ და კარგად მწერ: „ისე იფიქრე,

თითქოს ეს უბედურება დიდი ხნის წინათ ან სხვაგან მომხდარიყოსო". ეჰ, ჩემო ვახტანგ! ყველაზე სამწუხარო სწორედ ის არი, რომ ჩემს მდგომარეობაში ადამიანს ილუზია აღარ ჭირდება... დროს და სივრცეს რაღას მოვუხერხებთ პოეტები (სულ მათთან არ ვთამაშობთ?!). შენ ისა თქვი, ღია ჭრილობას რა ეშველება, რომელსაც ყოველი გახსენება, ყოველი წვრილმანი – ნივთი, საგანი, ხმა, ფერი, სუნი – მარილს აყრის?

– დალისა და შაგალის შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეც მითხრეს, რა „სერიაც" არ უნდა მივიღოთ, იმთავითვე იმ „სერიას" დალი ან შაგალი აკლია ხოლმეო.

– თუ ჩემი ძმა ხარ, მომწერე, რა ხდება? უპირველესად ეს მადარდებს: ზაურ ბოლქვაძეს ხომ არაფერი დააწიეს, „ფიქრები" რომ დაბეჭდა?

– სხვა რა? თქვენთან ალბათ უკვე გაზაფხული მძვინვარებს. აქ კი – ისევ თოვლია და ცივა. თუმცა მაისის შორეული სუნთქვა მაინც იგრძნობა: ჩიტები უფრო ხმამაღლა მღერიან და ნიავიც სამხრეთიდან უბერავს.

– ერთი პატარა თხოვნა მაქვს. თუ ძმა ხარ, სადმე მიშოვე ქართული კალენდარი (ოღონდ მაგიდის, გადასაფურცლი!) და გამომიგზავნე. ყოველ წელიწადს ქართული კალენდრით ვცხოვრობ, წელს კი არავინ მისახსოვრა.

– აი, ჩამოვედი მოსკოვში... და ისევ თბილისი მენატრება!.. ღმერთმანი, ერთი იმედი მაცოცხლებს, რომ მარტში ისევ რუსთაველზე გავივლი...

ახლა შენ რუსთაველის პროსპექტთან ცხოვრობ და თითქმის ყოველდღე რუსთაველზე დადიხარ, ჩემო მიხა. მე კი დავსძენ: ამ ჭრელ ავიაბარათებს მეც ასევე გულწრფელად ვპასუხობდი და ჩვენი მიმოწერა ოც წელიწადს გაგრძელდა, ვიდრე სამშობლოს არ დაუბრუნდი და მეორე ცხოვრება არ წამოიწყე.

1995

წერილები მიხას არქივიდან

ჩემო მიხა! ჩვენს ეპისტოლურ გადაძახილს საინტერესო გაგრძელება აღმოაჩნდა: 2013 წელს სახელმწიფო არქივიდან დამირეკეს: ჩამწერი სტუდია უნდა გავხსნათ და გვინდა გახსნის დროს თქვენი ლექსები ჩავიწეროთო, ჩაწერას ჩვენი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრებაო. მე, ჩვენი გამომცემლობის პრივატიზებასთან დაკავშირებული გართულებული პრობლემის გამო იუსტიციის მინისტრთან შეხვედრა მაინტერესებდა და დანიშნულ დროს არქივში გამოვცხადდი. თეატრალური მიზანსცენა გავითამაშეთ: დამსვეს სტუდიაში და როდესაც ქალბატონი მინისტრი დარბაზში შემობრძანდა, მანიშნეს და ლექსების კითხვას შევუდექი. მერე თეა წულუკიანს ჩვენს პრობლემებზე ვესაუბრე.

სტუმრობისას არქივის თანამშრომლებმა სიურპრიზი შემომთავაზეს: დამახვედრეს პატარა გამოფენა: ჩემი ლექსთა კრებულები, ავტოგრაფები, „უცნობის“ ხუთი გამოცემა და აქვე – ჩემი პირადი წერილები შენი არქივიდან! დაკარგული ხელნაწერების პოვნასავით გამიხარდა. ვთხოვე და მომიმზადეს ჩემი წერილების ქსეროასლები და სახლში დაბრუნებისთანავე ჩვენს საერთო წარსულში ჩავიძირე.

ახლა მე შეგეხმიანები და ჩვენთვის საინტერესო დეტალებს შეგახსენებ, თუმცა, სამწუხაროდ. შენ ვეღარ მომისმენ:

– ძმაო, მიშა! ძალიან გამახარა შენმა წერილმა, რომ აპირებ თბილისში დაბრუნებას. თბილისში გაზაფხულის სურნელი ტრიალებს... ერთობ ჩვეულებრივი წერილი გამომივიდა, მაგრამ „მე ვწერ, მკითხველო, შენი იმედით!".

– გვიან გამახსენდა, მაგრამ მაინც გწერ: რატომ არ შეიტანე კრებულში ლექსი – „მე ასე არა ვმღეროდი, მემღერებოდა ასე"? აქეთ ყველაფერი ძველებურადაა. მალე ფეხბურთის სეზონი გაიხსნება და ოდნავ მაინც შეიცვლება ერთფეროვანი დღეების განრიგი.

– უპირველეს ყოვლისა, გისურვებ მალე გამოჯანმრთელებას, სადა გვაქვს ჩვენ საავადმყოფო დრო! დღეს ჩვენი დინამოელები თამაშობენ და იქით მიმიხარია (შოტლანდიელების და არა ჩვენების საყურებლად მივდივარ). საღამოს ჩილედან მოვისმენ ურუგვაისთან ტრანსლაციას (თუ ამაოდ არ გავტეხე ღამე). ხვალ კალათბურთელთა ევროპის თასის ნახევარფინალია სპორტის სასახლეში... და ასე მიდის ჩვენი ლიტერატორის სპორტული ცხოვრება.

– ერთ საინტერესო დეტალს გიამბობ შენს წიგნთან დაკავშირებით, ოღონდ ჩვენს შორის დარჩეს. წიგნში რომ შენი პორტრეტი უნდა დაბეჭდილიყო, რომელიღაც პადლეცმა ელგუჯასთან დაასმინა მთავარი რედაქტორი – გურამ ქველაძე, შენთან შეუთანხმებლად ბეჭდავენო პოეტის პორტრეტს. დირექტორმა დაგვიბარა მე და ალექსი გომიაშვილი. 5 კაცი ვკამათობდით. თითქოს უნდა ამოგველო პორტრეტი, მაგრამ საბოლოოდ გადავარჩინეთ. ეს არაა მთავარი, მთავარი შემდეგია: შენი პორტრეტი ამ დროს ელგუჯას კაბინეტში შევიტანე და მაგიდაზე დავდე. ჩვენი კამათი დიდხანს გაგრძელდა – ვის რა უფლება აქვს, მთავარმა რედაქტორმა უნდა შეუთანხმოს თუ არა პორტრეტის საკითხი დირექტორს და საერთოდ პოეტური კრებულებისათვის საჭიროა თუ არა პორტრეტი და ასე შემ-

დეგ. კამათი დიდხანს გაგრძელდა. შენი პორტრეტი კი იდო (უფრო სწორად – ეგდო) დირექტორის მაგიდაზე და უნებლიეთ მონაწილეობდა კამათში. ეს ბოლოს შევამჩნიე და გამეცინა. მოკლედ, შენმა პორტრეტმა თავისი გაიტანა და თავი გადაირჩინა.

– წიგნის ამბავს როგორმე მოვაგვარებ. შეიძლება მურმან ლებანიძეს დავარეკვინო კომიტეტიდან. შეიძლება კი არა, კარგად გამახსენდა და ახლავე დავურეკავ და დავარეკვინებ (მურმანი კომიტეტში დიდი შიშკაა, ხომ იცი!). თბილისში ჩვეულებრივი თბილი ზამთარია. გაზაფხულს ველოდებით და ვისმენთ ძველი ჭორების ახალ ვარიანტებს.

– მე კარგადა ვარ. აქეთ ახალი არაფერია. ოღონდ გიორგი შატბერაშვილის სიკვდილმა ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული (ცოტა მოიძებნება ჩვენს შორის, სამწუხაროდ, მსგავსი ვაჟკაცი მწერალი). გუშინ სიმონ ჩიქოვანთან ვიყავი და მკითხა, მიშას წიგნი თუ გამოვიდაო.

– სხვა შენ როგორა ხარ? მომილოცავს, რომ თარგმნას მორჩი. როცა ჩამოხვალ, წამიკითხე. ჩამოსვლით კი აუცილებლად ჩამოდი. აქ დიდი მოწყენილობაა და ძალიან მენატრები. ახალი და სასიხარულო არაფერია. პირიქით: მოსე ქარჩავა გარდაიცვალა სისხლის ჩაქცევით. გასულ შაბათს დაასაფლავეს ჩხოროწყუში. ოთარი იყო წასული და ჯერ არ ჩამოსულა. კარგი ვინმე იყო. ყველას დაგვწყვიტა გული.

– შენი წერილი მივიღე არც ისე მალე, როგორც შენ იწერები. მე უნდა ჩამოვსულიყავი მოსკოვს 1 მარტს, მაგრამ მაქაური თათბირი გადაიდო აპრილისათვის და ალბათ აპრილში გეწვევით. თუ შენ მარტის ბოლოს აპირებ ჩამოსვლას, იქნებ ერთად გამოვემგზავროთ მოსკოვში. ისე, კი მიხაროდა ეხლა ჩამოსვლა.

– ჩემი წიგნის გამო ძალიან ნუ შეწუხდები და ნუ ჩაეფლობი საქმეში. თუ გამოვა, არა აქვს მნიშვნელობა – რომელ წელს.

მე მინდა, უპირველეს ყოვლისა, უკეთესი ლექსები დავწერო ქართულად და მე მომწონდეს. დაბეჭდვას კი ყოველთვის მოვესწრებით.

– შენი „ვეფხისტყაოსნის" დასურათებათა ამბავი შემდეგშია: გაიოზ იმედაშვილი მოვიდა და მითხრა, მე მიშა დამპირდა, ყველაფერს გავაკეთებო და გამეპარაო. მე ვუთხარი: მოულოდნელად წავიდა აუცილებელი საქმის გამო-მეთქი. მაშინ დეპეშა გაუგზავნეთ და აუცილებლად ჩამოვიდესო. არ შეიძლება-მეთქი, ისეთ საქმეზე წავიდა, ეხლა ვერაფრით ვერ მოიცლის-მეთქი. მიმითითა „საბჭოთა ხელოვნებაში" იუზა ხუსკივაძის წერილზე (ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მიშამო). მე ვერაფერი დავინახე აუცილებლად გასათვალისწინებელი და განვუცხადე, სადაც მიშას წიგნში ამავე ხელნაწერზეა მსჯელობა, იქ შენიშვნა დავურთოთ, რომ ამავე საკითხზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამან და ამან-მეთქი. არა აქ უფრო სერიოზული გასწორებააო საჭირო. მაშინ ვთხოვე, ახლა ასე ჩავაბაროთ სტამბას და, როცა მიშა ჩამოვა აპრილში, მაშინ ანაწყობში ჩავასწორებინებ-მეთქი. ამაზე დამთანხმდა და, როგორც იქნა, მოაწერა ხელი, როგორც რედაქტორმა. ამჟამად დედანი ტექნიკურ რედაქტორთანაა და მალე წავა სტამბაში.

– მივიღე შენი წერილი. მეგონა, მარტის არდადაგებზე ჩამოიყვანდი ბავშვებს და ჩამოხვიდოდი. აქეთ ახალი და სასიამოვნო არაფერია... კიდევ ერთი ახალი ამბავი: ოთარ მამფორიამ ცოლი შეირთო. კარგი, ლამაზი და სიმპათიური გოგონაა.

– დღეს მივიღე შენი წერილი. წერილის ტონმა გამაკვირვა. შენი საქმეები ბევრად უკეთესადაა, ვიდრე შენა ხარ. შენმა ლექსებმა „ნიანგში" უკეთესი რეაქცია გამოიწვია, ვიდრე შენ მოელოდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პასუხი დაიბეჭდა. ყველა ფიქრობს, რომ „ნიანგი" შეცდა არა მაშინ, როცა შენი

ლექსები დაბეჭდა, არამედ მაშინ, როცა „გიპასუხა“. ერთ-ერთ პანაშვიდზე, ბიჭებმა, რომლებიც პასუხის ტექსტს წინასწარ იცნობდნენ, ურჩიეს ზაურს, არ დაებეჭდათ პასუხი. მაგრამ ჟურნალი უკვე დაბეჭდილი ყოფილა. შენ თვითონ დაფიქრდი: შენი ლექსები (სუსტია თუ ძლიერია, გულწრფელია თუ არ არის გულწფელი) დაწერილია სერიოზული ავტორის მიერ, „პასუხი“ კი გახლავს გაბოროტებული კაცის წყევლა-კრულვა, თანაც ამართლებს შენს სათაურს – „ქურდს ქუდი ეწვისო“. ისე, ჩვენს შორის დარჩეს, „ნიანგის“ რედაქტორი მე უფრო ვაჟკაცი მეგონა და მისი მლიქვნელობა შენს პოზიციას ამაგრებს. მე ამას ყველაფერს გულწრფელად გწერ. სხვა მდგომარეობა რომ იყოს, თვითონ გაგაფრთხილებდი.

– გამოვიდა „დროშის“ ახალი ნომერი. დაბეჭდილია შენი „მწვანე ვილისი“ და სიმონის პორტრეტი. დღეს შენი წერილის ტონზე მუხრანს ველაპარაკე. მითხრა, მისწერე მიშას ჩვენს დამოკიდებულებაზეო. მურმანიც აქ არის, ყრილობას დაესწრება. მე 30 ივლისამდე თბილისში ვიქნები, ვიდრე მსოფლიო პირველობა დამთავრდებოდეს, მერე კი გავალ შვებულებაში. შენ შეგიძლია თქვა, რომ ლექსებში კონკრეტულად არავის გულისხმობდი (რა თქმა უნდა, თუ დაგჭირდა), მაგრამ „ნიანგს“ უკვე აღარ შეუძლია განაცხადოს, რომ თვითონ შენს ლექსებში კონკრეტულ პიროვნებას არ გულისხმობს (ზ. ბოქლვაძე თავს კარგად გრძნობს).

– გიგზავნი ქართულ მიწას. აქეთ ახალი არაფერია. გადავედით ხუთდღიან სამუშაოზე. შაბათსაც ვისვენებთ. გამომცემლობის საზოგადოება თავს კარგად გრძნობს, ახალი დირექტორიც. მწერალთა კავშირში დიდი ხანია არ ვყოფილვარ. ს. ჭილაია ისევ მძიმე ავადმყოფია. ტ. ჭანტურია, გ. გეგეჭკორი და ე. კვიტაიშვილი დაუბრუნდნენ „ცისკარს“. მოგიკითხეს ჩვენებმა. დაგილოცავ გზას გერმანიისაკენ.

– მივიღე შენი წერილი. ზედმეტად წუხარ წიგნის გამო. წიგნი მზადაა სტამბაში გასაგზავნად და აწი აღარაფერი ემუქრება. სტამბაში კი მე მივხედავ და შენი შეხსენებაც კი ზედმეტია. ეს საქმე განაღდებულად ჩათვალე და ახალ საქმეებს მიხედე. შენ მურმანს ზედმეტად შეუშინებიხარ. თბილისში, შენი წასვლის შემდეგ, ბევრი არაფერი შეცვლილა. გამოვიდა „მნათობის“ პირველი ნომერი და შენი ორი ახალი ლექსი მომეწონა ძალიან. ამავე ნომერში დაბეჭდილია აკ. გაწერელიას წერილი (პ. ინგოროყვას უტევს). არასასიამოვნო ფაქტია. ვინაა მართალი? თუმცა, სიმართლე მაინც ჩვენი ყველაზე ერთგული მეგობარი უნდა იყოს.

– მივიღე შენი წერილი. შენი არ მიკვირს? ადამიანებისაგან ძალიან ბევრს მოითხოვ. ხომ იცი, თვალი რომ თვალს მოშორდება... არ მომწონს შენი პესიმიზმი. ამ ქვეყნად არის საგნები და მოვლენები, რომელთა გამოც სიცოცხლე ყოველთვის ღირს. ჩემი დაუწერელი ლექსია შენი კარგად ყოფნა, მისი პირველი სტრიქონი: ყოჩაღად, ჩემო მიხა!

– მივიღე წერილი და შევიტყვე მაქაური ამბები. აქეთ კი მთავარი ის არის, რომ მე მყავს ბიჭი, რომელიც უკვე 2 თვისა და 12 დღისაა. თბილისში, სამი დღეა, ძალიან ცხელა. შვებულებაში ჯერ ვერ მივდივარ, ქალაქიდან ბავშვის გაყვანა ჯერ არ შეიძლება. თუ მივლინების ვარიანტი გამოჩნდება, შეიძლება ჩამოვიდე.

– ირაკლი ვახტანგის ძე ჯავახაძე უდიდეს მადლობას მოახსენებს ძია მიშას ძვირფასი საჩუქრისათვის და დასძენს: როცა დიდი კაცი გავიზრდები, სიკეთით გადამეხადოსო. ირაკლის მამა თავს კარგად გრძნობს. ცოტა გადაიღალა იმის გამო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ რამდენიმე წიგნი მომზადდა და გამოიცა.

– მურმანის ბიჭი ჩაირიცხა უნივერსიტეტში. არ ვიცი, გაიგე თუ არა: მარიკა ჩიქოვანი გარდაიცვალა, დიდებული

ქართველი ქალბატონი. ჩემი ბიჭი 3 სექტემბერს 4 თვისა გახდება. უკვე რაღაცეებს ამჩნევს, ხალხს სცნობს და ეშმაკობას სწავლობს. თუ რამე გინდოდეს, დამირეკე. ჩემი სახლის ტელეფონის ნომერია 37-24-30. შვიდი საათის შემდეგ ყოველთვის სახლში ვარ (ბიჭმა დამაბა).

– ირაკლი მადლობას გითვლის საღეჭი რგოლისათვის, თუმცა კიჭები ჯერ არ ამოსვლია. ისე თავს კარგად გრძნობს. „მნათობს“ შენი ლექსები ჯერჯერობით სტამბაში არ გაუგზავნია. თბილისში მნიშვნელოვანი არაფერია. „მნათობის“ მეათე ნომერში წაიკითხე მ. ლებანიძის „ღია წერილი გამომცემლობა „განათლების“ დირექტორს ამხ. ხ. ბერულავას“. საინტერესოა.

– როგორა ხარ შენი ოჯახით? მაისის ბოლოს მოგელოდი. ტელევიზორში კი გიხილე. ამ თვის ბოლოს ან ივლისის პირველ ნახევარში გამოვა შენი ყველაზე კარგი წიგნი. ირაკლიმ ერთი კვირაა ფეხი აიდგა და დაბაჯბაჯებს. ქვიშხეთში ვიყავი გუშინ და ოთახი დავიქირავე. შენთან ერთი სათხოვარი მაქვს: მაქ კუზნეცკი მოსტზე რომ მწერალთა წიგნების მაღაზიაა, იმათ აქვთ ამჟამად კარგი წიგნი – „Итальянская лирика XX века“. ჩვენმა ბიჭებმა მიიღეს მაგ მაღაზიიდან, წინასწარ ჰქონდათ გამოწერილი. ეს წიგნი ძალიან მაინტერესებს. გთხოვ, საჩქაროდ მიხვიდე მაღაზიაში და იქნებ მიუსწრო.

– ქვიშხეთში მივიღე შენი წერილი, მაგრამ ის ერთი ლექსის კრებული, შენ რომ მწერ, არ გამოდის. თბილისში დაგვიანებით დავბრუნდი, რადგან ხოლერა იყო და იმის შიშს დღემდის არ გაუვლია. გუშინ ტარიელ ჭანტურიამ მითხრა, „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორს ეძებენო (შეთავსებები აღარ შეიძლება) და შეიძლება ეს საკითხი მიშას შეეხოსო. არ ვიცი, შენ რამდენადა ხარ დაინტერესებული.

– მე უკვე თბილისში ვარ. ბიჭი მყავდა სოჭში ორი კვირა. ზამთარში არასოდეს ვყოფილვარ ზღვაზე და ძალიან მომეწო-

ნა. შენ როგორ მოულოდნელად გაემგზავრე ისე, რომ ჩემი ახალი ბინა ვერ განახვე.

– ალბათ ძნელია შენი დანუგეშება, მაგრამ ეცადე ყველაფრს, რაც შეიძლება, შორიდან შეხედო და წარმოიდგინო, თითქოს ეს ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა ანდა სხვაგან მოხდა. ბედი მკაცრად მოგექცა. ისედაც არ გაკლდა ძვირფასი საფლავები. მაინც წინ უნდა გაიხედო, შვილებსა და შვილიშვილებს შეხედო და დასაწერ სტრიქონებს გამოედევნო. მე ათასგზის უნდა მოგიბოდიშო, რომ იმ მძიმე წუთებში შენს გვერდით ვერ ვიდექი.

ძმაო მიხა, შენ 2005 წელს გამოგეთხოვეთ და, არა დიდუბის, არამედ საბურთალოს სასაფლაოზე დაგკრძალეთ (მაშინ 80 წლისა იყავი). 2015 წელს მეუღლე – შენი არცთუ ისე იშვიათი მასპინძელი – გარდამეცვალა და საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალე – ჩვენს საზიარო სასაფლაოზე. ახლა მე 87 წლისა ვარ, საბურთალოს სასაფლაოზე ხშირად დავდივარ და არ გემშვიდობები:

ნახვამდის, ძმაო მიხა!

2019

გივი

ამბობენ, ყველაზე ნაღდი სიყრმის მეგობრობააო. გივი გეგეჭკორი ჩემი სიყრმის მეგობარი იყო. ერთმანეთი თბილისის პიონერთა სასახლეში გავიცანით და არა მარტო გავიცანით, დავმეგობრდით კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქალაქებში ვცხოვრობდით.

შემდეგ უნივერსიტეტის ხუთი წელიწადი ერთად გავატარეთ „პოეტების ჯგუფში“ და იმდენად დაძმაკაცებულები ვიყავით, ზოგიერთ ლექტორს ჩვენი გვარებიც კი ეშლებოდა ერთმანეთში. საყმაწვილო პოემებსაც ერთად ვწერდით ვარაზის ხევში და ვბეჭდავდით კიდეც.

მალე ქვეყანა შეიცვალა და ჩვენც გავთამამდით. „ცისკარიც“ წამოგვეწია. ჩვენი თაობა „სამოციანელებად“ მონათლეს. ამ თაობაში გივი გეგეჭკორმა თავიდანვე გამორჩეული სახელი მოიპოვა. მაღალი ინტელექტით აღბეჭდილმა მისმა ლექსებმა და ლირიკულმა პოემებმა პოეზიის უმკაცრეს შემფასებელთა მოწონება დაიმსახურეს.

კეთილშობილებით სავსე პიროვნება გახლდათ სიკეთის დეფიციტის დროსაც კი. ადვილად შეეძლო შენდობა და პატიება. ოღონდ შემოქმედებით საკითხებში იყო შეუპოვარი და პრინციპული. ადვილად ვერაფერს მოაწონებდით. ყველაზე მეტს, უპირველეს ყოვლისა, თავის თავისაგან მოითხოვდა.

პოეტის ბრძოლის ველს საკუთარი საწერი მაგიდა წარმოადგენდა. სხვა ასპარეზი არ უძებნია. სხვაგან ბედი არ უცდია. აკრძალული ხერხები არასოდეს გამოუყენებია. არც სხვისი სიკეთე შეშურებია.

პირადმა სატკივარმა ადრიდანვე შეუზღუდა ცხოვრების წესი და განრიგი. ამას ახლობლებსაც არ აგრძნობინებდა. ყოველთვის იქ იდგა, სადაც საჭირო იყო, ლხინში თუ ჭირში.

ორჯერ ვაჟკაცურად გაიარა უმძიმესი განსაცდელის ახლოს.

მხოლოდ რამდენიმე წელიწადს მოეფერა თავის უკანასკნელ სიხარულს – პატარა ლუკას და ახალი წიგნიც შეაგება საუკუნის დასასრულს.

მესამე განსაცდელი სწორედ საუკუნის კარიბჭესთან დახვდა ჩასაფრებული. სამწუხაროდ, მესამე მართლაც მესამე აღმოჩნდა.

ახლა მე გივის ერთი ლექსის სათაური მახსენდება – „გარდაცვლილთან მეგობრობა იოლია". ჩემთვის იოლი ბედნიერება ცოცხალ გივი გეგეჭკორთან მეგობრობა იყო. ჩემთვის აუტანელი ტკივილი გარდაცვლილ გივი გეგეჭკორთან მეგობრობა იქნება.

2000

თამაზი

ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანით, ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის პირველ სექტემბერს, დილის ცხრა საათზე, ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიაში. შემდეგ ჩვენს ჯგუფს მწერლების ჯგუფი შეარქვეს. თამაზ ბიბილური ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა აღმოჩნდა. ალბათ ამიტომაც არ ჩქარობდა. ალბათ ამიტომაც ყველაზე გვიან გამოამჟღავნა თავისი თავი. განსწავლისა და შეგირდობის წლები ჩრდილში გაატარა და დასრულებული ოსტატი გამოგვეცხადა. ამდენად მისი დებიუტი უფრო ეფექტური უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავი მოკრძალებულად ეჭირა და ვერც კრიტიკამ გამოიჩინა სათანადო ყურადღება. მაინც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა და არამარტო ქართველი მკითხველი დააინტერესა. სხვა მხრივაც გამოირჩეოდა – მიწიერი სიამენი ადვილად ვერ აცდუნებდნენ და მეტი კეთილშობილებისაკენ მოგვიწოდებდა მაშინაც კი, როცა კეთილშობილების ნორმები სრულიად დაცული გახლდათ. ზნეობის მაგალითს იძლეოდა და დაძაბულ სიტუაციებს აწონასწორებდა. თავისი კუთხის სიდინჯეს განასახიერებდა. იმათ გვაცნობდა, ვისაც კარგად იცნობდა, იმაზე წერდა, რაც კარგად იცოდა, ისე წერდა, როგორც მხოლოდ მას შეეძლო. იყო დაინტერესებული მოგზაური და საინტერესო თანამგზავრი. ერთად ვყოფილვართ საგურამოში, ზედაზენზე, ეგვიპტის პირამიდებთან და მოსკოვის კრემლის კედელთან,

სადაც მოვასწარით და სტალინი ვიხილეთ თითქმის დამარხვის წინადღეს. მისი სტიქია მაინც მარტოობა იყო, რაც ალბათ ჭეშმარიტი შემოქმედის ყველაზე ბუნებრივი და სასურველი თავშესაფარია. ხშირად დაინახავდით თბილისის ქუჩებში განმარტოებულს, დაფიქრებულსა და დაკვირვებულს, ყოველთვის მშვიდსა და აუმღვრეველს.

ჩვენი ქუჩები ერთმანეთს ერთვიან და სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში და საათებში, ჩვენ, მუქ ლურჯ „ტელეგრეიკებში“ გამოწყობილები, ყაზბეგისა და საბურთალოს ქუჩების გზაგასაყართან, უკვე მომრავლებულ რიგებში, ხშირად ვუზიარებდით ერთმანეთს იმ მოულოდნელ გულისტკივილს, რომელიც ჩვენდა გასაოცრად თავდატეხილმა დამოუკიდებლობამ გვარგუნა.

მშვიდად იცხოვრა და უკანასკნელი ტკივილებიც მშვიდად აიტანა თუ ვეღარ აიტანა და მშვიდად გამოგვეთხოვა. მეტი ყურაღების ღირსი იყო. ჩვენი საძმოსგანაც მეტ სიყვარულს იმსახურებდა. ჯერჯერობით ყველას დაგვასწრო და გივი გეგეჭკორმა მშვენიერი ლექსი დაუწერა – „საუკუნე თავდება“:

> უკვე გავთეთრებულვართ, უკვე მალე ვიღლებით,
> მალე მოეკიდება ჩვენს ნააზრევს ობი,
> ჩვენი, დასავიწყებლად განწირული, წიგნები
> არის გამოტირება დაკარგული ყრმობის.

1999

ჩეზი

1997 წლის 25 ნოემბერს კულტურის ინსტიტუტში ლექციებს შორის შესვენებისას რეზი თვარაძემ მიამბო: ერთი ჩემი ძველი ნაცნობის (გვარი არ დაასახელა) მოსალმების ხარისხი ხშირად და უმალ იცვლება ხოლმე ჩემი თანამდებობის შეცვლის შესაბამისადო. არადა, რეზიმ ბევრჯერ გამოიცვალა დიდი თანამდებობა და ამიტომაც არ გაუჭირდებოდა მავანი ნაცნობის ფერისცვალების შემჩნევა.

ადრე, როდესაც „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი იყო, ბორის პასტერნაკის პატარა ლექსის თარგმანი მივუტანე. გამომაცილა და მადლობა გადამიხადა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ჩემს საავტორო პრაქტიკაში, ამიტომაც მაშინ გამიკვირდა და დღემდის მახსოვს. სხვათა შორის, იმ პერიოდში გაზეთში მიმიწვია სამუშაოდ და თავი შევიკავე. მოგვიანებით შემომთავაზა, ერთად შეგვედგინა ხალხური პოეზიის რჩეული და კვლავ თავი შევიკავე იმის გამო, რომ ასეთი რჩეულის შედგენას მურმან ლებანიძე აპირებდა და შეადგინა კიდეც.

გალაკტიონის არქივში ამოვიკითხე:

– 1958. 14 მაისი. გამოცემულ იქნას „რჩეული", წარდგენილი საბლიტგამში, ძალიან კარგად შედგენილი რევაზ თვარაძის მიერ.

გალაკტიონი მისი კერპი იყო. ძალიან კარგი წიგნი დაწერა გალაკტიონზე. ამიტომ ამოვიწერე ეს ციტატა, რათა რეზისთვის დამერეკა და გამეხარებინა. იმ დროს „უცნობის" საბოლოო ვარიანტს ვამზადებდი და დარეკვა დამიგვიანდა. ცოტახნის შემდეგ პარლამენტარმა ნოდარ გრიგალაშვილმა

მთავრობის სასახლეში თათბირი ჩაატარა მწერალთა კავშირის რეორგანიზაციის გამო. დაგვიანებით მივედი და დავინახე: რეზი დამრეცი აუდიტორიის ზედა რიგში იჯდა და ირგვლივ ადგილები დაკავებული იყო. მეზობელ სექტორში დავჯექი. დისკუსია დიდხანს გაგრძელდა. როცა დასრულდა, ზედა რიგებისაკენ მივბრუნდი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეზი ადრე წასულიყო. მალე გარდაიცვალა კიდეც და დამენანა, რომ ვერ გავახარე.

საბლიტგამს რეზის მიერ შედგენილი „რჩეული" არ გამოუცია. ცხრაასგვერდიანი „რჩეული" ჩვენ გამოვეცით („საბჭოთა საქართველოში") 1977 წელს. ამ წიგნს რეზი ძალიან დიდხანს ადგენდა და ბევრი ტექსტობრივი, ტექნიკური და თარიღისმიერი შეცდომა გაასწორა.

ამ წიგნზე წამიწერა:

– ძვირფას კაცს, გალაკტიონის პირველ ჭირისუფალს – ჩემს ვახტანგს. შემდგენელისაგან. 31.X.77.

ეს ტექსტი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ მიკვირს: 1977 წლამდე მე გალაკტიონის მხოლოდ ერთი სასაჩუქრო მქონდა შედგენილი და გამოცემული ორ პატარა წიგნად, „უცნობი" კი მოგვიანებით დაიწერა და უნებლიეთ დაიწერა.

ერთი წლის შემდეგ თეიმურაზ დოიაშვილმა შენიშნა:

– ვახტანგ ჯავახაძის პირველი პოეტური კრებული იმ წელს დაისტამბა, როდესაც გალაკტიონი „თავის ძეგლივით დააკლდა მიწას". ამ შემთხვევით ფაქტში იყო რაღაც სიმბოლური.

მოკლედ, ყველა გზა რომისაკენ მიდიოდა.

P. S. ახლახან ყაზბეგის გამზირზე ტაქსის გაჩერებას ვაპირებდი. მოულოდნელად მანქანა გამიჩერა რეზის ვაჟმა ცოტნემ, რომელიც ამჟამად მოძღვარია, და ბარათაშვილის მუზეუმისაკენ წამიყვანა. გზაში ცოტნეს გალაკტიონის ჩანაწერის ამბავი და ჩემი სინანული აღსარებასავით გავანდე. ცოტნემ დამამშვიდა: ჩათვალეთ, რომ რეზიმ უკვე იცისო.

„მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია“

ნასვამი ოთარ მამფორია მესტუმრა. ერთად გავაგრძელეთ და შუაღამისას სტუმარი ყაზბეგის გამზირზე ჩავაცილე. ვდგავართ ქუჩაში მე და ახოვანი ოთარი, რომელიც ირწევა. ხელს ვუწევ გამვლელ ავტომობილებს. არცერთმა არ გააჩერა.

– შე ფრანგო, ვერ ხედავ, ჩემ გამო რომ არ გიჩერებენ, – მეუბნება ოთარი, – დადექი ცოტა მოშორებით.

ვშორდები ათიოდე მეტრით და პირველივე მანქანა მიჩერებს. ვეძახი სტუმარს და ვაცილებ პეკინის ქუჩისაკენ.

*

ოთარი ბინას ელოდებოდა. ორი ვარიანტი შესთავაზეს. გვთხოვა და მე და შოთა თოფურია გავყევით საბურთალოზე ჩემი „ჟიგულით“. გზაზე გვიამბო:

– ავარიაში რომ მოვყევი ქუთაისში, ხომ იცით. ჰოდა, პალატაში მომიწვინეს გვერდით პედინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი, ქვემოიმერელი ფილოსოფოსი. ვითომ პატივი მცეს, არ მოიწყინოს ანტონიჩმაო. ამანაც გამიხურა, მარა რა გამიხურა: დაიწყო აბელარით და დაასრულა ჰაიდეგერით, მაგრამ არ დაასრულა, მეორე და მესამე წრეზე გავიდა. ვუსმინე ერთი დღე, მეორე, მესამე და, მეტი ვეღარ მო-

ვითმინე: შე ფრანგო, მე შენ მკითხველი ხომ არ გგონივარ, მე მწერალი ვარ-მეთქი, – შევუტიე და არ მოვისვენე?!

საბურთალოზე ორივე ბინა დავათვალიერეთ: ერთი ნუცუბიძის ბოლოში – მშენებარე – და მეორე ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე – გამონაცვალი. ჩვენ ვაჟას პროსპექტი ვურჩიეთ და დაგვეთანხმა ორ თბილისელ-ქუთისელს ერთი თბილისელ-ქუთაისელი.

რამდენიმე წლის შემდეგ ავტობუსიდან დავინახე: ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ყავარჯენს დაყრდნობილი ანტონიჩი, თავისი სახლის წინ მისეირნობდა.

იმედის სალარო
ანუ გამომშვიდობება „წიგნის სასახლესთან“

„წიგნის სასახლის“ მეორე სართულზე მარცხენა კორიდორის ოცდამეათე ოთახში ერთადერთი სარკმელი-სალაროა. ამ სარკმელს კარგად იცნობს მეოცე საუკუნის ყველა ქართველი მწერალი და არა მარტო მწერალი, ყველა, ვისაც ჰონორარის ან ხელფასის სიამოვნება განუცდია. თვეში ორჯერ აქ გამომცემლობის თანამშრომელთა რიგი იდგა, პერიოდულად კი – ავტორთა რიგი. სამოცი გრძელი წელიწადის მანძილზე ამ სარკმელთან უკეთეს ხასიათზე შემობრუნებულან: გალაკტიონ ტაბიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, პავლე ინგოროყვა და კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე და იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და პოლიკარპე კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ლადო გრიგოლია, ლადო ასათიანი. პირადად მე ორმოცდაათი წლის წინათ აქედან მომაწოდეს „მნათობში“ პირველად დაბეჭდილი ჩემი ლექსის საზღაური, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნახევარი თვის პირველი ხელფასიც აქ დავითვალე.

ვიდრე საბჭოთა იმპერია დაინგრეოდა, ეს სალარო-სარკმელი კუპიურების სიხარულებს არიგებდა. ამ სალაროსთან მოწყენილი არავინ მინახავს და გაბრაზებულიც არავინ მახსოვს.

უკანასკნელი ათი წელიწადია, ეს პატარა სარკმელი აღარ იღება. პრივატიზების დაუნდობელი კანონი მას ამოშენებით ემუქრება. რამდენიმე აგური და გაჯ-ცემენტის ნაზავი სამუდამოდ ამოქოლავს ისტორიულ კვადრატს, საიდანაც ვალუტაზე გადაანგარიშებულ სიამოვნებას ველოდებოდით.

მალე „წიგნის სასახლე“ აუქციონზე გაიყიდება. „წიგნის სასახლეში“ შეიძლება გაიხსნას კაზინო, შეიძლება – სასტუმრო, უკეთეს შემთხვევაში – ბანკი. საქართველოს აქვს და ექნება ბევრი ბანკი, ბევრი სასტუმრო, ბევრი კაზინო და აღარასოდეს აღარ იქნება ერთადერთი „წიგნის სასახლე“!

ინკოგნიტო მთარგმნელი

1962 წელს ჩვენმა გამომცემლობამ გამოსცა დავით ონიაშვილის მიერ თარგმნილი „ფაუსტი". წიგნი გამოსაცემად მოამზადა, ვრცელი წინასიტყვაობა და ვრცელი კომენტარები დაურთო ოთარ ჯინორიამ. თარგმანის მხატვრული დონე აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ბატონმა ოთარმა შემომთავაზა გამესწორებინა ტექსტი, რომლის მეორე ნაწილიც პირველად იბეჭდებოდა. მე უარი ვუთხარი. ჯერ ერთი: პოეტური ტექსტის სწორება შეუძლებელია (უმჯობესია, თავიდან თარგმნო) და მეორეც: მე გერმანული არ ვიცი. მაშინ ბატონმა ოთარმა მთხოვა, ხელახლა მეთარგმნა პოემის ბოლო ორი სტროფი, რომელსაც მისტიკური ქორო წარმოთქვამს. მომიტანა ზუსტი პწკარედი და ამიხსნა ტექსტი და ქვეტექსტი. ასე ვთარგმნე და მთარგმნელის მიუთითებლად დაიბეჭდა ეს რვა სტრიქონი:

წარმავალი ყოველი
მხოლოდ ანარეკლია,
ნაკლულოვანს მოელის
აქ სრულყოფა ერთიან.
უჩვეულო, ფარული –
აქ ნამდვილად ვლინდება,
მარადიულ-ქალურიც
აქეთ მიგვეზიდება.

ბორის პასტერნაკს შესატყვისი სტრიქონები ასე აქვს თარგმნილი:

Все быстротечное –
Символ, сравненье.
Цель бесконечная
Здесь – в достиженье.
Здесь – заповеданность
Истины всей.
Вечная женственность
Тянет нас к ней.

2014 და 2017 წლებში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" გამოსცა „ფაუსტის" პირველი და მეორე ნაწილები – დავით წერედიანის უაღრესად წარმატებული თარგმანი:

ყოველი წარმავალი
არს ოდენ მსგავსება,
სად იგი მრავალი
ერთ არსში თავსდება.
გაცხადდა ფარული,
ცის მოვალს დიდება
და მარადქალური
ზემიგვეზიდება.

სხვათა შორის, „ფაუსტი" რომ დაასრულა, გოეთემ ბრძანა: ამიერიდან რამდენ ხანსაც ვიცოცხლებ, ღვთის საჩუქრად მივიჩნევო. სამწუხაროდ, ამის შემდეგ გოეთემ ერთი წელიწადიც ვეღარ იცოცხლა.

ხვალ

შოთა ნიშნიანიძემ ლექსი „ხვალე" მე მომიძღვნა: ერთხელ შოთა მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ლიტერატურულ საქართველოში" ლექსები მივიტანე და ეს ლექსი არ დამიბეჭდეს – ვახტანგ ჯავახაძის ლექსს ჰგავსო. 1967 წელს მე დავწერე უსათაურო – „ვიცი, განგება ჩემზედაც ზრუნავს, ძველს მირჩევნია ახალი წელი, ხვალ უსათუოდ ვიპოვი სურათს, ხვალ უსათუოდ მივიღებ წერილს"... და ასე შემდეგ. შოთას ლექსი განსხვავებული რიტმითაა დაწერილი. თავისთავად კარგი ლექსია, მაგრამ მართლაც მგავს. შოთამ მითხრა: ეს ლექსი ძალიან მიყვარს, მოდი, შენ მოგიძღვნი და ისე დავბეჭდავო. მართლაც, მიძღვნა დაამატა და მას შემდეგ ასე იბეჭდება.

ეს ეპიზოდი კომიკურად გაგრძელდა: ერთმა კოლეგამ (გვარს ვერ დავასახელებ, გარდაიცვალა!), ეტყობა, აგრეთვე ჩემი ლექსის გავლენით დაწერა ლექსი და, როდესაც შოთამ ჩემდამი მოძღვნილი გამოაქვეყნა, ამ უკანასკნელს პლაგიატობა დააბრალა.

იყო ასეთი დრო

ჩემს მეორე წიგნში „ნაწვიმარი ქუჩები“ (1963. „ლიტერატურა და ხელოვნება“) 41 ლექსია დაბეჭდილი. ეს წიგნი ბევრად უფრო დიდი იყო, მაგრამ გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა თხუთმეტი ლექსი ამოიღო და თავისი კაბინეტის ცეცხლგამძლე ყუთში ჩაკეტა: არ ენდო წიგნის რედაქტორს – მორის ფოცხიშვილს. როცა წიგნი გამოვიდა, მთავარმა რედაქტორმა თვითონ დამიბრუნა რეპრესირებულები და ეს ლექსები მომდევნო წიგნებში შევიტანე. უმეტესობა მანამდეც იყო დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში. ახლა რომ წაიკითხოთ ეს ლექსები, გაგეცინებათ. იყო ასეთი დრო და იყვნენ ასეთი მთავარი რედაქტორები, ცენზორზე მკაცრი ცენზორები.

1959 წელს სიმონ ჩიქოვანმა „მნათობში“ ლექსები დამიბეჭდა. ანაბეჭდები წინასწარ წავიკითხე. ჟურნალი რომ გამოვიდა, ორი ლექსი აკლდა. ბატონმა სიმონმა მიამბო: დამიბარა მთავლიტმა (რედაქცია და მთავლიტი ერთ შენობაში თანამოღვაწეობდნენ – თერთმეტსართულიანში) და ორ ლექსს დაადო ხელი. დიდხანს ვეკამათე, მაგრამ ისე მელაპარაკა, შენ წარმოიდგინე, ბოლოს მაინც დამითანხმაო. ეს ლექსებიც შემდეგ წიგნებში დაიბეჭდა.

1963 წელს „ცისკარში“ იბეჭდებოდა ჩემი ერთადერთი ლირიკული პოემა „ღია ქალაქი“. მთავლიტმა შეაჩერა: არ იცო-

და, რას ნიშნავდა ღია ქალაქი. ეტყობა, ვერც ვერავინ აუხსნა. მერე მურმანი მივიდა, გაესაუბრა და ერთი წლის შემდეგ „ცისკრის“ მეხუთე ნომერში პოემა დაიბეჭდა.

აღარ მახსოვს, რომელიღაც ჟურნალში ცენზორმა აკრძალა ჩემი ხანგრძლივი ლექსი – „უნომრო ავტომანქანა“: უნომრო ავტომანქანა მხოლოდ შევარდნაძეს ატარებს და იმას გულისხმობსო. ღმერთი-რჯული! ხუთი-ექვსი წლის შემდეგ წიგნში „გავაპარე“.

1985 წელს „მნათობში“ იბეჭდებოდა „უცნობი“. ცეკადან დარეკეს და ცენზორის მიერ ნებადართული აპოლოგია საბეჭდი მანქანიდან მოხსნეს. ორი წლის შემდეგ მშობლიურ ქუთაისში ჟურნალ „განთიადში“ „გააპარა“ რეზო ჭეიშვილმა.

დიახ, იყო ასეთი დრო!

გამიფრთხილდა!

1975 წელს შევიძინე პირველი ავტომობილი – ლურჯი „ჟიგული 03". ქალაქში ფრთხილად დავდიოდი და თანდათან ვეჩვევოდი. ამ დროს დამირეკა იოსებ ნონეშვილმა: რუსეთის რომელიღაც პროვინციიდან მწერალი გვესტუმრა მეუღლესთან ერთად და იქნებ გორში წაიყვანოო. ვუთხარი: ტრასაზე ჯერ არ გავსულვარ, მაგრამ უარს როგორ გეტყვი-მეთქი. ბესიკ ხარანაულს ვთხოვე – უკვე საკმაო სტაჟიან შოფერს – წამომყოლოდა. მეორე დღეს მე და ბესიკი, რკინიგზის ვაგზალთან რომ სასტუმროა – „კოლხეთი", იქ მივედით. გურამიც მოვიდა დოჩანაშვილი, ბესიკს გაუფრთხილებია, ერთად მუშაობდნენ „მნათობში". ავაკითხე სტუმრებს და კიბეზე რომ ჩამოვდიოდით, ლიტფონდის „რაფის" მძღოლი შემომხვდა: იოსებმა გამომაგზავნა და გორში რუსები მე უნდა წავიყვანოო. სტუმარს არ ესიამოვნა, „ჟიგული" ერჩია. კიდევ კარგი სატვირთო მანქანა არ გამომიგზავნესო – თავისთვის ჩაილაპარაკა.

ცხადია, იოსებმა ანგარიში გაუწია ჩემს გამოუცდელობას და გამიფრთხილდა.

აკრძალული

ეს იყო ალბათ 1946-1947 წლებში. ქუთაისის ბაზარში, რომელსაც „ყაფანს“ ეძახდნენ, შავი ბაზარიც იმართებოდა. ომი ახალი დამთავრებული იყო და ხალხს ოჯახიდან გამოჰქონდა სხვადასხვა ნივთი და მიწაზე დაფენილ ფარდაგზე ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული.

ერთხელ ჩავიარე და პატარა წიგნს მოვკარი თვალი. ყდაზე ძლივს ამოვიკითხე ავტორის ფაქსიმილე – „ტიციან ტაბიძე“. უკვე ლექსებს ვწერდი და მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის გვარი და სახელი გამეგონა. ტიციან ტაბიძე ვინ იყო, არ ვიცოდი.

მალე ავთანდილ ბარათაშვილმა, ჩვენმა პიონერხელმძღვანელმა ვაჟთა პირველ სკოლაში, ზეპირად მითხრა – „ლექსი-მეწყერი“ და ტიციანის რამდენიმე ლექსი. აღტაცებული დავრჩი და ისიც შევიტყვე, რომ ტიციანი აკრძლული გახლდათ. უმალ გამახსენდა ყაფანზე ნანახი წიგნი და გული დამწყდა, თუმცა ალბათ იმ წიგნს ვერც შევიძენდი (ცხადია, წიგნის გამყიდველმაც არ იცოდა, რომ აკრძალულ ლიტერატურას ყიდდა).

მალე ვახტანგ გოგოლაშვილმა სადღაც იშოვა და ერთი დღით მათხოვა ტიციანის ის ერთადერთი წიგნი. მთელი დღე და ღამე ვწერდი და საერთო რვეული შევავსე. მერე ზურაბ კუხიანიძემაც გადაწერა და დიდი ხნის შემდეგ ლექსიც დაწერა:

ტიციანის წიგნი – ერთ დროს რომ ჩაყლაპა სამუმმა,
მე და ვახტანგ ჯავახაძემ გადავწერეთ მალულად...

ტერენტი გრანელის პატარა წიგნი საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე და, რადგან პასტა არ არსებობდა და ბიბლიოთეკაში მელნის შეტანა არ შეიძლებოდა, ფანქრით გადავწერე რვეულში და მერე სახლში მელნით გადავუარე ხელმეორედ.

მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები რამდენიმე დღით მათხოვეს და ჩუმად გადავიკითხე.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი" ფურცლებად ავკინძე: „მნათობის" ძველი ნომრებიდან ამოვიღე. ერთი ნომერი აკლდა და მოგვიანებით წიგნიდან გადავწერე და ისე შევავსე.

ეჰ, სად იყო მაშინ ეს დალოცვილი პასტა და სად იყო მაშინ კიდევ უფრო დალოცვილი ქსეროქსი?

გთხოვთ, წაიკითხოთ!

1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა აღნიშნულიყო. საგანგებო დავალებით სამი წლით ადრე ცნობილ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფს წინასწარ გავუფორმეთ ხელშეკრულებები და მივეცით ავანსი, რათა საიუბილეო თემატიკაზე ნაწარმოებები დაეწერათ.

მხოლოდ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დაწერა მხატვრული ნარკვევი, სხვებმა ჩვეულებრივად ძველი გამოცემები შემოგვთავაზეს და ისე დაფარეს ავანსი. ერთადერთი ბესარიონ ჟღენტი შემორჩა მევალე, რადგან იგი წიგნებს იშვიათად წერდა.

მე მაშინ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ ვმუშაობდი. 1972 წელს მურმან ლებანიძის ერთტომეული მოვამზადეთ გამოსაცემად. წიგნის რედაქტორობა მე გავწიე და გარეშე რედაქტორად ბესო ჟღენტი მოვიწვიე, რათა სარედაქტორო თანხიდან დავალიანება დამეფარა.

ერთხელ დილით მოვიდა რედაქტორი, მოიტანა მურმანის წიგნის ანაბეჭდები და აღტაცებულმა გულწრფელად გამომიცხადა: „ეს რა კარგი პოეტი ყოფილა მურმან ლებანიძეო“. არ გამკვირვებია. ვიცოდი, ბატონი ბესო იმდენად ნიჭიერი გახლდათ, რომ დისკუსიების დროს აქტიურად განიხილავდა ნაწარმოებებს, რომლებიც წაკითხული არ ჰქონდა!

ყოველივე ამის შესახებ მურმანს ვუამბე. მალე მურმანმა ახალი ლექსების კრებული გამოსცა, ბესარიონ ჟღენტს მიართვა და ორად ორი სიტყვა წაუწერა: „გთხოვთ, წაიკითხოთ!“.

არ ენდოთ აუდიტორიას!

2001 წლის 5 აპრილს ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიამ მიმიწვია. ამ სკოლაში, რომელსაც ადრე მეორე საშუალო სკოლა ერქვა, მხოლოდ პირველ-მესამე კლასებში ვსწავლობდი. წინასწარ ორმა პედაგოგმა მომაკითხა სახლში და შევთავაზე შეხვედრა გასაუბრების ხასიათისა ყოფილიყო.

გიმნაზიის დიდ დარბაზში სამასკაციანი აუდიტორია დამხვდა – კარგახნის სერიოზულად მომზადებული. პირველი ნაწილი მაჟორული მუსიკის თანხლებით ჩატარდა. შესავლის შემდეგ სცენაზე გამოდიოდა მოწაფე და ჩემს რომელიმე ლექსს მიმოიხილავდა, მერე მეორე ამ ლექსს წაიკითხავდა. ამ წყვილებს შორის ინტერმედიებად ჩართული იყო სიმღერები.

მომესალმნენ პოეტები ზურაბ კუხიანიძე და ზაალ ებანოიძე, ქუთაისის თეატრის მსახიობი, ჩემი თანაკლასელი ერემო სვანაძე.

მეორე განყოფილებაში მე ჩავერთე. შეკითხვებზე ვუპასუხე და ბოლოს ლექსები წავიკითხე – ძირითადად ქუთაისზე დაწერილი ლექსები.

ათი წელია, ქუთაისში არ ვყოფილვარ. ბედნიერი დღე იყო, სიზმარივით დღე. პირველი საზეიმო განყოფილება რომ დამთავრდა და მიკროფონი მომაწოდეს, ვთქვი:

– ახლა მივხვდი, რატომ აქვს ზოგიერთ მწერალს გადაჭარბებული წარმოდგენა საკუთარ თავზე. მე ნამდვილად არა მაქვს გადაჭარბებული წარმოდგენა ჩემს ნაწერებზე, მაგრამ ვერ დაგპირდებით, რომ რამდენიმე ასეთი შეხვედრის შემდეგ ამ სიტყვებს გავიმეორებ-მეთქი.

ერთი ლექსის ოთხი მთარგმნელი

თბილისის კულტურის ინსტიტუტში არსებობს ლიტერატურული დაოსტატების სექტორი. შემოქმედი აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებამდე წარმოადგენენ თავიანთ მხატვრულ ნიმუშებს. ამ ნიმუშების მოწონების შემდეგ მათ დაუშვებენ მისაღებ გამოცდებზე.

რამდენიმე წლის წინათ მიმიწვიეს ასეთ სექტორზე. კვირაში ორ საათს ვატარებდი. ეს იყო ერთგვარი სახელოსნო-ლაბორატორია. პირველ ნაკადში მყავდა ხუთი სტუდენტი. აქედან სისტემატურად დადიოდა სამი, რომლებიც უკვე იბეჭდებოდნენ: დათო რობაქიძე, ნინო ნასყიდაშვილი და ედუარდ უგულავა. მე მათ შევთავაზე და ერთად ვთარგმნეთ თედორე სოლოგუბის უსათაურო – „Никто не убивал“. ეს გახლავთ ოთხი მთარგმნელის თარგმანი, რომელიც 1998 წელს გაზეთ „კალმასობაში“ გამოვაქვეყნეთ:

არ მოუკლავს არავის,
სიკვდილს თვითონ დანებდა,
ცის უხმობდა კარავი,
მიწა ვერ აკავებდა.
ცა კი ისე შორია,
გეგონება, არც არი,
აქეთ ველ-მინდორია
და სინათლის ტაძარი.
იქით ცეცხლი ანთია,
ცეცხლს ვერ დაემალები,
წვავენ ღამის მანტიას
უეცარი ალები.
ის კი – დაუცხრომელი –
ოცნებობდა მარადჟამს
იმ ვარსკვლავზე, რომელიც
არასოდეს არა ჩანს.
ვერ იპოვნა ვარსკვლავთა
გზა და გზაჯვარედინი:
ცის და მიწის საზღვართან
კაცი მოკვდა ღმერთივით.

თავშეკავებულის აღსარება

ორმოცდაცამეტი წელიწადი „წიგნის სასახლეში“ გავატარე (1956-2009).

პროფესორმა ივანე ქავთარაძემ უნივერსიტეტის ასპირანტობა შემომთავაზა და თავი შევიკავე.

პროფესორმა გიორგი აბზიანიძემ ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტობა შემომთავაზა და თავი შევიკავე.

სიმონ ჩიქოვანმა „მნათობში“ მიმიწვია და თავი შევიკავე.

ხუტა ბერულავამ ჯერ „ნაკადულში“ მიმიწვია, მერე – „ცისკარში“ და ორივეჯერ თავი შევიკავე.

ლუკა ხუნდაძემ „მერანში“ მიმიწვია და თავი შევიკავე.

რეზი თვარაძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ მიმიწვია და თავი შევიკავე.

ორმოცდაცამეტი წელიწადი გამომცემლობაში ვითანამშრომლე. იცვლებოდა გამომცემლობის სახელწოდება („სახელგამი“, „საბჭოთა საქართველო“, „საქართველო“, „ახალი საქართველო“) და იცვლებოდა ჩემი თანამდებობაც (რედაქტორი, უფროსი რედაქტორი, რედაქციის გამგე, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი, დირექტორი).

ახლა „წიგნის სასახლე“ აუქციონზე იყიდება და, ეტყობა, „წიგნის სასახლის“ ისტორია და ჩემი კარიერა ერთად დასრულდება (სასახლე 70 წლისაა, მე – 77 წლისა).

77-42-81

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ხელით საბეჭდი მანქანა ანუ გერმანული რემინგტონი „ერიკა“ ჩემი „ჟიგულით“ მივიტანე ავლაბარში ოსტატთან, რომელსაც აბსოლუტურად არ ესმის. რემინგტონზე დარჩენილი იყო ძველი ანაბეჭდი, სადაც ჩემი შვილიშვილის სახელი ეწერა. ოსტატმა „ერიკა" გაასწორა და იქვე სანიმუშოდ რამდენიმე სტრიქონი დამიბეჭდა:

– ვახტანგ ჯავახაძე გახლავთ სახელგანთქმული ბაბუა მარიამისა, რომელიც აგრეთვე ჩემი შვილიშვილის სეხნიაც გამოდგა, თუმცა მე არც ისე სახელოვანი პიროვნება ვარ. თუ ისევ აურიოს რემინგტონმა, მოტანით ნუ შეწუხდებით, დამირეკეთ და ბინაზე გეახლებით. მართალია, უკვე ასაკში შესულად ვითვლები, მაგრამ არც ისე ბებერი ვარ, რომ ჩემი კლიენტები გავაწბილო. 77-42-81. ანზორ სელენიძე.

ასეთი ჩანაწერი არამატო ტელეფონის ნომრის გამო უნდა შეინახო, თუმცა ეს ნომერი ხშირად დამჭირდა. სელენიძეების ოჯახში ვრეკავდი და ოსტატი რამდენიმეჯერ მოვინვიე აგრეთვე გამომცემლობაშიც და ანა კალანდაძის გერმანულსავე რემინგტონთან.

ტოტა

– არ უნდა გაანათხოვრო წიგნი. განათხოვრებული წიგნი ჰგავს მეძავ ქალს, რომელიც კარგავს თავისი სიწმინდის ნაწილს, – ვასილ როზანოვის ამ გონივრულმა შედარებამ გამახსენა:

ქუთაისში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, ჩვენს საერთო ეზოში ყველაზე დიდი სახლი – ოთხოთახიანი ბელეტაჟი – ასათიანებს ეკუთვნოდათ. ამ დიდი სახლის ერთ უფანჯრო ოთახში ცხოვრობდა მეტად სიმპათიური მარტოხელა მოხუცი ქალბატონი – ელენე მამაჯანოვა, რომელსაც ყველა „ტოტას" ეძახდა, ალბათ რუსული „тётя"-ს ანალოგიით. ბნელ ოთახს გამორიდებული, ლამაზად დაბერებული, სრულიად გაჭაღარავებული – მთელი დღე კიბის ბაქანის კუთხეში იჯდა და ამშვენებდა იმერულ-იტალიურ ეზოს, რომლის შუაგულშიც საზიარო ჭა გაგვიუქმეს, ვინაიდან ჭაში კატა ჩავარდა.

წარმოშობით სომეხ ქალბატონს აბაშის რაიონში მეგრელი ნათესავები ჰყავდა. მისი მეუღლე მე არ მახსოვს. იგი ბევრად უფროსი ყოფილა ცოლზე. მამაჯანოვი გახლდათ დასავლეთ საქართველოში ცნობილი კომერსანტი, რომელსაც სახელგანთქმული „ზინგერის" საკერავი მანქანები შემოჰქონდა გერმანიიდან. როგორც ჩანს, ეს ბიზნესი წარმატებული აღმოჩნდა. „ზინგერის" მანქანებს „ვეფხისტყაოსანივით" ატანდნენ მზითებად ქალიშვილებს. ქუთაისში „ზინგერის" საფირმო სარე-

მონტოც მახსოვს. ჩვენს ოჯახში დღემდის შემოგვრჩა დედა-ჩემისეული „ზინგერი" და თავის ფუნქციას ახლაც პირნათლად ასრულებს ორასწლოვანი რელიკვია.

სახლი, რომლის ერთ ბნელ ოთახშიც ელენე მამაჯანოვა ცხოვრობდა, ადრე მთლიანად მის მეუღლეს ეკუთვნოდა. ბოლშევიკებმა ჩამოართვეს და მერე ყოფილი მეპატრონის მეუღლესთან ერთად შეიძინეს ასათიანებმა, რომლებიც ქალბატონ ტოტას ბინის ქირას არ ახდევინებდნენ.

ქალბატონ ტოტას მეუღლესთან ერთად მოვლილი ჰქონდა მთელი ევროპა. იგი დიდი სიამოვნებით იხსენებდა ამ მოგზაურობის ეპიზოდებს და შესაბამის ფოტოსურათებსაც გვიჩვენებდა.

როგორც ქალბატონი ტოტა მოგვითხრობდა, მამაჯანოვებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკი წერეთელთან, რომელიც ხშირად სტუმრობდა მათ ოჯახს, 1897-1900 წლებში კი სისტემატურად უგზავნიდა თავისი ყოველკვირეული „კრებულის" ნომრებს, რომლის გამოცემასაც ალბათ მამაჯანოვიც მეცენატობდა.

„აკაკი წერეთლის კრებულის" სტამბაში საგანგებოდ აკინძული მთელი შეკვრა ქალბატონმა ტოტამ მე მაჩუქა და, როცა თბილისში გადმოვსახლდი, თან ჩამოვიტანე. ვეძისის უბანში, ჩვენს მახლობლად, ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა ჩემი დის თანაკურსელი ქუთაისიდან ლეილა აბულაძე. ერთ დღეს, სახლში რომ დავბრუნდი, დამ გამომიცხადა: ლეილამ მთხოვა „აკაკი წერეთლის კრებული" და უარი ვერ ვუთხარიო. ლეილამ კი წაიღო და წაიღო.

სხვათა შორის, ქალბატონმა ტოტიამ საკუთარი ფოტოსურათიც მაჩუქა – სენტიმენტალური წარწერით – ნუ დამივიწყებთო.

როგორც ხედავთ, თხოვნა შევუსრულე.

ჩემი ვაჟთა პირველი

მე ვსწავლობდი ქუთაისის ვაჟთა პირველ სკოლაში, რომელიც 1951 წელს დავამთავრე. ჩვენ ყოველთვის გვეამაყებოდა, რომ ჩვენი სკოლის ძველ შენობაში – ძველ გიმნაზიაში სწავლობდა აკაკი წერეთელი, ხოლო ახალ შენობაში – ვლადიმერ მაიაკოვსკი.

1949 წელს თბილისში – პიონერთა სასახლეში – მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე – მე წავიკითხზე მოხსენება – „აკაკი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში". ამ თემის მომზადება შემომთავაზა ქართულის მასწავლებელმა ბატონმა ვანო ვარლამიშვილმა, რომელიც მთელს ქალაქში გამორჩეული პედაგოგი და პიროვნება გახლდათ. სხვათა შორის, მე ბატონ ვანოსთან სახლშიც ხშირად ვყოფილვარ და არ ვიცოდი, რომ მას ძმა ჰყავდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შევიტყვეთ, რომ ბატონი ვანოს ძმა ყოფილა პარიზში მოღვაწე საინტერესო მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი ანუ ვარლა.

მეორე პედაგოგი, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით მახსენდება ხოლმე, გახლდათ ქალბატონი ირაიდა ეზიკაშვილი. ქალბატონი ირაიდა იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი და მათემატიკურ საგნებს გვასწავლიდა მერვე კლასამდე. მიუხედავად ამისა, მე მისი ყურადღება არ მომკლებია არც სტუდენტობისა და არც შემდგომ პერიოდში. შენახული მაქვს

საყვარელი მასწავლებლის პირადი წერილები, რომლებსაც ხშირად გადავიკითხავ ხოლმე. ერთ ლექსში მე ასე გავიხსენე ძვირფასი ქალბატონი:

ათასერთი ვარდი უნდა მოვიტანო ირანიდან,
თქვენს საფლავთან, ქალბატონო ირაიდა.

სკოლაში ჩვენ გამოვცემდით ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც პუშკინის დროინდელის ანალოგიით „გამოუცდელი კალამი“ დავარქვით. მე ვიყავი ამ ჟურნალის რედაქტორი და მხატვარი.

ჩვენს კლასში თეატრალური მიდრეკილების მოზარდები სწავლობდნენ. დავდგით აკაკი წერეთლის „პატარა კახი“. ვატარებდით ლიტერატურულ საღამოებს. ჩემთან ერთად სკოლა დაამთავრეს მომავალმა მსახიობებმა ნოდარ მარგველაშვილმა და ერემია სვანაძემ, რეჟისორებმა მურმან ფურცხვანიძემ და რომან აბულაძემ.

ერთი წელიწადი ჩვენს კლასში ირიცხებოდა რეზო ჭეიშვილი.

ჩვენი კლასელი გახლდათ მოქანდაკე გივი მიზანდარი, რომლის მამაც ცნობილი მოქანდაკე ვალერიან მიზანდარი ხატვას გვასწავლიდა.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენს სკოლაში ანუ გიმნაზიაში 1902-1906 წლებში სწავლობდა დიდი რუსი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც ბაღდათში დაიბადა.

ერთხელ სკოლაში მოვიწვიეთ ქუთაისში ცნობილი ექიმი აპოლონ მესხი, რომელიც მაიაკოვსკისთან ერთად სწავლობდა გიმნაზიაში. ბატონი აპოლონი გახლდათ მამა ქალბატონი ნუგეშა მესხისა – სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის მეუღლის.

ჩვენმა სტუმარმა გაიხსენა ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად გიმნაზიაში გატარებული წლები. შემდეგ მიუთითა იმ მერხზე, რომელზედაც მაიაკოვსკი იჯდა. და ვინაიდან მე უკვე ლექსებს ვწერდი, მასწავლებელმა იმ მერხზე დამსვა.

ჩემი პირველი ლექსი, რომელიც 1947 წელს დაიბეჭდა, ეძღვნებოდა მაიაკოვსკის.

მოგვიანებით მე ვთარგმნე ვლადიმერ მაიაკოვსკის ოთხი პოემა, რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა ცალკე წიგნად.

ორჯერ აღვნიშნეთ სკოლის დამთავრების მრგვალი თარიღი. შევიკრიბეთ საკლასო ოთახში და ქალბატონმა ირაიდამ ამოიკითხა სია. შევხვდით ჩვენს მასწავლებლებს და შემდეგ სუფრაზე გადავინაცვლეთ.

სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე 1951 წელს. ჩემთვის დიდად სასიამოვნო ფაქტია, რომ სამოცდაერთი წლის შემდეგ – 2012 წელს – რუსთაველის პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი პრეზიდენტმა ჩემს მშობლიურ ქუთაისში გადმომცა.

ახლა, ოთხმოცს რომ გადავაბიჯე, უფრო ხშირად მესიზმრება ქუთაისური სიზმრები და ხშირად და ხშირად მახსენდება ჩემი 11 სტრიქონი:

სადაც შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
როცა შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
თუკი შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
ვერვინ გამასწრებს ქუთაისის მატარებლისკენ,
ვერვინ მიმასწრებს ქუთაისის მატარებელთან,
ვერვინ ამასწრებს ქუთაისის მატარებელზე,
ვერვინ შემასწრებს ქუთაისის მატარებელში,
ვერც ჩამომიყვანს ქუთაისის მატარებლიდან –
სადაც შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
როცა შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
თუკი შემხვდება ქუთაისის მატარებელი.

ქალბატონი ირაიდა

საშუალო სკოლის მეხუთე-მერვე კლასებში ალგებრა-გეომეტრიას მასწავლიდა ირაიდა ეზიკაშვილი – რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი, ძველი თაობის სამაგალითო პიროვნება. ქალბატონი ირაიდა ჩემი დამრიგებელიც იყო. იგი ჩემდამი ყოველმხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. მართალია, კლასის საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი, მაგრამ ქალბატონი ირაიდას ყურადღება არ მომკლებია შემდეგ წლებშიც, როდესაც უკვე აღარ მასწავლიდა, არც სტუდენტობისას და არც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. შენახული მაქვს ქუთაისიდან მიღებული წერილები, რომლებსაც ხშირად გადავიკითხავ ხოლმე.

სამწუხაროდ, ქალბატონი ირაიდა ისე გარდაიცვალა, რომ მე ვერ შევიტყვე. ძალიან დამწყდა გული და ბოლოს ასეთი უცნაური სურვილი გამიჩნდა: ჩავიდე ქუთაისში, გავიდე ბაზარში და რომელიმე მეყვავილესაგან, რომელსაც ყველაზე მეტი წითელი ვარდები ექნება, დაუთვლელად ვიყიდო ყველა ვარდი, წავიდე ქალბატონი ირაიდას საფლავთან, დავაყარო ვარდები, მუხლებზე დავიჩოქო და საფლავს ვაკოცო...

2009 წელს ანდერძივით ლექსი გამოვაქვეყნე „ვუახლოვდები ოთხმოცს“ და იქ გავიხსენე:

ათასერთი ვარდი უნდა მოვიტანო ირანიდან
თქვენს საფლავთან, ქალბატონო ირაიდა!

სამწუხაროდ, მხოლოდ ორად ორი წამკითხველისათვის იქნება გასაგები ამ სტრიქონების ადრესატის მოულოდნელი სახელი – ესენი გახლავან ქალბატონი ირაიდას სახელოვანი შვილიშვილები – მინდია უგრეხელიძე და სევდია უგრეხელიძე.

ცნობისათვის: ირიდა – ცისარტყელას ლამაზი ქალღმერთია – ადამიანთა და ღმერთთა შუამავალი.

ჩემი ქართულის მასწავლებელი

სიმპათიური სათვალებიანი ინტელიგენტი, რომელიც მთელი ქალაქის ფონზე გამოირჩეოდა და ყოველთვის სადღაც მიიჩქაროდა, – ასეთი მახსოვს ბატონი ვანო ვარლამიშვილი, რომელსაც შორიდან ვიცნობდი. ვიცოდი: ის გახლდათ პედაგოგებს შორის რჩეული პედაგოგი, რომელიც ხშირად გაკვეთილებზე ესწრებოდა და ამოწმებდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. თანაც მკაცრი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ჩვენც დაგვესწრო. ერთ მშვენიერ დღეს კი მეცხრეკლასელებს გამოგვიცხადეს: თქვენი მასწავლებელი იქნებაო. გამოგიტყდებით: ცოტა შევფიქრიანდით. მოგეხსენებათ, მკაცრი მასწავლებელი მოსწავლეებს არ უყვართ, თვით წარჩინებულ მოსწავლეებსაც კი. მაგრამ, როგორც გალაკტიონი ბრძანებს, მოხდა სასიამოვნო გათიშვა ოცნებასა და სინამდვილეს შორის: ბატონი ვანო ჩვენი უსაყვარლესი პედაგოგი აღმოჩნდა. ბევრი ღირსეული მასწავლებელი გვყავდა, მაგრამ ბატონი ვანო ყველასაგან განსხვავდებოდა. იგი მხოლოდ სანიმუშო პედაგოგი არ გახლდათ, სამაგალითო პიროვნება იყო და ზნეობრივ გაკვეთილებსაც გვიტარებდა, არა მარტო მწერლობის ისტორიას გვასწავლიდა. ჩვენს შორის მუდამ დაცული იყო ის აუცილებელი დისტანცია, რომელიც ჭეშმარიტ მოძღვარსა და შეგირდს შორის უნდა არსებობდეს, მაგრამ მას მაინც უახლოეს აღმზრდელად ვთვლიდით. პირადად მე ყველაზე მეტად

მისგანა ვარ დავალებული, ალბათ იმიტომაც, რომ თავიდანვე მხატვრული სიტყვით ვიყავი დაინტერესებული და გატაცებული.

დიდი მადლიერების გრძნობით მახსენდება ბატონ ვანოსთან განსწავლის წლები. მისი დავალებითა და რჩევით დაწერილი ჩემი ორი თემა თბილისის პიონერთა სასახლეში გაიგზავნა და შემდეგ რამდენიმეჯერ მიმიწვიეს მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, სადაც საკუთარ ლექსებსაც ვკითხულობდი და სადაც ჩემს მომავალ მეგობრებს – გამოჩენილ მწერლებსა და მეცნიერებს გავეცანი. ჩემი საერთო ხელმძღვანელი ბატონი ვანო გახლდათ. დღემდე შემომრჩა ბატონი ვანოს ლამაზი კალიგრაფიით ჩასწორებული მოსწავლის თხზულებანი. ხშირად ვსტუმრებივარ ბატონი ვანოს მყუდრო ბინას, სადაც სათანადო რჩევებს მაძლევდა, საჭირო ლიტერატურას მაცნობდა. მაშინ მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა იშვიათი შემთხვევა იყო და მე ბატონი ვანოს ბიბლიოთეკაში გავეცანი მანამდე ჩემთვის უცნობ მრავალ ძვირფას წიგნს.

სამწუხაროდ, მხოლოდ ორ წელიწადს გვქონდა ბედნიერება ბატონი ვანოს გაკვეთილების მოსმენისა. არასოდეს დამავიწყდება გულისტკივილი, რომელიც განვიცადე იმის გამო, რომ მეთერთმეტე დამამთავრებელ კლასში მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი შეგვიცვალეს. თუმცა ჩვენი ურთიერთობა არ შეწყვეტილა. სტუდენტობის არდადეგებზე ჩასვლისას ყოველთვის ვინახულებდი ხოლმე. რამდენიმეჯერ თანაკლასელებმა მრგვალი თარიღი აღვნიშნეთ და ჩვენი სასურველი სტუმარი ბრძანდებოდა.

ძალიან მესიამოვნა ის ფაქტი, რომ მეტად საინტერესო ქართველი მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი, რომლის სახელი და შემოქმედებაც დიდი ხნის შემდეგ დაგვიბრუნდა, ჩემი მასწავლებლის ძმა აღმოჩნდა, რაც გვიან შევიტყვე. მაშინ ამის

გამხელაც არ შეიძლებოდა, როგორც იოლად ვამბობთ, დრო იყო ასეთი.

დასასრულ, ერთი შემთხვევა უნდა გავიხსენო, რომლის შესახებაც ბატონმა ვანომ დღემდის არაფერი იცის, მე კი ძაღლის ნაკბენივით მახსოვს, ამ მეტეფორის პირდაპირი გაგებით და არა გადატანითი სამწუხარო მნიშვნელობით: 1952 წლის იანვრის სტუდენტური არდადეგებისას მშობლიურ ქუთაისში ჩავედი და, ბუნებრივია, ბატონი ვანოს მონახულება გადავწყვიტე. ეზოში ავი ძაღლი მეგულებოდა და ადრე ყოველთვის ფრთხილად შევდიოდი ხოლმე. ამჯერად, ეტყობა, სათანადო ყურადღება ვერ გამოვიჩინე. ბატონი ვანო სახლში არ დამხვდა და უკან გამოვბრუნდი. რკინის ჭიშკარში მარჯვენა ფეხი რომ გადმოვადგი, მარცხენაში ძაღლი მწვდა და საკმაოდ ღრმად გამკაწრა, ისე, რომ ერთიც არ შეუყეფია: „მედუმლე" ყოფილა („ძაღლი, რომელიც ჩუმად, მიპარვით ჰკბენს ადამიანს" – ვაჟა). სასწრაფოდ სახლისაკენ გავეშურე. შარვალი შიდა მხრიდან იყო ჩამოხეული. შეშინებულმა დედაჩემმა დიდი სიზუსტით დააკერა შესაფერისი ნაჭერი და მთელი სტუდენტობა ამ დანიშნული შარვლით გავატარე. ეს ეპიზოდი ჩემთვის მეტად ტკბილი მოსაგონარია და ძაღლის ნაკბენივით ნამდვილად არ დამხსომებია.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, ოჯახის წევრებისა და ნათესავ-მეგობრების გვერდით, არსებობენ დაუვიწყარი ადამიანები, რომლებიც მისი ბიოგრაფიის განუყრელ ნაწილს შეადგენენ. ასეთი პიროვნებაა ჩემთვის ბატონი ვანო.

„გალაკტიონმა დახურა“

2001 წლის 19 ნოემბერს დამირეკა ტაგუ მებურიშვილმა:

– 17 ნოემბერს ჭყვიშში ვიყავი. გალაკტიონის 110 წლისთავი აღინიშნა. გამოვედი და სიტყვა შენი სტრიქონებით დავამთავრე: „მეორე ათასწლეული გალაკტიონმა დახურა“. ჩემს შემდეგ გამოვიდა იმერეთის გუბერნატორი – თემურ შაშიაშვილი: „თუკი მეორე ათასწლეული გალაკტიონმა დახურა, უხერხულია გალაკტიონის მუზეუმში წვიმა ჩამოდიოდესო“, – და მუზეუმს საკმაოდ დიდი თანხა გამოუყოო.

დალოცა ბედი წყეული,
ჭიქა შეავსო კახურად,
მიწას მიუგდო სხეული
და ზეცა მოიმსახურა,
მეორე ათასწლეული
გალაკტიონმა დახურა.

ჩუბჩიკას ოფოფი

ჩუბჩიკა ხშირად ხატავდა ფერად ოფოფებს და ერთი მეც მისახსოვრა. ნახატის მარცხენა კუთხეში მკრთალი ლაქა შევნიშნე და ვთხოვე, გამომიცვალე-მეთქი. მომეციო და გამომართვა, მერე მთელი კვადრატი მკრთალი ლაქებით „დასვარა“ და უკეთესი ფონი გამოვიდა. ოფოფი და რამდენიმე ნახატი ჩარჩოში ჩავსვი და ლოჯიაში მიკიდია.

საკუთარი ლექსების ჯალათი

2008 წელს „ინტელექტმა“ შემომთავაზა „ასი ლექსის“ რჩეულის გამოცემა. მადლობა „ინტელექტს“ საინტერესო სერიისათვის, რომლის იდეაც 1925 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულმა გალაკტიონის ასმა ლექსმა შთააგონა და რომელიც, შესაბამისად, გალაკტიონის „ასი ლექსით“ დაიწყო.

სხვას ვერ ვანდე და თვითონ შევარჩიე ასივე. დიდხანს ვიყოყმანე. თითქმის ყოველდღე ვცვლიდი კანდიდატებს. ორი თვის შემდეგ მივხვდი, რომ ეს პროცესი არ დასრულდებოდა, ხელი ჩავიქნიე და დედანი გამომცემლობას ჩავაბარე.

1965 წელს ლენინგრადის გამომცემლობამ ანა ახმატოვას საკუთარი ლექსების კრებულის შედგენა შესთავაზა – მოცულობაც განუსაზღვრა და ჩაბარების ვადაც დაუდგინა, და დაიწყო პოეტესას ყოყმანი, გაორება, აღშფოთება:

– აუტანელია, იყო საკუთარი ლექსების კრიტიკოსი, ცენზორი, ჯალათი!

გამოწვდილი ხელები

მეოცე საუკუნის რუსული პოეზიის ისტორიაში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მარინა ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკის „ეპისტოლურმა რომანმა".

ცვეტაევას პროზაული ტექსტი უფრო ეძნელებოდა. ამბობდა, მირჩევნია ჯერ ლექსად დავწერო და მერე გადავიტანოო. ალბათ ამიტომ 1923 წლის მარტში პასტერნაკისადმი მორიგი საპასუხო ეპისტოლე რომ წამოიწყო, საკმაოდ ვრცელი ჩანაწერები მოამზადა დღიურებისათვის გამიზნულ რვეულში, საიდანაც მე ჩემთვის სასიამოვნო აბზაცი ამოვიწერე:

– А ногам – для того, чтобы идти к Вам – нужна рука, протянутая навстречу. Хочу Ваших писем: протянутой Вашей руки.

1959 წელს ერთი უსათაურო ამ სტრიქონებით დავასრულე:

მძიმე წუთებში – დარბაისელი
პესიმისტები დღიურებს ხევენ,
მე კი გავივლი და გავიხსენებ
წერილებს – როგორც გამოწვდილ ხელებს.

ასე „გამომეხმაურა" ჩემთვის ყველაზე საყვარელი რუსი პოეტესა 1997 წელს გამოცემული წიგნიდან „Сводные тетради".

ასე უყვარდათ საქართველოში

– ქალები მამაკაცებზე პატიოსნები და ერთგულები გახლავან. კოლიმაზე არ ყოფილა შემთხვევა, ქმარი რომ ჩამოსულიყო ცოლთან. ცოლები კი ხშირად ჩამოდიოდნენ, – ამას წერს რუსი მწერალი ვარლამ შალამოვი, რომელმაც გადასახლებაში ჩვიდმეტი წელიწადი გაატარა.

მამაკაცებისთვის არცთუ სასიამოვნო დაპირისპირებამ ჩემი მეზობელი გამახსენა, რომელმაც თითქმის ამდენხანს დაჰყო შორეულ ციმბირში. გოლიათური აღნაგობის, ბავშვივით ალალი, ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში ცნობილი ოთარ კანდელაკი 1941 წელს დააპატიმრეს პატრიოტ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად. „არასოდეს გავლახულვარ და ხელი არ მახლოთო", – გააფრთხილა ჩეკისტები. ისე სცემეს და ცემენტის იატაკიან კამერაში ისე მიატოვეს, რომ მინინგიტი დაემართა და განგებამ გადაარჩინა. გადარჩა და საკუთარი ხმა ვეღარ გაიგონა, სამუდამოდ დაყრუვდა.

მსგავსი შემთხვევები არცთუ ცოტა მოგვისმენია. ოთარ კანდელაკის შემთხვევა განსაკუთრებულია. ოთარს საცოლე ჰყავდა – მარგო ჩიტაიშვილი, რომელიც გადასახლებულ საქმროსთან ჩავიდა და დარჩა.

სტალინის გარდაცვალებისა და რეაბილიტაციის შემდეგ კანდელაკების ოჯახი ქალიშვილთან ერთად დაუბრუნდა საქართველოს.

დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში ახოვანი და ალალი ვაჟკაცი და სახლში ელოდებოდა სამაგალითო და სასახელო ქართველი ქალბატონი – მარგო კანდელაკი.

ოთარ კანდელაკი განათლებით ფარმაცევტი იყო. ერთ პატარა აფთიაქს განაგებდა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე და ქართველი მწერლები ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე. ლექსებს ახალგაზრდობიდანვე წერდა. მე მისი პატარა კრებულის რედაქტორობაც მარგუნა ბედმა.

როდესაც ოთარ კანდელაკზე ვფიქრობდი, როდესაც ემზარ კვიტაიშვილის მამას – დავით კვიტაიშვილს შევყურებდი, როცა ჩემს მძახალ ლევან ჩაჩუას ვესაუბრებოდი, – მიკვირდა, როგორ შეინარჩუნეს იმ ჯოჯოხეთგამოვლილებმა ამდენი კეთილშობილება? ეტყობა, ბუნებით კეთილ ადამიანებს ვერაფერი შეცვლის, განსაცდელი კი უფრო გააკეთილშობილებს.

გამახსენდა: როდესაც ოთარი გარდაიცვალა, მისი ბედის თანამოზიარე ჭაბუა ამირეჯიბი მოვიდა. სიტყვა არ უთქვამს. რამდენიმე წუთი უყურა მიცვალებულს. მერე მივიდა, აკოცა და წავიდა.

ორმოცდახუთი წლის შემდეგ

1963 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა, უფრო სწორად – პავლე ინგოროყვამ გამოსცა – პავლე ინგოროყვას თხზულებათა შვიდტომეულის პირველი ტომი. მომავალ 1964 წელს უნდა დაბეჭდილიყო მეორე, რომელშიც მკითხველი გაეცნობოდა 1954 წელს გამოცემული მონუმენტური ნაშრომის, „გიორგი მერჩულეს" პირველ ნაწილს – „ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან". სამწუხაროდ, აფხაზეთის პრობლემის გამო, ავტორმა მეორე ტომი გამოტოვა და 1965 წელს მესამე ტომში შეიტანა „გიორგი მერჩულეს" მეორე ნაწილი – „ძველ-ქართული პოეზია V-X საუკუნეთა". მეოთხე ტომი კი მხოლოდ 1978 წელს დაიბეჭდა. პავლე ინგოროყვას გარდაცვალების შემდეგ გამოცემა შეწყდა.

სასტამბოდ გამზადებული მეორე ტომის აკრძალული დედანი მე შევინახე „უკეთეს დროთათვის", ხოლო როდესაც წიგნის სასახლეს და გამომცემლობას საფრთხე დაემუქრა, ლიტერატურის მუზეუმს ჩავაბარე.

2008 წელს როსტომ ჩხეიძემ – ავტორმა უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიული რომანისა – „ბედი პავლე ინგოროყვასი" – მოიპოვა სპონსორი და მთხოვა მეორე ტომის დედანი. მე ლიტერატურის მუზეუმიდან უკან გამოვითხოვე და წარვუდგინე. 2009 წელს – ორმოცდახუთი წლის დაგვიანებით – ნაცვლად მეოცე საუკუნისა – ოცდამეერთე საუკუნეში – ქართველ მკითხველამდე მიაღწია პავლე ინგოროყვას შვიდტომეულის მეორე ტომმა.

სკლეროზი

„სკლეროზი – სხვადასხვა ორგანოს ავადმყოფური გამკვრივება“ – ასეა განმარტებული „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“. მე კი უფრო მარტივად წარმომედგინა: მეხსიერების დაქვეითება, ანუ მეხსიერების ღალატი („მეხსიერება, ვატყობ, მღალატობსო“ – ბრძანებს უნივერსალური მეხსიერების პატრონი გალაკტიონი).

ახლა სამოცდაცხრამეტი წლისა ვარ და ხანდახან სრულიად ნაცნობი სიტყვა მავიწყდება: ენის წვერზე მადგას. თითქმის ვხედავ, რამდენი მარცვალია – ისიც ვიცი, თანხმოვნების სურნელსაც ვგრძნობ, ლამის გავრითმო კიდეც და მაინც მემალება.

ერთხელ იოსებ გრიშაშვილი მეწვია გამომცემლობაში და მაცნობა: იქ ვიყავი, იქ. სად-მეთქი, ბატონო სოსო? იქ, იქ, იქ, – იმეორებდა და ვერ იხსენებდა. მერე მკითხა, არ გეცოდებიო? შემდეგ დააკონკრეტა: იქ ვიყავი, იქ, წვერები რომ აქვსო. თურმე მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ყოფილა.

ისე, სკლეროზი არც ისე საზიანოა: ისეთ რამეებსაც დაგავიწყებს, რისი დამახსოვრებაც ნამდვილად მავნებელია.

კონცერტი – „ოცნება“

უკრავს ელისო ზაურის ასული ბოლქვაძე,
დირიჟორობს გოგი რევაზის ძე ჭიჭინაძე,
მღერის მამუკა ჯანსულის ძე ჩარკვიანი.
ბანს აძლევენ:
ირაკლი ტარიელის ძე ჭანტურია,
ირაკლი გივის ძე სამსონაძე,
ირაკლი გივის ძე გეგეჭკორი,
ირაკლი ვახტანგის ძე ჯავახაძე.

– კი, მაგრამ, შენი ირაკლი მღერისო? – მკითხა ურწმუნო თომამ.

– როგორ გეკადრებათ, ჩემი ირაკლი ჩემზე კარგად მღერის-მეთქი!

საჩვიონ სიხარულიძის მარყუჟები

2008 წლის მაისში მე და ნოდარ ტაბიძე ჩოხატაურში მიგვიწვიეს: გურულებმა გალაკტიონი გაიხსენეს.

ჩოხატაური ჩემი დედულეთია. სიყრმისა და სიჭაბუკის ზაფხულებს მაღალმთიან სოფელ ონჭოქეთში ვატარებდი. ომის დროს ონჭიქეთის ოთხწლედში ვსწავლობდი კიდეც – მესამე კლასში.

ონჭიქეთის ოთხწლედი ბეტონის ბოკონებზე შეყენებულ ერთადერთ აივნიან ოთახს წარმოადგენდა და ერთადერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ათიოდე მოსწავლეს ორ წელიწადში ერთხელ იღებდნენ. ერთადერთ ოთახში პირველ წელიწადს პირველ და მესამე კლასებს უტარდებოდა გაკვეთილები, მომდევნო წელიწადს კი – მეორე და მეოთხეს. მარცხენა მხარეს პირველკლასელთა სამი მერხი იდგა, მარჯვნივ კი მესამეკლასელთა სამი. მასწავლებელი ჯერ პირველკლასელებს გამოკითხავდა და მესამეკლასელები უსმენდნენ. მერე მესამეკლასელებს მიუბრუნდებოდა და პირველკლასელები გაჩუმდებოდნენ.

მახსოვს: ზაფხულის არდადეგების შემდეგ რომ ქუთაისის სკოლებს დავუბრუნდებოდით, მე და ჩემს დას თანაკლასელები დაგვცინოდნენ: უკვე გურულად ვუქცევდით.

ყოველივე ეს გავიხსენე ჩოხატაურის შეკრებაზე და ისიც აღვნიშნე, რომ ბებიაჩემი თეოლინე სიხარულიძე-მარგალიტა-

ძისა ბუკისციხელი ბრძანდებოდა და ხანდახან ამ სოფელსაც ვესტუმრებოდი ხოლმე. ერთმა ბუკისციხელმა ქალბატონმა სიხარულიძემ მკითხა – ბებიათქვენის სოფელს არ მოინახულებთო. მე ჩვენი მასპინძლების მიერ შედგენილ მარშრუტს არ ვიცნობდი და ვერაფერი ვუპასუხე.

გალაკტიონზე ხანგრძლივი საუბრისა და შეკითხვა-შეპასუხების შემდეგ დაგვათვალიერებინეს სამონასტრო კომპლექსი „უდაბნო“, ნოდარ დუმბაძის მუზეუმი და ერკეთის დედათა მონასტერი (იღუმენია საკუთარი თეთრი ჯიპით შემოგვეგება ზემო ერკეთის აღმართზე).

როგორც გამცილებელთა გასაუბრებიდან შევიტყვეთ, საღამოს ჩვენი მასპინძელი უნდა ყოფილიყო ვინმე „ცანგალა“. მე კარგად ვიცნობ ჩოხატაურის გეოგრაფიას და გამიხარდა, როდესაც ჩვენმა მანქანამ ბუკისციხისაკენ შეუხვია და ჩემთვის ნაცნობი უბნის ერთ ჭიშკართან გაჩერდა. ჭიშკართან მასპინძელი და მისი მეუღლე შემოგვეგებნენ. მე მაშინვე ვკითხე „ცანგალას“, აქ ახლომახლო სარდიონ სიხარულიძის კარ-მიდამო უნდა იყოს-მეთქი. სარდიონ სიხარულიძე მე ვარო, – მიპასუხა. არა-მეთქი, – ვუპასუხე, – სარდიონ სიხარულიძე ბებიაჩემის ძმა იყო და მის შვილს სოსო ერქვა-მეთქი. სოსო მამაჩემი იყოო, – ამიხსნა მასპინძელმა, – სარდიონ სიხარულიძე კი ბაბუაჩემი გახლდათო. ასე აღმოვჩნდი სამოცი წლის შემდეგ ბებიაჩემის ეზოში, სადაც მეორე უფრო დიდ ოდა-სახლში მიგვიწვიეს.

მახსოვს: ორმოციანი წლების ზაფხულში, ეტყობა, ბებიაჩემს საკუთარი კერა მოენატრა და თავის სოფელში წამიყვანა. ერთი ღამე გავათიეთ ბუკისციხეში. იმჟამად ონჭიქთის ოჯახში რვა შვილიშვილი ირიცხებოდა, თეოლინემ კი მანდამაინც მე გამომარჩია: თითქოს წინასწარ ივარაუდა, რომ ექვსი ათეული წლის შემდეგ ბედისწერა ამ ეზოში მომიყვანდა.

არ გაგიკვირდებათ და, იმდღევანდელი გურული სუფრა მოსალოდნელზე მეტად მდიდარი და მხიარული აღმოჩნდა და შუაღამემდე გაგრძელდა. შემდეგ ნათესავებმა დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ ჩვენ დილით საჯარო სკოლა გველოდებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ სარდიონ სიხარულიძემ საკუთარი ვაჟიშვილის – სოსო მესამე სიხარულიძის ქორწილი გადაიხადა თბილისში და იქაც შევხვდი სიხარულიძეებს.

ჩემი დედისეული ონჭიქეთი კი მაღალ მთებში იყო დასახლებული. აქ სახლი და წისქვილი არასოდეს იკეტებოდა. აქ შემთხვევით არავინ გაივლიდა, საგანგებოდ უნდა ამოსულიყო ვინმე. ეტიმოლოგია გრიგერ ფარულავამ განმიმარტა: ონჭოქეთი – ონჭინკეთიდან მოდისო. სუფსისა და გუბაზოულის ხეობებს შორის შეხიზნული ტყიანეთი მართლაც ჭინკების თავშესაფრად წარმოიდგინეს ალბათ ვაკე გურიაში.

ბოლოს ონჭიქეთი 2002 წელს ვინახულე და ვინანე: გადაღმა და გადმოღმა სოფელი სრულიად დაცარიელებული დამხვდა და ხულოდან გადმოსახლებული სამიოდე ოჯახი დავთვალე. ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის საფლავზე მე და ჩემმა ბიძაშვილმა რომან მარგალიტაძემ საკურთხი მივიტანეთ და შესანდობარი შევსვით. ჩემს პაპისეულ ეზოში ძველი სახლის ნაცვლად მოშიშვლებული ბუხარი იდგა და ზედ მზის ბორჯღალი ჩანდა ამოტვიფრული. ცხადია, ჩვენი ერთოთახიანი სკოლის კვალიც ნაშლილი იყო. სხვათა შორის, ჩოხატაურში გასაუბრებისას, ერთმა დამსწრემ შემახსენა, რომ ომის წლებში ონჭიქეთის ოთხწლედში მამიდამისი – ერეკეთელი ლუბა კობიძე მასწავლებლობდა და მე მეცნო ეს სახელი და გვარი.

2008 წლის სტუმრობის შემდეგ, თბილისში რომ დავბრუნდი, მაგიდაზე დაუმთავრებელი ლექსი მედო:

> უცებ შედედდა საცობი, მოულოდნელი საცობი,
> ყოველთვის მოულოდნელი და ძნელად გამოსაცნობი.

ავტომობილებით გადატვირთულ თბილისის ქუჩებზე ვწერდი და არ ვიცოდი, როგორ დამესრულებინა. ერკეთის აღმართზე რომ ჯიპოსანი იღუმენია შემოგვხვდა, მისმა ჯიპმა თბილისამდე გამომაცილა, – თუკი დედაოებიც საჭეს მიუსხდნენ, საცობს როგორღა ეშველება-მეთქი და ლექსი ასე დავასრულე:

ამბობენ: ვერვინ დაიხსნის ავტომანქანის მონასო,
შეხედე: როგორ მოუხდა ჯიპი ერკეთის მონაზონს!

რაც კი სოფელზე ლექსი დამიწერია, ყველა ონჭიქეთის ხედებითაა შთაგონებული. ამჯერად სტუმრობამაც ბევრი ეპიზოდი გამახენა. მხოლოდ ერთს აღვადგენ.

ომის დრო სარდიონ სიხარულიძე პირველი ესტუმრა საკუთარი დის ოჯახს – ცხენით ამოიარა ძველკარის აღმართი. გამასპინძლების შემდეგ სამი სიმინდით სავსე ტომარა ბაწრით მარყუჟებით შეკრა და ორი გარდიგარდმო გადაჰკიდა ცხენს, მესამე კი მათ შორის დაამაგრა. ცამეტი წლის ბიჭი გაოცებული შევყურებდი, როგორ ლამაზად და თანაბრად გამონასკვა და დაამარყუჟა სამი ბაწარი და როგორ ზომიერად მოარგო ბედაურს. ეს ჩემთვის აუხსნელი დამაინტერესებელი თითქმის ნახატი დეტალი არამარტო ბუკისციხეში იმდღევანდელი სტუმრობისას გამახსენდა და გავიხსენე.

2015 წლის შემოდგომაზე ჩოხატაურიდან დამირეკეს და სამრევლო სკოლაში მიმიწვიეს. ერთი პირობით დავთანხმდი: ონჭიქეთში უნდა ამიყვანოთ-მეთქი. 23 ოქტომბერს მამა ბიქტორმა მომაკითხა მანქანით და მე და ჩემი თხუთმეტი წლის შვილიშვილი ვახო კერესელიძე მონატრებული დედულეთისაკენ გავემგზავრეთ. მეორე დღეს ორი ორხიდიანი ჯიპით ათიოდე მასპინძელთან ერთად (მათ შორის ქალბატონებიც

ბრძანდებოდნენ) მშობლიურ სოფელში ავაღწიეთ. ცამეტი წლის წინათ რამდენიმე სახლი მაინც ჩანდა. ახლა ტყით იყო მოცული გარემო. ღელეში ჩადგმული წისქვილიც აღარ დამხვდა და აღარც ადრე გადარჩენილი ბუხარი. გამიჭირდა ჩვენი ნასახლარის მიგნება. ერთადერთი ხის ჭიშკარი ვიპოვეთ ყოველგვარი ღობის გარეშე. ჭიშკარზე იფნის დახვეული წნელი იყო ჩამოცმული, როგორც საკეტი. გავაღწიეთ ამ „ჭიშკარს“ და მაღალ ბარდებში ინტუიციით ბუხრის სავარაუდო ადგილამდე მივაღწიეთ. საბედნიეროდ, მალე ბარდებში ბუხრის დეტალები აღმოვაჩინეთ. მამა თომას ისე მოეწონა მარგალიტაძეების ბუხრის ქვები და მისი მზის ბორჯღალი, რომ განაცხადა, უნდა წავიღოთ და მუზეუმში ავაწყოთო.

ჩვენს გაველურებულ ეზოში მიწა მოვთხარე, თბილისში ჩამოვიტანე და დედაჩემის საფლავის მიწას შევურიე.

ჩოხატაურში მიწვევათა ინიციატორი გახლდათ სამრევლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა მგალობლიშვილი. ნანა ცხრა აპრილის ტრაგედიის მონაწილეა. მაშინ სტუდენტი იყო, მოიწამლა და დღემდის ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს.

ნანა მგალობლიშვილმა რამდენიმეჯერ ჩამოიყვანა მოსწავლეები გალაკტიონის მუზეუმში და შემახვედრა.

2017 წელს ისევ მიმიწვია და ამჯერად ჩემს ბიძაშვილ რომან მარგალიტაძესთან ერთად ვესტუმრე ჩოხატაურს. ისევ ავედით ონჭიქეთში და შემდეგ – ბახმაროზე, სადაც ნამყოფი არ ვიყავი. ჩოხატაურში ორი დღე დავყავით და ჩვენი მასპინძელი იყო მიხეილ და ირმა კალანდაძეების ოჯახი. მიხეილმა ჩემი მრავალი ლექსი იცის ზეპირად და ხშირად შემახსენებს და წამიკითხავს ხოლმე. „ელეგია“ რომ გამოვაქვეყნე, მიხეილს გავეხუმრე, ასეთი ხანგრძლივი ლექსი იმიტომ დავწერე,

რომ ზეპირად ვეღარ დაიმახსოვრო-მეთქი. მიუხედავად ამისა, ბახმაროს სუფრაზე მიხეილ კალანდაძემ „ელეგიის“ ოთხასზე მეტი სტრიქონი ზეპირად წამიკითხა და ცრემლიც მომგვარა.

ჩემი ჩოხატაურელი მეგობრები ნანა მგალობლიშვილი, ირმა და მიხეილ კალანდაძეები, ზურაბ სიხარულიძე და მამა თომა თბილისში რამდენიმეჯერ მესტუმრენ და ხალისიანი საღამოები გავატარეთ.

2019 წლის მაისში ნანამ დამირეკა – მეთორმეტეკლასელები მინდა ჩამოვიყვანოო. ვინაიდან გალაკტიონის მუზეუმში რემონტი მიმდინარეობდა, შევთავაზე, სახლში მეწვიეთ-მეთქი. ოცდაორი მოსწავლე და ორი მასწავლებელი თავისუფლად დაიტია ჩემმა ოროთახიანმა და შინაური საუბრები არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა.

2012-2019

თბილისი-სამტრედია-ჩოხატაური-ერკეთი-ორჰიქეთი

1992 წლის იანვარში ჩახატაურის რაიონის მაღალმთიან სოფელ ონჭიქეთში დედისძმა გარდამეცვალა – ისაკი მარგალიტაძე. ონჭიქეთი ჩემი დედულეთია სიყმაწვილის ივლის-აგვისტოებს იქ ვატარებდი და ბიძაჩემის ოჯახს განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებ. მკაცრი ზამთარი იდგა, თბილისში თოვლი იდო და დასავლეთ საქართველოში განუწყვეტლივ თოვდა. ავტომობილით გამგზავრება გამოირიცხა: გზებს მხედრიონი აკონტროლებდა. რეალური მარშრუტი ასეთი იყო: სამტრედიამდე – მატარებელი, სამტრედიიდან ჩოხატაურამდე – ავტობუსი, ჩოხატაურიდან ერკეთამდე – ტაქსი და ერკეთიდან ტყიანი სამი ვერსი ალმართი ფეხით უნდა ამევლო, რაც თოვლიან ზამთარში აშკარად სახიფათო გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე მაფრთხილებდა და ვერცერთი ნათესავი ვერ დავიმგზავრე, მაინც გადავწყვიტე ვალი მომეხადა ძვირფასი ადამიანის ხსოვნის წინაშე.

დილით რკინიგზის ვაგზალში ბილეთი ავიღე საღამოს ფოთის მატარებელზე, რომელიც დილის 6 საათზე გაივლიდა სამტრედიაში, და რუსთაველის პროსპექტზე რუსთაველის საზოგადოების სხდომაზე გამოვცხადდი. ხშირად მახველებდა, მაგრამ

თავს ვიკავებდი. პრეზიდიუმის სხდომა დიდხანს გაგრძელდა და თანდათან ყელის უჩვეულო სპაზმებმა შემაწუხეს ისე, რომ დახველებას ველარ ვახერხებდი. მსგავსი შემთხვევა არასოდეს მქონია. მოვიბოდიშე და რუსთაველის პროსპექტიდან სასწრაფოდ რკინიგზის ვაგზლისაკენ გავემართე, მატარებლის ბილეთი დავაბრუნე, სახლში დავბრუნდი და საწოლს მივაშურე. მძიმე ღამე გავატარე, დილით კი მოულოდნელად სპაზმები ერთბაშად მომეხსნა.

მას შემდეგ ოც წელიწადზე მეტი გავიდა, ყელის უჩვეულო სპაზმებს აღარასოდეს შევუწუხებივარ და თანდათან დავრწმუნდი – იმ დღეს სპაზმებმა გადამარჩინეს.

მარიამი მოვიდა!

მონატრებულმა შვილიშვილმა დამირეკა და დამპირდა – ხვალ მოვალო, მაგრამ არ მოვიდა. ორი დღის შემდეგ ისევ დამირეკა და ისევ დამპირდა – ხვალ მოვალო და ისევ არ მოვიდა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ დამირეკა და კვლავ დამპირდა და კვლავ არ მოვიდა. გუშინ მეოთხედ დამირეკა. დავასწარი და ვუთხარი: ერთი სათხოვარი მაქვს და ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა-მეთქი.

რაო, – დაინტერესდა.

ძალიან გთხოვ, ხვალ არ მოხვიდე-მეთქი.

გაეცინა და მეორე დღესვე მოვიდა.

ვახო სანადირო წაიყვანეს

2014 წლის 14 თებერვალს ჩემი თოთხმეტი წლის შვილიშვილი ვახო მამამისმა სანადიროდ წაიყვანა. ვახოს ბაბუამისმა ვიქტორ კერესელიძემ სთხოვა: პირველი ფრინველი რომ აგიფრინდებათ, ჩემი ხათრით არ ესროლოთო. ვახომ ბაბუის თხოვნა შეასრულა.

წიგნები

1956-2009 წლები – ორმოცდაცამეტი წელიწადი – წიგნის გამომცემლობაში გავატარე. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მქონდა რამდენიმე შემოთავაზება – ზოგჯერ ბევრად აღმატებული თანამდებობისა – მაგრამ წიგნებმა არ გამიშვეს.

2015 წელს მეუღლე გარდამეცვალა და მარტო დავრჩი. ქალიშვილმა მიმიწვია – ჩემთან გადმოდიო – და წიგნები არ მიშვებენ.

ჯავახი და ჯავახა

2005 წლის 8 ნოემბერს ნოდარ ტაბიძის მეუღლის, ფიქრია ზანდუკელის ქელეხის სუფრაზე ჩემმა უნივერსიტეტის თანაკურსელმა ლეილა ჯავახიძემ (ფიქრიაც ჩვენი თანაკურსელი იყო) მიამბო: ჩემი წინაპრებისაგან გამიგონია: ჩვენი გვარის წინაპარმა ბერიკ ჯავახმა პირველი ღამის უფლების დარღვევის გამო თავისი ბატონი მოკლა და მესხეთ-ჯავახეთიდან იმერეთში გამოიქცა. ერთი მისი მემკვიდრე ზემო იმერეთში – ჭიათურის რაიონში დასახლდა და დაერქვათ ჯავახიძეები, მეორე მემკვიდრე კი ქვემო იმერეთში ქუთაისთან ახლოს (ქვიტირი, მაღლაკი) დასახლდა და ჯავახაძეებად იწოდებიანო. მესხეთ-ჯავახეთში ჩვენი წინაპრები მებრძოლ მხედრიონებად იყვნენ ცნობილნიო.

ეტყობა, ზემო იმერეთში უფრო ძმა დასახლდა – ჯავახი (ჯავახიძე), ქვემო იმერეთში კი უმცროსი – ჯავახა (ჯავახაძე), რადგან ა-ხმოვანი ქართულში კნინობითის აღმნიშვნელია.

მეორე საუკუნის არმაზის ბილიგვაში მოხსენიებულია ქართლის პიტიახში ჯავახი (ძევახ) და მისი ასული სერაფიტი, რომელიც 21 წლისა გარდაიცვალა. მცხეთის გათხრებისას მამაკაცის სამარხში აღმოჩნდა ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრულია მამაკაცის სახე და წარწერა: „ჯავახ, ჩემო სიცოცხლეო!" (ეს ბეჭედი ცოლმა – კარპაკმა ჩაატანა საფლავში მეუღლეს).

მაშასადამე, ჯავახიშვილების, ჯავახიძეებისა და ჯავახაძეების გვარი მეორე საუკუნიდან მოდის.

P. S. ინტერნეტში ამოვიკითხე:

ვინ არის ნიკორწმინდის ეკლესიაში ფრესკაზე გამოსახული მამაკაცი საყურით?

საოცრად ლამაზი და შთამბეჭდავი ნიკორწმინდის ეკლესია რაჭაში ბაგრატ მესამის მეფობის დროს აშენდა, 1010-1014 წლებში. ფრესკები ეკლესიის კედლებზე მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნით თარიღდება. სამი წლის წინ თითქმის წაშლილი ფრესკების რესტავრაცია მოხდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. რესტავრირების შემდეგ გამოჩნდა ფრესკა, რომელიც უნიკალურია – მასზე გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც ორივე ყურზე საყურე უკეთია. იქვე მხატვრის სახელია მიწერილი – ოსტატი ჯავახაძე. მინაწერზე მოხსენებულია ორი ფეოდალური საგვარეულო – წულუკიძეები და ჯავახაძეები, რომლებიც რაჭის მმართველები იყვნენ. სავარაუდოდ, ფრესკა ერთ-ერთ მათგანს გამოსახავს.

P. P. S.

– ივანე ჯავახიშვილი იყო ინიციატიორი მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისა და როცა მისი მეთაურობით ძველი იბერიის სატახტო ქალაქის მიწამ მას „გული გადაუშალა" – ჭევახოსის მედალიონმა შემოანათა თვალებში. „ჭევახოს" – ჯავახიშვილის გვართა შორეული წინაპარი უნდა იყოს (ღრმად მწამს!). ასე მგონია, საქართველოს მიწის გულიდან მისი ხალხის უდიდესი შვილისათვის უკვდავების სალუტის მისაცემად გაუღიმა ჯავახოსის პროფილმა ჩვენს უკვდავ და უსაყვარლეს დიდ ივანეს მრავალი საუკუნის შემდეგ, –. აღნიშნავს აკაკი გაწერელია თავის ჩანაწერებში.

ეტყობა, ეს სახელი განსხვავებულად ამოიკითხეს: ჭევახოს, ჯავახოს, ძევახ, ჯავახ. ალბათ სამართლიანია ბატონი აკაკის ახსნა-განმარტება და ეს პიროვნება ჩვენი დიდი წინაპარიც გახლდათ: ჯავახოს, ჯავახიშვილი, ჯავახიძე, ჯავახია, ჯავახაძე.

„მოშენდიშვილი“

ჩემი და ნათელა 83 წლისაა. ახლახან ნათელამ მიამბო:

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსულ ენას გვასწავლიდა პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ჯაბა მეძმარიაშვილი, რომელიც წარმოშობით სოფელ ქვიტირიდან ბრძანდებოდა.

ერთხელ მკითხა:

– თქვენ სადაური ჯავახაძე ბრძანდებით?

– მე ქუთაისში დავიბადე, მამაჩემი კი ქვიტირელი იყო.

– რა ერქვა მამათქვენს?

– რომანოზი.

– ასეთი სახელი არ მახსოვს. ბიძა თუ გყავდათ?

– ბიძაჩემებს ერქვათ ერასტი და ტარასი.

– არა, არც ასეთი ჯავახაძეები არ მახსოვს. ბაბუათქვენს რა ერქვა?

– დიანოზი.

– ოო, დიანოზის შვილიშვილი ბრძანდებით? დიანოზი სხვა კაცი იყო, განსაკუთრებით გამორჩეული და კეთილშობილი პიროვნება. მას მთელი სოფელი მოშენდიშვილს ეძახდა, ე. ი. – შენისთანებმა უნდა იმრავლონო (მოშენდი – გადაშენდის საპირისპიროდ).

ჩვენი ქვიტირი მე კარგად მახსოვს. ქუთაისიდან ისე ახლოს იყო, ფეხით მივდიოდით ხოლმე.

ახლა ქვიტირი ქუთაისს შეუერთდა და სოფელი აღარ არსებობს.

ბაბუაჩემის სახეს ვერ ვიხსენებ. ბუნდოვნად მახსოვს ბაბუაჩემის პანაშვიდი და ბევრი ხალხი, რომლებსაც ფეხებში ვებლანდებოდი. ჩემს უფროს დას დიანოზის სახე ახსოვს, სათნო და ლამაზი მოხუცი იყო, ერთხელ აღდგომა დღეს ეკლესიიდან წითელი კვერცხები მოგვიტანაო.

1915 წლის 5 იანვარს გალაკტიონი სწორედ ქვიტირის ეკლესიის ეზოში აღმოჩენილა. ოლიას სწერს:

– დღეს ძალიან ადრე გამეღვიძა... გავწიე ქალაქგარეთ... გზამ სოფელ ქვიტირში მიმიყვანა. შევედი ეკლესიის ეზოში... წარწერებს ვათვალიერებდი. გავიცანი ბევრი მკვდრები, რომლებიც სიამოვნებით მომეგებნენ...

ქვიტირელ მიცვალებულებთან საკმაოდ საინტერესო საუბარი გამართა პოეტმა, გაუშინაურდა, გაეხუმრა, გაეჯიბრა და იმქვეყნიერი ცხოვრების ირონიული ეპიზოდები წარუდგინა შეყვარებულ ოლიას.

1952 წელს მარჯანიშვილის თეატრი ქუთაისში ჩამოვიდა საგასტროლოდ. მესხიშვილის თეატრთან მამია ასათიანმა გიორგი შავგულიძე გამაცნო. სადაური ჯავახაძე ხართ? – დაინტერესდა მსახიობი. ქვიტირელი-მეთქი. მეც ქვიტირელი ვარო, – მითხრა გიორგი შავგულიძემ.

2014

ზოგი ჭირი მარგებელიაო

კორონავირუსმა სახლებში გამოკეტა და მძევლად აიყვანა კაცობრიობა. სამწუხაროდ, არავინ უწყის როდის განაიარაღებს მედიცინა ამ საერთაშორისო ტერორიტს.

ქართველები თითქოს ველოდით ამ უხილავ ჭირს და ღირსეული ანდაზა შევაგებეთ: ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ვირუსმა გაწმინდა ატმოსფერო, გამორიცხა ავარიები, გაამრავლა მეოცნებეთა რაოდენობა, მეუღლეებმა უფრო მოიცალეს ერთმანეთისათვის, ბავშვებმა უკეთ გაიცნეს მშობლები და გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა მკითხველთა რიცხვი.

დიახ, კორონამ წიგნებისაკენ მოაბრუნა არა მარტო ქართველები და ვიდრე ინფექციონისტები ვაქცინას აღმოაჩენენ და შემოგვაშველებენ, საიმედო იმუნიტეტს გუტენბერგის აღმოჩენა მოგვანიჭებს. მით უმეტეს, ხელთ გვაქვს უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ქართული და უცხოური კლასიკა, პოპულარული თანამედროვე ავტორები.

ვირუსის ერთი სარგებელიც აღმოვაჩინე: რა ლამაზი თვალები ჰქონიათ ქართველ ქალებს – განსაკუთრებით ექიმებსა და ექთნებს?! სად ვიყავით აქამდის? ხშირად არც კი გინდა პირბადე მოიხსნან.

ვირსუმა ძველი შაყირიც გამახსენა: ქუთაისელი ქუთაისელს შორიდან ხელის აწევით ესალმება და ჩაილაპარაკებს: დაგინახე! ახლა სწორედ დაგინახეს დრო დადგა.

წიგნში ამოვიკითხე: როცა ნავში ზიხარ, მენავეს არ უნდა აწყენინოო. ამჟამად ჩვენი მენავე ბატონი ამირან გამყრელიძე

ბრძანდება და ძალიან გთხოვთ, მენავეს ნუ გაგვიბრაზებთ, ოპოზიციონერებო!

მე პირადად არ ვიცნობ ბატონ ამირანს, მაგრამ ძალიან მადლიერი ვარ მისი: 2002 წლის ზაფხულში ინფექციურ საავადმყოფოში იწვა ჩემი მეგობარი მურმან ლებანიძე. მაშინ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბატონი ამირანი ბრძანდებოდა და დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. დღეში რამდენიმეჯერ რეკავდა და მურმანის ამბავს კითხულობდა. დაგვიანებული მადლობა მინისტრს, რომელსაც პოეტი უყვარს.

რაკი პოეტი ვახსენე, პოეზიის მოყვარულებს ვურჩევ, გალაკტიონის „ლურჯა ცხენები" წაიკითხონ, ბავშვებმა კი – ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა".

გალაკტიონ ტაბიძე მარტოობისაკენ მიდრეკილი გახლდათ და კორონავირუსი ძალიან ვერ დააზარალებდა. მან თავის სამოთახიანი ბინაში საკუთარ კაბინეტს გასაღები დაადო და ხშირად ჩაიკეტებოდა ხოლმე. წერდა და კითხულობდა. ასე დაწერა თორმეტი წლის განმავლობაში თავისი ყველაზე ხანგრძლივი პოემა, რომელსაც „მშვიდობის წიგნი" დაარქვა და, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, არ დაუბეჭდეს.

მე მალე 88 წლის გავხდები და ისედაც ნებაყოფლობით კარანტინში ვცხოვრობ. მაგრამ ვინაიდან კორონავირუსის უაღრესად სახიფათო რისკის ზონაში აღმოვჩნდი, ექვსი შეშინებული სტრიქონი გავრითმე – „კორონავირუსი ანუ დაეტიე სახლში":

მინდა მუდამ ვიქართველო და არასდროს ვირუსო,
რას გვერჩოდი ჩინეთიდან მოგზავნილო ვირუსო,
ვინ ვოლტერი გაიხსენა, ვინ დიდრო და ვინ რუსო:
ვინც სახლში არ დაეტიოს, წიხლი მოხვდეს ვირისო!

მე თუ მკითხავთ, არ მაქვს ალტერნატივა,
ვინაიდან ნაღდი კანდიდატი ვარ.

2020

ანა კალანდაძის მეორე დებიუტი

1988 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის პოეტური დელეგაცია სიცილიას ეწვია. რუს, აზერბაიჯანელ და ყირგიზ სამ პოეტთან ერთად ანამ და მე აშკარა რიცხობრივი უპირატესობა მოვიპოვეთ. იონიის ზღვისპირა პატარა ქალაქ აჩირეალეს სასტუმროს მეორე სართულზე დაგვაბინავეს. დილით დამირეკავდნენ და პირველ სართულზე მიგვიწვევდნენ სასაუზმოდ. მე გვერდითი ნომრის კარზე მივაკაკუნებდი – ანა, ქვემოთ გვეძახიან-მეთქი და ჩავიდოდი. შევიკრიბებოდით ყველანი თარჯიმანთან ერთად და სხვა დროს უაღრესად პუნქტუალური ანა მოსალოდნელზე მეტხანს იგვიანებდა. მიკვირდა, მაგრამ შეკითხვას როგორ ვაკადრებდი.

ჩვენმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ ფიქრეთ გოჯამ კატანიაში იაპონური მაგნიტოფონი იყიდა. ეს მაგნიტოფონი რომის აეროპორტში ჩამოართვეს პილოტებმა და მოსკოვში დაუბრუნეს. მოგვიანებით ანამ მკითხა – რა ჩამოართვეს ფიქრეთს აეროპორტშიო. გამიკვირდა – რამ გაახსენა-მეთქი და მეორე შეკითხვაც დამებადა.

ანას გარდაცვალების შემდეგ შევიტყვე, რომ დღიურებს წერდა.

პირად საუბრებში ხშირად ახსენებდა ჩანაწერებს ქეთევან მაღალაშვილზე, ელენე ახვლედიანზე, მარიკა და სიმონ ჩი-

ქოვანების შესახებ, გამსახურდიების ოჯახზე, არნოლდ ჩიქობავაზე.

1987 წელს გამოსაცემად მოვამზადეთ ერთტომეული და პირველად შევიტანეთ პროზაული ტექსტები – გამოქვეყნებული საუბრები და მისალმებანი – სულ 70 გვერდი. მაშინ შევთავაზე შეგვეტანა გამოუქვეყნებელი ჩანაწერები, მაგრამ ვერ დავითანხმე.

1995 წელს ორტომეულის პროსპექტი შევადგინეთ და ერთხელ კიდევ გავუმეორე თხოვნა, მაგრამ ამაოდ.

ორტომეულის პირველი ტომი შეადგინეს ლექსებმა, მეორე – პოეტურმა თარგმანებმა და საუბრებმა და მისალმებებმა. ვინაიდან მეორე ტომი შედარებით მცირე მოცულობისა გამოვიდა, ამოვბეჭდე მურმან ლებანიძის, გურამ ასათიანისა და თამაზ ჭილაძის წერილები ანაზე და დავამატე მეორე წიგნს, რათა პროპორცია ნაწილობრივ მაინც დამებალანსებინა.

დაიბეჭდა პირველი ტომი და ანამ მოულოდნელად გამომიცხადა: კარგი, შევიტანოთ ჩანაწერები, ოღონდ „ატვეჩაი" შენ იქნებიო. ეს „ატვეჩაი" ქუთაისის ქუჩებიდან ვიცოდი, მაგრამ აღარ მახსოვდა. ანამ შემახსენა და ისიც გამახსენდა, რომ ანა ქუთაისში გაიზარდა და საშუალო სკოლაც ქუთაისში დაამთავრა.

ამ შეთანხმების შემდეგ ამოვიღე დამატებული სამი წერილი, მაგრამ მეორე ტომის მოცულობა მაინც ბევრად აღემატა პირველს. ნაწილ-ნაწილ მაწვდიდა რემინგტონზე გადაბეჭდილებს. იანვარი იდგა და პალტომოხურულები ვისხედით მასთან. ნავთქურა „ტურბო" ოდნავ გვათბობდა. ანამ ბრძანა, ამბობენ, გაზაფხულზე „ტურბო" გაიაფდებაო და ვუპასუხე: გაზაფხულზე საჭიროც აღარ იქნება-მეთქი.

ანას კვლავ გამოჰქონდა ახალი მასალები. ახლა პროპორცია პირიქით დაირღვა და შევაჩერე. არადა, როგორც გამოირკ-

ვა, თურმე დამატებითი მესამე ტომიც შეგვეძლო შეგვეთავაზებინა მკითხველისათვის.

სხვათა შორის, ორტომეულის გამოცემის შემდეგ გიორგი ნატროშვილმა დაურეკა: კარგია, რომ მეორე ტომი დაურთეო და ანამ უპასუხა: იმის მადლობელი ვარ, ვინც მაიძულა ჩემი ჩანაწერების გამოქვეყნებაო.

ანა 1960 წელს გავიცანი და გავიცანი, როგორც ავტორი რედაქტორმა – წიგნის სასახლის მესამე სართულზე, სწორედ იმ ოთახში და იმ მაგიდასთან, სადაც ორი წლით ადრე გალაკტიონი მისმენდა, მაგიდაზე ანას მესამე კრებულის დედანი მედო და ჩვენი საუბარი უჩვეულოდ დაიწყო: ამოვიღე პირველი ლექსი: მგონი, რომ არ შევიტანოთ, აჯობებს-მეთქი. მეორე და მესამეც გვერდით გადავდე და ასე შემდეგ – ათზე მეტი გავარიდე. პირველი სამი ლენინს ეძღვნებოდა. ამ ათეულმა გაიტანა ანას პირველი და მეორე წიგნები 1953 და 1957 წლებში. ასეთ ლექსებს მაშინ „პარავოზებს" ეძახდნენ.

გაოცებული ანა უსიტყვოდ დამეთანხმა. დიდი ხნის შემდეგ კი, როდესაც დავმეგობრდით, ის დღე გაიხენა: მეგონა მცდიდი და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, როგორც სიკვდილმისჯილ პატიმარს, რომელსაც მოულოდნელად უცხადებენ, თავისუფალი ხარო და იგი ადგილიდან არ იძვრის, ჰგონია დასცინიანო.

ზოგიერთი რედაქტორი და გამომცემელი ამაყად გვაუწყებს, გავბედე და მავან ავტორს ესა და ეს ნაწარმოები დავუბეჭდეო. მე კი – პირიქით!

ამ ეპიზოდს არასასიამოვნო გაგრძელება აღმოაჩნდა. ამაოდ მეგონა, ეს საიდუმლო მხოლოდ მე და ანამ ვიცოდით და მეტმა არავინ. შვიდი წლის შემდეგ, 1967 წელს, ტელევიზია სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავ გადაცემას ამზადებდა. გადაცემის მონაწილეთა შორის ბრძან-

დებოდნენ: საუკუნის ნაფიცი კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, ანა კალანდაძე, გურამ ასათიანი, გია მარგველაშვილი და სხვანი. მეორე დღეს ილიჩის დაბადების დღე აღინიშნებოდა და ნაფიცმა მოულოდნელად გამოაცხადა: ანას ლენინი არ უყვარს, საკუთარი კრებულიდან ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები ამოიღოო.

– აღარ მახსოვს, თავი როგორ ვიმართლე, – აღიარებს ანა თავის დღიურში და იქვე აღნიშნავს, – ეს ლექსები მართლაც ამოვიღე წიგნიდან რედაქტორის თხოვნითო.

– არა, შენ ლენინი არ გინდა, – არ დაცხრა ჩამშვები ოპონენტი.

უხერხული სიჩუმე გურამ ასათიანმა დაარღვია: – რა მოხდა მერე, ბატონო, – მიმართა გულწრფელად შეწუხებულ მწერალს, – ამ ადამიანმა კრებულიდან მიძღვნილი ლექსები ამოიღო, თუ არა ლენინზე აზრი ხომ არ შეუცვლიაო, – ასე დაასრულა ეს დღიური ანამ.

დიახ, ამაოდ გვეგონა, რომ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. როგორც გამოირკვა, ნაცნობი კრიტიკოსი და არამარტო ეს პერსონა, ისევ ფხიზლობდნენ. ამ ნაფიცმა 1937 წელსაც გამოიჩინა და შეირცხვინა თავი. მაგრამ საბედნიეროდ, ამჯერად 1967 წელი იდგა და არა 1937 და, რაც მთავარია, ლენინის უპირველესი ჭირისუფალი და უმრწემესი ძმა შვიდი წლით ადრე მოწამლეს და მოაკვდინეს მისმავე გაწვრთნილმა ჯალათებმა.

1993 წლის 11 აპრილს „ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიკაციაში ანამ სამოცი წელი მომილოცა:

– ვახტანგ ჯავახაძე ჩემთვის ერთი იმათაგანია, ვისაც ხშირად ვურეკავ. ვეკითხები, ვეთათბირები და რომლის რჩევასაც უყოყმანოდ ვიღებ და ვიზიარებ.

ჯერ გამიხარდა, მერე შემეშინდა – ხომ არაფერი შემეშალა-მეთქი და ბოლოს გამიკვირდა: რატომ ასე კატეგორიულად?

პასუხი, მოგვიანებით, 1976 წლის 15 ივნისის დღიურში ამოვიკითხე.

იმ დღეს, მოსკოვში, ერთმა ჩემი თაობის მწერალმა, ბახუსით გათამამებულმა, ანას აკადრა:

– ძალიან არ მინდა, რომ ვინც შენს ახლოს ტრიალებს, მისი მაინცადამაინც არ გჯეროდეს. მათ შენი სახელი აინტერესებთ – აი, ანას გვერდით ვართო.

ეს კადნიერი დამოძღვრა, უპირველეს ყოვლისა, ეხება მურმან ლებანიძეს და მერე – მე. ამ დღიურმა გამახსენა და გაამართლა კატეგორიული ტონი ანას მოსალმებისა, რომელმაც 17 წლის შემდეგ ამ მოხალისე გულშემატკივარს, ფეხბურთის ლექსიკა რომ გამოვიყენოთ, დამახსოვრებული საჯარიმო გაუხსენა.

1994 წლის 9 სექტემბერს „ლიტერატურული საქართველოს“ ერთ პუბლიკაციაში აღინიშნა – ანა კალანდაძეც კი ირიცხებოდა კომუნისტური პარტიის წევრადო.

ამ მცდარ ინფორმაციას ანა ძალიან განიცდიდა, არადა – ავტორისა ერიდებოდა. მე ვურჩიე, ავტორს სრულიადაც ნუ მოიხსენიებ: გამოაქვეყნე იმავე გაზეთში უარყოფის განცხადება-მეთქი. როგორც გამოირკვა, მე არა მარტო რჩევა მიმიცია: 1994 წლის 28 სექტემბრის დღიურში ამოვიკითხე:

– ვახტანგ ჯავახაძემ ორივე წერილი წაიღო „სიცილიისათვის“. ისიც იმ აზრისაა, რომ „ლიტ. საქ-ში“ დაიბეჭდოს განმარტება ჩემს პარტიულობაზე. აქვე შეადგინა ტექსტი. მე წავიღებო, მითხრა (თქვენ ისეთი პიროვნება ხართ, რომ ამისი ასე დატოვება შეუძლებელიაო).

3 ოქტომბერს ჩაუწერია:

– ა. წ. 30 სექტემბრის „ლიტ. საქ-ში“ მე-2 გვერდზე არის რედაქციის გასწორება.

5 ოქტომბერს კი გააგრძელა და დაასრულა:

– ვახტანგ ჯავახაძეს მადლობა ვუთხარი. ძალიან საჭირო იყო ეს გასწორება, რადგან გივი გეგეჭკორმა და ტარიელ ჭანტურიამ მკითხეს, ანა პარტიული იყოო?

1993 წლის 25 მაისის დღიურში ამოვიკითხე:

– თვალის გახელის უმალ მომაგონდა, რომ უკვე 40, 50 წელი გავიდა 1946 წლის 25 მაისიდან! ცოტახნის შემდეგ ვახტანგ ჯავახაძემ დარეკა და მითხრა: ამას წინათ სრულიად შემთხვევით შევხვდი და ვიყიდე „მატიანე", რომელშიც ლიტ. მუზეუმის თანამშრომელს მაისურაძეს შეუკრებია მუზეუმის მასალებიდან – „უბის წიგნაკში ჩანაწერები". წამიკითხა გ. ქიქოძის ჩანაწერი, რომელიც მას გაუკეთებია 1956 წლის 26 მაისს, ჩემი კითხვის მეორე დღეს. საოცარია ეს დამთხვევა! ამას წავუმძღვარებ ანოტაციაში თქვენს წიგნსო.

მართლაც გასაოცარია ასეთი სასიამოვნო დამთხვევა. ჩემი ზარი დღევანდელი დღის მოლოცვად ჩათვალე-მეთქი, – ვუთხარი ანას. „ლიტერატურული მატიანეს" კრებული სახლში მივუტანე და გ. ქიქოძის ციტატა მთლიანად გავიმეორე ორტომეულის ანოტაციაში:

– 1946 წლის 25 მაისი დიდი თარიღია ქართული ლიტერატურის ცხოვრებაში. მწერალთა სასახლეში ოცდაორი წლის ქალიშვილმა ანა კალანდაძემ თავისი ლექსების რვეული წაგვიკითხა მსმენელებით სავსე დარბაზში. ამ დღიდან იწყება ქართული ლირიკის აღორძინება. ვაჟა-ფშაველას შემდეგ პირველი დიდი პოეტი მოგვევლინა. მას აქვს მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლშეგრძნება, სრულიად ახალი პოეტური მეტყველება. მისი შთაგონების წყაროებს ქართლის ცხოვრება, ბიბლია, დ. გურამიშვილი, გურიის ფოლკლორი წარმოადგენს. გასაოცარია ეროტიკული მოტივების უქონლობა. მისი ლექსები უფრო რელიგიურ ჰიმნებს ჰგავს, ვიდრე პირად ლირიკულ აღსარებას. მომცრო ტანისაა, მშვენიერი თვალები და მიმზიდ-

ველი სახე აქვს. თავი უბრალოდ უჭირავს, მაგრამ ღირსეულად. რა მშვენიერია მისი კითხვის მანერა, უკეთ ვთქვათ – უმანკოება. მისი ხმის მუსიკა ახლაც მესმის. თუ ჩემს ასაკში ან მდგომარეობაში კიდევ შეიძლება ბედნიერი წუთების განცდა, მე ის გუშინ განვიცადე.

1996 წლის 30 ივნისს პირველი ტომის სასიგნალო ეგზემპლარი მივუტანე და მეორე ტომის ანაბეჭდები გადავათვალიერეთ. მცირე შესწორებანი შევიტანეთ. აქა-იქ რამდენიმე სტრიქონი ამოიღო და მითხრა: კიდევ მინდა სამი სტრიქონი ამოვიღო, ოღონდ არ მინდა შენ განახოო. ვუპასუხე: ამოიღე და მე არ ჩავიხედავ-მეთქი. ალბათ, ეს ის სტრიქონები იყო, რომელთა ამოღებაც ადრე არ დავანებე. ცხადია, დღესაც არ ვიცი, რა ამოიღო. ეს ხომ ანა იყო!

ამ შემთხვევამ ერთი ეპიზოდი გამახსენა: 1993 წლის 31 მარტს ვესტუმრე. გამოიტანა შავყდიანი რვეული, რომლიდანაც 1946 წლის 25 მაისს წაიკითხა ლექსები. ნელ-ნელა გადაფურცლა და დამათვალიერებინა. თვალი მოვკარი: რამდენიმე ლექსი ვერტიკალურად იყო გადახაზული. დავინტერესდი, ეს ლექსები შემდეგ გამოაქვეყნა თუ არა, მაგრამ რვეული არ მომაწოდა და მეც ვერ გამოვართი. სხვა, ნებისმიერ ავტორთან, რა თქმა უნდა, თავს არ შევიკავებდი, მაგრამ ეს ხომ ანა იყო! შეთავაზებით კი შევთავაზე – ეს რვეული ცალკე წიგნად გამოვცეთ-მეთქი, მაგრამ არ დამეთანხმა.

ანას გარდაცვალების შემდეგ, დღიურებს რომ ვკითხულობდი, ეს შავი რვეული იქვე იდო. წავიკითხე სამოცდაათამდე რვეული, მაგრამ არ ვისარგებლე შემთხვევით და 1946 წლის იღბლიან რვეულში არ ჩავიხედე. ეს ხომ ანაა!

ერთხელ ლექსიკონი დაგვჭირდა და აღიარა: საოცარია, როგორ მივეჩვიე: ზუსტად ვიცი სიტყვის მნიშვნელობა და თვალი მაინც ლექსიკონისაკენ გამირბისო.

ერთხელაც უცნაური პუნქტუაცია შემომთავაზა. სამი წერტილი ანას რჩეული სასვენი ნიშანია, ისევე როგორც ტირე მარინა ცვეტაევასთან. ორივეს გამიზნული ფუნქცია აკისრია. ალბათ რომელიმე ლინგვისტი დაინტერესდება ანას სამი წერტილით. ანა ამ ნიშანს ხშირად იყენებს წინადადების ანუ სტრიქონი შიგნით და პაუზა ამ შემთხვევაში მოულოდნელობის ეფექტს ამძაფრებს. მოგვიანებით კი ორიგინალური შემომთავაზა: მძიმე და ორი წერტილი (,..). კალმისმიერი შეცდომა მეგონა და გავასწორე სამ წერტილად. ანას არაფერი უთქვამს, მაგრამ მე თვითონ დავეჭვდი. არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეცი. იქნებ სასურველია, არსებობდეს სამი წერტილი წინადადების ბოლოს და მძიმე და ორი წერტილი წინადადებაში ანუ სტრიქონში. დაინტერესებულმა მკვლევარმა შეიძლება აღადგინოს ასეთი პუნქტუაცია ავტორის გვიანდელი ავტოგრაფების მიხედვით.

1994 წლის 2 აგვისტოს გაიხარა:

– ვახტანგ ჯავახაძემ საბეჭდი მანქანის ხელოსანი გამომიგზავნა. ერთ თვეში უკვე პირველი წიგნი აწყობილი იქნება და რამდენიმე თვეში მეორე წიგნი უნდა ჩავაბაროთო, – ამაზე დავიჩივლე საბეჭდი მანქანის გამო. სიხარულით აღარ ვიცი, რა ვქნა.

მე და ანას ერთნაირი რემინგტონები გვქონდა – გერმანული „ერიკა“. როდესაც ანას „ერიკა“ შეფერხდებოდა, მივიდოდი და გავასწორებდი ხოლმე. მაგრამ ჩემი ოსტატობის შესაძლებლობა ამოიწურა და გამახსენდა ანზორ სელენიძე, რომელსაც ხშირად ვიწვევდით გამომცემლობაში და ერთხელ ჩემი „ჟიგულით“ ვესტუმრე კიდეც ავლაბარში ჩემი „ევრიკას“ მოსათვინიერებლად. ამჯერადაც დავურეკე ანზორ სელენიძეს – უფრო ზუსტად – სელენიძეების ოჯახს, ვინაიდან ოსტატს აბსოლუტურად არ ესმოდა, და ანას მისამართი მივეცი.

2002 წლის 25 დეკემბრის, 2004 წლის 20 ივნისის და 2006 წლის 12 ნოემბრის დღიურების აღრიცხვით – „უპატიოსნესი და უკეთილშობილესი" ოსტატი – ყოველ ორ წელიწადში ერთხელ – სამჯერ სტუმრებია ანას და კიდევ სამჯერ გაუხარებია კლიენტი.

ოცდამეერთე საუკუნეში მწერალთა დიდმა ნაწილმა მწერალთა კავშირის წევრობაზე უარი განაცხადა. 2005 წლის 18 აპრილის დღიურში ამოვიკითხე:

– 12-ის ნახევრისათვის მოვიდა ვახტანგ ჯავახაძე. არ მირჩია მწერალთა კავშირიდან გამოსვლა. მთავრობას გაახარებთო... ჭკუაში დამიჯდა.

ამავე წლის 22 აგვისტოს დამირეკა:

– დავრეკე ვახტანგ ჯავახაძეთან. სხვათა შორის ვკითხე, დაურეკეს თუ არა „ლიტ. საქ-ს", „მნათობისა" და „ცისკრის" შესახებ... აცილება მივეციო, მითხრა... გადავწყვიტე, მეც ასე ვუთხრა ხვალ დავით კახაბერს.

უხერხული ციტატების სიმრავლე რომ გავანეიტრალო, მხოლოდ ზმნებს ამოვიწერ:

– დავუჯერე... არ დამანება... საერთოდ გაგიჟდა... დამეთანხმა... არ დამეთანხმა... არ შემაცვლევინა... შემპირდა... დამამშვიდა... ამ ნომრისთვის არ მირჩია.... – და ასე შემდეგ.

სამოცი წელი რომ მომილოცა, სიცილია გაიხსენა ოთხი წლის შემდეგ:

– სიცილიაში ჩვენი ჩასვლის რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ სპიტაკის მიწისძვრის ამბავი. ავფორიაქდით, ადგილს ვერ ვპოულობდით... სულის მოსაოხებლად ეკლესიაში წასვლა გადავწყვიტეთ... წმ. ვენერას სახელობის ტაძარში, ჩვენდა გასაკვირად, სანთელი არ იყიდებოდა. მაშინ ვახტანგმა იპოვა გამოსავალი: სულში დავანთოთ სანთლები და ჩვენი ვედრება

იქნებ უკეთ შეისმინოს უზენაესმაო. ის მართალი აღმოჩნდა: ვედრება შესმენილ იქნა: საქართველოში სიმშვიდე დაგვხვდა.

სიცილიის დელეგაციაში განსაკუთრებული ყურადღება ერთადერთმა ქალბატონმა დაიმსახურა. ბაქოელმა ფიქრეთ გოჯამ, რომლის ფსევდონიმიც ქართულივით ჟღერს, ანას „ანა ხანუმი“ შეარქვა და თითქმის ყოველდღე ანა ხანუმის სადღეგრძელოს გვთავაზობდა. მოგვიანებით ანას ამ მოგზაურობამ რამდენიმე ლექსი შთააგონა. ერთი ფიქრეთს მიუძღვნა და ასე დაასრულა:

გადმოსკდებოდა, თუ ვგრძნობდი, ლავა,
დაინთქმებოდა ჰერკულანუმი?
მწამს, ყოველივეს სიმართლით განსჯით!
კეთილი სალმით – „ანა ხანუმი“.

სხვათა შორის, ჩვენს დელეგაციაში თავდაპირველად სომეხი პოეტი გევორქ ემინიც ირიცხებოდა. მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და მოსკოვში არ ჩამოვიდა. ფიქრეთმა აგვიხსნა: ჩემს გამო შეიკავა თავიო. ფიქრეთი იმასაც ამბობდა – სომხებს ჩვენმა ცოდვამ უწიაო – ყარაბახის გამო.

როდესაც თბილისში ჩამოვფრინდით, ჩვენი პატარა დელეგაციის თავკაცმა, ჟურნალ „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ, პოეტმა სერგეი კოსტროვმა გამომშვიდობებისას მოწყალე თვალით გადმოგვხედა და შემოგვთავაზა – ლექსების პწკარედები გამომიგზავნეთ ჟურნალისთვისო. კარგად არ გვიცნობდა (განსაკუთრებით – ანას), თორემ უფროსი ძმა ალბათ თავს შეიკავებდა. თუმცა, თუნდაც სურვილი გვქონოდა, ვიდრე ჩვენ რუსულ პწკარედებს მოვამზადებდით, მოსკოვში გავაგზავნიდით, ჩვენი უფროსი ძმა მთარგმნელებს გამოძებნიდა და მთარგმნელები შეკვეთას შეასრულებდნენ, სა-

ბედნიეროდ, ჩვენი „სოვეტსკი სოიუზი“ თავზე დაგვემხო და დღემდის ვერ გამოვძვერით ვეება იმპერიის ვეებერთელა ნანგრევებიდან.

ანაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საერთო მეგობარი უნდა გავიხსენო.

მურმან ლებანიძე ანას ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანით იყო დაინტერესებული, როგორც უფროსი ძმა, როგორც მესამე ძმა:

– მურმანმა დამირეკა, – რა სახის საღამო იქნებაო. ჩემი სიტყვით გამოსვლა ხომ არ არის საჭიროო. ცხვირს ნუ ჩამოუშვებ. სამადლობელი სიტყვა შენებურად ერთი სიტყვით არ ამოწურო... რას იცვამ? – უცებ მკითხა... – ფოთლებიანი ჩაიცვიო, – დასძინა. – აგვისტო ხომ არ გგონია-მეთქი... – წარბიც გაშალე. გაუღიმე ხალხს, თუ არა... პანტერას გავხარო.

ერთხელ მითხრა: მურმანი რომ დამირეკავს, მეშინია, წიგნის გამოცემაზე არ დამიწყოს ლაპარაკიო.

ცხადია, ჩემზეც ასე ფიქრობდა. მე კიდევ დამატებით ჩანაწერების გამოცემაზე ვევაჭრებოდი. ერთხელ, საუბარს რომ მოვრჩით, მკითხა, რატომ დამირეკეო. ეტყობა, მორიგ შეთავაზებას ელოდებოდა. ისე კი, სხვათა შორის წამომცდა – საწერი პასტაც კი არ იშოვება-მეთქი და, მოგვიანებით რომ მივედი, ორი უცხოური პასტა მაჩუქა.

ანას დღიურების მკითხელი დარწმუნდება, როგორ ეფერებოდა სრულიად საქართველო პოეზიის დედოფალს: უგვირგვინო მეფესაც შეშურდებოდა ალბათ და პოეტების მეფესაც შეშურდა:

– საკვირველი იყო ის სენსაციები, რომელიც წინდაწინ მოუწყვეს ახალგაზრდა მწერალს ანა კალანდაძეს და ეს მაკვირვებს მით უფრო, რომ ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც იყო ილია, ვაჟა და სადაც არის გალაკტიონი.

ერთხელ თინა ყანდარელმა – უერთგულესმა რძალმა – უსაყვედურა:

– ამაზე მეტი ბედნიერება, ამაზე მეტი აღიარება და სიყვარული, რასაც შენ ხალხისგან იღებ, რაღაა? – და ანამ უპასუხა:

– თინა, ბედნიერი მაშინ ვიყავი, ჩემი ლექსები ჩემთან რომ იყო და ჩემს მეტმა არავინ იცოდა მათი არსებობა. როცა ისინი გამოქვეყნდა, მე მაშინ დავკარგე რაღაც ძალიან დიდი.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მურმანმა შეადგინა და გამოსცა ანას რამდენიმე კრებული.

სტამბებში გაშინაურებულმა პოეტმა თბილისის ძველი სტამბის კასაში პაწაწინა ლამაზი ქრისტიანული ჯვრები აღმოაჩინა, შრიფტის ქარხანაში გაამრავლა და 1982 წელს საკუთარ „რჩეულში" უსათაუროებს დაასვა თავზე. სამი წლის შემდეგ კი ანას მოზრდილი კრებული შეადგინა და იმავე ჯვრებით გაამშვენიერა. საბჭოთა იმპერია სულს ღაფავდა, მაგრამ კუდს ჯერ კიდევ იქნევდა. დაგვასმინეს და გამსახკომში დაგვიბარეს შემდგენელი და გამომცემელი: კატეგორიულად მოგვთხოვეს, ანაბეჭდებში ჯვრები ტრადიციული ვარსკვლავებით შეგვეცვალა. არადა, ეს ქრისტიანული სიმბოლოები ანას ლექსების განწყობილებას ყველაზე მეტად ესადაგებოდა. დაიბეჭდა წიგნი და სამოცდამესამე გვერდზე ობოლი მარგალიტივით აღმოჩნდა შემთხვევით გადარჩენილი ერთადერთი, როგორც ნაშთი არასასიამოვნო ინციდენტისა:

†

ყვავილს შევჩივლებ
ცისფერთვალებიანს, –
მე ვდარდობ ნამეტურ,
მე ვტირი, რამეთუ...
ძალუმ მყვარებია.

რამდენიმე წლის შემდეგ ამ ხუთსტრიქონიანთან შემთხვევით გადარჩენილმა წმინდა ემბლემამ სრული უფლება აღიდგინა და ხუთგზის დაამშვენა ჩვენი ეროვნული დროშა.

მშვენიერი ლექსი დაუწერა მურმანმა თავის უმცროს დაიას:

ამაოდ დაშვრენ, მათ, უგუნურთ, ლაჟვარდი ჰგუბეს,
მე ხომ გითხარი: ეგ ბილიკი ზეცას გაიარს!
დაადგი ფეხი გაბედულად გაპენტილ ღრუბელს!
ფეხი დაადგი ღრუბლის ქულას, ჩემო დაია!

ეს სტრიქონები გამახსენდა 2008 წლის 19 აპრილს მთაწმინდაზე – ანას ორმოცზე, როდესაც ანას მეზობელმა ქალბატონმა მარო გონჯილაშვილმა მითხრა:

– მე პირველ სართულზე ვცხოვრობ, ანა მეორეზე ცხოვრობდა. ოცდაათი წელიწადი გავიდა და არ მახსოვს ანას საკუთარ სახლში ფეხსაცმელებით გაევლოო.

და გამახსენდა აგრეთვე ანას სიტყვები: მირჩევნია, მე მაწყენინონ, ვიდრე მე ვაწყენინო ვინმესო.

გასული საუკუნის მიწურულს მურმანს ერთი ლექსის გამო უსამართლოდ აუხირდა რამდენიმე მწერალი და მეცნიერი.

ანას 1999 წლის 10 მაისის დღიურმა შემახსენა:

– საღამოს ვახტანგ ჯავახაძემ დარეკა. მურმანზე შეტევები გრძელდება და რა მოვიმოქმედოთო. მურმანს დავურეკე... ყოჩაღადაა... ხაზგასმით მითხრა, „ვტ"-ს თარგმნაზე არაფერი არ გათქმევინონო, – ამ საქმეში ნუ ჩაერევიო (ესეც გადავეცი ვახტანგს).

საკუთარ ოპონენტებს მურმანმა თვითონ გასცა საკადრისი პასუხი – „პასუხად ოპონენტებს, რომლებიც ქვებს ისვრიან", ჩემი „დაგვიანებული რეპლიკა" კი მოგვიანებით გამოვაქვეყნე.

წავიკითხოთ 1961 წლის 3 ნოემბრის მინი-დღიური:

– ინსტიტუტში ნოდარ დუმბაძემ დამირეკა: ქართული ლექსის საღამოზე ხომ მოდიხარ მოსკოვშიო. შევყოყმანდი. – მურმანი რომ არ მოდის, იმიტომ?

და კიდევ ერთი ნაგვიანევი გახსენება: მურმანი ბინას ელოდებოდა და სამი მშენებარე ვარიანტი შესთავაზეს: ბახტრიონის, ზაქარიაძის და საბურთალოს ქუჩებზე. ქალბატონ ლენასთან ერთად დავათვალიერეთ სამივე და მურმანმა საბურთალოსი აირჩია: როგორც თქვა, ასაშენებელი სახლის ფანჯრები პირდაპირ შეჰყურებდნენ ანას ფანჯრებს. სამწუხაროდ, აშენდა ბახტრიონისა და ზაქარიაძის ქუჩების სახლები და შეჩერდა და დღემდის არ აშენებულა საბურთალოსი.

ლექსი დამეწერა – „ფანჯრები“:

თითქოს უფალმა ინება, შენც იხილე და ინებე:
ორი პოეტის ფანჯრები ერთმანეთს შესციცინებენ.
მაგრამ ეს იყო ოცნება ღრუბლებში მოთამაშეთა:
ერთი აშენდა სახლი და მეორე ვეღარ აშენდა.
დღეს მთაწმინდელი და იგი – უკვდავი დაა ბიჭების
და ორივენი ღრუბლების ქულაზე დააბიჯებენ.

ერთხელ დაფიქრებულმა ანამ თავის რძალსა და მეგობარს ჰკითხა:

– თინა, იცი ყველაზე მეტად ვინ მენატრება?

– ვინ?

– ქალბატონი ქეთევანი, ქეთევან მაღალაშვილი.

ქეთევან მაღალაშვილი ანას დღიურების მთავარი პერსონა გახლავთ და 1996 წელს გამოქვეყნებული „ქეთევან მაღალაშვილის სეანსებზე“ მეორე ტომის ყველაზე შთამბეჭდავი მემუარია.

ეს – არა მარტო ხატვის – არამედ გულწრფელი მეგობრობის სეანსები გაგრძელდა 12 წელიწადს – მხატვრის გარდაცვალებამდე.

მხატვარმა თვითონ მიიწვია პოეტი. მისი პორტრეტის პირველი ვარიანტი არ მოეწონა და, როგორც სჩვევოდა, დახია. არც მეორე მოეწონა, მაგრამ ანამ სთხოვა და ერთადერთი გამონაკლისი დაუშვა: დაწუნებული ვარიანტი აჩუქა და ახლა იგი ანას კაბინეტს ამშვენებს და აშკარად ეტყობა დაუსრულებელი რომაა: ანა სკამზე ზის და უკან იხედება. მესამე დასრულებული ანფასი ამჟამად სახელმწიფო გალერეაში ინახება.

გარდა ქეთევან მაღალაშვილისა – ანას კედლებს ამშვენებენ რობერტ სტურუას, ირაკლი თოიძის, უჩა ჯაფარიძის, ნათელა იანქოშვილისა და გოგი თოთიბაძის ანა კალანდაძეები, და მე ერთხელ ანას შევთავაზე: მოიწვიე ტელევიზია და კედლებზე გამოფენილი ნახატების მცირე ისტორიები საძინებელ ოთახში გააგრძელე და კორიდორში დაასრულე-მეთქი. მისამართი შემეშალა: იდეა ტელევიზიისათვის უნდა შემეთავაზებინა.

ანას გალერეაში 1989 წლის გრაფიკული ნახატებით გაფორმებული დიდი ფორმატის იტალიური კალენდარი ჰკიდია. ასეთი კალენდრები ჩვენი მასპინძლის, მარიო გრასოს მეგობარმა მხატვარმა – კარლო როგანომ ჩამოგვირიგა სიცილიაში 1988 წლის 10 დეკემბერს.

რაც შეეხება პორტრეტებს, მათ შორის მაინც მაღალაშვილის დაუსრულებელი გამოირჩევა.

ანა კალანდაძე ქეთევან მაღალაშვილის ანტერ ეგო აღმოჩნდა და ვალში არ დარჩა: ჩანაწერებსა და დღიურებში მხატვრის არანაკლებ დამახასიათებელი და დაუვიწყარი პორტრეტი დაგვიხატა.

– ჩემი სკამის ფეხები ცარცითაა მონიშნული იატაკზე – სეანსების ბოლომდე სკამი ამ ადგილს არ უნდა გადასცდეს, – ჩაინიშნა ანამ.

ოცდაორი წლით ადრე ამ წრეში გალაკტიონმა გაატარა ორად ორი სეანსი, მაგრამ მერე ველარ მოიხელთა მხატვარმა, რომელმაც გააფრთხილა:

– აი, ცარცით შემოვხაზავთ ადგილს, სადაც თქვენ ხართ, ეს იმისთვის, რათა არ შეიცვალოთ ადგილი... თუ თავი და სახე კარგად არ დავაყენეთ – ორივენი დავიღუპებითო!

– მე გამაოცა ამ ქალის არაჩვეულებრივმა არტისტულმა გემოვნებამ, – პირველივე გასაუბრების შემდეგ ჩაინიშნა გალაკტიონმა 1939 წლის 2 იანვრის დღიურში.

– რამდენი ლექსი ვიცოდი ზეპირად გალაკტიონისა, – დანანებით გაეცდო ოცდაათი წლის შემდეგ მხატვარი ანას, რომლის მიერ 1969 წლის ოქტომბრის თვეში ჩაწერილი ეპიზოდი გვიდასტურებს აგრეთვე მხატვრის პოეტურ გემოვნებასაც:

„ქ-ნი ქეთევანი უსმენს ეზოში ბავშვების ჟივჟივს და ამბობს: Интонация не изчезла: ბავშვები ყოველ დროში ასე აჯავრებენ ერთმანეთს:

დარა-რა-რა, დარა-რა-რა, დარა-რა-რა, დარა-რა-რა.

ეხ... რატომ არაფერს ვიწერდი!

ბარატინსკის თავის პატარა ძმისთვის უთხოვია, ლექსი თქვიო... მასაც უთქვამს:

Индиана, Индиана, Индиана, Индиана...

სიტყვების ბუქი დაუყენებია. პუშკინი მიფერებია და უთქვამს: Правда, ты поэт... – და იცინოდა ქალბატონი ქეთო".

ეს მარადიული ინტონაცია, რომელიც პოეზიაში გრძელდება, როგორც ქალბატონმა ქეთევანმა შენიშნა, ბავშვობიდან იწყება და გალაკტიონის ლექსშიც გაგრძელდა:

მესმის რულში, ერთხელ გაიბზარა რა,
მატარებლის რა-რა-რა-რა, რა-რა-რა.

გალაკტიონის ადრეული ხანმოკლე და ანას გვიანდელი ხანგრძლივი საუბრები და დაკვირვებანი ერთმანეთს ავსებენ და ცხადად წარმოგვიდგენენ პოეზიით, მუსიკით, ფერწერითა და იუმორით გაჯერებულ, სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილ პიროვნებას, რომელსაც მისმა მოუხელთებელმა ნატურამ „ჩვენი მონა ლიზა“ უწოდა.

სხვათა შორის, „საქართველოო ლამაზოს“ მელოდიის ავტორმა თემო ნაცვლიშვილმა ანას უამბო:

– ერთხელ ნოდარ ჩხეიძემ (გ. ქუჩიშვილის ვაჟმა) გალაკტიონთან აგვიყვანა (მეზობლები იყვნენ) და ეს მელოდია მოასმენია. მას ცრემლები მოადგა თვალებზე, – ღვინო ბრძენს ეხმარება და ლოთს ასულელებსო, – გვითხრა, – ალბათ ღვინო გექნებოდათ იმ დღეს დალეულიო.

ანას დღიურების ხანგრძლივობა ნახევარ საუკუნეს მოითვლის.

ხშირად თვითონ მხოლოდ დაინტერესებული მსმენელია.

1977 წლის 11 თებერვალს თავისი მეგობრის, ცისია კახიანის დედას – გიორგი ლეონიძის დას – დეიდა ნინა ლეონიძეს მოუსმინა, რომელმაც „ნატვრის ხის“ პროტოტიპები გააცნო:

– სოფელში ერთი დიაკვანი იყო, სოლომონი ერქვა. იმაზე ამბობდნენ, ხაზინას ეძებსო, – დადიოდა ტყეში: ხეებს რომ თხრიდნენ, იმ ორმოებში ეძებდა – აკი უპოვიათ ვიღაცეებს ასეთ ამონათხრებში ხაზინა – ფულით სავსე ქისა! და ამიტო-

მაც ის დიაკვანიც სულ ეძებდა ამ ხაზინასა! ღარიბები იყვნენ. ერთხელ მისმა ქალმა კარგად ჩაიცვა და თქვეს, ხაზინა უპოვიაო – პეტრე-პავლობას ისეთი კაბა სცმია, რო!

– ფუფალა საგარეჯოელი იყო – აღათანგიანთ ქალს ეძახდნენ, სულ შეღებილი იყო და უცნაურად ეცვა. რამდენჯერ გოგიამ ფუფალასაც და მაგდასაც საკაბე უყიდა, მაგრამ იმათა ახლოსაც არ გაიკარეს არაფერი... ეს ფუფალა სულ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით დადიოდა და კვირაობით ჩვენსა ცხოვრობდა – უბეში წიწილები ჰყვანდა... სამაგიეროდ, ბევრი ლექსები იცოდა ომზე, თათრებზე და გოგია იმიტომ არ უშვებდა. როგორც კი წავიდოდა ჩვენგან, შარაზე ბავშვები აჯავრებდნენ.

– მარიტა... არა გლეხური სახელი, იმასა სხვა სახელი ერქვა, გიუნაანთ უბანში ცხოვრობდა პატარძეულში... პატარა ვიყავი, ჯერ კიდევ მეძინა, რომ საშინელმა ხმაურმა გამომაღვიძა – პროცესიას უკვე ჩაევლო, ჯორზე შესმული ქალი მიჰყავდათ – ნათლია და ნათლიდედას შეჰყვარებოდათ ერთმანეთი, ამბობდნენ სოფელში.

– ციციკორეც მახსოვს, ეს სახელი ერქვა... გვარი კი ვერ მომიგონებია... მჭედელი იყო, სკოლასთან ცხოვრობდა. მოინტელიგენტო კაცი იყო – კინოში როგორია? როგორი პატივნაცემი იყო ჩვენგან და როცა ლევანი გადაასახლეს, ერთხელაც არ უკითხავს ლევანის ამბავი!

ერთხელ უნივერსიტეტის ერთი სტუდენტის ნაამბობიც ჩაუწერია ანას: ზაფხულობით სტუდენტები სხვადასხვა რაიონში მოგზაურობდნენ, ფოლკლორის ნიმუშებს იწერდნენ და ჰონორარსაც იღებდნენ. ერთხელაც იმერეთის სოფელ კურსებში აღმოჩნდნენ. ძალიან ცხელოდა და მაღალი ხეებით დაჩრდილულ დიდ ეზოს შეაფარეს თავი. ყმანვილებს ოჯახის დიასახლისი გამოეგება.

– რა ლამაზი ეზოა თქვენი ეზო, ქალბატონო, რა მშვენიერი ჩრდილია, რა საამო ნიავი უბერავს, – შეეხმიანა ერთი სტუმარი.

– აბა, რა, – შეიფერა მასპინძელმა, – ჩვენმა კურსების ნიავმა პარიზში ნიავების გამოფენაზე პირველი პრიზი მოიპოვაო.

ანას ცხოვრების და შესაბამისად, დღიურების ყველაზე ხშირი ეპიზოდი – გულწრფელი მიწვევები და საზეიმო შეხვედრებია.

1986 წლის 20 მარტს ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში" – ბარათაშვილის ხიდის ქვემო სართულზე – ანას ვახლდით: მურმან ლებანიძე, ანიკო ვაჩნაძე – ლადო ასათიანის მეუღლე – და მე. დიდი აუდიტორია არ იყო და ანა იჯდა და ისე საუბრობდა და კითხულობდა ლექსებს. ბოლოს წამოიწყო: „ფეხი დამადგით, ფეხი დამადგით გულზე ყოველმან"... – თანდათან წამოდგა და ისე დაასრულა.

უკან გამობრუნებისას ანიკო ვაჩნაძემ გაიხსენა:

– გაწვიმდა. მე, ლადომ და ალიოშა საჯაიამ რომელიღაც ღია სადარბაზოს შევაფარეთ თავი. ლადომ თქვა: შევიდეთ ფოტოგრაფთან და სურათი გადავიღოთო. ჯიბეში 40 მანეთი მედო, მანანას რძის ფული და ვერ გავიმეტე. სურათი არ გადაგვიღია.

1993 წლის 31 მარტს სტუმრობისას ანამ შემომჩივლა: გამაგონეს – შენი სასაფლაო და ყაყაჩო ლადო ასათიანის ლექსებითაა შთაგონებულიო. როგორ გავამხილო, 1945 წელს, როცა ეს ლექსები დაიწერა, ლადო ასათიანის ლექსები წაკითხული არ მქონდაო.

აღარ მახსოვდა და ჩემი იშვიათი თამადობის დამადასტურებელი პირველი წერილობითი საბუთი სიამოვნებით აღმოვაჩინე 1999 წლის 14 აპრილის დღიურში:

– შეხვედრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში – საღამოს ესწრებოდნენ ზინაიდა კვაჭაძე და ნინო ჯავახიშვილი. იყო ზინა კვერენჩხილაძე და ვახტანგ ჯავახაძე. ვახტანგმა პატარა სიტყვის შემდეგ ჩემდამი მოძღვნილი ლექსი წაიკითხა... თამადობდა ერთადერთი მამაკაცი ჩვენს შორის – ვახტანგ ჯავახაძე.

1996 წლის 4 ოქტომბერს ვეწვიეთ:

– დილით 12 საათისათვის მოვიდნენ ჯანსულ ღვინჯილია და ვახტანგ ჯავახაძე, მომიტანეს სასიგნალო ცალები ჩემი მეორე ტომისა (7 წიგნი). ვახტანგმა დედანიც მომიტანა (2 შეკვრა). ჯანსულმა მითხრა, ახლა უნდა მოეწყოს თქვენი წიგნის პრეზენტაცია რუსთაველში ან ოპერაშიო... ვახტანგმა რომ დაწერა ერთი წიგნი „უცნობი", ახლა მეორე წიგნი უნდა დაწეროს თქვენზე – „ნაცნობიო".

ანას პოეზია და პიროვნება დიახაც დიდებული წიგნის ღირსია და ასეთი წიგნი უსათუოდ დაიწერება, მით უმეტეს – ამ დღიურების გამოქვეყნების შემდეგ.

რაც შემეხება მე: „უცნობი" არ მიშვებს!

ანას დღიურებს რომ პირთა საძიებელი დავურთოთ, გაგვიცოცხლდებიან დაუვიწყარი და დავიწყებული ნაცნობები და უცნობები, სახელოვნები და უსახელონი, ქართველები და არაქართველები, ფარული დეტალები, რომლებიც მხოლოდ ანას თვალმა შენიშნა და აღმოაჩინა.

დღიურების ნახევარსაუკუნოვანმა პანორამამ გადაგვირჩინა ჩვენი მწერლური და არამწერლური ყოფის მრავალი და მრავალი ფაქტი, ეპიზოდი, დეტალი, შემთხვევა, ეჭვი, ჭორი, სიმართლე და ასე შემდეგ.

და ამ ეპოპეას აგრძელებს და ასრულებს მოგონებები, რომლებიც ჩემი თხოვნით დაწერა ანას რძალმა და მეგობარმა თინა ყანდარელმა, რომელიც 15 წლის უმცროსი იყო ანაზე და 45 წელიწადი გაატარა ანას გვერდით.

– ანა თქვენი მესამე შვილი იყო-მეთქი, – შევკადრე ერთხელ ქალბატონ თინას.

– არა, ანა ჩემი პირველი შვილი იყოო, – მიპასუხა ორი შვილის დედამ.

ანა და ზურაბი კარის მეზობლები იყვნენ საბურთალოს ქუჩის მეორე სართულზე და, ცხადია, ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ. ანას ჰქონდა პოეტის მარტოობისათვის აუცილებელი ცალკე ბინა და ამავე დროს შეეძლო ნებისმიერ სასურველ დროს გამოსულიყო მოსაწყენი სიმარტოვიდან.

ანამ თბილისში ოთხი მისამართი და ოთხი ტელეფონი გამოიცვალა.

– ტელეფონი – ეშმაკის გამონაგონი, რომელმაც უმცირესი შანსიც კი არ დაგვიტოვა, რათა აბეზარ არსებებს გავერიდოთ, – ეს დამაფიქრებელი განმარტება გალაკტიონმა ამოიწერა ამბროზ ბირსის „ეშმაკის ლექსიკონიდან“.

ანას დღიურების წაკითხვის შემდეგ დარწმუნდებით: თითქოს და თითქმის მთელი თბილისი და მთელი საქართველო ემზადებოდა პოეტთან შესახვედრად. სახლში რომ დაბრუნდებოდა, ვიდრე კარს შეაღებდა, უკვე ესმოდა ეშმაკის გამონაგონის ზარი და, როდესაც სახლიდან გააბიჯებდა და კარი უნდა ჩაეკეტა, იგივე ზარი შემოაბრუნებდა უკან.

დაეთანხმებოდა და მერე შეწუხდებოდა. ბევრჯერ მიფიქრია: ნუთუ არ შეუძლია უარი უთხრას-მეთქი?

არ შეეძლო!

ერთხელ შემომჩივლა: ორი საქმის ერთად გაკეთება არ შემიძლია, არადა, ვინ გაცლის, გაზაფხულზე მაინც ყველა ერთად გამოიღვიძებს, კრაზანებივით მომრავლდებიან და ათასი სურვილი გაუჩნდებათო. დავეთანხმე: გაზაფხულზე ადამიანები მეტ გამბედაობასა და მეტ თავხედობას ამჟღავნებენ-მეთქი.

1997 წლის დღიურში ამოვიკითხე:

– ვერავინ დამარწმუნებს, რომ ჩვენს სახლს და ერთ მტკაველ მიწას მის ირგვლივ თაფლი არ სწვეთავს! ყველა აქეთ როგორ მოიწევს.

1946 წლის 25 მაისის პირველი წარმატებული და უჩვეულო დებიუტი ანუ „სენსაცია“, როგორც გალაკტიონმა უწოდა, 62 წელიწადს გაგრძელდა.

საკუთარ სახელს ვერ დაემალა. ამიტომაც ნანობდა, ალბათ, ლექსები რომ გამოაქვეყნა, ამიტომ გამოიგონა, ალბათ, საკუთარი ანბანი და დაშიფრა დღიურების დიდი ნაწილი, რომლებსაც ეგონა მხოლოდ თავისთვის წერდა და რომელთა საკმაო ნაწილსაც გასაგები მიზეზით ჩვენ ვერ ვაქვეყნებთ და შორეულ თაობებს ვუტოვებთ კიდევ ერთი სენსაციისათვის.

– ჩვენ შორის დარჩეს! – ხშირად უთქვამს ანას ჩემთვის ისეთ შემთხვევაში, როცა არავითარი აუცილებელი არ იყო ის შემთხვევა ჩვენს შორის დარჩენილიყო.

შენდობას ვთხოვ უკეთილშობილესი ქალბატონის აჩრდილს და შევბედავ: ჩემო უსათნოესო, არაფრით არ შეიძლება შენი დღიურები ჩვენს შორის დარჩეს!

და ამჯერადაც, როგორც ერთხელ შევთანხმდით, მე ვიქნები „ატვეჩაი“.

2020

ლექსიდან ლექსამდე

წინასწარ

– შეუძლებელია ადამიანმა თავის თავზე სიმართლე გვიამბოს და ამ სიმართლემ მკითხველამდე მიაღწიოს, – მარკ ტვენის ეს შეგონება კარგახანია წავიკითხე და მაინც გავაგრძელე ჩემი სახელდახელო და სალექსთაშორისო ჩანაწერები: საკუთარ თავზე თუ არ წამომცდება ნახევარი სიმართლეც კი, სხვებზე ხომ მაინც ვიტყვი სრულ სიმართლეს?!

მოსაღოდნელი შეხვედრა

ერთხელ, გამომცემლობაში, გიორგი ლეონიძემ გვითხრა:

– უცნაური ხალხი ვართ ქართველები: კაცთან ერთი ჭიქა ღვინო თუ დალიე და ერთხელ მაინც დაგადო მხარზე ხელი, შენი საქმე წასულია. ერთადერთი პიროვნება, ვისაც მხარზე ხელი ვერავინ დაადო, ილია ჭავჭავაძე იყოო.

– ბატონო გოგლა, თქვენთვის თუ დაუდევთ მხარზე ხელი-მეთქი? – ვკითხე.

– რამდენჯერაც გინდაო, – მიპასუხა.

მოგვიანებით მიხეილ ჯავახიშვილის წიგნაკების ჩანაწერებში ამოვიკითხე:

– ქრისტე რომ მოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფაჩუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკდებით: „ბიჭო, იესო, როგორა ხარ? რასა იქ, შე ჩემო ნალავ? წამო, ერთი ჩარექა დამალევინე“.

ორი გენია

ბოსხის გენიამ სიმახინჯე მშვენიერებამდე აამაღლა.

ბოტიჩელის ტილოები შეყვარებული კაცის დახატულია, ბოსხისა – გაბოროტებული კაცის.

კითხვა-პასუხი

– ვინაა თქვენი ყველაზე საყვარელი მხატვარი? – ვკითხე ერთხელ ბატონ ლადო გრიგოლიას.

– რა თქმა უნდა, მიქელანჯელო, – დაუფიქრებლად მიპასუხა ბატონმა ლადომ.

ლადო ასათიანი

ვახტანგ ჭელიძე: ლადო ასათიანი სიცოცხლეში ასე აშკარად არ გამოირჩეოდა თავისი თაობის პოეტებიდან. დრომ ეს განსხვავება თანდათან გაზარდა – ლადოს სასარგებლოდ.

ლუარსაბ თათქარიძის საქართველო

„ჭამა“ – ამ სიტყვას „ქართულ სინონიმთა“ ლექსიკონში 42 ერთეული შეესატყვისება. საქართველო არა მარტო რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის ქვეყანაა, არამედ აგრეთვე – ლუარსაბ თათქარიძის ქვეყანაც.

2007 წლის 10 ივლისს ონკოლოგიურ საავადმყოფოსთან სამარშრუტოს მძღოლებს ვკითხე, რომელიმე ხომ არ გაივლით მარჯანიშვილის ქუჩაზე – წიგნის სასახლესთან-მეთქი. ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს და ვერაფერი მიპასუხეს. ავუხსენი: ვერის ხიდზე (რა თქმა უნდა, გალაკტიონის ხიდი არ ვახსენე!) რომ გადახვალ და მარჯვენა მხარეს რომ ოთხსართულიანი შენობა დგას-მეთქი. მაშინვე მიხვდნენ: „აა, რესტორანი რომაა – „შემოიხედე, გენაცვალეო“?

ერთი წელია, ჩვენი სასახლის პირველ სართულზე რესტორანი გახსნეს და მთელმა თბილისმა შეიტყო. „წიგნის სასახლე“ კი 68 წელიწადია არსებობს და მისი არსებობა ერთეულებმა უწყიან.

ესეც შენი ლუარსაბ თათქარიძის საქართველო და არა ილია ჭავჭავაძის საქართველო!

ადრე, დაახლოებით ოცი წლის წინათ, როდესაც ჩუბჩიკას მიერ ნაჩუქარი ათიოდე ნახატი ავარჩიე ჩარჩოებში ჩასასმელად, მათ შორის აღმოჩნდა ქაღალდის პატარა ნახევზე მიხატული „ლუარსაბი და დარეჯანი“ (10 სმ×8 სმ) და, როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ყველა ქართველი წაითათქარიძეებს, თვით ილია ჭავჭავაძეც. გავიხსენოთ გალაკტიონის კალამბური: „ეს ილია ჭავჭავაძე სამ ინდაურს ჭამს ჭამაზე“. ამიტომაცაა ლუარსაბი საყვარელი და დაუვიწყარი გმირი. გავიხსენოთ აგრეთვე ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკო-

ნელის“ ეპიგრაფი: „საფრანგეთში ყველა ცოტათი წაიტარასკონელებს“, და ბოლოს და ბოლოს აკაკიც გავიხსენოთ და ნუ დავივიწყებთ:

როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის
ყოველი კარგი მწადია.

* * *

წერტილის გრძნობა, ეტყობა, უმთავრესია პოეტისათვის. დავით გაჩეჩილაძემ დაწერა ერთი ჩვიდმეტსტრიქონიანი ლექსი – „რარიგ სხვა იყო“. ალბათ, უმჯობესი იყო მხოლოდ პირველი სტრიქონი დაეწერა: „რარიგ სხვა იყო, ვიდრე დავწერდი...“. კლასიკური ხანის იაპონელი პოეტი ასე მოიქცეოდა ალბათ.

* * *

გასაოცარი და დასანანია: შოთა ჩანტლაძე სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა ვერლიბრის აღორძინება და აღიარება დაიწყო.

* * *

ზოგიერთი პოეტი იმიტომ მაინც უნდა წაიკითხო, რომ იცოდე, როგორ არ უნდა წერო.

* * *

დღემდის იმას ვსწავლობდი, როგორ არ უნდა ვწერო. ის როდისღა უნდა ვისწავლო, როგორ ვწერო? მოვასწრებ კი?

* * *

მე მინდა ვწერო ისე, როგორც ხატავდა ვან გოგი.

* * *

სიცილში ადამიანის ხასიათი ჩანს: ზოგიერთი მხოლოდ გაცინებისას იხსნება (იყიდება!), გაბრაზების დროსაც.

* * *

– ვერლიბრი რომ უკეთესი ყოფილიყო, მაიაკოვსკისთანა ხულიგანი მაგას დატოვებდა უყურადღებოდ? არც გალაკტიონი იყო ნაკლები ხულიგანი, მაგრამ ვერლიბრს ეპიზოდურად მიმართავდა, – მითხრა ბატონმა ირაკლი აბაშიძემ სახელგამში 1984 წლის 6 ნოემბერს.

ჩეხლიკა ვალერიან გაფრინდაშვილს:

– რა თქმა უნდა, მაინც ქართულად სჯობია ლექსების წერა: რუსულში 29 ასო-ნიშანია, ქართულში – 33.

* * *

დღიურებს უმეტესწილად ღამით წერენ. ამიტომ ღამეურები უნდა ერქვას და არა დღიურები.

* * *

მაიმუნი უკანა რიცხვით პაროდირებული ადამიანია (თუ პირიქით!), ანუ ადამიანი მაიმუნის ანტიკარიკატურაა.

* * *

მწერლის ბედი უნდა გადაწყდეს მის საწერ მაგიდასთან და არა ტელესტუდიაში ან ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

* * *

ხელოვნება არა მარტო ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, არამედ აქტიურ ზეგავლენასაც ახდენს ჩვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე: გრძელსახიან მანდილოსნებს ლამაზთა კატეგორიას არ ვაკუთვნებდი, ვიდრე ელ გრეკოსა და მოდილიანის პორტრეტებს არ შევეჩვიე.

* * *

საქართველოში ძველად იყო კეთილშობილთა სასწავლებლები, ახლა საჭიროა გაიხსნას კეთილშობილების სასწავლებლები.

* * *

1992 წლის 17 სექტემბერს ირინეს სკოლის დირექტორს, მათემატიკოს ოთარ ლომიძეს „უცნობის" მეორე გამოცემა ვაჩუქე. მადლობა გადამიხადა და მითხრა: პირველი გამოცემა რომ წავიკითხე, წიგნს ვაკოცეო. „უცნობმა" ბევრი კომპლიმენტი დაიმსახურა. ყველაზე მეტად ეს მომეწონა.

* * *

სამოციანი წლების დასაწყისში ფატი ნიშნიანიძის წიგნის რედაქტორი გახლდით – „რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან". ავტორს სათაურის შემოკლება შევთავაზე შემდეგი თანამიმდევრობით: საინტერესო ეპიზოდები გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან, ეპიზოდები გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებიდან, და ბოლოს: „გალაკტიონის ცხოვრებიდან".

გივი კვირკველიას ნაამბობი

1993 წლის 10 მარტს ასტრონომმა გივი კვირკველიამ, რომელიც გამოსაცემი კალენდრისათვის მზისა და მთვარის ფაზებს გვიმზადებს, მიამბო: კენისბერგში რომ შევედით, იქაური გერმანელი ქალიშვილები გავიცანით. მშვენივრად ლაპარაკობდნენ რუსულად. გაგვიკვირდა და გვიამბეს: ჩვენ წინასწარ გვამზადებდნენ: ჰიტლერს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოში დაეტოვებინა ჯანმრთელი და ჯანიანი მოსახლეობა – მხოლოდ 10% სოფლის სამუშაობისათვის. დანარჩენები ციმბირში უნდა გადაესახლებინა, აქ კი უძვირფასესი კურორტები გაეშენებინაო. ასე რომ, ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლა მართლაც სამართლიანი ბრძოლა იყო და ამ ომში დაღუპულ ქართველთა სისხლი ამაოდ არ დაღვრილა.

ისტორია მეორდება

1991 წელს პრეზიდენტის მომხრე ერთმა ფიზიკოსმა მიტინგზე წერილი გაუგზავნა ზვიად გამსახურდიას, სიტყვა „ინტელიგენცია“ ლექსიკონიდან ამოვიღოთო.

ოპოზიციონერ ინტელიგენტებზე განაწყენებულმა ნიკოლოზ მეორემაც მოითხოვა, ლექსიკონიდან ამოეღოთ სიტყვა „ინტელიგენცია“.

შუქრის ფანქარი

შუქრი მირცხულავა რედაქტორად მუშაობდა გამომცემლობაში. ალიო მირცხულავას ძმისშვილი ლექსებს წერდა, მაგრამ არ აქვეყნებდა. მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით. მისი მაგიდა რომ გავათავისუფლეთ, ერთი უბრალო წვრილი ფანქარი დავიტოვე. როდესაც ახალ წიგნს ვკითხულობ, ამ ფანქრით აღვნიშნავ მოწონებულ ადგილებს და ყოველთვის მახსენდება კარგი კაცი – შუქრი მირცხულავა.

შუქრის დედა და დეიდა იყვნენ ჩემთან და მე დავეხმარე შუქრის ლექსების პირველ პუბლიკაციაში. ახლახან მურმან ლებანიძემ შუქრის ლექსების პატარა წიგნიც გამოსცა.

გამოუსწორებელი შეცდომები

რედაქტორის პრაქტიკაში არის იშვიათი შემთხვევა: ასწორებ რომელიმე ავტორის მცდარ მოსაზრებას და მერე ნანობ.

ოთხმოციან წლებში რესპუბლიკის ადრინდელმა ხელმძღვანელმა მემუარები დაწერა და გალაკტიონს უსაყვედურა: საზოგადოებრივ საქმიანობაში ვერ ჩავაბით, სვამდა, ლენინის ორდენი დაკარგაო... მე შევნიშნე, გალაკტიონი სრულიადაც არ გახლდათ საქმის კაცი, სჯობდა უკეთესი პირობები შეგექმნათ და მეტ შედევრებს დაწერდა-მეთქი. დამიჯერა და ეს პასაჟი წიგნიდან ამოიღო. არადა, ჯობდა დაბეჭდილიყო.

დაახლოებით ამავე პერიოდში, ერთმა მწერალმა საგარეჯოს რაიონზე წიგნი დაწერა: მოვა დრო და ქართველი ხალხი შუშანიკ დედოფლისა და თამარ მეფის სურათების გვერდით მედეა მეზვრიშვილის სურათს დაკიდებსო (მედეა მეზვრიშვილი საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ). ეს პასაჟიც ამოვაღებინე ავტორს და მერე ვინანე.

გამარჯვებული მოლოდინი

ჭაბუა ამირეჯიბი პირველად მწერალთა კავშირში ვიხილე. ახალი ჩემოსული იყო გადასახლებიდან. ტრიბუნას სხარტად მიუახლოვდა ახოვანი „მზეჭაბუკი“ და პატარა ბლოკნოტი კი არ დადო ტრიბუნაზე, ნახევრად მოისროლა, თანაც ისე მოხდენილად, რომ ეს არა-ჩვეულებრივი მანერა დღემდე მახსოვს. მაგრამ არა-ჩვეულებრივი პიროვნება ჩვეულებრივ მოთხრობებს წერდა და ასეთი შეუსაბამობა თითქოს გაწონასწორებას მოითხოვდა, ელოდებოდა, გვპირდებოდა. ასეც მოხდა: არა-ჩვეულებრივმა პიროვნებამ არა-ჩვეულებრივი წიგნი დაწერა – „დათა თუთაშხია“, საუკუნის წიგნი!

* * *

ორპირმა ქარმა ლოჯიის დიდი შუშა დამიმსხვრია. მამასისხლად ვიყიდე ორმილიმეტრიანი შუშა – 130×160, უკანასკნელი 1800 რუსული რუბლი და 2400 ქართული კუპონი გადავიხადე. მივაკითხე მთელს უბანში ცნობილ ჩვენს მეზობელ მეშუშეს – ვასია საბოლევს. რამდენიმე თვის წინათ დაცემულა, ძლიერი შერყევა დამართნია და თავის ქალის ტრეპანაცია დასჭირვებია. გამხდარი და დასუსტებულია, მაგრამ მაინც ნამომყვა. გაუჭირდა, ველარ გაჭრა შუშა. მარჯვენამ უმტყუნა. გამიფუჭა მამასისხლად ნაყიდი. ბოდიში მომიხადა და წავიდა. სულაც არ გავბრაზებულვარ, რადგან ჩემს თვალწინ გამოცდილი ოსტატი „მოკვდა“.

ციფრები და ციფრები და ციფრები

ტარიელ ჭანტურიამ შენიშნა და აღნიშნა თავის წერილების წიგნში ჩემი ციფრებით გატაცება და ციფრებით დანერილი ლექსი „მ7 ღმ1“. მე მართლაც აქტიურად ვიყენებ ციფრებს. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ გადავიკითხე და გამიკვირდა და გამიხარდა:

ჭირი ბევრჯერ ვაათასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი.
თავთა ჭირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთ.
სულთქმა ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს.
აქა ლხინი დაღრეჯილსა უათასდა, არ უათდა.
უმართლეა, ვერ-მჭვრეტელმან თუ პატიჟნი იასოცნეს.

ნიკა აგიაშვილის ნაამბობი

ომის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ ერთი ჩემი თანასოფლელი მოკლე გზით რკინიგზის სადგურისაკენ მიიჩქაროდა ფეხით. ზამთარი იდგა და საღამოხანი იყო. რამდენიმე ვერსის შემდეგ გზაზე ნაცნობი თანასოფლელი შემოხვდა, რომელიც ომში დაკარგულად ითვლებოდა და ახლა სახლში ბრუნდებოდა. მოიკითხეს ერთმანეთი და ორივემ თავისი გზა გააგრძელა... რამდენიმე დღის შემდეგ პირველი სახლში დაბრუნდა და ომგადახდილის ამბავი მოიკითხა. გამოირკვა, რომ იგი სახლი არ დაბრუნებულა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ეძებეს, ეძებეს და ტყისპირას ჯარისკაცის ტანსაცმლის ნაფლეთები იპოვეს: მგლების ხროვას დაეგლიჯა – ომის ჯოჯოხეთს გადარჩენილი.

* * *

ერთმა ცნობილმა მწერალმა დამირეკა და სახლში მიმიწვია. ვეახლე. ცოლი ორი თვის წინ გარდაეცვალა და მას შემდეგ ქალაქში არ გამოდიოდა. საკმაოდ ამაყი და მტკიცე ნებისყოფისა გახლდათ და, ჩემდა გასაკვირად, აშკარა დეპრესიაში იმყოფებოდა. წვერგაუპარსავი დამხვდა და ფანჯრებზე შტორები ჩამოეფარებინა. გამომცემლობაში დედანი უნდა წარმოედგინა და დედანი მე გამომატანა. გამომშვიდობებისას მთხოვა სახლში მარტომყოფმა: რაც აქ იხილე, ნურავის ეტყვიო. ამიტომ მწერლის ვინაობას არ ვასახელებ. ამას მხოლოდ ქმრების საყურადღებოდ და ცოლების სასიამოვნოდ ვწერ.

მიხეილი და მიხეილი

რუსეთის იმპერიის ერთმა ჯალათმა – მიხეილ მოლოტოვმა ოთხმოცდათექვსმეტი წელიწადი იცოცხლა, რუსეთის იმპერიის ერთმა გენიამ, მიხეილ ლერმონტოვმა კი – ოცდაექვსი. აი, განგების უსამართლობა!

* * *

1973 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა ლევან გოთუა. ეს ამბავი დილით გამომცემლობაში გამოცხადებისას შევიტყვეთ. ვახტანგ ჭელიძე, ალიო ადამია და მე ერთად მივედით მწერლის ბინაში, პლეხანოვის პროსპექტზე და ოჯახს მივუსამძიმრეთ. ამ დროს გამომცემლობაში სასტამბოდ გამზადებული იდო ლევან გოთუას სოლიდური მოცულობის წიგნი, მაგრამ ავტორს ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული. მემკვიდრე კი, არსებული წესის თანახმად, ჰონორარის ნახევარს მიიღებდა. ამიტომ, დავბრუნდით თუ არა გამომცემლობაში, გავაფორმეთ ხელშეკრულება წინა რიცხვით და ავტორის მაგიერ მე მოვაწერე ხელი. ეს იყო ზნეობრივად სრულიად გამართლებული „სიყალბე".

* * *

ეგვიპტეში წასვლამდე მოშვებულ ონკანს ვერ ვამჩნევდი. მას შემდეგ მოშვებულ ონკანს ვერ ვიტან. წყაროსაც კი ვერ ვუყურებ გულგრილად.

* * *

ესტრადის მომღერლები და სპორტსმენები სცენაზე და სტადიონებზე მოღვაწეობენ, მწერლები და მხატვრები კი – კულისებში. ამიტომ ახალბედა მომღერლები და სპორტსმენები უფრო ცნობილები არიან, ვიდრე „ცნობილი" მწერლები და მხატვრები. რას იზამ, ასეთია პროფესიული „უსამართლობის" დაუწერელი კანონი.

* * *

სამოცდაათან წლებში გამომცემლობაში ესპანელი პოეტი გვესტუმრა. ძალიან გაუკვირდა ჩვენი პოეტური კრებულების დიდი ტირაჟები (თუმცა ამ ტირაჟებს უპირატესად წიგნის იაფი ფასები განაპირობებდა). მე ვკითხე, ესპანეთში როგორ იყიდება წიგნები-მეთქი. ორსტრიქონიანი კალამბურით მიპასუხა (რუსული იცოდა): Поэзия не продается, потому что поэзия не продается. მომეწონა. ამ ორი სტრიქონის ავტორიაო – თანამედროვე არგენტინელი პოეტი – გილიერმო ბოიდო.

დაახლოებით იმ წლებში (1977 წელს) გამოქვეყნდა ანდრეი ვოზნესენსკის ლექსი – „Книжный бум", რომელიც ამ სტრიქონებით მთავრდება:

Ахматова не продается,
не продается Пастернак.

რა არის ბედნიერება?

1991 წლის 14 ივნისს ტელევიზიით გადმოსცეს საუბარი ცნობილ რუს მსახიობთან, იური ნიკულინთან. მან ერთი თავისი ნაცნობისგან გაგონილი განმარტება გაიხსენა:

– რა არის ბედნიერება?

– როცა დილით სამსახურში წასვლა გიხარია და საღამოს – შინ დაბრუნება.

მომეწონა.

* * *

საოცარია: რუსულად ჩემი ორი წიგნი გამოვიდა და არცერთ მთარგმნელს არ ვიცნობ პირადად. პირველი 1970 წელს ელენა ნიკოლაევსკაიამ თარგმნა: „სოვეტსკი პისატელში". მე განცხადებაც კი არ დამიწერია. მიშა ქვლივიძის რეკომენდაციით შეიტანეს გეგმაში.

მეორე წიგნს 9 ახალგაზრდა მთარგმნელი ჰყავს. ესეც ჩემგან დამოუკიდებლად გამოიცა. ერთხელ ტელევიზორში ოთარ ნოდიას მოვუსმინე: მოსკოვში ელიზბარ ანანიაშვილმა ახალგაზრდა მთარგმელთა სტუდია ჩამოაყალიბა და ვახტანგ ჯავახაძის წიგნს ამზადებენო.

შემდეგ ბატონმა ელიზბარმა ეს თარგმანები თბილისში ჩამოიტანა და მე მიმიწვიეს მთარგმნელთა კოლეგიაში. მე ვკითხულობდი ქართულად, ბატონი ელიზბარი კი – რუსულად იმავე ლექსის რამდენიმე თარგმანს. ასე შევარჩიეთ უკეთესები და 1986 წელს „მერანმა" გამოსცა მეორე რუსული – ოთარ ნოდიას წინასიტყვაობით. ამ წიგნის 9 მთარგმნელთაგან ერთი მიშა ქვლივიძის ყოფილი სიძეა – ა. მარკევიჩი. მე მასთან ტელეფონით მისაუბრია: მიშას ახალგაზრდა ფრანგი პოეტების რუსულად თარგმნილი კრებული ვთხოვე. მისმა სიძემ, რომელიც ამ წიგნის ერთ-ერთი მთარგმნელია, წიგნი მიშოვა და გამომიგზავნა კიდეც ასეთი წარწერით: „Вахтангу Джавахадзе – от одного из авторов сего французского „винегрета" – Саши Маркевича, – с уважением".

სხვათა შორის, პირველი კრებულის მომზადებას სამი წელი დასჭირდა. ამ სამი წლის მანძილზე რამდენიმეჯერ ვიყავი მოსკოვში, მაგრამ გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის" შენობაში ფეხი არ შემიდგამს და ამიტომაც დაგვიანდა გამოცემა. მოგვიანებით ელენა ნიკოლაევსკაიამ გამოსცა საკმაოდ მოზრდილი კრებული ქართველი პოეტების თარგმანებისა და ჩემი არცერთი ლექსი არ შეიტანა. მე მგონი, გარდაცვლილ ავტორად ჩამთვალა.

იოსებ გრიშაშვილი თავის წიგნში „საიათნოვა“ წერს: „მე ვიცნობ ეხლანდელ ერთ დუქანდარს იელიშას! ნამდვილი ლოველასია. მან ამ ბოლო დროს ღვინის დუქანი გააღო აბანოებთან... ზედ დიდი ასოებით აწერია: „Не уезжай голубчик мой“... და იცით რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ როცა ყაბარჩაში მოფუთნული ქალები გაივლიდნენ იმის წინ აბანოში გასამგზავრებლად – შეეხედნა, „თვალისთვის წყალი დაელევინებინა“ და ვნებააატეხილს მალიმალ ნერწყვი გადაეყლაპა ხოლმე. ესეც არ იკმარა: საწყალ ბიჭს წელი ჰქონდა მოწყვეტილი ჰაიჰარა წყლის ზიდვით, ყოველ ნაშუადღევს მოაჭოჭინებდა ტროტუარს და აქცევდა აუარებელ წყალს დუქნის წინ, რომ რა არი: აბანოში მიმავალ ქალებს კაბის ბოლოები აეკრიბათ ხელში და თვით კი, სკამზე მჯდომელა, დამტკბარიყო არშიაშემოვლებული წვივის ყურებით“.

ეჰ, ჩემო იელიშა, ერთი წამოგახედა დღევანდელ თბილისში! არავითარი ტროტუარის მორწყვა არ დაგჭირდებოდა, მაგრამ სახლში კი ნამდვილად ვერ წახვიდოდი და მშვიდად ვეღარ დაიძინებდი!

თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ვერც ნიკოლოზ ბარათაშვილი დარჩენილა გულგრილი და ღამით ყაბახზე თვალიც გაქცევია და კალამიც გაქცევია:

ამა სიტყვაზე ვარდი ღაწვზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა.

ერთი ტელეგადაცემის შემდეგ

1996 წლის 26 ივლისს ტელევიზიით ვიხილე და მოვისმინე გადაცემა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონზე, გივი კარტოზიაზე. გადაცემა ძირითადად მიჰყავდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, გურამ საღარაძეს. ჩასულა ბათუმში (კარტოზია ბათუმელია) და ესაუბრებოდა იქაურებს. მიკროფონით დადიოდა აგრეთვე თბილისის ქუჩებში, აჩერებდა გამვლელებს და ეკითხებოდა კარტოზიას შესახებ. საუბრობდა თვითონაც.

მთელი გადაცემის მანძილზე არც ტიტრზე დაწერილა და არც გამოუცხადებიათ, ვინ იყო თვითონ გურამ საღარაძე. ერთხელ კიდევ გამაკვირვა ამ პიროვნების მოკრძალებამ. ერთხელ მან – შესანიშნავი მწერლისა და პიროვნების, ბადრი ჭოხონელიძის ქელეხის სუფრაზე – პოეტებს მოგვმართა: ჩვენ კი არა – თქვენა ხართ მსოფლიოს ჩემპიონები, ლექსის თარგმნა რომ შეიძლებოდესო. გურამ საღარაძეს კიდევ ერთი ოქროს მედალი აქვს – სკოლის ოქროს მედალი და, ეტყობა, ამასაც აქვს მნიშვნელობა.

ხოკუსაის მთები და ღექსები

კაცუსიკა ხოკუსაი ლექსებსაც წერდა, უფრო სწორად – თავის ნახატებს უწერდა ლექსებს. ასეთ ილუსტრირებულ და პოეტიზებულ წიგნს მან უწოდა „მთები და მთები“.

ანალოგიურად შეიძლება ლექსების წიგნს ეწოდოს „ლექსები და ლექსები“, ანდა – „ლექსები და ლექსები და ლექსები“. მგონი, ეს უკანასკნელი სჯობს!

* * *

მერაბ ბერძენიშვილი ძალიან ჰგავს საკუთარ ბიუსტებსა და პორტრეტებს. ეს ისეა, რომანში რომ ავტორისეული შტრიხები შეინიშნება. მერაბი ჰგავს აგრეთვე სალვადორ დალის.

სხვათა შორის, ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაში ასეთი ვერსიაც გახმაურდა: მონა ლიზა ლეონარდოს ავტოპორტრეტიაო.

* * *

ბავშვი – ყველა საყვარელია, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებით მარიამის ტოლა ბავშვები მომწონს და მიყვარს. ეს დღეს აღმოვაჩინე: მარჯანიშვილის ქუჩაზე 8-9 წლის გოგონები მიპრუტუნობდნენ და მიჟღურტულობდნენ. ზურგზე დიდი ჩანთები მოეკიდებინათ. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და გზას არ უთმობდნენ ერთმანეთს. ვუყურებდი და თვალი ვეღარ მოვაცილე.

* * *

რამდენიმე დღეა, მარცხენა ყურში არ მესმის. ჭკვიან კაცს მარჯვენა ყურს მივაპყრობ და ისე ვუსმენ, სხვებს – მარცხენას. ვერთობი, რა!

ჩას კითხულობ?

მკითხველის მიერ წიგნში მოწონებული და ხაზგასმული ადგილების მიხედვით შემიძლია წამკითხველის გემოვნება და ნიჭი შევაფასო.

„მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი, ვინა ხარ“ (გოეთე).

* * *

ერთხელ ანამ სადღაც ამოკითხული გაიხსენა: თუნდაც არ გეწერებოდეს, მაინც ხშირად უნდა მიუჯდე საწერ მაგიდას და რაღაცას მაინც დაწერო. თვითონ კი ბრძანებს: წერად რომ დავჯდები, ლექსი უკვე მზადა მაქვსო.

ერთხელაც ლექციის დროს, რეზო ინანიშვილი რომელიღაც თანამედროვე რუსი მწერლის მოთხრობას თარგმნიდა: განა ამის გამოქვეყნებას ვაპირებ? – მინდა შთაგონება გამოვიწვიო, გავაღიზიანო, არ გაზარმაცდესო, – ამიხსნა.

* * *

მწერალმა რაც შეიძლება იშვიათად უნდა იკითხოს ოფიციალური პრესა და იშვიათად უნდა უსმინოს ტელევიზორს, რადგან ყველაზე მეტად აქედან მოედინება დაშტამპული აზროვნება, კლიშეები და ტრაფარეტები. რომ შეიძლებოდეს, ბავშვობიდანვე უნდა გაერიდოთ ამ ინფორმაციულ აგრესიას, რადგან იგი თანდათან იპყრობს ტვინის უჯრედებს და ავიწროვებს თავისუფალი აზროვნების არეალს.

* * *

წიგნის მრავალ ტექნიკურ რედაქტორს ვიცნობ, ახალგაზრდებს და ვეტერანებს, ყველაზე უკეთესი მათ შორის გახლდათ – პავლე ინგოროყვა. გადაათვალიერეთ მისი წიგნები, განსაკუთრებით – „გიორგი მერჩულე". ბატონი პავლე თვითონ იყო თავისი ტექნიკურად რთული წიგნების დიზაინის ავტორი და ბრწყინვალე ტექრედაქტორი.

* * *

ლოპე დე ვეგას ეკუთვნის ეს ორი სტრიქონი:

Марино, славный живописец слуха,
и Рубенс, стихотворец наших глаз.

(ჯამბატისტია მარინო – 1569-1625 – იტალიელი პოეტი, რთული მეტაფორების ოსტატი იყო).

პოეზიისა და ფერწერის ურთიერთობის კარგი ნიმუშია.

* * *

1996 წლის „ინოსტრანკას" მეცხრე ნომერში წავიკითხე თანამედროვე შოტლანდიელი მწერლისა და მხატვრის ალასდერ გრეის პატარა მოთხრობა – „Поближе к машинисту". მატარებელში, რომელსაც კომპიუტერი მართავს, მგზავრები საუბრობენ. მოულოდნელად ეს მატარებელი მეორე მატარებელს დაეჯახება და მოთხრობა ასე მთავრდება: „В следующий миг учительница, как и другие пассажиры поезда, слишит начало взрыва – начало, но не конец".

მომეწონა.

* * *

აღიარებულია აქსიომა: მწერალი=ნიჭი+ოფლი, ანუ: ნიჭი+შრომისმოყვარეობა. მსოფლიო ლიტერატურების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ეს აქსიომა ასე უნდა დავაზუსტოდ: მწერალი=ნიჭი+ოფლი+ცოლი!

* * *

საკმაოდ დიდი ხნის წინათ, მწერალთა კავშირის ბაღში, ერთმა მწერალმა დავით გაჩეჩილაძეს ჰკითხა: დათიკო, ლექსებს რატომ აღარ წერო. დავითმა უპასუხა: თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე, ჩემი ლექსების გახსენებაზე გული მერევაო. მე შემთხვევით მოვისმინე ეს საუბარი და ძალიან გამიკვირდა. იმდენად გამიკვირდა, რომ დავეჭვდი, ხომ არ მომესმა-მეთქი და ამის შესახებ არავისთვის არაფერი მითქვამს. აგერ ახლახან „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა ვასილ კიკნაძის საინტერესო მოგონებანი მწერალთა ბაღის დიალოგებზე და ეს ფაქტი იქაცაა დადასტურებული. პირადად მე ყოველთვის სიმპათიით ვიყავი განწყობილი დავით გაჩეჩილაძისადმი და ვერ ვიტანდი განდიდების მანიით შეპყრობილებს, მაგრამ არც ნამეტანი ნიჰილიზმი გამოადგება პოეტს და, ამ შემთხვევაში, არ გამოადგა დავით გაჩეჩილაძეს.

თამაღებმა რა დააშავეს?

1997 წლის 14 თებერვალს მანანა გიგინეიშვილმა პარლამენტში ჩაატარა სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქართული ენის სიწმინდის დაცვას. მოწვეულნი იყვნენ მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, გამომცემლობის მუშაკები. მე ვურჩიე მანანას, შემდეგ სხდომაზე თბილისის ცნობილი თამადებიც მოეწვია, იმათ ხომ საკმაოდ დიდი აუდიტორია უსმენს სამას-ოთხასკაციან ქორწილებში და ქელეხებში?!

ჩუბჩიკა

1997 წლის 11 აპრილს რუსთაველზე ჩუბჩიკა შემხვდა და მითხრა: შენს „უცნობს" უკვე მესამედ ვკითხულობ და უფრო და უფრო მომწონს. ნუთუ სხვებიც ამას არ გეუბნებიანო. მაცნობა, აქვე, რუსთაველის ძეგლს იქით, შენობა გვაქვს შერჩეული და გალაკტიონის კაფე-სალონი უნდა გავხსნათო. შევიკრიბოთ და ერთად მოვილაპარაკოთ, როგორ მოვაწყოთ სალონიო.

მირზა გელოვანის გახსენება

ირაკლი აბაშიძემ მიამბო:

– 1944 წელს მოსკოვში შევხვდი მირზა გელოვანს. იგი გერმანიიდან ნადავლით (ტროფეით) დატვირთულ ეშელონებს მოაცილებდა და ხშირად ჩამოდიოდა დედაქალაქში. შინელი

გადაიხსნა და მანახა: შიდა ჯიბეები ფულის შეკვრებით ჰქონდა გატენილი. დაგვპატიჟა და კარგადაც გვაქეიფა.

თვითონ მირზა სწერდა დას, რუსუდანს, 1944 წლის 30 აპრილს:

– გუშინწინ მოვბრუნდი მოსკოვიდან, სადაც უკვე მეორედ ვიყავი... მეორედაც მშვენივრად გავატარე დრო მოსკოვში. ჩემ მოსკოველ ამხანაგებთან დავლიე შენი სადღეგრძელო... მე მქონდა შესაძლებლობა სამუდამოდ მოსკოვში დარჩენისა, მაგრამ რატომღაც არ გადავწყვიტე ეს და კვლავ ფრონტზე ვარ.

მირზა დაიღუპა 1944 წლის ივლისში, დასავლეთ დვინის გადალახვის დროს, ბელორუსიაში, ვიტებსკის ოლქში.

* * *

1997 წლის 24 მაისს, საღამოს, ტელეფონით ვესაუბრე მურმანს. სხვათა შორის მითხრა: სახელიც არაფერი ყოფილაო (უკმაყოფილო იყო რუსთაველის საზოგადოების ძველ ხელმძღვანელობასთან გაჭიანურებული სასამართლო პროცესებით. ერთი მორიგი სხდომა გუშინ გადაიდო). მე ვუპასუხე: აბა შენ რას გვთავაზობ, სახელისათვის არ უნდა ვიზრუნოთ და, როგორც გაგვიხარდება, ისე ვიცხოვროთ-მეთქი? დიახო, – მიპასუხა. მაშინ, მთლიანად არა, მაგრამ სანახევროდ და მეტადაც შენ მაგ პრინციპს ახორციელებ და გული აღარ უნდა დაგწყდეს-მეთქი. დამეთანხმა და კარგა გემრიელადაც იცინა.

გოეთე და ბაირონი

1925 წლის 25 დეკემბერს, კვირა დღეს, გოეთემ ეკერმანს უთხრა:

– ბაირონს რომ საშუალება ჰქონოდა, მთელი თავისი ოპოზიციური მგზნებარება და უმკაცრესი გამოთქმები დაუზოგავად დაეხარჯა პარლამენტში, ბილწსიტყვაობისაგან განიწმინდებოდა. მაგრამ რაკი პარლამენტში გამოსვლა არ უხდებოდა, იძულებული გახდა, უკეთური გრძნობები, რომლებიც თანამედროვეებისადმი გაუჩნდა, გულში დაეგროვებინა და მისგან განთავისუფლების სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ ლექსებად გადაესახა და გამოეხატა ეს გრძნობები. ამიტომ ბაირონის „უარმყოფელი" ნაწარმოებების უმრავლესობას მე დავარქმევდი „პარლამენტში ვერწარმოთქმულ სიტყვებს".

ჩვენს პარლამენტარ პოეტებსაც რომ ავუკრძალოთ პარლამენტში გამოსვლები, იქნებ მათ ლექსებს მეტი მგზნებარება შეჰმატებოდა?!

რაც შეეხება ბაირონისადმი დამოკიდებულებას, გოეთე ყოველთვის აღიარებდა და აქებდა მას, შექსპირის გვერდითაც კი აყენებდა და არა იმის გამო, რომ ბაირონიც ინგლისურენოვანი პოეტი იყო: შილერის ტალანტსაც მაღალ შეფასებას აძლევდა და რიგ შემთხვევაში უპირატესობასაც ანიჭებდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მისი თანამედროვე გახლდნენ.

სამი მემორიალი

ტარიელ ჭანტურია ერთი სახლის მემორიალურმა დაფამ დააინტერესა (ფურცელაძის ქუჩა, 12): „ამ სახლში 1937-1976 წწ. ცხოვრობდა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბესარიონ (ბესო) ჟღენტი“. ტარიელს აინტერესებს, ვინ ცხოვრობდა ამ სახლში 1937 წლამდე?

მე ამ რეპლიკამ მეორე მემორიალი გამახსენა (ელბაქიძის დაღმართი, 11): „ამ სახლში 1931 წლიდან 1937 წლამდე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი“.

თუმცა ეს ორი მწერალი ერთი ქალაქის სხვადასხვა სახლში ცხოვრობდა, მაინც სამწუხაროა და დამაფიქრებელი, რომ ერთი მწერალი 1937 წლამდე ცხოვრობდა, ხოლო მეორე მწერალი 1937 წლიდან ცხოვრობდა.

აგერ, ყოფილი ვორონცოვის და ყოფილი მარქსის, ამჟამად ზაარბრიუკენის მოედანზე ხუთსართულიანი სახლის კედელზე ათი დაფაა, მათ შორის ერთი – მწერლისა: „ამ სახლში 1937-1971 წლებში ცხოვრობდა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალიო ანდრიას ძე მირცხულავა“.

ამ სახლში ცხოვრობდნენ აგრეთვე მსახიობები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, ემანუილ აფხაიძე, ალექსანდრე წუწუნავა, ცეცილია წუწუნავა, თერაპევტი ლ. ანჯაფარიძე, არქიტექტორები – ზ. და ნ. ქურდიანები – ცხრავე 1936 წლიდან და მხოლოდ ერთადერთი პოეტი – 1937 წლიდან!

მინაწერი: მოსკოვში საერთოდ აკრძალეს მემორიალური დაფები. ეს იქნებ მეორე უკიდურესობა იყოს. თუმცა, იქნებ ასე სჯობდეს, რომ ქალაქი დიდ სასაფლაოს არ დაემსგავსოს?!

* * *

1963 წელს სიმონ ჩიქოვანის სამტომეულის პირველი ტომის დედანს ვამზადებდი სასტამბოდ: ცნობილი უსათაურო ასე იწყება: „არის სიყრმის და სიმწიფის შორის შესვენების და სიმორცხვის ჟამი"... მე, როგორც რედაქტორმა, შევთავაზე ბატონ სიმონს გაესწორებინა: „არის სიყმეს და სიმწიფეს შორის"... (სიყრმის და სიმწიფის – მეგრულის გავლენით უნდა იყოს განპირობებული). ბატონი სიმონი დამეთანხმა, მაგრამ არ გაასწორა: პოპულარული ლექსია და ამიტომ დავტოვოთო.

1980 წელს გივი გეგეჭკორმა და ემზარ კვიტაიშვილმა „გაითვალისწინეს" ჩემი შენიშვნა და „ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიაში" გაასწორეს აღნიშნული სტრიქონი (ცხადია, ავტორთან შეუთანხმებლად).

სხვათა შორის, ერთმა ქართველმა პოეტმა ამ ლექსის გავლენით დაწერა ლექსი „ხმაურისა და სიჩუმის შორის" და უზუსტობა შეცდომად აქცია. წიგნიც გამოსცა ამ სათაურით.

* * *

„დავწვათ ლუვრი!" – გაიძახოდნენ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში დადაისტები ანუ ფუტურისტები. ამათ რიგებში ირიცხებოდნენ ტრისტან ტცარა, გიიომ აპოლინერი, ბლეზ სანდრარი, ჟან კოკტო.

აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს პოეზია ორიგინალობის უკიდურესად ახირებულმა იდეამ!

„წიგნების აგიზგიზებული კოცონი მენატრებაო", – ნატრობდა მარინეტი და ჰიტლერმა შეუსრულა ეს ნატვრა. სამწუხაროზე სამწუხარო ფაქტია: პოეტი – ფაშისტის მეგობარი!

* * *

გნებავთ „ვეფხისტყაოსნის“ კონგენალური თარგმანი? ამისთვის აუცილებელია ორი პირობა: მთარგმნელმა ძალიან კარგი ქართული უნდა იცოდეს და მთარგმნელი დიდი პოეტი უნდა იყოს. ამ იდეალს, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად, ჯერ-ჯერობით, ერთი მთარგმნელი მიუახლოვდა: გაპონოვი. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია – მე ხომ ებრაული არ ვიცი.

ისე, რუსთველის უმაღლეს რეგისტრებამდე ვერავითარი მთარგმნელი ვერასოდეს ვერ ამაღლდება, თუნდაც აქამდე:

– იგი ვარდობდეს, შენ იე.

სამოქალაქო ომის გამოძახილი

1991 წლის 21-22 დეკემბერს მთავრობის სასახლის დაბომბვა დაიწყო. მალე ორმხრივი სროლები გახშირდა. რუსთაველის პროსპექტი და ქაშვეთის მიდამოები ბრძოლის ველად იქცა. უმალ გამახსენდა ლიტერატურის მუზეუმი, რომელიც ამ სახიფათო ზონაში აღმოჩნდა და სადაც გალაკტიონისა და სხვათა უმდიდრესი არქივები ინახება. მაშინვე სახლში დავურეკე მუზეუმის მაშინდელ დირექტორს, გურამ შარაძეს და ჩემი შეშფოთება გავუზიარე. გურამმა დამამშვიდა. ოღონდ ძალიან შეწუხებული იყო: ახლახან ვიქტორ გაბესკირიას ქალიშვილმა დამირეკა და მაცნობა ვაკეში გამსახურდიების სახლს ხანძარი გაუჩნდაო. ლიტერატურის მუზეუმი მართლაც გადარჩა, მდებარეობამ გადაარჩინა, დაღმართის ბოლოსაა, მოფარებულში.

ქვიშხეთი

ვისაც ქვიშხეთში დაუსვენია, სამუდამოდაა შეყვარებული ქვიშხეთზე. 1997 წლის 5 ივლისს ჩემთან გამომცემლობაში მოვიდა ალექსანდრე ქუთათელის ვაჟი – გივი. „ქართული პროზის“ ცალები წაიღო, სადაც დაბეჭდილია „პირისპირ“. გივიმ ქვიშხეთი გაიხსენა: ჩემმა ბიჭმა სანდრომ (რომელსაც ბაბუას სახელი ჰქვია) ერთხელ მითხრა: მამიკო, როცა მოვკვდები, ქვიშხეთში დამასაფლავეო.

* * *

ოთხმოციან წლებში „მერანის“ დირექტორს ნიშნავდნენ. როგორც გვიან შევიტყვე, ჩემი კანდიდატურაც დაუსახელებიათ, მაგრამ მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს, ნოდარ დუმბაძეს თავი შეუკავებია: თვითონ ფიგურულ ლექსებს წერს და ავტორებს როგორ მოიგერიებსო! ეს ბრალდება ნოდარისაგან მოსალოდნელია, რადგან იგი ტრადიციული მწერალია და ბევრი მკითხველი ჰყავს. თუმცა ელიოტი გვაფრთხილებს: ცოტა მკითხველი ჯობს. ბევრი საშიშია: მკითხველისა და მწერლის დონე ერთმანეთს უთანაბრდებაო. ნოდარმა გამომცემლობის დირექტორად თავისი მეგობარი დანიშნა და ამდენად, მისი ბრალდება მთლად გულწრფელი არ იყო ალბათ.

ბალანჩინი

1997 წლის 2 ივლისს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა საუბარი სოლომონ ვოლკოვთან. იგი ამჟამად შტატებში ცხოვრობს და იქ გამოსცა მის მიერ ჩაწერილი შოსტაკოვიჩის მემუარები. უცხოვეთშივე გამოსცა საკუთარი წიგნი „სანკტ-პეტერბურგი“, რომელშიც ერთი დიდი თავი ეძღვნება ბალანჩინს, რომელსაც ავტორი რუსად თვლის და გაოცებული აღნიშნავს: „რუსეთში მას არ აყენებენ იმ სიმაღლეზე, როგორც ამერიკაში. ამერიკაში ბალანჩინს, პიკასოსთან და სტრავინსკისთან ერთად, მეოცე საუკუნის უდიდეს გენიოსად აღიარებენ“.

ამაოდ გიკვირთ, ბატონო სოლომონ! ბალანჩინს რუსები ღირსეულად არასოდეს დააფასებენ, რადგან იგი გახლავთ ქართველი და არა რუსი, როგორც თქვენ გგონიათ.

სარკე?

პრეზიდენტობის ზოგიერთ კანდიდატს რომ ვუყურებდი არჩევნების დღეებში, ვფიქრობდი, ამათ სახლში სარკე არა აქვთ-მეთქი: შესახედაობასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, პირველი კაცის პრეტენზია რომ გქონდეს?!

გენერალმა გაგვაფრთხილა

1997 წლის 6 აგვისტოს ამერიკელმა გენერალმა ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა თბილისის ტელევიზიაში განაცხადა: უნდა ვეცადოთ, აფხაზეთის დაპირისპირება მშვიდობიანი გზით მოვაგვაროთ. ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ჩვენს შვილებზე, ვიდრე ჩვენს წინაპრებზეო.

ჩომელი სჯობდა?

ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ორმა ესპანელმა მხატვარმა ორი შედევრი შექმნა: 1936 წელს – სალვადორ დალიმ „ომის წინათგრძნობა“ და 1937 წელს – პიკასომ „გერნიკა“. ორივე შედევრი ფერწერის დედაქალაქ პარიზში დაიხატა და ამერიკის უმდიდრეს მუზეუმებში ინახებოდა: პირველი – ფილადელფიის მუზეუმში, მეორე – ნიუ-იორკისა. პიკასომ დაიბარა: ფრანკოს სიკვდილის შემდეგ „გერნიკა“ ესპანეთში ჩაიტანეთო. ასეც მოიქცნენ. ასე რომ, ესპანეთის სამოქალაქო ომი რომ არა, კაცობრიობა ორ შედევრს დაკარგავდა. რომელი სჯობდა?

ერთ-ერთ გამოფენაზე ერთმა ესპანელმა ფაშისტმა კომუნისტ პიკასოს „გერნიკას“ შესახებ ჰკითხა:

– ეს თქვენი ნახელავია?

– არა, – მიუგო მხატვარმა, – თქვენი!

ერთხელ პიკასოს აცნობეს: ფრანკოს სურს მისი პორტრეტი დახატოო. დიდი სიამოვნებით, – განაცხადა პაბლომ, – ოღონდ ნატურისათვის თავი გამომიგზავნოსო.

* * *

1997 წელს ჟურნალ „XX საუკუნის“ მერვე ნომერში წავიკითხე ზაზა თვარაძის ხანგრძლივი ლექსი „ოდა რუსთაველს“ – გათანამედროვებული რუსთაველი. თავისუფალი ლექსია, ალაგ – გარითმული. ეტყობა, პროზაიკოსის დაწერილი რომაა. თითქოს საინტერესოა, მაგრამ მაინც არ მომეწონა. ასეც ვუთხარი ჟურნალის რედაქტორს ზაალ სამადაშვილს ტელეფონით: „არილში“ მომეწონა ზაზას მოთხრობები და სჯობს ისევ პროზას მიხედოს-მეთქი. მეორე დღეს ისევ წავიკითხე და მოულოდნელად ბროდსკის ხანგრძლივი ლექსები გამახსენდა. გამახსენდა და ზაზას ლექსიც მომეწონა. ასე გვეხმარებიან დიდი პოეტები!

ნამეტანია!

ბელა ახმადულინა მეტად თავისუფლად თარგმნის, უფრო ზუსტად – იგი ორიგინალის მოტივზე ახალ ლექსს წერს. მან თარგმნა სიმონ ჩიქოვანის მრავალი ლექსი, მათ შორის – „გრემის სამრეკლო“. პირველი სტროფი –

არ დანგრეულა მგონია გრემი,
თვალზე არ მწყდება კურცხალი ცრემლი,
როგორც ცისფერ ცას მიაპობს გემი,
ისე მიცურავს ლაჟვარდში გრემი, –

რუსულად ასე იკითხება:

Всему дана двойная честь,
быть тем и тем: предмет бывает
тем, что он в самом деле есть
и тем, что он напоминает.

დამეთანხმებით, ნამეტანია!

ევგენი და ევგენი

1969 წელს მოსკოვში ევგენი ევტუშენკოს ოთხასგვერდიანი რჩეული გამოიცა – „Идут белые снеги...". წიგნს ხსნის ევგენი ვინოკუროვის ხუთგვერდიანი „Предисловие".

გამიკვირდა:

– ყოველდღიურობის რუპორი.

– ვიზუალური პოეტი.

– სინამდვილისადმი პუბლიცისტური დამოკიდებულება.

– ზედმეტი სიზუსტით ასუსტებს ქვეტექსტს.

– უაღრესად ნათელია და მინიშნებისა ეშინია.

– ფუძისეული რითმებით გაადვილებულია წერის პროცესი.

– ეს სახიფათო სიმსუბუქეა და მას გაჭიანურებული მრავალსიტყაობისაკენ მივყავართ.

– ძალიან გაუხანგრძლივდა სამყაროს ჭაბუკური აღქმა.

– იგემა მრავალი დიდი და პატარა მარცხი, რაზედაც არაერთხელ მიუთითეს ამხანაგებმა და პრესამ.

– ამ წიგნში ბევრი ლექსი აღარ შეიტანა. მიაჩნია, რომ ისინი დაძველდნენ. ისინი კი იმიტომ დაძველდნენ, რომ არც თავის დროზე ყოფილან ჭეშმარიტად ნაღდები, თორემ ნაღდი პოეზია არასოდეს ძველდება, – ასე მთავრდება „წინასიტყვა", რომელიც უფრო დააფრთხობს მკითხველს, ვიდრე მიიზიდავს.

ოთარ ჭელიძემ, რომელიც კარგად იცნობდა ორივე ევგენის, ამიხნა: ევგენი ვინოკუროვი უტყუარი გემოვნების შემოქმედად ითვლება. პოპულარულია მის მიერ შედგენილი პუშკინი, ტიუტჩევი, ვოზნესენსკი... ამიტომ ევტუშენკომ სთხოვა წინასიტყვაობა დამიწერეო. სეხნიამ სეხნიას უპასუხა: მე შენი ლექსები არ მომწონს და როგორ დაგიწეროო. სწორედ ის

დამიწერე, რატომ არ მოგწონსო, და ევგენიმ ევგენის თხოვნა შეუსრულა.

მე არასოდეს ვყოფილვარ ევტუშენკოს პიროვნებისა და პოეზიის პატრიოტი (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იოსებ ბროდსკისა და სოლომონ ვოლკოვის „დიალოგები“ წავიკითხე, სადაც ევტუშენკო სუკის აგენტადაა მხილებული), მაგრამ ეს საქციელი ნამდვილად მომეწონა.

ყოჩაღ, ევგენი და ყოჩაღ, ევგენებო!

სელინჯერის კითხულობდა...

როდესაც ჯონ ლენონის მკვლელობის ადგილას პოლიცია გამოცხადდა, მკვლელი მარკ ჩეპმენი იქვე იჯდა და სელინჯერის რომანს კითხულობდა – „თამაში ჭვავის ყანაში“. მას თავდავიწყებით უყვარდა ლენონი. ჩათვალა, რომ ლენონი შეიცვალა და ეს ვერ აპატია. როდესაც მოსამართლემ საბოლოო სიტყვა მისცა, მან წაიკითხა ფრაგმენტი სელინჯერის რომანიდან: როგორც სელინჯერის გმირი ცდილობდა გადაერჩინა უფსკრულის პირას მოთამაშე ბავშვები, ჩეპმენმაც ასე განიზრახა უსაყვარლესი მომღერლის გადარჩენა და, რაკი ეს ვერ მოახერხა, მეტად დაუნდობელი გადაწყვეტილება მიიღო.

ამერიკა – კონტრასტების ქვეყანა

ჯონ კენედიმ თავის ინაუგურაციის ცერემონიალზე რობერტ ფროსტი მიიწვია, რათა ლექსი წაეკითხა. ეს ფაქტი პოეზიის აღიარების კარგი მაგალითია. ეს მოხდა 1961 წელს, მაშინ ფროსტი 87 წლისა იყო. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთი წლის შემდეგ, 1962 წლის 20 აპრილს, ჯონ კენედიმ თეთრ სახლში სადილზე მიიწვია უილიამ ფოლკნერი, რომელმაც უარი განაცხადა პრეზიდენტის მიწვევაზე. მაშინ ფოლკნერი 65 წლისა იყო. ორი თვისა და 17 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ჩვენთან, საქართველოში, ლექსი არ წაუკითხავს, მაგრამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა დაასახელა ზვიად გამსახურდია – მომავალი პრეზიდენტი.

გენიოსობის მახასიათებელი

ჯინ ლანდრამის წიგნში „თოთხმეტი გენიოსი, რომლებიც ამსხვრევდნენ კანონებს“ – შერჩეული 14 გენიოსიდან რვა ლექსებს წერდა, თუმცა არცერთი არ იყო პოეტი: პაბლო პიკასო, აისედორა დუნკანი, მარკიზ დე სადი, ადოლფ ჰიტლერი, ფრენკ ლოიდ რაიტი, ამელია ერჰარტი, ნიკოლა ტესლა და ნაპოლეონ ბონაპარტე. უცნაური და საგულისხმო შეფარდებაა: მსოფლიოს მილიონობით პოეტებიდან ალბათ ერთ პროცენტსაც ვერ შეადგენენ გენიოსები, აქ კი 14 გენიოსიდან 8 – თითქმის 60% – პოეტია. როგორც ჩანს, პოეზია გენიოსობის უჩინარი მახა-

სიათებელია (გაიხსენეთ სტალინის ლექსები, თუმცა სტალინი ვერ მოხვდა ამ თოთხმეტში, გაიხსენეთ აგრეთვე მარქსი, მაო ძედუნი, მიქელანჯელო, შაგალი და ასე შემდეგ).

ერთხელ პიკასომ იხუმრა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ენციკლოპედიაში ასე განმარტავდნენ: „პიკასო პაბლო რუისი – ესპანელი პოეტი, რომელიც ბედს ცდიდა ფერწერასა და ქანდაკებაში".

დედა ეუბნებოდა პიკასოს: თუ ჯარში წახვალ – გენერალი გახდები და თუკი ბერად აღიკვეცები – პაპიო. პიკასომ მესამე გზა აირჩია და გახდა მხატვრების გენერალი და პაპი.

* * *

შემიმჩნევია: მავანი ბრწყინვალედ ჰყვება საშუალო ანეკდოტსაც კი, მავანი კიდევ ბრწყინვალე ანკედოტს „აფუჭებს". მწერლობაშიც ხდება მსგავსი რამ: ზოგიერთები თვითღირებულებაზე საკმაოდ ძვირად „ყიდიან" თავიანთ ნაწერებს, ზოგიერთები კი უკეთეს ნაწარმოებებს ნახევარ ფასადაც ვერ „ასაღებენ".

საკუთარი წიგნის რეკლამა

1991 წელს საკუთარი ხარჯით გამოვეცი „უცნობი" და „ლიტერატურულ საქართველოში" რეკლამა გამოვაქვეყნე: რა კარგი ყოფილა საკუთარი წიგნის რეკლამის მომზადება: თავს იქებ და სრულიად არ გრცხვენია და არ წითლდები!

გურამ დოჩანაშვილი

გურამ დოჩანაშვილი და ვახტანგ რურუა – იშვიათი ტანდემი – იშვიათი შესაბამისობა მხატვრისა და მწერლისა. ალბათ ესაა ბედნიერი შემთხვევა, უფრო ზუსტად – ბედნიერი შეხვედრა. გეგონება, გურამი ვახტანგის ნახატებს უყურებდა და ისე წერდაო (ასეთი შემთხვევაა ალბათ დორე და რაბლე, დორე და დანტე, დორე და ბიბლია).

გურამის ბოლოდროიდნელ მოთხრობებს რომ ვკითხულობ, უცნაური აზრი მაწუხებს: ამის დამწერი ან შეშლილია, ანდა – გენიოსი. არადა, კარგად ვიცი, რომ შეშლილი არაა. ალბათ ენას ასე ექცეოდა ჯოისი.

დისნეი თავის სტუდიაში პროფესიონალ მხატვრებს არ იღებდა – პროფესიონალებს ნოვატორული აზროვნება აკლიათო, დაშტამპულები არიანო, და მე ვფიქრობ, გურამს რომ ფილოლოგიური განათლება მიეღო, ალბათ არ გვეყოლებოდა ამდენად ორიგინალური შემოქმედი (გურამი ისტორიკოსი-არქეოლოგია).

– მე-რო ე-მყარი გრამატიკა ამდენი ვიცოდე მწერალი კიარ ვიქნებოდი, – დამიდასტურა თვითონ გურამმა მოგვიანებით თავის „ეგრეთ წოდებულ „ავტობიოგრაფიულ რომანში" – „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება".

დოჩანაშვილი თავიდან წერდა ტრადიციასთან მიახლოებული სტილით. მერე და მერე მისი მანერა თანდათან შეიცვალა, იმდენად შეიცვალა, რომ გრამატიკულ ნორმებსაც დაუპირისპირდა და ეს დაპირისპირება იქცა მის ძირითად სტილად. ასეთი დეფორმირებული სტილი, როგორც აღვნიშნე, ჯოისის „ულისეს" უნდა ჰგავდეს.

თვითონ გურამი გახლდათ დახვეწილი და წარმოსადეგი. რამდენიმე წლის წინათ ფეხი მოიტეხა და ხანგრძლივად იწვა.

მერე მეორედ მოიტეხა ფეხი და დიდხანს ვერ დადიოდა. შემდეგ ორსაფეხურიანი ყავარჯენი მოიმარჯვა და თითქოს ჰაბიტუსიც შეეცვალა. მისი სტილი და გარეგნობა ერთნაირად დაუპირისპირდნენ ნორმებსა და ტრადიციებს. ამბობენ, სტილი – თვითონ ადამიანიაო.

* * *

ერთ თანამდებობის კაცს ვიცნობდი. ამბობდნენ, სახლში ორი მაცივარი უდგას და ერთის გასაღები ჯიბეში უდევსო. ამ პიროვნებას ცოლი ადრე გარდაეცვალა. პანაშვიდზე მეც მივედი და ერთმა მკრეხელურმა აზრმა გამიელვა: თითქოს რაღაც კავშირი იყო დაკეტილ მაცივარსა და ახალგაზრდა მეუღლის გარდაცვალებას შორის. ბოლოს თანამდებობის კაცი ფინანსური მაქინაციების გამო პარტიიდან გარიცხეს, არადა, მხოლოდ და მხოლოდ პარტბილეთით გაიკეთა მთელი კარიერა.

ბიძინა კვერნაძის ნაამბობი

1998 წლის 29 ივლისს ბიძინა კვერნაძეს 70 წელი შეუსრულდა (29 ივლისი ჩემი დაბადების დღეცაა!). ეს ინფორმაცია ტელევიზორიდან შევიტყვე. ბატონმა ბიძინამ საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა. ერთხელ ანდრია ბალანჩივაძემ მიამბო სადღაც ამოკითხულიო: მუსიკა დიდი ტაძარია. იგი გაჭედილია გენიოსებით. ყველა ადგილი დაკავებულია. შენ ამ ტაძარში შედიხარ, მაგრამ თავისუფალ ადგილს ვერ პოულობ. წრე უნდა შემოიარო. თუ საქმე პატარა აგურს აღმოაჩენ, მაშინვე ჩამოჯექი, თორემ წრე გათავდება და გარეთ აღმოჩნდებიო.

ასეა ლიტერატურაშიც!

ბოზოზიო

ცხოვრობდა გასული საუკუნის იტალიაში ერთი უცნარი ბოზოზიო, ხაზინის კომისარი. ერთხელ ბუსოლენოს ბაზარში ყველა ფრინველი იყიდა და გაუშვა (იხ. ჩემი ლექსი – „ხმაურობდა ჩიტების დახურული ბაზარი"). ბოზოზიო ტყის მოჭრის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. სამსახურიდან რომ დაითხოვეს და მცირე პენსია დაუნიშნეს, სრულიად შეცვალა თავისი საკმაოდ მდიდრული ცხოვრების წესი: მხოლოდ კენკროვანი მცენარეების უმარილო საჭმელს მიირთმევდა. ერთადერთი შარვალი და პერანგი დაიტოვა. მთელი თავისი დანაზოგით გამოსცა ბროშურები – „ჩემი დროის კრიტიკა", „ბუნების გოდება", „გოდებანი ბუნებისანი" და უფასოდ დაარიგა. მოკლედ, ეს ბოზოზიო იტალიელი ვაჟა-ფშაველა ყოფილა. მაგრამ რად გინდა? ჩვენი ბოზოზიო გიჟების წიგნში შეიტანეს და იმ წიგნში გავეცანი მას. ეს წიგნია ცნობილი ფსიქიატრის ჩეზარე ლომბროზოს „გენიალობა და შეშლილობა". ლომბროზო ამტკიცებს, რომ აღგზნებულ შეშლილსა და შთაგონებულ გენიოსს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს და ბოზოზიოს მაგალითიც ამაც ამტკიცებს.

P. S. ალბერტ შვაიცერის წიგნში „კულტურა და ეთიკა" მოხსენიებულია XI საუკუნის ერთი ჩინური წიგნი – „საჩუქრისა და სასჯელის შესახებ", რომელიც მოგვიწოდებს: „ადამიანურად მოექეცით ცხოველებს, ტკივილს ნუ მიაყენებთ მწერებს, მცენარეებსა და ხეებს". წიგნში დაგმობილია და დანაშაულად ითვლება ყოველგვარი ნადირობა.

სამაგალითო პარალელები

– ახლახან მივიღე თქვენი წერილი. ვასრულებ თქვენს თხოვნას. გევედრებით, თავს გაუფრთხილდით. პასუხს ველოდები, – ასე უპასუხა იმჟამად მხოლოდ ლენინგრადის ლიტერატურული საზოგადოებისათვის ცნობილ, ნაპატიმრევ და დევნილ, 24 წლის იოსებ ბროდსკის საქვეყნოდ აღიარებულმა 75 წლის ანა ახმატოვამ.

– ანდრიუშა, თქვენი ნიჭიერება და გამჭრიახობა, თქვენი გაგება ბედნიერების საუკუნოვანი მემკვიდრეობისა, ხელოვნება რომ ეწოდება, თქვენი გემოვნება, თქვენი ქცევა და სურვილები – ასე ხშირად ემთხვევა ჩემსას და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება და მხარდაჭერაა, – ასე წაუწერა ნაჩუქარ წიგნზე 24 წლის ანდრეი ვოზნესენსკის 67 წლის ბორის პასტერნაკმა. ათი წლით ადრე, 14 წლის ვოზნესენსკიმ თავისი ლექსები და პირადი წერილი გაუგზავნა მაესტროს. პასტერნაკმა სახლში დაურეკა და თავისთან მიიწვია მეექვსეკლასელი, ესაუბრა და საკუთარი ახალი ლექსების რვეული გამოატანა. მას შემდეგ ხშირად ურეკავდა, ეპატიჟებოდა სახლში, შემდეგ – აგარაკზე, სადაც საბჭოთა იმპერიის მთელი კულტურული ელიტა იკრიბებოდა და უსმენდა მასპინძელს. მასპინძელი ზოგჯერ ყმაწვილ ანდრეისაც დაიყენებდა გვერდით, როგორც დეკლამატორს. ერთხელ თეატრშიც წაიყვანა – საკუთარი თარგმანის პრემიერაზე, რომელსაც „რომეო და ჯულიეტა“ ერქვა. საკუთარი თარგმანების კითხვაზეც მიიწვია. მერე ლექსების ციკლი გადააბეჭდვინა – შენი რემინგტონის შრიფტი უკეთესიაო. ამ ლექსებს ისედაც ხშირად აკითხებდა, ხშირად ურეკავდა და რჩევას სთხოვდა – ამა თუ იმ სტრიქონის სავარაუდო ვარიანტზე. ასე გაგრძელდა 13 წელიწადს – პასტერნაკის გარდაცვალებამდე.

გულისხმიერებისა და თაობათა შემოქმედებითი თანამეგობრობის შესანიშნავი შემთხვევაა, არა?! – შესანიშნავი და, სამწუხაროდ, შესაშური!

„მე თოთხმეტი წლისა ვარ" – ასე დაასათაურა ანდრეი ვოზნესენსკიმ საკმაოდ ვრცელი მოგონება და მოგვითხრო პასტერნაკთან ურთიერთობის ეპიზოდები, თუმცა თოთხმეტი წლის ყმაწვილის მიერ გაგზავნილი წერილის ტექსტი არ გაგვაცნო, დასძინა კი: ახლახან თბილისში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, ბორის პასტერნაკის არქივში ვიხილე ჩემი ბავშვობისდროინდელი წერილი პასტერნაკისადმიო. ეს არქივი შემდეგ საქართველოს ლიტერატურის მუზეუმს გადაეცა, მაგრამ იქ ვოზნესენსკის წერილი არ აღმოჩნდა.

ჩვენი ექსმეგობრები

სამაგიეროდ, ანდრეი ვოზნესენსკიმ რუსეთის არქივებში აღმოაჩინა დოკუმენტები და დაამტკიცა, რომ მისი უშუალო წინაპარი იყო ანდრეი პოლისადოვი – საქართველოდან მძევლად წაყვანილი იმერელი ყმაწვილი, რომელიც რუსეთში მურომის მონასტრის წინამძღვარი გახდა. შემდგომ ამისა, ა. ვოზნესენსკიმ დაწერა პოემა „ანდრეი პოლისადოვი", სადაც ამტკიცებს, რომ საქართველო მისი „მეორე სამშობლოა" და ანა კალანდაძე შეიძლება მისი ბიძაშვილიც კი იყოს. სხვათა შორის, ანდრეი ვოზნესენსკი განათლებით არქიტექტორია და იგი თანაავტორია მოსკოვში აღმართული ქართული ანბანის საკმაოდ მაღალი ობელისკისა.

ანდრეი ვოზნესენსკიმ გამოაქვეყნა წერილი „სიურ", რომელიც ეძღვნება სიურეალისტებს (დალის, ბრეტონს, ბოსკეს). იგი წერს:

– Когда сеичас у нас за окном играют в футбол отрезаною головою, – сюреализм кажется наивной патриархальной грезой.

იგი არ ასახელებს, სად, ვინ და ვისი მოჭრილი თავებით ითამაშა ფეხბურთი. არ ამხელს, რომ გაგრის სტადიონზე ეს ჩაიდინეს აფხაზებმა, მეოცე საუკუნის მიწურულის ბარბაროსებმა.

ანდრეი ვოზნესენსკი კარგახანს ემეგობრებოდა ქართველ მწერლებს, თარგმნიდა ქართველ პოეტებს, მრავალი ლექსი მიუძღვნა საქართველოს და ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში. მაგრამ როცა „მეორე სამშობლოს" გაუჭირდა და მისმა თანამემამულეებმა გაუჭირვეს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ინტერვენციაც განახორციელეს, პირში წყალი ჩაიგუბა და თვალებზე ხელი აიფარა.

ჩემი საყვედური ეხება არა მარტო ანდრეი ვოზნესენსკის, არამედ აგრეთვე – ევგენი ევტუშენკოს, ბელა ახმადულინას და სხვებს – საქართველოს ექსმეგობრებს.

პეიზაჟის პრაგმატიზმი

ანრი მატისის გავლენას განიცდიდა მისი თანამედროვე ცნობილი ფრანგი მხატვარი რაულ დიუფი. მატისი ვერ იტანდა დიუფის და ემალებოდა კიდეც, ვინაიდან სადაც კი სახლს დაიქირავებდა, რათა განმარტოებით ეხატა, დიუფი მეზობელ სახლს დაიკავებდა და იმ პეიზაჟს შესცქეროდა, რომელსაც მატისი თავისი ფანჯრებიდან.

ვან გოგის რეკორდი

ვინსენტ ვან გოგმა თავი მოიკლა 1890 წლის 29 ივლისს (ჩემი დაბადების დღე. ალბათ ამიტომ მიყვარს ყველა მხატვარზე მეტად).

ვან გოგი ხატავდა 1882-1890 წლებში, 9 წელიწადს, და დახატა 879 ფერწერული ტილო (გრაფიკული ჩანახატების გარეშე).

საკუთარი სტილი 1887 წლისათვის იპოვა და დარჩენილ ოთხ წელიწადში მხოლოდ შედევრებს ქმნიდა.

1882-1986 წლებში დახატა 338 ტილო, 1887-1890 წლებში კი – 541. მაშასადამე, ოთხ წელიწადში – 541, ესე იგი, წელიწადში – 137, ანუ თვეში 11-ზე მეტი, ყოველ 3 დღეში თითო ნახატი.

ეს გახლავთ შედევრების რეკორდი.

სიცოცხლის ბოლო 2 თვეში ანუ სამოც დღეში 70 ტილო და 32 ნახატი დახატა.

ბოლო 6 წელიწადში 45 ავტოპორტრეტი შექმნა. ნატურას ვერ პოულობდა და ამიტომ ხშირად იყურებოდა სარკეში (მე მაქვს ვან გოგის 45 ავტოპორტრეტის ალბომი). 1995-1890 წლების ვან გოგი – 32-37 წლისა – ავტოპორტრეტებში სამოცი-სამოცდაათი წლისა გეგონებათ. არსებობს ტულუზ-ლოტრეკის მიერ დახატული ვან გოგი. აქაც 33 წლის ვინსენტი კიდევ უფრო ბებერია.

მე მაქვს აგრეთვე ფრანგული გამომცემლობა „ფლამარიონის" ფერწერის კლასიკოსთა ალბომების სერია. ამ სერიაში ორად ორი მხატვარია წარმოდგენილი ორ წიგნად ანუ 128 რეპროდუქცია – ნაცვლად 64-ისა: ესაა ვან გოგი და პიკასო. მაგრამ ვან გოგმა 37 წელიწადს იცოცხლა, პიკასომ კი – 92 წელიწადს, ვან გოგი 9 წელიწადს ხატავდა, პიკასო კი – 75 წელიწადს.

სიყვარული, ძალსა შენსა!

ვან გოგს თავისი ბიძაშვილი მოსწონდა (კათოლიკებში მოდის ასეთი ვარიანტი). ამის გამო ნათესავის ოჯახში სიარულს მოუხშირა. შეამჩნიეს და, ერთხელაც რომ მივიდა, დაუმალეს, სახლში არ არისო. მიხვდა. საღამო იყო და მაგიდაზე ანთებული ლამპა იდგა. ვინსენტმა ხელი ლამპისაკენ გაიშვირა და მშობლებს სთხოვა: აი, ხელს ლამპის შუშას დავაფარებ და რამდენ ხანსაც გავუძლებ, იმდენ ხანს მაინც მანახეთ და მაყურებინეთო. შეშინებულმა მასპინძელმა ლამპა მოშორებით გადადგეს.

ზაფრანა?

რატომღაც მგონია, რომ საფრანგეთში ზაფრანა არ ხარობს. წარმოუდგენელია, ზაფრანა ვან გოგს არ შეემჩნია!

ვან გოგის მეორე ჩეკორდი და ვან გოგი ციხეში

1987 წელს პრესაში გამოქვეყნდა საინტერესო ინფორმაცია: ნოემბრის თვეში ნიუ-იორკის აუქციონზე ვან გოგის „ზამბახები" გაიყიდა – 53 მილიონ 900 ათას დოლარად. ეს იყო ფერწერის რეკორდი, თანხა, რომელმაც ყველა რეკორდი მოხსნა. ნახატი შეიძინა ავსტრალიელმა მაგნატმა – ალან ბონდმა.

თერთმეტი წლის შემდეგ, 1998 წლის აპრილში, პრესამ გვაუწყა: ავსტრალიელმა მაგნატმა, რომელიც საგადასახადო თაღლითობისათვის დააპატიმრეს, ციხეში თან წაიღო ვან გოგის „ზამბახები". რომელიც 10 წლის წინათ იყიდა 54 მილიონ

დოლარადო (თანხა და თარიღი დამრგვალებულია: ასი ათასი დოლარი და ერთი წელიწადი რა სალაპარაკოა!).

სხვათა შორის, ვან გოგმა „ზამბახები" რამდენიმეჯერ დახატა. ზამბახი მისი საყვარელი ყვავილი იყო, ისევე როგორც მზესუმზირა.

იმავე 1987 წელს, ცოტახნით ადრე, ამერიკაში ვან გოგის „მზესუმზირები" იყიდა იაპონიის კომპანიამ 39 მილიონ 900 ათას დოლარად. არა 54 და 40 მილიონი, არამედ 53 მილიონ 900 ათასი და 39 მილიონ 900 ათასი: ეს ნაკლული 900 ათასი დოლარი, როგორც ჩანს, რაღაცას უნდა ნიშნავდეს, შეიძლება ეს იყო შუამავლის ანუ აუქციონის გასამრჯელო.

1998 წლის 17 აპრილს ტელევიზორში მოვისმინე: მოსკოვში გაიხსნა ვან გოგის ერთი ნახატის გამოფენაო. ეს იყო „ფოსტალიონ რულენის პორტრეტი". ერთი ნახატის გამოფენა მხოლოდ ერთხელ მახსოვს: წლების წინათ პარიზიდან მოსკოვში ჩამოიტანეს ლეონარდოს „მონა ლიზა" (მერე იაპონიაში წააბრძანეს). მაშინ საზღვრები ჩაკეტილი არ იყო და თბილისიდანაც ბევრი გაემგზავრა მოსკოვს ჯოკონდას ღიმილის სანახავად. განუწყვეტელმა დემონსტრაციამ შეუჩერებლივ ჩაიარა „ჯოკონდას" წინაშე. მე ვერ წავედი. ვერც პარიზში ვერ წავედი და ლუვრი ვერ ვნახე. ვან გოგის რამდენიმე ორიგინალი კი მაქვს ნანახი მოსკოვის პუშკინის სახელობის და სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის მუზეუმებში: „პატიმრების გასეირნება", „დოქტორ რეას პორტრეტი", „ოვერის პეიზაჟი წვიმის შემდეგ", „ქოხები", „არლის წითელი ვენახი"...

ვერ გამიგია, მოსკოვის ამ მდიდარ გალერეას, რომელიც მარინა ცვეტაევას მამამ დააარსა და შვილები ულუკმაპუროდ დატოვა, რატომ ჰქვია პუშკინის სახელი? ანდა – ჩვენს თეატრს რუსთაველის სახელი? რუსთაველი ჩვენთვის ყველაფერია, მაგრამ სახელდებისას მაინც მეტი სიზუსტეა საჭირო.

ცარიელი სკამი, ცარიელი სავარძელი

1982 წელს ვან გოგმა ძმას თეოს მისწერა, რომ მას მოეწონა ლუკა ფილდისის ნახატი – „ცარიელი სკამი". ფილდისი დიკენსის ნაწარმოებების ილუსტრატორი იყო. როცა დიკენსი გარდაიცვალა, მან მწერლის ცარიელი სკამი დახატა და ეს ნახატი მოეწონა ვინსენტს: „ო, ეს ცარიელი სკამები! ახლაც ბევრია და კიდევ უფრო მეტი იქნება", – სწერს იგი ძმას.

ექვსი წლის შემდეგ, 1888 წელს, პოლ გოგენი ვან გოგს ეწვია არლში. მასპინძელმა სტუმრისთვის საგანგებოდ შეიძინა სავარძელი. ერთხელ წაიკამათეს და გოგენმა შეაშინა, წავალო. ვან გოგს ეწყინა და დახატა ცარიელი – „გოგენის სავარძელი სანთლითა და წიგნებით", შემდეგ კი – „ვან გოგის სკამი ჩიბუხით".

1946 წელს მატისმა დახატა „სავარძლის პორტრეტი". ამ ვენეციურ სავარძელს ანტიკვართან წააწყდა: „ბოლოს და ბოლოს ვიპოვე საგანი, რომელსაც მთელი წელიწადი ვეძებდი. რომ დავინახე, გული ამიფანცქალდაო", – მისწერა ლუი არაგონს.

სამივე ცარიელია. გოგენის სავარძელი ძლივს ეტევა ჩარჩოში, მატისისა – ვერ ეტევა.

ვან გოგის სკამმა 1966 წელს დამაწერინა: „სული მხატვრისა ჰგავდა კატორღას, სურნელს ნატრობდა მწიფე თავთავთა, სკამებს ხატავდა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ცარიელ სკამებს ხატავდა"...

არლში გოგენმა დახატა ვან გოგის პორტრეტი, გულწრფელად უნდა ითქვას – სუსტი პორტრეტი. როცა ნახატი დაასრულა, ვინსენტმა უთხრა: „ეს ნამდვილად მე ვარ, ოღონდ – შეშლილიო", – და გოგენს არყიანი ჭიქა ესროლა. ამის შემდეგ

ერთხელ კიდევ დააპირა გოგენმა არლიდან წასვლა და ამის შესახებ გააფრთხილა კიდეც ვან გოგი.

ბოლოს და ბოლოს, გოგენის სტუმრობა ტრაგიკულად დასრულდა: პოლი გასასეირნებლად გავიდა სახლიდან. უკან რომ მოიხედა, დაინახა: ვინსენტი მისკენ მოიჩქაროდა და ხელში სამართებელი ეჭირა. გოგენი გაიქცა. ვან გოგი უკან შებრუნდა და ყური მოიჭრა.

ეს შემთხვევა რემბოსა და ვერლენის ეპიზოდს ჰგავს: რემბოც ცხოვრობდა ერთხანს ვერლენთან. წაიჩხუბნენ და სტუმარი გაიქცა. მასპინძელი გამოეკიდა, ესროლა და დაჭრა. ვერლენი დააპატიმრეს და ორი წელიწადი ციხეში გაატარა.

ცნობისათვის: ჩვენმა დიმა ერისთავმაც დახატა ცარიელი სავარძელი და დაარქვა – „გაჩერებული დრო": ძველ ანტიკვარულ სავარძელში ამოცვენილი ზამბარები ყელყელაობენ და ზედ ვეღარავინ დაჯდება: დრო მართლაც გაჩერებულია სამარადისოდ.

რა არის ხელოვნება?

წარმოიდგინეთ: არსუკიძის სვეტიცხოველი, სვეტიცხოვლის დიდ დარბაზში – ფიროსმანის „ირემი". შორიდან ისმის ფალიაშვილის „დაისის" უვერტიურა. დირიჟორობს ევგენი მიქელაძე. უშანგი ჩხეიძე კითხულობს ავთანდილის ანდერძს „ვეფხისტყაოსნიდან". ეჭვიანობს და ეჭვიანობს და ეჭვიანობს ოტელო-ჭაბუკიანი და ვანო სარაჯიშვილი მღერის „თავო ჩემოს"...

აი, ეს არის ხელოვნება, ქართული ხელოვნება!

* * *

ბერტოლტ ბრეხტმა ბრძანა:

– უბედურია ქვეყანა, რომელსაც გმირები სჭირდება.

საქართველო უბედურზე უბედური ქვეყანა ყოფილა: ჩვენ მუდამ გმირებს ველოდებით და ველოდებით და ველოდებით!

* * *

რაღა უნდა იყოს შედევრზე მეტი და უკეთესი? – სუპერშედევრი ანუ ზეშედევრი: მიქელანჯელო, ლეონარდო, რაფაელი, ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, სერვანტესი, გოეთე, ბეთჰოვენი, მოცარტი, რუსთაველი, ფიროსმანი... უნდა შევჩერდეთ, მეტზე ნუღარ გამოვიდებთ თავს!

* * *

ფრანგულ საესტრადო სიმღერებს რომ ვისმენ, ასე მგონია, ტექსტიც მესმის. ეს არ შემიმჩნევია ინგლისური, იტალიური, გერმანული სიმღერების მოსმენისას. არადა, სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც გერმანულს ვსწავლობდი. ეტყობა, ფრანგულ ენას მეტი ინტიმი აქვს, მეტი უშუალობა.

* * *

მებრალებიან კარიერისტები: მათი ბედი სხვაზეა დამოკიდებული. ვიღაცამ კარგი თვალით უნდა შეხედოს, ვიღაცამ ხელი უნდა წააშველოს... მე ამ მხრივ განსაზღვრული უპირატესობა გამაჩნია: ჩემი ბედი მხოლოდ და მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული: ვცდილობ ხვალ უკეთესი ლექსი დავწერო, ვიდრე გუშინ.

სასტიკად აკრძალულია!

პიკასოს სახელოსნოს კედელზე ჰქონდა გაკრული გაფრთხილება – „მესაჭესთან საუბარი სასტიკად აკრძალულია!“. პარიზში მდინარე სენაზე კატარღები დაცურავდნენ და ასეთი წარწერა ყოველი მესაჭის გვერდით ეკიდა. პიკასომ ერთ-ერთი კატარღიდან წამოიღო და თავის სახელოსნოში დაკიდა.

გამოსაცდელი ვადები

ლუვრში ნახატის დაკიდება შეიძლება მხოლოდ ავტორის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, – ამოვიკითხე ამერიკელი მხატვრის ჯეიმს უისტლერის (1834-1903) პირად წერილებში. საინტერესოა, ამჟამად რა პირობებია ლუვრში?

ასეთივე და ალბათ უფრო ხანგრძლივი ვადა უნდა არსებობდეს პანთეონშიც, მთაწმინდაზეც.

თითქოს ლექსი

ჩვენი მოწაფეობისას გვქონდა სუფთა წერის რვეულები. ნიშანს გვიწერდნენ იმისდა მიხედვით, რამდენად სუფთად და კარგად დავწერდით, თითქოსდა სხვა დროს სუფთად წერა სავალდებულო არ იყო.

ზოგიერთი პოეტის წიგნი სუფთა წერის რვეულს მაგონებს. უაღრესად სუფთად ნაწერია, ყველაფერი თავის ადგილასაა, ვერაფერში შეედავები და მაინც არ მოგწონს, ზედმეტად სტერილურია. არის ლექსი და არ არის პოეზია. როგორც გალაკტიონი ამბობს, „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

სამი ციტატა

ნიკოლოზ კორნელის ძე ჩუკოვსკი „ლიტერატურული მოგონებების“ წიგნში გუმილიოვის გახსენებას ასე ამთავრებს:

– როდესაც სახელმწიფო პოეტს უპირისპირდება, მე მებრალება საწყალი სახელმწიფო. რას დააკლებს სახელმწიფო პოეტს? დიდი-დიდი, მოკლას. მაგრამ ლექსს ვერ მოკლავ. იგი უკვდავია. და საწყალი სახელმწიფო ყოველთვის მარცხდება.

ამავე წიგნში ევგენი შვარცის გახსენება ასე იწყება:

– მე მწერალი ვარ! – ამის წარმოთქმა ისევე უხერხულია, როგორც ამ სიტყვებისა: მე ლამაზი ვარ!

ნ. ჩუკოვსკი ო. მანდელშტამზე წერს:

– მანდელშტამი გახლდათ დიდი პოეტი განსწავლული ინტელიგენტებისათვის. იგი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გახდება დიდი სახალხო პოეტი, როცა მთელი ხალხი ინტელიგენტად იქცევა.

* * *

ჩემი სიყმაწვილისას ერთ უწმაწურ სიმღერას ვმღეროდით:

გოგოს რად უნდა ბოსტანი,
გადმოაბრუნე, აკოცე.

დიდი ხნის შემდეგ მე დავწერე – „დაუმთავრებელი სტროფი“:

კამათობს ორი დიდი ოტია,
ერთი მათგანი გენიოსია...

„წეროების სამკუთხედი“

1978 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების წიგნი „წეროების სამკუთხედი“, რომლის რუსული წარწერა ასე ითარგმნა „Журавлиный клин“. 1986 წელს დაიბეჭდა ჩემი ლექსების მეორე წიგნი რუსულად. ამასაც ერქვა – „Журавлиный клин“.

ალმანახ „Новое литературное обозрение“-ს 1999 წლის მეხუთე ნომერში ვნახე რუსი პოეტის ვადიმ კაზავოის (ოლგა ივინსკაიას სიძის – ქალიშვილის ქმრის) ორი სტრიქონი: „Клин журавлиный обезголосев // разорвался в груди“.

* * *

ანდრე ბრეტონმა გამოსცა „შავი იუმორის ანთოლოგია“. იქნებ ჩვენც გამოგვეცა „ხალხური უწმაწურების ანთოლოგია“, ბევრი შედევრი აღმოჩნდებოდა ამ წიგნში!

P. S. ვახუშტი კოტეტიშვილმა აღასრულა ჩემი ოცნება: გამოსცა „ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები“ – „მოუკრეფავნი“.

გივი გეგეჭკორი

2000 წლის 14 აპრილს ტარიელს ველაპარაკე ტელეფონით. ვისაუბრეთ გივიზე. პირველ საავადმყოფოში წევს, სადაც სამი წლის წინათ ოპერაცია გაიკეთა. მძიმედაა. ტარიელმა ნაზიმ ჰიქმეთის სტრიქონი გაიხსენა – „ჩემი თაობის ფოთოლცვენა დაიწყოო“.

25 აპრილს გივი გარდაიცვალა. დავკრძალეთ დიდუბის პანთეონში. პანთეონიდან რომ გამოვდიოდით, ოთარ ჭილაძემ ჩაილაპარაკა:

– ეჰ, წავიდა გივი ამ დამპალი ქვეყნიდან.

ამას მხოლოდ გივისთანა კეთილშობილ პიროვნებაზე იტყვიან, იმ პიროვნებაზე, რომელიც არ იყო ქვეყნის სიდამპლის თანამონაწილე.

კენკო

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის რედაქციაში საკმაოდ ბევრი მომწერლო-მომეცნიერო უწყინარი მოხუცი შემოივლიდა ხოლმე. ამგვარ სასაცილო და გამოჩერჩეტებულ მოხუცებს მოკლე სახელი შევარქვით – „კენკო" და გვარიც მივუსადაგეთ – „კენკო კანკავა".

ახლა მე ხშირად ჩემს თავს ვაკვირდები სარკეში და ვამოწმებ, ვარ თუ არა უკვე კენკო, ხომ არა ვარ გაკენკოებული და გაკანკავებული.

ჩემთან ერთად კენკოს ნათლიები გახლდნენ: გივი ციცქიშვილი, ლია ელიოზიშვილი, ცეცო ბუაჩიძე და ცისანა ჯაფარიძე.

* * *

ხელოვნებაში, ლიტერატურაში, პოეზიაში – განუსაზღვრელი რაოდენობის ვაკანტური ადგილებია, იმდენი, რამდენიც იყო ჰომეროსის დროს. მავანი ამაოდ ელოდება ვაკანტური შტატის განთავისუფლებას.

* * *

ადამიანმა ძაღლი მხოლოდ 60-70 წლისამ უნდა გაიჩინოს და საკუთარ ძაღლთან ერთად დაბერდეს. განშორების წუთები იოლი ასატი იქნება ორთავესათვის.

„პოეტი ყოველთვის მართალია“

ეს დეფინიცია ანა ახმატოვას ეკუთვნის და მას თავისი პატარა ისტორია ახლავს: ერთ მწერალ ქალს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ანა ახმატოვასთან და პოეტის გარდაცვალების შემდეგ მოგონებებიც დაწერა მასზე. ანა ახმატოვა ეჭვიანობდა, რომ ეს ქალბატონი „მიგზავნილი“ გახლდათ. ბორის პასტერნაკის ნობელმა რომ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ნაგულისხმევი ქალბატონი სასწრაფოდ ეახლა ახმატოვას და ჰკითხა, რა აზრისა ბრძანდებით ყოველივე ამაზეო. ანა ახმატოვამ, მიუხედავად თავისი ეჭვიანობისა, უპასუხა:

– პოეტი ყოველთვის მართალია.

ისე, ჩვენში დარჩეს და, განა ყოველი პოეტი ყოველთვის იყო მართალი?! თუნდაც – ფრანსუა ვიიონი!

ძეგლი სიცოცხლეშივე

მუხათგვერდში ერთ საფლავზე ორი მარმარილოს ბიუსტი იდგა – ქალისა და მამაკაცის. მამაკაცისა მჭიდროდ იყო შეფუთული ცელოფნით. დაქვრივებულმა ქმარმა სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი ცოლის გვერდით: არ ენდო მემკვიდრეებს.

ანალოგია: ზოგიერთი მწერალი გადაჭარბებული აქტიურობით ცდილობს სიცოცხლეშივე მოიპოვოს აღიარება და ამისთვის ყველა საშუალებას იყენებს: პრესას, ტელევიზიას, თვითრეკალამას და ლამისაა, ძეგლიც სიცოცხლეშივე დაიდგას, საფლავის ადგილი რომ იცოდეს. ვერ გრძნობს, რომ ამით შთამომავლობას უცხადებს უნდობლობას და თვითონვე არ სჯერა საკუთარი თავისა, რაშიც ნამდვილად არ სცდება.

„სიცოცხლეშივე ძეგლის აგება – შთამომავლობისადმი აშკარა უნდობლობის გამოცხადებას ნიშნავს", – გვასწავლის შოპენჰაუერი.

P. S. კარგახანია, მუხათგვერდის სასაფლაოზე მამაკაცის ბიუსტს ცელოფანი შემოაცალეს.

ბორის პასტერნაკისა და ეზრა პაუნდის შეხვედრა

მეოცე საუკუნის ორი დიდი პოეტი აპირებდა შეესწავლა ქართული ენა და, სამწუხაროდ, ორივე განზრახვა წარუმატებლად დამთავრდა.

ქართველი პოეტების თარგმნას რომ იწყებდა, 1931 წლიდან ბორის პასტერნაკი ქართული ენისა და გრამატიკის შესწავლას შეუდგა. ცოტ-ცოტას კითხულობდა ქართულად და სა-

დღეგრძელოებსაც წარმოსთქვამდა, მაგრამ ვეღარ გააგრძელა და ვეღარ დაასრულა.

ცივი ომის დროს ეზრა პაუნდმა ამერიკის ხელისუფლებას მოულოდნელი და გულუბრყვილო იდეა შესთავაზა: რამდენიმე თვეში შევისწავლი ქართულ ენას, შევხვდები სტალინს და თავის მშობლიურ ენაზე დავარწმუნებ ამერიკის კონსტიტუციის უპირატესობაშიო. ეს განზრახვაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხით დამთავრდა.

ყალბი რკინა

უილიამ ფოლკნერი საკუთარ თავს ხელმოცარულ პოეტს უწოდებდა და პოეზიას ლიტერატურის ყველაზე ძნელ და მაღალ ჟანრად მიიჩნევდა. ამ მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტთაგან მინდა ერთს მივაქციო ყურადღება. ჩვენს სინამდვილეში თანამედროვე ქართული პოეზიის უმდაბლეს საფეხურად ორ პოეტს ასახელებდნენ: ავანს და ჩავანს. პროზაში საკმაოდ ლაღად მოღვაწეობდნენ ავანები და ჩავანები, მაგრამ მათი უმწეობა ასე აშკარად და რელიეფურად არ შეიმჩნეოდა, რადგან პროზა უფრო საიმედო თავშესაფარია. ყალბი ოქროს გამოცნობა უფრო ადვილია, ვიდრე ყალბი რკინისა.

„სეროჟას სიზმარი“

დავით აღმაშენებლისა და ვაჟა-ფშაველას პროსპექტებზე ორი დიდი შენობის ფასადზე წარმოდგენილია ზურაბ წერეთლის ორი ვეებერთელა მოზაიკური პანო, რომლებსაც თბილისელებმა ხუმრობით „სეროჟას სიზმარი“ შეარქვეს. მე მომწონს ეს ზედსახელი და, ჩემი ნება რომ იყოს, აბსტრაქციონიზმის მიმდევართა განსაზღვრული ჯგუფის ნახატებს „სეროჟას სიზმრებს“ დავარქმევდი.

უნებლიე შედევრი

1955 წელს შოთა ჩანტლაძემ თავის პროზაულ ჩანაწერებში ჩაინიშნა: „წავიდა თოვლი და მოვიდა მიწა“.

1972 წელს შოთა ჩანტლაძის მეგობარმა და პირველი წიგნის რედაქტორმა მუხრან მაჭავარიანმა, შოთას გარდაცვალების შემდეგ, ეს ჩანაწერი სტრიქონებად დაალაგა, „და“ კავშირი გამოთიშა და ლექსებში გადაიტანა:

წავიდა თოვლი,
მოვიდა მიწა.

ლექსების გვერდით ამ ოთხმა სიტყვამ და ორმა სტრიქონმა ისე დაიფასა თავი, რომ მე იგი ჭეშმარიტ შედევრად მიმაჩნია, რომელიც ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებს. მაშასადამე, შოთა ჩანტლაძემ არც ის იცოდა, რომ ლექსი დაწერა და არც ის, რომ შედევრი დაწერა.

„ჩა გაჩვენო?!“

არსებობს ერთგვარი თამაში: მოკუმულ ხელის მტევნებს დაამხობენ ერთმანეთს და ბავშვს გამოიწვევენ: „მოდი ჩემთან, რა გაჩვენო?!“. დაინტერესებულ პატარას თვალები უფართოვდება და გამომწვევისაკენ მიისწრაფვის. ეს უკანასკნელი ნელ-ნელა ხსნის ხელის მტევნებს და იცინის: ფაფუ, გაგეხუმრეო!

ასე ეთამაშება ზოგიერთი პოეტი მკითხველს: არაფერი უპოვია და მაინც იწვევს. მაგრამ ერთხელ გაწბილებული მკითხველი მეორედ აღარ ტყუვდება: აღარ კითხულობს მატყუარას ნაწერს. პოეტი კი აგრძელებს თამაშს, აგრძელებს და აგრძელებს და აგრძელებს...

სხვათა შორის, მეორედ ბავშვებიც აღარ ტყუვდებიან!

ჩემი შეცდომა

სენეკა რომ წავიკითხე, ვიფიქრე: ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო ფილოსოფიური ტრაქტატების წერა და ოცი საუკუნის მანძილზე რაღაზე გაცდა კაცობრიობა-მეთქი.

მონტესკიესა და პასკალის წაკითხვის შემდეგ, ცოტა შევფიქრიანდი, ხომ არ ვცდები-მეთქი.

შოპენჰაუერის შემდეგ საფუძვლიანად დავეჭვიანდი.

პოლ ვალერის შემდეგ კი საბოლოო დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი.

პოეტი?

პოეტი – რომელმაც პოეზიის არცერთი საიდუმლო არ იცის!

ყოველი ქართველი პოეტია

საღამოს ბაზრის ჩანაწერებიდან

გვიანი შემოდგომაა და დიასახლისმა ნოემბერში ტყემალი მოინატრა.

მთელი დეზერტირების ბაზარი მოვიარე და ვერ აღმოვაჩინე.

ბოლოს მიმასწავლეს: მეორე სართულის ღია ვერანდაზე ვინმე გიას უნდა ჰქონდესო შავი ტყემალი.

ტყემალი და შავი?!

მივედი მითითებულ ადგილას. გია არ დამხვდა.

დამხვდა მოაჯირზე დამრეცად მიყუდებული ხის დიდი ყუთი.

ყუთი სავსე იყო მართლაც შავ-წითელი ტყემლით და ზედ ორი სარეკლამო მუყაო ედო.

ერთზე ეწერა – „უკანასკნელი გაელვება“, მეორეზე – „მსოფლიოს მეცხრე საოცრება“.

ერთი გაზეთი დაუნდობლად აგინებს რედაქტორის მოწინააღმდეგეებს.

მეორე გაზეთი გადაჭარბებით აქებს თავის რედაქტორს.

რომელი სჯობს: საკუთარი მოწინააღმდეგის დაუნდობლად გინება თუ საკუთარი თავის გადაჭარბებული ქება?

* * *

ამერიკელ ვირტუოზ მევიოლინე იეჰუდი მენუჰინს რომ მოუსმინა, აინშტაინმა თქვა: „ახლა ვირწმუნე, რომ ღმერთი არსებობსო“ (აინშტაინი თვითონაც უკრავდა ვიოლინოზე). საინტერესოა, რას იტყოდა იეჰუდი მენუჰინი, „ფარდობითობის თეორიის“ „მოსმენა“ რომ შესძლებოდა?

* * *

1973 წელს გალაკტიონს ოთხმოცი წლის დაგვიანებული იუბილე გადაუხადეს. საიუბილეოდ გალაკტიონის „რჩეული“ გამოვეცით. იგი მურმან ლებანიძემ შეადგინა, მე – სარედაქციო კოლეგიის წევრი – ვეხმარებოდი.

წიგნის მთელი ტირაჟი – 60 ათასი ეგზემპლარი – დაიბეჭდა და სასიგნალო ცალები გაამზადეს. მაშინდელი გამსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პირველივე ეგზემპლარი სასწრაფოდ წაუღო იდეოლოგიის დარგში ცეკას მდივანს – თავის მოსაწონებლად. მდივანმა უსაყვედურა: „რჩეულში“ არააო შეტანილი 1924 წელს დაწერილი ლექსი „ლენინი“.

ასე ოპერატიულად მუშაობდა კაგებე!

ამ ეპიზოდს კურიოზული დასასრული აქვს. გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ცეკას მდივანი დააიმედა: მაგ ლექსს აუცილებლად ჩავამატებთ წიგნშიო, მაშინ, როცა სამოცი ათასი ეგზემპლარი უკვე დაბეჭდილი გახლდათ!

ასე ერკვეოდა წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიაში გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე, თანაც – პირველი მოადგილე!

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

2003 წლის 5 იანვარს ღამით ტელევიზორში ვუყურებდი „რეალისა" და „ვალენსიას" შეხვედრას. მე „რეალის" გულშემატკივარი ვარ. ვარსკვლავების გუნდია (რონალდო, ფიგუ, ზიდანი, რობერტო-კარლოსი, რაული...). ამჯერად ეს ორი გუნდი ჩემპიონობას ეცილებოდა ერთმანეთს.

პირველი ტაიმის მეორე ნახევარში ზიდანმა ზუსტი პასი მიაწოდა რონალდოს. რონალდომ ჩამოიტოვა მცველი, მოატყუა წინ გამოსული მეკარე და მარცხენა კუთხეში შესანიშნავი გოლი გაიტანა. აღტაცებული თანაგუნდელები რონალდოსაკენ გაეშურენ, რონალდომ კი ყველას გვერდი აუარა და ცენტრალური ტრიბუნისაკენ გაემართა, გავიდა მოედნიდან, მიიჭრა მწვრთნელ ბოსკესთან, ხელში აიტაცა და აკოცა. მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა მოედანზე თანაგუნდელებთან. დიქტორმა გამოაცხადა: ამ დღეებში ბოსკემ დედა დაკრძალაო. მაშასადამე, რონალდომ თავისი ბრწყინვალე გოლით მთელი მსოფლიოს თვალწინ ანუგეშა ჭეშმარიტად დიდებული თავისი მწვრთნელი.

* * *

მომწონს ჩვენი სახელოვანი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის მაქსიმა: „კანონს არღვევს ის, ვინც კარგად იცის კანონი". რასაკვირველია, აქ გენიოსები იგულისხმებიან, მაგრამ არა მარტო გენიოსები: ჩვენს გამომცემლობაში სამად სამი იურისტი მუშაობდა და აქედან ორად ორი იყო ნასამართლევი და ნაპატიმრევი (სხვათა შორის, ერთი – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი!).

ტატო და ლადო

სამწუხაროდ და დიდად სამწუხაროდ, განგებამ ნიკოლოზ ბარათაშვილს და ლადო ასათიანს წლებიც დაუთვალა, თვეებიც დაუთვალა და დღეებიც დაუთვალა: ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცოცხლა 27 წელიწადი, 10 თვე და 17 დღე, ხოლო ლადო ასათიანმა – 26 წელიწადი, 5 თვე და 9 დღე. ყოჩაღ, ლადო, ტატოს უმცროსო ძმაო! – ტატოზე 1 წლით, 5 თვითა და 8 დღით უმცროსო ძმაო!

ჯერ სადა ხარ?

2003 წლის 16 ოქტომბერს ჩემი პატარა შვილიშვილი იმ მაგიდიდან გადავარდა, რომელზედაც ამ სტრიქონებს ვწერ, და მარჯვენა მკლავის ძვალი გაებზარა. როდესაც საავადმყოფოში მიგვყავდა, ოთხი წლის ბიჭმა საოცარი ფრაზა წარმოსთქვა: „როგორ მეცოდება ჩემი თავიო!". ნუ ჩქარობ, ჩემო ვახო! ჯერ სადა ხარ? ჯერ ადრეა! მომავლისათვის შეინახე ეს ოთხი სიტყვა. სამწუხაროდ, მერე და მერე უფრო დაგჭირდება და გამოგადგება.

* * *

ოთხმოციანი წლების დასაწყისში მუხათწყაროში მწერლებს სააგარაკო მიწის ნაკვეთები გამოგვიყვეს. გასაგები მიზეზის გამო მე მშენებლობის დაწყება დამიგვიანდა და ჩემს ნაკვეთში გარეშე პირმა – არამწერალმა წამოიწყო აშენება, თანაც ძალიან სწრაფად აშენებდა. დახმარებისათვის მივმარე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს და მდივანს, ნოდარ დუმბაძეს და ჯანსულ ჩარკვიანს. ისინი ოპერატიულად ჩაერივნენ და შეაჩერებინეს. ნოდარმა მკითხა: რამდენია აშენებულიო? მე ვუპასუხე: მხოლოდ პირველი სარდაფი-სართული-მეთქი. ე, ბიჭო, დავაცადოთ და მთლიანად რომ ააშენებს და გადახურავს, მერე დავიბრუნოთო, – გამეხუმრა ნოდარი.

* * *

ვეთანხმები მაიაკოვსკის, რომ ლექსის თარგმნა შეუძლებელია. შეუძლებელია პოეტური შედევრი ითარგმნოს დანაკლისის გარეშე. მაგრამ არის გამონაკლისები, ძალიან იშვიათი გამონაკლისები, როცა იფიქრებ, რომ თარგმანი კონგენიალურია. ისიც კი მოგეჩვენება, რომ თარგმანი ორიგინალს აჭარბებს. სანიმუშოდ შემიძლია დავასახელო დავით წერედიანის ვიიონი და მარშაკის მიერ თარგმნილი ბერნსის ერთსტროფიანი – „Заздравный тост“:

У которых есть, что есть, те подчас не могут есть,
А другие могут есть, да сидят без хлеба.
А у нас тут есть, что есть, да при этом есть, чем есть, –
Значит, нам благодарить остается небо!

ორი ოთარ ჭილაძე

2003 წელს „მნათობში“ ოთარის რამდენიმე ახალი ლექსი წავიკითხე და ძალიან მომეწონა. ეს არც მოულოდნელია და არც გასაკვირველი. მაგრამ, სამწუხაროდ, ოთარი ლექსებს ეპიზოდურად წერს და ასეთ დროს ყოველ პუბლიკაციას დაეჭვებით კითხულობ. ამჯერად კი ერთხელ კიდევ დამწყდა გული: რამდენად დაზარალდა ქართული პოეზია, თუმცა ასევე დიდად მოიგო ქართულმა პროზამ. ვინ აწონოს ეს ზარალი-სარგებელი? ყველაფერს სჯობდა, ორი ოთარ ჭილაძე გვყოლოდა: ერთი ლექსებს წერდეს და მეორე – რომანებს.

* * *

მეტად თავისებურია მურმან ლებანიძის ლექსების გრაფიკა. ამიტომ მისი პოეზია წაკითხვისას კიდევ უფრო საინტერესოა. საერთოდ კი ამ თემაზე ვრცელი საუბარია საჭირო.

„სოლომონი წერს!“

პროზაიკოსი სოლომონ თავაძე ხშირად ისვენებდა ქვიშხეთში. ფინურ კოტეჯში ცხოვრობდა და წერდა. სოლომონის ცოლს კი ხელში წკეპლა ეჭირა და კოტეჯის მახლობლად დასეირნობდა. თუკი ეზოში ბავშვები ახმაურდებოდნენ, მწერლის მეუღლე აწყნარებდა, ემუქრებოდა და აფრთხილებდა:

– სოლომონი წერს!

ახლა, როდესაც მეუღლე ხანდახან საოჯახო საქმეში წახმარებას მთხოვს და არ მეხალისება, ვეუბნები:

– სოლომონი წერს!

მოპარული გამარჯვება

ალექსანდრე მაკედონელის მეომრები მოულოდნელად მდინარე ტიგრის ნაპირას დაბანაკებულ დარიოსის არმიის ბანაკს წაადგნენ: ღამე იყო და ვრცელ მინდორზე უთვალავი კოცონი ენთო. სპარსელების სიმრავლით შეფიქრიანებული მხედართმთავრები ალექსანდრეს ეახლნენ და სთხოვეს, ესარგებლათ სიბნელით, რომელიც რიცხვობრივ განსხვავებას დაფარავდა, და ეხლავე შეეტიათ.

– მე გამარჯვებებს არ ვიპარავ! – უპასუხა მაკედონელმა და დაავალა დილისთვის მომზადებულიყვნენ.

არადა, გამარჯვებების ენციკლოპედია რომ შევადგინოთ, მოპარული გამარჯვებების აშკარა უპირატესობას მაშინ ნახავთ!

საშიში სამყარო

– წიგნების სამყარო – საშიში სამყაროაო, – ამბობს ცვაიგი. საოცარია, ამას გერმანელი ამბობს და მისი აზრი ემთხვევა გერმანელი ფაშისტების აზრს, რომლებმაც წიგნების კოცონები დაანთეს 1932 წელს ბერლინის ქუჩებში.

ბიჭები

– ბიჭები უნდა გავანებივროთ, ისინი შეიძლება ომში აღმოჩნდნენ, – ჩაიწერა მარინა ცვეტაევამ და, სამწუხაროდ, ეს სიტყვები ცუდად აუხდა: მისი ერთადერთი ბიჭი ომში დაიღუპა, თუმცა, საბედნიეროდ, მარინა ამ დღეს ვერ მოესწრო: მანამდე ჩამოიხრჩო თავი!

* * *

– მიძღვნები საჭირო არაა! მიძღვნები ლექსს ამიწებენ! – როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცამდის მართალია მარინა ცვეტაევა, რომელსაც იოსებ ბროდსკი მეოცე საუკუნის პირველ რუს პოეტად თვლიდა და რომელსაც მეც ვეთანხმები.

* * *

– ძაღლურად ცხოვრობს ადამიანი, როცა ძაღლის აყვანა არ შეუძლიაო, – ამბობდა ილია ერენბურგი, რომელიც, როგორც ჩანს, ძაღლის დიდი მოყვარული იყო და ალბათ – მეპატრონეც.

საინტერესოა

არიადნა ეფრონმა – მარინა ცვეტაევას ქალიშვილმა – მოიგონა, თუ როგორ გაიცნო 1957 წლის იანვარში, პერედელკინოში, პასტერნაკის აგარაკზე, ანა ახმატოვა და:

– ლივანოვი იცინოდა და ისე გაიხსენა დიდი ხნის წინანდელი ქართული პოეზიის საღამო: ბორის პასტერნაკი საშინლად ხარხარებდა, ანა ახმატოვა კი მოკრძალებით და შემწყნარებლურად იღიმებოდა. დროდადრო ყველას პირში მისჩერებოდა და დაბეჯითებით იღიმებოდა აგრეთვე წესიერი ყმაწვილი ანდრიუშა.

საინტერესოა, რა მოხდა ასეთი სასაცილო ქართული პოეზიის საღამოზე, რაზედაც იცინიან და ხარხარებენ რუსი პოეტები – პასტერნაკი, ახმატოვა და ვოზნესენსკი, მაშინ, როდესაც იქ არ იმყოფებიან ბორის პასტერნაკის მეგობარი ქართველი მწერლები – პერედელკინოს ხშირი სტუმრები?!

თბილისი – სამოთხე

როდესაც პარიზიდან საბჭოთა კავშირში დაბრუნებას აპირებდა, მარინა ცვეტაევას მოსკოვი აღარ მოსწონდა: ნიუიორკს დაემსგავსაო. 1936 წლის 29 მარტს ანა ტესკოვას მისწერა თავისი ქმრის განზრახვის შესახებ:

– სერგეი იაკოვლევიჩი მთავაზობს ტიფლისს (სამოთხეს). მე? მე – საითაც მიმითითებენ. მე დიდი ხანია ჩემი ქვეყნის ვალი მაქვს.

დიახ, ყოველი რუსის წარმოდგენაში საქართველო სამოთხეა და ამიტომაც ვერ ელევიან სამოთხეს. ისე, მარინა ცვეტაევას ქმრისთვის, სერგეი ეფრონისათვის რომ დაეჯერებინა და თბილისში ჩამოსულიყო, შეიძლება თავიც არ მოეკლა. ყოველ შემთხვევაში, აქ აუცილებლად იშოვიდა სასადილოს ჭურჭლის მრეცხავის სამუშაოს, რაზედაც ევაკუაციაში უარი უთხრეს თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე.

პარნასის მისამართი

2005 წლის 22 აპრილს გამოვიდა გაზეთ „პარნასის" მეხუთე ნომერი, რომლის რედაქტორიც ამიერიდან ირაკლი ვახტანგის ძე ჯავახაძეა. გადავათვალიერე გაზეთი და რედაქციის მისამართი არ აწერია. რედაქციას ცალკე ოფისი არცა აქვს, იბეჭდება ლევან თითმერიას სტამბაში – გამომცემლობა „საარის" სტამბაში. მე ირაკლის გავეხუმრე: უხერხულია, მიაწერე გაზეთს რედაქციის მისამართი-მეთქი: „პარნასის" მისამართია: მთაწმინდის აღმართი, მამადავითის ეზო.

ჩაცმაც არა!

ჩუბჩიკას პალიტრაში სანთლით საძებარია აშკარა თეთრი, ხოლო როდესაც წააწყდები, თვალი გაიხარებს. გიკვირს: რატომ ასე იშვიათად? რატომაც არა, სწორედ იშვიათად და ძუნწად, რომ მოყვარულ თვალს მოენატროს, ძალიან მოენატროს და, როდესაც წააწყდება, ერთბაშად გაიხაროს, უფრო გაიხაროს!

ვინ წერს და ვის სწერენ

ბოლო თვეებში ემზარ კვიტაიშვილის პირადი ბიბლიოთეკიდან, რომლის ერთგული და აქტიური წევრი ვარ აგერ თითქმის ოცი წელიწადია, მარინა ცვეტაევას ქალიშვილის – არიადნა ეფრონის პირადი წერილების ორი კრებული ვაიკითხე: I – ბორის პასტერნაკისადმი და II – ოლგა ივინსკაიასა და მისი ქალიშვილის – ირინა ემელიანოვასადმი. ცხადია, პირველი უფრო საინტერესოა, მაგრამ ამავე დროს უფრო მაღალმხატვრულიცაა, ჭეშმარიტ პროზასთან წილნაყარი. განსხვავება იმდენად აშკარაა, რომ ორი სხვადასხვა ავტორი გეგონება. ეტყობა, ადრესატსაც დიდი მნიშვნელობა აქვს: არა მარტო იმას – ვინ წერს, არამედ იმასაც – ვის სწერენ.

ბიძინა ივანაშვილის ძეგლი

უკანასკნელ ათწლეულში, როდესაც ტელევიზორის ეკრანიდან და პრესის ფურცლებიდან თავს გვაბეზრებენ პოლიტიკური და არა მარტო პოლიტიკური ჟანრის სიფათები, საქართველოში გაჩნდა ერთი უცნაური ინტერესი: გამოჩნდა (უკაცრავად – დაიმალა) კაცი, რომლის პიროვნებამაც მთელი ქვეყანა დააინტერესა. ეს გახლავთ ძველი გადამწერლებისა და ფრესკის მხატვრების ღირსეული შთამომავალი: ვისაც ბიძინა ივანაშვილის გაცნობა აინტერესებს, ყურადღებით დაათვალიეროს განახლებული რუსთაველის თეატრი რუსთაველის პროსპექტზე, აღდგენილი მარჯანიშვილის თეატრი მარჯანიშვილის ქუჩაზე, გადარჩენილი ილიას სახლ-მუზეუმი და ვეებერთელა კარ-მიდამო საგურამოში და ასე შემდეგ და ასე

შემდეგ... ამის შემდეგ კი თვალები დახუჭოს და, რასაც წარმოიდგენს და იხილავს, სწორედ ის იქნება ბიძინა ივანაშვილის ძეგლი, რომელიც მთელს საქართველოში დგას და ყოველი მხრიდან ერთნაირად იკითხება, თანდათან იხვეწება და მაღლდება. პირადად ჩემთვის იმდენად შთამბეჭდავია ეს ძეგლი, არც კი ვისურვებდი ბიძინა ივანაშვილის გაცნობას, რადგან ჭეშმარიტი ძეგლი ყოველთვის აღემატება ჩვეულებრივი მოკვდავის ხატებას.

ერთი დღის შიში

1931 თუ 1932 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა თავისთვის ჩაინიშნა:

– ერთი დღისა მეშინია: დრო მოვა და ჩემი ბინის წინ შავი ბალდახინი გაჩერდება.

სამწუხაროდ, ასეთი საშიში დღეც კი არ აღირსეს მწერალს.

შეხვედრა

იმავე წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა ჩაიწერა:

– დედაკაცის სუნი: ახლად გათიბული დამჭკნარი ბალახი, ფიჭვი და სხვ.

ორმოცდაორი წლის შემდეგ, 1973 წელს, მურმან ლებანიძემ დაწერა:

მარეკები შლიდნან ბანაკს,
ქარი ჩამიჩუმით ჰქროდა,

ვიწექ, რომელიღაც ბალახს
უცბად – ქალის სუნი ჰქონდა.

რა თქმა უნდა, პოეტს პროზაიკოსის ჩანაწერი წაკითხული არ ჰქონდა!

ყველაზე პატიოსანი

კაცი, რომელიც ღამის სამის-ნახევარზე წითელ სვეტაფორთან მანქანას გააჩერებს.

„ბიბლიოთეკა – სამოთხე“

ეს მეტაფორა ეკუთვნის ხორხე ლუის ბორხესს, რომელიც ადრე დაბრმავდა და მოგვიანებით არგენტინის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტრად დანიშნეს. ბორხესმა დაწერა ორმოცსტრიქონიანი ლექსი – „საჩუქრების პოემა“, სადაც ბიბლიოთეკას სამოთხე უწოდა: ღმერთმა წყვდიადთან ერთად წიგნებიც მაჩუქა და სიბრმავეც შემიძლია საჩუქრად ჩავთვალოო, – რადგან ბორხესზე ადრე ამ ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა ასევე ბრმა მწერალი – პოლ გრუსაკი (1848-1929), რომელმაც ბორხესის აზრით, უდიდესი გავლენა მოახდინა მთელს არგენტინულ ლიტერატურაზე. როგორც ბორხესმა გვიან შეიტყო, ამავე ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა ასევე ბრმა არგენტინელი მწერალი – ხოსე მარმოლი (1817-1871).

ათეისტები

ფიზიკოსები უპირატესად ათეისტები არიან. მიუხედავად ამისა, ალბერტ აინშტაინმა, ასაკში რომ შევიდა, განაცხადა: არ მეგონა, ღმერთი თუ კამათელს აგორებდაო. ხოლო ნილს ბორმა, როცა დაბერდა, აღიარა: რაღაც უნდა იყოსო.

უკმაყოფილო ჩუსთაველი

უკმაყოფილება – ყოველი ნორმალური ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. თვით რუსთაველიც კი ალბათ უკმაყოფილო წავიდა ამ ქვეყნიდან. არადა, რატომ არ უნდა ყოფილიყო სრულიად ბედნიერი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი? თუნდაც იმიტომ, რომ მეორე „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაწერა!

დუნკანისა და ნიუტონის მემკვიდრე

ერთხელ ნიუ-იორკში რიხარდ შტრაუსმა დიდი სუფრა გაუშალა აისედორა დუნკანსა და ვაცლავ ნიჟინსკის. სუფრაზე აისედორამ ვაცლავს შეახსენა:

– თუ გახსოვთ, დიდი ხნის წინათ, ვენეციაში მე შემოგთავაზეთ გაგვეჩინა ბავშვი. წარმოგიდგენიათ, როგორი მოცეკვავე მოგვევლინებოდა?! მაშინ ამ იდეამ არ დაგაინტერესათ. ახლა, ვატყობ, შეიცვალეთ და უფრო მოწყალე თვალებით შეჰყურებთ ქალებს.

სუფრაზე უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– მე არ შევცვლილვარ, ისევე მიყვარს ყველა, როგორც ქრისტეს უყვარდა, – უპასუხა ვაცლავმა.

ცხადია, გენია გენებით არ გადაიცემა და მაინც საინტერესო იქნებოდა ვირტუოზი-მოცეკვავე დუნკანისა და ვირტუოზი-მოცეკვავე ნიჟინსკის მემკვიდრე.

აისედორა თერთმეტი წლით უფროსი იყო ვაცლავზე!

ანტიჩეხოვი

ჩეხოვი ამბობდა: ყველაფერს ვწერდი – გარდა დანოსებისაო.

ჩვენს გამომცემლობაში – „წიგნის სასახლეში" – კი „მუშაობს" ერთი უწიგნური, რომელსაც არაფრის დაწერა არ შეუძლია, გარდა დანოსისა.

დღესაც თვალწინ მიდგას

5-6 წლისა ვიქნებოდი. ქუთაისში, ჩვენს ქუჩაზე, სარაჯიშვილის ქუჩაზე, ელდა მეცა: იარაღმომარჯვებულ მილიციელს წინ ქამარშეხსნილი პატიმარი მიუძღოდა ციხისაკენ, რომელიც ახლოს იყო. დამნაშავესავით გავშეშდი. შემებრალა განწირული უცნობი. ჩემს თვალში იგი ცამდე მართალი იყო და მთელი ქვეყანა – დამნაშავე. იმ ღამეს ძალიან ცუდად მეძინა. რამდენიმე დღე იმ პატიმარზე ვფიქრობდი და დღესაც თვალწინ მიდგას.

* * *

ალმანახ „საუნჯეში" რომ ჩემს მიერ თარგმნილი მაიაკოვსკის „შარვლიანი ღრუბელი" იბეჭდებოდა, რედაქტორმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მითხრა: ბორის პასტერნაკი ამბობდა, როდესაც ლექსს ვთარგმნი, სამი სტრიქონი ავტორისეულია, ერთი კი ჩემიო (ცხადია, გარითმულ ლექსს გულისხმობდა).

ჩემი აზრით, პასტერნაკი ამ შეფარდებას თავის სასარგებლოდ არღვევდა და სწორადაც იქცეოდა, თუმცა, კლასიკას როცა თარგმნიდა, უფრო ახლოს იყო ორიგინალთან.

ჩემი თარგმანის მომზადებისას რედაქტორმა ისეთი შენიშვნები შემომთავაზა, გამიკვირდა და მომეწონა კიდეც. ბატონი კონსტანტინე ხომ ახალგაზრდობაში და ზოგჯერ – სიბერეშიც ლექსებსაც წერდა?!

საჭირო თუ მოულოდნელი?

საჭირო სიტყვა – საჭირო ადგილას, – ასე განმარტავენ ხოლმე კლასიკურ სტილს და ამ განმარტებას მხატვრულ ლიტერატურასაც მიუსადაგებენ ხოლმე. იგი უფრო მისაღებია ფილოსოფოსებისათვის, სხვადასხვა დარგის მეცნიერებისათვის, თუნდაც – ფრიადოსანი მოსწავლეებისათვის. მხატვრულ ლიტერატურას კი, განსაკუთრებით – პოეზიას, ასეთი განმარტება უფრო შეესაბამება: მოულოდნელი სიტყვა – საჭირო ადგილას.

ლევანი – ძე ჯუმბერისა

ერთმა პოეტმა „საარის“ გამოცემული ოცდაორთაბახიანი წიგნი მაჩუქა. როდესაც ვკითხე, რა დაუჯდა, ისეთი თანხა დამისახელა, აშკარად მეიაფა, რადგან კარგად ვიცნობ ახლანდელ პოლიგრაფიულ მაზანდას. ჩემი გაკვირვება „საარის“ ბუღალტერს ვაუწყე. მიპასუხა: მეც ვურჩიე ჩემს დირექტორს ლევან თითმერიას, მაგრამ არ დამეთანხმა: ვის გავუძვირო წიგნები? – ჩემს მეგობრებს და მამაჩემის მეგობრებსო?!

ყოჩაღ, ლევან!

თუმცა ასეთი პასუხი არც ძალიან გამკვირვებია და აი, რატომ. ლევანის მამა მწერალი ჯუმბერ თითმერია ბიბლიოფილი გახლდათ. იგი გაზეთ „კრიმინალურ ქრონიკას“ რედაქტორობდა. რედაქციას ოფისი არენდით ჰქონდა აღებული წიგნის სასახლეში. ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, ვმეზობლობდით, ვთანამშრომლობდით, ნარდსაც ვამღერებდით. ერთხელ დამირეკა და თავის კაბინეტში მიმიწვია. შევედი და რას ვხედავ: წიგნები აწყვია მაგიდაზე, სკამებზე, სავარძელზე, იატაკზეც. გადაურჩევია საკუთარი ბიბლიოთეკა, მოუზიდავს წიგნები და გადაურეკავს ახლობლებთან. იმ დღეს ჯუმბერის კაბინეტში მრავალ ნაცნობ მწერალსა და ჟურნალისტს შევხვდი. მე თვითონ ათზე მეტი საინტერესო წიგნი ავარჩიე, ორი ისეთი, ადრე რომ ვეძებდი და ვერ მოვიპოვე.

ახლა, როცა ამ წიგნებს ვუყურებ, მახსენდება ხელგაშლილი და გულგაშლილი ჯუმბერ თითმერია – ბიბლიომანი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და, რაც მთავარია, – ლევან თითმერიას მამა.

ოთხმოცი წლის

2007 წლის 11 დეკემბერს როსტომ ჩხეიძის სალონში თამაზ ბიბილურის ხსოვნის აღსანიშნავად შევიკრიბეთ. ჩუბინაშვილის ქუჩაზე მივდიოდი და შორიდან დავინახე: ტაქსი გაჩერდა, ტაქსიდან მკვირცხლად გამოხტა მამაკაცი და ჩემკენ გამოემართა. მოაბიჯებდა და ძალიან ჰგავდა ახალგაზრდა თამაზ ჩხენკელს. მომიახლოვდა და თამაზ ჩხენკელი აღმოჩნდა, ოთხმოცი წლის თამაზ ჩხენკელი!

არავითარი თანამდებობა: იარე! იარე! იარე! ამინ!

გამიხარდა!

2007 წლის 11 მაისს თამაზ ჩხენკელი შემხვდა ლიტერატურის მუზეუმში: შენი „უცნობი" მომპარეს და მეორედ ვიყიდეო.

* * *

ძალიან მომწონს რატი ამაღლობელის ლექსები და კიდევ უფრო მეტად მომწონს რატის მიერ წაკითხული საკუთარი ლექსები. ამ ლექსებს არც გურამ საღარაძე სჭირდება, არც გოგი ხარაბაძე და აღარც მურმან ჯინორია. სამწუხაროდ, ჩვენში პოეზიის ავტორისეული დეკლამაცია ვერ დგას სასურველ დონეზე. გამონაკლისია მუხრან მაჭავარიანი და კიდეც უფრო დიდი გამონაკლისი – გალაკტიონის მიერ ბათუმში წაკითხული „მთაწმინდის მთვარე".

* * *

თურმე ნობელის პრემიის პირველ რაუნდში ყოველწლიურად ექვსი ათასამდე კანდიდატი განიხილება, უკანასკნელ რაუნდში კი რჩება – ასორმოცდაათი. ამაზე დიდი კონკურსი წარმოუდგენელია და შესაბამისად – ამაზე ღირსეული ჯილდოც!

„გენიოსების პრემია“

1981 წელს შტატებში იოსებ ბროდსკის მიანიჭეს ეგრეთ წოდებული „გენიოსების პრემია" – ხუთწლიანი სტიპენდია – ყოველწლიურად 40 ათასი დოლარი.

ეს პრემია-სტიპენდია დააარსა მაკარტურების ფონდმა. პრემიის რაოდენობა ლაურეატის ასაკის მიხედვით განისაზღვრება. ყოველ წელიწადში ემატება 8 ათასი დოლარი. იმ წელიწადს ყველაზე ახალგაზრდამ – 21 წლის ფიზიკოსმა – სტივენ ვოლფრამმა მიიღო 24 ათასი დოლარი, ხოლო ყველაზე ასაკოვანმა – 76 წლის მწერალმა რობერტ უორენმა – 60 ათასი დოლარი.

ბროდსკი მაშინ 41 წლისა იყო.

ეღირსება კი ოდესმე საქართველოს ასეთი პრემია-სტიპენდიები – თუნდაც უფრო მოკრძალებული სახელობისა და რაოდენობისა?

რა იცოდა?

1987 წლის 21 იანვარს ბროდსკიმ უარი განაცხადა ამერიკის ხელოვნების აკადემიის წევრობაზე, რადგან აკადემიის წევრად აირჩიეს ევტუშენკო. ბროდსკიმ თავისი გადაწყვეტილება პრესაში გამოაცხადა, ვოლკოვთან საუბარში კი ფაქტებით ადასტურებს, რომ ევტუშენკო კაგებეს აგენტი იყო.

სხვათა შორის, 1964 წელს სარტრიმ ნობელზე განაცხადა უარი, რადგან პრემიების კომიტეტი პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო ტენდენციურობაში დაადანაშაულა. ერთი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიქოიანს გაუგზავნა წერილი და მაშინ სრულიად უცნობი პოეტის – ბროდსკის პატიმრობიდან განთავისუფლება სთხოვა.

რა იცოდა, რომ მომავალ ნობელიანტს გამოექომაგა?!

იაპონური ღიტერატურის საძიებელი

აკუტაგავა რიუნოსკე (1892-1927) – თავი მოიწამლა.
არისიმა ტაკეო (1878-1923) – თავი ჩამოიხრჩო.
დაძაი ოსამუ (1909-1948) – თავი დაიხრჩო.
კავაბატა იასუნარი (1899-1972) – თავი მოიწამლა გაზით.
მაშიმა იუკიო (1925-1970) – თავი მოიკლა ხარაკირით.
კობო აბე (1924-1993) – თავი შეიკავა.

სამწუხარო შეკითხვა

2007 წლის 1 ოქტომბერს გამომცემლობის კორიდორში ლამაზი ქალბატონი შემომხვდა. თვალი უცნობისაკენ გამექცა. უცნობმა გამიღიმა და, იცით, რა მკითხა? –

– უკაცრავად, აქ ტუალეტი სად არის?

ესეც შენ, ჩემო ბებერო თავო!

* * *

2007 წლის 8 დეკემბერს დიდუბის პანთეონში 87 წლის ოთარ ჩხეიძე დაკრძალეს.

გამახსენდა: ლევან გოთუას არც ერთი ანტისაბჭოთა ნაწარმოები არ დაუწერია და ცხოვრების უმეტესი ნაწილი პატიმრობაში გაატარებინეს. ოთარ ჩხეიძემ კი რამდენიმე ანტისაბჭოთა რომანი დაწერა და დაბეჭდა და ციხეში ერთი დღეს არ მჯდარა.

ნამდვილად ბედისწერაა! – ორი ჭეშმარიტად დიდი პატრიოტის ბედისწერა! თუმცა არავინ იცის, რომელი სჯობდა: დიდ ციხეში ცხოვრება თუ პატარა ციხეში ჯდომა?!

ქელეხის სუფრას თამადობდა ჯანსუღ კორძაიას ვაჟიშვილი – ექიმი კაცი. მისი ერთი სადღეგრძელო მომეწონა – შესანდობარი იმათი ხსოვნისა, რომლებსაც მომხსენიებელი არავინ დარჩათ.

პოეტების ქვეყანა – 2008

პეკინის ქუჩაზე წიგნების მაღაზიაში ქალიშვილი თაროებს ათვალიერებს. გადმოიღო წიგნი, გადაშალა და უმალ გველნაკბენივით გააგდო ხელიდან:

– უი! ლექსები ყოფილა!

ოქტომბერი – ნოემბერი – დეკემბერი

1935 წლის მეოთხე კვარტალში რუსული ლიტერატურის ისტორიაში სამი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა:

ოქტომბერში დააპატიმრეს ანა ახმატოვას ქმარი და ვაჟიშვილი. ბორის პასტერნაკმა წერილი გაუგზავნა სტალინს: თქვენ ერთხელ მისაყვედურეთ, რატომ არ გამოესარჩლე შენს მეგობარ პოეტს – ოსიპ მანდელშტამსო. ამიტომ ამჯერად გთხოვთ, ჩემი უახლოესი პიროვნების ოჯახის წევრები გაათავისუფლოთო. ორი დღის შემდეგ ნიკოლოზ პუნინი და ლევ გუმილიოვი გამოუშვეს.

ნოემბერში ლილია ბრიკმა სტალინს მისწერა, ვლადიმერ მაიაკოვსკის ღირსეულად არ აფასებენო. სტალინმა წერილს მკაცრი რეზოლუცია დაადო და ეჟოვს გაუგზავნა: მაიაკოვსკი იყო და არის საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი და მისი ხსოვნისა და შემოქმედებისადმი გულგრილობა დანაშაულია (ამ რეზოლუციის პირველი ნახევარი ტექსტი ჩემი სკოლის ფასადზეც კი იყო ამოტვიფრული ქუთაისში, რადგან ამ სკოლაში ჩემზე ადრე მაიაკოვსკი სწავლობდა).

დეკემბერში ბორის პასტერნაკმა სტალინს გაუგზავნა საკუთარი თარგმანების კრებული „ქართველი ლირიკოსები“ და წერილი დაურთო: უპირველეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა ანა ახმატოვას ქმარ-შვილის გათავისუფლებისათვის. შემდეგ აუწყა: დიდი ხანია, თქვენთვის მოკრძალებული საჩუქრის მორთმევას ვაპირებდი. „ქართველი ლირიკოსები“ სუსტი და წარუმატებელი წიგნია და, თუკი მოსაწონი რამ გააჩნია, შესანიშნავი ქართველი ავტორების დამსახურებააო. დაბოლოს, მადლობა მოახსენა მაიაკოვსკის გამო: მაიაკოვსკი მიყვარს და მას მთელი წიგნი მივუძღვენი. თქვენმა გამოსარჩლებამ გადამარჩინა: მას შემდეგ, რაც თქვენ მაიაკოვსკი პირველ ადგილზე დააყენეთ, ბრალდებასავით მომეხსნა გადაჭარბებული წარმოდგენა ჩემს პოეზიაზე, რაც დასავლეთის გავლენამ განაპირობა. ახლა შემიძლია კვლავინდებურად მშვიდად ვიცხოვრო და ვიმუშაოო.

ბორის პასტერნაკმა ქართული არ იცოდა და მეტად სუბიექტური წარმოდგენა ჰქონდა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაზე. ქართველი კოლეგებისაგან განსხვავებით, მას არ მოსწონდა საკუთარი თარგმანები (გარდა ბარათაშვილის ერთი ლექსისა – „ცისა ფერს“) და ამის შესახებ ხშირად ლაპარაკობდა. არც იმას მალავდა, რომ ეს თარგმანები ფინანსური დაინტერესების შედეგს წარმოადგენდა. 1941 წელს დრამატურგმა ალექსანდრე გლადკოვმა ჩაიწერა პასტერნაკის სიტყვები:

– შექსპირი თითქმის არაფერს მაძლევს, ქართველი პოეტები კი – წელიწად-ნახევარია პურს მაჭმევენ.

ბარათაშვილმა გადაარჩინა!

ვასილ ლივანოვის წიგნში „Невыдуманный Пастернак" დამოწმებულია ენკავედეს გამომძიებლის ლევ შეინინის ნაამბობი: 1949 წელს, როდესაც სტალინს მოახსენეს, რომ პასტერნაკი უნდა დაეპატიმრებინათ, სტალინმა გაიხსენა და წარმოსთქვა რუსი პოეტის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის სტრიქონი: „Цвет небесный, синий цвет" და დასძინა: „Оставите его, он небожитель".

ასე გადაარჩინა ქართველმა პოეტმა რუსი პოეტი!

როგორც აღვნიშნეთ, ბორის პასტერნაკს მთელს თავის ქართულ თარგმანებში ეს ერთადერთი მოსწონდა და იქნებ ამიტომაც მოსწონდა?!

ვეძებ უწიგნურებს!

ლევან თითმერიას „საარმა" გამოსცა ჩემი „უცნობის" მეოთხე საბოლოო ვარიანტი – შევსებული, დაზუსტებული, ილუსტრირებული. მე 50 ეგზემპლარი მერგო. ახლა ბიბლიოთეკები წიგნებს ვეღარ იძენენ. არადა, მინდა ეს საბოლოო ვარიანტი საქართველოს ყველა მთავარ ბიბლიოთეკაში მაინც იდოს. თბილისში მე თვითონ დავარიგებ, თბილისს გარეთ ვინმეებს უნდა გავატანო: ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავში, ვანში... იმდენი წიგნი არა მაქვს, წამღებსაც ვაჩუქო. ამიტომ ვეძებ პროვინციელებს, რომლებსაც წიგნი არ უყვართ, ესე იგი – ვეძებ უწიგნურებს, რათა წიგნი „არ მოტეხონ". გთხოვთ გამომეხმაუროთ. ჩემი ტელეფონია: 39-09-29 (სამწუხაროდ, მობილური არა მაქვს).

„გენიალური შეცდომა“

1933 წელს გორკიმ მოსკოვში დააარსა ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელსაც 1946 წელს მისი დამაარსებლის სახელი მიანიჭეს. ბორის პასტერნაკმა ამ ინსტიტუტს გორკის „გენიალური შეცდომა“ უწოდა: მწერლობის სწავლება შეუძლებელია. ლექსის წერას ვერავინ ვერავის ასწავლის. არადა, ორმოცდაათზე მეტი ეროვნების საბჭოთა და უცხოელ ახალგაზრდა მწერლებს ორი წლის განმავლობაში რუსულად ასწავლიდნენ, როგორ უნდა ეწერათ მშობლიურ ენებზე.

მე ვიცნობდი ამ ინსტიტუტის მრავალ ქართველ დიპლომანტს. არცერთს არაფერი ეტყობოდა.

„ПРАВДА“

„Из подслушанных бесед
Первый: Как клевета похожа на правду!
Второй: Да. На правду не похожа только сама правда.
Подслушала Анна Ахматова“.

ანა ახმატოვა აპირებდა, ეს ეპიგრაფი წაემძღვარებინა წერილისათვის – „Александрина“, რომელიც პუშკინის ცოლისდას მიუძღვნა, მაგრამ თავი შეიკავა. ანა ახმატოვა ინტელექტუალი გახლდათ და მისი გაგებით მიყურადება და სხვისი საუბრის მოსმენა ზნეობრივ ნორმებს არ შეესაბამებოდა. მაგრამ მთავარი მიზეზი ეს არ უნდა ყოფილიყო: ამ წერილის დაწერისას საბჭოთა იმპერიის მთავარ იდეოლოგს წარმოადგენდა გაზეთი „Правда“.

„წიგნის ქუჩიდი“

შაბათს დილით მოულოდნელად დამირეკეს სახლში: ჩვენი მაღაზია გატეხესო. სასწრაფოდ ტაქსით გავეშურე წიგნის სასახლისაკენ. ჩვენს საფირმო მაღაზიას ორი დიდი კარები აქვს. ერთი მოქმედი და ერთიც გაუქმებული. გაუქმებული კარები შელებული დამხვდა. შევედი და იატაკზე სისხლის ლაქები დავინახე. როგორც ჩანს, ღამით კარი პოლიციისაგან დევნილმა შეამტვრია და თავი შეაფარა. მაღაზიიდან არაფერი იყო წაღებული. მესიამოვნა და მეწყინა კიდეც: წიგნი აღარავის აინტერესებს. წიგნის ქურდები აღარ არსებობენ, სამწუხაროდ!

წიგნი, რომელიც არ იკითხება

2005 წელს ნახატი პალინდრომების წიგნი გამოვეცი – „33 აცაბაცა“. იმხანად მე და ტარიელმა ორთაჭალაში საავადმყოფოში ჯანსულ ჩარკვიანი მოვინახულეთ. ჯანსულმა თქვა: ექიმებმა დროებით კითხვა ამიკრძალესო. მე ჩემი „33 აცაბაცა“ ვაჩუქე და ვუთხარი: საგანგებოდ შენთვის დავბეჭდე ეს წიგნი, რომელსაც წაკითხვა არ სჭირდება-მეთქი.

ყველაზე მეტად

ყველაზე მეტად მომწონს ლექსი, რომელიც დღეს დავწერე.

ტერცინების ვაღსი

ოსიპ მანდელშტამმა საგანგებოდ შეისწავლა იტალიური ენა და დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ იტალიურად წაიკითხა. წაიკითხა და ყველაზე მეტად „ჯოჯოხეთის“ ოცდამეექვსე ქება მოეწონა:

– საცეკვაო საწყისები განსაკუთრებით ოცდამეექვსე ქების ტერცინების რიტმიკაში შეინიშნება. აქ გვაოცებს უაღრესი დარდიმანდობა რიტმისა. ტერფები ვალსივით ირხევიან... ჩვენ, უცხოელებს, გვიჭირს ბოლომდე ჩავწვდეთ უცხო ლექსის იდუმალებას. ვერც განვსჯით და ვერც გადამწყვეტ სიტყვას ვიტყვით. მაგრამ, მგონია, სწორედ აქ იმალება ის მომხიბლავი მოქნილობა იტალიური ენისა, რომელსაც ბოლომდე მხოლოდ იტალიელად დაბადებულის სმენა შეიგრძნობს.

დანტე გვარწმუნებს:

– ყველამ უნდა ირწმუნოს, რომ ლექსის მუსიკალურ ბორკილებში მომწყვდეული ჰარმონიის სხვა ენაზე გადათარგმნა, ამ ჰარმონიის დაურღვევლად, შეუძლებელია.

მანდელშტამმა დაუჯერა დანტეს და შეისწავლა იტალიური. მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე რომ ჩასწვდე „ღვთაებრივი კომედიის“ მოცეკვავე ტერცინების საიდუმლოს, ამისთვის კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო: იტალიელი უნდა იყო! – ესეც მანდელშტამმა აღიარა.

რაველი

ძალიან მიყვარს ფრანგი კომპოზიტორის, მორის რაველის „ბოლერო". ბოლერო – ესპანური ხალხური ცეკვაა. რაველის დედა კი ბასკი იყო. ამიტომ ესპანური რიტმებითაა შთაგონებული მისი მრავალი ნაწარმოები და შეიძლება, ბასკებისა და ქართველების სავარაუდო ნათესაობასაც ჰქონდეს ჩემზე გავლენა. კიდევ ძალიან მომწონს რაველის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი: 1931 წელს მან დაწერა „საფორტეპიანო კონცერტი მარცხენა ხელისათვის" – საგანგებოდ ვირტუოზი პიანისტის – პაულ ვიგტენშტაინისათვის, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში მარჯვენა ხელი დაკარგა.

მე არ მინახავს, სამწუხაროდ, ვახტანგ ჭაბუკიანის „ბოლერო"!

კოცნა და ამბორი

„ამბორი – იგივეა, რაც კოცნა" – ასეა განმარტებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ერთტომეულში, კოცნა კი – „სიყვარულის, ალერსის, პატივისცემის გამოსახატავად ტუჩების შეხება (სინონიმი – ამბორი)".

არადა, ამბორი უფრო ნაზის, ფრთხილის, მოკრძალებულის და არამიწიერის შეგრძნებას ბადებს, ფონეტიკურადაც უფრო კეთილხმოვანია და ეს ნიუანსი არაა შემჩნეული ლექსიკონში.

ამჯერადაც ვენაცვალე საბას: „ამბორი – სულიერი კოცნა. ამბორი არს სულიერი, კოცნა – ხორციელი".

ქარბატონი ჰამლეტი

რუსმა რეჟისორმა ვსევოლოდ მეიერჰოლდმა ერთხელ განაცხადა: რა საჭიროა პიესა, მომეცით ტელეფონების წიგნი და გენიალურ სპექტაკლს დაგიდგამთო.

ერთხელაც თავის დასს გამოუცხადა: ვაპირებ „ჰამლეტი“ დავდგა და ჰამლეტის როლი ზინაიდა რაიხმა უნდა შეასრულოსო. ზინაიდა რაიხი გახლდათ მეიერჰოლდის მეუღლე, საშუალო ნიჭის ლამაზი მსახიობი, პირველი მეუღლე სერგეი ესენინისა, რომლისგანაც პოეტს ვაჟიშვილი ჰყავდა.

მეიერჰოლდმა დასს აგრეთვე აცნობა: შექსპირის ტრაგედიიდან ცნობილი „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგი უნდა ამოვიღო, ვინაიდან ნაწარმოების საერთო დინამიკას ამუხრუჭებსო.

შემდეგ მსახიობებს სთხოვა: დანარჩენ როლებზე ვის რა პრეტენზია გაქვთ, მაცნობეთ. მე განაწილებული მაქვს როლები, მაგრამ მინდა გადავამოწმო, ხომ არაფერი შემეშალაო.

ერთმა წამყვანმა მამაკაცმა მსახიობმა უთხრა: მე ოფელიას ვითამაშებო. მეიერჰოლდი გაბრაზდა და ამ არცთუ უსაფუძვლო ხუმრობის გამო მსახიობი დასიდან დაითხოვა.

სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, მეიერჰოლდმა თავისი განზრახვა ვერ განახორციელა, თუმცა ვინ იცის: ხომ ითამაშა სოფიკო ჭიაურელმა საიათნოვა ფარაჯანოვის ფილმში?!

შექსპირის დროს კი ქალებს საერთოდ სცენას არ აკარებდნენ და ქალების როლებსაც მამაკაცები ასრულებდნენ. შექსპირი თვითონაც მსახიობი გახლდათ და, როცა პიესას წერდა, წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული როლი ამა თუ იმ მსახიობისათვის. ალბათ ამიტომაც შექსპირის ნაწარმოებებში მამაკაცების რაოდენობა აშკარად აღემატება სუსტი სქესის წარმომადგენელთა რიცხვს, რომლებიც მოქმედ პირთა ჩამონათვალში ყოველთვის ბოლოს მოიხსენებიან.

გამგები გამიგებს!

„ყველაზე კარგი ის წიგნია, რომ წაიკითხავ და გული დაგწყდება, რა მალე დამთავრდაო“, – ეს სიტყვები ჩავიწერე კენ კიზის რომანის – „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდას“ – წაკითხვის შემდეგ. რომანის მთარგმნელია ზაზა ოთარის ძე ჭილაძე. ახლა მამის სახელები მოდაში აღარაა, მე კი ხაზგასმით აღვნიშნავ. გამგები გამიგებს!

კრიმინალური ქრონიკა

პოეტი დავით წერედიანი ეჭვმიტანილია საკუთარი ლექსების დამალვაში!

„ო, ქალბატონო...“

ოთხმოცდაათიან წლებში ყაზბეგიდან ჩამოვიდა და ლექსები ჩამოიტანა სრულიად უცნობმა ყმაწვილმა თენგო ავსაჯანიშვილმა. წავიკითხე, მომეწონა, შევარჩიე და ლევან თითმერიას სტამბაში დავბეჭდეთ პატარა კრებული.

2010 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში 2010 წლის ორიგინალური კალენდრის პრეზენტაცია გაიმართა. „პოეზიის 365 დღე“ – ასე ჰქვია ამ კალენდარს, რომელშიც ცალკეულ ფურცლებზე ფერად ილუსტრაციებთან ერთად დაბეჭდილია

მეოცე საუკუნი პოეტებისა და ქართული ხალხური ლექსები, მათ შორის – ჩემი ლექსებიც.

გამიკვირდა და გამიხარდა: 15 მარტის გვერდზე წავიკითხე თენგო ავსაჯანიშვილის – „ო, ქალბატონო“. მადლობა კალენდრის შემდგენლებს, რომ თენგო ავსაჯანიშვილი „აღმოაჩინეს“ და რომ ამ ლექსზე შეაჩერეს არჩევანი:

ო, ქალბატონო, თქვენ ისევ მაწვდით
მხოლოდ ყვავილთა რტოებს ეკლიანს,
ყველაფრის მნახველს – მეძახით ყმაწვილს,
თქვენი სხეული ჩემი ნეკნია.
და მე ყოველთვის მტკივა და ველტვი
ე მაგ შენს სხეულს ნაზს და ვნებიანს:
რა დაგიშავეთ, რა გკადრეთ მეტი?
მე ჩემი ნეკნი მომნატრებია.

ვინ თქვა?

ვინ თქვა, ლექსის თარგმნა შეუძლებელიაო? ეთარგმნა სანდრო ეულის ლექსი ბორის პასტერნაკს და მაშინ ნახავდით! ეულის ლექსი თარგმანში არაფერს კარგავს, რადგან პროლეტარიატივით დასაკარგავი არაფერი გააჩნია. მაგრამ არის კი ლექსი სანდრო ეულის სტრიქონები?

გურიისა და იმერეთის საზღვარზე მდებარეობს პატარა ლამაზი სოფელი ნოღა, სადაც 1887 წლის 26 თებერვალს დაიბადა აკაკი შანიძე. საუკუნის მეცნიერი თავს გურულად თვლიდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ სამტრედიელები. აჯობეს ჩოხატაურელებს, დროებით „დაითრიეს" ნოღა და გურული ენათმეცნიერი გააიმერელეს. თუმცა გურულებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიბრუნეს დაკარგული ტერიტორია. სამტრედიელები კი იმედს არ კარგავენ და რევანშისათვის ემზადებიან.

ნოღა – გურულად მოზარდ ხესაც ნიშნავს და ღელესაც, იმერულად კი – მდინარსპირის ნოყიერი ადგილია. ამდენად ამ დავას ეტიმოლოგები ვერ გადაწყვეტენ.

რაც შემეხება პირადად მე, დასაკარგავი არაფერი მაქვს: დედით გურული გახლავართ და მამით – იმერელი.

P. S. ჰომეროსის მშობლიური ქალაქის პრეტენზიას შვიდი ქალაქი აცხადებდა: სმირნა, ხიოსი, კოლოფონი, როდოსი, სალამინი, არგოსი და ათენი.

* * *

2005 წლის გაზაფხულზე ტელეინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა – სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა: მაჯაზე ორი საათი მიკეთია: ერთი თბილისის დროს აჩვენებს, მეორე – პარიზისას: პარიზის საათით თვალყურს ვადევნებ ჩემს ქალ-ვაჟს, რომლებიც პარიზში ცხოვრობენ: ზუსტად ვიცი, რომელი რა დროს სად იმყოფება და რას აკეთებსო.

გამახსენდა ქართველი მწერლის როდამ ჩაჩანიძის ნაამბობი (იგი ხანგრძლივად მუშაობდა გემზე და მთელი მსოფლიო მოიარა): რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ვყოფილიყავი და რა დროც არ უნდა ყოფილიყო, თბილისის ერთი დრო მახსოვდა და შუაღამისასაც კი იმ დროს გამეღვიძებოდა ხოლმე, რადგან იმ დროს თბილისში ჩემი შვილი სკოლაში მიდიოდა და ზუსტად იმ საათსა და იმ წუთზე სვეტაფორზე უნდა გადაეარაო.

ვინ ვარ მე?

პოეტი, რომელიც ყოველთვის ეძებს და ხანდახან პოულობს, ხოლო თუ ვერ პოულობს, მაინც ეძებს.

„დეები"

1998 წლის 30 ივლისს გამომცემლობაში მეწვია თენგიზ მირზაშვილი და სხვათა შორის მიამბო ეთერ თათარაიძის კარის მეზობლების – შინაბერა დების შესახებ (გვარს ყოველი შემთხვევისათვის ვერ ვასახელებ!): სამოცი წლისანი არიან, აქვთ განსაკუთრებული და გასაოცარი ხატოვანი გურულიმერული მეტყველება. მე ეთერს ვურჩიე და იგი მალულად იწერს მათ ნაამბობს, მაგრამ წაკითხვა არ კმარა, ეთერს უნდა მოუსმინო, რომ მარილი არ დააკლდეს. წავიდეთ და ეხლავე მოგასმენინებო. მე ვუთხარი, ერთი საათის შემდეგ ჩემს ირაკლის ველოდები-მეთქი. მაშინ დაურეკა ეთერ თათარაიძეს, გაესაუბრა, გადმომცა ყურმილი და მოვისმინე, მაგრამ რა მო-

ვისმინე! ეს იყო კილოკავებით შეზავებული ზეპირისიტყვაობის შედევრები. ერთი საათი ისე გავიდა, ვერ გავიგე. ირაკლი დამადგა თავზე და იძულებული გავხდი, მოსმენა შემეწყვიტა. ეთერს ვთხოვე, დიქტოფონით გააგრძელე მალული ჩაწერა და მერე კასეტაზე გადაიტანე-მეთქი.

სხვათა შორის, ეთერი შესანიშნავი იმიტატორი აღმოჩნდა. ჩუბჩიკამ შინაბერებს „დეები" შეარქვა.

* * *

გიორგი ლეონიძე: წიგნი პოეტის აბანოა.

* * *

მე უფრო ორშაბათის ოპერა მიყვარს: სმენა მღალატობს.

* * *

როცა მწერალი დასრულებულ ნაწარმოებს უბრუნდება, თავდაპირველად აღმავალი გზით მიდის, აუმჯობესებს. მაგრამ დგება მომენტი და კულმინაციურ წერტილს მიაღწევს. თუ არ გაჩერდა, დაღმართი დაიწყება და უკვე გააუარესებს. ამ კულმინაციური წერტილის გამოცნობა ძნელია, ძალიან ძნელი.

ეს მოსაზრება ლევ ტოლსტოის უნდა ეკუთვნოდეს.

არასოდეს დამავიწყდება ვნება და აზარტი, რომელიც უმალ შეიპყრობდა ხოლმე მურმანს, როგორც კი წიგნის გამოცემას შეუდგებოდა. ეს იყო პატარა ხანგრძლივი ზეიმი, რომელიც კომპიუტერმა შეამოკლა. წიგნიდან წიგნამდე თავს აშკარად უხერხულად გრძნობდა, თითქოს რაღაცას ელოდებოდა, და მერე ისევ იწყებოდა მორიგი პატარა დღესასწაული. უკანასკნელ დღეებშიც კი „შედევრების" განმეორებით გამოცემაზე მესაუბრებოდა – ცოცხალი ავტორებიც შევიტანოთო. შედგენილი დარჩა ხალხური პოეზიის შედევრები, გალაკტიონის პროზა, რამდენიმე ჩანაფიქრი... საბედნიეროდ, დღესასწაულები უკანასკნელმა დღეებმაც კი ვერ ჩაშალეს, დღესასწაულები მეორე ნახევარმა გააგრძელა, გააგრძელა ის, რაც ყველაზე მეტად ახარებდა და გაახარებდა პირველ ნახევარს, გააგრძელა და გადააჭარბა კიდეც, გადაჭარბებულ შვიდ წელიწადში რვა დასახელების თექვსმეტი ერთეული წაამატა: ხალხური პოეზიის შედევრები, გალაკტიონის პროზა, მოგონებებისა და წერილების კრებული მურმანზე, ოთხტომეულში გამოტოვებული მესამე ტომი, რჩეულის ორტომეული, ასი ლექსი, ქართული პოეზიის შედევრების სამტომეული და ბოლოს – მურმანის ექვსტომეული... თითქოს დაუმთავრებელი ტაძარი დაუტოვა და გუმბათი დაადგა ამ ტაძარს – სამაგალითო მეუღლემ და სანიმუშო მემკვიდრემ.

მზე სტიქსის გაღმა ჩავიდა,
შენ იცდი, შენ კრთი და ღელავ...
ქარონს გადმოვუხტი ნავიდან –
მოგივედ სიკვდილიდან, ღელავ.

* * *

1982 წლის 19 იანვარს, სამშაბათ დღეს, სოფელ სუფსაში ტარიელ ჭანტურიას დედა დავკრძალეთ. სასაფლაოზე ტარიელმა მითხრა: დღეს შენი სტრიქონები გამახსენდა – „მე უფრო მკაცრი კაცი ვიქნები, როდესაც დედა არ მეყოლება". არ გეთანხმებიო.

მეცხრე საუკუნის ჩიტმები და ჩითმები

1983 წელს გამოვეცით ზაზა ალექსიძის „ატენის სიონის ოთხი წარწერა". წიგნში წარმოდგენილია ატენის სიონის ეკლესიის კედელზე ამოკითხული სამი სტროფი – ორი სრულად და მესამე – ფრაგმენტულად. ეს არის უცნობი ავტორის სამი სრულყოფილად გარითმული სტროფი, რომლებიც მეცხრე საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

პირველი სტროფი ტარიელ ჭანტურიამ და ემზარ კვიტაიშვილმა შეიტანეს ერთი ლექსის კრებულში – „ვით მარგალიტი ობოლი":

იხილეთ ესე ჟამი:
წავა, ვითარცა წამი.
აწვე გავწმიდოთ გვამი,
მერმის არა გვაქს ქრთამი.

თითქოს უხერხულია მრავალსაუკუნოვანი ჩვენი პოეზიის პირველივე ლექსის უკანასკნელი სიტყვა, მაგრამ „ქრთამი"

ძველ ქართულში საჩუქარს აღნიშნავდა და საბასეული „საცოდავი ძღვენის“ სემანტიკა გვიან შეიძინა.

ამ ოთხტაეპედით გახსნა მურმან ლებანიძემ „ქართული პოეზიის შედევრები“, ეგევე კლასიკური ფორმით გარითმული და გაწყობილი მეცხრე საუკუნის კატრენი გახსნის მომავალ ანთოლოგიებს. არადა, ფორმისა და რითმის მსგავს სრულყოფილებას ქართულმა ლექსმა სამი საუკუნის შემდეგ მიაღწია – არსენ იყალთოელი, ჩახრუხაძე, შავთელი, რუსთაველი.

მეორე სტროფის რიტმი განსხვავებულია:

ეგრე იტყვის მოძღვარი:
მუნ არა არს ვაჭარი,
თანა წააქვს სახმარი –
დრაჰმა ნაცოდ-ნაქმარი.

ამ სამ სტროფში შვიდმარცვლოვანი რიტმის ორი ვარიაციაა გამოყენებული (5-2 და 4-3). სამწუხაროდ, მესამე, რომელიც მეორის საზომს იმეორებს, ნაწილობრივაა ამოკითხული, მაგრამ ჯვარედინი რითმები გარკვევით იკითხება: ვითარი – საქმარი – მდიდარი – ზამთარი.

მეცხრე საუკუნის – თანაც პირველი ნახევრის – მონაცვლე რიტმები და ჯვარედინი რითმები იმდენად სენსაციური და მოულოდნელია, რომ შეიძლება დათარიღებაში ეჭვიც კი შევიტანოთ.

ეს სამი გარითმული სტროფი მთელი მომავალი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის კოდი აღმოჩნდა და მან სათავე დაუდო არა მარტო ქართულ კლასიკურ პოეზიას, არამედ – ქართული რითმის ისტორიასაც.

ბორის პასტერნაკი განსაკუთრებული ხაზგასმით აფასებდა სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურულ გემოვნებას და არც სცდებოდა.

1953 წლის 29 იანვარს ბორის პასტერნაკმა ნინა ტაბიძეს ოთხი ლექსი გამოუგზავნა საერთო სათაურით – „იავნანები" („Колыбельные"):

– აჩვენეთ, გეთაყვა, სიმონ ჩიქოვანს რჩევისათვის. იგი ერთადერთი პიროვნებაა რუსეთში, რომლის გემოვნებასაც ვენდობი და, თუკი იტყვის, რომ ეს ლექსები კორნეი ივანეს ძე ჩუკოვსკის „ნიანგის" უხეირო მიბაძვაა, დავეთანხმები და ჟივაგოს რვეულში აღარ შევიტანე.

როგორც ჩანს, პასტერნაკის გზავნილმა ჩიქოვანის მოწონება დაიმსახურა და ასე აღმოჩნდა ჟივაგოს ლექსებს შორის ასსტრიქონიანი – სამნაწილიანი – სათაურშეცლილი – „ზღაპარი", რომელიც ოთხი იავნანის საბოლოო ვარიანტს წარმოადგენს.

სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძესთან ერთად, ხშირად ურჩევდა სათარგმნ მასალას რუს პოეტს. თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე პასტერნაკი განუწყვეტლივ თარგმნიდა ქართულ პოეზიას. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გიორგი ლეონიძის ლექსი გადაარუსულა. თარგმნა მთელი ბარათაშვილი, ვაჟას „გველისმჭამელი" და თერთმეტი თანამედროვე ავტორი...

და მე ვფიქრობ, იქნებ საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებულ რუს პოეტს, შექსპირის ტრაგედიებისა და გოეთეს „ფაუსტის" მთარგმნელს, ქართველი პოეტების დამჯერეს და ქართველ კოლეგებზე მინდობილს, როდესაც ნებით თუ უნებლიეთ მხოლოდ თარგმნიდა და თარგმნიდა, – იქნებ ამჯერა-

დაც დაეჯერებინა ქართველი მეგობრებისათვის და, თუკი შესთავაზებდნენ და დააინტერესებდნენ,– „ვეფხისტყაოსანი“ ეთარგმნა.

ძნელია, ბორის პასტერნაკს – მონათლულ იუდეველს – შოვინისტობა დასწამო, მაგრამ როდესაც რუსი კოლეგა ქართველ კოლეგას მხოლოდ რუსულ გარემოსა და განზომილებაში წარმოიდგენს და წარმოგვიდგენს, კიდევ უფრო ძნელია ამას სხვა სახელი დაარქვა.

22 და 25

– მე ვგიჟდებოდი მაიაკოვსკიზე. როცა მთავაზობდნენ, რაიმე მეამბნა ჩემს შესახებ, მაიაკოვსკიზე ვიწყებდი საუბარს.

– მე მას ვაღმერთებდი და თავი სრულიად უნიჭოდ წარმომედგინა.

– რაღაც დანაშაულს ვგრძნობდი მის წინაშე და უფრო ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, მწერლობას მივატოვებდი.

– იგი ბავშვობიდანვე გაანებივრა მომავალმა, რომელსაც სიყრმიდანვე ეწია, რაკი ყველა ჩვენგანს გადაგვისწრო.

ეს აღსარება ბორის პასტერნაკმა დაწერა 1930 წელს – მაიაკოვსკის თვითმკვლელობის წელს – და თხუთმეტი წლის წინანდელი საკუთარი განცდები გაიხსენა. ლიტერატურული ქრონოლოგიისა და გარემოების სიცხადისათვის ისღა დაგვრჩენია, ორი პოეტის ასაკი შევაპირისპიროთ: მაშინ მაიაკოვსკი 22 წლისა იყო, პასტერნაკი კი – 25 წლის!

არადა, დრამატურგ ალექსანდრე გლადკოვს 1941 წლის 27 თებერვალს, ევაკუაციისას, ჩისტოპოლში ჩაუწერია ცნობილ ლიტერატურათმცოდნე გრიგორი ვინოკურთან საუბარი,

სადაც ეს ასაკობრივი შეფარდება რატომღაც და როგორღაც შებრუნებულია. გლადკოვი წერს:

– ვინოკური, რომელიც კარგად იცნობდა მაიაკოვსკის, ადასტურებს ლილია ბრიკის ნაუბარს იმის შესახებ, რომ მაიაკოვსკი განუწყვეტლივ ბუტბუტებდა პასტერნაკის ლექსებს. მას უყვარდა ბორის ლეონიდოვიჩი ისე, როგორც უყვართ ურჩი უმცროსი ძმა. ამათ ურთიერთობაში (ვინოკური კი ორივეს ერთად აკვირდებოდა) ყოველთვის შეიმჩნეოდა მაიაკოვსკის მშვიდი და გულთბილი განწყობა და პასტერნაკისეული დაუცხრომელი მონაცვლება აღტაცებისა და ბავშვური ამბოხისა, როცა უმცროსი ძმა უფროსის შეუზღუდავ მეურვეობას ვერ იტანს.

როგორც ერთხმად აღიარებენ და ფოტოსურათებიც ადასტურებენ, ბორის პასტერნაკი საკუთარ ასაკზე ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაგრამ დაბადების (და არა ლექსის!) მეტრიკას სად გაექცევი?!

ორი სიმაღლე – ოცი წლის შემდეგ

1957 წელს, ცნობილი რეაბილიტაციის შემდეგ, მწერალთა კრებაზე, ახალგაზრდა არჩილ სულაკაურმა ბესო ჟღენტს ოცდაჩვიდმეტი წელი გაუხსენა.

ბესომ უთხრა: მე შენგან საყვედურს (უნდა ეთქვა – ბრალდებას!) არ მივიღებ და არ გიპასუხებ. გამოვიდეს მწერალი, რომელიც მაშინ ჩემს გვერდით იდგა, შემომედაოს და მე ვიცი, იმას როგორ დაველაპარაკოო.

არჩილი მართალი იყო და, მგონი, ბესოც მართალი ბრძანდებოდა.

ღმერთმა დაგვიფაროს!

1993 წლის 31 ივლისს ტელევიზორმა გვაუწყა: თბილისს ესტუმრა სერგო ლავრენტის ძე გეგეჭკორი (ბერიას ვაჟიშვილი, რომელიც გასაგები მიზეზის გამო დედის გვარს ატარებს, სახელი კი ორჯონიკიძის პატივსაცემად დაარქვა მამამისმა). სერგო ლავრენტის ძე თურმე უკრაინაში დირექტორია დიდი გასამხედროებული ქარხნისა, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს.

სერგომ კუკიაზე მოინახულა საფლავი დედისა, რომელიც შარშან გარდაიცვალა – 90 წლისა.

სერგო მიიღო ედუარდ შევარდნაძემ და შესთავაზა სამშობლოში დაბრუნება.

ღმერთმა დაგვიფაროს! – სერგომ და ლავრენტიმ ხომ საქართველო ამოაგდეს იოსებ ბესარიონის ძის თამადობით!

* * *

ვერლიბრი – უშრომელი შემოსავალი (ოთარ მამფორია).

* * *

სიმთვრალე – ხელოვნურად გამოწვეული სიგიჟე (ავლიპი ზურაბიშვილი).

„ჟიგული“ და „მერსედესი“

1985 წელს დავწერე:

მეზობლის „ჟიგულმა“ მეზობლის „ჟიგულს“ აკოცა,
მეზობელმა მეზობელი ლამის აკუწა.

1987 წელს გამოვიდა ანდრეი ვოზნესენსკის წიგნი „Ров“. წიგნი იხსნება უთარიღო ლექსების ციკლით. ორმოცდამეხუთე გვერდზე დაბეჭდილია „Московская окрошка“, რომელშიც ასეთი სტრიქონებია:

И пятитоночки, сердечно
поцеловавшей „Мерседеса“
на выезде из гаража –
окрошка хороша.

ასე შეეხაჯნენ ერთმანეთს და გადაკოცნეს ერთმანეთი ჩემმა „ჟიგულმა“ და ანდრეის „მერსედესმა“.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში თბილისში აქა-იქ გამოჩნდა უცხოური მარკის მსუბუქი ავტომობილები, რომლებსაც ზოოპარკში შესულებივით ხარბად ათვალიერებდნენ საბჭოთა ავტომოყვარულები. ერთხელ ბენზინის რიგში ვიდექი, უცებ ლურჯი „მერსედესი“ მოსრიალდა და ცნობისმოყვარე მძღოლები ერთბაშად მიიზიდა. მძღოლს გავესაუბრე და გულისტკივილით მითხრა: ძალიან კარგია და ძალიანაც მომწონს, მაგრამ უნდა გავყიდოო. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: დირექტორმა დამიბარა და გამაფრთხილა: ან მაგ „მერსედესს“ გაყიდი, ანდა სამსახურიდან წახვალო.

ასეთი დროც იყო!

999

1978 წელს დავწერე „გამოცანა“:

> სტვენს გაზაფხულის შიკრიკი
> და ღვივის, როგორც კრამიტი,
> გარეთ ატლასი, შიგნით კი –
> 999.

1996 წელს ერთი მაღაზიის აბრაზე ამოვიკითხე: „999 წვრილმანი“. მომეწონა: ავტორს იუმორის ნიჭი ჰქონია, ანდა – ჩემი ლექსი აქვს წაკითხული.

„ლოდი, ნასაყდრალი“

გურამ დოჩანაშვილისა ყველაზე მეტად „ლოდი, ნასაყდრალი“ მომეწონა: ქართული ენის სტიქიაში, უფრო ზუსტად – ქართული გრამატიკის სტიქიაში ასე თამამად და ასე „თავხედურად“ არავინ შეჭრილა. შეიჭრა და საკუთარი ფონეტიკა, საკუთარი მორფოლოგია, საკუთარი ორთოგრაფია და საკუთარი პუნქტუაცია დაიკანონა. ლინგვისტური ღირებულებანი ერთბაშად გადააფასა და ჩამოაფასა. მთარგმნელი მოტეხა, რედაქტორი ფეხებზე დაიკიდა და მთელი პასუხისმგებლობა კორექტორებს აჰკიდა. კორექტორების რეაბილიტაცია მოახდინა, ვინაიდან თანამედროვე გამომცემლობები ასეთ ნომენკლატურას არ იცნობენ და არ სცნობენ, სამწუხაროდ!

ადრე გამომცემლობებში კორექტორების სამსაფეხურიანი იერარქია აღირიცხებოდა: ამომკითხველი, ძირითადი და კონ-

ტროლიორი. ამომკითხველი დედანს აწყობამდე ამოიკითხავდა და იმ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებს ასწორებდა, რომლებიც ავტორმა და რედაქტორმა ვერ შეამჩნიეს. ძირითადი კორექტორი პირველ ანაბეჭდებს წაიკითხავდა, ხოლო უფრო გამოცდილი კონტროლიორი კორექტორი – ჩასწორების შემდეგ. ამ სამეულის ვიზის გარეშე წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა.

საგანგებო შემთხვევაში ოთხი თვალი ამოწმებდა ერთდროულად: ერთი კორექტორი ხმამაღლა კითხულობდა დედანს, მეორე კი პოლიგრაფიულ სახაზავს წააფარებდა ანაბეჭდს, სტრიქონ-სტრიქონ ჩამოაცურებდა ამ სახაზავს და თან ისმენდა და თან მარცვალ-მარცვალ უჩუმრად მიედევნებოდა მოსმენილს. ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ლენინისა და სტალინის ტომები და შემდეგ – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

დაუმატეთ ამას სტამბის კორექტორები და პროცესი სრულყოფილი იქნება.

ცნობილია, „დედაენის“ ანაწყობში აღმოჩენილი თითოეული კორექტორული შეცდომის აღმოჩენისათვის იაკობ გოგებაშვილი თითო ოქროთი აჯილდოვებდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ჟურნალ „ცისკარში“ გაპარული ერთი კორექტორული შეცდომის გამო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შეიკრიბა: სამართალმა პური ჭამა და ჟურნალში „მენშევიკების სისხლიანი რეჟიმის“ ნაცვლად დაიბეჭდა – „ბოლშევიკების სისხლიანი რეჟიმი“. ბიურომ დაადგინა და ჟურნალის მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

გამომცემლობები და რედაქციები არანაკლებ გულგრილობას პუნქტუაციისადმი იჩენენ, ზოგჯერ კი საერთოდ უარყოფენ მართლწერის ელემენტარულ ნორმებს, არადა, ერთადერთ მძიმეს და ერთადერთ წერტილს შეუძლია სიკვდილმისჯილი გადაარჩინოს.

1973 წელს მე დავწერე „ოდა სასვენი ნიშნებისა" და ასე დავასრულე:

მე კი ისევ ერთგული ვარ ძველი მონაპოვრის:
სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო სასვენ ნიშნებს შორის.

გურამ დოჩანაშვილმა აქტიურად უერთგულა შევიწროებულ და უგულებელყოფილ სასვენ ნიშნებს, აღადგინა თავის უფლებებში, დამატებითი ფუნქციებიც დააკისრა, ტირე და დეფისი წამოახმარა და უსიტყვო კომბინაციებიც კი შემოგვთავაზა: სასვენი ნიშნები – ასო-ნიშნების გარეშე, თანაც – ამ ნიშნების მხოლოდ ავტორისათვის გასაგები მრავალსახოვანი კომბინაციები ანუ გამოცანა-განტოლებანი.

მოკლედ – ომი გამოუცხადა ენათმეცნიერებს და ენათმეცნიერებას.

საჭიროა მეორე შანიძე, უფრო სწორად – ანტიშანიძე, რომელიც „ლოდი, ნასაყდრალის" საფუძველზე დაწერს „ქართული გრამატიკის ახალ საფუძვლებს" და ამ ანტირომანს დაურთავს.

ვიცი, ბევრი ოპონენტი მეყოლება. ისიც ვიცი, ამ რომანს ბევრი მკითხველი არ ეყოლება. მაგრამ კარგახანია გურამ დოჩანაშვილს მკითხველის დეფიციტის საშიშროება აღარ ემუქრება.

ახლახან როსტომ ჩხეიძის წერილში ამოვიკითხე, რომ გურამი თავის ნაწერებში ამ რომანს გამოარჩევს და, თუმცა ავტორის არჩევანი ყოველთვის არ ამართლებს, დოჩანაშვილს ამჯერადაც არაფერი ეშლება.

როდესაც შენი საყვარელი მწერლის მორიგ ნაწარმოებს კითხულობ, ხშირად გეჩვენება, რომ ეს უკანასკნელი სჯობს ყველა დანარჩენს. „ლოდი, ნასაყდრალი" შვიდი წლის წინ წავიკითხე, მაგრამ აზრი არ შემიცვლია.

წიგნი თუ კომპიუტერი?

რა თქმა უნდა – წიგნი!

წიგნი, რომელიც:

– დედამ მიყიდა (ასმანეთიანი გალაკტიონი).

– ბუკინისტებთან აღმოვაჩინე.

– ძველი სახლის ნანგრევებში ვიპოვე.

– აკრძალული იყო.

– საკუთარი ხელით გადავწერე.

– რეაბილიტირებულია.

– ვითხოვე და დავაკონსპექტე.

– ვითხოვე, დავაკონსპექტე და მერე ვიშოვე.

– რესტავრატორთან აღვადგინე.

– საწყობიდან გამოვიტანე.

– ლატარიაში მოვიგე.

– იმ დღეს ვერ შევიძინე და მეორე დღეს გაყიდული დამხვდა.

– წიგნში გავცვალე.

– ნიუ-იორკიდან ჩამომიტანეს.

– პარიზიდან გამომიგზავნეს.

– იტალიაში ვიყიდე.

– მოსკოვიდან გამოვიწერე ფოსტით.

– მატარებლით გამოატანეს და ვაგზალში დავხვდი.

– თბილისში შევუკვეთე და პეტერბურგიდან მივიღე.

– ნასესხები ფულით ვიყიდე.

– ნისიად შევიძინე.

– ვათხოვე და „გამიუპატიურეს“.

– ვათხოვე და არ დამიბრუნეს (ძაღლის ნაკბენივით მახსოვს!).

– მომპარეს (წიგნის ქურდი ქურდია!).

– დამესიზმრა.

– უწმინდესსა და უნეტარესს ვაჩუქე.

– გალაკტიონმა მაჩუქა.

ახალი წიგნი – მრავალჯერადი პირველი პაემანია, გახანგრძლივებული პირველი პაემანი.

წიგნს უყვარს მოფერება, როგორც საყვარელ ქალს.

არასოდეს დამავიწყდება პირველი ეგზემპლარი პავლე ინგოროყვას ხელში და მურმან ლებანიძის ხელში.

ყოველთვის მახსოვს გივი გეგეჭკორის მეტაფორა:

იდექ დიდხანს და ღამითაც გრძელდებოდა ჯადოქრობა,
აბაჟურთან იხრებოდი სპეტაკი და მელოტი,
და თაროდან წიგნი ისე მოწიწებით გადმოგქონდა,
თითქოს ფრთხილად ქალს ცხენიდან გადმოსვლაში შველოდი.

და მაინც, წიგნი თუ კომპიუტერი? –

რა თქმა უნდა, – წიგნი, წიგნი და წიგნი! –

შეიტანეთ წიგნი წითელ წიგნში და გადაარჩინეთ წიგნი, არჩეულო და ასარჩევო პრეზიდენტებო, თორემ ინაუგურაციის დროს კომპიუტერზე მოგიხდებათ ხელის და ფიცის დადება!

კორექტორული შეცდომა

ოთახში რომ კორექტურა გაიპაროს, იქნება ოთხი, ხოლო სამოთხეში რომ კორექტურა გაიპაროს – სამი ოთახი. რომელი სჯობს: სამი ოთახი თუ ოთხი? რა თქმა უნდა, ოთხი! ესე იგი, ოთახი სჯობს სამოთხეს! ესეც შენი კორექტურა!

შეკითხვა

გაბრიელ გარსია მარკესის მამას თექვსმეტი შვილი ჰყავდა...

გაბრიელ გარსია მარკესი ნობელიანტია.

გაბრიელ გარსია მარკესი მშობლების პირველი შვილია.

დანარჩენები?

მით უმეტეს!

რომანი მომიტანა. ძალიან, ძალიან, ძალიან უნდოდა დაებეჭდა.

მეც უარი ვუთხარი, დამემუქრა და წავიდა.

ალბათ მალე აღმოჩნდება ფსიქიატრიულში (თუ ნამყოფი არაა).

რამ უნდა გაადაარჩინოს? – დიდმა სიხარულმა!

ნუთუ არ ღირს, ერთი ძალიან სუსტი რომანის დაბეჭდვა, ადამიანი რომ გადავარჩინოთ?

მით უმეტეს – ჩვენ ბევრი ადამიანი დავღუპეთ, ძალიან სუსტი რომანი რომ დავუბეჭდეთ.

მეორე შეკითხვა

ფსევდონიმების ლექსიკონიც გამოდის: სადღა დაიმალები?

სიტყვა და საქმე

არიან ადამიანები: ერთს ფიქრობენ და მეორეს აკეთებენ.

არიან ასეთებიც: ერთს ფიქრობენ, მეორეს ლაპარაკობენ და მესამეს აკეთებენ.

და გახლავან მწერლები: ერთს ფიქრობენ, მეორეს ლაპარაკობენ, მესამეს აკეთებენ და მეოთხეს წერენ.

ეს უკანასკნელი ყველაზე მძიმე შემთხვევაა.

ცა

ბარათაშვილი ორჯერ გადაასვენეს: განჯიდან – დიდუბეში და დიდუბიდან – მთაწმინდაზე...

ღმერთი სამობითაა!

ვარიანტი

მითხარი, ვინ იყო შენი მტერი და გეტყვი, ვინ იქნება შენი მეგობარი.

* * *

ზოგიერთი ვითომ-მწერლის ვითომ-მწერლობა ასეთი დეტალითაც დასტურდება: კარგად იცვამს, გამორჩეულად იცვამს, მაგარი ჩამცმელი გახლავთ. არ შეიძლება ნიჭიერმა ჩაცმას ამდენი ყურადღება დაუთმოს, თუნდაც მდიდარი იყოს. ნიჭიერი ამისთვის უბრალოდ ვერ მოიცლის.

„მისალმებათა ნაკადი“

1949 წელს დიქტატორს 70 წელი შეუსრულდა. იუბილეს შემდეგ მთელი იმპერიის მრავალეროვანი პრესა შეუდგა საიუბილეო მისალმებათა ნაკადის ბეჭდვას: დაიწყო პიროვნებათა დასახელებით, გაგრძელდა დაწესებულებათა დასახელებით – მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. ნაკადის ბეჭდვა სამ წელიწადს გრძელდებოდა, თუმცა არავინ კითხულობდა. სამი წლის შემდეგ – დიქტატორი გარდაიცვალაო – გამოგვიცხადეს და მისალმებათა ნაკადიც შეწყდა, თორემ არავინ იცის როდემდის გაგრძელდებოდა... ეს ფაქტი ნახევარი საუკუნის შემდეგ ალბათ არც გამახსენდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა: ერთმა „სწრაფი რეაგირების“ პოეტმა ლექსების ციკლი დაწერა ამ თემაზე და ასევე დაარქვა – „მისალმებათა ნაკადი“.

მინი-ბლიც-ინტერვიუ

– საყვარელი ხმოვანი?
– ა.
– საყვარელი თანხმოვანი?
– ბე.
– მწერალი?
– აბე.
– გმირი?
– აბო.
– ანსამბლი?

– „აბბა“.
– რეჟისორი?
– აბუ.
– ფილმი?
– „გზა“.
– მდინარე?
– პო.
– ყვავილი?
– ია.
– ხილი?
– ბია.
– ფრინველი?
– ბუ.
– ცხოველი?
– კუ.
– ნამცხვარი?
– შუ.
– თვითმფრინავი?
– „ტუ“.
– გემი?
– „რა“.
– რიცხვი?
– რვა.
– მთავარსარდალი?
– ნეი.
– კაცის სახელი?
– ნოე.
– ქალის სახელი?
– ნია.

– მე.
– იარაღი?
– ტე.
– ვიტამინი?
– ცე.
– მსახიობი?
– ლი.
– პოეტი?
– პო.
– პროზაიკოსი?
– ვო.
– მხატვარი?
– პაბლო დიეგო ხოსე ფრანცისკო დე პაულო ხუან ნეპაუკენო კრისპინ კრისპიანო დელა სანტისიმა ტრანდად რუის დე პიკასო.

„და არის მხოლოდ გაღამკითხველი“

1981 წლიდან ჩვენმა გამომცემლობამ დაიწყო „ქართული პროზის“ მრავალტომეულის გამოცემა. დაიგეგმა ტირაჟი – 30 ათასი ეგზემპლარი – და გამოცხადდა ხელმოწერა. ზემელზე ხელმოწერით მაღაზიასთან მკითხველებმა ღამე გაათიეს. იმდენი მსურველი შეიკრიბა, რომ წესრიგის დამყარება შეუძლებელი გახდა, მაღაზიის შუშები ჩაამტვრიეს და ხელმოწერა ჩაიშალა. პარტიის ცეკას ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი, დამატებითი ქაღალდი გამოგვიყვეს და ტირაჟი ასი ათასამდე გავზარდეთ.

ცხადია, წიგნის ტირაჟი რეალური წამკითხველის რაოდენობას არ შეესაბამებოდა: უცხოური თაროების შესავსებად და ინტერიერის გასამშვენიერებლად შეიძინა დიდმა ნაწილმა. საილუსტრაციოდ ერთ ეპიზოდს გავისენებ: როდესაც ხელმოწერა განახლდა, „საქწიგნის“ მმართველს ერთი მინისტრის მეუღლემ დაურეკა და დახმარება სთხოვა. მაშინ მრავალ დეფიციტურ რუსულ გამოცემაზეც ტარდებოდა ხელმოწერა. ამიტომ „საქწიგნის“ მმართველმა ჰკითხა დაინტერესებულ ქალბატონს, რომელი წიგნი აინტერესებდა. მინისტრის მეუღლე დაიბნა და მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა: აი, ზემელზე მაღაზიის შუშები რომ ჩაამტვრიეს, ის გამოცემა მაინტერესებსო!!!

დილემა

ერთ სტრიქონში სამმარცვალა ტერფზე ორი სიტყვა აცხადებდა პრეტენზიას. დიდხანს ვიყოყმანე და ვერცერთი ვერ ვამჯობინე. ასეთ შემთხვევაში დაველოდები ხოლმე ერთი კვირა, ერთი თვე და შემდეგ იოლად ვიმეტებ უკვე აშკარად გასამეტებელს, მიკვირს კიდეც – ნუთუ აქ რაიმე იყო საყოყმანო-მეთქი. მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა: ერთი წლის შემდეგაც დილემის წინაშე აღმოვჩნდი და ერთადერთი გამოსავალი გამოვნახე: ოცთეთრიანი ავაგდე, ანუ „არიოლი და რეშკა“ გავითამაშე და ლექსი გამოვაქვეყნე.

პრემია – „შემდეგ“

უცნაური იდეა გამიჩნდა: დავაარსოთ ლიტერატურული პრემია „შემდეგ“, რომელიც მიენიჭებათ მხოლოდ გარდაცვლილ ავტორებს – სიკვდილის შემდეგ. ამ პრემიას ერთი დიდი უპირატესობა ექნება: ჟიურის გადაწყვეტილებაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ავტორი.

პოეტი – ასტრონომი

– როგორი პოეტია შალვა საბაშვილი?
– ვარსკვლავებს ეთამაშება?

* * *

ახლობელი რომ გარდაგვეცვლება, ვემშვიდობებით და ვეუბნებით: მშვიდობით!

არადა, უფრო გამართლებული იქნებოდა გვეთქვა: ნახვამდის! –

ჩვენ ხომ სასაფლაოდან დროებით ვბრუნდებით უკან და საბოლოო გზა იქითა გვაქვს, ვის – როდის და ვის – როდის?!

საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ოპოზიცია გვაშინებს და არც ისე კარგად, როგორც მთავრობა გვაიმედებს.

* * *

მექსიკელები, დილით, რომ გაიღვიძებენ, მზეს მიმართავენ:

– მზეო, რა შორსა ხარ შენ და რა ახლოსაა ამერიკის შეერთებული შტატები!

მივბაძოთ მექსიკელებს:

– მზეო, რა შორსა ხარ შენ და რა ახლოსაა რუსეთი!

* * *

სტალინიზმი და ფაშიზმი – მეოცე საუკუნის ორი საკაცობრიო სარკომა, რომლებსაც ჩვენ მოვესწარით – არა მარტო როგორც მაყურებლები.

* * *

ბრძოლის დროს კაცი და კაცი ორ კაცზე მეტია, – მით უფრო სამ კაცზე მეტია – კაცი და კაცი და კაცი!

* * *

წინამური – ქართველების მიერ წაგებული ყველაზე დიდი ომი.

ოციოდე სიტყვა

ზვიად კვარაცხელია – „დარეკე! დაუბარე!"

თვითონ გამორჩეული პროზაიკოსი სხვა კოლეგებზე გვესაუბრება. რაკი მიმდინარე ლიტერატურული პროცესის მკვლევართა რიცხვი შეიზღუდა, მსგავსი გამოცდილება სამაგალითოა. მწერლებზე მწერლები წერენ უკეთესად.

მინაწერი სასიყვარულო წერილზე

წაიკითხე და არ დახიო და არც დაწვა!

* * *

– სიკვდილამდე შენი ერთგული ვიქნებიო, – ეფიცებოდა ცოლი სიკვდილმისჯილ ქმარს.

კორონავირუსი

ფრთხილად, კაცობრიობავ, შენს გუშაგს ჩაეძინა!

პოეზია და პოეტები

ჩემი ბარათაშვილი

I

ბარათაშვილის პორტრეტი არ არსებობს. და რადგან ბარათაშვილის პორტრეტი არ არსებობს, ყველას თავისებურად წარმოუდგენია პოეტის პროფილი თუ ანფასი. ყველას თავისი ბარათაშვილი ჰყავს.

მეც მყავს ჩემი ბარათაშვილი.

თავდაპირველად ეს იყო ყარიბი მგოსანი, რომელიც ძალიან ადრე გარდაიცვალა, რომელმაც ძალიან ცოტა ლექსების დაწერა მოასწრო, რომელსაც არცერთი თავისი სტრიქონი დაბეჭდილი არ უხილავს.

შემდეგ ამ ყარიბ მგოსანს მსოფლიო ეპატარავა, სამყარო ევიწროვა. იგი თანდათან ამხედრდა თავის მერანზე და ირგვლივ ისეთი ქარიშხალი დაატრიალა, რომ სიტყვებმა წონა და მნიშვნელობა დაჰკარგეს, გაქრა დროისა და სივრცის შეგრძნება, წაიშალა გეოგრაფიული საზღვრები და ერთარსებად ქცეული მხედრისა და მერანის ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელი გახდა.

ეს არ იყო არც მხედარი და არც მერანი (როგორც ხატავენ ხოლმე). ეს იყო, ეს არის ამბოხებული, აჯანყებული სული, რომელიც დედამიწის მიზიდულობის ძალას გაექცა,

რომლისთვისაც აღარვითარი წინააღმდეგობა აღარ არსებობს, რომელსაც მთელი კაცობრიობა უსმენს.

ეს არის „განწირულის სულისკვეთებით“ აღფრთოვანებული ოცდათექვსმეტი სტრიქონი: ალბათ მეტს ვერც გაუძლებდა ადამიანის ნერვი, ალბათ ამდენსაც ვერ გაუძლებდა, დროგამოშვებით რომ არ იცვლებოდეს მძაფრი რიტმი ოცდათექვსმეტი ხანგრძლივი ტაეპისა.

არ შეიძლება შეურიგებელი სულის ეს აღსარება ისე წაიკითხოთ, სხვათა შორის წაიკითხოთ, მეტროში წაიკითხოთ ან წამოწოლილმა წაიკითხოთ.

ზოგან ეს ოცდათექვსმეტი სტრიქონი მუსიკალურ ნაწაროებად უფრო აღიქმება და ამდენად და ამიტომ მისი თარგმნა თითქმის აღარც შეიძლება, თითქოს აღარც არის საჭირო.

ვუსმენთ ლირიკული შესაძლებლობის უკიდურესობამდე დაძაბულ ამ ოცდათექვსმეტ სტრიქონს და ვიმუხტებით მაღალი ძაბვის პოეზიით, უკვე ფეხი მიწაზე აღარ გვიდგას, თითქოს მოთმინების ბორკილებს ვიხსნით და წყვდიადიდან მზეზე გამოვდივართ.

II

ამ მაღალი პოეზიის სრული შეცნობისათვის საკმაოდ მომზადებული გემოვნებაა საჭირო და აუცილებელი. სამწუხაროდ, ყოველი ჩვენგანი შედარებით ადრე ეცნობა და იზეპირებს (უფრო სწორად – აზეპირებინებენ!) პოეტური აზროვნების ამ იშვიათ გამოვლინებას და შემდეგ, როდესაც გემოვნება ეხვეწება, მოკლებულია იმ ესთეტიკური სიამოვნების განცდას, რომელსაც ჭეშმარიტი მხატვრული შედევრის პირველი გაცნობა გვანიჭებს.

ამიტომაც უფრო გასაგებია ოცდაერთი წლის ილია ჭავჭავაძის უკიდურესი აღტაცება, რომელმაც მოულოდნელად პირველად წაიკითხა „მერანი" და ბარათაშვილის სხვა ლექსები და რამდენიმე დღე „ჰგოდებდა ბარათაშვილით".

III

ბარათაშვილს სიცოცხლეში ბევრი რამ დააკლდა.

სიცოცხლის შემდეგ ახლობლების ცრემლიც დააკლდა.

მაგრამ ქართველმა ერმა თითქოს ორჯერ აღმოაჩინა, ორჯერ გამოიტანა მზეზე, ორჯერ მაღლა ასწია, დროშასავით მაღლა ასწია.

და თითქოს განგებ გაიხანგრძლივა, თითქმის მთელი საუკუნით გაიხანგრძლივა გზა განჯიდან მამადავითამდე, რათა ხშირად მოსიყვარულებოდა, ყოველ ნახევარ საუკუნეში ერთხელ მაინც მოსიყვარულებოდა თავის უდროოდ დაკარგულ იმედს.

პოეტის შეურიგებელი და მოგანგაშე სული კი სამმა სამარემაც ვერ დააცხრო და იგი კვლავაც ახალ პლანეტებს იპყრობს.

1968

„მე ღამაზი მეგობარი მყავდა“...

ამ ოთხი ათეული წლის წინათ, როცა თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ ამაყად დააბიჯებდა პოეტების მეფე, პირველად გაისმა ანა კალანდაძის სახელი, რომელმაც ერთბაშად გააოცა შედევრებით განებივრებული საქართველო.

თითქოს უცნაურმა სიომ დაჰქროლა და უცნობ ნაკრძალში გადაგვასახლა.

იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო ამ გაოცების ძალა და სიმძაფრე, რომ მან პოეტური სიტყვის მკითხველები და განმკითხველები გაოცებას გადააჩვია.

ხოლო აღტაცება იმდენად შთამბეჭდავი და ხანგრძლივი აღმოჩნდა, რომ შემდეგ და შემდეგ აღმავალი განახლების მნიშვნელოვანი პერიოდები თვით ანა კალანდაძესაც ჩვეულებრივ მოვლენად ჩაუთვალეს.

ანა კალანდაძის ხმა თავიდანვე მკაფიოდ გამოირჩა ქართული ლირიკის პოლიფონიაში.

ანა კალანდაძე დღესაც განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობს.

საყოველთაო აღიარებამ და პოპულარობამ დღემდე ვერ გამოიტყუეს იგი მოკრძალების ციხე-კოშკიდან.

რომ არა სიმონ ჩიქოვანის ყურადღება, ანა კალანდაძის ლექსების უმრავლესობა უცნობი დარჩებოდა მკითხველი საზოგადოებისათვის, მით უფრო – არაქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის.

რომ არა მურმან ლებანიძის გარჯა, ანა კალანდაძის ზოგიერთი წიგნი ვერ დაამშვენებდა ჩვენს თაროებს.

სამწუხაროდ, ეს მაგალითები ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების სანიმუშო და დამაფიქრებელი გამონაკლისებია.

ანა კალანდაძემ იცის, რომ მკითხველს თავი უნდა მოანატრო, ლექსი და წიგნი უნდა მოანატრო.

მრავალი მისი ნაწარმოები ოცი და ოცდაათი წლის შემდეგ დაიბეჭდა.

უნდა ვივარაუდოთ: ზოგი დღემდე არ გამოქვეყნებულა.

წლები გადიან და ცისკენ მიპყრობილი მზერა პოეტისა გულგრილი რჩება მიწიერი წვრილმანებისადმი.

ამქვეყნიურმა ცდუნებებმა ვერ მოხიბლეს მისი ყურადღება.

ანა კალანდაძემ ბოლომდე შეინარჩუნა ის უშუალობა და გულწრფელობა, რომელსაც ადამიანები სიყმაწვილესთან ერთად კარგავენ ხოლმე.

ეს ინტიმი პოეზიაშიც გადაარჩინა.

როდესაც ანა კალანდაძის ლექსებს ვკითხულობ, ასე მგონია, ლირიკულ ლექსებს მამაკაცები აღარ უნდა წერდნენ.

წარმომიდგენია, როგორ უჩვეულო მდგომარეობაში იგრძნობს თავს ძვირფასი ადრესატი ასეთი კომპლიმენტის წაკითხვისას.

მაგრამ საჭიროა ათწლეულების მიჯნაზე მაინც შევახსენოთ მადლიერ მკითხველს პიროვნების შესახებ.

რაც შეეხება შემოქმედებას, – ანა კალანდაძის ლექსებს მთელი საქართველო კითხულობს და მღერის. მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის სამეფოს ღირსეული დედოფალი ამშვენებს!

არა მარტო მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის სამეფოს!

1984

უცნობი და ნაცნობი ანა კალანდაძე

ანა კალანდაძე ერთადერთი მწერალია, რომელსაც არასოდეს გამოუთქვამს სურვილი წიგნის გამოცემისა. ყოველი მისი კრებული გამომცემლობის ინიციატივით დაიბეჭდა. ამჯერად გამომცემლობა „საქართველომ“ პოეტს ორტომეული შესთავაზა.

მეორე წიგნის უმეტესი ნაწილი ავტორისა და გამომცემლობის შემოქმედებითი თანამშრომლობის ნაყოფია.

პირველ წიგნში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ენაცვლებიან ერთმანეთს: „საქართველოო ლამაზო“ და „შორია თამარ“, „კარში გამო, ჭია-ჭია მარია“ და „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“, „თქვი, არჯაკელო ხვიარა“ და „ბროლს მოამსხვრევს თეთრახევა“, „რაღაც მეწყინა შენგან, შროშანავ“ და „რატომ შეეხე ჩემს კრეტსაბმელს“, „რა ამბავია ყვავილთ სასახლეს“ და „რა ეშველება ამ მოკლე ზაფხულს“, „გამომეცხადა რჩეული ჩემი“, „მიაშურა მტერთა ბანაკს ზოგმა“, „დუმს ვარსკვლავების ჩუმი სამყარო“, „აქ საუფლოა მთვარის“... – სათაურების სიმფონიაც საკმარისია. ნაცნობი მეტაფორებისა და მელოდიების შემდეგ კი ვარსკვლავების სამყაროს და მთვარის საუფლოს გამოეთხოვებით და მიწაზე ჩამობრძანდებით, სადაც მეორე წიგნის სასიამოვნო სიურპრიზი გელოდებათ. ესაა პროზაული ნაწერები, უპირატესად დღემდის უცნობი საუ-

ბრები, მოგონებები, ჩანაწერები და ერთიც – ორიგინალური ჟანრი – სხვათა გამონათქვამები პოეტის „სამახსოვრო წიგნიდან“: ანას თითქოს საგანგებოდ შეურჩევია მოსაუბრენი. თვითონ უმეტესად დაკვირვებული მსმენელის როლში გვევლინება და იშვიათად გამოჩნდება ხოლმე. ლინგვისტის პროფესიამ სტუდენტობიდანვე დააოსტატა ენათმეცნიერი-ჩამწერი. იგი განისწავლა არნოლდ ჩიქობავას სახელოვან სტუდიაში, რომელიც სხვათა შორის თვითონ მოგვევლინა ერთ-ერთ მთქმელად ანუ „მათქომად“, როგორც ფშავში ეძახიან.

საინტერესოა პოეტის პროზა, საინტერესოა ანა კალანდაძის გარემო, სადაც თითქოსდა მოულოდნელად აღმოჩნდებით: გაეცნობით პოეტის წინაპრებსა და ნათესავებს, ახლობლებსა და თანატოლებს, მეგობრებსა და მეზობლებს, სრულიად შემთხვევით შეხვედრილ პიროვნებებსაც; გაეცნობით ანა კალანდაძის მხატვრებს, კომპოზიტორებს, დეკლამატორებს, მთარგმნელებს; გაეცნობით ანტიკვარული ნივთებითა და იშვიათი ნახატებით, ძველი ფოტოსურათებითა და პირადი წერილებით გაცოცხლებულ უახლოესი წარსულის შთამბეჭდავ ეპიზოდებს. თავისი შემოქმედებითი მრწამსის კვალდაკვალ პოეტი გულისტკივილით გვესაუბრება ეროვნულ პრობლემებზე: ტრანსკავკასიის რკინიგზა, სასკოლო რეფორმები, სტიქიური უბედურებანი, ცხრა აპრილი, სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ტრაგედია...

ფშავ-ხევსურეთი ანა კალანდაძის მეორე მშობლიური კუთხეა. ასეც აისახა ლირიკულ ციკლში. ამჯერად კი გახმაურებული ლექსების კოლრიტულ ადრესატებს შევიცნობთ, დავუახლოვდებით, გავუშინაურდებით. გულისხმიერ მასპინძლებთან ერთად პოეტი მოგზაურობს სოფლიდან სოფელში, სალოცავებში და დღესასწაულებზე. ჩვენ არხოტის

ციცაბო დაღმართებში ნაცრისფერ ტაიჭზე ამხედრებულ ანა კალანდაძესაც მოვკრავთ თვალს.

ქეთევან მაღალაშვილმა ანას სამი პორტრეტი დახატა. მაღალაშვილის სეანსები აღსავსეა ლირიკით, მუსიკით, ინტელექტით, იუმორით. სეანსებზე როლები განაწილებულია: მოდელი დუმს და უსმენს (იმახსოვრებს!), მხატვარი ოცნებობს, იგონებს, საუბრობს, ესაუბრება და თან ხატავს. მონოლოგების ამ ფრაგმენტებისაგან ანა კალანდაძემ თვითონ შექმნა ქეთევან მაღალაშვილის დაუვიწყარი პორტრეტი და სამაგიერო მიაგო უფროს მეგობარს.

მხატვრის სახელოსნოდან სახიფათო ზონაში გადავაბიჯებთ – კოლხური კოშკის ბინადრებთან, რომლებთანაც პოეტს წმინდა მირონი ანათესავებდა. ბატონ კონსტანტინეს შინაურ გარემოში ვიხილავთ. მწერლის ცხოვრების რამდენიმე საინტერესო დეტალს დავიმახსოვრებთ, დიდოტატის პორტრეტს ორიოდე დამახასიათებელ შტრიხს მივუმატებთ. ვიზიტს დაასრულებს უკანასკნელი წლების „მხოლოდ ფაქტები“.

„სიყვარულით ფართოვდება ქვეყანა (სხვადასხვა დროს პირადად თუ სხვათაგან მოსმენილ-გაგონილი)“ – გადაიკითხავთ მინიატურების ამ ციკლს და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით: კარგ მთქმელს კარგი გამოგონე სჭირდება, ისევე როგორც კარგ მწერალს – კარგი მკითხველი.

ელენე ახვლედიანის პოეტური სალონიდან სტუმართმოყვარე მარიკა და სიმონ ჩიქოვანებს ვეწვევით, უმწიკვლო მოძვარის – არნოლდ ჩიქობავას ოჯახის შემდეგ სვეტიცხოვლის გათხრებს დავათვალიერებთ, სადაც ჩვენი გიდი ბატონი ვახტანგ ცინცაძე იქნება. მცხეთიდან თბილისის სიონში მოვბრუნდებით – უწმინდეს და უნეტარეს კალისტრატე ცინცაძესთან. ნოდარ დუმბაძის ზენობანიდან ლადო ასათიანის

ბარდნალაში გამოვიცლით. ნიკო კეცხოველთან ერთად ქართლის მინდვრის ყვავილებს მოვეფერებით. ლევან გოთუა გურიასა და აჭარაში გაგვიწევს მეგზურობას. პავლე ინგოროყვას თანხლებით სოლოლაკის ქუჩებში გავისეირნებთ. დემნა შენგელაიას მოვუსმენთ, პოლიკარპე კაკაბაძეს გავესაუბრებით. პოეტი-აკადემიკოსის მეორე ოჯახში – ენათმეცნიერების ინსტიტუტში – ვანო გიგინეიშვილის ექსპრომტები შემოგვეგებება. შევხვდებით შალვა ნუცუბიძესა და ნიკო ბერძენიშვილს, თამარ ციციშვილსა და ანა ვარდიაშვილს, სერგო ზაქარიაძესა და ანდრია ბალანჩივაძეს, ანას თვალით შევხედავთ მოსე თოიძესა და პაპუნა წერეთელს, გრიგოლ კიკნაძესა და რევაზ ინანიშვილს, მურმან ლებანიძესა და ზინა კვერენჩხილაძეს... მივესალმებით და აღსანიშნავ თარიღებს მივულოცავთ სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა ხელობის სახელოვან მამულიშვილებს. გავიაზიარებთ ორი წიგნის სიბრძნესა და სილამაზეს, ტკივილსა და სიხარულს.

არ დაგავიწყდეთ: ორტომეული გრაფიკულად ლორეტა შენგელიამ გაამშვენიერა.

არ დაგავიწყდეთ: ორტომეულის ტირაჟი, სამწუხაროდ, ერთადერთი ათასია!

P. S. იყო დრო, ანა კალანდაძის ლექსები ხელნაწერებად ვრცელდებოდა!

1997

„გვიანი გაზაფხულიც – გაზაფხულია!“

შტრიხები პორტრეტისათვის

მთავარი შტრიხი, რომელიც იზა ორჯონიკიძის პიროვნულ და პოეტურ სილუეტს გამოარჩევს თანამედროვეთა ფონზე, გახლავთ შეუპოვარი გულწრფელობა – მომგებიანი მახასიათებელი შემოქმედებაში და პარლამენტში, ცხოვრებაში კი – რა მოგახსენოთ?! მაგრამ „ჩვენ უკვე ველარ გამოვიცვლებით და ვერც მეორედ დავიბადებით“.

როცა „სასაცილოდ დადის სიმართლე“ და „სიყვარული მარტოობის დილეგში გდია“;

როცა „ყველა აქა ვართ და არავინ არა ვართ შინა“;

როცა „ცრემლი წამწამს ეპოტინება“ და „ძალიან დემოკრატიულ ეკრანთან სხედან ბავშვები“;

როცა „დამთავრდა დიდი სუფთაწერის გაკვეთილები“ და „მომაკვდავ დედას ვინც კი ერთი ღამე უთია, დღეს სუყველამ ანგარიში წარმოუდგინა“, –

აუცილებელიც კია პოეტის სტრიქონი „სიკვდილივით პირდაპირი“ იყოს, მით უფრო იმ პოეტისა, რომელსაც „როგორც ბოშას, გამოკრული ძველმანში ჩვილი, ზურგით დაჰქონდა“ თავისი წილი საქართველო და „როგორც უეცრად გაჭრილი თითი, ყაყაჩო ისე ტკივა ტუჩებთან“.

ხოლო როდესაც „დიდი ჭაღივით ჩაქრა იელი და უხილავმა აკრიფა სივრცე“;

როდესაც „დუმს ლარნაკში ათი მოწყენილი ვარდი“ „და შემოდგომის ფოთოლთა ყუნწით თავს იქცევს ქარი – ძველი ყაჩაღი“;

როდესაც „ამოჭმულია ალაგ-ალაგ თოვლის საბანი“ და ქარი „მარტოობის ლოგინებს აგებს“;

როდესაც „ხიდის ყურესთან ეთხოვება უშვილო თუთას დღე შემოდგომის, როგორც ერთ მუნჯს – მეორე მუნჯი“ და „სევდა თუ არ აკეთებს, არც არაფერს აფუჭებს“, –

ვერა და ვერ გავიზიარებთ ამ საყვედურს:

მე ვერც ვჭიკჭიკებ და ვერც ვღუღუნებ,
ენის მოჩლექაც ვერასდროს გკადრე,
როგორ მინდოდა სხვა საუკუნე...
ან უფრო გვიან, ან უფრო ადრე.

ამ სტრიქონების ავტორი:

– აუცილებლად უნდა დაბადებულიყო მეოცე საუკუნის ერთ მშვენიერ დღეს თავისუფლებადაკარგული საქართველოს დედაქალაქში;

– უნდა დაემთავრებინა ბოროტების იმპერიის დედაქალაქის უნივერსიტეტი;

– უნდა მოსწრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას და სამოქალაქო ომს;

– დამოუკიდებელი რესპუბლიკის პარლამენტის მიკროფონთან უნდა წარმოეთქვა მწარე სიმართლეები;

– ნგრევის წლებში უნდა განეახლებინა ლიტერატურის მუზეუმის შენობა და ალმანახი „ლიტერატურის მატიანე“;

– უშიშროების კომიტეტის არქივიდან მუზეუმის საკუთრებაში (სამწუხაროდ – დროებით!) მოეპოვებინა რეპრესირებულ მწერალთა უნიკალური „საქმეები“;

– მუზეუმის სალონში ჩაეტარებინა დაუვიწყარი საღამოები და გამოფენები;

– დაებეჭდა „უბის წიგნაკის“ სერიალი, გიორგი ლეონიძის, ნიკო სამადაშვილის, შოთა ჩანტლაძის, შალვა ამირეჯიბის, ბორის პასტერნაკის წიგნები, კრებულები „ევროპა თუ აზია?“ და „ძვირფასი ავტოგრაფები“;

– ეთარგმნა ანა ახმატოვას ლექსები და ახალბერძნული პოეზია?

– დაეწერა „ორი დღეკეთილი“, „ნათელი“, „ქვის სასთუმალი“, „წვიმის მოსვლამდე“, „ავტოპორტრეტი“... აგრეთვე – „მოდით, სიყვარულით დავიწყოთ“;

– გადაელახა მესამე ათასწლეულის ზღურბლი და გამოეცა გალაკტიონის საარქივო ოცდახუთტომეული.

რაც შეეხება „სხვა საუკუნეს“, ყოველი საუკუნე თავის მძიმე ჯვარს ეზიდება და ჩვენ ხომ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შევთანხმდით, ჩემო ძვირფასო ძმაქალო, რომ „გვიანი გაზაფხულიც – გაზაფხულია!“.

2003

„ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი“

ერთხელ მეგობარმა პოეტმა გამანდო: უცნობ საზოგადოებაში არასოდეს ვამხელ, პოეტი რომა ვარო. ეს სიტყვები როგორღაც ცუდად მენიშნა და მაშინვე რიცხვებზე გადავამრავლე: ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ქართული პოეტური კრებულების ტირაჟი ჩვეულებრივად შვიდი ათასს შეადგენდა და ეს ზღვარი მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ შვიდი ათასის ზემოთ მეორე ტირაჟის და მომატებული ჰონორარის საკითხი დგება. შემდეგ ტირაჟმა თანდათან იკლო და ამჟამად ლექსების წიგნები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მასობრივად იბეჭდება სამი, ორი და ერთი ათასის რაოდენობით. სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლები თავს იკავებენ თვით ჩვენი პირველხარისხოვანი პოეტების ტირაჟის გაზრდისაგან, მაშინ, როდესაც სიამოვნებით თანხმდებიან მეორე და მესამე რანგის პროზაიკოსების ნაწარმოებთა ოცი და ოცდაათიათასიანი ტირაჟით დასტამბვაზე. და, მიუხედავად ამისა, წიგნის მაღაზიის თაროებზე ლექსების კრებულები უფრო დიდხანს ყოვნდება, პროზაულ ნაწარმოებებზე მოთხოვნილება კი შესამჩნევად იზრდება. როგორც ჩანს, პროზა ართმევს მკითხველებს პოეზიას და ეს ტენდენცია კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს. ცხადია, პოეზია უფრო მაღალი და რთული ჟანრია ლიტერატურისა, ამიტომაცაა პოეტური კრებულების

ტირაჟის ზღვარი უფრო დაბალი, მაგრამ ასეთი დიდი განსხვავება მაინც სერიოზულად დამაფიქრებელია.

სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს მოძმე რესპუბლიკებთან შედარება. თავი რომ დავანებოთ რუსეთსა და უკრაინას, შედარებით დიდი ტირაჟებია ბალტიისპირა ქვეყნებში. ამ რესპუბლიკების მოსახლეობა ორჯერ და სამჯერ ნაკლებია საქართველოს მოსახლეობაზე, პოეტური კრებულების ტირაჟი კი იქ ხუთნიშნა ციფრით განისაზღვრება და არასოდეს არ არის ათი ათასზე ნაკლები.

დემნა შენგელაიასაგან გამიგონია: მწერლის ბედი საწერ მაგიდასთან წყდებაო. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ პოეტი ხომ სპორტსმენი არ არის, რომ თავისი შესაძლებლობა თვალნათლივ დაგვიმტკიცოს და ამისდა შესაბამისად, სიცოცხლეშივე მოესწროს ღირსეულ, აბსოლუტურად ობიექტურ დაფასებასა და შეფასებას?! ამიტომ თანამედროვე პოეზიას, იმ ადამიანთა შემოქმედებას, რომლებიც თავიანთი მკითხველების გვერდით ცხოვრობენ, მეტად ზომიერი რეკლამა სჭირდება. მე არ ვიზიარებ სკეპტიკურ მოსაზრებას, თითქოს ჩვენი პოეზიის დონე დაეცა და ეს არის მიზეზი პოეტების ნაკლებ პოპულარობისა. ასეთი მოსაზრების საპასუხოდ უნდა შევნიშნოთ: ამჟამად მაღაზიებში არც იმ სახელოვანი პოეტების წიგნებს დაეძებს მკითხველი, რომლებზედაც ამ ორი ათეული წლის წინათ დიდი მოთხოვნილება იყო. იქნებ ვინმე შემომედავოს: მკითხველებს ეს წიგნები უკვე შეძენილი აქვთო. მაშინ ჩემს პოტენციურ მოწინააღმდეგეს უნდა განვუცხადო: ჯერ ერთი, ამ ოცი წლის მანძილზე ორი ახალი თაობა მაინც შეემატა მკითხელთა რიგებს და მეორეც, ჩვენი პოლიგრაფია, სამწუხაროდ, არ დგას იმ დონეზე, რომ წიგნები ათეული წლების მანძილზე კარგად ინახებოდეს.

პოეზიას მაღალხარისხოვანი რეკლამა სჭირდება. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეუძლია პრესას. სამწუხაროდ, პირიქით ხდება. ჩვენი ილუსტრირებული ჟურნალების უმრავლესობა და განსაკუთრებით იუმორისტული ორგანო „ნიანგი“, აგრეთვე რადიო და ტელევიზია, სისტემატურად აქვეყნებენ მასალებს ვითომ მწერლებისა და განსაკუთრებით – ვითომ პოეტების შესახებ. ისინი პოეტის სახელს არქმევენ ზოგიერთ წერა-კითხვის მცოდნეს, რომელსაც სურვილი აქვს პოეტი იყოს და რომელიც გაჭირვებით ახერხებს ქაღალდზე თავისი აზრების სტრიქონებად დალაგებას, მათ ავიწყდებათ მთავარი, – რომ ამით მასობრივი მკითხველის თვალში აკნინებენ ჭეშმარიტი პოეტისა და ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოების ავტორიტეტს.

პოეზიას პროპაგარდაც ესაჭიროება. უნდა არსებობდეს პროპაგანდის ბიურო, რომელიც მოწოდებული იქნება, ხელი შეუწყოს მწერლის დაახლოებას მკითხველთან. ჩვენში იშვიათად ტარდება პოეტური საღამოები, და თუ ტარდება, ტარდება ნახევრად ცარიელ აუდიტორებში. მსმენელები მოვალეობის მოხდის მიზნით მოჰყავთ შეხვედრებზე და იმათ თვალი კარებისაკენ უჭირავთ, მოუთმენლად ელოდებიან ღონისძიების დასასრულს. გულახდილად რომ ითქვას, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ პოეტსაც თვალი კარებისაკენ გაურბის და ისიც უხალისოდ მიდის ტრიბუნასთან.

ერთი მაგალითი უნდა გავიხსენო: ამ ორი ათეული წლის წინათ ერთმა ჩვენმა ცნობილმა პოეტმა საღამო გამართა ოპერის თეატრის სავსე დარბაზში. ახლახან კი იმავე პოეტმა იუბილე მარჯანიშვილის თეატრში გადაიხადა.

ნურვინ იფიქრებს, თითქოს მხოლოდ აუდიტორიის სიდიდე მიგვაჩნდეს საზომად. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშ-

ნოთ, რომ ბოლო წლებში თვით პოპულარული პოეტების თაყვანისმცემელთა რიცხვიც შემცირდა.

როგორც ჩანს, საჭიროა უფრო მეტად დამაინტერესებელი კონტაქტი ფართო წრეებთან. იქნებ უმჯობესი იყოს, შეხვედრებს ნაკლებ თეატრალური თუ სანახაობითი ხასიათი მიეცეს, არ გაითიშოს სცენა და დარბაზი, პოეტი ესაუბრებოდეს მკითხველებს, პასუხობდეს შეკითხვებზე, ხმადაბლა უკითხავდეს თავის ნაწარმოებებს. ასეთი უშუალო კონტაქტის დაკარგვით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენში ჯერ კიდევ გასავალი აქვს ეგრეთ წოდებულ „მსუბუქი ჟანრის" პოეზიას. იგი საშუალო და დაბალი გემოვნების მსმენელისაკენ (და არა მკითხველისაკენ) ეწევა პოეზიას, ნაცვლად იმისა, რომ საშუალო და დაბალი გემოვნების მკითხველი აამაღლოს მაღალი პოეზიის დონემდე.

აქვე დგება მხატვრული კითხვის საკითხი. იგი ბევრისათვის „აქილევსის ქუსლია". თითზე თუ ჩამოვთვლით პოეტებს, რომელთა ორატორული ხელოვნებაც დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. საჭირო კია, კარგი პოეტი კარგი წამკითხველიც იყოს. ცხადია, მთავარი იყო, არის და იქნება ის, რას წერს პოეტი. მაგრამ პოეზიის პოპულარიზაციისათვის მაღალხარისხოვან წაკითხვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

დავუბრუნდეთ ისევ რეკლამის საკითხს. რუსულ პრესაში იშვიათად დაიბეჭდება ლექსი ან პოემა, რომ ავტორის პორტრეტი არ ახლდეს, ზოგიერთ ჟურნალს კი ეს ფაქტი სისტემადა აქვს შემოღებული. ასევე, ყოველ პოეტურ კრებულს წინ უძღვის ავტორის სურათი. როგორც ჩანს, ეს საჭიროა. მკითხველი შესახედავადაც უნდა იცნობდეს პოეტს, როგორც კინომსახიობს. ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთი სურათის უნებლიე მოწმე გავხდი: ფეხბურთის მატჩზე დაგვიანებით მოვიდა სამოცდაათ წელს მიტანებული ერთი ჩვენი ცნობილი პოეტი

და მთელი პირველი ტაიმი ჩამუხლულმა გაატარა პირველი იარუსის გაჭედილ რიგებს შორის იმიტომ, რომ ახლომსხდომთაგან არავისთვის არ აღმოჩნდა იგი ცნობილი.

ბოლო წლებში ჩვენ დავიწყეთ წიგნების ანოტირება. ეს საჭირო და კარგი საქმეა, მაგრამ რეკლამის ეს ფორმა ვერ დგას სათანადო დონეზე. პოეტური კრებულების ანოტაციები ერთფეროვანია და არაფრისმთქმელი. კარგი ანოტაცია კი წიგნის პირველი კარგი ლექსია, რომელმაც უნდა დააინტერესოს მკითხელი, გზა გაუხსნას მას ახალი პოეტური სამყაროსაკენ, მოაწონოს და აყიდვინოს წიგნი. ანოტაციებს, უმრავლეს შემთხვევაში, გამომცემლობის რედაქტორები წერენ. სასურველი კია, თვითონ ავტორი წერდეს, და წერდეს, როგორც თავის რიგით ლექსს. კარგი იქნება, აგრეთვე, თვითონ პოეტები უწერდნენ წინასიტყაობას თავიანთ წიგნებს. ამ რამდენიმე წლის წინათ „ნაკადულმა" გამოსცა თანამედროვე ქართველ პოეტთა რჩეული ლექსების ბიბლიოთეკა. ყოველ კრებულს წინ უძღოდა ავტორის ავტობიოგრაფია, რამაც ეს გამოცემა მეტად საინტერესო გახადა. მსგავსი მაგალითები კვლავაც უნდა განმეორდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პოეტური კრებულების მხატვრულ და ტექნიკურ გაფორმებას. ჩვენ ხშირად და იოლად ვცემთ წიგნებს. ზოგჯერ გვავიწყდება გიორგი ლეონიძის უხეში, მაგრამ ზუსტი შედარება, – რომ წიგნი პოეტის აბანოა. უმჯობესი იქნებოდა, ლექსების კრებულები იშვიათად გამოგვეცა, მაგრამ გამოგვეცა მაღალხარისხოვნად. მეტად სასიამოვნო ფაქტია, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების დიდი უმრავლესობა ნაყოფიერად მოღვაწეობს წიგნის გრაფიკაში. მაგრამ პოეტური კრებულებისათვის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სტანდარტული ფორმატი გაგვაჩნია. სტამბები ცდილობენ გაიიოლონ საქმე და არასტანდარტული

ფორმატით ბეჭდვას ერიდებიან. საჭირო კია, გამრავალფეროვანდეს პოეტური კრებულების ფორმატები. კარგი იქნებოდა, აგრეთვე, გაგვეზიარებინა გამოცდილება ჩეხოსლოვაკელი პოლიგრაფისტებისა, რომლებიც ქაღალდის ჩამონაჭრებზე დიდი ტირაჟით ბეჭდავენ მცირე ფორმატის იაფფასიან პოეტურ კრებულებს.

ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ანბანი და არა გვაქვს მრავალფეროვანი სასტამბო შრიფტი. არა გვაქვს საშუალება, კრებულები სხვადასხვა შრიფტით ავაწყოთ, ანდა ერთსა და იმავე წიგნში განსხვავებული შრიფტით დავბეჭდოთ ლექსები.

საქართველოს პოეტებისა და პოეზიის ქვეყანას ეძახიან. პოეტების ქვეყანაში პოეზია პოპულარული და დაფასებული უნდა იყოს. ცხადია, ამისთვის მთავარი და უმთავრესია კარგი პოეტური ნაწარმოების შექმნა. მაგრამ მას შემდეგ, რაც კარგი ლექსი ან კარგი პოემა დაიწერა, იგი მაინც საჭიროებს ზომიერ რეკლამას, რათა პოეტური ნაწარმოების მთავარი ღირსება ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის გასაგები გახდეს. ამ მხრივ ყველაზე მეტის გაკეთება შეუძლია ლიტერატურულ კრიტიკას. სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად იწერება საინტერესო წერილები პოეტურ კრებულებზე და ნაწარმოებებზე. ხშირად საქმიან, ობიექტურ კრიტიკას ცვლის მიმოხილვითი ხასიათის სტატიები. ეს სტატიები ზოგჯერ სავსეა საკმაოდ გრძელი სიებით, რომლებშიც პოეტები დალაგებულნი არიან თაობების თუ ანბანის მიხედვით. ამ სიებმა თითქმის პატენტის უფლება მოიპოვეს და ზოგიერთი ავტორი, უპირველეს ყოვლისა, სიებს ათვალიერებს: არის თუ არა მოხსენებული თვითონ. თუ ათასში ერთხელ რომელიმე პოეტზე სერიოზული და სამართლიანი კრიტიკული წერილი დაიბეჭდება, კრიტიკის ობიექტი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს: რაღა მე

გამიმეტესო. დღევანდელი რუსული ლიტერატურული პრესის ფურცლებზე დაუნდობლად აკრიტიკებენ პოეტებს, რომლებიც ამინდს ქმნიან თანამედროვე რუსულ პოეზიაში. მაგრამ ასეთი კრიტიკას ამ პოეტების შემოქმედებისა და ავტორიტეტისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია. პირიქით. ჩვენი კრიტიკა კი რატომღაც ერიდება ნიჭიერი პოეტის შეცდომებზე გულახდილ საუბარს, და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, თვით პოეტები იშვიათად წერენ ერთმანეთის შემოქმედებაზე. არადა, მეოცე საუკუნის ქართველ პოეტებზე საუკეთესო სტატიების ავტორები ისევ პოეტები არიან. ამის კარგი ნიმუშია სიმონ ჩიქოვანის წერილები გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და ლადო ასათიანის შესახებ. რუსი პოეტები არა მარტო აანალიზებენ თავიანთი თანამოკალმეების შემოქმედებას, არამედ – ადგენენ, არედაქტირებენ და წინასიტყვაობას უწერენ პოეტურ კრებულებს. 1966 წელს ცნობილმა რუსმა პოეტმა ევგენი ვინოკუროვმა შეადგინა, საინტერესო წინასიტყვაობა წარუმძღვარა და გამოსცა ფეტის ლექსები, ხოლო პრესაში მალე გაჩნდა გამოძახილი: „ვინოკუროვის ფეტი“. ჩვენს სინამდვილეში რამდენიმე ანალოგიური ცდა ისევ სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის, რომელმაც თავისი შესავალი წერილით გამოსცა აკაკისა და ვაჟას ლირიკული კრებულები. ყურადღებას იმსახურებენ აგრეთვე მურმან ლებანიძის მიერ შედგენილი წიგნები.

საჭიროა კიდევ ერთ გარემოებას გაეწიოს ანგარიში. სამწუხაროდ, პოეტური სიტყვის ყველა ოსტატი ჩემი მეგობარივით მოკრძალებული არ გახლავთ. არიან უფრო გამბედავები. ისინი, სადაც საჭიროა და არ არის საჭირო, როცა საჭიროა და არ არის საჭირო, – ამაყად აცხადებენ, რომ პოეტები არიან, ძალიან ხშირად და თამამად ადიან ტრიბუნებზე და საზო-

გადოებისაგან ტაშსა და ყურადღებას, ზოგჯერ კი ნივთიერ საზღაურსაც მოითხოვენ. ასეთი კალმოსნების წინააღმდეგ ერთადერთი იარაღი არსებობს: მათ ნიჭიერმა პოეტებმა უნდა წაართვან ტრიბუნა.

არის ალბათ მრავალი სხვა მიზეზიც, რომელიც ხელს უშლის თანამედროვე ქართული პოეზიის პოპულარობას. ჩვენ მხოლოდ ძირითად და ჩვენთვის შესამჩნევ საკითხებზე შევჩერდით. ერთი რამ ცხადია: ამ მტკივნეულ საკითხზე დიდი და გულახდილი საუბარი უნდა დაიწყოს. ამ საუბარში არა მარტო პროფესიონალები უნდა მონაწილეობდნენ, მეტად საინტერესოა რიგითი მკითხველების მოსაზრებანი. და რაც მალე დაიწყება ეს საუბარი, მით უმჯობესია.

საჭიროა თანამედროვე ქართულ პოეზიას დაუბრუნდეს თავისი მაღალი ავტორიტეტი, რომ პოეტს აღარ ეთაკილებოდეს უცნობ საზოგადოებაში თავისი ვინაობის გამხელა.

1967

ხაზგასმული ციტატები

Мы приехали в Тбилиси,
И тотчас же напилиси,
Что-то ели, что-то пели,
Что-то Шота Руставели.

რუსი სტუმრების ფოლკლორიდან

1996 წელს ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა გრეინემ რატგაუზის „О переводах Бориса Пастернака“. პროფესიულ დონეზე დაწერილი საინტერესო ნარკვევია, მკაცრ და გაბედულ შენიშვნებსაც შეიცავს. ვრცელი და მრავალფეროვანია ამ მიმოხილვის გეოგრაფია: ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი. საუბარია არა მარტო შექსპირის ტრაგედიებსა და გოეთეს „ფაუსტზე“, არამედ – გეიმისა და ვან ხოდისის, ბეხერისა და ვერფელის, სლოვაცკისა და ლესმიანის, ნეზვალისა და პეტეფის შესახებაც. სამწუხაროდ, ამ საყურადღებო წერილში არაა ნახსენები არცერთი ქართველი პოეტი და ქართული პოეზია. აღნიშნულიც კი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ პასტერნაკი ქართველ პოეტებსაც თარგმნიდა. არადა, ბორის პასტერნაკმა კლასიკური და თანამედროვე ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია გადაარუსულა (მთელი ბარათაშვილი, ვაჟას „გველისმჭამელი“, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი,

გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვები). როგორც ჩანს, ეს თარგმანები აღნიშვნის ღირსადაც არ ჩათვალეს. სამწუხაროა!

სამწუხაროა, მაგრამ როგორც ირკვევა, არც ისე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, და ამას გვიდასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ თვითონ ბორის პასტერნაკი.

1958 წელს თბილისში დაიბეჭდა ბორის პასტერნაკის „Стихи о Грузии. Грузинские поэты". 24 მაისს ავტორმა-მთარგმნელმა კრებულის რედაქტორს გ. ბებუთოვს მოსწერა ამ წიგნის შესახებ:

– Я не мог ей порадоваться... Переиздание и переводы материальные источники существования.

1945 წელს თავდაპირველად პასტერნაკმა უარი განაცხადა ბარათაშვილის თარგმნაზე, მაგრამ მალე გადაიფიქრა და სიმონ ჩიქოვანს აცნობა:

– Меня вдруг стали соблазнять денежные и стилистические соображения, – და 40 დღეში თარგმნა მთელი ბარათაშვილი – ოცდაჩვიდმეტი ლექსი და ერთი პოემა, ხოლო 1953 წლის 10 დეკემბერს ალექსანდრა რიაბინინას მისწერა:

– Полный Бараташвили, за исключением „Мерани" и „Синего цвета" – это ведь бред неизобразимый, возы и горы бессмыслицы, выдаваемой за глубокомыслие.

1949 წლის 23 ივლისს სიმონ ჩიქოვანს აკაკის ორი თარგმანი გამოუგზავნა:

– Не понимаю зачем срамил себя. „Гоголь" еще туда-сюда, а „Поэт" все тяжел и плох.

1952 წლის 2 ივლისს ამავე ადრესატს აუწყა:

– Не более удачно перевел я поэму Леонидзе и Бараташвили, а потом три стихотворения Церетели и мне было стыдно, когда главные названные говорили об этой серой ерунде с одобрением.

ერთიც მიუმატა და იმავე წლის 22 ივლისს ფატი თვალთვაძეს გაუგზავნა:

– Вот четыре стихотворения Церетели... Это все-таки никуда не годится... Это ужасно, и вы различите в приложенном тот отвратительный стук барабанно-ремесленной приподнятости, который вообще отличает стихию стихотворных переводов.

1935 წლის დეკემბერში სტალინს საჩუქრად გაუგზავნა იმავე წელს გამოცემული „ქართველი ლირიკოსები" და წერილიც აახლა:

– „Грузинские лирики" – работа слабая и несамостоятельная, честь и заслуга всецело принадлежит самим авторам, в значительной части замечательным поэтам.

1941 წლის 12 სექტემბერს მეუღლეს შეატყობინა:

– Я за два дня нахлопал несколько страниц посредственнейших переводов для Литературки, второстепенных латышей и грузин без всякого труда и боли, и мне вдруг дали по 10 р. за строку за эту дребедень.

1952 წლის 14 ივნისს კი სიმონ ჩიქოვანს გაუზიარა შთაბეჭდილება გიორგი ლეონიძის „ბარათაშვილის" შესახებ:

– Получилась такая бессмыслица, от которой откажется даже такой добрый и тактичный человек, как Георгий Николаевич.

ამავე ლექსის შესახებ ამავე წლის 22 ივნისს ფატი ნიშნიანიძეს მისწერა:

– Как бы меня не уверяли, я понимаю, что перевод безнадежно плох.

1957 წლის 21 აგვისტოს დაწერილ წერილში ნინო ტაბიძეს აცნობა:

– Бебутову я послал переводы тех двух стихотворений Паоло, которые Вы просили меня перевести, и несколько Симоновых. Это очень бледные работы.

1934 წლის 4 იანვარს – ნიკოლოზ ტიხონოვს:

– Хотя переводы Чиковани и Абашидзе чудовишные, но тем не менее, однако, я дал их Колосову.

1946 წლის 4 მარტს – მარიკა ჩიქოვანს:

– ... не в пример бедному Тициану, которого я наполовину испортил и в противоположность Леонидзе, который весь у меня неудачен, кроме „Первого снега".

1953 წლის 10 დეკემბერს – ალექსანდრა რიაბინინას:

– Мой „Змееед" плох и устарел... Зачем, вообще говоря, переиздавать подобный мусор.

1934 წლის 23 ივნისს მშობლებს წერილი გაუგზავნა და:

– Я переводил грузинских поэтов, но это не работа, хотя эти поделки (одно дерьмо!) меня и кормили.

ამგვარი აღიარების შემეგ ალბათ უხერხულად ჟღერს ტიციან ტაბიძის სიტყვები მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე იმავე 1934 წელს:

– Перевод „Змееда", поэмы Важа Пшавелы, Борисом Пастернаком, расценивается в Грузии как поэтический подвиг.

სხვა დროს იმავე ტიციან ტაბიძემ დაწერა:

– Трудно указать пример более напряженной работы, переходящей в поэтический подвиг, чем переводы Бориса Пастернака грузинских поэтов.

ამ შეფასებას იზიარებს და სავსებით ეთანხმება სიმონ ჩიქოვანი:

– Книга грузинских переводов Бориса Пастернака – явление особое и чрезвычайное... Пастернак нашел для каждого грузинского поэта особый музыкальный и колористический „закон"... Он с редкой щедростью нюансировал и разные по звучанию стихи одного и того же поэта... „Песнь Песней" вообще является шедевром поэтического перевода (იგულისხმება აკაკის „ქებათა ქება").

ყველაზე მაღალ შეფასებას ამ თარგმანებს ისინი აძლევდნენ, რომლებმაც სათარგმნი ავტორები და ნაწარმოებები შეურჩიეს მთარგმნელს და რომელთა ლექციებიც ყველაზე მრავლად და ყველაზე უკეთ თარგმნა პასტერნაკმა.

სხვათა შორის, ცისფერყანწელებმა მეტად დამამცირებელი ტრადიცია დაამკვიდრეს: ქართველმა პოეტებმა მოსკოვშიც მასპინძლობა იკისრეს, რუსი კოლეგები კი მარადიულ სტუმრებად მოგვევლინენ. ეს ტრადიცია საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ჩვენც არაერთხელ ვყოფილვართ მოწმენი ამგვარი „მოსვლა-მოსვლისა" და „მისვლა-მისვლისა". ლიტერატურული კოლონიალიზმის ფონზე კარგახანს ვითამაშეთ ხალხთა და მწერალთა მეგობრობის ფარსი თუ კომედია. სწორედ ამიტომაა, რომ რუსი და ქართველი მწერლების ეპისტოლურ მემკვიდრეობას, რომელიც ნელ-ნელა გამოდის მზის სინათლეზე, ალკოჰოლის ერთობ მძაფრი სუნი ასდის... მაგრამ ეს შენიშვნა ლირიკულ გადახვევად ჩავთვალოთ მხოლოდ.

პასტერნაკის უკმაყოფილება ქართული პოეზიის საკუთარი თარგმანებით კორნეი ჩუკოვსკისაც შეუმჩნევია ადრე: 1934 წლის 9 თებერვალს ლენინგრადში მაიაკოვსკის სახელობის კლუბში იგი ქართველ პოეტებთან შეხვედრას დასწრებია. პასტერნაკს ქართულიდან ნათარგმანები წაუკითხავს:

– И читал он стихи таким голосом, в котором слышалось: „Я сам знаю, что это дрянь и что работа моя никуда не годится, но что поделаешь с вами, если вы такие идиоты".

პასტერნაკზე ადრე გიტოვიჩს სხვისი თარგმანები წაუკითხავს და მოუბოდიშებია: მრცხვენია, სხვის თარგმანს რომ ვკითხულობო. პასტერნაკი შეკამათებია:

– А мне стыдно читать свои.

1936 წლის 4 იანვარს მთარგმნელთა პირველ საკავშირო შეკრებაზე ბორის პასტერნაკმა აღიარა:

– Я совершенно согласен, что перевод по подстрочникам – не есть перевод, а что это – отделка.

1952 წლის 14 ივნისს სიმონ ჩიქოვანს გაენდო:

– Очевидно, мне больше нельзя переводить по подстрочникам, а только с языков, которые я знаю.

1931 წელს, ქართველების თარგმნა რომ დააპირა, ქართულის შესწავლას შეუდგა, ანბანსა და გრამატიკას გაეცნო, ცოტას კითხულობდა და საუბრობდა კიდეც ქართულად, მაგრამ აღარ თუ ვეღარ გააგრძელა:

– Я просто из собственной потребности начал заниматься грузинским языком и бросил его не потому, что охладел, а потому, что может быть это слишком трудно, – განაცხადა მთარგმნელთა საკავშირო ყრილობაზე.

1934 წლის 4 იანვარს ნიკოლოზ ტიხონოვისადმი მიწერილი წერილის დასაწყისში ოთხი სიტყვა ქართული ასო-ნიშნებით დაწერა და ოთხ სიტყვაში ექვსი შეცდომა დაუშვა: აოსვოვუი. როგორ ვხვრობ. ზაკბიზი.

1946 წელს „სოვეტსკი პისატელმა" გამოსცა „Грузинские поэты в переводах Бориса Пастернака". წიგნში დაიბეჭდა მთელი ბარათაშვილი, აკაკის ორი ლექსი, ვაჟას „გველისმჭამელი" და სიმონ ჩიქოვანის შვიდი ლექსი. ჩანს, მთარგმნელი დააფიქრა წიგნის შედგენილობამ და, ვიდრე კრებული მზადდებოდა, მარიკა ჩიქოვანს დაეკითხა:

– Теперь, что же делать, если с классиками будет один Чиковани? Это будет неудобно для него и для меня... – Если Симон в состоянии написать мне, пусть он придумает какой-ниб. выход.

სიმონ ჩიქოვანს ამ უხერხულობიდან ვერავითარი გამოსავალი ვერ მოუძებნია თუ არ მოუძებნია. პასტერნაკს კი ძალიან არ მოსწონდა აკაკის თარგმანები და უნდოდა

წიგნისთვის დაერქმია „Три грузинских поэта". ანდა „Три поэта Грузии". მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა და ალბათ ამიტომ აკაკის ორად ორი ლექსი დატოვა და კრებულს სახელწოდება შეუცვალა.

ბორის პასტერნაკს დიდი წარმოდგენა ჰქონდა სიმონ ჩიქოვანის პოეზიაზე:

– Я его считаю одним из интереснейших поэтов современного мира, – მოსწერა ნინო ტაბიძეს 1953 წლის 30 სექტემბერს, 1954 წლის 9 თებერვალს კი კოლეგას „ფაუსტის" საკუთარი თარგმანი აჩუქა და წაუწერა:

– Одному из интереснейших людей и лучших поэтов овременного мира (Симону Чиковани) с любовью и преданностью.

1947 წელს თბილისში გამოიცა ბორის პასტერნაკი მიერ თარგმნილი ქართველი პოეტების ლექსების კრებული. კრებულისათვის მთარგმნელს შეუკვეთეს წინასიტყვა – „Несколько слов о новой грузинской поэзии". „რამოდენიმე სიტყვა" მიმოიხილავს ორი საუკუნის ქართულ პოეზიას და სტამბურად აწყობილ 90 სტრიქონს შეიცავს. აქედან 24 სტრიქონი ეხება ბარათაშვილს და ვაჟას ერთად, 27 კი – მხოლოდ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას:

– Поэтическая литература наших дней в любой стране мира, в том числе и в России и в Грузии, представляет естественное следствие символизма и всех вышедших из него, а также и всех враждовавших с ним школ. Лучшим завершением всех этих течений может служить свежее, разнообразное и самобытное творчество Симона Чиковани... Чиковани – неслучайное и закономерное звено в общем развитии грузинской мысли. Сказочную замысловатость Важа Пшавелы он соединяет с порывистым, всему свету открытым, драматизмом Бараташвили.

ამ მიმოხილვის პროპორციები და პარალელები იმდენად შეუსაბამოა, რომ განზრახულ წიგნში ვერ დაბეჭდეს და მხო-

ლოდ 1966 წელს გამოქვეყნდა, ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

სიმონ ჩიქოვანი უაღრესად დახვეწილი გემოვნების შემოქმედი და მოაზროვნე გახლდათ და ამდენად ეპითეტები პასტერნაკისა, რომელმაც ქართული არ იცოდა, მოსალოდნელია, ოღონდ უხერხული, ხოლო ამ უხერხულობას უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ ადრესატს ამ დროს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

აქვე უნდა განვმარტოთ: არაა გამართლებული ნაჩუქარი წიგნების წარწერებისა და პირადი წერილების ციტირება, ვიდრე ეს მასალა არქივის საზღვრებშია. მაგრამ როდესაც ამ ტექსტებს ოფიციალურად აქვეყნებენ და რეკლამისთვისაც იყენებენ, ისინი უკვე ლიტერატურულ ფაქტად გვევლინებიან და მათ ყოველგვარი ტაბუ უნდა მოეხსნათ.

ბორის პასტერნაკისა და ქართველ მოღვაწეთა ხანგრძლივ და მრავალრიცხოვან მიმოწერაში კიდევ ერთი უხერხულობა შეიმჩნევა: არ ჩანს გალაკტიონ ტაბიძე, რომელთანაც ერთადაც რუსი პოეტი ჯერ კიდევ 1935 წელს ეწვია პარიზს. ეს უხერხულობა, როგორც ირკვევა, პასტერნაკმა მოგვიანებით თვითონ შენიშნა და ინანა კიდეც:

– Еще более беспорядочны и несистематичны, чем наши замечания, наши случайные переводы. В них зияет, например, такой сразу бросающийся в глаза пробел, как отсутствие Галактиона Табидзе, справедливой гордости текущей поэтической литературы.

თუმცა ბორის პასტერნაკმა ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ, გალაკიონ ტაბიძესთან ერთად, თოთხმეტი გრძელი წელიწადი იცოცხლა და თანამედროვე ქართველი პოეტების კიდევ მრავალი ლექსი თარგმნა, არსებული „ხარვეზის“ შევსება არც უცდია. მაგრამ თუ ფაქტებს გადავამოწმებთ,

დავრწმუნდებით: აქ მთარგმნელზე მეტი ბრალი მთარგმნელის კონსულტანტ კოლეგებს უდევთ.

სიტყვამ მოიტანა და გულისტკივილით აღვნიშნავთ: პოპულარობას დახარბებული ავტორები ცოცხალ გალაკტიონს კი არა – განსვენებულ ვაჟასაც არ ერიდებოდნენ: გამომცემლბა „ზაკგიზის“ მთავარ რედაქტორს, პ. ფოლიანს პასტერნაკმა შესჩივლა 1934 წლის 14 თებერვალს გაგზავნილ წერილში:

– Вам хотелось бы Важу пригнать к съезду, издатели же современных антологий, обуреваемые теми же похвальными желаниями, рекомендуют мне временно отложить Важу Пшавелу во имя того же съезда и ради современников.

თითქოს მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე თანამედროვეთა რუსული თარგმანები ვაჟაზე უკეთ დაგვამშვენებდნენ და გვასახელებდნენ. თანაც, რუსი და სომეხი კოლეგები ცდილობენ, როგორმე ვაჟა წარადგინონ, ქართველები კი!!!

ბორის პასტერნაკი მთელს სიცოცხლეში პირდაპირ თუ არაპირდაპირ რეპრესიებს განიცდიდა. ამიტომ დროდადრო თარგმანს შეაფარებდა თავს:

– Мне очень трудно бороться с царящим в печати тоном. Ничего не удается; вероятно я опять сдамся и уйду в Шекспира, – მისწერა 1943 წლის 12 ნოემბერს თავის ნახევარ დას ოლგა ფრეიდენბერგს.

პასტერნაკისათვის თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, საარსებო წყაროს წარმოადგენდა:

– Перевожу первую часть Гетевского „Фауста“, это для денег, – заказ, – აცნობა იმავე ადრესატს 1948 წლის 6 ნოემბერს, ცოტა ადრე კი, 1947 წლის 8 სექტემბერს, თითქოს გაეხუმრა:

– Я еще ведь портить „Фауста“ обязался.

თუმცა1954 წლის 7 იანვარს გამოუტყდა:

– Как мне рассказать тебе, что этот „Фауст" весь был в жизни, что он переведен кровью сердца.

ხოლო როდესაც სერგეი სპასკის მიერ თარგმნილი სიმონ ჩიქოვანის „წვიმაში" წაიკითხა, აღტაცება ვერ დამალა და 1934 წლის 4 ოქტომბერს მთარგმნელს თავისი აღფრთოვანება გაუზიარა:

– Вчера видел у Гольцева Вашего Чиковани („Под дождем"). Что за восхищенье! Какой Вы молодец, и до чего мне радостно! Вот это поэзия, вот это мастерство, это вот я понимаю!

სამწუხაროდ, ქართველი პოეტების საკუთარი თარგმანებით, აღტაცება კი არა, კმაყოფილებაც არასოდეს გამოუხატავს.

პასტერნაკის ნათარგმანები პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით ალბათ აღემატება კიდეც ქართველი პოეტების სხვა რუსულ თარგმანებს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არცერთმა რუსმა მთარგმნელმა ქართული არ იცოდა და თანაც ჭეშმარიტი ლირიკა არ ითარგმნებოდა, იდეურობის ნიშნით შერჩეული ნიმუშები კი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აკნინებდნენ ჩვენი საუკუნის ქართულ პოეზიას.

ვიყოთ ბოლომდე სამართლიანი: ბორის პასტერნაკი დიდი მოთხოვნილების შემოქმედი გახლდათ, განსაკუთრებით დაუნდობლად საკუთარ ნაწერებს განიხილავდა, თარგმნას „გაფუჭებას" ეძახდა, უკიდურესი ჰიპერბოლებით აზროვნებდა და შეხედულებებს არცთუ იშვიათად იცვლიდა, – მაგრამ ასე მკაცრად არცერთი სხვა თავისი არაქართულიდან ნათარგმანები არ შეუფასებია, თუკი ყოველივე ამას მხოლოდ შეფასებას ვუწოდებთ.

1999

ავტორის ხარჯზე წიგნის გამოცემის პროექტი

ავტორის ხარჯზე წიგნის გამოცემის იდეას უნდა მივესალმოთ, როგორც დემოკრატიზაციის ერთგვარ გამოხატულებას. თუმცა ეს იდეა ჯერჯერობით უჩვეულოდ გვეჩვენება. ჩვენში დიდი ხანია კერძო გამომცემლობები აღარ არსებობენ და გადავეჩვიეთ კიდეც ავტორის ასე ახლოს მიშვებას თუ დაახლოებას მკითხველთან. მაგრამ რაკი მთავრობამ ანგარიში გაუწია რეალურად არსებულ მოთხოვნებს და დებულების პროექტიც გამოაქვეყნა, შეგვიძლია ჩვენი აზრი გამოვთქვათ ამ დოკუმენტის შესახებ.

პროექტი ითვალისწინებს შემდეგს: თავდაპირველად მოსკოვში, შემდეგ კი მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში და კავშირის დიდ ცენტრებში შეიქმნება საგამომცემლო-პოლიგრაფიული სალონი, რომელიც შეცვლის გამომცემლობას და იქნება ერთგვარი შუამავალი ავტორსა და მკითხველს შორის. გამოცემის მთელ ხარჯებს – სტამბის, ქაღალდის, საჭირო მასალისა და სალონის მომსახურებისას – იხდის ავტორი. რენტაბელობის შემთხვევაში, თუ მოგება 30%-ს აღემატება, შემოსავალი სამ თანაბარ ნაწილად იყოფა: ავტორს, სალონსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. თავდაპირველი ტირაჟი არ უნდა აღემატებოდეს ხუთი ათას ეგზემპლარს. წარმატების შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს განმეორებითი გამოცემები.

რაკი წიგნის გამოცემა ძირითადად მწერლისა და მეცნიერის სახელს უკავშირდება, ეს პროექტი ორგვარად უნდა შევაფასოთ: ერთი – პროფესიონალი შემოქმედის თვალსაზრისით და მეორე – მოყვარულისა.

მწერლისათვის წიგნი შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ იგი რისკზე ვერ წავა. მით უფრო დებულება ზღუდავს ტირაჟს 5 ათასი ეგზემპლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი მოგების იმედი ავტორმა არც უნდა იქონიოს. ამგვარი გამოცემით პოპულარული მწერალი ვერც დაინტერესდება, რადგან მისი წიგნი სახელმწიფო გამომცემლობასაც აწყობს. აქ მნიშვნელობა ექნება ფსიქოლოგიურ მომენტსაც: ჩვენ იმდენად გადავეჩვიეთ კერძო გამოცემებს და ისე მივეჩვიეთ იოლ ცხოვრებას, რომ ცნობილი და აღიარებული შემოქმედისათვის ამგვარი გამოცემა თავდაპირველად ალბათ შეურაცხმყოფელიც აღმოჩნდება. ამდენად ასეთი იდეით დამწყები და ახალგაზრდა მწერლები უფრო უნდა დაინტერესდნენ, – უფრო ზუსტად – მდიდარი მამის პატრონი ახალგაზრდა მწერლები, ანდა – ისეთი ავტორები, რომლებიც გამომცემლობებმა უარით გამოისტუმრეს.

ერთ საინტერესო ფაქტსაც მოგახენებთ: ჩვენი გამოჩენილი პოეტი გიორგი ლეონიძე, საქართველოს სახალხო პოეტი, სიკვდილის უკანასკნელ დღემდე მსახურობდა, ბოლო წლებში ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ და სიბერეში სადოქტორო დისერტაციაც კი დაიცვა, უფრო სწორად – მას მიანიჭეს ეს წოდება, – და ეს მოხდა იმის გამო, რომ სამეცნიერო ხარისხის გარეშე შემცირებული ხელფასი ეძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსიც გახლდათ. ამით იმის თქმა მსურს, რომ ჩვენში პროფესიონალი მწერლის ცხოვრებით ცხოვრება ჭირს და ჰონორარი ავსებს მწერლის

შემოსავალს. სხვათა შორის, რუსეთში უკეთესი მდგომარეობაა: იქ მკითხველთა დიდი აუდიტორია, დიდი ტირაჟებია, უცხოეთის ბაზარიც მეტ ინტერესს იჩენს და, ბუნებრივია, მხატვრული სიტყვის შემოქმედნიც კარიერისაკენ ნაკლებად მიისწრაფვიან.

რაც შეეხება სხვადასხვა დარგის მეცნიერებს, განსაკუთრებით – ტიტულოვან და ხარისხოვან მეცნიერებს, – მათთვის წიგნის გამოცემა განსხვავებულ ინტერესებს ემსახურება და ალბათ ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან ავტორის ხარჯზე წიგნის გამოცემის იდეით.

ყოველივე ეს თეორიულ სფეროს განეკუთვნება. პრაქტიკული თვალსაზრისით, საქმე უფრო რთულად წარმოგვესახება. ჩვენი რესპუბლიკის პოლიგრაფია მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკავშირო დონეს. სტამბები წინასწარ დაგეგმილი სახელმწიფო გამომცემლობების გრაფიკებს დიდი გაჭირვებით ასრულებენ. ასეთ ვითარებაში, დამატებითი რეზერვის (ლიმიტის) გამონახვა ავტორის ხარჯზე გამოსაცემი ლიტერატურისათვის გაჭირდება. ვერც ქაღალდით მომარაგების პრობლემაა ყოველთვის გადაჭრილი და ესეც დამატებით სიძნელეებს შექმნის.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ: ამჟამად საქართველოში წიგნის ბუმია. მხატვრული ლიტერატურა დიდი ტირაჟებით საღდება: პროზა – ნებისმიერი რაოდენობით, ხოლო პოპულარული პოეტები 30-50 და ზოგჯერ 100-ათასიანი ტირაჟებითაც. დაბალტირაჟიანი პოეტური კრებულების ზარალი კი მომგებიანი გამოცემების ხარჯზე ნაზღაურდება.

მომავალი წლიდან გამომცემლობები ახალ სამეურნეო პირობებზე გადადიან. თვითდაფინანსების შემთხვევაში ზარა-

ლიანი წიგნების რაოდენობა თანდათან უნდა შემცირდეს. ამავე დროს ბუმის მრუდმა ზენიტს მიაღწია და უკვე დაბლა ეშვება. დიდტირაჟიანი პოეტური კრებულები ისე ადვილად აღარ გაიყიდება. და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პოეტების ქვეყანას ეძახიან, მალე მოსალოდნელია გამომცემლობებმა თავი შეიკავონ პოეტური კრებულების ასე ხშირი გამოცემისაგან. მაშინ შეიძლება პროფესიონალ მწერლებს შორისაც აღმოჩნდეს საკუთარ ხარჯზე გამოცემის მსურველი. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია...

ნუ ავჩქარდებით, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. ვნახოთ, როგორ შეხვდება და შეეჩვევა ქართველი მკითხველი პოეტს, რომელიც საკუთარ წიგნს თვითონვე გამოსცემს და თვითონვე გაყიდის.

1968

მხოლოდ ერთი

ჟურნალი „ქართული მწერალი“, 2010, №11.

ბოლო ათწლეულებში ქართულ პოეტურ სამყაროში ტრადიციასავით დამკვიდრდა: შემოდგომაზე პოეტი გლეხკაცივით ელოდება წლის მოსავალს და მერე ერთბაშად აქვეყნებს ოც, ოცდახუთ, ოცდაათ ლექსს. ცხადია, ყველა ესენი თანაბარი ხარისხისა არ გახლავთ. შეიძლება ამათ შორის ირიცხებოდეს, უფრო სწორად – იმალებოდეს პატარა „მერანი“, პატარა „განთიადი“, პატარა „ეფემერა“. მაგრამ ეს ლექსები ერთმანეთს ავიწროებენ, ერთმანეთს აერთფეროვნებენ, ერთმანეთს უშლიან ხელს და მკითხველის გადაღლილ თვალს იქნებ გამორჩეს მეცამეტე ან ოცდამეცამეტე პაწა „მერანი“ თუ პაწა „განთიადი“ თუ პაწა „ეფემერა“.

შარშან შემოდგომაზე ოცდარვა ლექსი გამოვაქვეყნე. მას შემდეგ ოცდაოთხი დავწერე და დაბეჭდვას რომ ვაპირებდი, ზემორე მოსაზრების გამო გადავწყვიტე: თითო-თითო გამოვაქვეყნო ცალ-ცალკე და იქნებ ამჯერად რომელიმე მეცხრე ან მეცხრამეტე შემთხვევაში უმისამართოდ გასროლილ ტყვიასავით შემთხვევით გავარტყა ათიანში თუ არა და ცხრიანში თუ არა და რვიანში თუ არა – შვიდიანში მაინც.

ცდა ბედის მონახევრეა. ცდების რაოდენობა შეზღუდული არ გახლავთ. რაკი ყოველთვიურ ჟურნალში ვიბეჭდები, თორმეტი გასროლა გარანტირებული მაქვს და, თუკი თორმეტივე ავაცილე, მაშინ ალბათ სინდისი აღმოჩნდება კარგი საქონელი...

მაშასადამე, ვიწყებ:

2010

ჩუსთაველიდან გალაკტიონის ჩათვლით

შენს შვიდ მგოსანს სახალხოს, შვიდს – დაფნის
გვირგვინიანს,
რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას,
აკაკისა და ვაჟას, დროშებს ვარდყვავილიანს
ვუწვდი: მთელი მსოფლიოს ნახევარი ჩვენია!
ვფიცავ, არ გიღალატებთ! მიწამა და ზღვამ იცის,
თუ ამ შვიდმა ვით ვიგრძნეთ მიწის ბრუნვა, ნამი ცის.

ეს სტრიქონები გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერებში აღმოჩნდა. გალაკტიონს ელემენტარული მათემატიკური „შეცდომა“ დაუშვია: შვიდს ასახელებს და ექვს ჩამოთვლის. მაგრამ გალაკტიონმა თავისი „შეცდომა“ თვითონვე „გამოასწორა“: დანაკლისი თვითონ შეავსო და დაასრულა.

1950 წელს გალაკტიონმა მეშვიდე ტომში დაბეჭდა ლექსი „თენდება... გათენდა“, რომელიც ასე დაასრულა:

იმ ექვს მწვერვალთა გეფარა ჩრდილი: ვინ მოგვილია
გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჩვენი ილია,
აკაკი, ვაჟა გასაკვირველი – დიდება დროთა,
და მათ გვირგვინად მუდამ პირველი, ტიტანი – შოთა!

ავტოგრაფში კიდევ ერთი სტროფი ამოვიკითხეთ, რომელიც ავტორმა ძირითად ტექსტში ვერ შეიტანა:

ავიღებ ხელში ისევე შოთას, მეყო სიმშვიდე,
მე ჩვენთა დღეთა ავაგებ ოდას, რიცხვით მეშვიდეს.

გალაკტიონ ტაბიძემ ისე მოულოდნელად და დაუყოვნებლივ გააგრძელა აკაკისა და ვაჟას შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომ ქართველმა ხალხმა თავისი პოეტური საგანძურის გადათვალაც ვერ მოასწრო. თანაც, როგორც ჩანს, ეს ციფრი საკრალური უნდა ყოფილიყო, რომ თვალსა და გონებას უფრო ცხადად აღექვა და შეეგრძნო შვიდფერი ცისარტყელა, რომელსაც ერთი ფერიც არ უნდა დაჰკლებოდა.

მოკლედ, საავტორო უფლებას თუ არ დავუკარგავთ, შვიდეულის იდეა გალაკტიონს ეკუთვნის და იგი იყო არა მარტო ავტორი, არამედ აგრეთვე – დაინტერესებული პირი და უკანასკნელი თანამონაწილე. მაგრამ იდეას პოეტის არქივში ეძინა და ოდენ იდეის დონეზე რჩებოდა 1959 წლის 17 მარტამდე: გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობამ ერთბაშად შეკრა წრე და საკრალური ციფრიც დაგვიზუსტა – „რა განძი გვქონია“.

საქართველოს ცა ხანგრძლივად არასოდეს ყოფილა მოწმენდილი. მაგრამ ამ ცაზე ყოველთვის ბრწყინავდა და ბრწყინავს იმედის ვარსკვლავები, რომლებიც საუკუნეების წყვდიადს უნათებდნენ და უნათებენ შეჭირვებულ ერს. ამ ვარსკვლავებს შორის ყველაზე კაშკაშა ხომლი – ქართული პოეზიის თანავარსკვლავედია, სწორედ ის შვიდეული, რომელსაც გალაკტიონი გულისხმობდა და რომელიც ჩვენმა საუკუნემ დააზუსტა და დააკანონა.

და თუ განკითხვის ჟამს კაცობრიობას შეუძლია უფალს სერვანტესის რომანი წარუდგინოს და ამით გაიმართლოს თავი, როგორც ივარაუდა გასული საუკუნის დიდმა რუსმა

მწერალმა, – ქართველი ერის არსებობას ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ეს შვიდი წიგნი გაამართლებს.

მაგრამ ეს შვიდი წიგნი დღემდის ერთად გამოცემული არ გვიხილავს და მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში არსებობდა. ამ ხარვეზს ავსებს გამომცემლობა „საქართველო", რომელმაც დაიწყო „ქართული პოეზიის თანავარსკვლავედის" გამოცემა შვიდ წიგნად. ჩამოთვლაც კი აღარაა საჭირო: ქრონოლოგიას მიჩვეული მკითხველი თვითონ მიხვდება – ვინ რომელი ნომრით „გამოგვეცხადება".

„თანავარსკვლავედი" მომზადდა ისეთ დროს, როცა ქვეყანას უჭირდა და უჭირს. ქართველი ერი სწორედ შეჭირვების ჟამს მიაშურებდა ხოლმე სულიერების თავანკარა წყაროებს – ეკლესიას და პოეზიას. შეჭირვების ჟამს ეკლესიის შენებით და წიგნზე ზრუნვით ახერხებდა თავის გადარჩენას და აღორძინებას", – ასეთი მანუგეშებელი წინასიტყვით წარუდგინა გამომცემლობამ მკითხველებს პირველი წიგნი – „ვეფხისტყაოსანი".

ვინაიდან 1997 ილია ჭავჭავაძის წელიწადია, გამომცემლობამ რიგი შეცვალა და ამ დღეებში წიგნის ბაზარზე მეოთხე „თანავარსკვლავედი" გამოაქვს.

ახლა, როცა გზა გაიხსნა და უცხოეთში ქართული წიგნები იბეჭდება და კარგადაც იბეჭდება, იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, რომ ეს ორი წიგნი თბილისში ჩვენმა უპოვარმა მესტამბეებმა შეკაზმეს.

პირველს ამშვენებს სერგო ქობულაძის ილუსტრაციები, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს მოიპოვეს უპირველესი უფლება.

მეორეს ამდიდრებს ილიას ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მატიანე – ავტოგრაფები და ფოტოები.

„ვეფხისტყაოსანს“ სარგის ცაიშვილის ნარკვევი ერთვის, ილიას ლექსებსა და პოემებს – ჯანსუღ ღვინჯილიასი.

სასაჩუქრო გამოცემის ღირსება წარმატებით განაპირობა ცნობილმა გრაფიკოსმა გოგი წერეთელმა. ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს ორფეროვანი თეთრი სუპერი და ოქროსვარაყიანი შავი გარეკანი, წყნარი ფორზაცი და ტიტულის პანთეონი, ხატოვანი ჩარჩოები და კომპიუტერული კაბადონის მაღალი ხარისხი.

კიდევ ორი წელიწადი და საუკუნის დასასრულს გამომცემლობა მთელი ათასწლეულის ჭირნახულს გამოიტანს წიგნის ბაზარზე – რუსთაველიდან გალაკტიონის ჩათვლით:

და ყველა ერთად: ცა, ზღვა, მთა
ჩვენი ველისა და წყალის,
ლექსია რუსთაველის და
გალაკტიონის საწყალის.

1995

მწერალთა X ყრილობის შესახვედრად

მწერალთა ყრილობა ხუთი წლის შემდეგ იკრიბება. მწერლებიც მორიგ ხუთწლედს ამთავრებენ და ანგარიშს აბარებენ თავიანთ მკითხველებს. რამდენიმე წელიწადი შეიძლება ერთი წიგნის დაწერას დასჭირდეს და ამდენად დროის ეს მონაკვეთი ალბათ მოკლეც მოგვეჩვენება შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული რიტმი სინქრონულ პასუხს მოითხოვს და ყველაზე დროულად მას ლირიკა უნდა გამოეხმაუროს.

ოთხმოციანი წლების ქართული პოეზია თავისი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობს, ერის სიხარულს იზიარებს და ერის საფიქრალს ფიქრობს. ამავე დროს იგი ჩართულია მუზათა საერთო ფერხულში და მასაც მარადიული პრობლემები აწუხებენ.

უპირველეს ყოვლისა ერთი სასიამოვნო ფაქტი უნდა აღინიშნოს: უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა პოეზიის მკითხველთა რიცხვი და შესაბამისად – პოეზიის ტირაჟები. უმალ გაიყიდა რამდენიმე გამოცემის ასი ათასი ეგზემპლარი, ოცდაათიათასიანები კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამას ემატება პოეტების სოლო საღამოები, რომლებიც ათასობით მაყურებელს იკრებს. მაგრამ ამ შთამბეჭდავ ციფრებს დაფასება სჭირდება. ჩვენ უნდა გავამართლოთ ნდობა და სიყვარული იმ ათასებისა, რომლებიც ჩვენს წიგნებს ყიდულობენ და კითხულობენ, და უნდა გავამართლოთ ჩვენი უკეთესი წიგნებით.

კარგა ხანია ქართულ პოეზიას ახალი კითხვის ნიშნის წინაშე არ დაუყენებია კრიტიკული აზრი. დიდი ხნის წინათ ჩაიარა ლირიკოსებისა და ფიზიკოსების კამათმა, მიწყნარდა ლირიკული პოემისა და თავისუფალი ლექსის პოლემიკა, და ბოლოს, როგორც დაინტერესებულმა პირმა, უნდა დავსძინო:

ალბათ არც ირონიული ლირიკის ირგვლივ წამოწყებული დისკუსია გაგრძელდება დიდხანს...

ჩვენ არ უნდა შევურიგდეთ საეჭვო სიმშვიდეს, რადგან მთავარია არა მარტო ახალ პრობლემათა აქტუალობა, არამედ ფაქტი სიახლეთა შემჩნევისა და შეფასებისა, რადგან იგი ამძაფრებს ლიტერატურულ ინტერესებს და აფხიზლებს მწერლის შთაგონებას.

ჭეშმარიტი პოეტი ვარსკვლავთმრიცხველივით წინასწარ ვარაუდობს მოსალოდნელ ტაროსს. თანამედროვე ქართული პოეზიის უკეთესმა ნიმუშებმა ოცდამეერთე საუკუნეში უნდა გააცილონ მადლიერი მკითხველები და იქითაც ერთგული მეგზურობა უნდა გაუწიონ მათ...

ჩვენ მეტად დაძაბული საუკუნის მიწურულში ვცხოვრობთ და ამიტომ კიდევ უფრო იზრდება მწერლის პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ქართული პოეტური სიტყვა შესაბამის ფერსა და რიტმს ეძებს, შესაფერის გამომსახველობით ხერხებს პოულობს ზედმეტად გათვითცნობიერებული და ინფორმირებული მკითხველის დასაინტერესებლად. იგი წარმატებით იღვწის ამ რთულ გზაზე და ეს წარმატებანი არ დარჩებათ ალბათ შეუმჩნეველი ჩვენი მომავალი ყრილობის ორატორებს.

მაგრამ სასურველი და სანატრელიც ბევრია: მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა და გამოიცა პოეტური თარგმანების რამდენიმე სანიმუშო კრებული, კვლავ ხვალის უპირველეს ამოცანად რჩება მსოფლიო პოეზიის შედევრების ქართულ ენაზე ღირსეულად ამეტყველება, აგრეთვე ჩვენი კლასიკური პოეზიის ჯეროვანი თარგმნა და გატანა მსოფლიო ხალხთა სამსჯავროზე და კიდევ ერთი დიდი ოცნება: თანამედროვე ქართული პოეზიის სრულყოფილი ანთოლოგიის შედგენა და გამოცემა ქართულ ენაზე!

1986

ჩითმიანი ღექსი – ჰეგემონი

ორი პასუხი ჟურნალ „ცისკრის“ ორ შეკითხვაზე

1 – რამდენიმე ქართველმა კრიტიკოსმა საკავშირო ჟურნალის ფურცლებიდან განაცხადა, საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება პროზის პრიმატის ნიშნით მიედინებაო. ეტყობა, დღეს ბევრი ფიქრობს ასე და ბევრს მიაჩნია, რომ დამთავრდა ათასწლოვანი პოეტური ჰეგემონია, ისევ დაირღვა პოეზიისა და პროზის ბალანსი, ოღონდ ამჯერად პროზის სასარგებლოდ, და ლიტერატურული ცხოვრება „პროზის პრიმატის ნიშნით“ მიედინება!

მიგაჩნიათ თუ არა, პროზის თვალსაჩინო გამარჯვებებმა ერთგვარად „გადასძალა“ და „შეაფერმკრთალა“ პოეზიის წარმატებანი, თუ თქვენი ფიქრით, საქართველო ისევ რჩება „პოეტების ქვეყნად“ და პოეზიის ჰეგემონიას ჯერ კიდევ ვერ უქმნის „საფრთხეს“ თანამედროვე ქართული რომანი და მოთხრობა?

– უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ქართულმა პროზამ დიდ წარმატებას მიაღწია, თითქოს თვისობრივად განახლდა. ეტყობა, ქართული პროზის ეს ნახტომისებური წარმატება ზოგიერთმა კრიტიკოსმა გადაჭარბებით შეაფასა. ამავე პერიოდში ქართულ პოეზიას ჰქონდა არანაკლები მიღწევები, მე ვიტყოდი, უფრო დიდი მიღწევები, მაგრამ ეს მიღწევები ისე აშკარად არ შეიმჩნევა იმის გამო, რომ ჩვენი ლირიკის ხარისხსა და დონეს ოდითგანვე უფრო მაღალი საზომები განსაზღვრავენ. რუსთაველისა და გურამიშვილის, ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის, ვაჟასა და გალაკტიონის განებივრებული მკითხველის გაოცება შედარებით ძნელია. ღმერთმა ქნას, ქართულ პროზაშიც გამოჩნდეს დასახელებული ავტორიტეტების ბადალი პროზაიკოსები... როგორც

ჩანს, ლირიზმი ქართველი ერის გენისეული თვისებაა, ალბათ ამიტომაც ეძახიან საქართველოს „პოეტების ქვეყანას“. თუ დააკვირდებით, ადვილად მიხვდებით, რომ უკანასკნელი პერიოდის ქართული პროზის წარმატებაში თითქმის ლომის წილი პოეზიის ელემენტებს უდევს. ისიც ნიშნეულია, რომ ამ პერიოდის საუკეთესო მოთხრობებისა და რომანების ავტორების დიდი ნაწილი ქართული პოეტური სიტყვის გამოჩენილი ოსტატები გახლავან.

2 – როგორ გაქვთ წარმოდგენილი ქართული პოეზიის განვითარების შემდგომი პერსპექტივა: ისევ გაგრძელდება ვერლიბრისა და კლასიკური რითმიანი ლექსის მომხრეთა დავა თუ ქართული პოეზიის გამარჯვებას ხედავთ მათს მშვიდობიან თანაარსებობაში, როცა ვერლიბრი და რითმიანი ლექსი ერთმანეთის გამდიდრებისა და სრულყოფის წყაროდ იქცევიან? რომლის მხარეზეა პირადად თქვენი სიმპათია?

– ვერლიბრისა და კლასიკური რითმიანი ლექსის მომხრეთა დავა საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს თუნდაც იმის გამო, რომ მან გამოაცოცხლა ჩვენი საეჭვოდ მიწყნარებული ლიტერატურული ატმოსფერო. სამწუხაროდ, ეს დავა ორი პოეტის კამათით შემოიფარგლა და მასში არ მონაწილეობენ ცნობილი პოეტები და კრიტიკოსები. ამდენად „ცისკრის“ ეს გამოწვევა მისასალმებელი ფაქტია.

.რითმიანი ლექსი, თეთრი ლექსი და ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი ლირიკის სრულუფლებიანი სახეებია. მაგრამ რითმას ზოგიერთი ერის პოეზიაში მეტი ფუნქცია აკისრია, უფრო აქტიურია. ასეა ქართულ პოეზიაშიც. ალბათ ამიტომ საუკუნეების მანძილზე ქართული ლექსის განვითარება რითმიანი ლექსის პრიმატის ნიშნით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. როგორც ჩანს, რითმიანი ლექსის ამ ჰეგემონიას საფრთხე არ ემუქრება. ზემოთ მოგახსენეთ, ლირიზმი ქართველი კაცის გენისეული მახასიათებელი უნდა იყოს-მეთქი.

ვერლიბრი კი პროზისაკენ გადახრად უნდა ჩაითვალოს. ისიც ყურადსაღები ფაქტია, რომ საუკეთესო თეთრი ლექსისა და ვერლიბრის ავტორები ისევ და ისევ კონვენციური ლექსის დიდოსტატები გახლავან. მაგრამ „ავთანდილის ანდერძისა“ და „განთიადის“, „მერანისა“ და „ლურჯა ცხენების“ გვერდით გამოსაჩენი ვერლიბრი ჩვენ არ მოგვეპოვება, ქართული ლექსის ხანგრძლივი ტენდენციაც აქეთ მიგვანიშნებს და ამ მოსაზრებას ადასტურებს.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ქართულ ლექსში რითმის პრეტენზიები იმდენად გაიზარდა, რომ მან თითქმის მთელი სალექსო სტრიქონის ფუნქცია იკისრა და რეალური საფრთხე შეუქმნა ლექსის შინაარსობრივ მხარეს. ყველაზე კარგად ეს იგრძნეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ვაჟა-ფშაველამ. მათ მაქსიმალურად შეკვეცეს რითმის პრეტენზიები, მაგრამ მაინც რითმიანი ლექსის ფარგლებში დარჩნენ. ეს იყო ზომიერების უკანასკნელ საზღვრამდე მისული ბუნებრივი უკიდურესობა და აუცილებლობა, რომელსაც არ შეიძლება საწინააღმდეგო რეაქცია არ მოჰყოლოდა. მოჰყვა კიდეც: გალაკტიონ ტაბიძემ რითმის ახალი საგანძურები გახსნა და ისე ოსტატურად გაიარა ბეწვის ხიდზე, რომ საწინააღმდეგო უკიდურესობის არცერთ მხარეს ფეხი არ გადასცდენია... ასე, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული ლექსის ძირითად მრუდს რითმის პარალელები არასოდეს გადაუკვეთავს.

უკანასკნელ წლებში თეთრი და თავისუფალი ლექსისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა. ეს მოვლენა მისასალმებელია თუნდაც იმის გამო, რომ მან ჩვენს პოეზიას შემატა თავისუფალი ლექსის ისეთი შესანიშნავი ოსტატი, როგორიცაა ბესიკ ხარანაული. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ბესიკ ხარანაულის წარმატებამ განაპირობა ვერლიბრით დაინტერესება და ვერლიბრის წარმატება.

1978

ᲓᲠᲝᲐ!

წავიკითხე ბესიკ ხარანაულის „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“, მაგრამ არ ვიცი რა წავიკითხე. ეს წიგნი ლიტერატურის ჟანრობრივ საზღვრებს აფართოებს და ახალ სახელდებას მოითხოვს. ავტორი „ეთნოფილიურ რომანს“ გვთავაზობს, მაგრამ ვერ ვეთანხმები: აქ პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, ეთნოგრაფია, ისტორია, ფოლკლორი, მემუარი ერთმანეთს კიდეც უპირისპირდება და კიდევაც ავსებს.

მომეწონა და ამ უჟანრო ანტირომანმა გამახსენა: „უცნობის“ პირველი ვარიანტი რომ დაიბეჭდა და მეორეს შევუდექი, ბესიკს გავენდე: ბევრი სრულიად უცნობი და უაღრესად საინტერესო ფაქტი დამიგროვდა, რომელთა გამოქვეყნებაზეც ვყოყმანობ, ვიღაცეებს ვერიდები, რა ვქნა, პატარა ქვეყნის შვილები ვართ-მეთქი. ნურავის და ნურაფერს ნუ მოერიდები, მიუშვი და ყველაფერი ჩაყარეო, – გამათამამა ბესიკმა და მეც თითქმის ყველაფერი „ჩავყარე“.

ახლა, „სამოცი რაინდი“ რომ წავიკითხე, გამახსენდა: რაც ხანგრძლივი წლების განმავლობაში ჩაიწერა, ამოიწერა, მოინიშნა, გაიგონა, მოიგონა, დაიმახსოვრა და იხილა, ავტორმა ამ წიგნში ჩაყარა, უფრო სწორად – თავ-თავის ადგილას დასვა და ერთმანეთს მოარგო.

სხვათა შორის, რამდენიმე ფრაგმენტების პოემაც დაწერა თუ ააწყო თუ შეადგინა.

ფრაგმენტების პოემებმა ბესიკის ადრეული ლექსები და ერთი წიგნი გამახსენეს: 1978 წელს გამომცემლობაში მეოცე საუკუნის პოეზიის მცირე რჩეულების სერიული გამოცემა წამოვიწყეთ და დავარქვით – „ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკა“. გალაკტიონით დავიწყეთ და ბესიკის ჯერიც მოვიდა. წიგნი ავაწყვეთ და დასაბეჭდად მოვამზადეთ. მთავარმა რედაქციამ გაგვიჩერა: ამ ლექსების „საბჭოთა პოეზიაში“ შეტანა არ შეიძლებაო. იძულებული გავხდით ლოგო მოგვეხსნა და მთელს სერიაში ეს ერთადერთი რჩეული ასე „გავაპარეთ“.

ამ გამოცემის ყოველი კრებულის ყდაზე ავტორის ფოტო იბეჭდებოდა. ბესიკი წიგნებს ფოტოსურათების გარეშე გამოსცემდა. ამჯერად სხვა გზა აღარ ჰქონდა. ამ დროს გამომცემლობაში მიხა ქვლივიძე გვესტუმრა – ჩვენზე ახოვანი და ლამაზი. ბესიკმა მიშას სთხოვა: მათხოვე შენი პორტრეტი და ჩემი წიგნის ყდაზე დავბეჭდავო...

ორმოციანი წლების დასაწყისში გალაკიონი ტაბიძემ გოეთეს „გენიალური ლექსი“ თარგმნა („მგზავრის ღამის სიმღერა“) და ყოველგვარი მოკრძალების გარეშე სავსებით სამართლიანად განაცხადა:

– თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემს მიერ მთელი რიგი.

და მაინც თავისუფალი ლექსის ანუ ვერლიბრის აღორძინება ბესიკ ხარანაულის სახელსა და გვარს დაუკავშირდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაწერილი იყო – „მთელი რიგი“:

„დედოფალა“ და „სამრეკლო უდაბნოში“,
„ფარდების შრიალი“ და „წარსულის ჩრდილები“,
„ოთხი დემონი“ და „ღრუბლები ოქროს ამურებით“,
„შიში“ და „ხელები“,
„ზღვის ეფემერა“ და „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“,

„მე მძინარე ვარ“ და „შენ ყოველთვის კარგი ხარ“,
„როდესაც ყველას სძინავდა“ და „მხოლოდ ნანა“,
„უკანასკნელი საზღვარი“ და „ქალაქი სიბნელეში“,
„ქიმიურ საგნებთან“ და „მაღაროში“,
„ქუჩაზე“ და „რას ჰკივის ქუჩა“,
„აგერა! აჰანდე!“ და „ბავშვი გაზეთებში“,
„ჯონ რიდი“ და სხვანი და სხვანი.

ბესიკ ხარანაული ყველაზე აქტიურად დაუპირისპირდა გალაკტიონის დიქტატურას. მაგრამ თუკი გალაკტიონის გავლენა მთელს მეოცე საუკუნის ქართულ ლირიკაზე უაღრესად პოზიტიურად აისახა, ბესიკ ხარანაულის აღიარებამ იოლი წარმატების ილუზია შექმნა და ვერლიბრისტების მთელი ლეგიონი დარაზმა: იწერება და იწერება და იბეჭდება და იბეჭდება მრავალი და მრავალი – „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

2011 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მეექვსე ნომერ ალმანახში „კრიტიკა“ დაიბეჭდა საუბარი რობერტ სტურუასთან. რობერტ სტურუამ აღიარა თავისი „დანაშაული“:

– მე მგონია, უფრო საგანგაშოა ის, თუ როგორ უნებლიეთ დაღუპა რობერტ სტურუამ ქართული თეატრი, რადგან სხვა რეჟისორები მბაძავენ. მართლა დამნაშავედ ვგრძნობ თავს, როცა ვუყურებ, როგორ ჰგავს მათი ნამუშევარი ჩემსას.

დროა, ბესიკ ხარანაულმაც აღიაროს საკუთარი „დანაშაული“. ტექსტი მზადაა.

– მე მგონია, უფრო საგანგაშოა ის, თუ როგორ უნებლიეთ დაღუპა ბესიკ ხარანაულმა ქართული პოეზია, რადგან სხვა პოეტები მბაძავენ. მართლა დამნაშავედ ვგრძნობ თავს, როცა ვუყურებ, როგორ ჰგავს მათი ლექსები ჩემსას.

2012

როსტომ მეორე

განსაკუთრებით დაინტერესებულმა წავიკითხე როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის („კომიკოსი ტრაგედიაში. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“) 889 გვერდის 680 გვერდი. ციტატები არ წამიკითხავს: ზეპირად ვიცი!

ამ წიგნს ორი გმირი ჰყავს: გალაკტიონ ტაბიძე და ოლია ოკუჯავა და ესაა ამ რომანის დიდი ღირსება. ოლია ოკუჯავა დღემდის იდგა გალაკტიონის ჩრდილში. რამდენიმე თვით ადრე ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით საგანგებოდ დავწერე მოზრდილი ესსე – „მთაწმინდის მთვარის დაბნელება“ და წარვუდგინე „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორს როსტომ ჩხეიძეს. ესსე 2012 წლის ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნდა 30 ნოემბერს. რამდენიმე დღის შემდეგ როსტომმა გამომიგზავნა თავისი ახალი წიგნი. ეს წიგნი რომ წაკითხული მქონოდა, ჩემი ესსე შეიძლება არც კი დაწერილიყო. თუმცა ერთი მოულოდნელი და სასიამოვნო შემთხვევა აღმოვაჩინე: როსტომის მიერ მოხმობილი ოლიას ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა არ ემთხვეოდა ჩემსას. თითქოს წინასწარ ვიყავით შეთანხმებულები და ამდენად, მეტი და მეტი დეტალი გავაცანით ქართველ მკითხველს.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ 2012 წელი გახლდავთ ოლია ოკუჯავას მეორე და საბოლოო რეაბილიტაციის წელიწადი და

მიხარია, რომ ამ დაგვიანებულ აღიარებაში როსტომთან ერთად დავიდე წილი, თანაც – ასი წლის წინ – 1912 წელს გაიცნო გალაკტიონმა ოლია.

„უცნობში“ მე ვივარაუდე: სტალინსა და ბერიას რომ არ დაეხვრიტათ ოლია ოკუჯავა, იქნებ გალაკტიონს თავი არც კი მოეკლა-მეთქი.

როსტომ ჩხეიძის წიგნის წაკითხვის შემდეგ თამამად ვაცხადებ: სტალინსა და ბერიას რომ არ დაეხვრიტათ ოლია ოკუჯავა, გალაკტიონი არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა თავს.

როსტომ ჩხეიძის რომანის ბოლო გვერდზე მითითებულია ორი თარიღი: 2011 წლის 1 დეკემბერი და 2012 წლის 15 აპრილი. მაშასადამე, წიგნი დაიწერა ოთხთვე-ნახევარში ანუ ასოცდათხუთმეტ დღეში! ცხადია, წერის პროცესის ხანგრძლივობას არავითარი კავშირი არა აქვს ხარისხთან. არსებობს რამდენიმე საათში დაწერილი შედევრები და არსებობს ათეული წლების განმავლობაში შექმნილები.

მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და ასეთი განსაკუთრებული გამონაკლისის უყურადღებოდ დატოვება არ ეგების: ასოცდათხუთმეტ დღეში 889-გვერდიანი აშკარად წარმატებული რომანი, თანაც ბიოგრაფიული ანუ დოკუმენტური, როცა ფანტაზია მაქსიმალურადაა შეზღუდული!

გულის გულში კი გავიფიქრე: როსტომი თავს გვაწონებს და თარიღები განგებ დაავიწროვა-მეთქი. მაგრამ წინა წელიწადსაც ახალი ბიოგრაფიული რომანი შემოგვთავაზა და მომდევნო წელიწადსაც – ახალი და ასე შემდეგ. ამიტომ ეს ეჭვი გამოირიცხა.

დარჩა ერთადერთი გამოსავალი: აქამდე მეეჭვებოდა და ამჯერად საბოლოოდ დავრწმუნდი, არსებობს მეორე როსტომ

ჩხეიძე, რომელიც წლების მანძილზე აგროვებდა და აზუსტებდა მასალებს გალაკტიონის რომანისთვის და მერე დაჯდა და დაწერა ეს სოლიდური წიგნი.

დიახ, არსებობს ორი როსტომი: ერთი, რომელიც წერს და წერს და წერს და მეორე – რომელიც ჩანს.

ასე რომ, არაა გამორიცხული, ოდესმე როსტომ ჩხეიძის ორეული გამოგვეცხადოს – როსტომ მეორე!

P. S. „ჩვენი მწერლობის“ 2014 წლის მეთხუთმეტე ნომერში დაიბეჭდა „როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის განხილვა“ („რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა“). ამ განხილვის დროს თვითონ როსტომმა ჩამოთვალა ქართული ბიოგრაფიული რომანის თხუთმეტი ნიმუში და ორი პოტენციური ავტორიც, რომლებიც ბიოგრაფიულ რომანებს წერენ, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებიათ.

გამიკვირდა: ნუთუ, როსტომს, რომელიც ყველაფრის წაკითხვას ასწრებს, ჩემი „უცნობი“ არ წაუკითხავს? არადა, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკაში“ ხშირად მიხსენებს და მიმოწმებს.

უცებ გამახსენდა მეორე როსტომი და ჩემი ვარაუდი საბოლოოდ დავიჯერე: როგორც ჩანს, რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკის განხილვას დაესწრო სწორედ ის მეორე როსტომი, რომელიც ჩანს და რომელსაც ჩემი „უცნობი“ ჯერ არ წაუკითხავს.

2014

მწარე რეპლიკა

1938 წლის 17 მარტს – ბაიკალისა და ირკუტსკის მახლობლად – მატარებელში დაიბადა ბიჭი, რომელსაც დედა ყაზანელი თათარი ჰყავდა, მამა კი – ბაშკირი მუსულმანი. ოჯახს იმდენად უჭირდა, რომ ბიჭს დაიკოს კაბას აცმევდნენ და ისე უშვებდნენ უფის სკოლაში. ყმაწვილი წამოიზარდა და ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი ბალერონი გახდა. 1961 წელს გასტროლებისას 23 წლის ჭაბუკი პარიზში დარჩა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

მატარებელში დაბადებულს განუწყვეტელი მოგზაურობა დაებედა: ხუთივე კონტინენტის პრესტიჟული სცენები მოიარა და მოხიბლა. როგორც ფრანსუაზა საგანმა დაწერა, იგი ცხოვრობდა სცენაზე და თვითმფრინავში. ერთხელ ვენაში 89-ჯერ გამოიძახეს ბისზე და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, სცენის მუშაკებს კი სამსახურში ზედმეტად დაყოვნებისათვის დამატებითი გასამრჯელო გადაუხადეს. მიიწვიეს ინგლისის სამეფო ბალეტის დასში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე არ გახლდათ, რაც აუცილებელი პირობა იყო სხვებისთვის. ლონდონში, დედოფლის თანდასწრებით რომ ცეკვავდა, ფეხსაცმელმა მოუჭირა, – ფეხზე გაიხადა და აისედორა დუნკანივით ფეხშიშველამ იცეკვა. ბალანჩინმა სპეციალურად მისთვის დადგა „გააზნაურებული მდაბიო“ (შტრაუსის მუსიკაზე). შვიდ წელიწადს ხელმძღვნე-

ლობდა პარიზის „გრანდ ოპერას“. დააჯილდოეს საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის ორდენით“. გარდაიცვალა პარიზში შიდსით – 1993 წლის 6 იანვარს. მისი ანდერძის თანახმად – დაკრძალვისას ხუთმა ცნობილმა მსახიობმა ხუთ ენაზე წაიკითხა პუშკინის, ბაირონის, გოეთეს, რემბოსა და მიქელანჯელოს ლექსები.

რუდოლფ ნურეევი არა მარტო საქვეყნოდ სახელგანთქმული მოცეკვავე გახლდათ, არამედ – მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქე. მას ეკუთვნოდა: სამი ულამაზესი კუნძული კვიპროსის მახლობლად, რამდენიმე ვილლა და სასახლე ევროპასა და ამერიკაში, აგრეთვე – ანტილის კუნძულებზე, მათ შორის – ყველაზე საყვარელი – პარიზში, ვოლტერის სანაპიროზე, ლუვრის პირდაპირ, და ბრწყინვალე რეზიდენცია მონტე-კარლოში. ორი საკუთარი ფონდი – ერთი შეერთებულ შტატებში და მეორე – ლიხტენშტეინში. მისი აპარტამენტების კედლებს ამშვენებდნენ რემბრანდტის, ჟერიკოს, კოროს, იაპონელი და ჩინელი მხატვრების ორიგინალები, შიშველი მამაკაცების ფერწერული ტილოების უნიკალური კოლექცია. სასახლეებს ალამაზებდნენ იმპერატორთა ავეჯი, დედოფალ ელიზავეტას დივანები, ვოლტერის სავარძლები, შუა საუკუნეების მაგიდები და ჭურჭელი, ბრინჯაოს ქანდაკებები, უძვირფასესი აღმოსავლური ნოხები, ძველი იარაღის მთელი არსენალი...

ნურეევის ქონება რა ჩვენი დასათვლელიაო, – სამართლიანად იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. საქმე ისაა, რომ ოცი წლით ადრე იმავე ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი ბალერონი გახლდათ ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელმაც დიდი წარმატებით მოიარა ამერიკის შეერთებული შტატები, ლათინური ამერიკა, იტალია, იაპონია, ფილიპინები,

– და მე მინდა ქართველმა ხალხმა იცოდეს, რა სიმდიდრეზე და სახელზე თქვა უარი ჭაბუკიანმა, როდესაც არც უცხოეთში დარჩა და არც ლენინგრადში დაყოვნდა. 1941 წელსვე დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს, ააღორძინა ქართული ბალეტი და პლასტიკის შედევრებით გაგვანებივრა.

დავაფასეთ კი ჩვენ – ქართველებმა – ღირსეულად ვახტანგ ჭაბუკიანის არა მარტო ვირტუოზული ხელოვნება, არამედ – პატრიოტიზმი, არა მარტო სიცოცხლის ბოლო წლებში, არამედ – გარდაცვალების შემდეგ მაინც, რომ არაფერი ვთქვათ იმ დაუმსახურებელ გულისტკივილზე, რომელიც დიდების ნაცვლად მივაგეთ ლეგენდარულ მაესტროს?!

ჭაბუკიანის მავრის ტორსი თავისთავად მოითხოვს ბრინჯაოს!

P. S. „ყველასაგან მივიწყებულ და შეურაცხყოფილ ვახტანგ ჭაბუკიანს მოსკოვის დიდმა თეატრმა 80 წლის იუბილე განსაცვიფრებელი პომპეზურობით გადაუხადა. დიდმა რუსმა მოცეკვავემ ვ. ვასილევმა სცენაზე გამოიყვანა თეატრის საბალეტო დასის მამაკაცი მოცეკვავეები, თვით მიეახლა ვახტანგს, დაუჩოქა და უთხრა: „Вахтанг Михайлович, мы все танцоры, а Вы Бог!“ (ნოდარ გურაბანიძე).

2004

„საბა“

უკვე მეცამეტე წელიწადია, რაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდი გახლავთ პრემია „საბა“. ყოველგვარი პრემია სასიამოვნოა და საამაყო, მაგრამ საბა გამოირჩევა და განსაკუთრებულია იმით, რომ საზეიმო ვითარებაში აღინიშნება და ეს ყოველწლიური დღესასწაული კიდევ მეტად იზიდავს მკითხველებს და არამკითხველებსაც.

ყოველივე ამისათვის მადლობა ტიბისი-ბანკს და მადლობა ბატონ მამუკა ხაზარაძეს.

ბოლო წლებში მეტი და მეტი მხატვრული წიგნი იბეჭდება და შესაბამისად, იზრდება მაძიებელთა რიცხვი, რაც დამატებით სიძნელეებს უქმნის ჟიურის.

ალბათ, დროა „საბას“ წესდებას გადავხედოთ.

მაგალითად – აიკრძალოს ერთსა და იმავე წელიწადს ერთი და იმავე ავტორის ერთზე მეტ ნომინაციაში წარდგენა.

მაგალითად – დაწესდეს და რომელიმე ლაურეატი განმეორებით სამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ წარადგინონ.

ამით საგრძნობლად შემცირდება ნომინანტთა რაოდენობა და ჟიურის შესაძლებლობა მიეცემა უფრო მშვიდად გაეცნოს წარმოდგენილ ლიტერატურას და უფრო ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს.

„საბას“ თემატიკა მრავალფეროვანია და სრულყოფილი. მაგრამ გამოჩნდება ხოლმე ახლად გარდაცვლილი ერთეული ავტორის წიგნი, რომელიც აღნიშვნას იმსახურებს. იქნება შესაძლებელი იყოს უკანასკნელ სამ წელიწადში გარდაცვლილი რომელიმე მწერლის წიგნიც წარვადგინოთ და ამ ნომინაციას დავარქვათ – „შემდეგ“. არაა აუცილებელი ეს ნომინაცია ყოველწლიური იყოს.

მინდა ერთი სიახლეც აღვნიშნო: 2012 წელს ტიბისი-ბანკმა დააარსა ელექტრონული წიგნის სახლი, რომელსაც აგრეთვე „საბა“ დაარქვა. ეს სიახლე მრავალმხრივაა საყურადღებო:

– წიგნს გარიდებული და კომპიუტერისაკენ მისწრაფებული პიროვნებების ნაწილმა იქნებ აქ მაინც მიაქციოს ყურადღება მხატვრულ ლიტერატურას.

– სამწუხაროდ, უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული დიასპორა, რომელსაც საშუალება მიეცა ადვილად გაეცნოს მშობლიური ელექტრონული წიგნის ბაზარს.

– იგივე შეიძლება ითქვას უცხოელ ქართველოლოგებზე.

– მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სიახლით ქართველ მწერლებს დამატებითი შემოსავალი შემოემატა.

დასასრულ მინდა საბას რეალური და მომავალი ლაურეატების სახელით – ასეთი სამაგალითო ყურადღებისათვის – მადლობა გადავუხადო ტიბისი-ბანკს, რომელმაც დროულად დაარღვია ჩვენი შემოქმედებითი ყოფის „საყდრული მყუდროება“, როგორც ბრძანა გოგლა ლეონიძემ.

2015

გამოცდა

– გთხოვთ, გვიამბოთ ექსილეს შესახებ, – მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგემ ოცდაერთი წლის სტუდენტს.

სტუდენტი ჩაფიქრდა და ხანგძლივი პაუზის შემდეგ ამოღერღა:

– ექსილე იყო მორწმუნე.

ჩამოვარდა ხანგრძლივი პაუზა. მერე პროფესორმა თავაზიანად გააგრძელა:

– თქვენ მთავარი გვაუწყეთ ექსილეს შესახებ, ბატონო სტუდენტო. გვაუწყეთ, რომ იგი მორწმუნე გახლდათ და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს ფაქტი დამტკიცებას არც კი საჭიროებს. მაგრამ იქნებ კეთილინებოთ და გვიამბოთ, რას წერდა ექსილე, კომედიებს თუ ტრაგედიებს, სად ცხოვრობდა და რა ადგილი უჭირავს ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში?

კვლავ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სტუდენტმა ამოშაქრა:

– ესქილემ დაწერა „ორესტეა“.

– შესანიშნავია, – წარმოსთქვა პროფესორმა, – დიახ, ესქილემ დაწერა „ორესტეა“. მაგრამ, ბატონო სტუდენტო, იქნებ კვლავ კეთილინებოთ და გვიამბოთ, რას წარმოადგენს „ორესტეა“, დამოუკიდებელი ნაწარმოებია თუ რამდენიმე ტრაგედიისაგან შესდგება?

ჩამოვარდა უფრო ხანგრძლივი პაუზა. სტუდენტს ამაყად ეჭირა თავი და თვალებში შესცეროდა პროფესორს. პროფე-

სორს აღარაფერი უკითხავს და სტუდენტმა აუდიტორია დატოვა.

ძნელი სათქმელია, ვინ ვინ გამოცადა: ცნობილია, რომ სტუდენტს სწავლა აღარ გაუგრძელებია. თუმცა უფრო საინტერესოა ამ ტანდემის ვინაობა: ოსიპ მანდელშტამი და გრიგოლ წერეთელი, მეოცე საუკუნის დიდი რუსი პოეტი და მსოფლიოში აღიარებული ელინისტი-პაპიროლოგი. იმჟამად პოეტს პირველი ლექსები უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდა პროფესორმა, რომელიც აგრეთვე ლექსებსაც წერდა, მაგრამ ეს ფაქტი სტუდენტისათვის არ გახლდათ ცნობილი.

გავიდა რვა წელიწადი და ერთსა და იმავე 1920 წელს ორივე საქართველოში ჩამოვიდა: გრიგოლ წერეთელი ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია ახლად გახსნილ უნივერსიტეტში, მანდელშტამი კი სამოქალაქო ომს გამოერიდა და ყირიმიდან ბათუმს მოაშურა. მაგრამ საეჭვო პირად ჩათვალეს და ციხეში აღმოჩნდა, საიდანაც ქართველმა პოეტებმა დაიხსნეს.

სამწუხაროდ, სიცოცხლეც ერთსა და იმავე 1938 წელს დაასრულებინეს ორივეს და მათ ჯალათს ერთი და იგივე სახელი ერქვა.

1923-1927 წლებში რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გრიგოლ წერეთელს რამდენიმეჯერ შესთავაზეს აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა, თუკი პეტერბურგის უნივერსიტეტს დაუბრუნდებოდა.

– მე გადავწყვიტე უარი ვთქვა შემოთავაზებულ პატივზე, ვარჩევ ვიყო პროფესორი თბილისში, ვიდრე აკადემიკოსი პიტერში, – შეატყობინა თავის მეგობარ ივანე ჯავახიშვილს.

რუსეთის გამომცემლობები დღესაც აქტიურად აქვეყნებენ გრიგოლ წერეთლის მიერ ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნილ პოეტურ ტექსტებს.

– Г. Ф. был не только первоклассным ученым, но и высокоодаренным художником античного мира, великим его поэтом. Как счастливы те, кому привелось знать этого поэта, слушать его, бесседовать с ним и наслаждаться его гением, не только по его произведениям, но и общаясь с ним лично (თეოდორ პეტროვსკი).

– ყველას ერთი კერპი მაინც ჰყავს ცხოვრებაში. ამ სტრიქონების ავტორის კერპი იყო, არის და მუდამ იქნება გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. რომელი ეპითეტი ვიხმარო მის მიმართ. ღმერთს ეპითეტი არა აქვს (აკაკი გაწერელია).

P. S. პეტერბურგის უნივერსიტეტის გამოცდის ეპიზოდი იური ტინიანოვმა ბენიამინ კავერინს უამბო და ბენიამინ კავერინმა თავის მემუარებში შეიტანა.

1932 წელს, პოეტის სიცოცხლეში, მოსკოვში გამოცემული „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ მეექვსე ტომში აღნიშნულია, რომ მანდელშტამმა „პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა“.

1967 წელს გამოცემული ო. მანდელშტამის ოთხტომეულის წინასიტყვაობაში გლებ სტრუვემ გაასწორა:

– მიუხედავად „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ ცნობისა, მანდელშტამს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. არსებობს საკმაოდ სანდო წყარო იმის შესახებ, რომ იგი ბერძნული ლიტერატურის გამოცდაზე ჩაიჭრა.

მას შემდეგ ყველა საცნობარო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მანდელშტამი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

2011

ისიდორ ფრიხ-ხარი

რეზო გაბრიაძემ კიდევ ერთი ქუთაისელი „აღმოაჩინა" და შემოგვთავაზა: უცნაური გვარის თუ ფსევდონიმის ხელოვანი, გაურკვეველი ეროვნების თვითნასწავლი მხატვარი, კერამიკული ქანდაკების ოსტატი, რომელიც მუშაობდა აგრეთვე ხეზე, ქვაზე, მარმარილოზე, ბრინჯაოზე, მინაზე...

ისიდორ ფრიხ-ხარი (სახელი ბერძნული წარმომავლობისა უნდა იყოს) დაბადებულა ქუთაისში 1893 წლის 17 აპრილს. მამამისი ღარიბი მევენახე ყოფილა. ბიჭი თხუთმეტ წლამდე ქუთაისში იზრდებოდა. ვიდრე ანბანს შეისწავლიდა, ხატვა დაუწყია: სხვადასხვა ზღაპრებსა და მოთხრობებს ასურათხატებდა. მალე რომელიღაც ცოცხალი მოქანდაკის ნაძერწი თიხის პატარა ფიგურები უხილავს და ისე მოხიბლულა, რომ ფანქარი და ქაღალდი მოუტოვებია. მიუხედავად მამის წინააღმდეგობისა, თავისუფალ დროს დიდი გატაცებით ძერწავდა ცხენებს, ფრინველებს, ადამიანებს...

1914 წელს ჯარში გაიწვიეს. დაიჭრა და ზურგში გამოაბრუნეს. შემდეგ რევოლუციაში მონაწილეობდა. დააპატიმრეს და „სიკვდილის მატარებლით" გაამგზავრეს აღმოსავლეთისაკენ. გამოიქცა. ამხედრებული იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ერთხელ შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას. მერე ავანტიურისტულ ცხოვრებას თავი დაანება და მოსკოვ-

ში – მხატვართა სახლში – დასახლდა, ბავშვებს ძერწვას და ხატვას ასწავლიდა. ასწავლიდა და თვითონაც სწავლობდა. ასაკში რომ შევიდა, მთლიანად შემოქმედებითმა მუშაობამ გაიტაცა და ნაყოფიერად იღვწოდა. ხშირად ცვლიდა მასალასა და თემატიკას. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის მუზეუმებში. ბატონი რეზო გაბრიაძის აზრით, ფრიხ-ხარის „მკერავი" შედევრია.

*

ეს პატარა წერილი რეპროდუქციებთან ერთად 1999 წელს გამოვაქვეყნე თბილისელ-ქუთაისელთა ფართო ფორმატის ოთხმოცგვერდიან გაზეთ „მწვანეყვავილში", რომელიც მე და რეზო ჭეიშვილმა შევადგინეთ. წერილი სხვათა შორის წავაკითხე ჩუბჩიკას – თენგიზ მირზაშვილს. როგორც გამოირკვა და როგორც მოსალოდნელიც იყო, „ყველაფრის მცოდნე" ჩუბჩიკა კარგად იცნობდა მხატვარს: ფრიხ-ხართან იგი ფიროსმანმა მიიყვანა, ვინაიდან ამ უკანასკნელთან აღმოჩნდა ნიკალას ნახატი – „Саркис, налюващий вино".

– რომ მივედი, ქართულად მომესალმაო, – გაიხსენა ჩუბჩიკამ, – მერე თავის ბავშვობაზე და ქუთაისზე მიამბო, რაზეც მე წარმოდგენა არ მქონდაო. ოთხმოცი წლის მოხუცი მაგიდაზე შედგა და ისე ჩამოხსნა ფიროსმანის ნახატი. მე ხელში ავიყვანე და ჩარჩოიანად ჩამოსვი იატაკზე. სურათი გამომატანა. იმავე დღეს გადავაღებინე ლაბორატორიაში და მეორე დღეს დავუბრუნე. გამოთხოვებისას თავისი რეპროდუქციების ალბომი მაჩუქა. აკანკალებული ხელით ძლივს დაასრულა სასაჩუქრო წარწერაო.

ზემოთ მოხსენიებული ნახატის რეპროდუქცია სისტემატურად იბეჭდება ფიროსმანის ალბომებში და მონაწილეობდა ოთხ გამოფენაში. კატალოგებში მითითებულია მეპატრონის ვინაობა.

რუსეთის დამსახურებული მხატვრის ნაწარმოებები ინახება ტრეტიაკოვის გალერეაში. იგი შეტანილია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში და სანიმუშოდ დაბეჭდილია ერთადერთი რეპროდუქცია – „ქართველი მემწვადე. ქაშანური. 1934“. ეტყობა, არც ჩვენ უნდა დავივიწყოთ ქუთაისელი ოსტატი.

1999

„ნიშნად ულრმესი პატივისცემის“

წიგნი ძვირფასი საჩუქარია, ავტოგრაფიანი წიგნი – ორჯერ ძვირფასი საჩუქარი.

წიგნებს თავიანთი ბედი აქვთ, ნაჩუქარ წიგნებს – თავიანთი.

ჩვენში შედარებით მცირეა ავტოგრაფის მოყვარულ-მოხალისეთა რიცხვი და ავტორის ნება-სურვილით ნაბოძები უფრო მეტად ფასობს. მეტ-ნაკლები ხარისხის ასეთი იშვიათი რელიკვიები ჩვენს თაროებს განსაკუთრებულ ღირსებას მატებენ და გზადაგზა მარტოობის შუალედებს გვიადვილებენ. თითოეული მათგანი ჩვენი ბიოგრაფიის განუყრელი ნაწილია და მარტო წიგნი არ არის ჩვენთვის. ყოველი ნაცნობი ხელწერა და ფაქსიმილე რომელიმე ნაცნობს გაგიცოცხლებს ხოლმე. როგორც უოლტ უიტმენმა დაწერა და კონსტანტინე გამსახურდიამ გადმოაქართულა –

ჰა, ამხანაგო, ჩემი წიგნი არ არის წიგნი,
ვინც კი ოდესმე მას შეეხება –
კაცს შეეხება იგი ყოველთვის.

თუმცა, არც მარციალის ირონია უნდა დავივიწყოთ:

რატომ არ გჩუქნი წიგნებს ჩემსას? –
რათა შენ შენი არ მაჩუქო.

ნაჩუქარი წიგნის წარწერა უპირატესად ორი პიროვნების ურთიერთობას ასახავს, უმეტეს შემთხვევაში გადაჭარბებულია და ხშირად ისეთ ნიუანსს შეიცავს, რომელიც მხოლოდ ადრესანტისა და ადრესატისათვისაა გასაგები. წიგნის ფორზაცზე თუ სატიტულო ფურცელზე აღბეჭდილი რამდენიმე სიტყვა ორთა საიდუმლოცაა და მესამეს თითქოს არც უნდა აინტერესებდეს.

მაგრამ არსებობს ისეთი წარმატებულები, რომელთა დატოვება ოთხი თვალის საწიერზე დანაშაულია.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მაიკო ორბელიანს საკუთარი ხელნაწერი კრებული მიართვა:

– დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა ყმაწვილობისათა და შემიბრალებ შენსა ყარიბსა ძმასა.

– ჩემს კარგ ოლიკოს, – წაუწერა ილიამ თავის წიგნზე მეუღლეს.

– ჩემს ოლიას! ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრს, – დააზუსტა გალაკტიონმა.

– ჩემს საყვარელ თანამეკალმეს და მეგობარს, – ცალკე წიგნად დაბეჭდილი ერთი ლექსი („ოცნება“) უსახსოვრა აკაკიმ მწერალსა და მეცნიერ-მედიკს ვანო ელიაშვილს. ეს ანტირუსული ლექსი პოეტის თხზულებებში არ იბეჭდებოდა და ამ ეგზემპლარმა შემოგვინახა აკაკის ხელით ჩასწორებული ერთი სტრიქონიც.

მიხეილ ჯავახიშვილმა გიორგი ლეონიძეს წიგნი აჩუქა:

– გოგლა ლეონიძეს – ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს. – დააკვირდით: ხუთად ხუთი სიტყვით უაღრესი სიზუსტითაა ახსნილი გიორგი ლეონიძის ფენომენი და ამიტომაც გახდა საყოველთაოდ ცნობილი.

მე მომწონს ერთი რუსული მეტაფორა:

– Моему заочному другу – заоблачному брату Борису Пастернаку. Мартина Цветаева. Прага. 9-го марта 1923 г. – იგი ემთხვევა უფრო გვიანდელ შედარებას სტალინისა, რომელმაც პასტერნაკს უწოდა – „Обитатель неба".

თვითონ პასტერნაკმა, თავისი თარგმანების წიგნი რომ გაუგზავნა ანა ახმატოვას, მიძღვნა ქალალდის პატარა კვადრატზე დაწერა და ოდნავ მიაწება ფორზაცზე: თუ არ მოგეწონება, მოაძრე და გადააგდეო:

– Дорогой Анне Андреевне, которая столько простила людям, что, может быть, простит и эту книгу.

არსებობს ორმაგი მიძღვნის მშვენიერი მაგალითი: 1857 წელს შარლ ბოდლერის „ბოროტების ყვავილები" დაიბეჭდა. მთელი პირველი გვერდი მიძღვნას ეჭირა: „უცდომელ პოეტს, ფრანგული ლიტერატურის ყოვლისშემძლე ჯადოქარს, ჩემს ძვირფას და პატივსაცემ მასწავლებელსა და მეგობარს – ნიშნად უღრმესი პატივისცემისა ვუძღვნი ამ სნეულ ყვავილებს". მადლიერმა „მოსწავლემ" ასეთი ამაღლებული ნაბეჭდი ტექსტიც არ ჩათვალა საკმარისად და გოტიესათვის განკუთვნილ ეგზემპლარს საკუთარი ხელით წააწერა: „ჩემო ძვირფასო თეოფილ, პირველ გვერდზე დაბეჭდილი მიძღვნა – ოდენ მკრთალი ანარეკლია იმ მეგობრული გრძნობისა და უტყუარი აღტაცებისა, რომელსაც ყოველთვის განვიცდიდი შენდამი. შენ ეს იცი".

და არსებობს განუხორციელებელი მიძღვნის ნიმუშიც: თვითმკვლელობამდე ცოტახნით ადრე ჰემინგუეის სთხოვეს სამახსოვრო წარწერა პრეზიდენტ კენედისათვის მისართმევ წიგნზე. ჰემინგუეიმ დიდხანს იფიქრა და ეცადა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ მოიფიქრა.

ზოგადად ყველანაირი საჩუქარი სასიამოვნოა. ნაჩუქარი წიგნი კი გავალდებულებს კიდეც – წამიკითხეო. მე, მაგ-

ალითად, ზოგიერთი წიგნი მხოლოდ იმიტომ წავიკითხე, რომ ნაჩუქარი იყო.

დიდი ხნის წინათ მწერალთა სასახლეში ხანგრძლივი განცხრომის შემდეგ მორიგი თავმჯდომარე გაათავისუფლეს. იმ დღეებში ასეთ სურათს შევესწარით: ყოფილი თავმჯდომარის ყოფილი მდივანი და ყოფილი შოფერი ტომრებით ეზიდებოდნენ ნაჩუქარ წიგნებს და მანქანის საბარგულში აწყობდნენ, რათა ქალაქის სანაგვემდე მიეზიდათ. მესიამოვნა, რომ ამ ბარხანაში ჩემი წიგნი არ მეგულებოდა და საბოლოოდ დავრწმუნდი: წიგნი მხოლოდ აშკარად დაინტერესებულ მკითხველს ანდა გულწრფელ მთხოვნელს უნდა უსახსოვრო. არადა, ამ ყოფილმა თავმჯდომარემ ოთხჯერ მისახსოვრა:

– ვახტანგ ჯავახაძეს სიყვარულით ვუძღვნი.

– ჩემს ვახტანგ ჯავახაძეს, ჩემს მშვენიერ მეგობარს, მშვენიერ პოეტს.

– ჩემს ძვირფას ვახტანგ ჯავახაძეს, ჩვენს სახელოვან პოეტს და დიდებულ კაცს.

– ჩვენს დიდებულ პოეტს, ჩემს ძვირფას ვახტანგს, ეს პირველი ეგზემპლარი დიდი სიყვარულით, დიდი მადლობით.

მოგვიანებით ჩემი „უცნობი" ვაჩუქე. ოღონდ თვითონ მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი.

ისე, ყველა ნაჩუქარის შენახვა ალბათ არცაა გამართლებული: აქ უკვე თავმოყვარეობა გვედავება: მანახე შენი ბიბლიოთეკა და გეტყვი ვინა ხარ შენ.

თითქმის ნახევარი საუკუნე გამომცემლობაში და გამომცემელთა შორის გავატარე და ნაჩუქარი წიგნების მოზრდილი ბიბლიოთეკა დამიგროვდა. ცხადია, სასიგნალო ეგზემპლარს რომ ხელს შეავლებს, მადლიერი ავტორი, უპირველეს ყოვლისა, გამომცემელს მოახსენებს მადლობას:

– სტამბიდან გამოტანილი პირველი წიგნი – უღრმესი მადლობით.

– ამ წიგნის პირველ ჭირისუფალს.

– ამ პოემის პირველ შემფასებელს.

მადლიერი ავტორების ვინაობას ვერ მოგახსენებთ, მათი რწმუნება არ გამაჩნია. ერთს კი აღვნიშნავ: „სტამბიდან გამოტანილი პირველი წიგნის“ ატორს სამი წლის შემდეგ „სამაგიერო გადავუხადე“ და „უცნობზე“ წავუწერე:

– სახლიდან გამოტანილი უკანასკნელი წიგნი – კეთილი სურვილებით.

ერთმა ზომიერმა შედარებითი კეთილშობილება გამოიჩინა: გადარჩეული ცალებიდან წარწერიანი ფურცლები ამოხია და მოზრდილი შეკვრა შეინახა.

ერთხელ, მეოცე საუკუნეში, ანდრეი ვოზნესენსკიმ ტარიელ ჭანტურიას ლექსების კრებული აჩუქა და მიძღვნაც დაუთარიღა – „მეოცე საუკუნე“. ჩვენ ორ საუკუნეს მოვესწარით, მაგრამ არსებობენ თუ არსებობდნენ ერთეულები, რომლებიც სამ საუკუნეს გასწვდნენ და ამდენად ეს დათარიღება ძალიან მოულოდნელიც არ უნდა იყოს.

ერთხელ იგივე ანდრეი ვოზნესენსკი ათენში ესტუმრა ნობელიანტ პოეტს ელიტისს, რომელმაც რუსი კოლეგა ორჯერ წარადგინა ამ პრემიაზე. ელიტისმა ანდრეის თავისი ახალი წიგნი აჩვენა და დაპირდა: წარწერას მოვიფიქრებ და წიგნს მოგვიანებით გამოგიგზავნი მოსკოვშიო. მოიფიქრა კიდეც.

საკმაოდ გონივრული სიფრთხილე გამოუჩენია. ეტყობა, ეს მომენტი მეტ დაფიქრებას მოითხოვს. ვინ იცის შენი ნაჩქარევი ეპითეტები და ჰიპერბოლები სად და როდის დაგხვდება წინ.

რამდენიმე შემთხვევა ვიცი: გაცხარებული პოლემიკისას ადრესატი მოდავის სასაჩქურო წარწერის მომარჯვებით იმაგრებდა პოზიციას და მოწინააღმდეგე საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად

აკრძალული ხერხით უტევდნენ. ეგევე ხერხი სასამართლო პროცესზეც გამოუყენებიათ არაერთხელ.

ასეთ ფაქტსაც მოვესწარით: სწორედ ნაჩუქარი წიგნის წარწერას მოეჭიდა ხავსივით კოლეგა-პოეტი, როდესაც ადრე გარდაცვლილი კოლეგა-პოეტის იმავე წიგნის აკრძალვა დააბრალეს.

საკმაოდ დიდი ხნის წინათ ნაპატიმრევმა მეცნიერმა საყვედური შემომითვალა: მავანს წიგნი როგორ აჩუქეო. კარგად არც კი მახსოვდა და მაშინ გამახსენდა, რამდენიმე წლით ადრე როგორ ვუსახსოვრე ახლად გაცნობილ მავანს ჩემი ლექსების კრებული. ეს მავანი მცირე მასშტაბის კვაჭი კვაჭანტირაძე აღმოჩნდა და რამდენიმეჯერ მიაბრძანეს ვირის აბანოში. თითქოს სასიამოვნოცაა, შენს წიგნს საპატიმროში რომ თან წაიღებს ადრესატი, მაგრამ გააჩნია როგორი განზრახვით წაიღებს და გამოიყენებს.

ცხადია, ჩვენს მიერ ერთხელ უკვე მოხსენიებული ანა ახმატოვა ჩემზე უფრო ფრთხილი და შორსმჭვრეტელი ქალბატონი ბრძანდებოდა: წიგნს რომ გააჩუქებდა, სასაჩუქრო წარწერის ტექსტს ყოველთვის იწერდა და ინახავდა.

საყოველთაოდაა ცნობილი სახელდახელო და სავალდებულო ტრაფარეტები: კეთილი გულით, კეთილი სურვილებით, სიყვარულით, პატივისცემით, მადლობით... უამრავ კლიშესა და შაბლონს შორის მაინც გამოერევა განსხვავებული და გამოსარჩევი:

– ვახტანგ ჯავახაძეს – ნიშნად უღრმესი პატივისცემის. გ. ტაბიძე. 1958, 23 ივლისი. – ამ პატარა ავტოგრაფმა ათასგვერდიანი აპოლოგია დამაწერინა.

ვერც „ყელამდე ქართულ მიწაში ჩაფლულ პოეტს“ გამოვტოვებ:

– ჩემს რედაქტორ-მოამაგეს, ვახტანგ ჯავახაძეს – პოეტსა და პატარა ძმას. გ. ლეონიძე. 3 იანვ. 1962.

– მიფეშქაშებია ვახტანგ ჯავახაძესთვის, მეგობარ მხცოვან პოეტისაგან – ახალგაზრდა პოეტისთვის. 1961. 30/V. თბილისი. – ეს იოსებ გრიშაშვილის სტილია.

იოსებ გრიშაშვილი სხვა გამომცემლობებში – სხვათა რედაქტორობით გამოცემულ წიგნებსაც მჩუქნიდა და ხშირად წარწერას თავისი დაბადების დღით ათარიღებდა:

– ჩემს კარგ რედაქტორს, პოეტ ვახტანგ ჯავახაძეს, ავტორისაგან. 1959 წ. 23 აპრილი (ჩემი დაბადების თარიღი). ი. გრიშაშვილი.

სიმონ ჩიქოვანის მოზრდილი რჩეულისა და სამტომეულის რედაქტორი გახლდით. ტომების შედგენაშიც ვმონაწილეობდი, ქალბატონ მარიკასთან ერთად, როცა ბატონი სიმონი უკვე ვეღარ ხედავდა. სახლშიც ვეწვეოდი ხოლმე და კაბინეტში ვესაუბრებოდი და ვეთათბირებოდი... და მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, არცერთი წიგნი არა მაქვს ბატონი სიმონის ავტოგრაფიანი. კაცია და გუნება! (არადა, 1960 წელს რომ „რჩეულს" ვურედაქტორე, „მნათობში" მიმიწვია სათანამშრომლოდ და, ისევ სამწუხაროდ, ხელფასებს შორის საკმაო სხვაობის გამო შევიკავე თავი).

მახსოვს ასეთი შემთხვევაც: მკითხველმა-მწერალმა ცნობილი მწერლის პოპულარული წიგნი შეიძინა და სამახსოვრო წარწერისათვის წარუდგინა ავტორს, ამ უკანასკნელმა კი უარი განუცხადა. ვერ ვიტყვი: რომელმა შესცოდა, კეთილშობილმა მკითხველმა თუ ამაყმა მწერალმა.

პირიქითაც ხდება: დაინტერესებული პროფესიონალები თვითონ შეეხმიანებიან ხოლმე ავტორს. ტრაბახად ნუ ჩამითვლით და გალაკტიონს ჩაუთვალეთ: „უცნობი" მთხოვეს მოსკოვიდან, პარიზიდან, იტალიიდან, შტატებიდან. რამდენიმე სრულიად უცნობი მოვიდა და პურის ფულივით მთხოვა წიგნი. ზოგმა თვითონ შეიძინა და ისე გამომეცხადა. ერთმა ისეთმა მთხოვა, რომელსაც ნამდვილად არ უნდა ეთხოვა.

ნაუწერ წიგნზე და შენი ქათინაურები შენ თვითონ გავიწყდება, სხვებისა კი სამარადისოდ გიწყვია თაროზე.

დროდადრო დაუვიწყარ ფაქტებს შემახსენებენ:

– ბარათაშვილის გამოცემაზე ჩვენი საერთო მუშაობის მოსაგონრად. პავლე ინგოროყვა. 16/I. 1970.

– დიდი მადლობა თანამონაწილეობისათვის. – „პოეტური ინტეგრალების" ფორზაცზე წამიწერა მიხეილ კვესელავამ 1977 წლის 27 ოქტომბერს.

– სოხუმში დაბრუნებისა და იქ შეხვედრის იმედით. გურამ ოდიშარია. 1996 წლის თებერვალი.

შორს იყო და წიგნზე წასაწერი სამადლობელი წერილით მომაწვდინა ჩეჩნეთიდან გაბრიელ ჯაბუშანურმა 1960 წლის 9 აპრილს:

– „მზეთა ქვეყანა" ნახევრად შენი წიგნია. ამ წიგნს როცა ვკითხულობ, ისე მეჩვენება, თითქოს ჩვენ ამ წიგნის თანაავტორები ვიყოთ (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით), და თუ „მზეთა ქვეყანა" რაიმე წარმატებას ნახავს, ეს მხოლოდ შენი რედაქტირებული (რა თქმა უნდა) პოეტური ინტუიციის ამბავი იქნება.

– ვახტანგს – ძმურად, ოთარი. – ეს ოთარ ჭილაძეა: ხუთი წიგნი მისახსოვრა ასე ლაკონურად 1963, 1967, 1977, 1982 და 1984 წლებში.

ნაწილს ანონიმურად წარმოვადგენ (ვერც ავტორებს ჩავაგდებ უხერხულობაში და ვერც საკუთარ თავს):

– კაცის გაბედნიერებისათვის მადლობის თქმა უხერხულია, ამიტომ როგორც ყოველთვის, ეხლაც ისევე ძმურად გკოცნი, ჩემო კარგო პოეტო და მეგობარო ვახტანგ.

– ქართული პოეზიის მემარცხენეს.

– უცნობის მცნობს.

– გალაკტიონის ერთ ჭირისუფალს.

– ჩემს ძმას და ჩემს პოეტს.

– სეხნიას – სეხნიასაგან.

– ზედმეტი სიტყვების გარეშე.

უწარწეროებიც აღმომაჩნდა, ნაჩუქარი უწარწეროები: ზოგმა სხვისი წიგნი მომართვა, ზოგიერთს თვითონ ვთხოვე, რამდენიმემ უცხოეთიდან ჩამომიტანა ან გამომიგზავნა, თითო-ოროლა იმდენად სანიმუშო პოლიგრაფიული ხარისხისაა, კალმის შეხებას ვერ აიტანდა. ყველა მახსოვს და ყველანი მახსოვან.

ქუთაისში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა თავის დროზე ცნობილი ბიზნესმენის მამაჯანოვის მეტად სიმპათიური მეულღე ელენე (ტოტა) მამაჯანოვა, რომლის ქმარიც აკაკის მეგობრობდა და მეცენატობდა. ამ მარტოხელა ქალბატონმა მაჩუქა „აკაკის ყოველთვიური კრებულის“ აკინძული კომპლექტი, რომლის ცალკეულ ნომრებსაც პოეტი პირადად უგზავნიდა მამაჯანოვების ოჯახს.

1987 წელს „განთიადში“ ჩემი „უცნობი“ დაიბეჭდა და იმავე წლის 15 სექტემბერს აკაკი გაწერელიამ გამომცემლობაში მომიტანა გრიგოლ რობაქიძის „გალაკტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, ამობეჭდილი 1962 წლის პარიზული ჟურნალიდან „ბედი ქართლისა“.

1992 წლის 30 მაისს თენგიზ აბულაძემ მაჩუქა 1990 წელს რიგაში დაბეჭდილი ნიკოლოზ ბერდიაევის – „Духи русской революций“, – და რუსული წიგნის ტიტულზე რუსული ინიციალები დამიწერა: Т. Е. А.

სხვათა წიგნებზეც წამიწერეს:

– მინდა ასეთი კარგი პოეტი იყო, – მისურვა დემნა შენგელაიამ ათანასე ფეტის რუსული გამოცემის ტიტულზე 1965 წლის 12 თებერვალს.

– Вахтангу Джавахадзе – от одного из авторов сего французского „винегрета“, – მოსკოვიდან თანამედროვე ფრანგი

პოეტების მცირე ანთოლოგია გამომიგზავნა ამ ანთოლოგიისა და ჩემი ლექსების ერთმა მთარგმნელმა საშა მარკეიჩმა 1981 წლის 7 ოქტომბერს.

– Вахтангу Джавахадзе – с уважением к его стихам, – ეს უკვე ჩემმა მეორე მთარგმნელმა იურა ეფრემოვმა მისახსოვრა ვილნიუსში გამოცემული თავისი ლექსების პირველი წიგნი 1985 წლის 26 სექტემბერს.

სხვათა შორის: ერთი რუსი პოეტი თავს „მომავლის პოეტს“ ეწოდებდა. კოლეგამ წიგნი აჩუქა: „Поэту будущего – от поэта настоящего!“... მაიაკოვსკი კი ასეთი წარწერით არიგებდა საკუთარ წიგნებს: „Для внутренного употребления“...

საყვედურიც შემომაპარეს:

– ჩემს საყვარელ პოეტს, ძმას, გამომცემელს (სხვათა შორის, ეს წიგნი სხვისი გამოცემულია! საქმეა ეს?!).

სამართლიანადაც მისაყვედურეს (ჭეშმარიტად ღირსეული ავტორის მემკვიდრემ):

– ეს ის წიგნია, რომელიც 12 წელი იდო თქვენს გამომცემლობაში და გამოცემას ვერ ეღირსა. იყო თუ არა ეს ნაშრომი ასეთი ხვედრის ღირსი, ეს თქვენთვის, როგორც მწერლისთვის და მკითხველისთვის, მომინდვია.

ტკივილიანიც გამოერია:

– ჩემო ვახტანგ, შენ ჩაუდგი სული ამ წიგნის გამოცემას. „პლატერო“ ჩემი ტკივილიანი სიცოცხლის ნაწილია და შენ ამ წიგნის მხოლოდ რედაქტორი არა ხარ ჩემთვის.

თარიღი ყველას უზის. უკიდურესად ზუსტი მხოლოდ ერთია: ქართლოს კასრაძე გამეხუმრა: საათიც დამიზუსტა:

– ვახტანგ ჯავახაძეს, ძმური სიყვარულით. 12.00. 14.3.67.

წლებმა დაგვამეგობრეს, წლებმა და წიგნებმა:

– ვახტანგ ჯავახაძეს – საუკეთესო ახალგაზრდას, პატივისცემით და მადლობით. ანა კალანდაძე. – ასე გავიცანით ერთმანეთი 1960 წელს.

– ვახტანგს – დიდი, დიდი სიყვარულით, მადლობით, ანა. – ასე დავასრულეთ ორტომეულის გამოცემა ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ – 1996 წელს.

მე მინახავს ისტორიკოს თინა ენუქიძის დიდი ფორმატის წიგნი „ტბეთის სულთა მატიანე", რომლის ფორზაცზეც – ნაცვლად სამახსოვრო წარწერისა – გახსენებული და მოთხრობილია ანა კალანდაძის ცნობილი დებიუტის ეპიზოდი 1946 წლისა და ნიკო ბერძენიშვილის განსაკუთრებული დაინტერესება ახალგაზრდა პოეტი ქალის დაუბეჭდავი ლექსებით, რომლებსაც დიდი მეცნიერი თვითონ იწერდა და ხელნაწერების სახით ავრცელებდა.

1988 წლის დეკემბერში პოეტების ხუთკაციანი დელეგაცია საბჭოთა იმპერიიდან სიცილიას ეწვია. ქალაქ აჩირეალეს სასტუმროში ვცხოვრობდით. ერთ მშვენიერ დღეს პოლიციაში დაგვიბარეს, მოგვიბოდიშეს, ფოტოსურათები გადაგვიღეს და თითების ანაბეჭდებიც აგვიღეს. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ფიქრეთ გოჯა – იუმორის ნიჭით გამორჩეული აზერბაიჯანელი პოეტი. ფიქრეთმა წამოიღო და თავისი ლექსების რუსული კრებული ანა კალანდაძესა და მე მაინცდამაინც პოლიციაში გვაჩუქა:

– Вахтангу Джавахадзе – с губоким сочувствием. Сицилия. Ачиреале. Полицейский участок. 6 декабря 1988 г.

„წარწერა წიგნზე" – მრავალი ლექსი დაიწერა ამ სათაურით. ნიკა აგიაშვილმა მაჩვენა ლადო ასათიანის მშვენიერი ავტოგრაფი:

შენ წინათ ცაში დაქროდი,
ესიტყვებოდი ვარსკვლავებს
და დედამიწის წალკოტი
არარაობად ჩათვალე...

ორიოდე გალექსილი მეც აღმომაჩნდა ზაურ ბოლქვაძისა:

ვარ ჯავახაძე ვახტანგის
ლექსებით აღტაცებული
და მიყვარს მისი მთლად ნაღდი
ოჯახი ვახტანგცხებული.

კვლავ გალაკტიონს მივუბრუნდეთ: „ნიშნად უღრმესი პატივისცემის“, და არა – „ნიშნად უღრმესი პატივისცემის-ა“: ნარწერაც ათმარცვლოვან სტრიქონად მოიაზრა და ემფატიკური ხმოვანი ზედმეტი აღმოჩნდა: „ეს ოხერი ყველაფერი ლექსად მადგება ყელზეო“.

ზოგჯერ შემოქმედი იძულებულია ხელისუფალს მოეფეროს: 1956 წლის მიწურულს გალაკტიონ ტაბიძე მოსკოვში შეხვდა ვითომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ვითომ პრეზიდენტს ანუ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს – მირონ ჩუბინიძეს, რომლის სახელი და გვარი დღეს ცოტა ვინმეს ახსოვს და პოეტის არქივმა კი შემოგვინახა: გალაკტიონმა ისარგებლა მომენტით და თავი შეაბრალა: სახელგამში მიგვიანებენ მერვე ტომად წარდგენილ დიდ პოემას, რომელსაც 15 წელიწადს ვწერდიო, თანაც თავისი ახლად გამოცემული წიგნი მიართვა (თუმცა ვერც ამ მცდელობამ გაჭრა და სახალხო პოეტი „მშვიდობის წიგნის“ დაბეჭდვას ვერ ეღირსა):

– მ. დ. ჩუბინიძეს – ნიშნად უღრმესი პატივისცემისა მიართმევს ამ წიგნს – ბედისგან დაჩაგრული გალაკტიონ ტაბიძე – საქართველოს სახალხო პოეტი – თავისი ნაწერების VIII ტომის გამოსვლის მოუთმენლად მომლოდინე.

არსებობს საცნობარო ხასიათის უმისამართოც: „ეს წიგნი მიყიდა დედამ“ – მიმიწერია 1949 წელს გალაკტიონის ასმანეთიან რჩეულზე. მიკვირს: როგორ შესძლო ორი ობოლი შვი-

ლის პატრონმა?! თუმცა, როგორც მახსოვს, ეს რიგით მეორე რჩეული რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოაფასეს. მაშინ ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდი, რომ გავიდოდა ოდენ ცხრა წელიწადი და პოეტების მეფის მეოთხე და უკანასკნელ რჩეულს მე თვითონ შევადგენდი, და მით უფრო ვერ წარმოვიდგენდი, რომ გალაკტიონი ამ კრებულის გამოცემას ვერ მოესწრებოდა და ვერ მაჩუქებდა...

ოფიციალურებსაც ვერ გამოვტოვებ: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბერიას სახელობის პიონერთა სასახლე მრგვალი ბეჭდების დასმით მიდასტურებენ წიგნად ჯილდოებს და წარჩინებას, მაგრამ ციტირებისაგან თავს შევიკავებ: ამ ციტაციაში ისედაც ზედმეტები გაიპარა და ვალდებული ვარ, აქეთ ავტორებს ვთხოვო პატიება და იქით – მკითხველებს. ერთიც უნდა აღინიშნოს: როდესაც აწერ, ყოველგვარი ქათინაური გამართლებულია, როდესაც კითხულობ, ყოველგვარი კომპლიმენტი ბუნებრივად გეჩვენება და არ წითლდები, მაგრამ როგორც კი ციტირებას შეეცდები, თავს უხერხულად იგრძნობ.

გადაჭარბებული და გაზვიადებული ემოციების ნახევარსაუკუნოვანი ანთოლოგია ავტორებისა და ადრესატის ასაკის კვალდაკვალ იცვლება. იგი მოესწრო მოულოდნელ თავისუფლებას, მაგრამ მოესწრო სამოქალაქო ომსაც, 9 აპრილის ტრაგედიას და აფხაზეთის ტრაგედიას. დამოუკიდებლობამ ქაღალდი გააძვირა და საჩუქრების რიცხვიც უკიდურესად შემცირდა. კარგახანია ნათხოვარი წიგნი აღარ წამეკითხა. ვითხოვე და, რაკი საკუთარი არ იყო, ფანქარი ვერ შევახე: დავაკონსპექტე.

დამოუკიდებლობამ წიგნის გამოცემა გააძვირა და გააძნელა; უნდა ვაღიაროთ: წიგნი იაფი კი არა და – გაუფასურებული იყო. ახლა იგი ნამდვილად „ძვირფასი" საჩუქარია

და ისე იშვიათად იბეჭდება, პრეზენტაციებს უფრო ხშირად უწყობენ. წინათ ამას „დასველებას“ ეძახდნენ: ოჯახში ანდა რესტორანში შეიკრიბებოდნენ ავტორის ახლობლები, გაწყობილ სუფრასთან ნატურალურ ღვინოს დააპკურებდნენ საღებავშეუმშრალ პირველ ეგზემპლარზე და დამსწრეთა ფაქსიმილეები დაამოწმებდნენ ამ საზეიმო ცერემონიალს.

დრო გადის და იცვლება ადამიანთა ურთიერთობანი, იცვლება შეხედულება, გემოვნება, განწყობილება. ოჯახური ბიბლიოთეკა მომავალ თაობას გადაეცემა. სამახსოვრო წარწერები თანდათან კარგავენ პირვანდელ ხიბლსა და ინტერესს. ბუკინისტებთან შემხვედრია და შემიძენია კიდეც ნაჩუქარი წიგნები: მემკვიდრეს ანდა მემკვიდრის მემკვიდრეს გაჭირვებამ გაამეტებინა ძვირფასი რელიკვია.

ცნობილია მსოფლიო კლასიკოსების ავტოგრაფებიანი ერთეული ნიმუშები, რომლებიც სოლიდურ ვალუტაზე იყიდება აუქციონებზე: წარწერის იდენტურობას სპეციალური კომისია ამოწმებს და ადასტურებს.

ცნობილია უწარწერო შედევრები: რუსთაველმა მიძღვნა პოემაში ჩაუწერა თამარ მეფეს, უცხოეთში გადახვეწილმა გურამიშვილმა კი მირიან ბატონიშვილის ხელით გამოუგზავნა თავის შეჭირვებულ საქართველოს. და საერთოდ ყოველი შედევრი ხომ თავისთავად საჩუქარია, რომელიც ავტორმა მომავალ თაობებს უსახსოვრა სამარადისოდ.

ცნობილია სპეციალური სასაჩქურო გამოცემები: აღიარებული ავტორის სახელით გამომცემლობა ან გამომცემელი მდიდრულად გაფორმებულ მთელს ტირაჟს უძღვნიან მყიდველებს და ისინი წარწერას აღარ საჭიროებენ. სამზითვო „ვეფხისტყაოსანიც“ ამ ხასიათისაა. ადრე ჩვენც გამოვეცით მცირე ფორმატიც ქართული კლასიკური მწერლობის სასაჩუქრო სერიალი: ხალხური პოეზია, რუსთაველი, გურა-

მიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი (უკანასკნელი ოთხეული ორ-ორ წიგნად დავბეჭდეთ). ღირს ამ სასაჩუქროების მხატვრებიც მოვიხსენიოთ: ლადო გრიგოლია, დუდა გაბაშვილი, ნოდარ მალაზონია, დავით დუნდუა, კოკა იგნატოვი, გოგი წერეთელი:

– უსახსოვრეთ ეს წიგნები თქვენს ახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, მზითვად გაატანეთ ქალიშვილებს, გაუზიარეთ მათ ამ წიგნების სიბრძნე და სილამაზე. გახსოვდეთ, წიგნი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია! – ეს ბოლო აბზაცი ოცდაათი წლის წინათ საკუთარი ხელით დაწერილი სარეკლამო ფურცლიდან ამოვიწერე.

დიახ, წიგნი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია და:

ნაჩუქარ წიგნს ყდა არ გაესინჯება!

1999

„ჩემს სამუდამო ძმას“

მურმან ლებანიძის წარწერათა ანთოლოგია

– 22.V.66. ჩემს ვახტანგ ჯავახაძეს, საყვარელ პოეტს და ძმას! მურმან ლებანიძე.

– 27.X.67. ჩემს ნანას და ვახტანგს – ჯავახაძეებს, დიდი, დიდი სიყვარულით. თქვენი მურმანი.

– 11.VI.68. ნანა და ვახტანგ ჯავახაძეებს – დიდი სიყვარულით. მურმან ლებანიძე.

– 25.X.71. ჩემს რძალს ნანას, ძვირფას ვახტანს – ჯავახაძეს. თქვენი მურმანი.

– 17 აგვისტო, 1972. ძვირფას ნანას, ჩემს სამუდამო ძმას ვახტანგ ჯავახაძეს! თქვენი მურმან ლებანიძე.

– 14.II.74. ნანას, ირაკლის, ვახტანგს. ჩემს ვახტანგ ჯავახაძის ოჯახს, მარად თქვენი მურმან ლებანიძე.

– 9.VII.75. ნანა და ვახტანგ ჯავახაძეებს, მარად და მარად თქვენი მურმან ლებანიძე.

– 30.III.77. ძვირფას რძალს ნანას, საყვარელ პოეტს და კაცს ჩემს ვახტანგ ჯავახაძეს – სულით და გულით. თქვენი მურმან ლებანიძე.

– 29 ივნისი, 79. ძვირფას ნანას, ჩემს ვახტანგ ჯავახაძეს. თქვენი მურმან ლებანიძე.

– 22.II.84. ძვირფას ნანას, ჩემს ვახტანგ ჯავახაძეს – ნაღდ პოეტსა და ძმას! მურმან ლებანიძე.

– 18.III.85. ჩემს ნანას და ვახტანგს, ვახტანგ ჯავახაძის ოჯახს, სულით და გულით. თქვენი მურმან ლებანიძე.

– 8 ივლისი. 87. ჩემს ირინე ჯავახაძეს – ნათლია მურმან ლებანიძისაგან.

– 1989. ჩემს ირინე ჯავახაძეს, ნათლია შენი მურმან ლებანიძე.

– 1989. ჩემო ირინე, ბედნიერი იყავი! მურმან ლებანიძე.

– 17.03.91. ნინოს და ირაკლის! თქვენი მურმან ლებანიძე.

– 1 თებერვალი, 2002. ჩემს ნანას, ჩემს ვახტანგს – ვახტანგ ჯავახაძის დიდ ოჯახს! სულით და გულით! მურმან ლებანიძე.

2010

დაგვიანებული ჩეკლიკა

ვალდებული ვარ, ჩემი მოსაზრება გამოვთქვა მურმან ლებანიძის ამ ბოლო დროს მეტად და ზედმეტად გახმაურებული უსათაურო ლექსის გამო – „ვით დედა-მტკვართან"...".

რა თქმა უნდა, ჯობდა ეს ლექსი სათაურით დაბეჭდილიყო და სხვა დროს დაბეჭდილიყო, რაც აღინიშნა კიდეც, როგორც პრესაში, ასევე პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან.

მე მინდა პროტესტი გამოვთქვა მხოლოდ ჩვენი კოლეგების მიმართ, რომლებმაც აიტაცეს ეს თექვსმეტი სტრიქონი და ლამის ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს ავტორის წინააღმდეგ. ვინ-ვინ და, თითოეული მათგანი შესანიშნავად იცნობს მურმან ლებანიძის პიროვნებას და პოეზიას. ყველას კარგად მოეხსენება, რომ პოეტი მაშინ გველაპარაკებოდა დასაღვრელ სისხლზე ხმამაღლა, როდესაც იმპერიის ცენზურა ნებისმიერ თავისუფალ აზრს ახშობდა. საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ მურმან ლებანიძის მთელი შემოქმედება შთაგონებულია ერთიანი საქართველოს სიყვარულით, ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხის სიყვარულით.

ნაცვლად იმისა, ქართველი მკითხველებისათვის და განსაკუთრებით – მეგრელი თანამემამულეებისათვის გულისხმიერად აეხსნათ შექმნილი ვითარება, ბევრმა ჩვენმა კოლეგამ პირადი ანგარიშის გასასწორებლად გამოიყენა არსებული

სიტუაცია და ეკონომიურად და ზნეობრივად შეჭირვებული ადამიანების მტკივნეულ გრძნობებს შეეხო, წინასაარჩევნო ბატალიებიც გაიანგარიშა და ლამის ამ პატარა ლექსს აჰკიდონ ყველა ცოდვა, რაც უკანასკნელ წლებში თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით – მის ულამაზეს რეგიონს – სამეგრელოს.

დარწმუნებული ვარ: რომ არა ბოლოდროინდელი აღზევებული სეპარატიზმი, ეს უსათაურო არ დაიწერებოდა.

შეგახსენებთ: პოეზია მათემატიკა არ გახლავთ, სადაც ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია.

მხატვრული ტექსტი არაერთგვაროვნად იკითხება და ხშირად სრულიად საწინააღმდეგო დასკვნებამდე მივყავართ. ასე რომ, ზედმეტ თავისუფლებას ნუ მისცემთ საკუთარ ფანტაზიას და მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის სასურველ ინტერპრეტაციებს ნუ შემოგვთავაზებთ, დაინტერესებულო ოპონენტებო!

ჩასაფრებულ მომლოდინეთა ასეთ დაუნდობელ გამოხდომებს რომ ვკითხულობ, უნებლიეთ მახსენდება ინგლისელი ლექსიკოგრაფის – ჯონსონის განმარტება, რომ პატრიოტიზმი გარეწარის უკანასკნელი თავშესაფარია და – ამერიკელი მწერლის, ამბროზ ბირსის შესწორება, უკანასკნელი კი არა – უპირველესი თავშესაფარიაო, – და მახსენდება აგრეთვე ქართველი ერის უახლესი ისტორიის ორი სამარცხვინო და საბედისწერო წელიწადი – 1907 და 1937.

სხვათა შორის, ჯონსონის განმარტება თან მომწონდა და თანაც მაღიზიანებდა. მაღიზიანებდა, რადგან პატარა და დამონებული ქვეყნის შვილი ამას არავითარ შემთხვევაში არ დაწერდა. ხოლო რატომ მომწონდა, ახლა დავრწმუნდი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

დაბოლოს, არ შემიძლია აქვე არ დავიმოწმო ციტატა ართურ შოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმებიდან“: „ყველაზე იაფფასიანი სიამაყე – ეროვნული სიამაყეა. იგი ააშკარავებს, რომ ამ გრძნობით შეპყრობილ პიროვნებას აკლია ინდივიდუალური ღირსებანი, რომლითაც იამაყებდა, – სხვა შემთხვევაში რატომღა ჩაეჭიდებოდა იმას, რასაც მილიონებთან ერთად ინაწილებს. ხოლო ვისაც მნიშვნელოვანი პირადი უპირატესობა გააჩნია, იგი პირიქით, ყოველთვის ამჩნევს და სრული სიცხადით გაიაზრებს თავისი ერის ნაკლოვანებებს. ყოველი უბადრუკი ყეყეჩი კი, რაკი ამქვეყნად საამაყო არაფერი აბადია, ებღაუჭება უკანასკნელ მარაგს სიამაყისა – საკუთარ ეროვნებას“.

1999

„მურმან ლებანიძის წიგნების გამოფენა“

არა, ასეთი რეკლამა ჯერ არ დაბეჭდილა. მაგრამ სავსებით შესაძლებელია მოეწყოს მურმან ლებანიძის წიგნების გამოფენა.

ალბათ იშვიათი შემთხვევა იქნება: ერთი პოეტის წიგნების გამოფენა!

ამჯერად საყვარელი პოეტის პოეზიაზე არ ვსაუბრობთ. საქმე ეხება მურმან ლებანიძის საგამომცემლო ცოდნასა და პოლიგრაფიულ გემოვნებას.

დაკვირვებული მკითხველი და ბიბლიოფილი შეამჩნევდა: გაძნელებულ და გაძვირებულ პირობებშიც კი, როცა ქართული წიგნის ასორტიმენტი ვერ გახლავთ მრავალფეროვანი და მიმზიდველი, მურმან ლებანიძე ახერხებს ერთმანეთისაგან გამორჩეულ და განსხვავებულ, გრაფიკულად და ტექნიკურად საინტერესო კრებულების დასტამბვას. ამიტომ პოეტის ყოველი წიგნის გამოსვლა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ამ სიახლეთა ავტორი თვითონ პოეტია.

უნებლიეთ გვახსენდება გასული საუკუნის მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ სტამბებთან და მესტამბეებთან. წარმოვიდგინოთ ერთ ჭერქვეშ დასახლებული ილია ჭავჭავაძე და „ივერიის“ რედაქცია და სტამბა.

ჩვენმა დრომ გათიშა სტამბა და მწერალი და სტამბის კარებთან დაცვა დააყენა.

და მაინც შეგვიძლია ჩვენს სინამდვილეში პავლე ინგოროყვას მაგალითი დავასახელოთ. მაგრამ ეს ბედნიერი გამონაკლისია.

გამონაკლისია მურმან ლებანიძეც.

მურმან ლებანიძე ქართველი მესტამბეების ახლო მეგობარია. იგი აქ შინაურ კაცად ითვლება, არავითარ ვიზასა და საშვს არ საჭიროებს. სტამბაში და ცინკოგრაფიაში ფუსფუსი მისი სტიქიაა, ამ დროს ისევე შთაგონებულია, როგორც საწერ მაგიდასთან.

როცა მურმანის ლექსები, ან თარგმნილი თუ შედგენილი წიგნი მზადდება, პოეტი ხანგრძლივად „ჩასახლდება" გამომცემლობასა და სტამბაში. იქ ათენებს და აღამებს. თვითონაც აღფრთოვანებულია და სხვებსაც აღაგზნებს.

ლინოტიპის ტიკტიკი და როტაციის გუგუნი, საღებავისა და წებოს სპეციფიკური სურნელი – მისთვის ნაცნობი და სასიამოვნო გარემოა. მკლავებაკაპიწებული დგას ასოთამწყობებისა და დამკაბადონებლების, მბეჭდავებისა და მკინძავების გვერდით და არა მარტო ეხმარება და ურჩევს გამოცდილ ოსტატებს: ზოგჯერ თვითონ აწყობს და აკაბადონებს, ასწორებს და კეცავს. ხშირად პოლიგრაფისტებზე ადრე შეაბიჯებს საამქროში და როცა ვეებერთელა დარბაზები დაცარიელდება, კიდევ დიდხანს ვერ შორდება დაზგებსა და დახლებს.

თუ სალაროში საჭირო შრიფტი არ აღმოჩნდება, მეზობელი სტამბისკენ გარბის და უბით მოარბენინებს ნასესხები ტყვიის ჯერ კიდევ ნელთბილ ანაწყობს.

ხშირად ჯიბეები შრიფტებითა და ანაბეჭდებითა აქვს გამოტენილი. თვითონაა მხატვრული რედაქტორი და ტექნიკური რედაქტორი, კორექტორი და გამომშვები.

პოლიგრაფიული სახაზავი მისი განუყრელი მეგობარია: ორი კვადრატი... სამი ციცერო... ათი პუნქტი...

წინასწარ ამზადებს სხვადასხვა ფორმატისა და სისქის რამდენიმე სასინჯ მაკეტს, განსხვავებული ხარისხისა და ფერის ყდაში ჩაასმევინებს და ასე შეარჩევს საბოლოო ვარიანტს. საბეჭდ მაკეტსაც ფრთხილად ადგენს. მისხალ-მისხალ გაზომავს ყოველ გვერდს, თითოეულ სათაურსა და სტროფს თავის ადგილზე დააბინავებს.

როდესაც წიგნი საბეჭდად მომზადდება, აუცილებლად „აღმოჩნდება" საწყობში საუკეთესო ქაღალდი და საუცხოო შტაპელი, საიუბილეო ფოლგა და ჩინებული მუყაო.

ბეჭდვის დაწყების წინ გამადიდებული შუშითა და მუშტრის თვალით ათვალიერებს ყოველ თაბახს.

უმოკლეს დროში ამთავრებს მთელს პროცესს.

სასიგნალო ცალს კი ისე ეფერება და ესიყვარულება, როგორც ხუროთმოძღვარი თავისი ხელით აშენებულ ტაძარსა თუ სასახლეს.

სამწუხაროდ, ამჟამად ერთობ ღარიბია ქართული შრიფტის სალარო. შესაბამისად, ერთფეროვანია ჩვენი წიგნების ტექნიკური იერსახეც. ასეთ პირობებშიც მურმან ლებანიძის კრებულების გვერდები მიმზიდველად გამოიყურებიან. ზოგჯერ პეტიტითაც აწყობს. რამდენიმეჯერ სცადა და თითქმის დაამკვიდრა ეკონომიური „ცხრიანი". განსახვავებულ შრიფტებსაც იყენებს ერთსა და იმავე წიგნში, სათაურებსაც თავისებურად აწყობს და ალაგებს. ცდილობს მკითხველის თვალი არ გადაღალოს.

მურმან ლებანიძემ ლექსის ორიგინალური არქიტექტონიკა გამოიმუშავა, რომელიც პოეტის მრავალხმიან რიტმიკას შეესაბამება. მაგრამ რაკი სტროფების გრაფიკა უშუალოდ შემოქმედებით პროცესს უკავშირდება, განსაკუთრებულ ანალიზს მოითხოვს და ჩვენი საუბრის საზღვრებს აღემატება.

სტანდარტული და შეზღუდულია დღევანდელი ქართული წიგნის ფორმატი. გამომცემლობები იოლი გზით მიდიან და დანაკაგებს ერიდებიან. მურმან ლებანიძე ახერხებს თითქმის ყოველი ახალი კრებული განსხვავებული ფორმატისა დაბეჭდოს, ანდა სტანდარტულით დაბეჭდილი მეტ-ნაკლებ ჩამოჭრას და ასე განასხვაოს.

ერთხანს საკუთარი მინი-ბიბლიოთეკაც დააარსა: ორ-ორი, სამ-სამი წლის მოსავალს პატარა პორტრეტიან კრებულებში აერთიანებდა. ათიოდე ასეთი ჯიბის წიგნაკის გამოცემა მოასწრო.

მურმან ლებანიძე ქართველ ფერმწერთა და მოქანდაკეთა მეგობარია, მათი სახელოსნოების ხშირი სტუმარია. ეს ურთიერთობა პოეტის ლირიკაშიც აღინიშნა. მხატვრებთან იგი წიგნის სიყვარულმა მიიყვანა. მურმანი თავისი წიგნების გაფორმების აქტიური თანამონაწილეა. ცდილობს ერთმანეთს არ დაამსგავსოს. თითქმის ყოველ წიგნს ახალ გრაფიკოსს აფორმებინებს. ხშირად სრულიად ახალგაზრდასა და უცნობს ენდობა. თუმცა, როგორც ჩანს, ხანგრძლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის გზაზე არჩევენი უკვე გააკეთა და უკანასკნელ გამოცემებს ერთი სახელი და გვარი აწერია: გოგი წერეთელი. პოეტმა და მხატვარმა კიდევ ერთი სიახლე შემოგვთავაზეს: ილუსტრირებული ლირიკა!

მურმან ლებანიძემ აღადგინა მხატვრული გაფორმების გარეშე წიგნის გამოცემის ტრადიციაც. უცხოეთში ამ ხერხს ხშირად იყენებენ, რადგან ლათინური შრიფტი საუკუნეების მანძილზე დაამუშავეს და დახვეწეს რჩეულმა დიდოსტატებმა. ერთადერთი ქართული ანბანის თავისებური მოხაზულობა კი მეტად შეზღუდულ შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა, მურმანმა მოახერხა და რამდენიმე წიგნი დაბეჭდა მხოლოდ სასტამბო ელემენტების გამოყენებით. მოძებნა და

ხელახლა ჩამოასხმევინა ძველ სტამბებში შემორჩენილი თავსართები და ბოლოსართები: ჯვრები, ჩუქურთმები, ყვავილები.

ერთხელ შრიფტის ქარხანაში მხატვრული ჯვრების მატრიცები აღმოაჩინა. მერე ადგა და 1982 და 1984 წლების რჩეულებში უსათაურო ლექსებს დაასვა თავზე (ჯვრები ვარსკვლავების ნაცვლად!) და გააპარა. მერე უფრო შესაფერისი ადგილი მოუძებნა: 1985 წელს ანა კალანდაძის უსათაუროები დაამშვენა და გაალამაზა ჯვრებით. მაგრამ ამჯერად დაბეჭდვის წინადღეს „ჩაავლეს“ და მაღალ დონეზე უჩვეულო სასამართლო მოუწყვეს. განაჩენი მკაცრი აღმოჩნდა: ლიკვიდაცია! სამოცდამესამე გვერდზე შემთხვევით გადარჩა ერთადერთი სამქიმიანი, როგორც პატარა საბუთი დიდი დანაშაულისა.

სამწუხაროდ, არსებობდა და, საბედნიეროდ, აღარ არსებობს ერთი სახიფათო ზონა, რომელიც წიგნს უნდა გაევლო, ვიდრე მზის სინათლეს იხილავდა. ეს იყო ცენზურა ანუ მთავლიტი. ამ ზონას ორი კინკილა ხმოვანი აღნიშნავდა – უე („უფლება ეძლევა“). იგი წიგნის უკანასკნელ გვერდზე გამოსასვლელი ცნობების ბოლო სტრიქონთან იყო შემალული და მას მხოლოდ პროფესიონალი თუ შეამჩნევდა. ამ დანომრილი პეტიტის უკან იმალებოდა სახელმწიფოს ფხიზელი თვალი, რომელიც გამადიდებული შუშით შიფრავდა ყოველ მეტაფორას და პოეტს იმის უფლებასაც არ უტოვებდა, ხანდახან ამოეოხრა ანდა ხიდან ჩამოვარდნილი ფოთოლი შეემჩნია. საგამომცემლო სისტემაში ცენზურა საიდუმლო ზონად ითვლებოდა და ამ ზონაში ავტორს შესვლა ეკრძალებოდა. მაგრამ ეს დაუწერელი კანონი მურმანს თითქოს არ ეხებოდა. იგი ცენზურას დაუმეგობრდა და ციხის შიგნიდან გატეხვა განიზრახა. საკმაო წარმატებასაც მიაღწია და ისე გაუთამამდა და

გაუშინაურდა, რომ მშვენიერი ლექსიც კი უძღვნა მშვენიერ ცენზორ-ქალბატონს და ამდენად ერთხელ კიდევ გადააბიჯა ნაკრძალში. და მაინც, არცერთ მის წიგნს ამ ნაკრძალში უხიფათოდ არ გაუვლია. ხშირად კრებულში განზრახ შეჰქონდა თავიდანვე განწირული თუ ადრე ტაბუდადებული ლექსები, რათა დრამატიზებული ფონი შეექმნა სხვებისთვის და ნახევარი სიმართლე მაინც გაეპარებინა. ბოლოს და ბოლოს ისე „გათავხედდა", რომ აშკარად გამოიწვია:

ხვალ-ზეგ ჩაიშვება კრებული სტამბაში, –
რაღაც-რაღაცეები მინდა გავაპარო, –

ეს სტრიქონები დაბეჭდილია წიგნში, რომელსაც მთავლიტის ბეჭედი აზის!

მურმან ლებანიძის ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა თავისებური მოვლენაა. ისინი თანდათან ავსებენ და ამდიდრებენ ნაგულისხმევი გამოფენის სტენდებსა და თაროებს. მაგრამ ამ გამოფენას უსათუოდ დასჭირდება მეორე დარბაზი: აქ უკვე მურმანის მიერ შედგენილი და გამოცემული სხვათა რჩეულები იქნება წარმოდგენილი: აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ლადო, ანა, ჭაბუა, მუხრანი... აქვეა ისეთი ავტორები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა ესაჭიროებოდათ: ცნობილი პედაგოგისა და მკვლევარის სიმონ სხირტლაძის წერილები, ადრე გარდაცვლილი და მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი შუქრი მირცხულავას ლექსები, ახალგაზრდა პოეტი ქალის ია სულაბერიძის პატარა წიგნი...

რა გასაკვირია და, ყველასაგან გამოირჩევა გალაკტიონი: პირადად გახლდით მოწმე და მონაწილე გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო რჩეულის გამოცემისა 1973 წელს. საყოველთაოდაა ცნობილი მურმანის განსაკუთრებული გატაცება და აღტაცება გალაკტიონის პოეზიითა და პიროვნებით.

იმ დღეებშიც გალაკტიონით ცოცხლობდა და სუნთქავდა. თითქმის მთელი წელიწადი ფეხზე იდგა და სიყვარული არ დაუკლია: რამდენიმე თვეში შეადგინა, ააწყო, დააკაბადონა, ჩაასწორა, დაბეჭდა, აკინძა და მკითხველს დროულად მიართვა სამოცი ათასი ეგზემპლარი.

ხან ლიტერატურის მუზეუმისაკენ მიიჩქაროდა ფოტოებისათვის, ხან – ცინკოგრაფიისაკენ – კლიშეების დასამზადებლად, ხანაც მომარაგებას მიაშურებდა – ქაღალდისა და მასალების შესარჩევად და დასაბეჭდლად.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში ხომ იყო და იყო.

უნივერსიტეტის სტამბასაც დაესესხა წინასიტყვაობის შრიფტს.

ყდებიც რამდენიმე ცალი გააკეთებინა და ისე შეარჩია ფერი და მასალა.

ლიტერატურის მუზეუმში გალაკტიონის მდიდარი არქივი ფოტოგრაფთან და მხატვართან ერთად გადასინჯა და გადაათვალიერა, გამადიდებელი ლინზით გადაარჩია სურათები, ჯგუფურებიდანაც ამოაბეჭდვინა კადრები. ორასამდე გადააღებინა, ნახევარი გადააწყო და ასი კლიშე დაამზადებინა. ასე მოუყარა თავი ძვირფას ფოტომასალას, რომლებიც ქრონოლოგიურად განალაგა და ზუსტად შეუხამა გრაფიკულ დეტალებს.

1990 წელსაც მიუბრუნდა გალაკტიონს. „ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ" – ასე დაარქვა ოცდაათი ლექსის კრებულს, რომელსაც შესანიშნავი მოგონება დაურთო – „ათი დღე გალაკტიონთან". ესეც პოეტების მეფის ფოტოებით გააშვენიერა. დოკუმენტური კინოფონდის არქივში მოიძია და ამოაბეჭდვინა დაკრძალვის იშვიათი ეპიზოდი. გალაკტიონის ორად ორი ნახატი მე მივაწოდე.

1979 წლს მუხრან მაჭავარიანის ერთტომეულს უპატრონა. საინტერესო წინასიტყვაც დაუწერა და, როცა წიგნში ვი-

თომცდა „1932“ წლის ციკლის დაბეჭდვაზე უარი უთხრეს, რკინის ქალამნები ჩაიცვა და პირველს ეახლა. ეახლა და თავისი გაიტანა.

1994 წელს პოეტური შედევრების დიდი ანთოლოგია გამოსცა. იშვიათი შემთხვევაა: რესპუბლიკის უპირველესმა გამომცემლობა „საქართველომ“ ერთ პიროვნებას მიანდო ასეთი მნიშვნელოვანი კრებულის შედგენა და გამოცემა. ასეც აწერია სატიტულო ფურცელს: „შეადგინა და გამოსცა მურმან ლებანიძემ“.

ომიანობისა და შინააშლილობის უმძიმეს პირობებში მოამზადა და დაბეჭდა წიგნი-შედევრი, ილუსტრირებული სასაჩქურო. უხიფათოდ გაიარა ბერმუდის სამკუთხედი: გამომცემლობა „სამშობლოში“ ააწყო, კარტოგრაფიულ ფაბრიკაში დაბეჭდა, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში აკინძა. კარტოგრაფიულს ნავთი არ აღმოაჩნდა და თავდაცვის მინისტრი შეაწუხა. სამოცდაათ სანტიმეტრიანი ხარისხოვანი ქაღალდი „სამშობლოშივე“ აღმოაჩინა და გაზეთის ოთხმოცდაოთხიანში გაცვალა. დოზაკლის ფორმებიც თავდაცვის სამინისტროში იშოვა. კაპრონის ძაფი სამკერვალო ფაბრიკამ აჩუქა ნინოშვილის ქუჩაზე.

შედევრები ერთ გარეკანში პირველად შეიკრიბა. მუშტრის თვალით გადაიკითხა ხელახლა მთელი ჩვენი პოეტური მემკვიდრეობა და ბევრ მოსალოდნელ ოპონენტს არ დაეთანხმა. პოეტური გუმანით აწონა რუსთაველის პოემის ყოველი სტროფი და სტრიქონი და ადაპტირებული „ვეფხისტყაოსანი“ შემოგვთავაზა (იქნებ ყველაზე ნაღდი „ვეფხისტყაოსანი“?!).

ამჯერად შედევრების მეორე წიგნს უტრიალებს პოეტი: მთელი სიცოცხლე აგროვებდა და არჩევდა ხალხური პოეზიის მარგალიტებს და შემოდგომაც დაუდგა. მკაცრად და ფრთხილად აკვირდება მრავალვარიანტიან ტექსტებს, თვითონაც

ხალხის შვილია და შედარებით თამამად აზუსტებს უკეთესებს.

ბუნებრივია, ლებანიძისეული გამოცემები საერთო ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებენ.

ერთხელ ერთმა პოეტმა მურმანის წიგნი მოიტანა სანიმუშოდ და მოგვახსენა: მინდა ასეთი წიგნი გამომიცეთო. მოვახსენე: თუკი ასეთი გინდოდა, დედანი გამომცემლობაში კი არა, მურმან ლებანიძისათვის უნდა მიგეტანა-მეთქი.

ერთხელაც ახლად მოვლენილმა დირექტორმა განაცხადა: ჩვენი გამომცემლობა მურმან ლებანიძის წიგნებს ძალიან ხშირად სცემსო. განვუცხადე: მურმან ლებანიძის წიგნებს გამომცემლობა კი არა, თვითონ მურმან ლებანიძე სცემს და მერე გამომცემლობა მურმან ლებანიძის მიერ გამოცემული წიგნებით თავს იწონებს საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე და ხანდახან პრემიებსაც მოიპოვებს-მეთქი. სხვათა შორის, ის ახლად მოვლენილი დირექტორი ამის შემდეგ ძალიან მალე, როგორც მოაბრძანეს, ისე წააბრძანეს და, რამდენადაც ვიცი, სწორედ ამ „განცხადებამ" იმსხვერპლა. მურმან ლებანიძემ კი „რჩეული" ჩვენს გამომცემლობაში იმ წელიწადსაც გამოსცა.

თავისთავად იბადება შეკითხვა: როგორ მოხდა, რომ საგამომცემლო და სასტამბო ხელოვნებაში ასე გაწაფულ მწერალს ერთხელაც არ მიანდეს რომელიმე გამომცემლობა ან რედაქცია? იყო ერთი ჟურნალის რედაქტორის მოადგილე და არა რედაქტორი, გახლდათ მეორე ჟურნალის რედაქტორის მოადგილე და არა რედაქტორი, უკანასკნელ წლებამდე მუშაობდა მეტად ღირსეული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და არა თავმჯდომარედ...

მწერლობასაც ჰყავს შინაური „დისიდენტები", რომლებიც ებრძვიან დიქტატურას ლიტერატურაში, იბრძვიან შემოქმედებითი თავისუფლებისათვის, ოპოზიციაში უდგანან ხელოვ-

ნების ადმინისტრატორებს. ერთი ასეთი შეუპოვარი და დაუმორჩილებელი გახლდათ მურმან ლებანიძე. ამიტომაც ვერ ენდობოდნენ, ეშინოდათ მისი, უფრო ზუსტად – სიმართლისა ეშინოდათ, რადგან მაშინ ცოტა ვინმე ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა. მას უფრო დიდი და საპატიო თანამდებობა ეკავა – სიმართლისმთქმელი მწერლის თანამდებობა და ამიტომაც მოარიდეს წიგნსა და ჟურნალს, პირველ სკამს რედაქციასა და გამომცემლობაში...

ბოლოს და ბოლოს, ადგა და ეს ხარვეზი თვითონ გამოასწორა: რამდენიმე წლის წინათ სამოცდაათი წლის პოეტმა საკუთარი გამომცემლობა შექმნა – ერთი კაცის გამომცემლობა – „ჩანგი". მაშინ დაიწყო, როცა უნდა დაემთავრებინა: ახლა ხომ ტონა ქაღალდი ათასი და ათასხუთასი დოლარი ღირს!

უკვე გამოსცა ჭაბუა ამირეჯიბის შვიდი რჩეული ნოველა ახალი რომანიდან „გორა მბორგალი". ჭაშნიკად დაბეჭდილ ამ შვიდეულს ადრე დაწერილი ლექსი და ესსე წარუმძღვარა და აგრეთვე – პოეტისა და პროზაიკოსის ვრცელი საუბარი, ანუ ინტერვიუ რომანის ავტორთან, ნიმუში ორი ღირსეული შემოქმედის გულწრფელი და სიყვარულით აღსავსე დიალოგისა, რაც ადრეც გვაკლდა და ბოლო დროს სანატრელი გაგვიხდა.

„ჩანგი" გალაკტიონის პროზას გვპირდება (ისევ გალაკტიონი!).

„ჩანგის" გამოცემები სერიულია, ფორმატი ორიგინალური, თითქმის კვადრატული, ჯიბის წიგნისა.

მძიმე დღეები დაუდგა ქართულ წიგნს, მაგრამ ვინც პოეტის მედგარ ხასიათსა და დაუმცხრალ შემართებას იცნობს, დამეთანხმება: მურმან ლებანიძის წიგნების გამოფენას კიდევ მრავალი საინტერესო ეგზემპლარი შეემატება, მით უმეტეს – კომპიუტერის აქტიური შემოტევა პოლიგრაფიაში უკეთეს შესაძლებლობებს გვთავაზობს.

1997

მურმან ლებანიძის „შედევრები“

I

„შეადგინა და გამოსცა მურმან ლებანიძემ“ – ასეთი უჩვეულო და მოულოდნელი წარწერა იკითხება სატიტულო ფურცელზე საკმაოდ სოლიდური მოცულობის წიგნისა, რომლის სახელწოდებაც არანაკლებ უჩვეულო და მოულოდნელია: „ქართული პოეზია. **შედევრები**“.

თუმცა, ვინც მურმან ლებანიძეს იცნობდა, ალბათ არც ისეთი თამამი მოეჩვენა მკითხველის ეს გამოწვევა.

შედევრს დრო და გემოვნება აღმოაჩენს ხოლმე. არსებობენ შედევრობის კანდიდატები და არსებობენ ზეშედევრები, ალბათ – ყოფილი შედევრებიც!

როდესაც გამომცემლობაში ასეთი გაბედული იდეა დაიბადა, არჩევანის საკითხი არც დამდგარა, რადგან თვითონ მურმან ლებანიძის პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობეს და დააჩქარეს ამ იდეის გამჟღვნება.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი საუკუნის დიდი პოეტის საგამომცემლო გამოცდილება და ალღო შემოქმედისა, რომელსაც შეეძლო პირველი მკითხველის თვალით წაეკითხა მთელი კლასიკა და თანამედროვენი, ხოლო შემდეგ ლიდერინის მშვენიერ ყდაში მოექცია რჩეულთა რჩეულები.

ორი გრძელი წელიწადი იღვაწა და იტრიალა შემდგენელმა და გამომცემელმა მრავალსაუკუნოვანი ლექსის სამყაროში და ყველაზე დიდხანს, ცხადია, რუსთაველთან შეყოვნდა: პოემის ადაპტირებული ვარიანტი ამჯობინა – თითქმის ნახევარი – და შერჩეულ თავებშიც მრავალი საეჭვო სტროფი გაიმეტა „ოსტატობის სრულყოფილების“ საბაბით. საკმაოდ დამაჯერებლად გვესაუბრება ამის შესახებ წინასიტყვაში – „სანამ შედევრებს წაიკითხავდეთ“, მაგრამ არანაკლებ საინტერესო იყო იმ წლებში ზეპირად თუ ტელეფონით საუბრისას წარმოდგენილი არგუმენტები, რომელბიც, სამწუხაროდ, ჩაუწერელი დარჩა და რომელთა შედეგადაც არცთუ უსაფუძვლო პასუხი დავუბრუნე: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი პოეტებმა უნდა დაადგინონ-მეთქი. სხვათა შორის, ამას წინათ „ვეფხისტყაოსნის“ არაპროფესიონალი ტექსტოლოგის – ცნობილი მხატვრის თენგიზ მირზაშვილის რჩევით კონსტანტინე ჭიჭინაძის წიგნი წავიკითხე რუსთაველზე და ჩემი მოსაზრება აუცილებელიც კი მომეჩვენა. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე უმაღლესი რანგის ტექსტოლოგებად მოგვევლინენ. ყოველ შემთხვევაში, მურმან ლებანიძემ პოემის სიუჟეტური ქარგა არ დაარღვია და მრავალი კითხვის ნიშანი კი გააბათილა.

შევთახმდით და პოემა წინასწარ წავიკითხე, რათა თავები შემერჩია და სათანადო ნიშნებით შემეფასებინა. შემდგენლისა და რედაქტორის მაჩვენებლები თითქმის დაემთხვა ერთმანეთს. მიაჩნდა, რომ „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან“ არ იყო რუსთაველის დაწერილი. „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“ – ამ ქორწილსაც ეჭვის თვალით უყურებდა, გარდა ბოლო ორი სტროფისა.

სამოცდასამიდან ოცდათერთმეტი თავი შეიტანა, ოღონდ „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება“ და „წიგნი ფატმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო“, აგრეთვე – „თათბირი ნუ-

რადინ-ფრიდონისა", „თათბირი ავთანდილისა" და „თათბირი ტარიელისა" შეაერთა – მსგავსად პავლე ინგოროყვას გამოცემისა.

ეპილოგიც პავლე ინგოროყვას მიხედვით გააწყო: მესამე-მეოთხე სტროფები გამოტოვა და მეორე გაასწორა:

იყო:

ქართველთა ღმრთისა **დავითის** ვის – მზე – მსახურებს
სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად **საკამათებლად.**

არის:

ქართველთა ღმრთისა **თამარის,** ვის მზე მსახურებს
მარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად **საქებარებლად.**

შეგვიძლია გაგაცნოთ ერთი საგულისხმო ტექსტობრივი ვარაუდიც, რომელმაც განსაკუთრებით რუსთველოლოგები უნდა დააინტერესოს: „ამბავი ავთანილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან" – ამ თავიდან ერთადერთი აშკარად არასრულყოფილი ორასორმოცდამეთექვსმეტე სტროფი ამოიღო:

იმა მოყმისა ამბავი არსადა **არ იპოვების;**
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან **დაიჯერების;**
მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნების,
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების.

„ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელს შეეყარა" – ამ თავში კი ექვსასმეორე სტროფის პირველ სტრიქონს დააკვირდა:

ესეცა ვუთხარ: „ამბავი ჩემი არ **გაგეგონების,**
უფრორე წყნარად გიამბობ, თუ ჟამი ჩვენ გვექონების", –

და მეტად გამართლებული გასწორება შემოგვთავაზა:

– „გაგეგონების“ – ეს სიტყვა წარმოშობს აზრს: დაზიანებულ სტროფში „არვისგან დაიჯერების“ ნაცვლად „არვისგან გაიგონების“ ხომ არ უნდა იყოს?!

იმა მოყმისა ამბავი არსადა **არ იპოვების;**
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან **გაიგონების.**

რუსთაველი მაინც რუსთაველია და, ამ ზუსტად მორგებულ რითმას, რომელიც ნამდვილად გადაარჩენს სტროფს, მხოლოდ კითხვის ნიშანი დაუსვა. ერთი კი ცხადია: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი პოეტების ყურადღებას მოითხოვს და, როგორც ჩანს, რუსთაველს თვითონ რუსთაველიც უნდა წავაშველოთ!

გემოვნებაზე არ დავობენ, – მაგრამ შედევრების შემთხვევაში ეს აქსიომა მიუღებელია: შედევრი სწორედ იქ იწყება, სადაც დავა მთავრდება.

და მაინც, მურმან ლებანიძის „შედევრებს“, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. ზოგმა ესა თუ ის ავტორი დაიწუნა ან მოისაკლისა, ზოგიერთმა კიდევ – ესა თუ ის ლექსი თუ პოემა. პროპორციებიც დაუანგარიშეს და გადაჭარბებულ სიმპათიებშიც დასდეს ბრალი. ცხადია, ფართო ფორმატის თითქმის შვიდას გვერდზე ქრონოლოგიურად გაწყობილი ყველა სტრიქონი ვერ აღწევს სასურველ სიმაღლეს, მაგრამ შედევრთან წილნაყარი ნამდვილად გახლავთ.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდება, კარგ ლექსს კი – კარგი მკითხველი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს იმდროინდელ ინტელექტუალთა საკმაოდ ფართო აუდიტორია იცნობდა, მაგრამ სამოციანი წლების დასაწყისისათვის თითქმის მივიწყებული იყო, ვიდრე პეტერბურგში მის ხელ-

ნაწერებს არ გაეცნო სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, რომელიც „თითქმის ერთი კვირა ჰბოდავდა ბარათაშვილით“.

ჩვენმა შემდგენელმა მრავალი ავტორი და მრავალი ლექსი „აღმოაჩინა“.

X-XI საუკუნეთა მიჯნიდან მოიწვია სრულიად უცნობი – კაპრაში.

რამდენჯერ წაგვიკითხავს ტერენტი გრანელის კრებულებში ერთსტროფიანი „შალვა დადიანს“ და არ შევყონებულვართ, – წაგვიკითხავს და გადაგვიკითხავს. მურმანმა კი იგი „აღმოაჩინა“ და ახლა შესანიშნავად გამოიყურება შედევრებს შორის: როგორც ჩანს, აღიარებისათვის ზოგჯერ წამკითხველის თანამონაწილეობა და წახმარებაცაა საჭირო და აუცილებელი:

შალვა დადიანს

დღეს შალვა დადიანი შემომხვდა და
მითხრა: ჩაიცვი, ყმაწვილო, ჩაიცვი!

ძვირფასო შალვა, არამცთუ კაცმა, –
ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა.
შენ სიღატაკეს არ იცნობ ალბათ,
რომელიც არის პატარა ჯვარცმა.

ამ ოთხი სტრიქონის სიმწარეს კიდევ უფრო ამძაფრებს რეალური ფაქტი: ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ სამეგრელოს თავად დადიანს ეპასუხება ნახევრად შიშველი მეგრელი გლეხი კვირკველია, რომელიც უიმედოდ ეტრფის თავადის ძმისშვილს!

მურმანმა „აღმოაჩინა“ აგრეთვე აკაკის ბრწყინვალე მეტაფორა:

მთელი ჩემი ცხოვრება ტანჯვაა და ვაება,
ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება.

გალაკტიონს ერთმა მისმა პატრიოტმა სამასამდე შედევრი დაუთვალა. ეს ციფრი ახლოსაა რეალურთან და გემოვნების შკალაზე შეიძლება ათეულის ფარგლებში მერყეობდეს. მურმანს ვერავინ შეეცილება გალაკტიონის სიყვარულში, მაგრამ მარტივი მათემატიკური გაანგარიშებით, მან გალაკტიონი „დაჩაგრა" – მხოლოდ 170 შედევრი შეარჩია.

„შედევრების" პროპორციები რომ დავაზუსტოთ, გვერდების მიხედვით პირველი ათეული ასეთი თანამიმდევრობით დალაგდება: შოთა რუსთაველი – 99 გვერდი, გალაკტიონ ტაბიძე – 96, ვაჟა-ფშაველა – 93, აკაკი წერეთელი – 40, ნიკოლოზ ბარათაშვილი – 33, ლადო ასათიანი – 33, ილია ჭავჭავაძე – 31, დავით გურამიშვილი – 21, გიორგი ლეონიძე – 17 და ტერენტი გრანელი – 12.

ახლა წარმოვიდგინოთ მეოცე საუკუნის შედევრების პროპორციები და გალაკტიონის უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდება. ნოდარ დუმბაძეს უთქვამს ერთხელ: მეოცე საუკუნის ანთოლოგიაში გალაკტიონი „შეჭამს" თავის თანამედროვეებსო. ამიტომ და ალბათ – ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია ორ ტომად უნდა გამოიცეს: I – გალაკტიონი, II – დანარჩენები.

ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ანთოლოგიაში ცოცხალი ავტორების შეტანა ჭირს, „შედევრებში" – კი წარმოუდგენელია. გარდაცვლილებისა შემდგენელმა ყველაფერი წაიკითხა მუშტრის თვალით, ისეთებიც, რომლებიც წიგნში ვერ მოხვდნენ. ელდარ კერძევაძის მშვენიერი ლექსი წაგვიკითხა რედაქტორებს, ნაზი კილასონიასა და შოთა ჩანტლაძის რამდენიმე ლექსიც, მაგრამ საბოლოოდ მაინც იოსებ ნონეშვილის თაობაზე შეჩერდა.

ახლახან, 2002 წლის აგვისტოს ერთ ნამდვილად არამშვენიერ და ცხელზე ცხელ დღეს კი საავადმყოფოში შემომთავაზა: „შედევრები“ განმეორებით გამოვცეთ და ცოცხლებიც შევიტანოთო(!).

„შედევრების“ პირველი წიგნი მომზადდა, აიწყო, დაიბეჭდა და აიკინძა 1992-1994 წლებში – სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, და იგი შეადგინა და გამოსცა მარტოკაცმა. მსგავსი შემთხვევა სამამულო საგამომცემლო ისტორიამ არ იცის. მურმან ლებანიძის მარადი შემოქმედებითი თანამგზავრის – გოგი წერეთლის ნახატებით გამშვენიერებულ წიგნს რომ აიღებთ ხელში, ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი უახლოესი სამოქალაქო დაპირისპირების დროს შეიქმნა.

სტამბებში მურმანი შინაური კაცი გახლდათ. ამჯერად სამი დაისაჭიროვა და მთელს პროცესს თავზე ადგა. მხატვრული რედაქტორიც თვითონ იყო, ტექნიკური რედაქტორიც და კორექტორიც. მაკეტი წინასწარ დაამზადებინა და ოცი ტონა გაზეთის ქაღალდი მაღალი ხარისხის ქაღალდში გაცვალა. სხვა საწიგნე მასალებიც დროულად მოიმარაგა – მიუხედავად საერთო შეჭირვებისა. ამ შეჭირვების გამო მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. ყველა შემთხვევის გახსენება შორს წაგვიყვანს. ერთს კი ვერ გამოვტოვებ.

კომპიუტერს ჯერ კიდევ არ დაეპყრო ჩვენი პოლიგრაფია. დედანი ფოტოწყობით გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში ააწყო, კარტოგრაფიულ ფაბრიკაში დაბეჭდა და, ვინაიდან კარტოგრაფიულს მაგარ ყდაში გამოცემის ტექნოლოგია არ გააჩნდა, დაბეჭდილი და აკრეფილი 42 თაბახის ქამრებით შეკრული 5 ათასი ეგზემპლარი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში წამოსაღებად მოამზადა.

რესპუბლიკაში ნავთობის კრიზისმა პიკს მიაღწია. კარტოგრაფიულ ფაბრიკას ბეჭდვითი პროცესისათვის ნავთი

ესაჭიროებოდა, ხოლო შემდგენელ-გამომცემელს დაბეჭდილი თაბახების გადასატანად – ბენზინი. ადგა პოეტი და ესტუმრა თავდაცვის მინისტრს, რომელსაც პოეტური სახელი ერქვა – ვარდიკო. 20 ლიტრა ნავთი და 20 ლიტრა ბენზინი – ეს იყო იმდღევანდელი ვიზიტის ნადავლი ანუ ნაალაფევი... და აი, „შედევრების" ნახევარფაბრიკატებით დამძიმებული „კამაზი" გლდანიდან წიგნის სასახლისაკენ გამოემართა. მძღოლის გვერდით შემდგენელ-გამომცემელი ზის. მეტრო დგას და თბილისის ქუჩებში ავტომანქანა იშვიათად გამოჩნდება. ამიტომაც სანაპიროზე ინსპექტორი-მილიციელი დაინტერესდა, მანქანა გააჩერებინა და მძღოლი თავისთან მიიხმო. პოეტი ელოდება, მძღოლი იგვიანებს. ბოლოს გაღიზიანებული პოეტი მანქანიდან ჩამოდის და რას ხედავს: მილიციელი მძღოლს ბენზინს კი არ სთხოვს, მოითხოვს. რა თქმა უნდა, იმ დღეს მილიციელმა წვეთი ბენზინი ვერ იშოვა, ხოლო პოეტმა მეორე მინისტრი მოიკითხა – შინაგან საქმეთა მინისტრი. წიგნის წინასიტყვაში კი ორიოდე სიტყვით გაიხსენა: „ომიანობის თუ შინააშლილობის პერიოდის ათასგვარი დეფიციტის პირობებში ცოტა როდი გადამხდაო...", – და ამ სამ წერტილში იგულისხმა და ჩაატია საკუთარი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ტკბილ-მწარე ეპიზოდი.

აი, ასეთ დაძაბულ დღეებში გამოიცა „შედევრები", რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და რომელსაც სატიტულო ფურცელზე მოკრძალებულად აწერია რომაული პირველი.

II

ხშირად გამოხატავდა აღტაცებას ქართული ხალხური ლექსების გამო. ოცნებობდა შეედგინა საკუთარი რჩეული და გზადაგზა აგროვებდა კიდეც.

1972-1984 წლებში გამოიცა ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეული, რომელმაც ცხადია მთელი ყურადღება მიიპყრო:

– საბოლოო წავიკითხე 1984 წლის მარტში, – მიუწერია მეათე ტომის ტიტულზე.

„შედევრების" პირველი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ კი გულმოდგინედ ჩაუჯდა. თითქმის ყველა გამოცემა მოიპოვა (შვიდი მე შევთავაზე) და აქტიურ შტუდირებას შეუდგა.

– დამუშავებულია **„რჩეულისათვის"**. 8 აპრილი. 87, – აღურიცხავს ირაკლი გოგოლაურის „ხმით ნატირლების" ტიტულზე. 14 წლის შემდეგ კი იქვე დაუზუსტებია:

– დამუშავებულია მეორედ **„შედევრებისათვის"**. 2001 წლის 9 აგვისტო.

მეოთხე ტომის ორი სხვადასხვა ეგზემპლარი სხვადასხვა დროს დაუმუშავებია:

– ეს ძველია, პირველად დამუშავებული!

– ეს ახალი, საბოლოდ შერჩეული!!!

მეთორმეტე ტომიდან 37 ლექსის გვერდები და სტრიქონთა რაოდენობა ამოუწერია:

– მესამედ გამარგლულ-შევსებული 1996 წლის დეკემბერში.

ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხური პოეზიიდან" ასევე ამოკრებილი 74 ერთეულის სარჩევი შეუდგენია:

– კოტეტიშვილის რჩეულიდან ამოსაბეჭდი მაქვს (27 აგვისტო. 1998. კვაშხიეთი. თვეზე მეტი ხნის მუშაობის შემდეგ).

იმავე წლის 25-26 ოქტომბერს ბესიკ ხარანაულის რჩეულის რჩეული დაუზუსტებია.

ყველაზე გრძელი სარჩევი ალექსი ჭინჭარაულის წიგნიდან („ლექსო, არ დაიკარგები“) გაუგრძელებია.

ანალოგიური სავარაუდო-სადაზვერვო სარჩევები ახლავს აგრეთვე თედო რაზიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებას“, ალექსი ოჩიაურის „ფშავ-ხევსურულ პოეზიას“ და მრავალტომეულის ყოველ ტომს.

ეს გახლდათ პირველი მოსამზადებელი პერიოდი, მეორე პერიოდი ამოწერის წლებს მოიცავს, მესამე – გადაბეჭდვის წლებს. გონივრული აღმოჩნდა ეს სამსაფეხურიანი ჩანაფიქრი, რადგან შუალედებს შორის ხანგრძლივი განსჯისა და შეფასების საშუალებას აძლევდა: ხანგამოშვებით ხვეწდა და სარჩევის სარჩევსაც ადგენდა ხოლმე, ვიდრე ამოწერას შეუდგებოდა და მერე ხანდახან ამოწერილებსაც უწერდა ნიშნებს, ვიდრე გადაბეჭდავდა. სხვათა შორის, ზოგიერთები ორჯერ და სამჯერაც ამოუწერია და გადაუბეჭდავს.

ახლახან „გამოყენებული ლიტერატურა“ გადავათვალიერე, თუმცა კი არ გადავათვალიერე, გადავიკითხე და წავიკითხე კიდეც, იმდენად საინტერესოა არეებზე მიწერილი შენიშვნები და სწორებები. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, როგორი კოლოსალური შრომა გასწია – თხუთმეტი წლის მანძილზე. მთელი ფოლკლორი ნედლ მასალად წარმოიდგინა და, რაკი ყოველ ლექსს მრავალი ვარიანტი, ზოგჯერ – ოცი და ოცდაათიც კი ახლავს, თავის სტიქიაში აღმოჩნდა: აღმოჩენებისა და სწორების მეტი უფლება და საშუალება მიეცა.

ეს გახლავთ შედგენის იშვიათი შემთხვევა, რომელსაც ძნელია ანალოგი მოეძებნოს. თუმცა შედგენა კი არა, ესაა: აღდგენაც, დადგენაც და შედგენაც, ოდენ პოეტური ინტუიციით აღდგენილი და დადგენილი ტექსტები, – მისივე

სიტყვები რომ გავიმეოროთ: „გამარგლული“, „გასხლული“, „ჩარხში მოყვანილი“.

შენიშვნებთან და ვარიანტებთან ერთად დიდი ყურადღებით კითხულობდა წინასიტყვაობებს. მეექვსე ტომში ხაზი გაუსვამს ერთ აბზაცზე:

– ასეთი დახვეწილობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ ნაწარმოებს, რომელმაც თაობათა ხელში გამოიარა, საუკუნეთა განმავლობაში დაიხვეწა.

– სრული უმეცრებაა! თავიდანვე კარგად იწერება, შემდეგ ფუჭდება „ხელში გამოვლით“, – პრინციპულად ეწინააღმდეგება და არ შეიძლება არ დაეთანხმო. სამწუხაროდ, „საუკუნეთა განმავლობაში“ და „თაობათა ხელში“ ბევრჯერ შეირყვნა და პირვანდელი უშუალობა დაკარგა ბევრმა ნიმუშმა, სწორედ ის უშუალობა, რომლის აღდგენასაც წლები შეალია ჩვენმა შემდგენელმა და რომლის ქმედებასაც „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითიც ამართლებს. ხალხური ლექსი ხანგრძლივ და რთულ ტრანსფორმაციას განიცდის: ავტორი, მთქმელი, ჩამწერი, პუბლიკატორი, თანაც – ზოგიერთ ამათაგანს შემოქმედებითი პრეტენზია აწუხებს. ამიტომ პოეტი-შემდგენელი ცდილობს საუკუნეთა მანძილზე დალექილი ბალასტისაგან გაწმინდოს ტექსტი და ადრინდელ სილაღეს თუ ვერ დაუბრუნებს, მიუახლოვოს მაინც.

ფოლკლორისტებს ხშირად ედავება, უბრაზდება კიდეც. ერთი მკაცრი ციტატა მოუმზადებია, იქნებ – წინასიტყვისათვის:

– მე ვიცი თქვენი მეცნიერული თვალსაზრისები ქართული ხალხური პოეზიის კლასიფიკაციის შესახებ, – თქვენთვის მთავარია, რომელი ნაწარმოები რომელ გრაფაში მოთავსდება, ხოლო ჩემთვის მთავარია, რომელი ნაწარმოები ჩაუვლის ქართველ კაცს გულსგარეთ და რომელი გულს მოებღაუჭე-

ბა... მე ვიცი, რა პედანტურია ძირითადად თქვენი მიდგომა და თქვენი თვალსაზრისები. მე ძვირფას ქმნილებებს ვემხრობი და არა თქვენს მექანიკურ კლასიფიკაციებს და მერამდენედ იმასვე გავიმეორებ: ჩემს წიგნში მე ვარ ექსპერტი, რომლის მიდგომა ორი საუკუნის მიჯნაზე გამოცდას გაივლის და პასუხს გაგვცემს.

ეგევე მოსაზრება შედარებით თავაზიანად გაგვიზიარა წინასიტყვაშიც და იქვე ორაზროვნად მიგვანიშნა:

– თხუთმეტი წლის განმავლობაში მე სამჯერ გადავუარე თორმეტტომეულს.

ზოგჯერ აღშფოთებას ვერ მალავდა:

– უნიჭობით არის გავსებული ეს ტომი.

– არაერთი საზიზღარი ლექსი საზიზღრადვე ჩაუწერიათ და ამ წიგნში შეუტანიათ.

– საერთოდ ეს ციკლი ძალზე უსუსურია.

– ვინ ჩაწერა ეს აბდაუბდა?! მთქმელიც და ჩამწერიც უგემოვნო ხალხია!

– ამ ლექსის საერთოდ ჩაწერაც კი სისუსლელეა!

და მაინც – თორმეტტომეულის ვარიანტების სიმრავლემ გაათამამა:

– შევაჯეროთ! მესამე სტრიქონი ამოვიღოთ! ჩაემატოს ორი სტრიქონი! პირველი ორი სტრიქონი ამოსაღებია! დასაწერია ხელახლა! საშინაო საქმეა! გასამართათია! დასამუშავებელია! საკეთებელია! გაკეთდეს! გასუფთავდეს! დაიხვეწოს! მოევლოს! ამოიჭრას სუკი! შემოკლდეს! განახევრდეს!

ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, თითქოს ზედმეტ უფლებას აძლევს თავის თავს, მაგრამ დააკვირდით, როგორი სიფრთხილით კითხულობს მითოლოგიურებს:

– ამ ლექსის გასაგებად ხევსურული მითოლოგიის ცოდნაა აუცილებელი. ამიტომ არ შევიტანთ! – ესაა – „მშვილდ-ქაიბური ბერისა“.

ამავე მეორე ტომში „იახსარის“ ოცდათოთხმეტივე ვარიანტსა და შენიშვნებს დიდხანს უტრიალა და ბოლოს ხელი ჩაიქნია:

– იახსარის ლექსს საერთდ თავი დავანებოთ, რაკი ამდენ ჩამწერს, თვით აკაკი შანიძეს და მრავალ სხვას ტექსტის რესტავრაცია ვერ მოუხერხებიათ მითოლოგიური წარმოშობის სიძნელეებისა გამო. ლექსი გაუგებარი იქნება „რჩეულის“ მკითხველისათვის.

შეფასების თავისებური სისტემა დააწესა: სამბალიანი ანუ სამპლიუსიანი ანუ სამჯვარიანი ანუ სამვარსკვლავიანი. ხშირად პლიუსსა და მინუსს ცალკეულ სტროფებს უწერდა, ცალკეულ სტრიქონებსაც. განსაკუთრებულ შემთხვევაში ოთხ პლიუსსაც იმეტებდა. დაწუნებულ ლექსებსა და სტროფებს ვერტიკალური პარალელური ხაზებით გადაშლიდა, რათა მოწონებულები მეტი სიცხადით წარმოეჩინა და წარმოედგინა. საბოლოოდ გადაშლილია თორმეტტომეულის მთელი ფართობის 80 პროცენტზე მეტი და დარჩენილი 20 პროცენტიც სანახევროდაა ათვისებული.

ამგვარ შეფასება-გადაფასებას რამდენიმეჯერ ატარებდა და ნიშნები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ამიტომ სხვადასხვა წაკითხვისას სხვადასხვა ფერის პასტებს იყენებდა, რათა შთაბეჭდილებათა თანამიმდევრობა არ არეოდა.

მეოთხე ტომში („ქვე იჯექ“) პირველი წაკითხვისას ორი პლიუსი დაუსვამს, მეორე წაკითხვისას კი გადაუშლია:

– გადავიფიქრე!

იშვიათად პირიქითაც მომხდარა: გადმოუფიქრებია და თავდაპირველად დაწუნებული შეუტანია.

მეთორმეტე ტომში სამი პლიუსით შეუფასებია („ჯალაბაურისაგან გაგას“), მოგვიანებით კი გადაუშლია გაწბილებულსა და გაკვირვებულს:

– ნუთუ ჩემია ეს პლიუსები?

მეხუთეში („სადღეგრძელოს ლოცვა“) ორი პლიუსი და ორი მინუსი მიუწერია, მერე გადაუშლია, მაგრამ დაეჭვებულა:

– მაინც დავფიქრდეთ!

დაფიქრებულა და აღარ შეუტანია.

მეოთხეში („მაღლა მთას მოდგა“) საიმედო დიაგნოზი დაუსვამს:

– ყველა ვარიანტი გავსინჯოთ და ჩვენი ვარიანტი დავადგინოთ!

მაგრამ ესეც გაუმეტებია.

მეორეში („ჯოჯოხეთში ვინ არის“) მიუწერია:

– აქედან კარგ ლექსი გამოვა, თუ რა თქმა უნდა თავისუფლად მოვიქცევი.

მერე შეყოყმანებულა:

– იქნებ რამე გამოვიდეს.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს მინუსებმა გადააჭარბეს:

– საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ამ ლექსიდან რიგიანი არაფერი გამოდნება.

ამავე ტომში („რა არის ჩემი შანახვა“) ჩაუნიშნავს:

– ვარიანტები! ეგებ განათდეს!

ვარიანტები არ აღმოჩნდა და:

– არ განათდა!

მეთერთმეტეში კი განათებულა („ზურაბის გალაშქრება ხევსურეთზე“):

– განათება სჭირდება ამ თავისთავად კარგ ლექსს, ისე აზრი არა აქვს მის დაბეჭდვას.

ცხადია, „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ განსაკუთრებული ყურადღებით ნაიკითხა:

– ყველა ვარიანტი გაისინჯოს! ალექსი ჭინჭარაული ძირითადად ამ ვარიანტს ეყრდნობა. მე? საერთოდ ამ ვარიანტით გაიწყოს. ორად გაყოფის საკითხი. ახალი და ძველი – დღეს

ყველაფერი ერთად იყრის თავს და დღეისათვის ყველა ძველია!

– პირველ პირშია, რაც წამგებიანია ამ შემთხვევაში! ამ ლექსში! – მიუწერია მეექვსე ვარიანტზე. „ორად გაყოფის საკითხზეც" დაფიქრებულა და: სამად გაუყვია!

მესამე ტომის ვარიანტებში მოუპოვებია და უსაყვარლესი კოლეგა დაუმოწმებია:

– ლადოსაც ყველაზე მეტად ეს ვარიანტი მოსწონს:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდან ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი.

და ასე დაეხეტება ვარიანტების ლაბირინთებში:

– „ქარაფზე წადგა ხარლაღი". შემოკლებული ვარიანტი აჯობებს – რედაქტორის უფლებით!

– „ვერ გაიგეთა, ქართველნო". სუსტი ვარიანტია. ყველა ვარიანტი უნდა შეჯერდეს და „გაისხლას" სიგლახე-სიმარტივეებისაგან.

– „ქალაო, შენ რომ ქმარი გყავს". „შედევრებისთვის" გასუფთავებული, ჩარხში მოყვანილი მაქვს უკვე.

– „თუშის ცხენი". საოცარია, კოტეტიშვილის ვარიანტი ათასჯერ სჯობს, ამათ მაინც ეს შეუტანიათ.

– „თამარ დედოფალი ვიყავ". საკეთებელია, თუმცა ნამუშევარი ვარ ამ ლექსზე.

– „კვირაეს გათენებადა". აქედან ლექსი გამოვა.

– „დროება გამოიცვალა". ამ ლექსიდან კარგი სუკი ამოიჭრება.

– „ბევრი იგეთი ქალია". მოსავლელი კია, მაგრამ ივარგებს.

– „სიკვდილმ თქვა". ეგებ მაინც გაკეთდეს.

– „სიკვდილი მთხოვს“. ეს ვარიანტი სჯობს სხვებს. შევცვალოთ!

– „შენაქოს მოვიდ დიდოი“. ვარიანტები მოვიშველიოთ.

– „ჩარგალელი გმირი“. ვაჟა-ფშაველას ტომშიც ვნახოთ.

– „ლომისის ჯაჭვი“. სხვაგან არის ეს კარგი სახე! მეორედ გამეორება სხვადასხვა ვარიანტად არ ივარგებს.

– „ანდუყაფარ“. დასაწერია. მოსაძებნია კაი ვარიანტი.

ვერსიფიკაციული დაკვირვებებიც ქაღალდზე გადაჰქონდა:

– „დალი“. რიტმულად მოწესრიგდეს!

– „ლილეო“. მთბილურად გავმართოთ – 9.

– „ლუხუმი“. აუცილებელია გაკეთდეს როგორმე ჩახრუხაული სტრიქონი.

– „მორიგევ, ღმერთო, გეხვეწები“. მთიბლური 9-მარცვლოვანი ლექსია! თითო მარცვალი მოაკლდეს და ამგვარად!

– „ქალსა ვისმე“. ორპირულად იმღერება. სულ სხვა რიტმია! 8-6, 8-6 – მაღალი შაირის კატალექტიკური ვარიანტი.

– „ბრძანებდა დამბადებელი“. აქედან! შესაძლებელია აქედანაც, ოღონდ ერთ რითმაზე – „არია“.

– „იაღსარი“. „ხატია – თვალია“ – ასე არ ირითმება ხალხური ლექსი!

– „ღამეა, მთვარე კაშკაშებს“. ეს ლექსი ჯვარედინად არის გარითმული. ხალხური არ არის!

ზოგჯერ შეყოვნდებოდა, დაეჭვდებოდა, დაფიქრდებოდა:

– „ლილე“. ხომ არ მოწესრიგდეს რიტმულად?

– „ქორი თეთრ ქანდარაზეო“. ურითმო ლექსად ხომ არ გავაკეთოთ?

– „ჩამოგივლავიც გიორგიო“. რაშია საქმე? იქნებ ვარიანტებმა გაგვარკვიოს?

– „მერცხალა თავის სიღარიბეზე“. საცოდავი ვარიანტია ძვირფასი ლექსის. სხვაგან ვეძებოთ!

ეძებდა და პოულობდა ცალკეულ სტროფებსაც: დაწუნებული ხუთსტროფიანიდან („გაღმითით ჩამოვესახლე“) მეოთხე შემოუხაზავს მეორე ტომში:

– ეს თავის ადგილზე, მე რომ ვიცი, იქ:

ათასი სული ცხვარი მყავ,
თან მიაქვს მთა და ველია!
მე ქრისტე ღმერთი მესტუმრა,
მჭადით ვარ მასპინძელია.

მეოთხე ტომის ექვსსტროფიანიდან („თოფებ სჭეხს სახარეშია“) ბოლო გამოუყვია:

– სხვა ლექსში ჩავდოთ ან ცალკე დავსვათ:

ცუდი ზნე გაქვის, ყორნებო,
ტირილს არ იტყვით მკვდარზედა,
ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ,
ჩამაირიგებთ ჯარზედა.

ირაკლი გოგოლაურის „ხმით ნატირლებში“ ნადობის ნატირალის („ძოღანის სადამ შამხვდი წინა“) ბოლო სამი ტაეპი სათადარიგოდ გაუმზადებია:

– რომელიმე ნატირალი, რომელიც ცუდად მთავრდება, ამ 3 სტრიქონით დავამთავროთ:

კარგ იყავ, მტერი იმით გყვანდა, –
რა მტერი უნდა ბეჩავსა,
თავის მტერია თავადაცა!

მესამე ტომის ოცდათორმეტსტრიქონიანში („ხვედია გუდამაყრელი“) ორად ორ სტრიქონს დაუმსახურებია ყურადღება და სამი პლიუსი:

– ეს მჭირდება სხვაგან:

მიუდი საიქიოსა,
ამათამც წყალი ზიდაო.

მეხუთეშიც ორი ტაეპი მოუხაზირებია ოცდათექვსმეტიდან („დედი-ძმაზე ნატირალი“):

– რომელიღაც ლექსში მჭირდება აქ, ახლოს:

გიგაის წვერთა ჭაღრიანთაო,
ჯიხვის რქასავით დაგრეხილთაო.

იქვე იმავე ციკლის ბოლო ორი თითოსტროფიანი მოსწონებია („ადე, თავმკვდარო, რას უწევხარ“ და „სახლიც ტირის და კარიც ტირის“):

– ეს ბოლო ორი ლექსი ხომ არ შევაერთოთ?

მეათე ტომში შეუდარებია („ყორანამ უთხრა ღალასა“ და „ნიკორამ უთხრა ღალასა“):

– ეს ორი ლექსი ნათელს ხდის ერთი მეორეს.

ამავე ტომში ორი ლექსის („კოფია და ხთისოზე“ და „ვაჟები კაწალთხევლები“) ოთხი „ნაჭერი“ შეურჩევია:

– გავაკეთოთ 4 ნაჭრიდან ერთი ლექსი.

საბოლოოდ სამი შეუსატყვისებია ერთმანეთისთვის და 124 ტაეპიდან ათტაეპიანი შემოუთავაზებია – „მართალი არის, დავბერდი“.

მეოთხეში ორი დაუპირისპირებია („გორგი“ და „გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო“):

– ან ეს ან ეს, ან ორივე! შეერთებით!

მეშვიდეშიც გაუჯიბრებია („ამილახვრისა ყმობითა“ და „მუხრან ბატონზე“):

– შევადაროთ წინა ლექსს. ან – ეს, ან – ის!

იქვე დაუწყვილებია: („ირემო, მთასა მყვირალო“ და „მთაში გაზრდილო ირემო“):

– ამ ორში ერთი!

ვახტანგ კოტეტიშვილისეულ სარჩევში „საგინა გიორწმინდელი“ შეუტანია:

– შევადაროთ მსგავს ფაბულას. ან ერთი, ან მეორე!

მეტი სიცხადისათვის პარალელური ტექსტების ერთი მაგალითი მაინც დავიმოწმოთ მეშვიდე ტომიდან – „ატირდა ყვავი“:

ატირდა ყვავი, ყორანი,
ხოფისა და ბეჟან ტყისა,
ხოფასა და ხერხმელასა
სისხლის წყარო აღარ დისა.
ნადირს კაცი გაუგზავნეს –
ახლა ჩამოვიდეს ძირსა,
ნუღარც ნადირს ეშინიან,
ნუღარც წყალში თევზი თრთისა,
აღარ არის „კუსრას ბიჭი“,
აღარც მისი თოფი ტყვრისა,
ირემი ნაბოსტნარში სძოვს,
ღორი ნასახლარში სთხრისა.

პირველი წაკითხვისას ერთი მინუსი დაუსვამს და ვერტიკალური პარალელებით ჩამოუხაზავს. მეორე წაკითხვის დროს ორი მინუსი მიუმატებია, მესამე-მეხუთე ტაეპებისათვის კი პლიუსები მიუწერია და ჩაუნიშნავს: „დასაწერია“, და „დაუწერია“ კიდეც ისე, რომ ლექსის ლექსიკაში ერთი სიტყვაც არ შეუცვლია (ოღონდ – ზუსტი პაუზა გრაფიკულად აღუნიშნავს: ბოლო ორი სტრიქონი გამოუყვია). საინტერესოა: მრავალი სამვარსკვლავიანი აღარ ამოიწერა, ანდა – ამოწერილები აღარ გადაბეჭდა, ამჯერად კი ორგზის დაწუნებული ნახევარფაბრიკატი გააშედევრა:

ნულარც ნადირს ეშინიან,
ნულარც წყალში თევზი თრთისა,
აღარ არის კუსრას ბიჭი,
აღარც მისი თოფი ტყვრისა...

ნაბოსტნარში – ირემი სძოვს,
ნასახლარში – ღორი სთხრისა...

ძალიან მოსწონებია ოთხტაეპედი:

მზე ჩაღმა ჩამავალია,
ჩავა, ჩაჯდება ბუდესა,
ოქროსი კვერცხი დაუდევს,
ჭუჭული მარგალიტისა.

მაგრამ თითქმის გაურითმავია ეს მართლაც მშვენიერი მეტაფორა. ამიტომაც ვერ გაუმეტებია და უსწორებია:

– რაღაც ამის მსგავსად უნდა მოტრიალდეს:

ჭუჭული – მარგალიტისა,
კვერცხი ოქროსი უდევსა.
–
გადმოჩეკს მარგალიტისას,
კვერცხი ოქროსი უდევსა.
–
მარგალიტისას გადმოჩეკს,
კვერცხი ოქროსი უდევსა.
–
ჭუჭულს სჩეკს მარგალიტისას,
კვერცხი ოქროსი უდევსა.

აქედან ორი ვარიანტი ამოუწერია და მაინც თავი შეუკავებია. ვერლენისა და გალაკტიონის ჩამავალი მზეები კი გაახ-

სენდებოდა ალბათ და ხალხური ნამდვილად გახსენებია – თავისივე მოწონებული საფერხულო – „ქალსა ვისმე“:

ბუდე ედგა, ბუდე ედგა – აბრეშუმისაო,
კვერცხი ედო, კვერცხი ედო – იაგუნდისაო,
გადმოჩეკა, გადმოჩეკა – მარგალიტისაო...

ამ გახმოვანებულ ფიქრებსა და შთაბეჭდილებებს რომ კითხულობ, დახაზულ, შეფასებულ-გადაფასებულ ტომებს ათვალიერებ და ვარიანტების ტევრში გასხლულ-გამარგლულ ტექსტებს ეცნობი, – ერთგვარი სინანული გიპყრობს: ბევრი აღმოჩენილი და „ჩარხში მოყვანილი“ აღარ შეუტანია. სამწუხაროდ, ამჯერად რედაქტორი მოკლებულია საშუალებას – შეედავოს ან წააქეზოს შემდგენელი, როგორც ეს პირველი წიგნის მომზადებისას მოხდა. არადა, მრავალი „აღმოჩენა“ დარჩა გარეთ, გრძელ ლექსებში ჩაკარგული მარგალიტები, ცალკეული ლექსები, ცალკეული სტროფები და ტაეპებიც კი. აქ უნდა გავიმეოროთ ერთი პასაჟი წინასიტყვიდან:

– ყველაზე დიდი შიში იმისა მაქვს, ვაითუ, ამ ზღვა მასალასა და ურიცხვ ვარიანტში რაიმე მნიშვნელოვანს ვერ მივაკვლიე, ან მიკვლეულსა და საქვეყნოდ აღიარებულ შედევრს ეშმაკის ჩრდილი წაეფარა...

ზურაბ ერისთავს ცოლად ჰყავდა ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი:

არ კადრობს ბაგრატიონი ზურაბის მკლავზე წოლასა...
„მიკადრე, ბაგრატიონო, ზურაბ ვერცხლსა სჯობ წონასა!“ –

ეს ერთსტროფიანი მეთერთმეტე ტომიდან ამოუბეჭდავს. ეშმაკის ჩრდილი არ წაჰფარებია და წიგნის მეორე ნაწილში მეორე ტაეპის აშკარად უკეთესი ვარიანტი უპოვია:

არ კადრობს ბაგრატიონი ზურაბის მკლავზე წოლასა,
ის კი არ იცის, ზურაბი ვერცხლსა სჯობ თავის წონასა!

შემოუხაზავს მეორე ტაეპი და პლიუსი მიუწერია:

– ვინ იცის, ესა სჯობდეს სინათლის თვალსაზრისით?!

და რაკი თვითონაც დაეჭვდა და საკითხი ღიად დატოვა, – ამ ერთადერთხელ ვისარგებლეთ „რედაქტორის უფლებით" და მეორე ტაეპი მის მიერვე მოწონებულით შევცვალეთ.

მეექვსე ტომის „ელეგიებიდან" ძირითად ტექსტშიც და ვარიანტებშიც დაუსვამს პლიუსები, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ ამოუწერია:

აიმ მთაზედა ყინული
აპირებს ჩამოდნობასა,
ბევრიც რომ გყვანდეს ერთგული,
ვერ გიზამს ჩემოდნობასა.

„საყმაწვილოთა" ციკლის წინასწარ შედგენილ სავარაუდო სარჩევში შეუტანია და ორჯერ ამოუწერია კიდეც, მაგრამ აღარ გადაუბეჭდავს სამი ჯვრის კავალერი:

კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო:
ჩავარდი გულის ხმასაო,
კაცი რომ დაიკუზება,
შენთვის აიღებს ქვასაო.

თითო ქულა დააკლდათ აგრეთვე შედევრობისა და „შედევრების" აშკარა კანდიდატებს: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ", „ესროლა ბერმა პაპამა", „ჯიხვო, გუნებამძიმეო", „გადმოდიოდნენ წერონი", „ნეტა რო ჩემი სასახლე", „დაიხულუზნებს არწივი"...

თვით გალაკტიონის ავტორიტეტმაც კი ვერ გადაარჩინა ეს სამგზის ამოწერილი მინიატურა:

დახე ამ კახპა ქალასა,
კურო ირჩია მამასა,
ვისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა?!

მეშვიდე ტომში ოთხსტროფიანისათვის („რწყილი") ჯერ ერთი ლურჯი ჯვარი დაუსვამს, მერე – ორი წითელი და მიუწერია:

– მაინც გავსინჯოთ ვარიანტები.

ჩვიდმეტი ვარიანტიდან მხოლოდ პირველი გაუსინჯავს, ამოუწერია და აღარ გადაუბეჭდავს: დაგვენანა და „რედაქტორის უფლებით" ჩვენთვის შევაჯარეთ ამ საყმანვილოსალაღობოს ვარიანტები:

გამთენიისა ხანსაო რწყილმა მიკბინა მხარსაო,
თოფ-იარაღი ავისხი, გავუდეგ იმის გზასაო.
ცხრა დღე და ღამე ვიარე, მივაგენ რწყილის კვალსაო,
დავუჩოქე და ვესროლე, მოვარტყი ბეჭის თავსაო,
იმდენმა სისხლმა იდინა, შეაგუბებდა მტკვარსაო,
ასსა ურემსა დაუდე, ორას უღელსა ხარსაო,
მოდის და მოაჭრაჭუნებს, მოამტვრეს ფერსო-ჭალსაო.
ამას ქალაქში ჩავიტან, კოჭლი მედუქნის კარსაო,
ლიტრას აბაზად გავყიდი, უყურეთ მოგებასაო.

ამოწერილებიდან გადაბეჭდვის პროცესი ორჯერ ჩაატარა: პირველის შემდეგ ციკლები დაალაგა. მერე მეორე წყება გადაბეჭდა და ციკლებს დამატებები დაურთო. საკითხავია, გადაბეჭდავდა თუ არა მესამედ? ერთი ცხადია: სასტამბო პროცესში მაინც გააგრძელებდა და წაამატებდა, მაგრამ ვინ იცის რომლებზე შეაჩერებდა უკანასკნელ არჩევანს?!

იქნებ? –

რაღაც მიწყრები, ავალო,
შენი ყმა აღარა ვარო,
მინდა – გრილოში დავწყვები,
მინდა – მზვარეში გავალო!

ანდა:

ხევსურმა თქვა: ქალასაო
ძირს დავუგებ ჩალასაო,
ნელა-ნელა შავაპარებ,
არ დავატან ძალასაო.

ანაც:

ცოლეურთავს მორბის ბიჭი, დაღამდა და დაჰკრა ბინდი,
წინ დათვი შემოეყარა, – ყელფარღელა, მეტად დიდი.
„დაჯექ, დათო, პური ვჭამოთ, შევატანოთ რკო და შვინდი“...
„მაშინ მაგას არ მეტყოდი, ხელთ რომ გქონდეს შენი
მშვილდი!
ეხლა ეგრე გამიშვიხარ, საკვლაოდ კი – გამიფრხილდი!“.

ერთიც – სამჯერ ამოიწერა, შეადარა, შეასწორა და დაფიქრდა. სამჯერ ამოწერილ გამოცანას ერთხელ ციტირების უფლება ნამდვილად ეკუთვნის:

შენ ხის წვერზე ჩიტი გჭამდა, გიდლით ჩამოგიტანეო,
საწნახელში რომ ჩაგყარე, ფეხით გამოგიყვანეო,
ჭურში რომ ჩაგარიკრიკე, ხაპით ამოგიტანეო,
თავიც კარგად მოგიკეთე, სასულეც დაგიტანეო...
ამდენი პატივი გეცი, მათრობ – არ გამიტანეო!

იქნებ არც ორტაეპიანები დაეტოვებია ამოწერილების ნაკრძალში:

მეზობელო კარისაო,
სინათლე ხარ თვალისაო!
–
ვისიც ჭერი მაღალია,
ისიც მისი მაყარია.
–
გაუყიდავს მამული,
უყიდნია ხრამული.
–
ვაი – შენ და უი – მეო,
რძალი შენ და მული მეო.
–
შენ რა გინდა, ჩემო ქმარო,
მე რომ ჩემი მოვიხმარო?!

ამოწერილებში მრავალ კატრენს ექიმის „Cito"-სავით წააწერა – „წინასიტყვაში!", მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მხოლოდ ხუთი მოიხმო და წიგნში გადაგვიწვია: „თუ ამ გზას დავადექით, მთელი წიგნის წინასიტყვაში ციტირება მოგვიხდებაო". ჩვენ ამგვარ ბედნიერებას მოკლებულები ვართ და სხვაგან ვეღარსად გაგიმასპინძლდებით. არადა, მეტად მომხიბლავი და მაცდუნებელი სუფრა აგერაა გაწყობილი:

დაკვეხნებაზე ნუ იყვას,
ლამფა არ მინდა ქალსაო,
თვალ-პირის სინათლეზედა
დავხკერავ საკერავსაო. –

და არა და არ ცხრება სურვილი – მეტი და მეტი მოწონებული შემოვიტყუოთ ამ ფურცლებზე და ამ წიგნის გარეკანში მოვაქციოთ, რაც შეიძლება მეტი ლებანიძისეულები გადავარჩინოთ – ერთადერთები და აშკარად უკეთესები. ისიც

კი გავიფიქრეთ, დამატების სახით მთლიანად დაგვერთო ამოწერილებსა და გადაუბეჭდავებს შორის შეყოვნებულები, მაგრამ მაშინ მეორე ახალი წიგნი გამოგვივიდოდა. ამიტომ კიდევ, ორიოდე კი არა, ორად ორი ვიკმაროთ:

გადაურჩა ყიზილაი წუთისოფლის მახეებსა,
დაგვიბერდა, სიბერეში ლექსებს ამბობს მკვახეებსა:
დაკოხტავდენ ჯეილები, ქალებს ჰგვანან კახპეებსა,
არ ირჩენენ წვერ-ულვაშსა, დაიფხეკენ სახეებსა,
ხვარცა დარჩა ბეწვის ძირი, წინ დაიდგმენ სარკეებსა,
ყველა გაძველჩინოვნიკდა, დაითრევენ ჩანთეებსა,
თუ ვინ ფშაველის შვილებია, ვინ შაატყობს მაგეებსა,
ქალებს აკეთებინებენ სავაჟკაცო საქმეებსა,
შინ მაშინღა შაგიშვებენ, თუ წაიძრობ წაღეებსა.

–

იმერელი ვარ, ყვითელი
ზურგზე მკიდია გიდელი,
შიგ მიდევს მჭადის ნატეხი,
თოხი მაქ გასაყიდელი...

საცა თბილი ღომი –
მე იქ ვიცი ომი!
საცა ქალი ფუნთუში –
მე იქ ვიცი კუნტრუში!
საცა ხმალი შიშველი –
მე იქ ვერას გიშველი!

ალექსი ჭინჭარაულის კრებულში მოსწონებია „ახავაი და მწარეა“, მაგრამ:

– ეს კარგი ლექსი ხალხური არ არის, არ შეიძლება ხალხური იყოს!

მეშვიდე ტომში დაუწუნებია – „დღე და ღამით ოფლს ვიწურავ“:

– ეს არ არის ხალხური ლექსი, ვიღაც ნაკლები ხარისხის „პოეტის“ ნახელავია.

მეხუთეში – „გზა დასცალეთ, თანაც მოგვინათლეთ“:

– საოცარია! რა სჭირს ამას ხალხურის?

მესამეში კი – „ვისაც რა უნდა, ისა თქვას“:

– აკაკის ლექსის ხალხური ვარიანტია.

იქვე – „ბელაქნიდამ წამოვიდა“:

– თანამედროვე კაცისგან ნაკეთებს ჰგავს ეს ლექსი.

„თანამედროვე ლექსების“ ბოლო მეთორმეტე ტომის უმრავლესობა გადაშლილია და გადაჭედილია მინუსებითა და კითხვის ნიშნებით, „შემკობილია“ მკაცრი ეპითეტებით და ზოგჯერ დაწუნებული ლექსის დაწუნებულ სტრიქონსაც ცალკე უზის უარყოფითი ნიშანი. „სატფიალოთა“ ციკლის ორად გადაშლილი გვერდების სრულიად გადაშლილ ბოლოში კი:

– აქ არცერთი ლექსი ხალხური არ არის!

ტომში ობოლი მარგალიტივით ბრწყინავს „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“, რომელიც გამოაცალკევა და ეპიგრაფივით წარუმძღვარა მთელს წიგნს.

ვახუშტი კოტეტიშვილის „ფოლკლორული რვეულების“ პირველ კრებულში იოსებ ბაიაშვილის ლექსები ჩვეული ყურადღებით შეურჩევია-შეუფასებია 1993 წლის 27 დეკემბერს:

– საერთოდ ნიჭიერი კაცია იოსებ ბაიაშვილი. ჩემი „შედევრებისათვის“ (თუკი სახალხო მთქმელს საერთოდ შევიტან შედევრების წიგნში) აქ სამი ასეთი პლიუსით მაქვს აღნიშნული რამდენიმე ხალისიანი ლექსი. ეგ არის და ეგ. მეტი ჩხრეკა-ძიება აღარ დამჭირდება ამ წიგნში. ისე, რა თქმა უნდა, კარგი საქმე გააკეთა ვახუშტიმ. იყო ეს წიგნი გამოცემის ღირსი. სხვა „რვეულებსაც“ გავსინჯავ, თუკი გამოსცემს.

ამ კრებულში ერთი სამვარსკვლავიანი „წუთისოფლის სურათი“ ასე შეუფასებია:

– ეს არ არის საჭირო „შედევრებში“. მაინც პოეტის დაწერილია.

მეორე მოწონებული სამპლიუსიანიც – „ტიალო წუთისოფელო“ არ შეუტანია:

– ჩვენ არ გამოგვადგება!

ბოლოს და ბოლოს, ორი ამოუბეჭდავს სალაღობოთა ციკლში: „ბაიაშვილ ავად გახდა“ და „ბაიაშვილ ქვაზე დაჯდა“.

– ვცადოთ „კოკტეილი“ ამირანიდან, – მიუწერია ვახტანგ კოტეტიშვილის კრებულის ფორზაცზე და ტექსტში მხოლოდ ოთხი ფრაგმენტისათვის გაუმეტებია დადებითი ნიშნები.

კიდევ უფრო მკაცრად წაუკითხავს „ეთერიანი“ ელენე ვირსალაძის შედგენილში და სამიოდე პლიუსი დაუსვამს:

– მოკლედ „ეთერიანი“ სრული უმწეობაა!

აქვე სამი პლიუსის შემდეგ „ირინოლას“ დავით წერედიანის გადმოქართულებულზე მიუნიშნებია:

– თუ წავიდა სვანურ-მეგრულები!

„არსენას ლექსი“ ბოლოსთვის შემოუნახავს და ჯერ კიდევ არ ჰქონდა „ჩარხში მოყვანილი“. თავიდანვე სამი პლიუსი დაუსვამს ამავე კრებულში და მიუწერია: „სამუშაოა!“. ერთადერთი სახელდახელო გასწორება კი მოუსწრია მეთორმეტე ტომის არეზე გაურითმავი სტროფისა:

ეს არსენა რა გაგვიხდა, რა არის მაგისთანაო?
ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისთანაო!

და:

ბიჭო არსენავ, რა მიყავ, რა (წერამ) აგიტანაო!

ოღონდ ამ გასწორებისას, აშკარად ნაგულისხმევი ორმარცვლოვანი „წერამ“ გამოუტოვებია, იქნებ იმის გამო, რომ შიდა რითმა – „რა მიყავ – ყმა იყავ“ – იკარგებოდა?!

მეორე ტომის წინასიტყვაში ხაზგასმით მოუნიშნავს ის ფრაგმენტი, სადაც საუბარია „არსენას ლექსის“ ერთი სტრიქონის შესახებ: „შვიდ წელიწადს **ტყვეთ** იარა“ და „შვიდ წელიწადს **ტყეთ** იარა“ და, ცხადია, ეთანხმებოდა და აპირებდა ამ აშკარა შეცდომის გასწორებას.

რაკი სარჩევში „არსენას ლექსისათვის“ ოცი გვერდი გაითვალისწინა, როგორც ჩანს, ბესიკ ხარანაულისეული სტრიქონთა რვამარცვლოვანი გრაფიკა ამჯობინა, მით უფრო – მეორე სარჩევში ამ გამოცემის გვერდი მიუთითა:

– „არსენას ლექსი“ 437 გვერდიდან.

ისე, არსენას ლექსად მონათლული პოემა იმდენად არათანაბარია, რომ აშკარად მოითხოვს ოსტატის ჩარევას და, სამწუხაროდ, შესანიშნავი შესაძლებლობა დაიკარგა.

თორმეტტომეულის მეთერთმეტე ტომში „არსენას ლექსის“ ვარიანტული სხვაობები რატომღაც ძალიან მწირადაა აღნუსხული, უფრო სწორად – გვიანდელი გამოცემები სრულიათ უყურადღებოდაა დატოვებული. ჩვენ ამ გამოცემათა თითქმის ყველა ტექსტი შევადარეთ ერთმანეთს და უპირატესობა არცერთისათვის არ მიგვინიჭებია. თვალში საცემი რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი კი გავასწორეთ – სამი ჩატეხილი სტრიქონი და ამდენივე გაურითმავი სტროფი: ჩატეხილებიდან ორი ამოვიღეთ და ერთი პოემიდანვე ნასესხები ნახევარტაეპით შევავსეთ. ერთი გაურითმავი წავშალეთ, მეორეს კვლავ პოემის შესაბამისი ტაეპი მივუსადაგეთ და მესამე შემთხვევაში შემდგენლის ზემოთ მოხსენიებული გასწორება გავითვალისწინეთ.

მეათე ტომში „მთიბლურები“ დაუხარისხებია და თავისთვის ჩაუნიშნავს:

– თინა ოჩიაურს შევხვდეთ. მის წიგნს გავეცნოთ.

მეოთხეს ტიტულზე მართკუთხედში ჩაუსვამს და ჩაუწერია:

– „მასალები ქართული ეთნოგრაფიისათვის“. ტ. III. ლევან მუსხელიშვილის რედაქტორობით, გიორგი ჩიტაიას წინასიტყვით.

ირაკლი გოგოლაურის „ხმით ნატირლების“ წინასიტყვაში ყურადღება მიუქცევია ბოლო აბზაცისათვის:

– ამჯერად კრებულში ყველა ტექსტი ვერ მოთავსდა. მათი სრული სახით გამოცემას მომავლისათვის ვიმედოვნებთ.

და იქვე მიუწერია:

– ვკითხოთ ირაკლი გოგოლაურს, ვარგა თუ არა ის დარჩენილი მასალა – ხარისხი მისი.

ანდაზებიც კი არ დაუტოვებია უყურადღებოდ: მეშვიდე ტომში ჩვეულებრივ გადაუხაზავს ერთსტროფიანი „ალალის შიშით ვერ ნავა“. ვერც თედო რაზიკაშვილისა და ვახტანგ კოტეტიშვილის ვარიანტებს დაუმსახურებიათ ყურადღება. თედო სახოკიას „ქართული ანდაზებისეულს“ კი პირველი წაკითხვისთანავე სამი ცისფერი ვარსკვლავი მოუპოვებია და მეორე წაკითხვისას – კიდევ დიდი წითელი ვარსკვლავი:

ალალის შიშით ვერ წავა
ნიბლია ჯვარობასაო
და, თუ რომ გაიპარება,
ვერ იტყვის გალობასაო.

ამ მეტად საინტერესო კრებულში მეორეც შეურჩევია და გაუსწორებია, ოღონდ, სამწუხაროდ, წიგნში აღარ შეუტანია:

აგრე ნუ იზამ, ხუცესო,
საქმე არა ქნა უწესო,
თორემ ეგ შენი ნაქნარი
შენსა შვილსაცა უწევსო.

ანდაზების მიხედვით ცალკეულ სტრიქონებსაც ამოწმებდა და აზუსტებდა.

„წაწლობა" – დაუსათაურებია და ამოწერილებიდან თერთმეტი ერთეული დაუსახელებია. როგორც ჩანს, ეცოტავა:

– ვინაიდან ძალიან ცოტაა, ცალკე გვერდები დაეთმოს წაწლობას სალაღობოში.

გადაბეჭდვის უფლება კი მხოლოდ ორმა მოიპოვა, ცხრა ამოწერილებში დარჩა. მათ შორის:

ცოლი სჯობია ნაწალსა,
წაწალი ფეხზე მკიდაო,
წაწალს ფერება სჭირდება,
ცოლს კი არარას ვკითხაო.
–
ქვრივ შარცხვეს, ქმარსა ტიროდეს
წაწლიან-ძმობილიანი,
მერე – ისეთა კაციცა,
წაწლობდეს ცოლ-შვილიანი.

ერთგან სხვათა შორის ჩაუნიშნავს:

– ფშავ-ხევსურული უწმაწურები. I ტომი – აკაკი შანიძის უწმაწურები.

სხვა დროს ალექსი ჭინჭარაულისაგან გამოუთხოვია და პასუხად 9 ერთეული მიუღია. აქედან შვიდი მოსწონებია და ოთხი ამოუწერია. მერე დიდ დავთარში ხუთ გვერდზე ჩაუწერია „უწმაწურები (კაფიები საერთოდ)". საბოლოოდ თაბახის სამ ფურცელზე 18 ნიმუში ჩამოუწერია ორ სვეტად. ბუნებრივია, უწმაწურების ციკლი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებულსავე სიფრთხილეს მოითხოვს. და რაკი გადაწერილები აღარ თუ ვეღარ გადაუბეჭდავს, ჩვენთვის უცნობია საბოლოო გადაწყვეტილე-

ბა. და თუმცა ტექსტზე მუშაობა დასრულებული არ ჰქონდა და თვით სასტამბო პროცესშიც გააგრძელებდა, საკმაო ყოყმანის შემდეგ რამდენიმე უკიდურესი მაინც გავიმეტეთ, შედარებით უწყინარები კი სალაღობოთა შორის შევაპარეთ. ერთსაც, ჩვენ შორის დარჩეს და, აქვე გაგიმხელთ და წაგაკითხებთ:

დრო იყო და ბიჭი ვიყავ,
ღვინოს ვსვამდი ჭინჭილითა...
ახლა ფეხზე ვერ ვაყენებ,
ქე მიგდია ჭინჭივითა.

სხვათა შორის, ხსენებული დიდი დავთრის მომდევნო თავისუფალ ფურცელზე ხალხური წარუმძღვარებია:

ბერიკაცი – თვრესო!
ვაჟკაცს – ცოტა ხვდესო!

და საკუთარი წამოუწყია:

გავბმულვარ ჩიტი მახეში,
გავლოთებულვარ სიბერეში:
მიყვარს რქაწითელი კახეთში,
ცოლიკაური – იმერეთში...

ხოლო თუ არაყიც უცდია,
თუ ღვინო არცერთი არ აქვს,
მურმანი ჯანმრთელობით სუსტია
და თაფლში აზავებს არაყს.

ცხადია, ამჯერად ნიშანი აღარ დაუსვამს. ერთხელ კი სასკოლო ტერმინოლოგია გამოუყენებია კოტეტიშვილის კრებულში („ნატვრა“):

– „სამიანს“ ვუწერ!

და აგრძელებდა გამოცდებს: მოწონებულ და ამოწერილ ლექსებსა და სტროფებსაც კი უწერდა ნიშნებს და საბოლოო გადამოწმების შემდეგ გადაბეჭდავდა.

ასეთი ხანგრძლივი შეფასება-გადაფასებისა და გასხლვა-გამარგვლა-ჩარხში მოყვანის შემდეგ დაიწმინდა ხალხური შედევრები, რომლის შემდგენელმაც თითქმის თანაავტორობა იკისრა:

– აქედან კარგი ლექსი გამოვა, თუ რა თქმა უნდა, თავისუფლად მოვიქცევი, – ასეთი განაცხადით თითქოს თავი გაიმართლა, და აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: „თავისუფლება" ცალკეული ლექსის ხარისხისა და პოპულარობის საპირისპიროდ იზრდება.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობია და, მეც წავაქეზე: შემოქმედი ხალხის ერთი წევრი შენცა ხარ და ერთი ხმის უფლება შენცა გაქვს, ოღონდ – ერთისა და არა მეტის-მეთქი. როგორც ტარიელ ჭანტურია ბრძანებს, ამგვარი „ცოდვა" მასაც ჩაუდენია. თუმცა მურმანს მტკიცედ არჩეული პრინციპი ჰქონდა და აზრს ვერავინ შეაცვლევინებდა. ამავე დროს, როგორც დავინახეთ, ვერ იტანდა „საუკუნეთა განმავლობაში" პროფესიონალისა თუ არაპროფესიონალის ჩარევას. მაგრამ შევადაროთ:

ვინც მე მამივლის, დამმარხავს,
ცოლით, რაშიც ალალ მისი.

და

ვინც მამივლის, ვინც დამმარხავს,
ცოლიც, რაშიც ალალ მისი, –

და იქნებ სატიტულო ფურცელზე ერთი სიტყვა კი არ დავაწეროთ ამ წიგნს, არამედ სამი: აღადგინა, დაადგინა და

შეადგინა მურმან ლებანიძემ, რომელმაც როგორც მოსალოდნელი იყო, გალექსა აგრეთვე პოპულარული ქართული ზღაპრები – „ნაცარქექია", „წიქარა", „ნახევარქათამა" და „დედაბრის ქისა".

და მაინც, ეჭვი არ მეპარება, მეორე წიგნს მეტი ოპონენტი გამოუჩნდება, ოპონენტები, რომლებსაც ალბათ გააღიზიანებთ, როგორც თვითონ ამბობს, შემდგენლის „ენობრივი ხასიათის – ერთი შეხედვით უკანონო – განზრახვები".

მაგრამ შედეგმა უნდა გაამართლოს საშუალება, შედეგი კი უმაღლეს დონეზეა მიღწეული.

თვითონაც ამავე აზრისა გახლდათ. როდესაც გამომცემლობაში დედანი წარმოადგინა, ყველაფერი დაივიწყა: ორი საათი იჯდა და ისეთი აღტაცებით წარმოსთქვამდა გზადაგზა შერჩეულებს, გეგონებოდათ, პირველად კითხულობსო:

დილით მზე ამოკაკუნდა,
მარსკვლავებს გააქვთ ჭრიალი...
ქვეყანაზე რამდენია
გიჟი და ოხერტიალი, –

რამდენიმეჯერ წაიკითხა და რამდენიმეჯერ გაიმეორა:

– საიდან? როგორ? ვინ მოიფიქრა და მოიაზრა: „დილით მზე ამოკაკუნდა, მარსკვლავებს გააქვთ ჭრიალი?!".

„სიკვდილის მეტი ხელს ვერაფერი შემიშლის – „შედევრების" მეორე ტომი ხალხური პოეზიის დიდი წიგნი იქნება – წიგნი, რომელზედაც მთელი ცხოვრება ვმუშაობ", – დაგვპირდა პირველი წიგნის წინასიტყვაში და გაიმეორა მეორეს წინასიტყვაობაშიც, და იქვე დასძინა: „ისე ყოველი კეთილი განზრახვა-ჩანაფიქრი აგვხდენია, როგორც „შედევრების" მეორე ტომი ხელთა გვაქვს და დღეს, სხვისას ვერაფერს გეტყვით, ჩემს სიხარულს კი საზღვარი არა აქვს".

საბედნიეროდ, მეორე წიგნი გაასრულა და ჩააბარა გამომცემლობას, მაგრამ, სამწუხაროდ, პრივატიზებულმა გამომცემლობამ ვერა და ვერ დაასრულა კარგად დაწყებული საქმე.

ბოლოს შევთავაზე: იქნებ რუსთაველის საზოგადოებამ დააფინანსოს ეს ყოველმხრივ მომგებიანი ტომი-მეთქი, და შევთანხმდით კიდეც...

მაგრამ მაინც „სიკვდილმა ჩამოიარა“ და საკუთარი თვალით ვერ იხილა, ხელი ვერ შეავლო მთელი ცხოვრების ნაღვაწსა და ნაოცნებარს, რომელსაც ნახევარი საუკუნე თავისთვის აგროვებდა და ჩვენ ანდერძივით დაგვიტოვა.

დაგვიტოვა პირველი წიგნის სანიმუშო მოდელი და მეორე ტომის საბეჭდი ქაღალდის „მაკეტის მონახაზიც“ კი: შესაბამისი ფორმატის დიდ ფურცელზე ანაწყობის ნატურალური ზომის მართკუთხედები ჩაუხაზავს და ოთხად დაუკეცავს, როგორ სტამბაში ამზადებენ ბეჭდვის წინ:

– რულონი 70. ჩამოსუფთავდება 2 სმ. მანქანაზე საბეჭდად გავა 68 სმ. 68:4=17 სმ. ხაზი 7 კვადრატი. ხაზებამდე 11,5 კვადრატი.

მთელი ტექსტიც საკუთარი ხელით ჯერ ამოწერა და მერე გადაბეჭდა: თორმეტი ციკლი თანამიმდევრობით განალაგა – გვერდი გვერდს ემთხვევა. სარჩევები ცალ-ცალკე შეუდგინა და მთელი მოცულობა გათვალა – საკომპიუტეროდ: ტექნიკური რედაქტორიც კი აღარ შეაწუხა და მეგობარ მესტამბეებსაც წაეხმარა.

წაგვეხმარა: როდესაც წიგნების ნაბეჭდ გვერდებს ფერადი პასტებით აჭრელებდა, ცოლმა უსაყვედურა და: დაგჭირდებაო, – დაამშვიდა.

დაგვჭირდა და დაგვაფიქრა კიდეც: ბედნიერი ვარ, რომ ჩემი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი საგამომცემლო-სარე-

დაქტორო გამოცდილება ასეთ შემოქმედებით მოვლენას შეესწრო (ნუ შეგაშინებთ ეს თამამი სიტყვა!). ერთია, როდესაც შთაგონებული დიდოსტატი თავისი ქმნილების დაბადებით შეცნობილ ნეტარებას განიცდის („მქონდეს გირვანქა პური, ოღონდ ნეტავი დილიდან საღამომდე მამუშავა“ – გალაკტიონი), და სულ სხვაა, როდესაც საკუთარი ნება-სურვილით კისრულობს უდიდეს ინტელექტუალურ და ფიზიკურ დატვირთვას საუკუნეთა მიერ დაბზარული იმ ტაძრის აღსადგენად, რომელსაც მისი სახელი არ ერქმევა:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს:
რატომ კარგი აგიგია...

მრავალი წიგნი შეადგინა და გამოსცა: თავისი, თავის მეგობრებისა, სრულიად ახალგაზრდათა, გარდაცვლილების, კლასიკოსების (ერთიც დაუბეჭდავი დარჩა – გალაკტიონის პროზა). უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: თხუთმეტ წალიწადს გაისარჯა და ბოლოს და ბოლოს, შეადგინა. აღადგინა, დაადგინა და შეადგინა. **შეადგინა და... ვეღარ გამოსცა მურმან ლებანიძემ.**

2003

მისალმება და გამოთხოვება

„ნაკადული“

როდესაც გამომცემლობა „ნაკადული“ დაარსდა, მე ექვსი წლის გახლდით, ამდენად წერა-კითხვა „ნაკადულის“ წიგნებმა მასწავლეს და ახლა, როცა გამომცემლობას სამოცი წელი შეუსრულდა, მინდა მადლობა გადავუხადო მას – „ტომ სოიერის თავგადასავლისათვის“, „ბიძია თომას ქოხისათვის“, „მაგდანას ლურჯასათვის“, ქართული ზღაპრებისათვის, „გიქორისათვის“, რომლის ყოველი წაკითხვაც ცრემლებს მგვრიდა... შემდეგ და შემდეგ მადლობა კიდევ – „ჩვენი საუნჯისათვის“, ქართული პოეზიის ჩვიდმეტტომეულისათვის, „საბავშვო ბიბლიოთეკისა“ და „ქართული მწერლობისათვის“, რომელთა გამოცემა დღესაც გრძელდება...

მინდა მადლობა მოვახსენო გამომცემლობას პირადად, როგორც ავტორმა: „ნაკადულმა“ ორჯერ დაბეჭდა ჩემი „უცნობი“. სხვათა შორის, 1988 წლის პირველ გამოცემას, რომელიც 40 ათასი დაიბეჭდა, მაშინ ცოტა გამბედაობაც სჭირდებოდა, რადგან ჯერ კიდევ ძალაში იყო ზემოდან დარეკვის პრინციპი და „უცნობის“ ბეჭდვა რამდენიმე წლით ადრე „მნათობის“ ფურცლებზე აკრძალეს...

დღეს მე „ნაკადულს“ უნდა მივესალმო აგრეთვე გამომცემლობა „საქართველოს“ სახელითაც. „ნაკადული“ „სახელგამის“ – დღევანელი გამომცემლობა „საქართველოს“ – მემკვიდრეა, სახელოვანი მემკვიდრე. იგი ამ გამომცემლობის

საბავშვო ლიტერატურის სექტორის ბაზაზე შეიქმნა. ჩვენ ათეული წლების მანძილზე ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, კარის მეზობლები ვიყავით და, როგორც იტყვიან, ერთმანეთისთვის და ერთმანეთისგან მარილი გვისესხებია და ჩაგვისესხებია...

ახლა ქართულ წიგნს უჭირს, განსაკუთრებით უჭირს „ნაკადულს", რადგან მისი გამოცემები უფრო ძვირი ჯდება. ჩვენში ძალიან ნელა მკვიდრდება მეცენატობა, სრულიად არ არსებობს წიგნის მეცენატობა. ამ ცოტახნის წინათ „ნაკადულის" დირექტორმა ბესიკ ხარანაულმა გულწრფელად მიმართა ქართველ ბიზნესმენებს და მე ხმას ვუერთებ მის თხოვნას: ქართველო ბიზნესმენებო, გახდით შესანიშნავი წიგნების თანაავტორები, გახსოვდეთ, წიგნის ავტორისა და მისი დამფინანსებლის – თანაავტორის სახელს საუკუნეები ინახავენ. გაიხსენეთ ქართველიშვილის გვარი, გაიხსენეთ ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი"...

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ამერიკელი გენერალი მალხაზ ჯონ შალიკაშვილი ეწვია. აფხაზეთზე საუბრისას მან ერთი საგულისხმო ფრაზა წარმოსთქვა: ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ ჩვენს შვილებზე, ვიდრე ჩვენს წინაპრებზეო.

დღეს, როდესაც ქართული წიგნი გადასარჩენია, ჩვენ უფრო მეტად და ხშირად უნდა ვიფიქროთ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების წიგნებზე, და არა მარტო უნდა ვიფიქროთ, არამედ უნდა ვიზრუნოთ კიდეც.

როდესაც გემი იძირება, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების გადარჩენაზე ზრუნავენ. დღეს ქართული წიგნის ხომალდი იძირება...

1999

„ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება“

ორმოცი წლის „ცისკარი“

ახლა საქართველოში მრავალი ლიტერატურული ჟურნალი და ალმანახი იბეჭდება და, რაც მთავარია, აღარ არსებობს ცენზურა. ამიტომ ძნელი წარმოსადგენიც კია ორმოცი წლის წინანდელი შემოქმედებითი ცხოვრება.

ათეული წლების მანძილზე ქართველი მწერლები ერთადერთ „მნათობს“ შეჰყურებდნენ, არადა, დიდი დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ შედარებით გათამამებული ნიჭიერი ახალგაზრდობა გუტენბერგის დახმარებას მოითხოვდა. და მან უდაბნოში აუზი იპოვა.

„ცისკარი“ ოდენ ჟურნალი არ გახლდათ: ლიტერატურულ სალონში არამარტო მწერლები იკრიბებოდნენ, მაშინ, როდესაც ქუჩაში შეყოვნებულ სამ კაცს მილიციელი აჩქარებდა: გაიარეთ!

გარეშე თვალის ფხიზელი ყურადღება მაინც არ აკლდა „ცისკარს“ და მან ბევრი ნაღდი ნაწარმოები არა მარტო მოიპოვა, გადაარჩინა კიდეც.

პირველი ცისკრელების ანუ სამოციანელების წარმატებამ განსაზღვრა და განაპირობა ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრული აზროვნების განახლება.

უახლესი უცენზურო ასპარეზი კი ახალ ტალანტებს უხმობს!

1997

მივესალმები „ბიჭო გოგიას“!

მოგილოცავთ! მე ვიცნობ თქვენი საჯარო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და მომწონს თქვენი კიდევ ერთი ახალი წამოწყება. როდესაც ქუთაისის ვაჟთა პირველ სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენ გამოვეცით ხელნაწერი ჟურნალის ერთადერთი ნომერი. მე გახლდით ამ ჟურნალის რედაქტორი, მხატვარი და ერთ-ერთი თანაავტორიც. მახსოვს, როგორი აღტაცებულები ვიყავით და როგორ მოგვიწონეს პედაგოგებმა. ამიტომაც კარგად წარმომიდგენია თქვენი სიხარული.

ჩოხატაური ჩემი დედულეთია, სადაც ბავშვობისა და სიყმაწვილის ყველაზე ლამაზი დღეები, თვეები და წლებიც კი გავატარე. ამდენად განსაკუთრებით მახარებს თქვენი ყოველი წარმატება.

ძალიან მომწონს თქვენი გაზეთის სახელწოდება. როგორც წიგნებში ამოვიკითხე, მოლაღურს სალამურივით ტკბილი ხმა აქვს, ქართველებს გამორჩეულად გვიყვარს ეს პატარა ჩიტი და ამიტომ „ბიჭო გოგიას“ ვეძახით. იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარში“ შეიტანა რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში“. ჩვენც სკოლაში ზეპირად გვასწავლეს ეს ლექსი და დღემდის მახსოვს:

ჭინჭველები ველს მოედვნენ,
თითქოს რაღაც ჯოგიაო,
მოლაღურიც გაიძახის
მაღლა: „ბიჭო გოგიაო!“.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! დაე, თქვენი ჩანაფიქრი ისევე სასიამოვნოდ გაგრძელდეს, როგორც გულყვითელა მოლაღურის გალობა!

2009

ჩემი მეგობარი ნოდარი

ჩემო ნოდარ! სამოცდაათი მოგვიახლოვდა თურმე. უკან მივიხედოთ: ჩვენი გაუბზარავი ძმობა თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის კედლებში ორი კურსის ინტერვალი გვაშორებდა, ჩვენ უმალ მოვძებნეთ ერთმანეთი. მალე ჩვენს შორის მეფე ჩადგა: არასოდეს დამავიწყდება ის ერთი მშვენიერი დღე, როდესაც შენი სახელოვანი ბიძა მომიყვანე და გამაცანი. შენ იყავი ჩემი მთავარი მრჩეველი, მაშინაც, როდესაც გალაკტიონის უკანასკნელ საბედისწერო რჩეულს ვადგენდი და შემდეგ, როდესაც „უცნობს" ვწერდი. შენ ამ წიგნის მეორე გმირი ხარ და მადლობა ყოველივე ამისათვის. მადლობა შენი გალაკტიონოლოგიური ძიებებისათვის და გახსენებებისათვის, რომლებსაც მე ორიენტირებად ვიყენებდი. მადლობა შენს დიდებულ ოჯახს. დაუვიწყარია ჩემთვის მურმან ლებანიძესთან ერთად სტუმრობა ჭყვიშში, გალაკტიონის სახელზე დაკლული ნაკურთხი ცხვარი, ერთად გათეული მაისის ღამე და შენი თამადობა.

თუმცა გამოუსწორებელი ოპტიმისტი ხარ, ბევრჯერ გაგაფრთხილე და ახლა საქვეყნოდ გაგიმეორებ: ნუ დაგავიწყდება, რომ ყველა სიკვდილის შვილები ვართ და უკვე იმ ასაკსაც მივუახლოვდით, როცა მეხსიერებას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. შენ ხარ ერთადერთი თანამგზავრი გალაკტიონის უკანასკნელი წლებისა და დღეებისა, კიდევ მრავალ საინტერესო საიდუმლოს ინახავ უცნაური უცნობის ყოველდღიური ყოფისა, და უფლება არა გვაქვს – ეს განძი ერს დაუმალო.

როგორც კი ამ სტრიქონებს წაიკითხავ, გაათავისუფლე შენი სამუშაო მაგიდა, გვერდზე გადადე ყველა სხვა ჩანაფიქრი (სხვებს სხვებიც მოუვლიან) და – მხოლოდ გალაკტიონთან, გალაკტიონის გამო, გალაკტიონის ირგვლივ, მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონზე...

– ბიჭო, კიდევ გაჩერებული ხარ? ჩქარა!..

გეცნო ალბათ, ჩემო ნოდარ, ეს შენი ძვირფასი მამის სიტყვებია, ძმას რომ აქეზებდა.

შენც – ძმასავით გამიგე და დამიჯერე!

2001

სამოცდაათი წლის ზურაბს

ზურაბ კუხიანიძე ჩემი სიყრმის მეგობარია. სიყრმისა და სიჭაბუკის წლები ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი წლებია. ჩვენს მეგობრობას კი კიდევ უფრო ამძაფრებდა და ალამაზებდა ჩვენი საერთო გატაცება, ჩვენი საერთო საიდუმლო – პოეზია. და, მიუხედავად იმისა, რომ ომისშემდგომი შეჭირვება სუფევდა, სწორედ ეს საიდუმლო აწონასწორებდა ყველაფერს: ერთდროულად ველოდით პირველ პუბლიკაციებს, ერთმანეთს ვუზიარებდით ლიტერატურულ ჭორებს, ერთად გვიწვევდნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ერთად ვეძებდით და ვკითხულობდით აკრძალულ ლიტერატურას. მახსოვს: თითო ღამით მოვიპოვეთ ტიციან ტაბიძის ერთადერთი წიგნი და მთელი ღამე გავათენეთ, საკუთარ რვეულებში გადავწერეთ მთელი კრებული (ამის შესახებ ზურაბმა მშვენიერი ლექსიც დაწერა). მახსოვს: ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინეთ შემთხვევით გადარჩენილი ტერენტი გრანელის პირველი წიგნი. მაშინ საწერი პასტა არ არსებობდა, საჯაროში კი მელნის შეტანა აკრძალული იყო. ფანქრით გადავწერეთ და სახლში ხელმეორედ შემოვწერეთ მელნით. ვიღაცამ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი" წაგვაკითხა, სხვამ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები გვანდო, საიდანღაც სერგეი ესენინის ლექსებიც ვიშოვეთ. მოკლედ, შეთქმულებივით ვცხოვრობდით.

ჩვენი მეგობრობა განახლდა და გაგრძელდა მას შემდეგ, რაც ქუთაისში გამომცემლობის ფილიალი დაარსდა და საერთო საქმე გამოგვიჩნდა. ხანგრძლივი წლების განმავლობაში ქუთაისსა და თბილისს შორის დაატარებდა დედნებსა და ანაბეჭდებს ამ ფილიალის თავკაცი და ჩვენს ბიბლიოთეკებს ბევრი კარგი წიგნი შესძინა. ზურაბის ყოველი ჩამოსვლა ქუთაისის ნოსტალგიას მიმსუბუქებდა და, როცა იმერეთისაკენ ვაცილებდი, გულწრფელად მშურდა მისი.

ზურაბ კუხიანიძის ლექსებს განსხვავებული ინტერესით ვკითხულობ. სტრიქონებს შორის ჩემი სიჭაბუკის დეტალებს ვპოულობ და ამიტომაც განსაკუთრებით მომწონს მისი წიგნები.

სიყმაწვილე მძიმე წლებში გავატარეთ. სამწუხაროდ, არც სიბერეს უჩანს უკეთესი პირი და მაინც ჩვენს ძმობას დღესაც ალამაზებს ჩვენი საერთო სიყვარული – პოეზია:

მე რიკოთმა გზები გადამიტიხრა,
შენ რა გიჭირს: ქუთაისში მიდიხარ!
ქუთაისში არ მოუკლავთ ხოხობი,
ქუთაისში ყველს ვწონიდით ოყობით,
ვერთობოდით ავტო-მოტო-ველოთი
და თბილისის მატარებელს ველოდით.
შენ მიდიხარ, მიაბიჯებ ამაყად:
ჩემზე მშვიდად დაიძინებ ამაღამ,
გელის შენი ძველი გადასახვევი,
ჩემი – ქვასაც კი არ ჰქვია სახელი.
მე რიკოთმა გზები გადამიტიხრა,
შენ რა გიჭირს: სამოთხეში მიდიხარ!

2000

„სიტყვასაც გული ჩიტივით უცემს“

თანამედროვე ქართული პოეზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრს თავისი მესაკრავეები ჰყავს: ვიოლინოები, ჩელოები, ფლეიტები, კლარნეტები, საყვირები, ტრომბონები, ფაგოტები, ვალტორნები, ალტები, კონტრაბასი, ჰობოი, არფა და დასარტყამი საკრავი. უხილავმა მაესტრომ თითოეულის გვარი და სახელი იცის და თვალდახუჭული ენდობა მათ. მე კი ვიცი, რომ ერთი ამათაგანია შოთა ზოიძე, თუმცა ვერ გეტყვით – რომელი. აგერ რამდენიმე ათეული წელიწადია, მისი მელოდია სამხრეთ-დასავლეთიდან მოისმის და ყალბი ნოტი არასოდეს გამოერევა, რადგან კარგად იცის, რომ „სიტყვასაც გული ჩიტივით უცემს“ და „ყველგან თან ახლავს სინდისი, როგორც პირადი დაცვა“.

ბევრჯერ ავდარი მწევარივით წამოეწია და მიწისძვრასავით შეაბარბაცა წნევამ, – მაგრამ ეს ჯოჯოხეთი მაინც მისატოვებლად ვერ გაიმეტა, რადგან სიცოცხლე მისთვის უნდა, რომ აკვნისხელა მამული უყვარდეს და სვეტიცხოვლის ზარები დარეკოს, სულხან-საბას შეგირდივით და ერეკლე მეფის ჯარისკაცივით იცხოვროს და რაც სიძულვილში წააგო, სიყვარულში მოიმკოს.

და თუმცა შიშველი მეფის გვერდით პატარა ბიჭს ვერ ხედავს და ნაცნობ სადგურში შეჩერდა დარდის მატარებელი, თუმცა საყვარლის საფლავს კი არა – საკუთარ საფლავს დაეძებს, თუმცა ტაძარშიც დენთის სუნი ტრიალებს და საქართველოში საქართველო ენატრება ათი ათასჯერ დაჭრილ გულს, – მაინც სჯერა, რომ ფანჯრებში მზე შემოიხედავს და წყვდიადს შავი ძაღლივით გააგდებს გარეთ. მერე ზაფხული თავისით მოვა და ჩიტიც მოფრინდება პოეტის ოცნების სოფლიდან.

2007

მაღლობის ექვსი აბზაცი

ძნელია დავასახელოთ ქართველი მწერალი, რომლის წიგნიც გოგი წერეთელს არ გაეფორმებინოს. განსაკუთრებით პოეტებს სწყალობს. ლექსისა და წიგნის დიდოსტატმა – მურმან ლებანიძემ – უმალ აღმოაჩინა და სწორი არჩევანი გააკეთა: კარგახანია მხოლოდ და მხოლოდ გოგის ანდობს საკუთარ კრებულებს. პოეტმა და მხატვარმა ილუსტრირებული ლირიკის რამდენიმე ნატიფი ნიმუში გვისახსოვრეს.

თავის დროზე ბედმა გამიღიმა და ვიხილე მხატვრის ვიწრო სახელოსნო, უამრავი ესკიზი და ვარიანტი. მისი პოეტური გრაფიკა დიდი ძიების შედეგია და იმდენად ლირიკულია, ვერც კი წარმომიდგენია გოგი წერეთლის დასურთხატებული პროზა. თუმცა არსებობს ბედნიერი გამონაკლისი: რამდენიმე წლის წინათ შესანიშნავი ფერადი ილუსტრაციებით დაამშვენა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, რომლის დაბეჭდვაც ჯერ-ჯერობით ვერ მოვახერხეთ. მაგრამ, „ნატვრის ხეც“ ხომ აშკარა პოეტური გამონაკლისია?!

გოგი წერეთლის ნახატსა და შრიფტს ყოველთვის ვიცნობთ და გამოვარჩევთ. მაგრამ, ეტყობა, ორიგინალობასაც გააჩნია განსაზღვრული ვადა, რომლის შემდეგაც შტამპის საშიშროებას უახლოვდება. ნაღდი ტალანტი ამას დროულად გრძნობს, გრძნობს საკუთარი ხელწერის გადახალისების აუცილებლო-

ბას. გოგი წერეთლის უკანასკნელი წლების შრიფტმა ოდნავ სახე იცვალა, უფრო ხელნაწერისაკენ გადაიხარა.

მეორედაც გამიღიმა ბედმა: გოგიმ რამდენიმე წიგნი გამიფორმა. ახლახან ახალი ლექსები წაიღო და წაიკითხა. ველოდი და მაინტერესებდა: განახლებულ გრაფემას შემომთავაზებდა თუ არა. სიურპრიზი მომიმზადა: წიგნის სათაურის ერთადერთ სიტყვაში ორი განსხვავებული მანერა მოუნაცვლა ერთმანეთს – ათი ასონიშნის უმშვენიერესი კოლონა ააგო. გოგი გახლდათ ჩემი კონსულტანტი, როდესაც გამოცემა მხოლოდ პოლიგრაფიული და კომპიუტერული საშუალებებით გავაფორმეთ და, რაც მთავარია, მისი დახმარებით „გავაფორმებინე" გალაკტიონს ჩემი „უცნობი" – პოეტის კალგრაფიის, ავტოგრაფებისა და ნახატების გამოყენებით. ახლახან გალაკტიონის ობელისკის წარწერის შრიფტიც გოგისთან შეთანხმებით შევარჩიე.

ბედმა მესამედაც გამიღიმა: წლების მანძილზე გოგისთან ერთად ვიმსახურე „წიგნის სასახლის" ჭერქვეშ, ერთად ვფიქრობდით და ვზრუნავდით მრავალ კარგ გამოცემაზე.

უკეთილშობილესი პიროვნება გახლავთ, სანდო და სამეგობრო.

მადლობა – ყველაფრისათვის!

1994

ერემია სვანაძეს

ჩემო ერემო! ჩვენი სამოცდაათიც მობრძანდა. მე შემომრჩა მოყვარულის მიერ გადაღებული ფოტო: მე და შენ ერთმანეთის გვერდით ვდგვართ ჩვენი ვაჟთა პირველის ეზოში. ფოტოსურათის ხარისხი და ჩვენი ჩაცმულობა მეტყველებს, რა მძიმე წლებიც გამოვიარეთ, მაგრამ საჭაბუკე ყველაფერს იტანს და ალამაზებს. მეამაყება, რომ ყველაზე ძვირფასი წელიწადები ერთად გავატარეთ. მეამაყება შენი ყოველი წარმატება იმ თეატრის სცენაზე, რომლის აშენებაშიც უმცირესი წვლილი ჩვენც შევიტანეთ: თუ გახსოვს, ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც თეატრის მშენებლობა განახლდა, ერთ დღეს მთელი კლასი წაგვიყვანეს და წითელი აგურების საკმაოდ დიდი რაოდენობა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაგვაწყობინეს. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა და ჩვენ ოცდამეერთე საუკუნესაც მოვესწარით.

გათბილისებული და შეცოტავებული თანაკლასელების სახელით გილოცავ და გეხვევი და გკოცნი.

2002

უაღრესი კეთილშობილებით გამორჩეული

გალაკტიონის ხიდთან რომ წიგნის სასახლეა, იმ სასახლეში ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ გამომცემლობის ღირსეული მუშაკები. გამომცემლობამ სამჯერ შეიცვალა სახელწოდება და ოთხმოცი წელი იარსება. საქართველოში გამოცემული წიგნების უმრავლესობას მისი ემბლემა ამშვენებს.

ნახევარი საუკუნე წიგნის სასახლის კედლებში გავატარე და ვითანამშრომლე წიგნის სახელოვან და გამოცდილ ოსტატებთან: რედაქტორებთან, კორექტორებთან, მხატვრულ რედაქტორებთან, ტექნიკურ რედაქტორებთან, რომლებიც ეროვნული საქმეს ემსახურებოდნენ.

ქართული წიგნის ერთგულ მსახურთა შორის ერთ-ერთი პირველი უნდა დავასახელოთ ნათელა ინასარიძე, უაღრესი კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება, რომელმაც აქ გაატარა თითქმის მთელი ცხოვრება. მან გაიარა გზა კორექტორობიდან უფროს რედაქტორობამდე და საგამომცემლო საქმის ყოველგვარ ნიუანსს ჩასწვდა და დაეუფლა. ყველაზე დიდხანს ქართული მხატვრული ლიტერატურის რედაქციაში იღვანა, ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების მრავალი დედანი მოამზადა და ურედაქტორა. განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისხმიერებით მონაწილეობდა წიგნის გამოცემის მთელს პროცესში.

ნათელა ინასარიძის ხელდასმულ გამოცემებს შორის უნდა გამოვყოთ პავლე ინგოროყვას ტომეულები და ცალკეული მონოგრაფიები. ნათელა იყო უკანასკნელ წლებში პავლე ინგოროყვას ყველა გამოცემის შეუცვლელი რედაქტორი. ბატონი პავლე ნამდვილად არ შემცდარა თავის არჩევანში. იგი მეტად სასურველი და საინტერესო, მაგრამ საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი ავტორი გალდათ. ნათელა ინასარიძის მშვიდი და მეტად ტაქტიანი განწყობილება ზუსტად ეთანხმებოდა პავლე ინგოროყვას ინდივიდუალურ და დაძაბულ სტილს. თუმცა ერთხელ რედაქტორის საკმაოდ შეუპოვარი შეპასუხებაც მახსოვს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ და უკანასკნელად.

ცალკე უნდა აღინიშნოს ნათელა ინასარიძის პიროვნული ღირსებები, რომლითაც ავტორებისა და თანამშომლების საერთო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა. სამაგალითო მოკრძალებით ყველას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა და ხშირად აწონასწორებდა არცთუ იშვიათად გართულებულ სიტუაციებს.

მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ნათელა ინასარიძეს. ვინც ნათელას იცნობდა, ვერ მეტყვის, რომ ამქვეყნად უცოდველი ადამიანები არ არსებობენ.

2006

საქართველომ იცის

– სად კრძალავენ მურმან ლებანიძეს? – კითხულობენ ამ დღეებში დაინტერესებული მკითხველები და ეს შეკითხვა პასუხსაც გულისხმობს.

ვაჟა-ფშაველამ 23-წლიანი გამოცდა ჩააბარა.

მურმან ლებანიძე ძალიან ჰგავდა ვაჟა-ფშაველას და გამოსაცდელი ვადა თვითონ გაზარდა 30 წლამდე.

მაგრამ მთავარია არა სად, არამედ – ვინ?

ჩვენ დავკარგეთ არა მარტო დიდი პოეტი, არამედ – დიდი პიროვნება, რომლის სახელიც ბევრ მოძალებულ უკეთურებას აკავებდა.

იგი გახლდათ დიდ აუდიტორიებში ყველაზე დიდი სიმართლის მთქმელი და თავგამოდებული დამცველი.

სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა ხელობის ადამიანების მეგობარსა და ქომაგს პირადი ცხოვრებისათვის აღარ ეცალა.

მხოლოდ მან დაწერა და დაბეჭდა „რეპლიკა პოეტის დასაცავად".

როდესაც წიგნის სასახლეს ფულიანი უსამართლობა დაემუქრა, დაუყოვნებლივ დაუდგა გვერდით წიგნის ოსტატებს.

ნახანძრალი კედლებიდან რუსთაველის გამზირზე რუსთაველის საზოგადოება ააღორძინა.

მურმან ლებანიძის სტრიქონსა და ინტელექტს ასაკი არ დასტყობია. მისი შეუპოვარი ჩანაფიქრები მეორე ოთხმოც წელიწადს გასწვდებოდა.

სამწუხაროდ, დაუბერებელ სულს სხეულმა უღალატა.

სიჭაბუკიდანვე ხიფათიანი გზებით იარა. მარუხის უღელტეხილის შემდეგ ბევრი საბედისწერო უღელტეხილი დალაშქრა და რამდენიმეჯერ სიკვდილს თამამად ჩახედა თვალებში, თითქოს გაუშინაურდა კიდეც.

ბოლოს ციხე შიგნიდან გატყდა: ფიქრიას გარეშე ცხოვრებას ვერ შეეჩვია.

მურმან ლებანიძე არა მარტო ლენა ჭავჭავაძეს და ზაზა ლებანიძეს მოუკვდა, და არა მარტო ქართულ მწერლობას.

22 აგვისტოს მურმან ლებანიძეს დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ, – და საქართველომ იცის, ვისაც მარხავს.

2002

გზაზე ერთმა კაცმა გაიარა

პირველი რომანის გამოქვეყნების შემდეგ ოთარ ჭილაძე ლექსებს იშვიათად წერდა. ამ რამდენიმე წლის წინათ „მნათობში" ოთარის ახალი ლექსები წავიკითხე და ერთხელ კიდევ დამწყდა გული: ალბათ ორი ოთარ ჭილაძე უნდა გვყოლოდა: ერთს რომანები ეწერა და მეორეს – ლექსები.

ოთარ ჭილაძის ყოველი სტრიქონი, ყოველი რომანი უმკაცრეს მოლოდინებს ამართლებდა.

ამქვეყნიურ მაცდურ წვრილმანებს გაერიდა და სხვა საუკუნის მოქალაქესავით იცხოვრა.

მეამაყება, რომ ჩვენი უნივერსიტეტის „პოეტების ჯგუფიდან" – გზაზე ერთმა კაცმა გაიარა და მთაწმინდაზე ავიდა.

P. S. ახლახან ზაზა ჭილაძის მიერ თარგმნილი კენ კიზის რომანი წავიკითხე: ოთარ ჭილაძემ არა მარტო ოთარ ჭილაძის საშვილიშვილო ტექსტები დაგვიტოვა.

2009

სამწუხარო მშვიდობით

ამ სამიოდე წლის წინ მე და ჯუმბერ თითმერიამ საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ და ჩვენს შეკითხვა-შეპასუხებებს „დაგვიანებული დიალოგი" დავარქვით. დიახ, პურმარილივით დაგვიძველდა და დაგვიგვიანდა ჩვენი ხანგრძლივი კეთილგანწყობის „ოფიციალური გაფორმება" და ქაღალდზე გადატანა. მიუხედავად იმისა, რომ მე მთელი თაობით ვუსწრებდი ჩემს თანამოსაუბრეს, ჩვენ თავიდანვე გავუშინაურდით ერთმანეთს. მერე ექვს წელიწადს ერთ ჭერქვეშ ვიღვწოდით წიგნის სასახლის მეორე სართულზე. ჯუმბერი მკაცრად შეზღუდული პროფილის გაზეთს რედაქტორობდა, მაგრამ ახერხებდა და მისი „ქრონიკები" ლიტერატურულ-კრიმინალური უფრო იყო, ვიდრე კრიმინალურ-ლიტერატურული. ლიტერატურულ „კრიმინალს" კი იგი აქტიურად უტევდა, როგორც ტრიბუნიდან, ასევე პრესის ფურცლებიდან და ნანობდა, რომ გაზეთის გამოცემა შეუწყვიტეს. სხვათა შორის, გალაკტიონ ტაბიძემ, როცა საკუთარი ჟურნალი აღარავინ დაუფინანსა, ანალოგიურ შემთხვევას „სამწუხარო ნახვამდის" უწოდა.

ჯუმბერ თითმერია დიდი ლიტერატურული პროცესების ფხიზელი და დაუღალავი მეთვალყურე გახლდათ, მარადიული მკითხველი და არა გადამკითხველი. გესტუმრებოდათ, ჩანთაში ყოველთვის ახალი წიგნები ეწყო და ხელთ უსათუოდ გადაშლილი და გადაკეცილი გაზეთი ეპყრა. თუკი იმწამად

მისთვის არ გეცალათ, იქვე ჩარგავდა ცხვირს და მეტროში თუ ავტობუსის გაჩერებასთან შეწყვეტილი აბზაციდან გააგრძელებდა, წუთსაც არ გააცდენდა. მერე გულწრფელად და ემოციურად გაგიზიარებდათ თავის აღტაცებას თუ გულისწყრომას იმ ყოველდღიური მოვლენების მიმართ, რომლებიც ცხოვრების მდინარეს მოაქვს და მიაქვს. მისი დაუცხრომელი და მაძიებელი ალღო ისეთ ლიტერატურულ და არალიტერატურულ ქრონიკებზე მიგაპყრობინებდათ ყურადღებას, რომლებსაც სხვაგან და სხვისგან ვერ მოიპოვებდით. ამიტომაც მრავალი მისი პუბლიკაცია და ბევრი მისი თარგმანი აღმოჩენასავითაა. სიტყვამ მოიტანა და ამ შემთხვევაში ერთი ავტორის ორი წიგნი უნდა დავასახელო: სალვადორ დალის „ერთი გენიოსის დღიური“ და „იდუმალი ცხოვრება“.

ექვსი წლის წინ „კრიმინალური ქრონიკის“ რედაქცია წიგნის სასახლიდან გადავიდა და, ბუნებრივია, პურმარილი ისევ დაგვიძველდა. საბედნიეროდ და სამაგიეროდ ჩვენი მეგობრული ურთიერთობა ჩვენმა ვაჟიშვილებმა გააგრძელეს, ჩვენზე უკეთ გააგრძელეს და ვეუბნებოდი კიდეც – ჩვენმა ბიჭებმა გვაჯობეს-მეთქი. აქვე არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო წარმატებული გამომცემელი ლევან ჯუმბერის ძე თითმერია. მეამაყება, რომ საგამომცემლო საქმიანობის წამოწყებისას მან ჩემი რჩევა-დარიგება დაისაჭიროვა...

გასულ წელს გურამ დოჩანაშვილმა უშიშროების კომიტეტის ერთი მუშაკი გამაცნო – ჯემალ ფოცხვერია, რომელიც დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ბატონი ჯემალი ადრე გარდაცვლილი ვაჟიშვილის მხატვრული ნაწარმოებების გამოცემის სურვილმა მოიყვანა გამომცემლობაში. როდესაც საქმიანი გასაუბრების შემდეგ, ჩვეულებრივად, საერთო ნაცნობები მოვიკითხეთ, საკმაოდ მრავალრიცხოვანთა შორის, ბატონმა ჯემალმა რატომღაც, ერთზე შეაჩერა

ყურადღება და მთხოვა, ჯუმბერ თითმერიას უნდა შემახვედროო. გასული წლის დეკემბერში ჯემალ ფოცხვერია ისევ ჩამობრძანდა თბილისში და თხოვნა გამიმეორა. დავურეკე ჯუმბერს და შევთანხმდით. 19 დეკემბერს, ლერი ჩანტლაძესთან ერთად შევიკრიბეთ. რაკი ჩვენი სერობა ჯუმბერ თითმერიას ეძღვნებოდა, რიყეზე მეგრულ რესტორანს ვეწვიეთ და თამადადაც ჯუმბერი ავირჩიეთ. ოთხკაციან სუფრას თავისი უპირატესობა აქვს, უფრო უშუალო და გულწრფელია. თამადამ საინტერესო და დასამახსოვრებელი სალამო გვაჩუქა. მოვეფერეთ ერთმანეთს და, როგორც იტყვიან, ცოტა უფრო ბედნიერები და ლამაზები დავუბრუნდით ჩვენს ოჯახებს. სიმართლე გითხრათ, ბატონი ჯემალის დაინტერესება კუთხური წარმომავლობით ავხსენი და ამაში არაფერია გასაკვირი. მაგრამ ჯემალ ფოცხვერია ჯიხაიშელი იმერელი აღმოჩნდა. ცხადია, მისი ყურადღება ჯუმბერმა თავისი პიროვნული ღირსებებით დაიმსახურა, იმ დაუცხრომელი შემართებით მიიპყრო, რომლითაც იგი გამოირჩეოდა.

სამწუხაროდ, დაუცხრომელი ადამიანები მოულოდნელად მიდიან ამ ქვეყნიდან და ამიტომაც უფრო მეტად დაგვწყვეტენ ხოლმე გულს.

2006

ქვიშხეთის ცაცხვების ჩრდილში

გურამ გეგეჭკორი დიდი ხნის წინათ გავიცანი – ქვიშხეთის ცაცხვების ჩრდილში. ზაფხულობით იგი ოჯახთან ერთად ხშირად ჩამოდიოდა ყიფიანების მამულში დასასვენებლად, და, როცა ვერ ჩამოვიდოდა, მთელი ქვიშხეთი მოიწყენდა და მაინც ელოდა გურამს.

გურამმა თავისი სახელოვანი წინაპრების ტრადიცია გააგრძელა, ფილოლოგიურ განათლებას არ დასჯერდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, თეატრალურ ინსტიტუტს მიაკითხა. იყო შესანიშნავი იმიტატორი, მაგრამ სცენას არ ელოდებოდა: ყოველდღე და ყოველ შემთხვევაში აფრქვევდა იუმორის მარგალიტებს, რომელთა ტექსტების ავტორიც უმეტესწილად თვითონ გახლდათ.

ბევრჯერ ვყოფილვართ საერთო შეხვედრებზე, სუფრაზე, მეგობართა წრეში, პოეტებთან ერთად. საკუთარ სერიოზულ ლექსებს არასოდეს კითხულობდა. არადა, საკმაოდ ნაყოფიერად იღვაწა. სრულყოფილად ფლობდა თანამედროვე ვერსიფიკაციის ხერხებს. მომეწონა მისი მეტაფორები, რატომღაც უპირატესად მთვარით შთაგონებულები:

მიმინოსავით ცერზე მყავს მთვარე...
როდესაც სული სავსეა მთვარით...
მთვარე ღამეს ჩაბარდა... – და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, მე ვიცნობდი გურამის ბაბუას, მეტად კოლორიტულ პიროვნებას, ბატონ ლადო გეგეჭკორს და ამ ორმოცი წლის წინათ მისი ლექსების პატარა კრებულის გამოცემაშიც მივიღე მონაწილეობა.

2009 წელს წავიკითხე გურამის ლექსები და გამიკვირდა: თხემით ტერფამდუ იუმორის ნიჭით დაჯილდოებული კაცის ლექსებში იუმორისა და ირონიის ნატამალიც კი არ შეინიშნებოდა, რაც ალბათ გაახალისებდა მის წიგნს. და კიდევ: მუდამ ხალისიანი გურამის ლექსებში პესიმისტური ჰანგები სჭარბობდნენ. მაშინ პატარა წინასიტყვა დავუწერე და გურამს ვუთხარი: ჩემო გურამ ხშირად გაიხსენე შენი შვილები და შვილიშვილები, გაიხსენე ქვიშხეთის ცაცხვები და ქვიშხეთის საღამოები და შენივე სტრიქონები დაგაიმედებენ-მეთქი.

თბილისშიც ბევრჯერ შევხვედრივარ გურამ გეგეჭკორს, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ქვიშხეთის ცაცხვების ჩრდილში მახსენდება.

2017

გოგი ჯაბაშვილი

შემიძლია მოკლედ გოგი ჯაბაშვილი ასე დავახასიათო: სასურველი სტუმარი თბილისის გამომცემლობაში და გულისხმიერი მასპინძელი და მეგზური მოსკოვში. საინტერესო მოსაუბრე, შესანიშნავი მოქართულე, საკუთარი ლინგვისტური პოზიციების შეუპოვარი დამცველი, ხელოვნების ყველა დარგში ღრმად ჩახედული და განსწავლული ბიბლიოფილი, პოეტური პიროვნება (წერდა კიდეც ლექსებს სიჭაბუკეში), უპირველეს ყოვლისა – მთარგმნელი და შემდეგ ლიტერატურათმცოდნე, შექსპიროლოგი და ამავე დროს – სკანდინავისტიც.

1988 წელს გამომცემლობაში რემინგტონზე გადაბეჭდილი სტერნის დედანი მომიტანა. ჩვეულებისამებრ გადავათვალიერე, რათა რედაქტორისათვის გადამეცა. მაგრამ პირველი გვერდებიდანვე დამაინტერესა და ვეღარ შევეშვი, შვიდასი გვერდი მოულოდნელი ინტერესით წავიკითხე და შემდეგ გადავეცი რედაქტორს. ნახევარსაუკუნოვანი საგამომცემლო მოღვაწეობის მანძილზე მსგავსი შემთხვევა არ მქონია.

როდესაც გოგი ჯაბაშვილის სტერნი გამოვიდა, წიგნის ფორზაცზე პატარა კალამბური წავუწერე:

იყო მწერალი სტერნი,
არ კითხულობდნენ შტერნი.
არის გაზეთი „შტერნი“.
არ კითხულობენ შტერნი.
ტელევიზორს და ტელეფონს
ნუ გადაჰყვებით, შტერებო!

2006

მარი ლაბრუნდა

მარი ბურდულის კრებულის ბოლოსიტყვა

სამწუხაროდ, მარის პირადად არ ვიცნობდი და ამიტომ არ ვაპირებდი მარიზე დამეწერა. მაგრამ „ჩემი თანატოსი“ რომ წავიკითხე – ცრემლებთან ერთად – თავიც ვეღარ შევიკავე.

მითოლოგიურ ლექსიკონებში ამოვიკითხე: თანატოსისა ღმერთებსაც ეშინოდათო.

მარის არ შეეშინდა და – დაუნდობელი მელანომით შეპყრობილმა – დაწერა მოულოდნელი ოპტიმისტური აღსარება.

ძალიან დიდი ხნის წინათ ჩემს მეგობარს მიხეილ ქვლივიძეს მოსკოვში საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა – ქალბატონი ლილი. მიხამ დამირეკა და ტელეფონით საუბრისას ტიროდა. მე ვანუგეშე: მიხა, წარმოიდგინე, რომ ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, ათეული წლების წინათ, და შვება მოგეცემა-მეთქი.

მარიმ თავის ბედისწერას შორიდან შეხედა და ჩვენც შორიდან შეგვახედა. თვითონაც დაიჯერა და ჩვენც დაგვაჯერა. მაგრამ ამის დაჯერება, როდესაც პირადად გეხება, ძალიან ძნელია, თითქმის წარმოუდგენელია. მას კი ოთხი წლის განმავლობაში სჯეროდა და ოთხი წლის შემდეგაც სჯეროდა. ეს უკვე ზეადამიანურია. ოთხი წელიწადი ხომ თითქმის ათასხუთასი დღე და თითქმის ათასხუთასი ღამეა, დიახ – თითქმის

ათასხუთასი ღამე! მარი კი უფრო და უფრო შეუპოვარი გახდა, თითქოს რაღაც საიდუმლო ამოხნა, სახიფათო მეტაფორებს გაუთამამდა: ცეცხლს ეთამაშება და სიკვდილს ეთამაშებაო: თანატოსი მოიშინაურა და გაითავისა, გაუბრაზდა კიდეც და მოეფერა კიდეც და კიდეც გაიმეტა. თამაში გამოუვიდა და ოთხი წლის შემდეგ განაცხადა: გამარჯვებას ველოდი და გავიმარჯვეო. და აქეთ შემოგვედავა: მე თვითონ არ მეშინია და თქვენ რაღამ შეგაშინათო. და დაგვპირდა: როცა ძალიან შეგეშინდებათ და ძალიან გაგიჭირდებათ, მე დაგეხმარებითო.

შემთხვევითი არაა, რომ მისი ყველაზე უკეთესი უსათაურო ლექსის პირველი სტრიქონი ასე იკითხება:

– კაცი მინდა ვიყო.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს სამი სიტყვა სათაურზე უფრო დიდი მთავრული შრიფტით აწყობილი დაგვიტოვა.

არც ის უნდა ჩაითვალოს შემთხვევითად, რომ მას სამი ტყუპი ბიჭი შეეძინა.

„ჩემი თანატოსი" რომ რომელიმე ევროპულ ენაზე დაწერილიყო, ანა ფრანკის დღიურებივით გახმაურდებოდა. აკი ორივე ტექსტი ერთი და იმავე განსაცდელის მოლოდონია?!

აკი მარიმ არაერთხელ გააოცა გერმანელი და თურქი დასტაქრები?!

მარი ემზადებოდა, თითქოს უკეთეს ქვეყანაში გასამგზავრებლად ემზადებოდა და ისე ემზადებოდა, რომ მთავარი დაავიწყდა და გალაკტიონს დაუჯერა: „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა".

თვითონაც წერდა ლექსებს – მოულოდნელ და სათავისო ლექსებს. მაგრამ იმ მოცემულობაში, რომელშიც აღმოჩნდა, მეტაფორა უფლებას კარგავს და ზედმეტია. რატომღაც მგონია, მარის რომ დასცლოდა, უსათუოდ დაწერდა მოულოდნელ

და უცნაურ რომანს, რომელსაც ალბათ ერქმეოდა – „კაცი მინდა ვიყო“, ანდა ამის სინონიმი.

მარი მარგალიტაძეების რძალი იყო. მე ნახევრად მარგალიტაძე ვარ. ვასიკო მარგალიტაძე დედაჩემის ძმის შვილის-შვილია და მეამაყება, რომ მარგალიტაძეებს ასეთი პატარძალი ანუ პატარა რძალი გვყავდა. ნახეთ როგორ ერითმება: მარი მარგალიტაძე.

მარიმ ერთი ლექსი ასე დაასრულა:

იგივე გზები დამაბრუნებენ
შენთან, რა გზითაც შენგან წავედი.

მარი დაბრუნდა: როცა ძალიან გაგიჭირდებათ, წაიკითხეთ „ჩემი თანატოსი“: მარი დაგეხმარებათ და გადაგარჩენთ.

2018

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲠᲘᲗᲛᲐᲡ!

პაატა ნაცვლიშვილის „ანაგრამები“

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ქართულ პოეზიაში მნიშვნელოვანი მოვლენა აღირიცხა: თანდათან დამკვიდრდა და საკუთარი ღირსეული ადგილი დაიკავა ვერლიბრმა ანუ თავისუფალმა ლექსმა. გაბათილდა ლეგენდა, რომ ქართული ენა ვერლიბრს ვერ აიტანდა. აღნიშნულ წარმატებას მიესალმა ლიტერატურული კრიტიკა, თუმცა ცხარე პოლემიკაც გამოიწვია.

გამართლდა გალაკტიონის – მრავალი ვერლიბრი-შედევრის ავტორის – არც ისე მოკრძალებული პრეტენზია:

– თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემს მიერ მთელი რიგი.

თავისუფალი ლექსის წარმატებამ ზედმეტად გაათამამა ვერლიბრისტები და ზოგიერთებმა ამრეზით შეხედეს კონვენციურ ლექსსა და რითმას. ისეთი მცდარი მოსაზრებაც კი გამოითქვა, თითქოს რითმამ დააზარალა ქართული ლექსი (ეღიმებათ ალბათ შოთასა და გალაკტიონს!). ხოლო ერთი კოლეგა, როდესაც თავისუფალ და გარითმულ ლექსებს ერთდროულად აქვეყნებდა, ამ უკანასკნელებს „პრიმიტივებს“ არქმევდა. მოკლედ, ქართული ლირიკის აბსოლუტური უმრავლესობა პრიმიტიულად გამოაცხადა.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვერლიბრს მსოფლიო პოეზიაში საკმაოდ აქტიური და ავტორიტეტული ოპონენტები ჰყავს, რომლებსაც არ მოსწონთ კონცერტი მუსიკის გარეშე.

2008 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ეროვნული საქმე წამოიწყო: ნახევარი საუკუნის შემდეგ შეუდგა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეორე, ახალი რედაქციის გამოცემას. უკვე დაიბეჭდა პირველი სამი ტომი და გამომჟღავნდა უაღრესად სასიამოვნო ფაქტი: მეორე და მესამე ტომების – გ-ანისა და დ-ონის – მოცულობა ორჯერ აღემატება პირველი გამოცემის მოცულობას. ლექსიკის ამგვარი გამდიდრება კი გარითმვის ამოუწურავი წყაროა.

ჩემი ასეთი ვრცელი ექსკურსი გამოიწვია მოულოდნელმა შემთხვევამ: ბოლო წლებში ლიტერატურულ პრესაში ხშირად იბეჭდება პაატა ნაცვლიშვილის ანაგრამები. მიმდინარე წლის „ლიტერუტურული გაზეთის“ 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა მორიგი ციკლი, რომლის უკანასკნელი ნიმუში ასე იკითხება:

თითქოს და-ცა-უხატავთ ცისარტყელა მურითო,
ასეთია ვერლიბრი და ლექსები ურითმო.

ცნობილი ჟურნალისტი, მოგზაური, სპორტსმენი, ბეჭდური წიგნის დიზაინერი, მხატვარი, ლექტორი და საინტერესო პოეტი ცდილობს ვერლიბრის კვალდაკვალ ანარგამები ანუ პაატაურები დაამკვიდროს. ანაგრამა პოეზიაში უცხო ხილია. ქართულ სინამდვილეში აქა-იქ გაიელვებს ეპიზოდურად და შეიძლება მეც აღმომაჩნდეს. ასეთ სისტემატურ ციკლებად კი პირველად იბეჭდება და ახლა წიგნადაც გამოდის.

ანაგრამები აღირიცხება როგორც პროზაულ ტექსტებში, ასევე ლექსებში. მაიაკოვსკიმ თავისი ერთი ლექსი ასე დაა-

სათაურა – „Схема смеха". როგორც ამბობენ, ირონიული ლირიკის მეტრის ფრანსუა ვიიონის მრავალი ლექსი ანაგრამების ხერხითაა დაშიფრული. ამბობენს იმიტომ ვამბობ, რომ ანაგრამა არ ითარგმნება, მე კი ფრანგული არ ვიცი.

ანაგრამაში რითმა დომინირებს. ამიტომაცაა პაატა ნაცვლიშვილის სტრიქონები მარჯვენა ვერტიკალზე გასწორებული. ანაგრამა ვერლიბრის ალტერნატივაა. იგი თამაშის აშკარა ნიშნებს შეიცავს და ამიტომ გვიზიდავს. თუმცა ოპონენტებიც არ აკლია. მე კი მაინტერესებს პაატაურები. იქნებ მიმდევრებიც გამოუჩნდნენ, ანდა თვითონ ავტორისათვის აღმოჩნდეს წინა საფეხური მომავალი სიახლისა. პაატასაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მე სხვათა შორის გავიხსენე ვიიონი და პაატა როგორღაც ერითმება-ეანაგრამება ფრანგ პოეტს: ფრანსუა იყო ავანტურისტი, რომელმაც კაცი მოკლა. პაატა არის ავან-ჩავან-ტურისტი, რომელსაც კაცი არ მოუკლავს (ჯერჯერობით!). მგონი, ანაგრამა გამოგვივიდა და ჯერჯერობითაც არ დაივიწყოთ: განა ცოტა იყო და ცოტაა ჩვენი ხელით მოსაკლავი, გინდ გადატანითი და გინდ პირდაპირი მნიშვნელობით? მით უმეტეს, პაატასაგან ყველაფერია მოსალოდნელი!

2019

გასაუბრებანი

პოეზია რომ არ არსებობდეს....

მესაუბრა ვაჟა ხორნაული

– ბატონო ვახტანგ, არსებობს ერთი მარადიული კითხვა: „რა არის პოეზია?". ლიტერატურის ისტორიამ არაერთგზის დაადასტურა, რომ ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუ რომელიმე შემოქმედმა კარგი პასუხი გასცა, ამით მხოლოდ გვაგრძნობინა, თუ რა არის პოეზია, მაგრამ ის ერთადერთი და ულამაზესი სხივი, რომლის გამოც პასუხი სასწაულად მოგვევლინებოდა, მოუხელთებელი დარჩა. ეს ისეთი კითხვაა, რომელსაც ყველა შემოქმედი თავისებურად, განსხვავებულად პასუხობს. იქნებ თქვენც უპასუხოთ ამ კითხვაზე: „რა არის პოეზია?"

– მართლაც, რა არის პოეზია? – რაც თარგმნისას იკარგება, – პასუხობს რობერტ ფროსტი; რაც განსაზღვრისას იკარგება, რაც განმარტებას ვერ იტანს, რაც მხოლოდ შეიგრძნობა და არ გამოითქმის, – ვიტყოდი მე. სწორედ ამიტომ ჭირს ზოგჯერ ზუსტი ზღვარის გავლება პოეზიასა და არაპოეზიას შორის, ლექსსა და არალექსს შორის. სწორედ ამიტომ დასჭირდა ზოგიერთი შედევრის აღიარებას საუკუნეები. ჭეშმარიტი პოეზია ჭეშმარიტი მკითხველის თანაავტორობასაც გულისხმობს და ელოდება. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები ილია ჭავჭავაძემდე ბევრმა წაიკითხა, მაგრამ მხოლოდ

ილიამ იგრძნო პირველი წაკითხვისთანავე ბარათაშვილის სიღრმე და სიმაღლე. სწორედ ის საიდუმლოება, რომელიც სხვებმა ვერ შეამჩნიეს და ილიამ აღმოაჩინა ბარათაშვილის ლექსებში, გახლავთ პოეზია. სხვათა შორის, პოლ ვალერის აზრით, რაც უფრო დიდხანს ინახავს ნაწარმოები თავის საიდუმლოს, მით უკეთესი ნაწარმოებია. ასეთია პოეზიის საიდუმლოება, – დიახ, მოუხელთებელი და განუმარტავი. ამიტომ უნდა დავჯერდეთ ზოგად ფორმულას: პოეზია არის მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი. თუ უილიამ ფოლკნერს დავუჯერებთ (და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ჩვენი საუკუნის უდიდეს პროზაიკოსს არ დავუჯეროთ) – პოეზია ხელოვნების ყველაზე ძნელი ფორმაა. თვითონ ფოლკნერი თავის თავს ხელმოცარულ პოეტს უწოდებდა.

– პირველი ლექსის გამოქვეყნებას და, საერთოდ, პირველ პოეტურ ნაბიჯებს ავტორები დიდი სიყვარულითა და ლამაზი სევდით იგონებენ ხოლმე; როგორ დაიწყო თქვენი შემოქმედებითი გზა? ვინ იყვნენ ის ადამიანები, ბედმა პირველი ნაბიჯების გადადგმისას რომ შეგახვედრათ?

– პირველი პოეტური ნაბიჯები ცხოვრების ყველაზე ლამაზ ხანას ემთხვევა ხოლმე და ამიტომაცაა ძვირფასი და დაუვიწყარი. გამონაკლისი არც მე გახლავართ: პირველი ლექსი 1944 წელს დავწერე, „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი“, ქუთაისის პირველ სკოლაში ვსწავლობდი, აკაკი წერეთლისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის გიმნაზიაში, და სწორედ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსი დაიბეჭდა პირველად 1947 წელს გაზეთ „ნორჩი ლენინელში“. არ შემიძლია უდიდესი მადლიერების გრძნობით არ გავიხსენო ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პატივცემული ვანო ვარლამიშვილი, რომელმაც შემაყვარა მხატვრული სიტყვა... შემდეგ ორჯერ მიმიწვიეს თბილისის პიონერთა სასახლეში

ნორჩ შემოქმედთა შეკრებაზე. ლიტერატურის კაბინეტს მაშინ ხელმძღვანელობდა შესანიშნავი ლიტერატორი ქეთევან ანანიაშვილი – ჩვენი დეიდა ქეთო, რომლის სტუდიაც ბევრმა სახელოვანმა მწერალმა გაიარა. პიონერთა სასახლეში გატარებული დღეები ჩემი ბავშვობის ყველაზე დიდი დღესასწაული იყო. სხვათა შორის, ამ წრეში გავიცანი და დავუახლოვდი ჩემს მომავალ მეგობრებს – გივი გეგეჭკორს, ჯანსუღ ჩარკვიანს, ოთარ ჭილაძეს, დავით წერედიანს... შემდეგ ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობა გაგრძელდა უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში, რომელსაც ბატონი ბესო ჟღენტი ხელმძღვანელობდა და ბატონი ნიკო კეცხოველი მეცენატობდა.

– თქვენ ერთ-ერთ ლექსში ამბობთ: „მძლავრია ძველი წლების მაგია, მოგონებებით გვავსებს ყელამდე"... მაინც რომელი მოგონებებია თქვენთვის განუყრელი და ძვირფასი?

– მეხსიერებას ყველაზე ცხადად ბავშვობის მოგონებები შემორჩებიან ხოლმე. არის ქუთაისში ერთი პატარა და ლამაზი ქუჩა, ჩემთვის ძალიან ახლობელი და საყვარელი სარაჯიშვილის ქუჩა. იგი რიონის პირას მდებარეობს. მეც რიონის პირას გავიზარდე, ზედ რიონის პირას: ჩვენი სახლის საძირკველი წყალში იდგა და საძინებელი ოთახის ფანჯრები მდინარეს გადაჰყურებდა. მაშინ რიონი უფრო წყალუხვი იყო და ყოველღამ ჩამესმოდა მისი ნანა. დღისითაც უმეტეს დროს მდინარეში ვატარებდი ან ჭინჭის ბურთს დავდევდი. მალე ომი წამოგვეწია. გერმანული თვითმფრინავი მახსოვს იმერეთის ცაზე და გერმანელი ტყვე – ჩვენს ჭიშკართან... უფრო გვიანდელ მოგონებებზე უკვე გესაუბრეთ, ხოლო კიდევ უფრო გვიანდელები ცალკეულ პიროვნებებს უკავშირდებიან. აგერ, ოცდაშვიდი წელიწადია, გამომცემლობაში ვმუშაობ და ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა მაქვს მრავალ გამოჩენილ მოღვაწესთან. ეს მოგონებები ცალკე საუბრის თემაა. ამ-

ჯერად მხოლოდ ძვირფას სახელებს გავიხსენებ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, ლადო გრიგოლია, სიმონ ჩიქოვანი...

– თქვენი სტრიქონებია: „მე ძველ წერილებს არ ვხევ – ვინახავ, გამახსენდება, გამიხარდება“. ქცეულა თუ არა რომელიმე მკითხველის ბარათი თქვენი ახალი ნაწარმოების შექმნის მიზეზად?

– ახლა ტელეფონების საუკუნეა და პირადი წერილები იშვიათად იწერება. სხვათა შორის, ჩემთვის ზოგიერთ მკითხველს ტელეფონითაც დაურეკია. მკითხველთა წერილებს იშვიათად ვიღებ. ყველაზე მეტად კი ერთი დამამახსოვრდა. ამ რამდენიმე წლის წინათ სისხლის გადასხმის ინსტიტუტში მივედი ახლობლის სანახავად. საავადმყოფოს კორიდორში ბავშვები დარბოდნენ და თამაშობდნენ. გვერდით უცნობი მამაკაცი იდგა. მხიარულ ბავშვებზე მიმითითა და მითხრა: ვინ იცის, ამათ რა მოელით უმოკლეს დროში?.. ამ სიტყვებმა ამაფორიაქეს, დიდხანს არ მომასვენეს და ბოლოს დავწერე ხანგრძლივი ლექსი „რატომ?“. ეს ლექსი „ცისკარში“ დაიბეჭდა. მალე მივიღე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის სკოლის მეათეკლასელთა წერილი: მათი მეგობარი, მეტად ნიჭიერი გოგონაც ამ საავადმყოფოში გარდაცვლილა... „ჩვენ კიდევ უფრო შეგვიყვარდა თქვენი ლექსები“, – მწერდნენ ნიგვზიანელი მოსწავლეები და სოფელში მეპატიჟებოდნენ.

– გალაკტიონ ტაბიძე ახსენეთ. თქვენი თაობის ნებისმიერ შემოქმედთან საუბრისას გარდუვალია გალაკტიონის გახსენება. ამ გარდუვალობას კი ის განაპირობებს, რომ თქვენი თაობა საკუთარი თვალით ხედავდა „პოეტების მეფეს“. მკითხველისათვის ცნობილია თქვენი ლექსების ციკლი „უცნობის“ სახელწოდებით, რომელიც გალაკტიონს ეძღვნება. ამ ციკლიდან ვიგებთ, რომ თქვენ გალაკტიონს ხშირად შეხ-

ვედრიხართ... როგორი იყო გალაკტიონი პირადად თქვენთან და, საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობაში?

– მისი სიცოცხლის ბოლო ორი წლის მანძილზე ხშირად ვხვდებოდი გალაკტიონს. მახსოვს მისი საქმიანი ბაასი, როდესაც პოეტის უკანასკნელ „რჩეულს" ვადგენდი, მხიარული საუბარი, როცა აწეულ ხასიათზე ბრძანდებოდა, სერიოზული მასლაათი, როცა საინტერესო ამბებს ყვებოდა. ტელეფონითაც გვისაუბრია... მოდიოდა გამომცემლობაში, დავდიოდი მასთან სახლში, ხშირად შევხვედრივარ ქუჩაში, რადგან გარეთ ხეტიალი უყვარდა... მაგრამ გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, რომ მასთან დაახლოება და დამეგობრება, მისი გაცნობა და შეცნობა, ჩემი აზრით, შეუძლებული იყო. როცა გესაუბრებოდათ, იმ დროს თითქოს სხვაგან იმყოფებოდა, და ეს „სხვაგან" იყო მისი მთავარი სავანე. ამავე დროს, იქნებ მოგჩვენებოდათ კიდეც, არ მისმენსო, მაგრამ ყველაფერს ზუსტად აღიქვამდა და პასუხობდა. ეს იყო მეტად მიმზიდველი ტაძარი, რომელსაც კარი არ გააჩნდა, სარკმლები კი საკმაოდ მაღალზე ედგა და იქიდან თითქმის არაფერი ჩანდა. ამიტომ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს მე ხაზგასმით დავარქვი „უცნობი". შემიძლია გულზე ხელი დავიდო და გითხრათ: ამ ლექსებში აღწერილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება... მე შენახული მაქვს სხვადასხვა წლის ჩანაწერები „უცნაური უცნობის" შესახებ, რომელსაც ალბათ სასურველ ფორმას მოვუძებნი და გამოვაქვეყნებ.

– ერთ-ერთ ლექსში ამბობთ: „არ დაიჯერო, პოეტო, არ ითარგმნება ტკივილი"... და ასეთი მიმართვის შემდეგ თვითონ თარგმნით, თანაც ისეთი რანგის პოეტს, როგორიც მაიაკოვსკია!.. ამ შემთხვევაში თქვენ, როგორც მთარგმნელი, ხომ არ ცდილობთ თქვენივე სიტყვების უარყოფას?

– ლექსის თარგმნა შეუძლებლად მიმაჩნია. ისევ უნდა გავიმეორო რობერტ ფროსტის სიტყვები: „პოეზია არის ის,

რაც თარგმნისას იკარგება“. ათასში ერთხელ კი არა, ალბათ ათი ათასში ერთხელ შეიძლება პოეტური თარგმანი სრულყოფილი გამოვიდეს. ნიმუშად შემიძლია დავასახელო დავით წერედიანის „მცირე ანდერძი“ ფრანსუა ვიიონისა... ზოგჯერ სიზუსტე ვნებს თარგმანს და ზოგჯერ თავისუფლება. ასე რომ, საჭიროა ამ ორ უკიდურესობას შორის გადებულ ბენვის ხიდზე გავლა, რაც არა მარტო დიდ ტალანტსა და ოსტატობას მოითხოვს, არამედ ზოგჯერ ბედნიერ შემთხვევაზე და დამთხვევაზეა დამოკიდებული... მაგრამ, როგორც ჩანს, მგლის შიშით ცხვარი არ უნდა გავწყვიტოთ. მაიაკოვსკის პოემები ჩემი ყველაზე სერიოზული თარგმანებია. მე ყოველთვის მახსოვს მაიაკოვსკის სიტყვები: ლექსების თარგმნა ძნელია, ჩემი ლექსებისა კი – შეუძლებელი... ბორის პასტერნაკს უთქვამს: რითმიან სტროფში სამ სტრიქონს ზუსტად ვთარგმნი, ერთი კი ჩემია, ოღონდ იგი არ ეწინააღმდეგება ლექსის საერთო აზრსა და განწყობილებასო. მე მომწონს პასტერნაკის ეს მეთოდი და არ დამვიწყებია იგი მაიაკოვსკის თარგმნისას.

– გულდასაწყვეტია, მაგრამ ფაქტია: ლიტერატურულ (თუ არალიტერატურულ) ორგანოთა ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება სუსტი ნაწარმოებები, რომლებიც წაკითხვისთანავე დავიწყებას ეძლევიან. ამ ორგანოების ასეთი ლოიალობა შემდეგში ზედმეტ ტვირთად აწვება გამომცემლობებს. თქვენი, როგორც გამომცემლობის მთავარი რედაქტორის აზრით, რა ღონისძიებებია საჭირო ამ საკმაოდ ფესვგადგმული ნაკლის გამოსასწორებლად?

– ჩვენი სახელმწიფო, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, დიდ ყურადღებას იჩენს ახალგაზრდა შემოქმედთა მიმართ. ეს ყურადღება ზოგან სწორად ვერ გაიგეს და გააადვილეს ახალგაზრდა მწერალთა პუბლიკაცია. გამომცემლობა „მერანი“ ყოველწლიურად ათამდე პირველ პოეტურ თუ პროზაულ

კრებულს გეგმავს. პირველ წიგნებს გამოსცემენ აგრეთვე ჩვენი გამომცემლობის ქუთაისის ფილიალი, „ნაკადული“, „საბჭოთა აჭარა“, „ალაშარა“, ასე რომ, რესპუბლიკაში ყოველწლიურად თხუთმეტამდე პირველი წიგნი გამოდის, ყოველ ათ წელიწადში – ასორმოცდაათი... მე მგონი, დამაფიქრებელი ციფრია. მწერალთა კავშირმა რაღაც უნდა იღონოს, მწერლობის კარიბჭე მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერ რჩეულებს უნდა გაუღოს. ლექსების დაბეჭდვა და წიგნების გამოცემა არ უნდა იქცეს ახალგაზრდობასთან ურთიერთობის მთავარ ფორმად თუ საშუალებად. კარგია პირველი წიგნის სიხარული, მაგრამ ნურც პირველი წიგნის ნაგვიანევი სინანული დაგვავიწყდება.

– არსებობს კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი: საქართველოს პოეზიის ქვეყანას უწოდებენ და ასეთ ქვეყანაში პოეტური კრებულების უმრავლესობა იბეჭდება ისეთი მცირე ტირაჟებით, როგორიცაა: 2.000, 3.000, 7.000, იშვიათად – 10.000, 15.000 და ასე შემდეგ, ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, იმის მაუწყებელია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის პოეტის წიგნი ხელმისაწვდომი არაა!

– „საქართველოს პოეზიის ქვეყანას უწოდებენ“, – არ მომწონს და არ მესმის ამ მტკიცედ დამკვიდრებული გამოთქმის აზრი. როგორ? გაბრიელა მისტრალისა და პაბლო ნერუდას ჩილემ რა დააშავა, ან საფრანგეთმა და პოლონეთმა, იაპონიამ და ესპანეთმა?.. რაც შეეხება ტირაჟებს, მართალს ბრძანებთ, პოეტური კრებულები ძირითადად ორი, სამი და შვიდი ათასი იბეჭდება. თუმცა უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა მასობრივი ტირაჟების რიცხვი. ამაჟამად რესპუბლიკაში წიგნის ბუმია. რა თქმა უნდა, გაზრდილი ტირაჟების განსაზღვრული ნაწილი მხოლოდ ძვირფასი უცხოური ავეჯის თაროების შესავსებადაა გამიზნული, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი პოლიგრაფიის დღევანდელი დონე იმდენად დაბალია, რომ

რამდენიმე წიგნი თუ გამოდგება კეთილმოწყობილი ოთახის ინტელექტუალურ სამკაულად და ამდენად ძირითად ნაწილს მაინც მკითხველი ჰყავს. უკანასკნელ ათწლეულში ჩვენ ათზე მეტი პოეტის კრებული დავბეჭდეთ ოცდაათი ათასი ეგზემპლარი და ყველა გაიყიდა. რამდენიმე წიგნი ორმოცდაათი ათასიც დაიბეჭდა და მაღაზიის თაროზე არ გამოჩენილა. ეს საკმაოდ დიდი ციფრებია ჩვენი ერისათვის და ეს ციფრები ევროპელებს აოცებენ. სასიამოვნო ფაქტია, რომ მხატვრულ ლიტერატურაზე მოთხოვნა გაიზარდა, მაგრამ ესეც უნდა ვაღიაროთ: გაზრდილი ტირაჟები ყოველთვის არაა პირდაპირ პროპორციული ამა თუ იმ წიგნის ხარისხისა. ჩვენ ვიცნობთ სიცოცხლეშივე დავიწყებულ რჩეულებს და ვიცნობთ საუკუნეების შემდეგ აღიარებულებსაც. უნებლიეთ მაგონდება თომას ელიოტის გაფრთხილება: „თუ პოეტი ძალიან სწრაფად იპყრობს ვეებერთელა აუდიტორიას, არ შეიძლება ეს გარემოება საეჭვოდ არ მივიჩნიოთ“. ერთსაც შეგახსენებთ: გალაკტიონ ტაბიძეს მასობრივი ტირაჟით, ესე იგი – შვიდი ათასზე მეტით გამოცემული საკუთარი კრებული არ უხილავს...

– ახლახან მკითხველმა მიიღო თქვენი ერთტომეული, რომლის დონეც სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულებიდან ამოკრებილი ნაწარმოებებითაა განსაზღვრული. ამ ერთტომეულში ცალკე ციკლადაა გამოყოფილი „გრაფიკული ლირიკა“. გრაფიკული ლექსების შინაგანი განწყობილება ძლიერდება მათივე გარეგნული ფორმით. ამ ლექსებმა საინტერესო კამათი გამოიწვია, რაც თავისთავად იმის მაუწყებელია, რომ მათ მკითხველს თავი დაამახსოვრეს, ე. ი. არსებობის უფლება მოიპოვეს. მაგრამ თქვენ, როგორც ავტორი, რა პასუხს გასცემდით მათ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ასეთი ექსპერიმენტები საჭირო არაა.

– გულწრფელად რომ გითხრათ, მე განუწყვეტელი ძიების მომხრე ვარ, მით უმეტეს დღეს, როდესაც გალაკტიონის

ვეებერთელა ჩრდილში ვდგავართ. გალაკტიონ ტაბიძემ მრავალი საიდუმლო ამოგვიხსნა, მაგრამ კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა. ამიტომ მომავალმა ქართულმა პოეზიამ გზა უნდა მონახოს გალაკტიონის იქით, გალაკტიონის გარეთ, გალაკტიონის შემდეგ... ექსპერიმენტის უარყოფა დანაშაულია. ექსპერიმენტის მოწინააღმდეგეებს უნდა შევახსენო იმპრესიონისტების პირველი გამოფენების ისტორია, იმპრესიონისტებისა, რომელთა შემოქმედებაც საუკუნის მანძილზე კლასიკად იქცა. ყოველი გამართლებული და გამარჯვებული ექსპერიმენტი დიდადაა დავალებული და შედეგია ათასი წარუმატებელი ცდისა. ამ რამდენიმე წლის წინათ რუსულ ენაზე გამოვიდა ირინა რადუნსკაიას საინტერესო წიგნი „ქვანტები და მუზები“. ჩემი ყურადღება მიიპყრო ავტორის ერთმა დასკვნამ: „განსაკუთრებულ წარმატებას ფიზიკოსები ამჟამად აღწევენ არა მაშინ, როდესაც ემხრობიან მტკიცედ დადგენილ თეორიებსა და შეხედულებებს, არამედ მაშინ, როცა უარყოფენ მათ“. ეს მოსაზრება მით უმეტეს მისაღები და ყურადსაღები უნდა იყოს ხელოვანთათვის. სწორედ ტრადიციებისადმი დაპირისპირება აკლია თანამედროვე ქართულ პოეზიას. საჭიროა უფრო გაბედული ლტოლვა განახლებისაკენ, მიღწეულით დაუკმაყოფილება, დაუცხრომელი ექსპერიმენტები, ახალი რიტმები, მეტრები, სახეები და სხვა გამომსახველობითი საშუალებანი, არა მარტო ახალი რითმები (ახალი რითმით ველარავის გააკვირვებ), არამედ გარითმვის ახალი ხერხები, სხვა ჟანრებთან მიახლოება და თავისთავადობის შენარჩუნება, ფერწერისა და მუსიკის, ტექნიკისა და მეცნიერების სიახლეთა შემოქმედებითი ათვისება. რა თქმა უნდა, დღევანდელ ქართულ პოეზიაში ბევრი რამ კეთდება ამ მხრივ, თუმცა უფრო შესამჩნევი გახდა და გახმაურდა დეფორმირებული ლექსი ანუ ვერლიბრი, რომელიც ძიებისა და

განახლებისაკენ ლტოლვის კიდევ ერთი დადასტურებაა. პოეზია საიდუმლოებით მოცული ცხრაკლიტულია და მისი რომელიღაც ათასმეერთე თუ ათასმეორე დარბაზის გასაღების მორგებას დაუღალავი და თავგანწირული შრომა სჭირდება, რა თქმა უნდა, ნიჭთან ერთად. მეც ვეძებ, ვცდილობ, ვაკვირდები, ვუსმენ, ვსინჯავ, ვამოწმებ... ჯერ ვპოულობ და მერე ვეძებ, – როგორც პიკასო ამბობს. სტრიქონებით ხატვა ანუ გრაფიკული ლექსი უძველესი, მაგრამ არც ისე გავრცელებული ფორმაა. იგი სათავეს ძველბერძნული ლირიკიდან იღებს, იტალიერ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ლიტერატურებშიც გვხვდება. ამ ფორმას იყენებდნენ სტეფან მალარმე, დილან თომასი, გიიომ აპოლინერი და სხვები. მე შევეცადე ქართულადაც გვქონოდა. გრაფიკული ლექსით გატაცებისას არის საშიშროება, ფორმამ არ დაჩაგროს შინაარსი. სხვა მხრივ რას ვერჩით, ხილად მაინც იყოს, მრავალფეროვნებისათვის.

– საინტერესო კამათი გამოიწვიეს იმ ლექსებმაც, რომელთა სიტყვების შემადგენელ ნაწილებად რიცხვები გვევლინებიან...

– მათემატიკის ელემენტების პოეზიაში შემოტანაც ექსპერიმენტის ხასიათს ატარებს. საფრანგეთში „მათემატიკური პოეზიის“ მეტად საინტერესო ნიმუშები შექმნეს ჟაკ რუბომ და რაიმონ კენომ, რუსეთში – ველემირ ხლებნიკოვმა. თუმცა ციფრებისა და ასოების შერწყმით დაწერილი ლექსი ჯერ არსად შემხვედრია. მე ვცადე. ვნახოთ, ნუ ავჩქარდებით და დასკვნებს ნუ გამოვიტანთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ პოეზიასა და მათემატიკას ბევრი რამ აქვთ საერთო, რომ არითმეტიკის ელემენტარული კანონები აწესრიგებენ ლექსის შინაგან სტრუქტურას. ამას წინათ წავიკითხე და გამაოცა მათემატიკოს მორსტონ მორსის მოსაზრებამ, რომელსაც

იგორ სტრავინსკი იმოწმებს: „მათემატიკა იდუმალი ძალების ქმედების შედეგია, ძალებისა, რომელთა არსი არავის არ ესმის და რომლებშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეცნობიერი წვდომა სილამაზისა. უსასრულო შესაძლებლობიდან მათემატიკოსი ირჩევს მხოლოდ ერთს, რომელსაც უპირატესობას სილამაზის გამო ანიჭებს და ჩამოჰყავს იგი დედამიწაზე". ამ ციტატაში თავისუფლად შეგვიძლია სიტყვა მათემატიკა პოეზიით შევცვალოთ, ხოლო მათემატიკოსი – პოეტით, და მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო ჟანრის კიდევ ერთ ორიგინალურ განმარტებას. ახლა მეორე საუკუნის ძველ ბერძენ ფილოსოფოსს სექტუს ემპირიკუსსაც მოვუსმინოთ: „არავითარი ხელოვნება არ არსებობს პროპორციის გარეშე, ხოლო პროპორცია რიცხვზეა დამოკიდებული. მაშასადამე ყოველგვარი ხელოვნება რიცხვისგან იღებს დასაბამს" („მათემატიკოსთა წინააღმდეგ"). გალილეიც აცხადებდა, სამყაროს წიგნი მათემატიკის ენაზეა დაწერილიო. მეცხრამეტე საუკუნის დიდი გერმანელი მათემატიკოსი კარლ ვეიერშტრასი კი პირდაპირ მიუთითებდა: „მათემატიკოსი, რომელიც ცოტას მაინც არ ნაიპოეტებს, სრულყოფილ მათემატიკოსად ვერ ჩაითვლებაო". ხოლო ოსვალდ შპენგლერი სწორედ ამ ციტატას იმოწმებს და ასკვნის: „მაშასადამე – მათემატიკაც ხელოვნებააო".

– კამათი გამოიწვია, აგრეთვე, ირონიულმა ლირიკამაც. ამასთან დაკავშირებით, უთუოდ საინტერესოა თქვენი აზრი, როგორც ირონიული ლირიკის ერთ-ერთი დამამკვიდრებლისა...

– დიახ, ქართულ პოეზიაში მომძლავრდა ირონიული ნაკადი, რაც ძიების გზაზე მოპოვებულ ერთ-ერთ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ირონიული ლირიკა პოეზიის ისეთივე სრულუფლებიანი ქვეჟანრია, როგორც სამოქალაქო და პა-

ტრიოტული, ფილოსოფიური და სატრფიალო. ამიტომ მისი ხაზგასმით გამიჯვნა იქნებ არც იყოს საჭირო. დიდი ხელოვნების თანავარსკვლავედშიც ხომ თანაბრად ბრწყინავენ ონორე დომიესა და ფრანსუა ვიიონის, ჩარლი ჩაპლინისა და დავით კლდიაშვილის სახელები, ხოლო „დონ კიხოტი" ის წიგნია, რომელმაც დოსტოევსკის აზრით, განკითხვის ჟამს კაცობრიობა უნდა გადაარჩინოს... უკანასკნელი წლების ქართული პოეზიაში (მე ვიტყოდი – პროზაშიც) სიცილის პოეტიკით აღბეჭდილმა ნაწარმოებებმა მეტი მოალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს. ადრე მათ შედარებით ეპიზოდური ხასიათი ჰქონდათ. ყველაფერი ალბათ დრომ მოიტანა. თითქოს ადამიანებს მოსწყინდათ ზედმეტად სერიოზული საუბარი, მოენატრათ გადაკვრით ნათქვამი სიმართლე, ამაღლებული ხუმრობა, ირონიული მშვენიერება და სილამაზე. ქართული ირონიული ლირიკის საყურადღებო ნიმუშია ტარიელ ჭანტურიას მეტად საინტერესო და თავისებური პოეზია. მე მჯერა ქართული ირონიული ლირიკის მეტი შესაძლებლობისა და დიდი შესაძლებლობისა. რაც შეეხება კამათს, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა ირონიულ ლექსებს, არამედ სუსტ ირონიულ ლექსებს, არა ვერლიბრს, არამედ სუსტ ვერლიბრს. ყველაფერი დამოკიდებულია ტალანტზე. ნიჭიერი პოეტები, რომ არაფერი ვთქვათ უფრო მაღალი რანგის ლირიკოსებზე, არა მარტო კარგ ლექსებსა და პოემებს წერენ, არამედ ახალ ფორმებს ამკვიდრებენ და ერთხელ კიდევ ამსხვრევენ კრიტიკოსების მიერ წინასწარ შემუშავებულ სქემებსა და მოდელებს.

– ლექსებში ხშირად იხსენიებთ მხატვრებს. რით აიხსნება ეს ფაქტი? ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი და რატომ?

– მხატვრობა ჩემი მეორე სიყვარულია. სიყმაწვილის ჟამს გატაცებით ვხატავდი. მატისი ამბობს: სამყაროს ბავშვის თვალებით უნდა ვუყუროთო... ალბათ ამიტომაც ცუდად არცერთი ბავშვი არ ხატავს და ამას ხშირად შეცდო-

მაში შეჰყავს ზოგი მშობელი. მეც ვხატავდი გატაცებით და ეს სიყვარული დღემდე შემომრჩა. ალბათ, ჩემი გრაფიკული ლექსებიც ამის დამადასტურებელია. რაც შეეხება საყვარელ მხატვარს, ასე გიპასუხებთ: ყველაზე მეტად მიქელანჯელო მომწონს, ყველაზე მეტად ბოსხი მაოცებს და ყველაზე მეტად ვან გოგი მიყვარს.

– წარმოუდგენელია პოეტი, რომელსაც პოეზიის მომავალი არ აინტერესებდეს. თქვენ როგორ მიგაჩნიათ: დროთა განმავლობაში, ცივილიზაციის ახალ-ახალი ტალღების გადავლის შემდეგ, პოეზია (როგორც მრავალი ფიქრობს) მართლაც, ხომ არ დაემსგავსება ცათამბჯენების ჩრდილში განმარტოებულ ყვავილს, რომლისთვისაც აღარავის სცალია?

– ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, იარსებებს პოეზიაც თავისი დიდი უფლებებითა და მაღალი ღირსებებით. „სილამაზე გადაარჩენს სამყაროს", – თქვა დოსტოევსკიმ. პოეზიაც ხომ სილამაზის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ადამიანს მუდამ ექნება სილამაზის მოთხოვნილება, იგი ყოველთვის დააფასებს მშვენიერებას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს გამოვლენილი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში პოეზია ახალ საშუალებებს ეძებს, ახალ გზებსა და ტერიტორიებს, რათა კაცობრიობა პირველყოფილ ადამიანურ საწყისებთან მიაბრუნოს, აგრძნობინოს ომის საშინელება და სიმდიდრის საფრთხე, ერთხელ კიდევ განწმინდოს მისი გაუხეშებული სული. ჩვენს თვალწინ იზრდება პოეზიის აუდიტორია, იგი ესტრადაზე ავიდა და სპორტული დარბაზები დაიპყრო. ლექსი არამარტო ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს: პოეზია რომ არ არსებობდეს, ქვეყნად უარესი ამბები მოხდებოდა.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო",
1983 წლის 15 აპრილი.

სამნახევარს ვენაცვალე!

მესაუბრა საქართველოს რადიოს კორესპონდენტი

– ბატონო ვახტანგ, თქვენი ლექსების სტილი და მსოფლაღქმა განსხვავდება აღიარებული მოდელისაგან. და თქვენს პოეზიასთან შეგუების ჟამიც, ალბათ, გარკვეულ პერიოდს თხოულობდა...

– რა თქმა უნდა, ხელოვნებაში დისტანციის მომენტს ვერ გამოვრიცხავთ. ამიტომაც ამბობენ: დრო უტყუარი მსაჯულიაო. აღიარება უმეტეს შემთხვევაში იგვიანებს. თუმცა ბედნიერი გამონაკლისებიც გვახსოვს. არც ერთბაშად აღიარებულთა გადაფასებაა იშვიათი შემთხვევა, ისევე როგორც მომავლის დაფნის გვირგვინებს მხოლოდ და მხოლოდ ერთეულები უნდა ელოდნენ.

თუ უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურულ პრესას გადავხედავთ, შემიძლია განვაცხადო: მე არ გახლავართ კრიტიკოსებისაგან განებივრებული პოეტი და ამას დადებითი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის: შემიძლია შედარებით ობიექტურად შევაფასო ჩემი ცალკეული ლექსები. ყოველ შემთხვევაში, წარმატებისაგან თავბრუს დახვევის საფრთხე არ უნდა მემუქრებოდეს.

სხვათა შორის, არსებობს ერთი შეხედვით პარადოქსული მოსაზრებაც: პირველი წაკითხვისთანავე მოწონებულის ღირსება უმეტესად საეჭვოა...

ერთი შემიძლია გულწრფელად გითხრათ: მე თვითონ მჭირდება გარკვეული დრო ჩემი ხელით დაწერილი სტრიქონების შესაჩვევად და შესაფასებლად. ჩემს კრიტიკოსებსა და ოპონენტებსაც თუ ასე დაემართებათ, მით უკეთესი ჩემთვის.

– თქვენი პატრიოტული ლირიკა გაურბის განცდების ჭარბ გადმოშლას. ლექსებში იშვიათად ახსენებთ ისტორიულ სახელებსა და პერსონაჟებს. ასეთი მასალა საფუძველშივე ინტიმურია, სტილური ორნამენტებისაგან თავისუფალი და აზრობრივი ნიუანსებით დატვირთული...

რამ განაპირობა თქვენს მიერ პატრიოტული თემის ეს განსხვავებული გააზრება!

– პატრიოტული ლირიკა, შეიძლება ითქვას, მთელი ქართული პოეზიის ძირითადი მოტივია. ეტყობა, ასეთია პატარა ერების ბედი და ბედისწერა. რაც შეეხება განსხვავებულ გააზრებას, ეს – და მხოლოდ ეს უნდა გახდეს ყოველი ლირიკული ნაწარმოების დაწერის საბაბი. ისე რა აზრი აქვს ან ქაღალდის დახარჯვას ანდა მკითხველის შეწუხებას?! პოეტმა რაღაცა უნდა იპოვოს, მანამდე შეუმჩნეველი უნდა შეამჩნიოს, ან კიდევ – თავისებური ფორმა და ხერხი უნდა მოუძებნოს ცნობილ და აღიარებულ სათქმელს თუ ჭეშმარიტებას. შეიძლება ერთადერთი სტრიქონი აღმოჩნდეს ახალი ლექსის დაწერის მიზეზი, – ან ერთადერთი სიტყვაც კი, ან ორიგინალური სათქმელი თუ განწყობილება, ან – სულაც თავისებური რიტმი, რითმაც კი... უმეტეს წილად ალბათ საბაბი უნდა იყოს სხვათათვის შეუმჩნეველი და უცნობი. და რაც მთავარია, ყველაფერს ამას, ცალ-ცალკე თუ ერთად, ნაპოვნის პრეტენზია უნდა გააჩნდეს, პატარა აღმოჩენის პრეტენზია მაინც და – მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოვკიდოთ კალამს ხელი. ალბათ შთაგონებაც ეს პროცესია. როცა დავრწმუნდებით, რომ უთქმელი სათქმელი გაგვიჩნდა, მაშინ უნდა მივუსხდეთ

მაგიდებს. სამწუხაროდ, არც ყოველი ასეთი თვითრწმენა მთავრდება წარმატებით: ხან ჩვენ ვერ ვახერხებთ – ჩანაფიქრს შესაბამისი ფორმა მოვუძებნოთ, ხანდახან მკითხველი ვერ გვიგებს.

– როდესაც თქვენს სამოქალაქო ლირიკას ვკითხულობთ, ვგრძნობთ, რომ ამ ლექსებს მართალი ლირიკული გმირი ჰყავს. მისთვის ზნეობრივი პრინციპების ერთგულება ცხოვრების არსს წარმოადგენს. და მაინც, როგორია თქვენი, როგორ პოეტისა და მოქალაქის, კრედო?

– გულწრფელობა შემოქმედების საფუძველთა საფუძველია. რაღა თქმა უნდა, მარტო გულწრფელობა არაფერს ნიშნავს, მაგრამ იგი ძირითადია და აუცილებელი. უნდა გჯეროდეს, რასაც წერ და ყოველთვის მართალი უნდა იყო საკუთარ თავთან, ხოლო თუ თავს არ მოიტყუილებ, მკითხველთანაც პირნათელი აღმოჩნდები. ეს პრობლემა ამჟამად განსაკუთრებით აქტუალურია: დიახ, ჩვენ ზნეობრივი პრინციპების დროშები უნდა აღვმართოთ მაღლა და მაღლა, თუ გვინდა, რომ უკეთესი მომავალი თაობები აღვუზარდოთ ჩვენს ქვეყანას. ქართული კლასიკური ლირიკა და თანამედროვე ქართული პოეზიის უკეთესი ნიმუშები წარმატებით იბრძვიან ადამიანის სულის გაკეთილშობილებისა და გადაჩენისათვის. ადრე მითქვამს და ახლა გავიმეორებ: პოეზია რომ არ არსებობდეს, ქვეყნად უარესი ამბები მოხდებოდა.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ ერთ-ერთი ყველაზე „არატრადიციული“ პოეტი ბრძანდებით, „არატრადიციული“ – როგორც პოეტური გამოსახვის ხერხებით, ასევე ფორმის მხრივაც. თვითონ რას გვეტყოდით?

– არვინ იფიქროთ, თითქოს ტრადიციული უარესს ნიშნავდეს. ჩვენ ვიცნობთ ტრადიციული ხერხით დაწერილ შედევრებს და ტრადიციულ გენიებსაც. ლიტერატურაში ყვე-

ლას თავისი გზა აქვს... და მაინც, ხელოვნებას წინ მხოლოდ ნოვატორები ეწევიან. ამდენად საბოლოოდ ალბათ ნოვატორების ღვაწლი უფრო უნდა დავაფასოთ... თითქმის საუკუნე გადის, რაც გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“ დაიბეჭდა და მას შემდეგ მნიშვნელოვანი და ხელშესახები ფორმისმიერი სიახლეები ჩვენს პოეზიას თითქმის არ შემოუთავაზებია. ყოველი ლირიკოსის ვალია, გაითვალისწინოს ეს ხარვეზი. ქართული ლექსის განახლებისა და გამრავალფეროვნებისათვის ჩვენ არატრადიციული ნოვატორები გვესაჭიროება და თუ ჩემს სტრიქონებში ამ მისწრაფების კვალი ჩანს, მადლობის მეტი რა მეთქმის.

– ბოლო წლების პოეზიაში თავი იჩინა ირონიულ-პაროდიული ნაკადის მკვეთრმა ზრდამ. ეტყობა, ამ პროცესის, როგორც მზარდი ტენდენციის, უკუგდება ნაძალადევი გამოვა. ირონიული რკალის ლექსებს თქვენს შემოქმედებაშიც დიდი ადგილი უჭირავს. როგორ ახსნით ამ მოვლენას საერთოდ, და კერძოდ – თქვენს შემოქმედებაში?

– თავდაპირველად ტერმინი დავაზუსტოთ: ირონიული და არა ირონიულ-პაროდიული. რატომღაც ლიტერატურულმა კრიტიკამ ასე მონათლა. მე კი არ მესმის, რა შუაშია პაროდია. ირონიული ნაკადის მომძლავრება, როგორც ჩანს, ცხოვრებისეულმა პირობებმა განაპირობეს. მაგრამ მისი ასე გამორჩევა რომელიმე პოეტის შემოქმედებაში, არა მგონია, საჭირო იყოს და მართებული. ნაწილი კრიტიკოსებისა ირონიულ ნაკადს თანამედროვე ქართული პოეზიის ორგანულ შენაკადად თვლის და დადებით მოვლენად აცხადებს, ნაწილი კი არ ეთანხმება და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს. ჩემი აზრით, ყველაფერი ხარისხზეა დამოკიდებული და არა ხერხზე. ისე, მიუჩვეველ სმენას, ეტყობა, აღიზიანებს და უჭირს არასერიოზულის სერიოზულად აღიარება. მაგრამ გავიხსე-

ნოთ რაბლე და სერვანტესი, დორე და დომიე, ვიიონი და ჩაპლინი გავიხსენოთ. ნურც დავით კლდიაშვილსა და ლუარსაბ თათქარიძეს დავივიწყებთ. სხვათა შორის, ნოდარ დუმბაძის პირველი რომანი რომ იუმორის განყოფილებაში დაბეჭდა ჟურნალმა „ცისკარმა“, ესეც ჩვენი საუბრისათვის საგულისხმო ფაქტია.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ გამომცემლობის მთავარი რედაქტრი ბრძანდებით. ცხადია, საგამომცემლო საქმე თქვენგან ძალიან ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. როგორ უთავსებთ ერთმანეთს პოეტისა და რედაქტორის მძიმე შრომას?

– ოცდაათი გრძელი წელიწადია, გამომცემლობაში ვმუშაობ და საგამომცემლო საქმეს მართლაც დიდი დრო და ენერგია მიაქვს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნახევრად შემოქმედებითი ხასიათისაა და თავისთავად საინტერესო გახლავთ. თუ ოდესმე აღმოჩნდება, და დადასტურდება, რომ ჩემმა ნაღვაწმა სასურველი ნაყოფი გამოიღო და მე ღირსეული რამ შევმატე ქართულ მწერლობას, მაშინ ისიც გაირკვევა, რომ სამსახურებრივმა საქმიანობამ ნაწილობრივ მაინც დამაზარალა, ხოლო თუ პირიქით მოხდა, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ჩემი ზედმეტად „დატვირთვა“ და ერთიც უნდა შევნიშნო: ბევრის დაწერას და ბევრ თავისუფალ დროსაც ყოველთვის არ მოუტანია სასურველი შედეგი. ჩავთვალოთ, რომ ამ შეკითხვას ამომწურავად ვერ ვუპასუხე.

– როგორც ცნობილია, გამომცემლობაში მუშაობის პერიოდში თქვენ ურთიერთობა გქონდათ ჩვენს მრავალ მწერალთან, პოეტთან. იცნობდით გალაკტიონს. მახსენდება თქვენი ლექსები სიმონ ჩიქოვანზე... ხომ არ გაიხსენებდით რაიმეს – მათთან დაკავშირებულს...

– წინა პასუხს გავაგრძელებ: სამაგიეროდ, გამომცემლობაში ხანგრძლივმა მოღვაწეობამ დამაახლოვა ისეთ პიროვ-

ნებებთან, როგორებიც ივყნენ გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი... მათი ბოლო წლების ყველა მნიშვნელოვანი გამოცემის შემდგენელი და რედაქტორი გახლდით. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული პიროვნებანი, შემოქმედები და ავტორები იყვნენ, მაგრამ მათ ცხოვრებასა და საქმიანობას ყოველთვის ლიტერატურული ინტერესები განაპირობებდნენ და ეს ხაზგასმით და ერთგარი სინანულითაც უნდა აღინიშნოს... განსაკუთრებით გამოირჩეოდა გალაკტიონი, ისევე როგორც შემოქმედებაში... მე უკვე აღარ გახლავართ იმ ასაკისა, რომ მეხსიერებას დიდხანს ვენდო. ვაპირებ დავწერო გახსენებების წიგნი. ამ საინტერესო ოთხეულს ალბათ დაემატება პავლე ინგოროყვა და დემნა შენგელაია, ლევან გოთუა და ლადო გრიგოლია, მომდევნო თაობებიც, ჩემი მეგობრები და ჩემი ტოლებიც...

– რას იტყოდით ახალგაზრდობაზე, ახალგაზრდების შემოქმედებაზე...

– ჩვენ საუკეთესო და საამაყო ახალგაზრდობა გვყავს. ისინი აქტიურად და თავგამოდებით იღწვიან ცხოვრების სხვადასხვა უბანზე. სამწუხაროდ, ხშირად თვალში გვეჩრება ზოგიერთი უღირსი, რომელიც არცხვენს და სახელს უტეხს თავის თანატოლებს. მაგრამ ასეთების საქციელის მიხედვით არ უნდა შევაფასაოთ ჩვენი მომავალი თაობა. მე მინდა, წარმოვიდგინოთ და ვიგულისხმოთ ჯერჯერობით უცნობი ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც მოსკოვისა და ლენინგრადის, იენისა და კიევის, პრაღისა და ტარტუს, ბიბლიოთეკებსა და ლაბორატორიებში სხედან. მათ სახელებს შემდეგ და შემდეგ შევიტყობთ და შევიყვარებთ... საყურადღებოა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი წვლილი. ისინი მეტ ყურადღებას იმსახურებენ. ჭეშმარიტი ხელოვანი არა მარტო წინაპრებისა და წინამორბედებისაგან სწავლობს. ამ თვალ-

საზრისიც საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის მაგალითი. მიუხედავად შერყეული ჯანმრთელობისა, იგი ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული ლიტერატურულ ცხოვრებაში, ბოლო წლებში ახლო კონტაქტები ჰქონდა ახალგაზრდა შემოქმედებთან და ეს ურთიერთობა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თვით პოეტისათვისაც. სამწუხაროდ, ანალოგიური შემთხვევის დასახელება გაგვიჭირდება.

– თქვენ სანუკვარი ოცნება...

– ათი წლის წინათ დაწერილი ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება:

ღმერთს შევნატრი,
მჯობნის მჯობნი აღარ გამომილიოს,
სამნახევარს ვენაცვალე, –
სამნახევარ მილიონს.

ჩემი სანუკვარი ოცნებაა: გაზრდილი და გამრავლებული საქართველოს ჩვენმა შორეულმა შთამომავალმა ეს სტრიქონები ასე შემისწოროს:

ღმერთს შევნატრი,
მჯობნის მჯობნი აღარ გამომილიოს,
ათნახევარს ვენაცვალე, –
ათნახევარ მილიონს!

– დაბოლოს, ტრადიციული შეკითხვა: რაზე მუშაობთ ამჟამად?

– უკეთეს ლექსებზე. ვცდილობ, უკეთესი ლექსები დავწერო.

1986 წლის 31 მაისი.

საჭირო დროის დისტანცია

მესაუბრა ნინო ქაჯაია

– ბატონო ვახტანგ, თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი ბრძანდებით, რომელსაც სამოციანელებს ეძახიან. როგორ ვითარებაში მოვიდა თქვენი თაობა და რამ განაპირობა მისი წარმატება?

– სამოციანი წლების მწერლობამ გამოფხიზლება დაიწყო და თანდათან თავისი უფლებები დაიბრუნა. ეს არსებითი ხასათის მოვლენა იყო და იგი განაპირობა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, უფრო კონკრეტულად – სტალინის სიკვდილმა. სტალინის სიკვდილის შემდეგ იმპერიას ბზარი გაუჩნდა, რომლის აშკარა შედეგებიც სამოციან წლებში გამომჟღავნდა. წინარე პერიოდს თითქოს ტალანტები არც ესაჭიროებოდა, ამჯერად კი ნიჭიერება გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. სიტყვის ნაწილობრივმა თავისუფლებამ შესაძლებლობის გამოვლენას გაუხსნა გზა. ასეთ დროს გამოჩნდა ჩვენი თაობა, რომელსაც საშუალება მიეცა ოდნავ მაინც შეხებოდა აკრძალულ თემებსა და პრობლემებს. ხანგრძლივი წყვდიადის ფონზე პატარა ნაპერწკალიც შესამჩნევი აღმოჩნდა. ჩვენი თაობის დაოსტატება და ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება ერთდროულად მიმდინარეობდა და ამ ბედნიერმა დამთხვევამაც შეუწყო ხელი სამოციანელთა წარმატებას. ორმოცი წელიწადი მხოლოდ გამომცემლობაში ვიმუშავე და კარგად ვიცი, როგორი

ფარული და აკრძალული ხერხებით ებრძოდა სახელმწიფო სიმართლეს, თბილისისა და მოსკოვის ზემდგომი ორგანოების ანუ სათვალთვალოების რამდენი ცხრილი უნდა გაევლო წიგნს, ვიდრე მკითხველამდე მიაღწევდა. ასეთი „ყურადღება“ არც ჩვენს თაობას აკლდა, მაგრამ ახლა რეპრესიებს მხოლოდ ნაწარმოებები განიცდიდნენ და არა ავტორები, და ეს დიდი შეღავათი გახლდათ.

საგულისხმო შემთხვევას გავიხსენებ. გამომცემლობა გეგმის პროექტს სამი წლით ადრე ადგენდა და სამი წელი მიმდინარეობდა გეგმის განხილვა, გასინჯვა, შემოწმება, გადამოწმება, დაზუსტება, დამტკიცება. ეს იყო წინასწარი ცენზურა, ოფიციალური ცენზორი კი უკვე ანაბეჭდებს კითხულობდა. ერთხელ გეგმის მორიგი განხილვისას საკავშირო გამსახკომს წინადღეს მივაკითხეთ და ნაცნობ კოლეგებს მიმოხილვის ტექსტი ვთხოვეთ: მარტო ჩვენი გამომცემლობის გეგმა ოთხას დასახელებას შეიცავდა და შენიშვნების წინასწარ გაცნობა საშუალებას მოგვცემდა, მეორე დღეს უფრო დამაჯერებლად დაგვეცვა ესა თუ ის წიგნი. მიმოხილვას რომ ვეცნობოდით, ოთახში სამმართველოს შეფი შემობრძანდა. არც კი მოგვესალმა (თუმცა თბილისში ნასტუმრები და პატივნაცემი გვყავდა), ისე გაიხმო თანამშრომლები და სასტიკად დატუქსა. კოლეგებმა მოგვიბოდიშეს და შენიშვნები ჩამოგვართვეს. მე ოთხმოციანი წლების ფაქტს ვიხსენებ და ასეთი ფაქტები არ უნდა დაგვავიწყდეს.

ერთმა შედარებით ახალგაზრდა კოლეგამ ამას წინათ ჩვენს შესანიშნავ პოეტს უსაყვედურა, არავინ გაძალებდა აქტუალურ თემაზე დაგეწერა ლექსებიო. აძალებდნენ კი არა, აიძულებდნენ კიდეც, თანაც რჩეულებს და ღირსეულებს ატანდნენ ძალას (უღირსი, რასაც ჩასძახებდნენ, იმას ამოსძახებდა). ენკავედეს ლეიტენანტი – ვინმე შარიფოვი

– „კონფიდენციალური“ საუბრისათვის იბარებდა საქართველოს სახალხო პოეტს, ხოლო მთავრობის ერთმა ჩინოვნიკმა წერილი გამოუგზავნა, ცეკას პირველ მდივანზე რომ ლექსი დაწერე, რაც შეიძლება სასწრაფოდ მომიტანე, რომ მოხვალ, გეტყვი რაშია საქმეო, და ეს მაშინ, როცა ბუნებაში ასეთი ლექსი არ არსებობდა. იმავე გალაკტიონ ტაბიძეს – „ტროცკისტის“ მეუღლეს – მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ოფიციალურად აფრთხილებდა: „თქვენ დავალებული გაქვთ ლექსის წარმოთქმა ლენინის ხსოვნის საღამოზე... გვერდის ახვევის შემთხვევაში თქვენი საკითხი დაისმება სამდივნოზე“. „სამდივნოზე საკითხის დასმის“ ერთი ეპიზოდის შემდეგ კი გალაკტიონი მტკვარში გადავარდა და გადაარჩინეს.

დიახ, ასეთი დრო იყო, ჩემო შედარებით ახალგაზრდა კოლეგა! ერთი შესანიშნავი პოეტის ლენინზე დაწერილი ლექსები კი პირადად მე ამოვიღე გამომცემლობაში წარმოდგენილი დედნიდან ზუსტად 1960 წელს, – მე მგონი, ესენი არაა საჭირო-მეთქი. მეტი არაფერი მითქვამს, ერთმანეთსაც ვერ ვენდობოდით. და, იცი, ახლახან რა მითხრა?! – ასე მეგონა, მცდიდი და ისეთი გრძნობა მქონდა, სიკვდილმისჯილ პატიმარს რომ ეუბნებიან, ადექი და წადი, თავისუფალი ხარო, ის კი არ იძვრის, არ სჯერა, ჰგონია დასცინიანო.

სამოციან წლებში დაშინება და იძულება მოსყიდვით შეცვალეს: 1965 წელს გამომცემლობები დააფინანსეს და ოცამდე გამოჩენილ მწერალს ხელშეკრულებები გაუფორმეს: წინასწარ დაურიგეს სოლიდური თანხები, რათა ოქტომბრის რევოლუციის მოახლოებული ნახევარსაუკუნოვანი თარიღისათვის იდეური ნაწარმოებები დაეწერათ. ავანსი ყველამ აიღო, მაგრამ დაკვეთა მხოლოდ ერთმა შეასრულა და ეს უკვე ბევრს ნიშნავდა.

სამოციან წლებში იმპერიის ვეებერთელა საკანის რომელიღაცა პატარა სარკმელი გაიღო და საიდანღაც შვების-

მომგვრელმა ნიავმა დაუბერა. ამ ნიავმა ხელოვნების ყველა სფეროში შეაღწია. ერთბაშად გამოიკვეთა მძლავრი ნაკადი ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსებისა, რომელთა დასახელება საჭიროც აღარაა.

– „საკუთარ ხმას და სიმღერას ვეძებ“... – წერთ თქვენს პირველ კრებულში შეტანილ ლექსში. როგორია თქვენი „ხმა“ დღეს? როგორ იცვლება პოეტის დამოკიდებულება გარემოსადმი?

– ამ სტრიქონს დღესაც გავიმეორებდი. მომწონს და ვიზიარებ ფოლკნერის მაგალითს: ფოლკნერი თავის ყოველ ნაწარმოებს მორიგ დამარცხებად თვლიდა და უკეთესის წერას იწყებდა. გამარჯვებულად თავი არასოდეს ჩაუთვლია, რადგან გამარჯვება შეაყოვნებდა, შეაფერხებდა. იგი კი შეუძლებლის მიღწევას ცდილობდა, ცდილობდა საკუთარი თავისათვის ეჯობნა და ასე იცხოვრა დამარცხებიდან დამარცხებამდე. ამბობდა, „ხმაური და მძვინვარება“ ჩემი ყველაზე ბრწყინვალე დამარცხებააო და ისევ იმას ეძებდა, რისი პოვნაც იცოდა, რომ შეუძლებელი იყო.

შემოქმედი არასოდეს არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით, ყოველთვის უმჯობესს უნდა ეძებდეს. ყოველი ლექსი რაღაცით უნდა გამოირჩეოდეს, რაღაც სიახლეს უნდა შეიცავდეს, ნაპოვნის შთაბეჭდილებას უნდა სტოვებდეს. ისე ქაღალდი არ უნდა დავხარჯოთ, მკითხველი არ უნდა შევაწუხოთ.

ეს ზოგადად. კონკრეტულად კი, დროისა და ვითარების შესაბამისად, იცვლება პოეტის შემოქმედებითი პრინციპები, იცვლება პოეტის დამოკიდებულება გარემოსადმი. მაგალითად, ეგვიპტეში მოგზაურობის შემდეგ გულგრილად ვეღარ ვუყურებ მოშვებულ ონკანს, ხოლო უკანასკნელი მოვლენების ფონზე პატრიოტული ლირიკის ბევრი ნიმუში გადავაფასე,

მათ შორის – ზოგიერთი საკუთარიც. ახლა მეტად და მეტად მაინტერესებს წერითი საკონტროლოების თემატიკა სკოლაში და ქართველი თამადის რეპერტუარი სუფრაზე. უფრო ხშირად ვიხსენებ და ვიმეორებ ჰაინეს სიტყვებს: წინაპართა დამსახურების გაზვიადება საკუთარი სისუსტის დაფარვის ცდაა.

– XX საუკუნე ექსპერიმენტების საუკუნეა. თქვენთვის რა არის პოეტური ექსპერიმენტი და რა მნიშვნელობას ანიჭებთ მას?

– ექსპერიმენტი ხელოვნების წინსვლის ერთი უმთავრესი პირობაა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, იმპრესიონისტები რომ ტრადიციებს არ დაპირისპირებოდნენ, რენესანსის გიგანტების გზას გაჰყოლოდნენ, და ყველაფერი ნათელი გახდება. მაგრამ აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ტალანტს ენიჭება. გალაკტიონი გვაფრთხილებს: „რაც შეიძლება გვერდი უნდა აეაროს ახალ გამოგონებათა სიმრავლეს. ეს ღლის მკითხველს. რაც შეეხება გასაგებ სიახლეს – ეს აუცილებელია და მკითხველისათვის სასიამოვნო“. მაგრამ სწორედ „გასაგები სიახლის“ მიღწევაა ძნელი, ძალიან ძნელი. თანაც ეს სიახლე ხანდახან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ ხდება „გასაგები“. როგორც ნახატის აღსაქმელად დისტანციაა საჭირო, ისე ჭეშმარიტი ორიგინალობის შეცნობას დროის დისტანცია ესაჭიროება. იგივე იმპრესიონისტების პირველი გამოფენა დაარბიეს, მაღალი გემოვნების პარიზის საზოგადოებამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ვინსენტ ვან გოგმა მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე სიდუხჭირეში გაატარა და თვითმკვლელობით დაასრულა, 1987 წელს კი ნიუ-იორკის აუქციონზე მისი „ზამბახები“, რომელიც ვან გოგის რჩეული ნაწარმოებების რიცხვს არ განეკუთვნება, 54 მილიონ დოლარად გაიყიდა (ეს იყო სარეკორდო თანხა!). იმავე ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ანრი მატისის „ხომალდი“ 47 წელიწადს

უკუღმა ეკიდა, ვიდრე ეს შენიშნეს და ნახატი შეაბრუნეს, მუზეუმში კი მილიონ ექვსასი ათასმა დამთვალიერებელმა გაიარა. სენტ-ბევი იხსენებს მონტესკიეს გამონათქვამს: პოეზიის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე პოეზიაში გარკვევაო. ხოლო პოლ ვალერი წერს: „ყველაზე უკეთესი ქმნილება არის ის, რომელიც ყველაზე დიდხანს ინახავს თავის საიდუმლოს". აგერ ახლახან მოულოდნელი ვერსია შემოგვთავაზეს: ლეონარდოს „ჯოკონდა" ავტოპორტრეტიაო... 1891 წლის 10 ნოემბერს მარსელის საავადმყოფოს წიგნში ჩაწერეს: „გარდაიცვალა 37 წლის კომერსანტი რემბო". სტენდალი სასაფლაომდე სამმა კაცმა გააცილა. მოცარტის საფლავი დაიკარგა... რაღა სხვებს მივტირით, ჩვენი ფიროსმანი და მისი დაკარგული საფლავი გავიხსენოთ: 1912 წელს 19 წლის კირილე ზდანევიჩს რომ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის 21 წლის სტუდენტი მიხეილ ლე-დანტიუ რომ არ ჩამოეყვანა საქართველოში და ამ უკანასკნელის ყურადღება თბილისის ერთ-ერთი დუქნის აბრას არ მიეპყრო, ალბათ ფიროსმანს კარგახნის შემდეგ აღმოაჩენდნენ. დიახ, ზოგჯერ ცოცხალი გენიაც აღმოსაჩენია და ეს აღმოჩენა შეიძლება სრულიად შემთხვევითმა ფაქტმა განაპირობოს.

ამდენი მაგალითის მოხმობა ძიებათა ოპონენტების გასაგონად დამჭირდა, თორემ ჩვენ გენიალურ ექსპერიმენტატორებსაც ვიცნობთ და გენიალურ ტრადიციონალისტებსაც, სიცოცხლეში აღიარებული გენიოსებიც ბევრი გვახსოვს და ავტორის გარდაცვალებისთანავე დავიწყებული ფსევდოშედევრებიც.

ისევ გალაკტიონი დავიმოწმოთ: „ცდების წარმოება, აი ამოცანა თანამედროვე პოეტის".

როგორც ხედავთ, გალაკტიონს ხშირად ვაწუხებ. ნუ გაგიკვირდებათ: უკანასკნელი თორმეტი წელიწადი გალაკტიონის სამყაროში ვიცხოვრე.

– სიტყვამ მოიტანა და ისედაც მინდოდა მეკითხა: ამ რამდენიმე წლის წინ გამოვიდა თქვენი შესანიშნავი წიგნი „უცნობი“ – შედეგი გალაკტიონის ცხოვრების და ჩანაწერების საფუძვლიანი შესწავლისა. როგორ მიხვედით ამ წიგნთან?

– მე ვიყავი გალაკტიონ ტაბიძის უკანასკნელი რჩეულის შემდგენელი და რედაქტორი. გალაკტიონი მეტად პასიური ავტორი აღმოჩნდა. ამიტომ ვაპირებდი დამეწერა წერილი, რათა მომავლის ტექსტოლოგები გამეფრთხილებინა: არ ენდოთ გალაკტიონის შემდგენლებსა და რედაქტორებს! კარგახანს ჩანაფიქრი ჩანაფიქრად რჩებოდა. 1983 წელს ერთმა პირადმა მძიმე შემთხვევამ კალამი ამაღებინა ხელში და სტატიის წერას შევუდექი. რჩეულის შედგენისას მორჩენილი ძალიან დიდი მასალა გალაკტიონმა და მე მის ბინაში მივიბრუნეთ. ახლა იმ საქაღალდეების გადათვალიერება დამჭირდა და ლიტერატურულ მუზეუმს მივაკითხე. სადღაც ამოკითხული მქონდა გალაკტიონის პროზაული ნაწერები უფერული და მოსაწყენიაო. ყოველგვარი სისტემისა და ქრონოლოგიის გარეშე დახვავებული ეს ნაწერები ერთი შეხედვით მართლაც ქაოტურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგრამ მათი დეტალურად გაცნობის შემდეგ შთაბეჭდილება უმალ შემეცვალა. უპირველეს ყოვლისა, არქივი გაოცებთ და გაშინებთ თავისი მოცულობით. მგონი, ლიტერატურის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, მწერალმა რომ ასე დაწვრილებით აღნუსხა თავისი ცხოვრების ყოველი დეტალი, ყოველი ნვრილმანი, ჩანაფიქრი და ფიქრები, ტელეფონზე საუბრის ტექსტებიც, სიზმრებიც კი... მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ თორმეტ წელიწადს ამ ხელნაწერებთან გავატარებდი. ასე შემიტყუა გალაკტიონმა და ეს თორმეტი წელიწადი იყო ჩემი ცხოვრების ბედნიერი პერიოდი, აღსავსე სასიამოვნო მოულოდნელობებით და პატარ-პატარა აღმოჩენებით. ოთხჯერ ფურცელ-ფურცელ და

სტრიქონ-სტრიქონ გადავიკითხე ვეებერთელა არქივი. ზოგიერთს მრავალგზის მივუბრუნდი. გამადიდებული შუშითაც ხანგრძლივად ვიკითხე და ჩემი სათვალეს ნომერი ერთ-ნახევრიდან სამ-ნახევრამდე გაიზარდა. ზამთრის ცივ დღეებში პალტოგაუხდელი, ხელთათმანიანი ხელით ვიწერდი საჭირო ციტატებს. ერთხელ კიდევ მოვახსენებ მადლობას მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებიც ხშირად ჩემი ხათრით მორიგეობდნენ და სავალდებულოზე მეტხანს ყოვნდებოდნენ ხელნაწერთა განყოფილებაში.

ერთ-ერთი აღმოჩენა გალაკტიონის ნახატები გახლდათ. ეს ნახატები ისეა გაფანტული საქაღალდეებსა და უბის წიგნაკებში, რომ თავდაპირველად არც კი შეიმჩნეოდა, მაგრამ მეორე და მესამე მოხილვისას რომ მათი აღრიცხვა დავიწყე, რამდენიმე ასეულს გადააჭარბა.

არქივის გაცნობის შემდეგ ერთი რჩეულის შედგენისა და გამოცემის ისტორია შეავსეს უცნობმა ეპიზოდებმა და ასე დაიბადა „უცნობის" პირველი ვარიანტი. იგი წინასწარ გასაცნობად ჩემს მეზობელ ბესიკ ხარანაულს გადავეცი, მისი აზრი მაინტერესებდა. ბესიკმა, ვიდრე შთაბეჭდილებას გამიზიარებდა, „მნათობში" წაიღო და არჩილ სულაკაურმა მაშინვე გააგზავნა სტამბაში. არადა, „ცისკარში" უნდა მიმეტანა, შეთანხმებული ვიყავი. პირველი ნაწილის კორექტურა წავიკითხე, ცენზორმაც ბეჭედი დაასვა და მოულოდნელად ნებადართული ანაბეჭდები გააჩერეს, საბეჭდი მანქანიდან ჩამოიღეს: როგორც ამბობდნენ ხოლმე, ზემოდან დარეკეს! იყვნენ გავლენიანი პიროვნებანი, რომელთაც არ აწყობდათ გალაკტიონის ტრაგიკული ცხოვრებისა და სიკვდილის სიმართლე. მე ჩემს წიგნს აპოლოგია ვუწოდე. აპოლოგია შექებასაც ნიშნავს და დაცვასაც, სამწუხაროდ, გალაკტიონს ჯერ კიდევ სჭირდება დაცვა და გამართლება.

ორი წალიწადი ხელნაწერი სახლში მედო და იმედიც თითქმის იწურებოდა. 1987 წელს „განთიადის“ რედაქტორად დანიშნეს რეზო ჭეიშვილი. მან იცოდა ჩემი აკრძალული „უცნობის“ ამბავი. წაიღო და პირველსავე ნომერში, რომელსაც ხელი მოაწერა, დაბეჭდა. მთელი წიგნი პეტიტით ავაწყვეთ და ერთ ნომერში ჩავატიეთ, რომ „მნათობის“ შემთხვევა არ გამეორებულიყო. გავაპარეთ. ერთი წლის შემდეგ ნახატებიანი წიგნიც გამოვიდა და ორმოცი ათასი უმალ გაიყიდა. ბუნებრივია, გალაკტიონის ლეგენდა დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს, მით უფრო, სრულიად უცნობ მასალებს გაეცნო მკითხველი. დაიწერა და დაიბეჭდა მრავალი რეცენზია, გამოხმაურება. განსაკუთრებით ერთი კომპლიმენტი მომეწონა: კითხვა რომ დავამთავრე, წიგნს ვაკოცეო. პირველი გამოცემის წარმატებამ არქივში მიმაბრუნა და სამი წლის შემდეგ თითქმის სამჯერ დიდი ვარიანტი გამოვეცით – ოცი ათასი ეგზემპლარი. ახლახან კი, უკვე ხუთი წლის შემდეგ, საბოლოო ვარიანტიც დაიბეჭდა ორი ათასი ცალი, რომელსაც მრავალი ახალი ეპიზოდი დაემატა.

ერთ რამეზე კი მწყდება გული: თენგიზ აბულაძე აპირებდა „უცნობის“ მიხედვით ამავე სახელწოდების ფილმის გადაღებას. უთუოდ საინტერესო იქნებოდა დიდი რეჟისორის მიერ დანახული პოეტის ტრაგედია.

– გარდა გალაკტიონისა, თქვენ მრავალი გამოჩენილი მწერლის რედაქტორი ბრძანდებოდით.

– თითქმის ყველა ქართველი მწერლის წიგნის რედაქტირება მომიხდა. ისინი, როგორც შემოქმედებითი სტილითა და მანერით, ასევე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ხასიათით, ტემპერამენტით, მიდრეკილებით. იოსებ გრიშაშვილმა ბორჯომიდან გამომიგზავნა დეპეშა: „ვნერვიულობ“. გიორგი ლეონიძემ ქობულეთიდან მომწერა: „შემატყობინე წიგნის ამ-

ბავი“. სიმონ ჩიქოვანმა მოსკოვიდან მომილოცა: „გილოცავ ახალ წელს, მომწერე წერილი და ყველაფერი შემატყობინე“. მოსკოვიდანვე დამირეკა ალექსანდრე ჭეიშვილმა – გერმანიაში საბედისწერო გამგზავრების წინ. გაბრიელ ჯაბუშანურმა ჩეჩნეთიდან მომაწვდინა ხმა: „მზეთა ქვეყანა“ ნახევრად შენი წიგნიაო“. ლევან გოთუამ ვორკუტის ამბები მიამბო. პავლე ინგოროყვამ გალაკტიონი გაიხსენა, აკაკი გაწერელიამ პარიზში დაბეჭდილი გრიგოლ რობაქიძის წერილი მომიტანა – „გალაკტიონ ტაბიძე და მისი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. ლადო გრიგოლიამ რუსთაველის პორტრეტი მაჩუქა. დემნა შენგელაიამ ფეტის რუსული წიგნი მისახსოვრა: „მინდა ასეთი კარგი პოეტი იყო“. ირაკლი აბაშიძემ „უცნობი“ მთხოვა. იოსებ ნონეშვილმა წიგნზე წამიწერა: „ჩემს საყვარელ კოლეგასა და რედაქტორს“. მორის ფოცხიშვილი გამეხუმრა: „ჩემო ჩახტანგ ჩავახაძევ!“...

ბევრ მწერალთან წიგნმა დამაახლოვა და დამამეგობრა. საინტერესოა რედაქტორის თვალით დანახული ავტორები, კიდევ უფრო საინტერესო – მათი მემკვიდრენი: ვაჟა-ფშაველას შვილი და შვილიშვილი, ტიციან ტაბიძის მეუღლე და ლადო ასათიანის მეუღლე, მირზა გელოვანის და-ძმა, ლეო ქიაჩელის რძალი, გურამ რჩეულიშვილი მამა, ნიკო ლორთქიფანიძის ვაჟიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილი... ქეთევან ჯავახიშვილი განსაკუთრებული აღნიშვნისა და ყურადღების ღირსია. მან სამაგალითოდ მოუარა სახელოვანი მამის მემკვიდრეობას, აქტიურად მონაწილეობდა მწერლის რეაბილიტაციის პროცესში და ტომეულების გამოცემაში, დაწერა მშვენიერი წიგნები მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ და... ერთ მშვენიერ დღეს ჩემდა გასაოცრად შევიტყვე, რომ ეს კეთილშობილი ქალბატონი ფილოლოგი არ ბრძანდებოდა...

უამრავი ავტოგრაფიანი წიგნები დამიგროვდა. ყოველი ლაკონური წარწერის უკან მადლიერი ავტორი დგას, თითოეული ფაქსიმილე საინტერესო ეპიზოდს შემახსენებს. ამ წიგნების ამბავი შეიძლება წიგნად დაიწეროს. სათაური მზადაა – „ნაცნობი ავტოგრაფები".

– თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთ ხელმძღვანელი სოლიდური გამომცემლობისა „საქართველო" და ყველაზე უკეთ თქვენთვისაა ცნობილი როგორც წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული პრობლემები, ისე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა – მკითხველთა რიცხვის ძალზე შემცირება. კანონზომიერად ან ბუნებრივად ხომ არ გეჩვენებათ ეს პროცესი? საჭირო მიგაჩნიათ თუ არა მასთან ბრძოლა?

– „წიგნს შავი დღე დაუდგა" – ასეთი საგანგაშო სათაურით გამოქვეყნდა ამას წინათ ჩვენი გამომცემლობის დირექტორის ჯანსუღ ღვინჯილიას წერილი და ეს მწარე სიმართლეა. „საქართველო" ყოველწლიურად ოთხასამდე წიგნს ცემდა, ამჟამად ათიოდე დასახელებას ბეჭდავს. მკითხველთა რიცხვი კი არ შემცირდა, შემცირდა ფულიან მკითხველთა რიცხვი. ფული ისეთმა ხალხმა იშოვა, ვისაც წიგნი ნაკლებად აინტერესებს. არადა, წიგნის მნიშვნელობა ჩემგან არ გესწავლებათ: ფაშისტებმა 1932 წლის 10 მაისს ოცდახუთი ათასი წიგნის კოცონი დაანთეს ბერლინის ქუჩებში, უპირველეს მოწინააღმდეგედ წიგნი ჩათვალეს და უპირველეს ყოვლისა წიგნს შეუტიეს. აი, რა ძალა გააჩნია დაბეჭდილ სიტყვას.

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა და უდიდესი სიძვირისა, ჯერჯერობით ვახერხებთ მკითხველისათვის აუცილებელი მხატვრული ლიტერატურის მიწოდებას: ჩვენს საფირმო მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ვაჟასა და გალაკტიონის ხუთტომეულები, ყაზბეგისა და კლდიაშვილის ორტომეულები, ქართული პოეზიის შედევრები, ქართული პროზის XXI, XXII,

XXIII, XXIV და XXV ტომები. განახლდა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა: გამოვა ძველი ბერძნული ტრაგედიები. დასრულდება „ათას ერთი ღამის" რვატომეული. ვამზადებთ ილუსტრირებულ სასაჩუქრო გამოცემას – „ქართული პოეზიის თანავარსკვლავედი" შვიდ ტომად: რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი. „ვეფხისტყაოსანი" აწყობილია. უახლოეს ხანში მკითხველს შევთავაზებთ ანა კალანდაძის ორტომეულს. პირველ ტომში დაიბეჭდა ლექსები. მეორე ტომში იბეჭდება პოეტური თარგმანები და პროზაული ნაწერები. ეს ტომი ორმოცი სასტამბო თაბახია და თითქმის მთლიანად ახალ მასალებს შეიცავს: „საუბრები", „ფშავსა და ხევსურეთში", „ქეთევან მაღალაშვილის სეანსებზე", „კოლხური კოშკის ბინადრებთან", „სიყვარულით ფართოვდება ქვეყანა"... გირჩევთ არ გამოგრჩეთ ეს მეტად საინტერესო ორტომეული, მისი ტირაჟი მხოლოდ ერთი ათასია.

– „ოტარიდი" – რას ნიშნავს თქვენთვის ეს ასოციაცია, რა მნიშვნელობას ანიჭებთ თავად ფაქტს ამ ასოციაციის შექმნისა?

– მწერალთა კავშირის წევრთა რიცხვი ძალიან გაიზარდა და პატარა ავტონომიების შექმნა კავშირის ტერიტორიალური მთლიანობის ფარგლებში სავსებით ბუნებრივად მეჩვენება. „ოტარიდმა" მეგობრულ მაგიდასთან შეკრიბა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გათიშული კოლეგების ერთი ჯგუფი, შემოქმედებითი თანამშრომლობისაკენ მოუწოდა და საინტერესო გეგმები შესთავაზა. „ოტარიდის" თავდაპირველი მიზანი მწერალთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაა. თუ ცხოვრება დალაგდა, შეუძლია უფრო გაიბრწყინოს.

მცირე ასოციაციების არსებობა დემოკრატიზმის გამოხატულებაა, თავისუფალ ქვეყნებში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება და ათიან-ოციანი წლების საქართველშიც ამართლებდა.

სხვათა შორის „ოტარიდის“ ჩამოყალიბებამ დააყენა დღის წესრიგში მწერალთა კავშირის რეორგანიზაციის აუცილებლობა და მისი შექმნა ამ მხრივაც მისასალმებელია.

– გეგმები.

– ვწერ ახალ ლექსებს, უფრო ინტენსიურად მას შემდეგ, რაც „უცნობი“ დავასრულე. ჩვენს ირგვლივ არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა: აღარ არსებობს ცენზურა. მაგრამ მთელი შეგნებული ცხოვრება მკაცრი კონტროლის პირობებში გავატარეთ და შინაგანი ცენზორი ჯერ კიდევ ვერ მოგვშორებია, შინაგანი თავისუფლება ჯერ კიდევ ვერ მოგვიპოვებია. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე არც სტიქიური უბედურებანი დაგვკლებია და არც სტიქიაზე უფრო მძლავრი პოლიტიკური კატაკლიზმები. ყოველი ჩვენგანის ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო და მეორე პერიოდი – სწორედ ეს რამდენიმე წელიწადი – უფრო ხანგრძლივი გვეჩვენება, იმდენი მოულოდნელობითაა აღსავსე. ხატოვანი ჰიპერბოლა – „ამას რას მოვესწარით“ – პირდაპირი მნიშვნელობით აგვიხდა და ტკივილიანი დღეები და ღამეები ჯერაც არ ჩამცხრალა. ბოლო წლების შემთხვევებმა მწარედ დაგვაფიქრა და ყოველი შემოქმედის ცხოვრებაში მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის პაუზაც განაპირობა. მძლავრ აფეთქებათა ნისლი თანდათან იწმინდება და ნეგატივის კონტურებიც უფრო შესამჩნევია. მისი დანახვა და სტრიქონებში გადატანა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. ისევ გალაკტიონი:

ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო,
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“,
1996 წლის 13 სექტემბერი.

მამა-შვილის დაუსწრებელი დიალოგი

გვესაუბრა თამარ გუნაშვილი

ვახტანგ ჯავახაძეს 65 წელი შეუსრულდა. მისალოც სიტყვებთან ერთად ასეთი რამ მოვიფიქრეთ: მას და იუბილარის ვაჟს, ახალგაზრდა მწერალს, ირაკლი ჯავახაძეს ბლიც-ინტერვიუ შევთავაზეთ: ერთსა და იმავე კითხვებზე ვთხოვეთ პასუხის გაცემა – ოღონდ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ვთხოვეთ, პასუხები ცალ-ცალკე ჩამოეწერათ, მერე კი მათ „ქართული კულტურის“ რედაქციაში დავაწყვილებდით.

თუმცა პიროვნება უკვე დედნის გადათვალიერებისას ჩანს. ირაკლის პასუხები მოკლე და ლაკონური აღმოჩნდა, ხელით ნაწერი, დანომრილი პასუხები. ბატონი ვახტანგი კი საბეჭდ მანქანას მისჯდომია, კითხვებიცა და პასუხებიც აკურატულად ამოუბეჭდავს და გვერდებიც დაუნომრავს. უკვე მოგახსენეთ, კითხვები რომ ცალ-ცალკე დავურიგეთ და ვთხოვეთ, აზრები არ შეეთანხმებინათ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამის საშიშროება არც ყოფილა: „ერთმანეთი არ გვინახავს“, – გვითხრა რედაქციაში მოსულმა ირაკლიმ, რომელიც მამის ნაწერში ჩაჭყეტას ცდილობდა და დასძინა, – „გუშინ ხომ შაბათი არ იყო“. ასე რომ, ის, რაც „ქართული კულტურის“ ფურცლებზე ახლა ქვეყნდება, ისევე უცნობია მათთვის, როგორც ყოველი მკითხველისათვის.

– რომელია ვახტანგ ჯავახაძის საყვარელი ლექსი, რომელსაც ყველაზე ხშირად იმეორებს?

შვილი: მე მგონი: – „ლურჯა ცხენები", თუმცა ლექსის ხმამაღლა წაკითხვას ერიდება.

მამა: საყვარელი ლექსი იმდენია, რომელიმეს ვერ გამოვარჩევ. გამეორებით კი უკანასკნელ წლებში გალაკტიონის ორსტროფიან შაირს ვიმეორებ:

რაა მასზე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო.
არის ხლართი რკინიგზების,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო.

– რას ითხოვს იგი ირაკლისაგან ყველაზე მეტად?

შვილი: ხანდახან მაინც – სახლში შევლას.

მამა: დროის რაციონალურად გამოყენებას.

– რას ნიშნავს თქვენთვის იდეალური მამაშვილობა? რამდენად ახლოსაა თქვენი ურთიერთობა ამ იდეალთან?

მამა: ჩემთვის იდეალური მამაშვილობა ნიშნავს ურთიერთპატივისცემას. ჩვენი ურთიერთობა ამ იდეალთან ახლოსაა და ირაკლი არც ისე ახალგაზრდაა, რომ ამ ჰარმონიას აწი დაემუქროს საშიშროება.

შვილი: ძმაკაცურ ურთიერთობას. ხან ვუახლოვდებით ამ იდეალს, ხან – ოდნავ ვშორდებით.

– რაზე ბრაზდება ვახტანგ ჯავახაძე ყველაზე მეტად?

შვილი: როცა ტელევიზორში ფეხბურთს უყურებს ან „პოლიტიკოსების" დემაგოგიურ გამოსვლებს უსმენს.

მამა: ვერ ვიტან, როდესაც ვინმეს ამცირებენ ან შეურაცხყოფენ.

– აზრი ირაკლის შემოქმედებაზე.

ირაკლი თვითონ მიიჩნევს, რომ ამის გამოსახატავად მამას ერთი სიტყვა – „საშუალო“ – ეყოფა.

მაგრამ სინამდვილეში მამის აზრი ასეთია: „პროზაიკოსის ჩამოყალიბების ტემპს არ ჩამორჩება. ოღონდ ცოტას წერს. არც ზედმეტად ანტიგრაფომანობა ვარგა. შემოქმედებაზე მსჯელობა კი ჯერ ადრეა. ნაადრევი პროფესიონალიზმი სახიფათოა“.

– რას ფიქრობს იუბილარი უმცროსი თაობის მწერლებზე?

„საერთო პირობები მაგათ უკეთესი აქვთ, უფრო თავისუფლები არიან. მხოლოდ ნებისყოფის მეტი სიმტკიცეა საჭირო. მარტო ტალანტის იმედი არ კმარა“.

ირაკლი კვლავ ლაკონურია. მისი აზრით ეს შეფასება „ამ შემთხვევაშიც საშუალოა“.

– რაზე კამათობთ ყველაზე ხშირად?

მამა: უფრო პოლიტიკურ საკითხებზე, ვიდრე შემოქმედებით პრობლემებზე. ისე, მხოლოდ შაბათ-კვირას ვხვდებით ერთმანეთს. სხვა დღეებში, ირაკლი რომ სახლში ბრუნდება, მე მძინავს და მე რომ სახლიდან გავდივარ, ირაკლის სძინავს.

შვილი: ჩემი ცხოვრების წესზე.

– რამდენად ემთხვევა თქვენი ლიტერატურული გემოვნება?

მამა: დიდად არ განსხვავდება. მაგალითად, ორივეს მოგვწონს ტარიელ ჭანტურიას პოეზია და გურამ დოჩანაშვილის პროზა. ოღონდ ახალი თაობის შეფასებისას მე უფრო მკაცრი ვარ, ძველი თაობის შეფასებისას კი – ირაკლი.

შვილი: თითქმის ემთხვევა.

– რამდენად შესაძლებელია ვახტანგ ჯავახაძის პიროვნების სამი სიტყვით დახასიათება?

მამა: ძნელია. ბევრ ჩემს პიროვნულ ნაკლს ვგრძნობ და ვცდილობ, გამოვასწორო. ვახერხებ თუ არა, სხვა საკითხია.

შვილი: მშვიდი. ერთგული. ნიჭიერი.

– წარსულიდან ყველაზე ხშირად რომელი გახსენება გეწვევათ?

მამა: ბავშვობისა და გალაკტიონ ტაბიძესთან ურთიერთობის ეპიზოდებისა. რაც დრო გადის, უფრო ხშირად მესიზმრება „ქუთაისური სიზმრები", ალბათ ასაკის გამო.

შვილი: სკოლისა და უნივერსიტეტის წლებისა.

აქ კი შვილს უფრო დაეჯერება, რადგან იცის, რა სახის შენიშვნები უფრო უყვარს მამამისს. აი ისინი: „ეს სახლია თუ სასტუმრო?", „მეც ვიყავი ახალგაზრდა...".

– უკითხავს თუ არა ერთმანეთს მამა-შვილი ახალ ნაწარმოებებს?

მამა: ადრე მაკითხებდა თავის პირველ მოთხრობებს. ახლა გამოქვეყნების შემდეგ ვკითხულობ და ჩემს აზრს გულწრფელად ვუზიარებ. თვითონ ჩემს გამოუქვეყნებელ ლექსებს კითხულობს, მაგრამ შეფასებისაგან თავს იკავებს.

შვილი: არა.

შეკითხვათა რიცხვი 13 აღმოჩნდა და, ყოველი შემთხვევისათვის, ერთიც დავამატეთ:

– რაზე ოცნებობს ვახტანგ ჯავახაძე?

– პატარა გამოუქვეყნებელი ლექსით გიპასუხებთ:

იყო: ამაყი, დიდებული, დაფასებული,
დავითფერული, ვახტანგური, საბასებური...
არის: მორჩილი, გათანგული, გაბეზრებული,
გავაჭრებული, გაყიდული, გაბაზრებული...
... ღმერთო, მაღირსე საქართველო –
გაბრაზებული!

გაზეთი „ქართული კულტურა", 1997 წლის 1 აგვისტო.

მარად და ყველგან!

მესაუბრა ანდრო ბედუკაძე

– ილია ჭავჭავაძის პოეზია უფრო გიყვართ თუ პროზა?

– მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პოეტური შედევრის ავტორია, ილიას პროზა უფრო მიყვარს. სხვათა შორის, ილიასაც თავისი პროზა უფრო „უყვარდა“. სიცოცხლის ბოლო ცამეტი წლის მანძილზე ილია ლექსებს აღარ წერდა. იგი იყო უაღრესად ზუსტი გემოვნების შემოქმედი და აშკარად გრძნობდა პოეზიის ორი ტიტანის – აკაკისა და ვაჟას ღირსებებსა და, როგორც ჩანს, უპირატესობასაც. გალაკტიონი ერთგან ილიას პროზის რიტმს ახასიათებს და წერს: „საქართველოში დღემდე არ მოიპოვება უკეთესი რიტმი“.

– რომელ ნაწარმოებს გამოარჩევდით მისი პროზიდან, პოეზიიდან?

– „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „ლოცვა“, „მესმის, მესმის,“ „ნანა“, „ელეგია“, „მუშა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, „პოეტი“, „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაკი შენდამი“, „ჩემო კალამო“, „ბედნიერი ერი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და ხუთივე პოემა. რაც შეეხება პროზას, ვერცერთ ნაწარმოებს ვერ გამოვარჩევ, ყველა სრულყოფილია და ერთმანეთზე უკეთესი.

– იყო თუ არა თქვენი ცხოვრების მანძილზე ისეთი პერიოდი, როდესაც ილიას შემოქმედება თქვენთვის უმნიშვნელო იყო, ანდა საერთოდ არ გაღელვებდათ?

– ახლა, როცა „თავისუფლებას ვსწავლობთ“ და ბრძენი მოძღვარი გვჭირდება, ილია ჩვენი უპირველესი მრჩეველი და გულშემატკივარია. ამდენად ილიას მნიშვნელობა ამ უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. ისე კი, ჩვენს სულიერ სამყაროს ილია ყოველთვის მოძღვრავდა და აღელვებდა.

– როგორ მიგაჩნიათ, ილია მწერალი უფრო დიდი იყო თუ მოღვაწე?

– ილია იყო დიდი მწერალი და დიდი მოღვაწე. რაკი ჩვენ დიდი მოღვაწეების დეფიციტს უფრო განვიცდით, შეიძლება ამ უკანასკნელმა გადაწონოს. მაგრამ ილია არა მარტო დიდი მწერალი და დიდი მოღვაწე იყო და არის. იგი უფრო მეტია, ილია სიმბოლოა, ქართველი ერის სიმბოლო, საქართველოს სიმბოლო, და ამ თვალსაზრისით იგი ყველა მწერალსა და ყველა მეფესაც კი აღემატება, გარდა დავით აღმაშენებლისა.

– იქონია თუ არა ილიამ გავლენა XX საუკუნის პოეზიაზე, პროზაზე?

– პოეზიაზე ალბათ ნაკლებად, უფრო პროზაზე და განსაკუთრებით – მხატვრულ პუბლიცისტიკაზე.

– პირადად თქვენზე თუ მოახდინა ილიამ გავლენა და რაში გამოიხატა ეს?

– პირადად ჩემთვის ილია სანიმუშოა არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც პიროვნება. იგი ყოველთვის ჩვენს გვერდითაა, ჩვენი მოძღვარია და ცხოვრების რთულ ლაბირინთებში სანდო მეგზური. ამაოდ არ უთქვამს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

– ილიას ჯერ ბარბარე ჯორჯაძემ დაუწუნა პოეტური ფრაზა, შემდეგ „ცისფერყანწელებმა“. როგორ მიგაჩნიათ, ჰქონდათ მათ ამის საფუძველი?

– ჩვენ რატომღაც გვეშინია კლასიკოსების ნაკლზე საუბარი, მით უფრო – წერა. არადა, ილიას ზოგიერთი პოეტური

ფრაზა ამას იმსახურებს, რაც არასგზით არ შეეხება ილიას პროზას. რაც შეეხება ბარბარე ჯორჯაძესთან და ძველი თაობის მწერლებთან ილიას პოლემიკას, აქ ილია ცამდის მართალი ბრძანდებოდა, და საერთოდ, როცა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ არა მარტო პროზა და პოეზია, – არამედ – აუცილებლად პუბლიცისტიკაც. ილიას წერილებმა არა მარტო უდიდესი და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართველთა ეროვნულ თვითშეგნების გაღვიძებაში, ისინი უმაღლესი მხატვრული ღირსების ქმნილებებია. გავიხსენოთ თუნდაც ილიას საახალწლო ფელეტონები – თავისუფალი ლექსის შესანიშნავი ნიმუშები.

– უნდა მივსდიოთ ილიას ცხოვრების მაგალითს, თუ „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს"?

– თუ ჩვენს სახელოვან და სამაგალითო წინაპრებს გზის მანათობელ ვარსკვლავებად წარმოვიდგენთ, საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის ცაზე მრავალი ასეთი მნათობი კაშკაშებს. მათ შორის ყველაზე დიდი მაინც ილია ჭავჭავაძის ვარსკვლავია, და ამ ვარსკვლავს ჩვენ კვლავაც უნდა მივსდიოთ.

1997 წლის 7 ოქტომბერი.
დაიბეჭდა ჟურნალ „საგურამოში" 2016 წელს.

გურამიშვილის თანაავტორივით

მესაუბრა შერთხია ბეროშვილი

– ბატონო ვახტანგ, შეიძლება თუ არა პოეტი ღარიბი იყოს? (პოეტმა რომ თქვა: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენიებიო").

– რა თქმა უნდა, შეიძლება. პოეზია ხომ შემოსავლიანი ბიზნესი არ გახლავთ. მაგრამ სასურველია, პოეტი არ იყოს ღარიბი, არ დაიჯეროთ, რომ გაჭირვებული პოეტი უფრო უკეთესად დაწერს...

– მაშინ შევაბრუნოთ კითხვა: თუ შეიძლება პოეტი ძალიან, ძალიან მდიდარი იყოს?

– არა! იმიტომ, რომ დიდ სიმდიდრეს მოვლა უნდა. პოეტს ამისთვის არასდროს არ უნდა ეცალოს. ძალიან მდიდარი ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანურ თვისებებს კარგავს (ისე, პოეტი ძალიან, ძალიან მდიდარი უნდა იყოს თავის ოცნებებში!).

– ბავშვობაში თუ გიფიქრიათ ბევრ ფულზე და სიმდიდრეზე?

– არასოდეს მიფიქრია. ბავშვობაში სხვადასხვა გატაცება მქონდა: ჯერ ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი. შემდეგ მხატვრობამ გამიტაცა. ბოლოს ლექსების წერა დავიწყე... მთელი ცხოვრება იმაზე ვოცნებობ, ხვალ უკეთესი ლექსი დავწერო...

– უპირველეს ყოვლისა, რას გააკეთებთ ბევრი ფული რომ გქონდეთ?

– რადგან ჩემგან მხატვარი არ გამოვიდა, მხატვრობის ნოსტალგია დამჩემდა, ვაგროვებ ალბომებს. ბევრი ფული რომ მქონდეს, ჩემს კოლექციას გავამდიდრებდი და აუცილებლად შევიძენდი ვან გოგის ერთ ორიგინალს, რადგან ვან გოგი ჩემი უსაყვარლესი პიროვნებაა.

– მეგობარი თუ გყავთ მდიდარი და რა მოგწონთ მისი თვისებებიდან?

– ჩემი მეგობრები უმეტესად, მწერლები არიან და ჩემნაირად ცხოვრობენ. საერთოდ, მდიდარი ადამიანები, ეტყობა, ისევ მდიდრებთან მეგობრობენ.

– იქნებ აღგვიწეროთ კარგი მდიდარი...

– ჩემთვის „კარგი მდიდრის" ნიმუშია სარაჯიშვილი, მეცენატი, ქართული კონიაკის მწარმოებელი. ის სპეციალურად შეარჩევდა ხოლმე ღარიბ ახალგაზრდას. აგზავნიდა უცხოეთში სასწავლებლად, რომ საქართველოს კარგი პატრონი შემატებოდა. მადლობა ღმერთს, ჩვენში დღესაც არიან ბიზნესმენები, რომლებიც კარგ საქმეს აკეთებენ...

– რომელიმე ხომ არ დაასახელებდით?

– გამორჩეულად ვერავის დავასახელებ, ისე კი ვიცი, ერთმა ბიზნესმენმა წიგნები დააფინანსა, მეორემ – პრემიები დააწესა... თუმცა, ასეთ შემთხვევასაც გეტყვით: გვინდოდა გურამიშვილის „დავითიანის" ავტოგრაფული გამოცემა. დედანი დიდი ხანია მზადაა და მხოლოდ დაბეჭდვა და აკინძვა ესაჭიროება. წერილიც დავბეჭდე პრესაში, ასეთი სათაურით – „გურამიშვილი ეძებს სპონსორს...", ტელევიზორშიც გამოვაცხადე და რადიოშიც. სულ რაღაც 2800 დოლარი სჭირდებოდა. მაგრამ ჯერჯერობით არავინ გამოჩნდა. აქვე უნდა გავიხსენო ამ იდეის ავტორი – სარგის ცაიშვილი.

– როგორ გამოიცნობთ მდიდარს, სანამ გაიცნობთ?

– მდიდარს ყველაფერში ეტყობა თავისი „სიმდიდრე". სიარულზე, ლაპარაკში, სუფრაზეც სხვანაირად, ამაყად

უჭირავს თავი. ჩვენი მდიდრები ცოტა თავხედები არიან. ჩვენთან ყველაფერი დამახინჯებულია. ბევრი ისეთი ადამიანი გამდიდრდა, ვინც ცოტა ხნის წინ ღარიბი იყო და არ იცის, როგორ მოიხმაროს ეს სიმდიდრე ანუ როგორ დაიჭროს თავი...

– მდიდრების არასოდეს შეგშინებიათ?

– შემშინებია კი არა შემცოდებია.

– რა აზრისა იქნებით ძალიან ღარიბი ქვეყნის პირველ ხელისუფალზე, რომელსაც ქვეყანაში ძალიან მდიდარი ნათესავები ეყოლება?

– ძალიან უარყოფითი აზრისა... ნათესავები კი არა, ჩემი აზრით, წესიერი ხელისუფალიც ისევე გაჭირვებით უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ხალხი...

– თქვენი შვილი თქვენსავით ღარიბია? არ გინდათ გამდიდრდეს?

– ერთი მეზობელი ქალი მყავდა. ერთხელ იმ ქალმა ასეთი რამ თქვა: ღმერთო, ნუ გაამდიდრებ ჩემს შვილებსო, – ისე მომეწონა ეს ფრაზა, მთელი სიცოცხლე მახსოვს. ჩემი შვილი ფილოლოგია, რედაქციაში მუშაობს. მოთხრობებსაც წერს... ჩემთან ცხოვრობს, ასე რომ ჩემსავით ღარიბია... ვერც გამდიდრდება და არც მინდა რომ გამდიდრდეს.

– თქვენ პროფესიით ჟურნალისტი ხართ. მდიდარი კაცისგან რომ აგეღოთ ინტერვიუ, პირველ რიგში რას შეეკითხებოდით?

– პირველ რიგში ვკითხავდი, საიდან არის მდიდარი, თავის სიმდიდრეს როგორ იყენებს. თუ შევამჩნევდი, რომ ისე არ მოიხმარს, როგორც საჭიროა, ძალიან კეთილ რჩევას მივცემდი. გურამიშვილის წიგნის გამოცემას შევთავაზებდი და შევპირდებოდი, რომ ავტორის გვარის გასწვრივ მის გვარს მივაწერდი – გურამიშვილის თანაავტორივით.

გაზეთი „ახალი ეპოქა", 2000 წლის 7 ივლისი.

დაგვიანებული დიალოგი

საუბრობენ ვახტანგ ჯავახაძე და ჯუმბერ თითმერია

ჯუმბერ თითმერია – ბატონო ვახტანგ! ჩვენ ერთმანეთთან საუბრის საშუალება უკვე ორმოცი წელი მაინცაა გვაქვს (რა დრო გასულა!), მაგრამ ახლა მინდა, ასე ვთქვათ, ყველას გასაგონად გესაუბროთ თქვენ, თვალსაჩინო პოეტს, მთარგმნელს, ესეისტს, მკვლევარს (დიახ, „უცნობი", უდავოდ მეცნიერებაცაა, მაგრამ ამაზე საგანგებოდ ვისაუბრებთ), რედაქტორს... თანახმა ხართ? აგაშენოთ ღმერთმა! შევუდგეთ საქმეს. ქრონოლოგიური პრინციპით ვისაუბროთ, ბავშვობიდან, სკოლის წლებიდან დავიწყოთ: რითი განსხვავდება ის წლები ამ წლებისგან, ის სკოლა ამ სკოლისგან. ვთქვათ, პიონერთა ბანაკებს როგორ დაახასიათებდით? იქნებ თქვენს მასწავლებლებზე, თანასკოლელებზე გვესაუბროთ. გაიხსენოთ ის შემთხვევები, რომლებმაც განსაკუთრებით დაგამახსოვრათ თავი... როგორ ეკიდებოდნენ თქვენს პირველ ლიტერატურულ ცდებს თქვენი მშობლები, მასწავლებლები, ამხანაგი გოგო-ბიჭები?..

ვახტანგ ჯავახაძე – მე დავიბადე და გავიზარდე ქალაქში, რომელიც აპოლონიოს როდოსელმა ქრისტეს დაბადებამდე მესამე საუკუნეში მოიხსენია. ახლა და ახლა ძალიან მენატრება ეს ქალაქი და ძალიან ხშირად ვნახულობ ქუთაისურ სიზმრებს.

ვცხოვრობდი – რიონის პირას კი არა, – ჩვენი სახლის კედელი მდინარეში იდგა და ყოველღამ რიონის იავნანა მაძინებდა, დღისით კი მე და ჩემი ტოლები თეთრ ქვებზე ვეყარეთ – თეთრი ხიდის ქვეშ.

სკოლაში შემიყვანეს და ერთი წლის შემდეგ ომიც დაიწყო, ბავშვობისა და სიყმაწვილის ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი და დაუვიწყარი წლები. გერმანელების თვითმფრინავი მახსოვს ქუთაისის ცაზე და გერმანელი ტყვე ჩვენს ჭიშკართან, რომელმაც თავისი ხელით გაკეთებული ბოქლომი დედაჩემს ტალონებით აღებულ პურის ნაჭერში გაუცვალა. მახსოვს პურის და ნავთის რიგები, დაჭრილებით სავსე ჰოსპიტალი ჩვენი სახლის პირდაპირ. ჰოსპიტალმა დაიკავა ჩვენი სკოლაც და რიონგაღმა ბალახვანში დავდიოდით, სადაც რამდენიმე სკოლა სამ წყებად მეცადინეობდა.

მე დავამთავრე ქუთაისის ვაჟთა პირველი სკოლა, აკაკისა და მაიაკოვსკის გიმნაზია. თავდაპირველად ცურვითა და ჭინჭის ბურთით ვერთობოდი, მერე მხატვრობამ გამიტაცა, 12 წლიდან კი ლექსებს ვწერ. მეჩვენება, რომ მაშინ მასწავლებლებისადმი მეტი პატივისცემა და მოკრძალება იგრძნობოდა და ამას თვითონ პედაგოგებიც იმსახურებდნენ. მეხუთე-მერვე კლასებში ალგებრა-გეომეტრიას გვასწავლიდა ირაიდა ეზიკაშვილი, ჩვენი ცნობილი იურისტის მინდია უგრეხელიძის დედისდედა. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ირაიდა მათემატიკურ საგნებს გვასწავლიდა და გვასწავლიდა მხოლოდ მერვე კლასამდე, მისი ყურადღება არ მომკლებია უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც. დიდი სიყვარულით ვინახავ და დროდადრო გადავიკითხავთ ხოლმე ძველი თაობისთვის დამახასიათებელი ხელწერით მიმზიდველ მის პირად წერილებს. აქვე უნდა გავიხსენო ბატონი ვანო ვარლამიშვილი. იგი მხოლოდ ორ წელიწადს გვასწავლიდა ქართულ ენასა და ლი-

ტერატურას, მაგრამ მან დიდი გავლენა მოახდინა ჩემი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე. საერთოდ კი ჩვენი კლასი თეატრალური აღმოჩნდა: რეჟისორები რომან აბულაძე და მურმან ფურცხვანიძე, მსახიობები ნოდარ მარგველაშვილი და ერემია სვანაძე. ჩემი თანაკლასელია მოქანდაკე გივი მიზანდარი. შედარებით ცოტახანს ჩვენს მერხზე იჯდა რეზო ჭეიშვილი, რომლის დახასიათება აქ, ალბათ, ზედმეტიც კია.

ჯუმბერ თითმერია – ამას უნივერსიტეტი მოჰყვა. პირადად მე, არ დავმალავ: მაღიზიანებს ის, რომ დღეს ამდენ უმაღლეს სასწავლებელს ჰქვია უნივერსიტეტი (თუმცა, ვიცი, რომ ამ სიტყვის დატვირთვა დღეს გარკვეულწილად შეიცვალა). მაშ ასე, თქვენ მაშინ გახდით ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, იმ უნივერსიტეტისა, რომელიც მაშინ, სავსებით ბუნებრივად, სტალინის სახელობისა იყო, დღეს კი ასევე ბუნებრივად, ლოგიკურად, კანონზომიერად ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს.

გთხოვთ აღადგინოთ უნივერსიტეტში ჩასარიცხ გამოცდებთან და პირველ ლექციებთან დაკავშირებული ემოციები...

რა იყო თქვენთვის უნივერსიტეტი მთლიანობაში, და თქვენი ჯგუფი, რომელმაც, პირდაპირ ვთქვათ, წარუშლელი სასიკეთო კვალი დაამჩნია საერთოდ ჩვენს კულტურას, განსაკუთრებით კი – ლიტერატურას. გთხოვთ ჩვენს მკითხველს აღუდგინოთ თქვენი ჯგუფის, ასე ვთქვათ, კოლექტიური პორტრეტი. დარწმუნებული ვარ, რომ გამორჩევით თქვენს იმ თანაკურსელებზე გვესაუბრებით, რომელთა სახელებიც დღეს ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასია. მაგრამ ყველა ხომ მაღალი რანგის მწერალი ვერ დადგებოდა, ეს ბუნებრივია. მაგრამ თქვენი სხვა თანაჯგუფელებიც ხომ თქვენთვის ძალი-

ან ახლობელი ადამიანები, მეგობრები იყვნენ... გთხოვთ ისინი სახელდებულად წარუდგინოთ მკითხველს...

იქნებ ისიც ბრძანოთ, განსაკუთრებულ სიხარულს ვისი ლექციები ან საერთოდ ვისთან ურთიერთობა გგვრიდათ?

იქნებ განსაკუთრებით შთამბეჭდავი, გნებავთ კურიოზული ფაქტები ან ფაქტი მაინც გაიხსენოთ? გისმენთ!

ვახტანგ ჯავახაძე – ამდენი უმაღლესი სასწავლებლისათვის უნივერსიტეტის შერქმევა გამაღიზიანებელი კი არა, დაუშვებელია და ასეთ შემთხვევაში ჩვენს უნივერსიტეტს უნდა მოეძებნოს რაღაც განმასხვავებელი, აღმატებითი სახელწოდება და ამით გამოირჩეს.

1949 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განყოფილება გაიხსნა. ახალი სპეციალობა თითქოს დიპლომატიისა და ლიტერატურის მახასიათებლებს აერთიანებდა და მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა. მიდრეკილება იმდენად დიდი იყო, რომ 1951 წელს ოცდახუთივე ვაკანტური ადგილი ოქროსმედალოსნებმა შეავსეს. ბედნიერთა შორის მეც აღმოვჩნდი. კმაყოფილი დავუბრუნდი მშობლიურ ქუთაისს და მალე გავემგზავრე დედულეთში – ჩოხატაურიდან რვა ვერსით დაშორებულ მაღალმთიან სოფელ ონჭიქეთში, სადაც ყოველ ზაფხულს ვისვენებდი. მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ სექტემბრამდე არ დამასვენეს. მოულოდნელად მივიღე დედაჩემის დეპეშა ქუთაისიდან: უნივერსიტეტში სასწრაფოდ გიბარებენო. ჩამოვედი ქუთაისში და ვინახულე ორი მომავალი „თანაკურსელი" გოგონა, რომლებიც ჩემთან ერთად ჩარიცხეს. ისინი უკვე დაბრუნებულები იყვნენ თბილისიდან: თურმე, აბიტურიენტების ჩარიცხვისას რექტორი ნიკო კეცხოველი თბილისში არ იმყოფებოდა, როდესაც დაბრუნდა, სასტიკად გაბრაზდა, დაიბარა ოცდახუთივე მედალოსანი, პირადად გამოცადა, შეარჩია თორმეტი და დანარჩენებს უარი

უთხრა, ერთს მედალიც კი გაუუქმაო. უკვე დაგაგვიანდა და წასვლას აზრიც აღარ აქვსო, – წყალი გადამიწურეს გაწბილებულმა თანაქალაქელებმა. არ დავუჯერე და მეორე დილით რექტორის მდივანს გამოვეცხადე. რექტორის კაბინეტიდან გამოსულმა მდივანმა მოწინააღმდეგე მხარეს – პრორექტორის კაბინეტში შემიყვანა. ბატონმა სერგი ჟღენტმა მომცა თაბახის ერთი ფურცელი და საწერ-კალამი და მითხრა: ერთი თაბახის ორი გვერდიც საკმარისია, დაწერე რატომ გინდა გახდე ჟურნალისტიო, და ოთახიდან გავიდა. თაბახის პირველი გვერდი რომ შევავსე, ოთახში ვიღაც შემოვიდა და თავზე დამადგა. მე ბატონი სერგი მეგონა, მაგრამ დიდხანს რომ შეყოვნდა, თვალი ავაყოლე. ბატონი სერგი შედარებით ტანმორჩილი გახლდათ, ეს კი დიდხანს გაგრძელდა: ჯერ დეპუტატის წითელი დროშა გამოჩნდა და, სახესაც რომ ავხედე, რექტორი შევიცანი. ბატონმა ნიკომ მხარზე ხელი გადამისვა და ოთახიდან გავიდა. ხომ წარმოგიდგენია, როგორ ღამეს გავათენებდი. მეორე დილით რექტორის მდივანმა ჩემი თაბახის ფურცელი გამოიტანა, რომელზეც მთელ სიგრძეზე ირიბად წითელი ფანქრით ერთადერთი სიტყვა ეწერა: ჩაირიცხოს. მდივანმა გამაფრთხილა: ბატონმა ნიკომ ბრძანა, ერთი სამიანიც რომ მიიღოს, გავრიცხავო. სამიანი კი არა, ხუთი წლის მანძილზე ერთი ოთხიანიც არ მიმიღია, ძალიან ვუფრთხილდებოდი ხუთიანებს, რადგან აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდია დამინიშნეს და ეს იყო უმამო სტუდენტის ერთადერთი საარსებო საშუალება. სხვათა შორის, ჩემო ჯუმბერ, შენი სეხნია ჯუმბერ ლომინაძე ჩემი ახლო ნათესავია და რამდენიმე თვით შემდეგ მის ოჯახში წვეულებაზე მოვხვდი: სუფრაზე ერთი სტუმარი უფრო დრამატიზებულად მოჰყვა პირადად როგორ გამოცადა და ჩარიცხა ნიკო კეცხველმა რაიონიდან ჩამოსული ობოლი აბიტურიენტი. ჩემმა საყვარელმა ბიცო-

ლამ და ჯუმბერის საყვარელმა მამიდამ, თინა ლომინაძემ კი ამაყად გამოაცხადა, რომ ეს აბიტურიენტი მე გახლდით.

როგორც გითხარი, ჟურნალისტიკის განყოფილება მაშინდელი საზოგადოების წარმოდგენაში დიპლომატიისა და მწერლობის მახასიათებლებს აერთიანებდა. დიპლომატიისა რა მოგახსენო და, ბედნიერი დამთხვევის გამო ჩვენი ნაკადი „მწერლების ჯგუფი“ ნამდვილად აღმოჩნდა. ამ პოეტებსა და პროზაიკოსებს ყველა იცნობს და ხშირად ასახელებენ. არადა, ჩვენთან ერთად სწავლობდნენ ცნობილი პროვნებები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს არა მარტო როგორც ჟურნალისტებმა. და, რაკი შენ თვითონ წამაქეზე, ანბანის მიხედვით წარმოვადგენ სრულ სიას, როგორც აღირიცხებოდა ეს გვარები ამ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენს საკურსო ჟურნალში: ბაკურ ბახტურიძე, ნოდარ ბეთანიშვილი, ფილიპე ბერიძე, ნორა ბექაური, თამაზ ბიბილური, ზაურ ბოლქვაძე, გივი გეგეჭკორი, გულნაზ გელოვანი, იზაბელა გერმესაშვილი, დარეჯან გვერდწითელი, ოთარ დემეტრაშვილი, იზა ელისაშვილი, მერი თოდუა, ციცინო კალმახელიძე, კირა კვეიძე, რობერტ კიკნაძე, მანანა ლეჟავა, ვახტანგ მარგველაშვილი, სოსო მაჭარაშვილი, ვიოლა მიქაძე, ალექსი პაპიაშვილი, ზურაბ რცხილაძე, ნუნუ საბანაძე, გივი სამსონაძე, ზურაბ ქაჯაია, ჯანსულ ჩარკვიანი, ზურაბ ჩილაჩავა, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, ეთერ ჭიჭინაძე, მირიან ჭიჭინაძე, რეზო ჭიჭინაძე, ვახტანგ ჯავახაძე და ტარიელ ჯანიაშვილი, რევაზ ინანიშვილი ჩვენს კურსზე ირიცხებოდა, ოღონდ – ფილოლოგების ჯგუფში.

ჟურნალისტიკა ახალი სპეციალობა იყო და ამ დარგის პროფესორ-მასწავლებლებიც მაშინ ყალიბდებოდნენ. ძირითადად ჩვენ მაინც ფილოლოგიურ განათლებას ვიღებდით. ლექტორებიდან დავასახლებ ტარიელ კვანჭილაშვილს, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში სპეცკურსს გვიკითხავდა, ასაკით

არც ძალიან უფროსი იყო ჩვენზე და ამიტომ გვემეგობრებოდა კიდეც. იგივე ითქმის ნოდარ ჩხეიძეზე. პირადად ჩემდამი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართული ენის პროფესორი ბატონი ვანო ქავთარაძე, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ორჯერ მიმიწვია ასპირანტურაში, მაგრამ მე არჩევანი უკვე გაკეთებული მქონდა. ხშირად ინკოგნიტოდ ვესწრებოდი შალვა ნუცუბიძის ლექციებს, რომელიც რუს ფილოლოგებს რუსულ ენაზე უკითხავდა ფილოსოფიის ისტორიას.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ფაქტებიდან გავიხსენებ შეხვედრას გალაკტიონ ტაბიძესთან გაჭედილ დარბაზში. ლექსები მივუძღვენით. გალაკტიონმა ყველას შუბლზე გვაკოცა და მთელი კვირა შუბლი არ დამიბანია. მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პოეტების მეფესთან ხანგრძლივი და საქმიანი შეხვედრები მელოდებოდა.

კურიოზულ შემთხვევასაც გავიხსენებ, ოღონდ მწარე კურიოზულს: 1955 წლის ზაფხულის არდადეგები მიიწურა. პირველ სექტემბერს უნივერსიტეტში გამოვცხადდი და სალაროს მივაშურე: ორი თვის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული და განაწილებული მქონდა მეხუთეკურსელს. მაგრამ გაბრაზებულმა მოლარემ სტუდბილეთი უკან დამიბრუნა, შენ, რა, მეორედ გინდა აიღო სტიპენდიაო? ორი თვე თბილისში არ ვყოფილვარ და როგორ ავიღებდი-მეთქი. დაფიქრდა, ხელმეორედ გამომართვა სტუდბილეთი და ნომრები შეადარა: უწყისში მის მიერ ჩანიშნული ნომერი ჩემსას არ დაემთხვა. დახურა სალარო და პრორექტორთან წამიყვანა. მთავარი ბუღალტერიც მოიწვიეს, ფაქსიმილეც ჩამომართვეს და გაურკვეველი პასუხით გამომისტუმრეს. მაინც შემეშინდა: ხელმოწერა ზუსტად იყო მიმსგავსებული და, ვაითუ, ექსპერტიზამ ვერ გაარჩიოს-

მეთქი. როგორც ჩანს, ყალბისმქმნელმა ჯგუფში ყველაზე დიდი სტიპენდია აარჩია, ხოლო ნომერი ვარაუდით მიაწერა. ეს ნომერი თანაკურსელი გოგონას ნომერს დაემთხვა, რომელიც არაფერ შუაში არ იყო. ისიც დაიბარეს. დედამისი მოვიდა და ერთი ამბავი ატეხა. ჩემი შიში და მოლოდინი კი ორი კვირა გაგრძელდა. ორი კვირის შემდეგ ორი თვის სტიპენდია მივიღე.

ბარემ ერთი ეპიზოდიც დავამატოთ ამ ჩემს ხიფათიან სტიპენდიას: მესამე კურსზე საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა თამარ ამირეჯიბი, მეტად სიმპათიური ქალბატონი. მეორე სემესტრის ერთ მშვენიერ დღეს ქალბატონმა თამარმა მაცნობა: დღეს დეკანატში საუბარი იყო და შენ სტალინურ სტიპენდიაზე წარგადგინესო. რამდენიმე დღის შემდეგ კომკავშირის მდივანთან ვიყავით მიწვეულები და მდივანმა იქაც გამოაცხადა ამის შესახებ (ეტყობა, ამგვარ საკითხებს კომკავშირსაც უთანხმებდნენ). სტალინური სტიპენდია დანიშნული ჰქონდა ჩემს მეგობარს ნოდარ ტაბიძეს, რომელიც ორი კურსით წინ ირიცხებოდა და იმ წელიწადს ამთავრებდა უნივერსიტეტს. ასე რომ, ზაფხულიდან ჩემი ხუთოსნის სტიპენდია საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო. მაგრამ მაისის თუ ივნისის მეორე მშვენიერ დღეს ჩვენმა ჯგუფხელმა იზა ელისაშვილმა, რომელიც სტიპენდიებს გვირიგებდა, გამოაცხადა: ვახტანგს მოულოცეთ, აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდია დაუნიშნესო. გამიკვირდა და მეწყინა კიდეც: ბელადის სტიპენდია პოეტისას აღემატებოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არავისთვის არაფერი მიკითხავს. ჩვენი საერთო მეგობარი და ლექტორი ტარიელ კვანჭილაშვილი კი დაინტერესდა და გამოარკვია შემდეგი: ჩვენს ჯგუფში ირიცხებოდა ერთი – ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი – თანაკურსელი, რომლის ვინაობასაც შეგნებულად არ დავასახელებ. ეს თანა-

კურსელი ლექციებს იშვიათად ესწრებოდა და გამოცდებსაც ჩვენთან ერთად იშვიათად აბარებდა, საზოგადოებრივ საქმიანობაში კი აქტიურად იყო ჩაბმული და რაღაც სოლიდური თანამდებობაც უბოძეს. ჰოდა, ეს მავანი სტუდენტიც ჩემსავით ყველა სემესტრის ხუთოსანი ყოფილა და სტალინურ სტიპენდიაზე გასჩენია პრეტენზია. სწორედ მან იზრუნა და არაპირდაპირი ჩარევით მოახერხა, რომ ჩემთვის აკაკის სტიპენდია დაენიშნათ. ეს ამბავი რომ გამომჟღავნდა, ბაკურ ბახტურიძემ, რომელიც მეტად ალალი და შეუპოვარი პიროვნება გახლდათ, ჩვენი აქ დაუსახლებელი თანაკურსელი, როგორც კი ლექციაზე გამოჩნდა, დაუნდობლად გალანძღა და ლამის გალახა კიდეც. ხოლო ტარიელ კვანჭილაშვილმა სახელობის სტიპენდიის მაძიებელს ხუთიანი აღარ დაუწერა და ასე დამთავრდა ეს ინციდენტი.

ჯუმბერ თითმერია – რაკი ახლა ჩვენში ორი ღერი ინგლისური სიტყვის ამოღერღვა თავის ელიტარულ ვინმედ შერაცხვის ერთ-ერთი კოზირია, მეც წამოვიძახებ: ჰეპი ენდი! ჰეპი ენდი!

დავუსვათ კითხვა ჩვენს თანამემამულეებს – ვთქვათ, თელაველებს, ზუგდიდლებს, შუახეველებს, მესტიელებს, ონელებს და ა. შ. – ვინ არის ვახტანგ ჯავახაძე? ამის შემკითხველს გაოცებით შეხედავენ: რა თქმა უნდა, პოეტია, პოეტიო! სწორნიც იქნებიან, მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ ვახტანგ ჯავახაძე ავტორსა და მკითხველს შორის დიდად დამაშვრალი, ასე ვთქვათ, შუამავალია, საწერ მაგიდაზე დიდი შთაგონებითა და ძალისხმევით დაწერილი წიგნების მკითხველებისთვის დიდი ხელოვნებით, ფაქიზად მომწოდებელია. ვიცი, რომ თქვენ ბევრი წიგნის მომთხოვნი და მკაცრი რედაქტორი ხართ. რა მოგცათ რედაქტორობამ, კოლეგების წიგნებზე ზრუნვას, მათთვის, ასე ვთქვათ, მწვანე შუქის ან-

თებამ? ახლა გეკითხებით: წლების მანძილზე სხვათა წიგნების ღირსეულად გამოცემისთვის ღწვა თქვენთვის მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება იყო, თუ ის, რაც თქვენ, როგორც პოეტს, უფრო ფართო გაგებით – ლიტერატორს, სასიკეთოდ გმუხტავდათ, გარკვეულად შთაგაგონებდათ? რასაკვირველია, გამოსაცემ წიგნზე თქვენს ზრუნვაზე, ავტორებთან ურთიერთობებზე მემუარების მთელი წიგნის დაწერა შეგიძლიათ (ამ წიგნს თუ არ წერთ, კარგი იქნება, გევალებათ კიდეც, დაწეროთ). ახლა, ასე ვთქვათ, ფრაგმენტულად მაინც გეძლევათ ამაზე საუბრის საშუალება. გთხოვთ გაიხსენოთ ამ სფეროში გამომცემლებთან, მხატვრებთან, პოლიგრაფისტებთან, რედაქტორებთან თქვენი მრავალწლიანი აქტიური თანამშრომლობის ეპიზოდები? განსაკუთრებით რამ გაგახარათ? რამ დაგწყვიტათ გული? კონფლიქტური სიტუაციები თუ შეგქმნიათ? ცენზურასთან დიპლომატიური, ასე ვთქვათ, არტისტობა თუ გიხდებოდათ? (შეგიძლიათ ზოგ შემთხვევაში პიროვნების ვინაობა არ დაასახელოთ).

ვახტანგ ჯავახაძე – მომავალ ჟურნალისტებს „ფელეტონის“ კურსს გვიკითხავდა ცნობილი კრიტიკოსი გიორგი მერკვილაძე, რომელსაც იმჟამად „სახელგამის“ დირექტორის თანამდებობა ეკავა. ბატონმა გიორგიმ მიმიწვია და 1956 წელსვე სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორად დამნიშნა. ჩემი მყობადი ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირდა წიგნის სასახლეს. მე მომწონს ბორხესის მეტაფორა: „სამოთხე ბიბლიოთეკაა“ (ბორხესი ხომ არგენტინის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა) და პუშკინის უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც საკუთარ წიგნებს გამოემშვიდობა, ჩემთვის მხოლოდ ლამაზი და საინტერესო ფრაზა არ გახლავთ. ორმოცდაშვიდი წელიწადი წიგნის სასახლეში გავატარე და თანმიმდევრულად ავიარე ყველა საფეხური: რედაქტორი, უფროსი

რედაქტორი, რედაქციის გამგე, მთავარი რედაქტორის მოადგილე და მთავარი რედაქტორი.

წიგნს არც კი ეტყობა, რა შრომატევადია, ვიდრე გარეკანით შეიმოსებოდეს. ნებისმიერ ეგზემპლარს რომ ავიღებ ხელში, უპირველეს ყოვლისა თავფურცელს და უკანასკნელ გვერდებს ვათვალიერებ და მიახლოებით მაინც აღვადგენ ამ გამოცემის ბიოგრაფიას, რომელიც მკითხველს არც კი აინტერესებს. ამავე დროს სულ სხვაა რედაქტორის თვალით წაკითხული და დანახული მწერალი. წიგნის რედაქტორი შუამავალია ავტორსა და მკითხველს შორის, ზოგიერთ შემთხვევაში – თითქმის თანაავტორიც, და შემთხვევითი არაა, რომ ბევრ ცნობილ მწერალს შეუცვლელი რედაქტორი ჰყავდა ამოჩემებული, ამ სიტყვის კარგი გაგებით. მეც გახლდით იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის სიცოცხლის ბოლო წლებში გამოცემული ყველა რჩეულისა და ტომეულების რედაქტორი. სამწუხაროდ, გალაკტიონის ბოლო რჩეულის დაბეჭდვა ვერ მოვასწარით... ცალკე გახსენების ღირსაა იოსებ გრიშაშვილის სახლში გატარებული დღეები, საუბრები სიმონ ჩიქოვანის კაბინეტში, როდესაც ბატონი სიმონი ვეღარ ხედავდა: ერთხელ ბატონ სიმონს ჩემი აღტაცება ვაუწყე იმჟამად სრულიად უცნობი ნიკო სამადაშვილის ლექსების გამო, რომლებიც თამაზ ჩხენკელმა წამაკითხა. მე ვიცნობდი ნიკო სამადაშვილს, – მიპასუხა ბატონმა სიმონმა, – ჩემთან მოვიდა „მნათობში“ და მეტად ორიგინალური ხელნაწერი მომიტანა, პოეზიისა და პროზის ნაზავი, რომლის მსგავსიც არ მოგვეპოვება. მომეწონა, შენიშვნები მივეცი და გასასწორებლად დავუბრუნე, მაგრამ აღარ მოვიდა. ეტყობა, ძალიან ამაყი იყოო...

საყოველთაოდ ცნობილია მურმან ლებანიძის პოლიგრაფიული გემოვნება, რასაც წერილებითაც გამოვეხმაურე –

„მურმან ლებანიძის წიგნების გამოფენა“ და „მურმან ლებანიძის „შედევრები“. ქართველმა ერმა არა მარტო დიდი პოეტი დაკარგა. მურმანი თვითონ იყო ავტორი-გამომცემლობა. იგივე ითქმის პაველე ინგოროყვაზე.

არ შემიძლია დავივიწყო კოლორიტური ავანტურისტი და გამოუსწორებელი ყალთაბანდი ჟაკი ბალახაშვილი. ჟაკის უამბნია ჩემთვის რამდენიმე კრიმინალური ეპიზოდი. ერთს გავიხსენებ: ომის დროს სამედიცინო კომისიის ერთერთ წევრს – ებრაელ პოლკოვნიკს დავუახლოვდი. სამ ახალწვეულს გავათავისუფლებინებდი, მეოთხისაგან კი ფულს ვიღებდი და ვემალებოდი. ოღონდ ასეთების მისამართებს ვიწერდი და ვინახავდი. საქმე რომ გაიხსნა და დამაპატიმრეს, პროკურორს ამათი მისამართები წარვუდგინე. ყველა პირზე დამადგა და დაადასტურა ჩემი ყალთაბანდობა, მოტყუებულები მოწმეებად დამიდგნენ და დახვრეტას გადამარჩინესო... მე ატირებული ჟაკიც მახსოვს: და გარდაეცვალა და მე და ოთარ ჭელიძემ მივუსამძიმრეთ კოტე მესხის ქუჩაზე. ქელეხში თამადამ ჩვენი სადღეგრძელო რომ დალია, ჟაკიმ დიდი მადლობა გადაგვიხადა და ცრემლები ვეღარ შეიკავა. სხვათა შორის, ამ ოცი წლის წინათ გამომცემლობაში ჩემთან მოვიდა მოხუცი, რომელიც ვერ ვიცანი. ჟაკი ვარ, ბალახაშვილიო, – თვითონ გამომეცნაურა. ხუთი მანეთი მთხოვა და ათი მივეცი. დღესაც არა ვარ დარწმუნებული, ჟაკი იყო თუ ჟაკი მეორე. ჟაკის თავგადასავალი დასაწერია. ამბობენ, კვაჭი კვაჭანტირაძის ერთ-ერთი პროტოტიპი ჟაკი ბალახაშვილიაო.

მიხეილ ჯავახიშვილის გმირმა თუ ანტიგმირმა მწერლის მემკვიდრე გამახსენა – ყველაზე ღირსეული მემკვიდრე – ქალბატონი ქეთევანი. მახსენდება აგრეთვე ვაჟას ვაჟიშვილი, ტიციან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, ლადო ასათიანის მეუღლეები, მირზა გელოვანის დები და ძმა... ყოველი მათგანი

თავისებურად ავსებდა დასახელებული მწერლების ცხოვრებისეულ დეტალებს.

მახსენდებიან მხატვარი-გრაფიკოსები, და უპირველეს ყოვლისა – ბატონი ლადო გრიგოლია, ქართული წიგნისა და შრიფტის უდიდესი ამაგდარი, მეტად საინტერესო და, სამწუხაროდ, დაუფასებელი დიდი პიროვნება. შენ ხომ წიგნომანი ხარ, ჩემო ჯუმბერ. დარწმუნებული ვარ, შენი ბიბლიოთეკის ნახევარზე მეტი ქართული წიგნი ჩვენი გამოცემებია. გადახედე და დარწმუნდები, რომ მეოცე საუკუნის ქართული წიგნის გრაფიკის სტილი ლადო გრიგოლიამ და მისმა ნიჭიერმა მოწაფეებმა შექმნეს.

უნდა ვიცოდეთ, რომ წიგნის სასახლე ყველა ქვეყანას და ყველა ერს არა აქვს: ამიტომაც დასაწერია ჩვენი წიგნის სასახლის ისტორია, ცნობილი გამომცემლებისა და მესტამბეების ისტორიები.

მეოცე საუკუნის ბოლოს საგამომცემლო საქმეში და პოლიგრაფიაში რევოლუცია მოხდა: ჯერ იყო და, კომპიუტერმა სრულიად შეცვალა დედნის მომზადების ტექნოლოგია, მერე ქაღალდის ეშელონებმა რუსეთიდან მარშრუტი შეიცვალეს და ბოლოს დღის წესრიგში დადგა დიდი გამომცემლობებისა და დიდი სტამბების პრობლემა. ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში პარადოქსია ორასკაციანი გამომცემლობის არსებობა. ბუნებრივია, იგი ახლახან შექმნილი პატარა გამომცემლობების კონკურენციას ვერ გაუძლებდა და ვერც გაუძლო. ჩვენს პრივატიზებულ გამომცემლობაში რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომლებიც თავიდან შეუდგნენ საქმეს და ეჩვევიან ახალ პირობებსა და ურთიერთობებს. ახლა ყველაზე მეტად გამომცემლობა-სტამბა-მაღაზია ამართლებს და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ შენმა ვაჟიშვილმა ლევან თითმერიამ პირველმა შეკრა

ეს ტრიადა. მიხარია და მეამაყება კიდეც, რომ ჩვენი ბიჭები მეგობრები არიან და ისიც მეამაყება, რომ ლევანი და ასევე საინტერესო გამომცემელი ბაკურ სულაკაური თავიანთი კარიერის დასაწყისში ჩემთან დადიოდნენ რჩევისთვის.

შენ გაინტერესებს აკრძალული ზონა – ანუ მთავლიტი – ანუ გასაიდუმლოებული აბრევიატურა „უე", რომელიც ყოველი წიგნის ბოლო ფურცელზე პეტიტით აღინიშნებოდა და რომელსაც მხოლოდ გამომცემლები ვშიფრავდით: „უფლება ეძლევა". გამომცემლობა გეგმას სამი წლით ადრე ადგენდა. ამ გეგმას ჯერ უშუალო პატრონი გამსახკომი განიხილავდა, შემდეგ – ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილება და ბოლოს – მოსკოვი, საკავშირო გამსახკომი, სადაც ყოველწლიურად გვიწვევდნენ და გვმოძღვრავდნენ. სამწლიანი თადარიგი სწორედ ამისთვის იყო საჭირო, რომ ყურადღებით შეემოწმებინათ და გადაემოწმებინათ ყოველი წიგნის ანოტაცია. ასეთ ცხრილში გაღწევა და გაპარება წარმოუდგენელიც გახლდათ და, მიუხედავად ამისა, არსებობდა კიდევ ერთი უკანასკნელი საგუშაგო, რომელიც უშუალოდ დაბეჭდვის წინ კითხულობდა ანაბეჭდებს, ნომერს უსვამდა და თანხმობას ბეჭდის დასმით ადასტურებდა. ხშირად ანაბეჭდებში შეგვქონდა შესწორებები, ზოგჯერ მთელი ანაწყობი ჩაგვიშლია, დაბეჭდილ ტირაჟშიც ამოგვიხევია და შეგვიცვლია გვერდები. გაგვიჩერეს და აგვიკრძალეს პავლე ინგოროყვას შვიდტომეულის მეორე ტომი, „ქართული ტოპონომების ლექსიკონი", საქართველოს ძველი ციხე-ტაძრების რუკა... ზოგჯერ კი, ზედმეტი სიფრთხილის გამო, სრულიად უწყინარ აბზაცებზე გვედავებოდნენ. ჩემს მაგალითს გავიხსენებ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ცისკარში" ბეჭდვის წინ აკრძალეს ჩემი ლირიკული პოემა „ღია ქალაქი". მგონია, საერთოდ არ იცოდნენ რას ნიშნავს ეს სინტაგმა და თავი დაიზღვიეს. რამდენი-

მე წლის შემდეგ პოემა იმავე ჟურნალში დაიბეჭდა. სიმონ ჩიქოვანის „მნათობში“ ჩემი ლექსების კორექტურა წავიკითხე. ჟურნალი რომ გამოვიდა, ორი ლექსი აკლდა. მთავლიტი და რედაქცია მაშინ ერთ შენობაში იყო, გმირთა მოედანზე. თავდაპირველად ცენზორს აქტიურად შევედავე, – მიამბო შემდეგ ბატონმა სიმონმა, – მაგრამ მაგათ ისეთი ლაპარაკი იციან, შენ წარმოიდგინე, გადამარწმუნესო. მალე ეს ორი ლექსიც უმტკივნეულოდ დაიბეჭდა ჩემს უახლოეს კრებულში... ისე, მე თუ მკითხავენ, ახლა სხვა ცენზურაა საჭირო, ზნეობრივ-ეთიკური ცენზურა.

ჯუმბერ თითმერია – ტრადიციული ლექსის (ხშირ შემთხვევაში ავანგარდისტულ-მოდერნისტულისაც) „სამკაულებია“ თავისებური რიტმი და რითმები. მაგრამ, გიყვარს თუ არ გიყვარს, არსებობს თეთრი და თავისუფალი ლექსებიც, ლექსი პროზად... ლექსის ტრადიციულობა ან ავანგარდისტულ-მოდერნისტულობა, თავისთავად, არ განსაზღვრავს მის ხარისხს. პირადად მე, შინაგანად, არსებითად რიტმულ, რითმებით გამშვენიერებულ ლექსებს ვეტრფი, მაგრამ დიდი მოწიწებით და ასევე შინაგანად მაჯადოებს თეთრი და თავისუფალი ლექსებიც, – განსაკუთრებით ჩინური, იტალიური, იაპონიური, ინდური, ფრანგული ლექსების ქართულად და რუსულად თარგმანები. მთავარია ლექსის სული და დონე, მისი მაგია.

მე შთამბეჭდავად, ემოციებით დამმუხტველი, გარკვეული განწყობილების შემქმნელი ლექსები მიზიდავს. აი, ეს ლექსები, რომელთა თანაავტორადაც წამით შენს თავს მიიჩნევ, და რომლებიც ლექსის ბოლო სტრიქონითა და წერტილით არამც და არამც არ მთავრდება. არა, შენ – მკითხველი – ფიქრით, წარმოსახვით განაგრძობ მას. ვთქვათ, ჩემთვის ასეთია, თქვენი ეს ლექსი:

„ჩვეულებრივად, სუფრაზე მარილს მაშინ ამჩნევენ, როცა არ არის. ხიდზე ათასი გამვლელი მიდის, მაგრამ არავის არ ახსოვს ხიდი. ის კი არა და, – წყალსა და ჰაერს მხოლოდ იქ გრძნობენ, სადაც არ არის... ადამიანიც არსებობს ერთი, ის არის ჩვენთან, ის არის ჩვენთვის – ჰაერი, წყალი, მარილი, ხიდი, და უფრო მეტიც, და უფრო დიდიც, – ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ, სანამ ანაზდად არ ავტირდებით ძვირფას საფლავთან...“.

თქვენ არც რიტმები და რითმები იკმარეთ – ვიზუალური, პირამიდული, ვერტიკალური, სამკუთხედური ლექსებითაც შემოგვიტიეთ. ასეთი ეფექტური მახვილით, რამდენადაც ვიცი, სხვა ქართველი პოეტი არ გვძგერებია. ვიდრე ამ კითხვას დავასრულებდე, ნება მომეცით, მკითხველს ერთხელ კიდევ დავუდო თვალწინ ეს ლექსები, რომლებსაც არა მარტო ვუსმენთ, არამედ ვუმზერთ კიდეც. ახლა აი, ყოველივე ამაზე თქვენი აზრი მაინტერესებს.

ვახტანგ ჯავახაძე – დიახ, მთავარია ხარისხი და არა ფორმა. თავი დავანებოთ ძველ ქართულ პოეზიას და გალაკტიონს, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ნიმუშები გავიხსენოთ და, ბოლოს და ბოლოს, „ჯონ რიდი“ გადავიკითხოთ ერთხელ კიდევ. ოღონდ, თავისუფალი ლექსი ქართულ სინამდვილეში ეპიზოდურად იყო წარმოდგენილი და სასიამოვნოა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმე პოეტმა ჩვენი ლირიკის საზღვრები გააფრთოვა და ვერლიბრს მეტი მოქალაქეობრივი უფლება შესძინა, დაგვარწმუნა, რომ ევროპასა და ამერიკაში თავისუფალი ლექსის მოძალება კრიზისის მაჩვენებელი არ იყო. ისე, შეიძლება, ეს ერისა და ენის ხასიათითაც იყოს განპირობებული. რუსეთშიც ვერ იხარა ამ ნერგმა. მარინა ცვეტაევა თავისუფალ ლექსს უწოდებდა პწკარედს, რომელიც უნდა გაილექსოს, ბორის

პასტერნაკი კი – ნერწყვს, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეამჩნევ, როცა გაცოფებულია. იუსტენ ჰიუ ოდენი ამბობდა: თეთრი ლექსები? – ეს იგივეა, ჩოგბურთი რომ ბადის გარეშე ითამაშო. ვერლიბრი რომ ვარგოდეს, მაიაკოვსკი იმისთანა ხულიგანი იყო, მაგას დატოვებდა უყურადღებოდო?! – გვითხრა ერთხელ ირაკლი აბაშიძემ. პირადად მე, გულწრფელად რომ გითხრა, ვერლიბრის შედევრებს კონვენციური შედევრები მირჩევნია და, მსოფლიო მასშტაბითაც რომ შევაჯიბროთ, ეს უკანასკნელი აშკარა უპირატესობას მოიპოვებს.

რაც შეეხება ვიზუალურ პოეზიას, ეს ნამდვილად იშვიათი ხილია და მას გამონაკლისის სახით არსებობის უფლებაც აქვს, მით უფრო „ფორმალიზმს" პოეზიაში ოფიციოზი აღარ ებრძვის და აღარ კრძალავს. სიყმაწვილეში, ვიდრე სტრიქონების გარითმვას გავბედავდი, ვხატავდი და, რაკი სხვა გზა ავირჩიე, ეტყობა, ნოსტალგია დამჩემდა. ერთხელ ერთ სუფრაზე ჩემი გვარი რომ ახსენეს, დიასახლისმა იკითხა: რომელია, მხატვრებზე რომ წერს ლექსებსო? მთელი ცხოვრება მხატვრების ალბომებს ვაგროვებდი, ჩემი ბიუჯეტის შესაბამისად და, მიქელანჯელოს, პიკასოს, შაგალის ლექსებსაც თუ გავიხსენებთ, მშვენიერების ეს ორი სამყარო არც ისე ძალიან გაემიჯნება ერთმანეთს.

შენ ჩემს წიგნებში „გრაფიკული ლირიკის" ციკლს მიაქციე ყურადღება. ფიგურული ლექსი ძველი ბერძნული პოეზიიდან წამოვიდა, ასეთ ლექსებს გიიომ აპოლინერიც წერდა, ანდრეი ვოზნესენსკიც წერს და, შენ წარმოიდგინე, „ქილილა და დამანას" ხელნაწერშიც აღმოჩნდა ერთი ნიმუში. გალაკტიონსაც ჰქონდა რამდენიმე ცდა და ისინი „უცნობში" აღვნუსხე.

ჯუმბერ თითმერია – ბატონო ვახტანგ, ახლა მკითხველებს უნდა შევახსენო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 2001 წლის 18-22 მარტის ნომერში გამოქვეყნებული თქვენი ოთხგვერდიანი „ნახატი პალინდრომები". თქვენ წერთ.

„არსებობს ლათინური ორმაგი ჰორიზონტალურ-ვერტიკალური შედევრი:

S A T O R
A R E P O
T E N E T
O P E R A
P O T A S

მთესველი არეპო გარჯით აცხრობს ბედისწერასო.

ცნობილია რუსული:

Агентина манит негра.

აკაკი წერეთელთანაც გვხვდება:

წინიდან ხარ „ივერია",
უკანიდან: „აირევი".

გალაკტიონიც აცდუნა:

აი, რა მზის სიზმარია,
აირევი ივერია...

პალინდრომი მოულოდნელ ასოციაციებს იწვევს და ფანტაზიის საზღვრებს აფართოებს. მისი აზრობრივი სიზუსტე შეზღუდულია, მაგრამ გართობის ნიშნებს ამჟღავნებს და უცნაურ ლინგვისტურ კონსტრუქციებს გვთავაზობს, სიტყვის მეორე მნიშვნელობას აღმოგვაჩენინებს. ტექსტზე მეტად ქვეტექსტით გვაინტერესებს, ნეოლოგიზმების ფართო ასორტიმენტს წარმოგვიდგენს".

გაზეთის ოთხ გვერდზე თქვენი 33 პალინდრომია („ანა-ბანა“, „ორერა-რერო“, „ინოლას სალონი“, „დაისი ნისიად“, „ევათა სათავე“ და სხვ.) დაბეჭდილი.

ზემოთ ციტირებული ამ პალინდრომების წინათქმაში თქვენ ღრმად, თვალნათლივ, მათემატიკური სიზუსტით განმარტავთ პოეზიაში ამ განსაკუთრებულ მოვლენას.

და მაინც:

პოეტში გაუცნობიერებლად, „ზემოდან“ პროგრამირდება პალინდრომების შექმნის უნარი და ნიჭი, თუ გარკვეული ძალისხმევისა და ამ მიმართებით ვარჯიშის შემდეგ „დაუპროგრამებელ“ პოეტებსაც შეუძლიათ ეფექტური, მომხიბვლელი, შთამბეჭდავი პალინდრომების შექმნა? თუ ამის ცდები, უმეტეს შემთხვევაში, ამაოა, ფუჭია?

ვახტანგ ჯავახაძე – ჩემი აზრით, ყოველი შემოქმედი, და მათ შრის პოეტიც, – „ზემოდან“ პროგრამდება და ამ „დაპროგრამებას“ ზოგი „შთაგონებას“ ეძახის, ზოგი – „მუზას“. „შთაგონება გახლავთ ჰიპოთეზა, რომელიც ავტორს მაყურებლის როლს არგუნებსო“, – ბრძანებს პოლ ვალერი. „შთაგონება მოდის ყოველთვის, როდესაც მოგესურვებათ, მაგრამ ყოველთვის მაშინ არ მოდის, როცა მოიწადინებთო“, – არ ეთანხმება ბოდლერი. „პოეტისათვის ოდენ შთაგონება არ კმარა, საჭიროა შთაგონება განვითარებული გონებისა“, – შედარებით ზომიერი და, ალბათ, მართალიცაა შილერი.

ჩემი „გრაფიკული ლირიკის“ ნიმუშები და „ნახატი პალინდრომებიც“ შთაგონების წამებში ჩაისახა, მაგრამ ერთბაშად ვერ დაიწერებოდა, რადგან ვიზუალურ აღქმაზეა გაანგარიშებული და „გრაფიკისა და ლირიკის ზღვარზე იკაფავს გზას“. ისინი როგორღაც ავსებენ და ამრავალფეროვნებენ პოეტური აზროვნების შესაძლებლობებს, რა თქმა უნდა, მათი ავტორის შესაძლებლობის ფარგლებში.

პალინდრომი აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაშიც გვხვდება (იაკობ შემოქმედელი, იონა მდივანი, ვახტანგ მეექვსე) და მას „წაღმა-უკუღმა წასაკითხავი ლექსი“ ეწოდება.

გალაკტიონის „აი რა მზის სიზმარია“-ც პოეზიის საზღვრებში რჩება. იგივე ფორმა გამოიყენეს ვალერი ბრიუსოვმა, ანდრეი ვოზნესენსკიმ, ველიმირ ხლებნიკოვმა კი მთელი პოემა დაწერა – „Устуг Разина“.

ჩემი ნახატი პალინდრომები აშკარად ვიზუალურია და გრაფიკისაკენ უფრო იხრება. უცხოეთში ვიზუალური და ექსპერიმენტული პოეზიის ჟურნალები გამოიცემა და გამოფენებიც ეწყობა. ერთი ასეთი ერთდღიანი გამოფენა თბილისშიც მოეწყო 1992 წლის 21 იანვარს – ფოტოგალერეაში (სხვათა შორის, ფიროსმანის პირველი გამოფენაც ერთ დღეს გაგრძელდა – 1916 წლის 6 მაისს – თბილისში – ზდანევიჩების სახლში).

ჯუმბერ თითმერია – თქვენს ლექსებში დიდი სასოებით, სიამაყით და ნეტარებით იხსენიება სახელი: ირაკლი! ამის ორიოდე შემთხვევას შევახსენებ მკითხველს:

ახლა ღამესა. სძინავს ირაკლის.
სძინავს დედას და სძინავთ მეზობლებს
და მეც მძინარედ ჩავითვლებოდი,
იმათი სუნთქვა რომ არ მესმოდეს...

რასაკვირველია, ესეც ირაკლიზეა:

მე მარცხნივ მიდგას ერთგული მამა,
მე მარჯვნივ მიდგას ერთგული შვილი...

და:

... მე მხოლოდ დიდმა სიხარულმა გამათამამა,
კარგი არა ვარ,
მაგრამ კარგი შვილის მამა ვარ.

ახლა ის შვილი, რომელიც სულ ცეროდენაც კი, მარჯვნივ გედგათ და რომელი შვილის გამოისობითაც ამაყობდით და რომლითაც ახლაც ამაყობთ – ირაკლი ჯავახაძე თქვენი კოლეგაა! ის მისი ლიტერატურული თაობის ღირსეული წარმომადგენელია. შვილზე ობიექტურად, მიუკერძოებლად ლაპარაკი საერთოდ დიდად ძნელი საქმეა.

რა განიცადეთ, როცა თვალნათლივ ნახეთ, რომ ირაკლი მწერლობის გოლგოთის გზას შეუდგა.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს თავიდან, პირველი სიყვარულის მსგავსი რაღაც იქნებოდა (ცოტაა?), მერე და მერე კი წავიდა და წავიდა. ახლა ირაკლის ამ გზიდან ვერ გადაიყვან და არც უნდა გადაიყვანო, მან უკვე დაამტკიცა, რომ ამ გზაზე მტკიცე, მყარი ნაბიჯებით მიაბიჯებს.

მოკლედ, პირდაპირ ვსვამ კითხვებს:

რა განიცადეთ მაშინ, როცა მის პირველ ლიტერატურულ ცდებს გადაავლეთ თვალი?

რა იგრძენით, როცა მისი პირველი პუბლიკაციები იხილეთ და როცა მისი პირველი, შემდეგ კი სხვა წიგნები აიღეთ ხელში?

ან რა დღე გადგათ, როცა ირაკლი ჯავახაძის მოთხრობების მიხედვით ხორცშესხმულ სპექტაკლს უყურებდით?

და საერთოდ, გაფაციცებით თუ ადევნებთ თვალყურს ირაკლის თაობის მწერალთა შემოქმედებას?

ვახტანგ ჯავახაძე – მემკვიდრის არჩევანი მშობელს ყოველთვის აინტერესებდა და აინტერესებს. კარგია, რომ ირაკლიმ თავიდანვე სხვა ჟანრი აირჩია და პოეტური მცდელობებით დრო არ დაკარგა, როგორც ხდება ხოლმე. პირველ მოთხრობებს მაკითხებდა, ახლა კი თქვენთან ერთად ვეცნობი ირაკლის პუბლიკაციებს. ჩვენი გემოვნება და შეხედულება ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს და, ალბათ, ასეც უნდა იყოს. ვთქვათ, ტარიელ ჭანტურიას პოეზია და გურამ დოჩა-

ნაშვილის პროზა ერთნაირად მოგვწონს, ახალგაზრდათა შეფასებისას კი ყოველთვის ვერ ვთანხმდებით. ირაკლი ცოტას წერს, ძალიან ცოტას და ეს არ მომწონს. ამ ასაკში მწერალი უფრო ნაყოფიერად უნდა მუშაობდეს.

სხვათა შორის, ირაკლის კრებული, რომელმაც შარშან წიგნის ფესტივალზე 2002 წლის საუკეთესო მოთხრობების პრემია დაიმსახურა, ლევან თითმერიას გამომცემლობა „საარმა“ გამოსცა.

ირაკლის მოთხრობების მიხედვით ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა დადგა „შავი სიის კავალერები“. ეს სპექტაკლი თეატრმა თბილისშიც ჩამოიტანა გასტროლებისას. ვნახე და ორმაგად გავიხარე: მშობლიური ქალაქის სცენაზე ვიხილე ნაცნობი პერსონაჟები. და თუ – „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, – მამულთან ერთად – მამასაც ეს ურჩევნია.

ირაკლის თაობის მწერლებმა უკვე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ქართულ მწერლობაში, ლიტერატურის ყველა ჟანრში.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად მწერალთა ორგანიზებული პროცესიც დაიშალა, პოლიტიკური პარტიების მსგავსად, მწერალთა გაერთიანებებიც გაემიჯნენ ერთმანეთს, შესაბამისი ჟურნალ-გაზეთებითა და გამომცემლობებითაც კი. ვერ ვიტყვი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ ფაქტია და, ეტყობა – აუცილებელი. სამწუხაროდ, ახალ თაობას პროფესია ჯერჯერობით იმდენ შემოსავალს ვერ აძლევს, სამაგიეროდ – ამათ მეტი პირადი თავისუფლება და დემოკრატიული სამშობლო ებოძათ და ამან არ შეიძლება დიდი წარმატებები არ მოიტანოს.

ჯუმბერ თითმერია – მინდა, ჩვენ და თქვენ, და რაც ამჯერად მთავარია, პატივცემულმა მკითხველმა გაიხსენოს ან პირველად მოისმინოს რამდენიმე ნაწყვეტი წიგნისა, რო-

მელსაც საოცრად ზუსტი – ერთდროულად მათემატიკურად ზუსტი და მისტიური სახელი – „უცნობი" ჰქვია და რომლისთვისაც, სამწუხაროდ, 1998 წელს რუსთაველის პრემია ვერ გაიმეტს:

„მე ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს...

... დიახ, მე ვიცნობდი...

მაგრამ ფრთხილად, მკითხველო!

... მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო...

როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო და, რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით...

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა. და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა...".

„... ყველას თავისი გალაკტიონი ჰყავს, ყოველი თაობა და პიროვნება თავისებურად კითხულობს და აღიქვამს, ხსნის და ამართლებს...".

რასაკვირველია, თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ჯიქურ არ დამეწყო თქვენთან საუბარი თქვენს „უცნობზე", რომელიც პირველად (1988 წელს) ორმოციათასიანი ტირაჟით გამოვიდა და უმალ გაიყიდა, მეორედ (1991 წელს) ოცი ათასი დაიბეჭდა, ხოლო 1996 წლის გამოცემის ტირაჟი, გასაგებ გარემოებათა გამო, 2 ათასი ეგზემპლარია.

მეორე გამოცემას წამძღვარებული აქვს ფრიად ლაკონური, მაგრამ ბევრის დამტევი, ბევრის მომცველი, ასე ვთქვათ, სარეკლამო წარდგენა (დარწმუნებული ვარ, რომ ის სწორედ

თქვენი დაწერილია – კაცმა რომ თქვას, მას უკეთ სხვა ვერავინ დაწერდა):

„ეს წიგნი გალაკტიონ ტაბიძის სიცოცხლეში მომზადებული უკანასკნელი რჩეულის შემდგენელ-რედაქტორმა დაწერა. ამ რჩეულის შედგენისა და გამოცემის ფონზე იგი წარმოგვიდგენს გალაკტიონს, როგორც ავტორს, პიროვნებას, შემოქმედს. გვაცნობს პოეტის ცხოვრების ბოლო პერიოდის საინტერესო ეპიზოდებს, დღიურებსა და ჩანაწერებს, შემოქმედებით ლაბორატორიას, გამოცემათა ისტორიას. იყენებს მდიდარ საარქივო და დოკუმენტურ მასალას, აგრეთვე სხვადასხვა პირთა გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ მოგონებებს, ზეპირ გადმოცემებს, პირად შთაბეჭდილებებს. აპოლოგიას ერთვის გალაკტიონის ნახატები. ეს ნახატები თავისებურად ავსებს და ამდიდრებს პოეტური ცხოვრების ლირიკულ ქრონიკას, რომლის მხატვრული გაფორმებისთვისაც გალაკტიონის გრაფიკა და კალიგრაფია გამოვიყენეთ“.

აქ დეპეშური ლაკონურობითაა გადმოცემული ამ წიგნის არსი და სპექტრი. მაგრამ თქვენ, დარწმუნებული ვარ, ჩვენთვის, მიზეზთა და მიზეზთა გამო, არ გაგიმხელიათ (ან ვერ გაამხილეთ) ზოგი რამ, რასაც, იმედია, ამ წიგნის მორიგ გამოცემებში ვიხილავთ.

ერთხელ ლევ ტოლსტოის სთხოვეს: ორიოდე სიტყვით გვითხარით, „ომითა და მშვიდობით“ რისი თქმა გინდოდათო. მან უპასუხა: მე ამის ორიოდე სიტყვით თქმა რომ შემძლებოდა, ასე ვრცელ რომანს არ დავწერდიო. გთხოვთ, იმას, რაც „უცნობით“ უკვე ბრძანეთ, რამეს, თქვენთვისა და ჩვენთვის აუცილებელს, ხომ არ დაუმატებდით?

აქ ერთ რამესაც ვიტყოდი: ერთგვარ უხურხულობას ხომ არ ჰქმნის ისიც (თუმცა მას გასაგები ვითარებაც ჰქმნის), რომ „უცნობი“ ასე გროშის ფასად იყიდება (ან ძნელადაც კი

იყიდება) წიგნის ბაზარზე? (პირადად მე, სხვადასხვა დროს, ამ წიგნის 10 ეგზემპლარი მაინც შევიძინე და ვაჩუქე იმათ, ვისთივსაც ის, დარწმუნებული ვარ, უნდა მეჩუქებინა). ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროდ, რომ გალაკტიონის ხელნაწერებისა და ნახატების (რომელთა ნაწილიც ამ გამოცემას ამშვენიერებს!) დიდი სასაჩუქრე ალბომი გამოიცეს?

კიდევ – მე მიჭირს ამ წიგნის ჟანრის ერთი სიტყვით განსაზღვრა, მაგრამ პირადად ჩემთვის ესაა პოეტ-მკვლევარის, პოეტ-მეცნიერის (დიახ, მეცნიერის!) ქმნილება.

გვაინტერესებს – მეც და მკითხველსაც გვაინტერესებს – რას იტყოდით ამ შეკითხვაში გამოთქმულ და გაფანტულ რამდენიმე ზოგად მოსაზრებასა და დასმულ კითხვაზე?

ვახტანგ ჯავახაძე – „უცნობი" ჩემი ცხოვრების წიგნი აღმოჩნდა. სამი შესამჩნევად შევსებული გამოცემა გამოვიდა საერთო 62-ათასიანი ტირაჟით. მზადა მაქვს მეოთხე, ალბათ, საბოლოო ვარიანტი, რომელსაც სოლიდური მოცულობის, მეტად საინტერესო ეპიზოდები დაემატა. ველოდები: მე უფრო ადრე გავმდიდრდები თუ გალაკტიონის რომელიმე პატრიოტი-სპონსორი.

მე შევადგინე გალაკტიონ ტაბიძის უკანასკნელი „რჩეული" და, ბუნებრივია, პირადად ვიცნობდი გალაკტიონს, რამდენადაც შეიძლებოდა გალაკტიონის ცნობა და შეცნობა. გალაკტიონმა მთელი სიცოცხლე მარტოობაში გაატარა. როდესაც ჩვენს გვერდით იდგა, მაშინაც მარტო იყო და ისე გაუცხოვდა, თავისი ბუნებრივი ხმით არც კი გველაპარაკებოდა. განმარტოებული პოეტის პიროვნება ლეგენდარული იდუმალებით იყო გარემოსილი და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ეს ინტერესი და იდუმალება კიდევ უფრო გაამძაფრა გალაკტიონის თვითმკვლელობამ. ჩვენ გვეამაყება და სამართლიანადაც გვეამაყება, რომ ჩვენმა საუკუნემ ქართული კლასიკური

პოეზიის თანავარსკვლავედს – მეშვიდე ბრწყინვალე მნათობი შეჰმატა. მაგრამ ვერც იმას დავივიწყებთ, რომ გალაკტიონ ტაბიძემ დღისით, მზისით, ჩვენს თვალწინ მოიკლა თავი და ქართველმა მწერლებმა, რესპუბლიკის მთავრობამ და, რაც მთავარია, იურისპრუდენციამ ისე აღიქვა ეს სამარცხვინო და შემზარავი ფაქტი, როგორც ჩვეულებრივი და მოსალოდნელი მოვლენა. არადა, ეს მკვლელობა უფრო იყო, ვიდრე თვითმკვლელობა. აკი, თვითონ ამბობდა: „პოეტი რომ მოკლა, ამისათვის ტყვია არ არის საჭიროო“.

ამ ოცი წლის წინათ დავაპირე დამეწერა პატარა გახსენება, გამეფრთხილებინა მომავალი გამომცემლები, როგორი პასიური ავტორი გახლდათ გალაკტიონი. „რჩეულის“ შედგენის შემდეგ მორჩენილი ლექსებისა და პოემების საქაღალდეები გალაკტიონმა და მე ერთად გადავიტანეთ მარჯანიშვილის ქუჩის მეორე მხარეს – პოეტის ბინაში. ამჯერად მინდოდა ჩვენი ნამუშევარი დედნის გვერდები გადამეთვალიერებინა და ამ განზრახვამ მიმიყვანა ლიტერატურის მუზეუმში – გალაკტიონის არქივთან. ძნელია, მოიძებნოს მეორე შემოქმედი, ასეთი მდიდარი და პუნქტუალური არქივი რომ დაეტოვებინოს შთამომავლობისათვის, თუმცა ეს არქივი არავითარ ქრონოლოგიას და წესრიგს არ ემორჩილება. რაც უფრო შორს გავყევი პოეტის ცხოვრებასავით დაულაგებელ ფაქტებსა და ეპიზოდებს, ინტერესი თანდათან გამეზარდა, თანდათან შემიტყუა ამ უცნობმა ლაბირინთმა და თორმეტი გრძელი წელიწადი პოეტის ხელნაწერებთან გავატარე. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები, თვეები და წლები – აღსავსე პატარ-პატარა სიხარულებითა და აღმოჩენებით: საკმარისია დავასახელოთ გალაკტიონის ნახატები, რომლებსაც არავინ იცნობდა და არც არავინ იცოდა, რომ გალაკტიონი ხატავდა. ყველაზე საგულისხმო კი აღმოჩნდა ის მძიმე განცდები და ტკივილები, რომლებიც დღიურებმა შემოგვინახეს. თორმე-

ტი წელიწადი გალაკტიონის სამყაროში ვიცხოვრე. პოეტის მრავალ ნაცნობსაც ვესაუბრე, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი – მეგობარს-მეთქი. მოგონებებშიც ჩავიხედე, გამოუქვეყნებელ მოგონებებშიც, ლეგენდებიც გადავამოწმე, დოკუმენტები დავაზუსტე და ასე გავიარე პოეტის ნაკვალევზე.

„უცნობის" პირველი ვარიანტი „მნათობში" იბეჭდებოდა 1985 წელს, მაგრამ ზემოდან დარეკეს და ცენზორის მიერ ბეჭედდასმული ანაბეჭდები საბეჭდი მანქანიდან ჩამოიღეს. აღმოჩნდნენ პიროვნებანი, რომლებსაც არ აძლევდათ ხელს გალაკტიონის სიცოცხლისა და სიკვდილის სიმართლე. ორი წლის შემდეგ რეზო ჭეიშვილი დანიშნეს „განთიადის" რედაქტორად ქუთაისში და რეზომ პირველსავე ნომერში, რომელსაც ხელი მოაწერა, მთლიანადაც ჩაატია პატიტით აწყობილი პირველი ვარიანტი და ასე გააპარა, რადგან არსებობდა საშიშროება, რომ ისევ აკრძალავდნენ.

„უცნობი" გაბრაზებული კაცის მიერ დაწერილი წიგნია: ძნელია პოეტის სულში ჩაიხედო და თავი შეიკავო. წიგნის ქვესათაურია – **აპოლოგია.** აპოლოგია შექებასაც ნიშნავს და დაცვასაც. სამწუხაროდ, გალაკტიონ ტაბიძის დაცვა პოეტის თვითმკვლელობის შემდეგაც გახდა საჭირო. მე წიგნს „უცნობი" დავარქვი და შევეცადე ნაწილობრივ მაინც შემემცირებინა დიდი უცნობის მიერ დატოვებული კითხვის ნიშნების რიცხვი, ნაწილობრივ მაინც გამემხილა მწარე სიმართლე, რამდენიმე ნაბიჯით მაინც მივახლოებოდი გალაკტიონის საიდუმლოს.

მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება გული: თენგიზ აბულაძე განსაკუთრებული მონდომებითა და ინტერესით ემზადებოდა და აპირებდა, ამ წიგნის მიხედვით, ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი გადაეღო. 1994 წლის პირველ იანვარს დამირეკა და ახალი წელი მომილოცა: დღედაღამ, განუწყვეტლივ, გალაკტიონზე ვფიქრობ და მალე უნდა შევუდგეთ საქმესო.

როგორც ირკვევა, ცალკეული ეპიზოდები თავის წარმოდგენაში უკვე გადაღებული ჰქონდა: ამ დღეებში ტელევიზორის ეკრანიდან თენგიზის ვაჟი გვესაუბრებოდა: მწოლიარე ხშირად ერთ წერტილს მიაცქერდებოდა და საკმაო დუმილის შემდეგ იტყოდა: კადრი დამთავრებულიაო... სამწუხაროდ, არ დასცალდა. არადა, ნამდვილად საინტერესო იქნებოდა დიდი რეჟისორის თვალით დანახული გენიოსის ტრაგედია.

ახლა ალბომის შესახებ. ნახატებთან ერთად გალაკტიონმა თითქმის ნახატი ავტოგრაფები დაგვიტოვა. უაღრესად ფოტოგენური იყო და მეტად მდიდარი ფოტომასალაც გვიანდერძა. ლიტერატურის მუზეუმთან ერთად, მე და თენგიზ მირზაშვილი ვაპირებთ მოვამზადოთ და გამოვცეთ გალაკტიონის ნახატების, ავტოგრაფებისა და ფოტოების ალბომი. და რაკი ლიტერატურის მუზეუმი ვახსენე, არ შემიძლია მადლობა არ მოვახსენო მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებმაც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მეტად გულისხმიერი მასპინძლობა გამიწიეს და ერთი დიდად სასიამოვნო ფაქტიც არ აღვნიშნო: ლიტერატურის მუზეუმი, მისი დირექტორის იზა ორჯონიკიძის რედაქტორობით, ამზადებს გალაკტიონის ნაწერების საარქივო გამოცემას ოცდახუთ ტომად.

ჯუბერ თითმერია – ბატონო ვახტანგ! გმადლობთ.

ამ დიალოგსაც მთელი თქვენი შემოქმედებისა და სამსახურეობრივი მოღვაწეობებისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდეთ.

რასაკვირველია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ჩვენ ხომ ჩვენი მკითხველების წინაშე, როგორც იტყვიან, პირდაპირ ეთერში ვსაუბრობდით.

აგაშენოთ ღმერთმა!

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო",
2003 წლის 27 ივნისი.

თავისუფლების საზღვრები

მესაუბრა ხათუნა ალხაზიშვილი

– თქვენი პოეტური კრებული „2002 სტრიქონი" გამომცემლობა „მერანმა" 2002 წელს გამოსცა. წიგნის ანოტაციაში პოლ ვალერის მოსაზრებაა ციტირებული: „თავისუფლება ყველაზე ძნელი გამოცდაა, რომლის წინაშეც შეიძლება დააყენო ხალხი. თავისუფლებით სარგებლობის უნარი ყველა კაცსა და ყველა ხალხს როდი შესწევს". როგორ ფიქრობთ, ჩააბარა ჩვენმა ქვეყანამ ეს მეტად ძნელი გამოცდა, თუ „დრო იგი სჯობია, როცა არ ვიყავით და დრო იგი აჯობებს, როცა არ ვიქნებით"?

– ეს მეტად ძნელი გამოცდა დღესაც გრძელდება და ჯერჯერობით არც ისე კარგი პირი უჩანს. თუკი განვლილ სამოქალაქო ომს, დაკარგულ ტერიტორიებს და მრავალათასობით ლტოლვილებს გავიხსენებთ, ალბათ დამაკმაყოფილებელ ნიშანსაც არ დაგვიწერს ისტორია. ხოლო თუ ჩემს ასაკს გავითვალისწინებთ, დაბეჯითებით შემიძლია გავიმეორო: „დრო იგი აჯობებს, როცა არ ვიქნები".

– ვფიქრობ, შემოქმედი ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანი. რას ნიშნავს – იყო შინაგანად თავისუფალი, რადგან ხშირად გვგონია და გვეჩვენება, თითქოს სრულად ვსარგებლობთ თავისუფლებით.

– პირველი პასუხი უნდა გავაგრძელო: დიახ, სრულყოფილად ვერ ვსარგებლობთ თავისუფლების სიკეთით. რაც შეეხება პიროვნულ თავისუფლებას, ამ შემთხვევაში მწერალს დიდი უპირატესობა გააჩნია, იგი შეიძლება ციხეშიც თავისუფლად გრძნობდეს თავს. ამისთვის არც პალიტრა და მოლბერტი ესაჭიროება, არც მუსიკალური ინსტრუმენტი და არც სცენა. ლევან გოთუამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი პატიმრობაში გაატარა და თავისი საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნებიც ციხეში დაწერა. პიროვნულად იგი უფრო თავისუფალი აღმოჩნდა, ვიდრე ზოგიერთი მისი კოლეგა, რომელიც პოლიტიკური კონიუნქტურის ზედამხედველთა კარნახით წერდა და მკერდს ჩინ-მედლები უმშვენებდა.

– მინდა თქვენი ყურადღება „უცნობზე" შევაჩერო, გალაკტიონის ტრაგიკულ ბედზე რომ მოგვითხრობს:

ტალახიან ბათინკებით – შენს უწმინდეს ტაძარში –
შემოვიჭერ, კიდევ კარგი, ამჯერადაც გადარჩი!
მაპატიე (თუმც ბოდიში აღარაა მოდაში)
შენი დაფლეთილი სულის უნებლიე მონტაჟი!

რამ გადაგაწყვეტიათ „მონტაჟი" გალაკტიონის ტრაგიკული ცხოვრებისა, მკითხველზე ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება რომ მოახდინა და ბევრი უცნობი მხარე ამჟამად ახლობელი და სულისშემძვრელია?

– სხვათა შორის, „მონტაჟი" ჩემი უცნობის ზუსტი მახასიათებელია. მე მომიხდა პოეტის ტრაგიკული ცხოვრების წლებიდან და დღეებიდან, უმდიდრესი არქივიდან, მრავალზე მრავალი მოგონებიდან, მოსმენილ-გაგონილიდან და საკუთარი დაკვირვებებიდან – ყველაზე ნიშანდობლივი და საინტერესო ფაქტებისა და ეპიზოდების, ფრაგმენტებისა და დეტალების შერჩევა და „დამონტაჟება". ყველაფერი კი შემთხვევით

მოხდა: გამომცემლობის ახალბედა რედაქტორს გალაკტიონის რჩეულის შედგენა დამავალეს. დიდი ხნის შემდეგ განვიზრახე დამეწერა წერილი მომავალი გამომცემლების გასაფრთხილებლად, თუ როგორი პასიური ავტორი იყო გალაკტიონი. დამჭირდა იმ საკმაოდ დიდი მასალის გადათვალიერება, რომელიც შედგენისას გადაირჩა და მერე გალაკტიონმა და მე ერთად გადავიტანეთ პოეტის ბინაში. ამ მიზნით ლიტერატურულ მუზეუმს მივაკითხე და სასწაული აღმოვაჩინე: პოეტის უცნაურმა და უმდიდრესმა არქივმა მეტად სასიამოვნო ქაოსში ჩამითრია და დღესაც არ თუ ვერ დამიღწევია თავი: კვლავ წიგნის მეოთხე საბოლოო ვარიანტს ვავსებ და ვაზუსტებ.

– ვინ მოახდინა თქვენზე, როგორც მწერალზე, დიდი გავლენა?

– ქართველმა და რუსმა პოეტებმა (რადგან, სამწუხაროდ, უცხო ენები არ ვიცი). ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, საუკუნის მეტრმა, რომლის შესახებაც ახლახან ვისაუბრეთ.

– როგორ შეაფასებდით დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს. რა ნოვაციები შეიმჩნევა? რა საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს გამოჰყოფდით საბჭოურ ქართულ ლიტერატურულ პროცესსა და დღევანდელს შორის?

– თავისუფლებისა და დემოკრატიის პრიმატი აშკარად განასხვავებს პოსტსაბჭოთა ლიტერატურას. ნოვაციებს რაც შეეხება, გამოვყოფდი პოეზიაში თავისუფალი ლექსის აღორძინებას, რომელიც ბესიკ ხარანაულის სახელს უკავშირდება და პროზაში „თავისუფალი პროზის“ წარმატებას, რომელიც გურამ დოჩანაშვილის უკანასკნელ რომანში აისახა. როგორც ჩანს, გურამ დოჩანაშვილი თავის მთავარ წიგნს წერს. ალბათ მიმიხვდით, იგულისხმება უთარგმნელი „ლოდი, ნასაყდრალი“, რომელსაც ალბათ აქტიური ოპოზიცია ეყოლება და ამიტომ მინდა გავამხნევო: ყოჩაღ, ჩემო გურამ!

– თქვენი შვილი ირაკლიც თქვენს გზას დაადგა. როგორ შეხვდით თავიდან მის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას? უმეტეს წილად მშობლები შვილების მიმართ მომთხოვნები და კრიტიკულები არიან.

– მწერლობა ბედისწერაა და ამიტომ ჩემი ირაკლის სხვა არჩევანზე არასოდეს მიფიქრია. საბედნიეროდ, ირაკლის თაობა დემოკრატიის წლებში ჩამოყალიბდა და სრულად ეზიარა თავისუფლების სიკეთეს (ისევ თავისუფლება!). ამ თაობას ერთი რამ კი უნდა ვურჩიო: თავისუფლებასაც გააჩნია საკუთარი საზღვრები, ოღონდ უფრო უხილავი და ამდენად – უფრო სახიფათო.

– დამეთანხმებით, მწერალი გამუდმებით სიახლის ძიებაშია. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა. თქვენი კრებულის „2002 სტრიქონის" გამოცემიდან საკმაო დრო გავიდა. ჩემი ყურადღება მიიპყრო თქვენი ახალი ლექსების პუბლიკაციამ გაზეთ „პარნასში". როგორც იქნა, განახლდა „ომეგას" გამოცემა. იგი ფორმალურად სახეშეცვლილია და ალბათ გაზეთ „ჩვენი მწერლობის" გზას გააგრძელებს. რას ნიშნავდა თქვენთვის „ჩვენი მწერლობა" და რას ფიქრობთ „ომეგას" განახლებულ გამოცემაზე?

– რაკი შემთხვევა მომეცა, არ შემიძლია მადლიერებით არ გავიხსენო „ომეგას კლუბი" – ერთი ოაზისი გარდამავალი წლების უდაბნოში. აღსანიშნავია არა მარტო „ჩვენი მწერლობისა" და „ომეგას" ნაყოფიერი შემოქმედებითი წარმატებანი, არამედ – ის ხშირი შეხვედრები კლუბის ოფისში და ოფისს გარეთ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც გათიშული მწერლები ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ვეკამათებოდით და ვერთობოდით კიდეც. მივესალმები „ომეგას" განახლებას და კვლავაც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ჟურნალში.

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა", 2009 წლის 3 აპრილი.

პირთა საძიებელი

აბაშელი ალექსანდრე 335
აბაშიძე გრიგოლ 7
აბაშიძე ირაკლი 7, 133, 150, 434, 464
აბელარი პიერ 53
აბზიანიძე გიორგი 68
აბო თბილელი 234
აბუ სეიფ 235
აბულაძე თენგიზ 312, 433, 474, 475
აბულაძე ლეილა 71
აბულაძე რომან 73, 450
აგიაშვილი ნიკა 28-30, 314
ადამია ალიო 141
ავსაჯანიშვილი თენგო 214, 215
აინშტაინი ალბერტ 186, 198
აკუტაგავა რიუნოსკე 204
ალექსანდრე მაკედონელი 191
ალექსიძე ზაზა 220
ალხაზიშვილი ხათუნა 476
ამაღლობელი რატი 202
ამირეჯიბი თამარ 455
ამირეჯიბი შალვა 254
ამირეჯიბი ჭაბუა 84, 138, 329, 333
ანანიაშვილი ელიზბარ 143
ანანიაშვილი ქეთევან 407
ანჯაფარიძე ლევან 153
აპოლინერი გიიომ 154, 414, 464
აპოლონიოს როდოსელი 448
არაგონი ლუი 173
არისიმა ტაგეო 204
არსენ იყალთოელი 221
არსენა მარაბდელი 361
არსუკიძე 174
ასათიანები 70, 71
ასათიანი გურამ 105, 107
ასათიანი ლადო 25-29, 55, 122, 130, 188, 250, 261, 314, 329, 339, 348, 434, 459
ასათიანი მამია 101
აფხაიძე ემანუილ 153
აღათანგიანთ ქალი 121
ახვლედიანი ელენე 104, 250
ახმადულინა ბელა 159, 169
ახმატოვა ანა 81, 142, 167, 180, 193, 206, 207, 209, 254, 306, 309

ბაგრატ III 99
ბაგრატიონი დარეჯან 354, 355
ბაიაშვილი იოსებ 360
ბაირონი ჯორჯ გორდონ 152, 294
ბალანჩივაძე ანდრია 165, 251

ბალანჩინი ჯორჯ 157, 293
ბალახაშვილი იაკობ (ჟაკი) 459
ბარათაშვილი ავთანდილ 63
ბარათაშვილი ნიკოლოზ 19, 44, 144, 188, 207, 208, 222, 233, 243, 245, 263, 264, 268, 269, 278, 284, 286, 305, 311, 318, 337-339, 405, 406, 436
ბარატინსკი ევგენი 119
ბახტურიძე ბაკურ 453, 456
ბებუთოვი გარეგინ 264, 265
ბეთანიშვილი ნოდარ 453
ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან 175
ბერდიაევი ნიკოლოზ 312
ბერია ლავრენტი 225, 291
ბერიკ ჯავახი 98
ბერიძე ფილიპე 453
ბერნსი რობერტ 189
ბეროშვილი შერთხია 445
ბერულავა ხუტა 12, 45, 68
ბერძენიშვილი მერაბ 146
ბერძენიშვილი ნიკო 251, 314
ბექაური ნორა 453
ბეხერი 263
ბიბილური თამაზ 49, 202, 453
ბირსი ამბროზ 124, 322
მამა ბიქტორი 91
ბოდლერი შარლ 306, 466
ბოზოზიო 166
ბოიდო გილერმო 142
ბოლქვაძე ელისო 87
ბოლქვაძე ზაურ 38, 43, 87, 315, 453
ბონაპარტე ნაპოლეონ 162
ბონდი ალან 171
ბორი ნილს 198
ბორხესი ხორხე ლუის 197
ბოსკე ვისენტე დელ 169, 187
ბოსხი ჰიერონიმუს 130, 417
ბოტიჩელი სანდრო 130
ბრეტონი ანდრე 169, 178
ბრეხტი ბერტოლტ 175
ბრიკი ლილია 206, 224
ბროდსკი იოსებ 159, 161, 167, 192, 203, 204
ბუაჩიძე ცეცო 179
ბურდული მარი 396-398

გაბაშვილი დუდა 318
გაბაშვილი ეკატერინე 103
გაბაშვილი რევაზ 292
გაბესკირია ვიქტორ 155
გაბრიაძე რეზო 301, 302
გალილეი გალილეო 415
გამსახურდია ზვიად 136, 162
გამსახურდია კონსტანტინე 6, 55, 250, 304
გამსახურდიები 7, 105, 155
გამყრელიძე ამირან 102, 103
გაპონოვი ბორის 155
გაფრინდაშვილი ვალერიან 22, 133
გაფრინდაშვილი ნონა 16, 17
გაჩეჩილაძე დავით 132, 149
გაწერელია აკაკი 44, 99, 300, 312, 434
გეგეჭკორი გოგი 43, 47, 48, 50, 87, 109, 154, 178, 179, 231, 407, 453
გეგეჭკორი გურამ 393, 394
გეგეჭკორი ირაკლი 87
გეგეჭკორი ლადო 394
გეგეჭკორი ლუკა 48
გეგეჭკორი სერგო 225

გეიმი გეორგ 263
გელოვანი გულნაზ 453
გელოვანი მირზა 150, 151, 434, 459
გელოვანი რუსუდან 151
გერმესაშვილი იზაბელა 453
გვერდწითელი დარეჯან 453
გიგინეიშვილი ვანო 251
გიგინეიშვილი მანანა 150
გიორგი ქუჩიშვილი 120
გიტოვიჩი 267
გლადკოვი ალექსანდრე 207, 223, 224
გოგებაშვილი იაკობ 228, 376
გოგენი პოლ 173, 174
გოგოლაური ირაკლი 350, 363
გოგოლაშვილი ვახტანგ 63
გოეთე იოჰან ვოლფგანგ ფონ 58, 147, 152, 175, 222, 263, 271, 288, 294
გოთუა ლევან 141, 205, 251, 423, 434, 477
გოლცევი ვიქტორ 272
გომიაშვილი ალექსი 40
გონჩაროვა ალექსანდრინა 209
გონჯილაშვილი მარო 116
გოპაძე ილია 27
გორდელაძე გიორგი 8, 9
გორკი მაქსიმ 209
გოტიე თეოფილ 306
გრასო მარიო 118
გრეი ალასდერ 148
გრიგალაშვილი ნოდარ 51
გრიგოლია ლადო 18, 31, 32, 55, 130, 318, 408, 423, 434, 460
გრიშაშვილი იოსებ 8, 22, 55, 86, 144, 310, 335, 408, 423, 433, 458
გრუსაკი პოლ 197
გუდიაშვილი ლადო 7, 55
გუმილიოვი ლევ 206
გუმილიოვი ნიკოლოზ 177
გუნაშვილი თამარ 438
გურაბანიძე ნოდარ 295
გურამიშვილი დავით 11, 37, 109, 278, 284, 317, 339, 436, 446, 447
გურამიშვილი ოლღა 305
გუტენბრგი იოჰან 102

და ვინჩი ლეონარდო 146, 172, 175, 430
დადიანი შალვა 338
დავით აღმაშენებელი 131, 443
დავით სოსლანი 336
დალი სალვადორ 38, 146, 158, 169, 391
დანტე ალიგიერი 164
დარიოს III 191
დაძაი ოსამუ 204
დე ვეგა ლოპე ფელიქს არტურო 148
დე სადი დონატიე ალფონს ფრანსუა 162
დემეტრაშვილი ოთარ 453
დიდრო დენი 103
დივნაგორცევა-გრიგოლია ინა 31, 32
დიკენსი ჩარლზ 173
დისნეი უოლტ 164
დიუფი რაულ 169
დოდე ალფონს 131
დოიაშვილი თეიმურაზ 52
დომიე ონორე 416, 422
დორე გუსტავ 164, 422

დოსტოევსკი ფიოდორ 416, 417
დოჩანაშვილი გურამ 62, 164, 227, 229, 391, 440, 468, 478
დუმბაძე ნოდარ 117, 156, 189, 250, 339, 422
დუნდუა დავით 318
დუნკანი აისედორა 162, 198, 199, 293

ებანოიძე ზაალ 66
ევტუშენკო ევგენი 36, 160, 161, 169, 204
ეზიკაშვილი ირაიდა 72-75, 449
ელ გრეკო 134
ელიაშვილი ვანო 305
ელიოზიშვილი ლია 179
ელიოტი ტომას სტერნზ 156, 412
ელისაშვილი იზა 453, 455
ელიტისი ოდისეას 308
ემელიანოვა ირინა 195
ემინი გევორქ 113
ემპირიკუსი სექტუს 415
ენუქიძე თინა 314
ეჟოვი ნიკოლაი 206
ერეკლე II 381
ერენბურგი ილია 192
ერისთავი დიმა 174
ერისთავი ზურაბ 354, 355
ერისთავი რაფიელ 376
ერჰარტი ამელია 162
ესენინი სერგეი 213, 379
ესქილე 298
ეფრემოვი იური 313
ეფრონი არიადნა 193, 195
ეფრონი სერგეი 194

ვალერი პოლ 184, 406, 430, 466, 476
ვან გოგი ვინსენტ 33, 133, 170-173, 417, 429, 446
ვან გოგი თეო 173
ვაჟა-ფშაველა 78, 109, 114, 166, 222, 261, 263, 266, 268, 269, 271, 278, 279, 284, 286, 318, 329, 339, 349, 387, 434-436, 442, 459
ვარდიაშვილი ანა 251
ვარლამიშვილი ვანო 72, 76-78, 406, 449
ვარლამიშვილი ფელიქს (ვარლა) 72, 77
ვასაძე აკაკი 153
ვასილევი ვლადიმერ 295
ვაჩნაძე ანიკო 122
ვახტანგ VI 4667
ვეიერშტრასი კარლ 415
ვერლენი პოლ 174, 353
ვერფელი ფრანც 263
ვიგტენშტაინი პაულ 212
ვიიონი ფრანსუა 180, 189, 401, 410, 416, 422
ვინოკური გრიგორი 223
ვინოკუროვი ევგენი 160, 261
ვირსალაძე ელენე 361
ვო ივლინ 236
ვოზნესენსკი ანდრეი 142, 160, 167-169, 193, 226, 308, 464, 467
ვოლკოვი სოლომონ 157, 161, 204
ვოლტერი 103, 294
ვოლფრამი სტივენ 203

ზანდუკელი ფიქრია 98
ზაქარიაძე სერგო 251
ზდანევიჩები 467
ზდანევიჩი კირილე 7, 430
ზიდანი ზინედინ 187
ზოიძე შოთა 381
ზურაბიშვილი ავლიპი 225
ზურაბიშვილი სალომე 216

თავაძე სოლომონ 190
თათარაიძე ეთერ 217
თამარ მეფე 137, 317, 336
თეიმურაზ I 354
თვალთვაძე ფატი 265
თვარაძე ზაზა 159
თვარაძე რეზი 51, 52, 68
თვარაძე ცოტნე 52
თითმერია ლევან 194, 201, 208, 214, 391, 460, 461, 469
თითმერია ჯუმბერ 194, 390, 392, 448, 450, 452, 456, 460, 462, 464, 467, 469, 475
თოდუა მერი 453
თოთიბაძე გოგი 118
თოიძე ირაკლი 118
თოიძე მოსე 251
მამა თომა 92, 93
თომასი დილან 414
თოფურია შოთა 53
თუმანიშვილი მიხეილ 188

იაგორა მეეტლე 14
იაკობ შემოქმედელი 467
იაკოვლევიჩი სერგეი 193
იანქოშვილი ნათელა 118
იაშვილი პაოლო 22, 263, 265, 463
იგნატოვი კოკა 314
იელიშა 144
ივანიშვილი ბიძინა 195, 196
ივინსკაია ოლგა 178, 195
იმედაშვილი გაიოზ 42
ინანიშვილი რეზო 147, 251, 453
ინასარიძე ნათელა 385, 386
ინაური ალექსი 21
ინგოროყვა პავლე 16-22, 26, 44, 55, 85, 148, 231, 251, 311, 325, 336, 386, 408, 423, 434, 459, 461
იონა მდივანი 467

კავაბატა იასუნარი 204
კავერინი ბენიამინ 300
კაზავოი ვადიმ 178
კაკაბაძე პოლიკარპე 55, 251
კალანდაძე ანა 12, 23, 32, 69, 104-125, 147, 168, 246-251, 313, 314, 328, 329, 436
კალანდაძე ზურაბ 124
კალანდაძე ირმა 92, 93
კალანდაძე მიხეილ 92, 93
კალმახელიძე ციცინო 453
კანდელაკები 83
კანდელაკი ოთარ 83, 84
კარპაკი 98
კარტოზია გივი 145
კასრაძე ქართლოს 313
კაცუსიკა ხოკუსაი 145
კახაბერი დავით 112
კახიანიძე ცისია 120
კენედი ჯონ ფიცჯერალდ162, 306
კენო რაიმონ 414

კერესელიძე ვახო 91, 97
კერესელიძე ვიქტორ 97
კერძევაძე ელდარ 339
კეცხოველი ნიკო 251, 407, 451, 452
კვანჭილაშვილი ტარიელ 453, 455, 456
კვარაცხელია ზვიად 240
კვაჭაძე ზინაიდა 123
კვეიძეკირა 453
კვერენჩხილაძე ზინა 123, 251
კვერნაძე ბიძინა 73, 165
კვესელავა მიხეილ 311
კვირკველია გივი 136
კვიტაიშვილი დავით 84
კვიტაიშვილი ემზარ 43, 84, 154, 195, 220
კიზი კენ 214, 389
კიკნაძე გრიგოლ 251
კიკნაძე ვასილ 149
კიკნაძერობერტ 453
კილასონია ნაზი 339
კლდიაშვილი დავით 416, 422, 435
კობიაშვილი გოგი 25, 26
კობიძე ლუბა 90
კობო აბე 204, 234
კოქტო ჟან 154
კორო ჟან ბატისტ კამილ 294
კორძაია ჯანსულ 205
კოსტროვი სერგეი 113
კოტეტიშვილი ვახტანგ 20, 342, 348, 352, 361, 363, 365
კოტეტიშვილი ვახუშტი 178, 360
კუხიანიძე ზურაბ 63, 66, 379, 380
ლანდრამი ჯინ 162
ლებანიძე ზაზა 388
ლებანიძე მურმან 22, 25, 26, 41, 44, 45, 51, 61, 65, 103, 105, 108, 114-117, 122, 137, 151, 186, 190, 196, 219, 221, 231, 247, 251, 261, 319-321, 324-327, 329, 331-335, 337, 338, 340, 358, 366, 367, 369, 377, 382, 387, 388, 458, 459
ლებანიძე ფიქრია 388
ლე-დანტიუ მიხეილ 430
ლენინი ვლადიმერ 228, 427
ლენონი ჯონ 161
ლეონიძე გიორგი 5-9, 11, 12, 15, 37, 55, 120, 129, 218, 222, 254, 259, 261, 264-266, 274, 297, 305, 309, 335, 339, 382, 408, 423, 433, 458, 463
ლეონიძე ლევან 121
ლეონიძე ნინა 120
ლეჟავამანანა 453
ლერმონტოვი მიხეილ 140
ლესმიანი ბოლესლავ 263
ლი ბრიუს 236
ლივანოვი ვასილ 193, 208
ლომბროზო ჩეზარე 166
ლომინაძე თინა 453
ლომინაძე ჯუმბერ 452
ლომიძე ოთარ 135
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 65, 200, 461
ლორთქიფანიძე ნიკო 55, 434

მაიაკოვსკი ვლადიმერ 72-74, 133, 189, 200, 206, 207, 223,

224, 313, 400, 406, 409, 410, 449, 464
მაისურაძე 109
მალაზონია ნოდარ 318
მალარმე სტეფან 414
მალიშევა მარიამ 26, 27
მამაჯანოვა ელენე 70, 71, 312
მამაჯანოვები 71, 312
მამფორია ოთარ 42, 53, 54, 225
მანდელშტამი ოსიპ 177, 206, 211, 299, 300
მაო ძედუნი 163
მარგალიტაძე ვარლამ 24
მარგალიტაძე ვასიკო 398
მარგალიტაძე ისაკ 94
მარგალიტაძე რომან 90, 92
მარგალიტიძეები 92, 398
მარგველაშვილი გია 8, 107
მარგველაშვილი ვახტანგ 453
მარგველაშვილი ნოდარ 73, 450
მარინეტი ფილიპო ტომაზე 154
მარინო ჯამბატისტია 148
მარკ ტვენი 129
მარკევიჩი ალექსანდრე 143
მარკეიჩი საშა 313
მარკესი გაბრიელ გარსია 232
მარმოლი ხოსე 197, 457
მარქსი კარლ 163
მარშაკი სამუილ 189
მარციალი მარკუს ვალერიუს 304
იუკიო მიშიმაა 204
მატისი ანრი 169, 173, 416, 429
მაღალაშვილი ქეთევან 104, 117-120, 250
მაღრაძე ელგუჯა 40
მაჭავარიანი მუხრან 43, 162, 183, 202, 329, 330
მაჭარაშვილი სოსო 453
მგალობლიშვილი ნანა 92, 93
მებურიშვილი ტაგუ 79
მეზვრიშვილი მედეა 137
მეიერჰოლდი ვსევოლოდ 213
მენუჰინი იეჰუდი 186
მერკვილაძე გიორგი 457
მესხი აპოლონ 73
მესხი ნუგეშა 73
მეძმარიაშვილი ჯაბა 100
მიზანდარი გივი 73, 450
მიზანდარი ვალერიან 73
მირზაშვილი თენგიზ (ჩუბჩიკა) 80, 131, 150, 194, 217, 218, 302, 335, 475
მირიან ბატონიშვილი 317
მირცხულავა ალიო 137, 153
მირცხულავა შუქრი 137, 329
მისტრალი გაბრიელა 411
მიქაძევიოლა 453
მიქელანჯელო ბუონაროტი 33, 130, 163, 175, 294, 417, 464
მიქელაძე ევგენი 174
მიქოიანი ანასტას 204
მოდილიანი ამედეო 134
მოლოტოვი მიხეილ 140
მონტესკიე შარლ ლუი დე 184, 430
მორსი მორსტონ 414
მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს 175, 430
მუსხელიშვილი ლევან 363

ნადიბაიძე ვარდიკო 341
ნადირაძე კოლაუ 22
ნაზვალი 263
ნასყიდაშვილი ნინო 67

ნატროშვილი გიორგი 106
ნაცვლიშვილი თემო 120
ნაცვლიშვილი პაატა 400, 401
ნეი მიშელ 235
ნერუდა პაბლო 411
ნიკოლაევსკაია ელენა 143
ნიკოლოზ II 136
ნიკოლოზ პუნინი 206
ნიკულინი იური 142
ნიჟინსკი ვაცლავ 198, 199
ნიშნიანიძე ფატი 135, 265
ნიშნიანიძე შოთა 59
ნოდია ოთარ 143
ნონეშვილი იოსებ 6, 62, 339, 434
ნურეევი რუდოლფ 294
ნუცუბიძე შალვა 21, 55, 251, 454

ოდენი იუსტენ ჰიუ 464
ოდიშარია გურამ 311
ოკუჯავა ოლია 101, 290, 291, 305
ონიაშვილი დავით 57
ორბელიანი მაიკო 305
ორბელიანი სულხან-საბა 212, 381
ორჯონიკიძე იზა 252, 475
ორჯონიკიძე სერგო 225
ოჩიაური ალექსი 343
ოჩიაური თინა 363

პაპიაშვილი ალექსი 453
პასკალი ბლეზ 184
პასტერნაკი ბორის 9, 51, 58, 82, 142, 167, 168, 180, 181, 193, 195, 200, 206-209, 215, 222-224, 254, 263, 264, 266-272, 306, 410, 463
პაუნდი ეზრა 182
პეტეფი შანდორ 263
პეტროვსკი თეოდორ 300
პიკასო პაბლო 157, 158, 162, 163, 170, 176, 236, 414, 464
პო ედგარ 236
პოლისადოვი ანდრეი 168
პუშკინი ალექსანდრე 73, 119, 160, 172, 209, 294, 457

ჟერიკო თეოდორ 294
ჟღენტი ბესარიონ 65, 107, 153, 224, 407
ჟღენტი სერგი 452

რაბლე ფრანსუა 164, 421
რადუნსკაია ირინა 413
რაველი მორის 212
რაზიკაშვილი თედო 343, 363
რაიტი ფრენკ ლოიდ 162
რაიხი ზინაიდა 213
რატგაუზი გრეინე 263
რაული 187
რაფაელი 175
რემბო არტურ 174, 294, 430
რემბრანდტი 294
რიაბინინა ალექსანდრა 266
რობაქიძე გრიგოლ 64, 312, 379, 434
რობაქიძე დათო 67
რობერტო-კარლოსი 187
როგანო კარლო 118
როზანოვი ვასილ 70
რონალდო 187
რუბენსი პიტერ პაულ 148
რუბო 414
რურუა ვახტანგ 164

რუსო ჟან-ჟაკ 103
რჩეულიშვილი გურამ 434
რცხილაძე ზურაბ 453

საბანაძე ნუნუ 453
საბაშვილი შალვა 238
საბოლები ვასია 138
საგანი ფრანსუა 293
საიათნოვა 213
სამადაშვილი ზაალ 159
სამადაშვილი ნიკო 254, 458
სამსონაძე გივი 87, 453
სამსონაძე ირაკლი 87
სანდრარი ბლეზ 154
სანდრო ეული 215
სარაჯიშვილი ვანო 174, 446
სარტრი ჟან-პოლ 204
საღარაძე გურამ 145, 202
სახოკია თედო 363
საჯაია ალექსანდრე 122
სელენიძე ანზორ 69, 111
სელენიძეები 69, 111
სელინჯერი ჯერომ 161
სენეკა 184
სენტ-ბევი შარლ ოგიუსტენ 430
სერაფიტი 98
სერვანტესი მიგელ დე 175, 279, 422
სვანაძე ერემია 66, 73, 384, 450
სიხარულიძე სარდიონ (უმცროსი) 89, 90
სიხარულიძე სარდიონ (უფროსი) 89, 91
სიხარულიძე ზურაბ 93
სიხარულიძე სოსო (უმცროსი) 90
სიხარულიძე სოსო (უფროსი) 89
სიხარულიძეები 90
სიხარულიძე-მარგალიტაძისა თეოლინე 88, 89
სლოვაცკი 263
სოლოგუბი თედორე 67
სოლომონი *(დიაკონი)* 120
სპასკი სერგეი 272
სტალინი იოსებ 50, 83, 163, 182, 206-208, 225, 228, 265, 291, 306, 425, 450
სტენდალი 430
სტერნი ლორენს 395
სტრავინსკი იგორ 157, 415
სტრუვე გლებ 300
სტურუა რობერტ 118, 289
სულაბერიძე ია 329
სულაკაური არჩილ 224, 432
სულაკაური ბაკურ 461
სხირტლაძე სიმონ 329

ტაბიძე გალაკტიონ 19, 51, 52, 55, 63, 76, 79, 81, 86, 88, 89, 92, 93, 101, 103, 106, 114, 119, 120, 124, 125, 131, 133, 135, 137, 155, 176, 186, 202, 219, 230, 231, 254, 261, 270, 271, 278, 279, 281, 284, 286, 288-292, 305, 309-311, 315, 316, 318, 329, 330, 333, 339, 353, 355, 369, 377, 378, 383, 390, 397, 399, 408, 409, 412, 413, 421-423, 427, 429, 430-437, 439, 441, 442, 454, 458, 463-465, 467, 470-475, 477, 478
ტაბიძე ნინო 222, 265, 269
ტაბიძე ნოდარ 88, 98, 377, 378, 455

ტაბიძე ტიციან 63, 64, 222, 261, 263, 266, 379, 434, 459
ტერენტი გრანელი 64, 338, 339, 379
ტესკოვა ანა 193
ტესლა ნიკოლა 162
ტინიანოვი იური 300
ტიუტჩევი თედორე 160
ტიხონოვი ნიკოლოზ 266, 268
ტოლსტოი ლევ 218, 471
ტრისტან ტცარა 154
ტულუზ-ლოტრეკი ანრი დე 170

უგრეხელიძე მინდია 75, 449
უგრეხელიძე სევდია 75
უგულავა ედუარდ 67
უისტლერი ჯეიმს 176
უიტმენი უოლტ 304
უორენი რობერტ 203

ფალიაშვილი ზაქარია 174
ფარაჯანოვი სერგო 213
ფარულავა გრივერ 90
ფურცხვანიძე მურმან 73, 450
ფეტი ათანასე 261, 312, 434
ფიგუ ლუიშ 187
ფილდისი ლუკა 173
ფიროსმანი ნიკო 174, 175, 302, 303, 430, 467
ფიქრეთ გოჯა 104, 113, 314
ფოლიანი პ. 271
ფოლკნერი უილიამ 162, 182, 406, 428
ფოცხვერია ჯემალ 391, 392
ფოცხიშვილი მორის 60, 434
ფრანკო ფრანსისკო 158
ფრეიდენბერგი ოლგა 271
ფრიხ-ხარი ისიდორ 301, 302
ფროსტი რობერტ 162, 405, 409

ქავთარაძე ვანო 454
ქავთარაძე ივანე 68
ქართველიშვილი გიორგი 374
ქარჩავა მოსე 41
ქაჯაია ზურაბ 453
ქაჯაია ნინო 425
ქველაძე გურამ 40
ქვლივიძე ლილი 396
ქვლივიძე მიშა 7, 23, 33-35, 37-46, 143, 288, 396
ქიაჩელი ლეო 434
ქიქოძე გერონტი 109
ქობულაძე სერგო 280
ქუთათელი ალექსანდრე 156
ქუთათელი გივი 156
ქუთათელი სანდრო 156
ქურდიანი ზაქარია 153
ქურდიანი ნადეჟდა 153

ღვინჯილია ჯანსულ 123, 281, 435, 453

ყაზბეგი ალექსანდრე 435
ყანდარელი თინა 115, 117, 123, 124
ყაუხჩიშვილი სიმონ 21
ყიფიანები 29, 393

შაგალი მარკ 38, 163, 464
შავგულიძე გიორგი 101
შავთელი იოანე 221
შალამოვი ვარლამ 83
შალიკაშვილი ჯონ მალხაზ 158, 374

შანიძე აკაკი 216, 229, 346, 364
შარაძე გურამ 155
შარიფოვი 427
შატბერაშვილი გიორგი 41
შაშიაშვილი თემურ 79
შევარდნაძე ედუარდ 31, 61, 225
შეინინი ლევ 208
შენგელაია დემნა 251, 256, 312, 423, 434
შენგელაია ლორეტა 251
შექსპირი უილიამ 152, 175, 207, 213, 222, 263, 271
შვარცი ევგენი 177
შვაიცერი ალბერტ 166
შილერი ფრიდრიხ 152, 466
შოთა რუსთაველი 16, 19, 131, 155, 159, 172, 175, 198, 221, 228, 278, 279, 281, 284, 317, 331, 335, 337, 339, 399, 434, 436
შოპენჰაუერი ართურ 181, 184, 323
შოსტაკოვიჩი დიმიტრი 157
შპენგლერი ოსვალდ 415
შტრაუსი რიხარდ 198, 293
შუშანიკ დედოფალი 137

ჩანტლაძე ლერი 392
ჩანტლაძე შოთა 132, 183, 254, 339
ჩაპლინი ჩარლი 416, 422
ჩარკვიანი კანდიდ 21
ჩარკვიანი მამუკა 87
ჩარკვიანი ჯანსულ 87, 189, 210, 407
ჩაჩანიძე როდამ 217
ჩაჩუა ლევან 84
ჩახრუხაძე 221, 349
ჩეპმენი მარკ 161
ჩეხოვი ანტონ 199
ჩილაჩავაზურაბ 453
ჩიტაია გიორგი 363
ჩიტაიშვილი მარგო 83, 84
ჩიქობავა არნოლდ 105, 249, 250
ჩიქოვანი მარიკა 23, 24, 44, 104, 250, 266, 268, 310
ჩიქოვანი სიმონ 23, 24, 41, 43, 60, 68, 104, 106, 154, 159, 222, 246, 250, 261, 264-266, 268-270, 272, 310, 408, 422-424, 434, 458, 459, 462
ჩუბინიძე მირონ 315
ჩუკოვსკი კორნეი 222, 267
ჩუკოვსკი ნიკოლოზ 177
ჩხეიძე ნოდარ 120
ჩხეიძე ოთარ 205
ჩხეიძე როსტომ 85, 202, 229, 290-292, 454
ჩხეიძე უშანგი 174
ჩხენკელი თამაზ 202, 458

ცაიშვილი სარგის 281, 446
ცვაიფი შტეფან 191
ცვეტაევა მარინა 82, 111, 172, 192-195, 306, 463
ცინცაძე ვახტანგ 250
ცინცაძე კალისტრატე 250
ციციკორე 121
ციციშვილი თამარ 251
ციცქიშვილი გივი 179

წერედიანი დავით 58, 189, 214, 361, 407, 410
წერეთელი აკაკი 26, 71-73, 132, 261, 264-266, 268, 269, 278, 279, 284, 305, 312, 318, 329, 338, 339, 360, 406, 436, 442, 449, 465
წერეთელი გოგი 281, 318, 327, 340, 382, 383
წერეთელი გრიგოლ 299, 300
წერეთელი ზურაბ 183
წერეთელი პაპუნა 251
წულუკიანი თეა 39
წულუკიძეები 99
წუწუნავა ალექსანდრე 153
წუწუნავა ცეცილია 153

ჭაბუკიანი ვახტანგ 174, 212, 294, 295
ჭავჭავაძე ალექსანდრე 17
ჭავჭავაძე თამარ 153
ჭავჭავაძე ილია 114, 129, 131, 245, 278, 280, 281, 305, 324, 338, 339, 405, 406, 436, 442-444
ჭავჭავაძე ლენა 117, 388
ჭანტურია ირაკლი 87
ჭანტურია ტარიელ 43, 45, 87, 109, 139, 153, 178, 210, 220, 308, 366, 416, 440, 453, 468
ჭევახოსი 99
ჭეიშვილი ალექსანდრე 434
ჭეიშვილი რეზო 61, 73, 302, 433, 450, 474
ჭელიძე ვახტანგ 130, 141
ჭელიძე ოთარ 160, 459
ჭიაურელი სოფიკო 213
ჭილაია სერგი 43
ჭილაძე ზაზა 214, 389
ჭილაძე თამაზ 105
ჭილაძე ოთარ 179, 190, 214, 311, 389, 407, 453
ჭინჭარაული ალექსი 343, 347, 359, 364
ჭიჭინაძე გოგი 87
ჭიჭინაძე ეთერ 453
ჭიჭინაძე კოსტანტინე 335
ჭიჭინაძე მირიან 453
ჭიჭინაძე რევაზ 87, 453
ჭოხონელიძე ბადრი 145

ხაზარაძე მამუკა 296
ხარაბაძე გოგი 202
ხარანაული ბესიკ 62, 286-289, 343, 362, 374, 432, 478
ხლებნიკოვი ველიმირ 414
ხოდისი ვან 263
ხორავა აკაკი 153
ხორნაული ვაჟა 405
ხუნდაძე ლუკა 68
ხუსკივაძე იუზა 42

ჯაბაშვილი გოგი 395
ჯაბუშანური გაბრიელ 311, 434
ჯავახაძე *(ოსტატი)* 99
ჯავახაძე დიანოზ 100, 101
ჯავახაძე ერასტი 100
ჯავახაძე ვახტანგ 8, 9, 11, 26, 35, 37, 38, 52, 59, 64, 69, 87, 107-109, 111, 112, 116, 123, 143, 307, 309-315, 319, 320, 405, 418, 420, 422, 425, 438-441, 445, 448, 451, 453, 455-457, 468, 472, 475

ჯავახაძე ირაკლი 44, 45, 87, 194, 217, 218, 319, 320, 438-440, 464, 466-469, 479
ჯავახაძე ირინე 135, 320
ასათიანი მანანა 122
ჯავახაძე მარიამ 69, 146
ჯავახაძე ნათელა 100
ჯავახაძე ნანა 319, 320
ჯავახაძე რომანოზ 100
ჯავახაძე ტარას 100
ჯავახაძეები 99
ჯავახი (ძევახი) 98
ჯავახიშვილი ივანე 99, 299, 450
ჯავახიშვილი მიხეილ 8, 64, 129, 153, 196, 305, 379, 434, 459
ჯავახიშვილი ნინო 123
ჯავახიშვილი ქეთევან 434, 459
ჯავახიძე ლეილა 98
ჯანიაშვილი ტარიელ 453
ჯაფარიძე უჩა 118
ჯაფარიძე ცისანა 179
ჯინორია მურმან 202
ჯინორია ოთარ 57
ჯოისი ჯეიმზ 164
ჯონსონი 322
ჯორჯაძე ბარბარე 443, 444

ჰაიდეგერი მარტინ 53
ჰაინე ჰაინრიხ 429
ჰემინგუეი ერნესტ 306
ჰიტლერი ადოლფ 136, 154, 162
ჰიქმეთი ნაზიმ 178
ჰომეროსი 175, 180, 216

სარჩევი

მცირე მემუარები

„ჩამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი“ 5
გიორგი ლეონიძის რომანი 12
იაგორა მეეტლე და „მეეტლე იაგორა“ 14
„ჯიდებული“ 16
„ოღონდ ხელი არ გამიშვა“ 23
ღადო ასათიანის კვაღდაკვაღ 25
დაუვიწყარი 28
ღადო გრიგოლია 31
მიხას ფანჯარა 33
წერილები ჩემი არქივიდან 35
წერილები მიხას არქივიდან 39
გივი 47
თამაზი 49
ჩეზი 51
„მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია“ 53
იმედის საღარო ანუ გამომშვიდობება „წიგნის სასახლესთან“ 55
ინკოგნიტო მთარგმნელი 57
ხვაღ 59
იყო ასეთი დრო 60
გამიფრთხილდა! 62

აკრძალულები 63
მთხოვთ, წაიკითხოთ! 65
არ ენდოთ აუდიტორიას! 66
ერთი ღეჭვის ოთხი მთარგმნელი 67
თავშეკავებულის ალსარება 68
77-42-81 69
ტოტა 70
ჩემი ვაუთა პირველი 72
ქალბატონი ირაიდა 75
ჩემი ქართულის მასწავლებელი 76
„გალაკტიონმა დახურა“ 79
ჩუბჩიკას ოფოფი 80
საკუთარი ღეჭვების ჯალათი 81
გამოწვდილი ხელები 82
ასე უყვარდათ საქართველოში 83
ორმოცდახუთი წლის შემდეგ 85
სკლეროზი 86
კონცერტი – „ოცნება“ 87
სარდიონ სიხარულიძის მარყუჟები 88
თბილისი-სამცხრედია-ჩოხატაური-ერკეთი-ორჰიქეთი 94
მარიამი მოვიდა! 96
ვახო სანადიროდ წაიყვანეს 97
წიგნები 97
ჯავახი და ჯავახა 98
„მოშენდიშვილი“ 100
ზოგი ჰირი მარგებელიაო 102
ანა კალანდაძის მეორე დებიუტი 104

ᲥᲔᲥᲡᲘᲓᲐᲜ ᲥᲔᲥᲡᲐᲛᲓᲔ 127

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ 243
„ᲛᲔ ᲥᲐᲛᲐᲖᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲧᲐᲕᲓᲐ“... 246
ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲪᲐᲜᲫᲐᲫᲔ 248
„ᲒᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲪ – ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ!“ 252
„ᲝᲓᲔᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲝᲔᲢᲘ“ 255
ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲣᲚᲘ ᲪᲘᲢᲐᲢᲔᲑᲘ 263
ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ 273
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ 277
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲙᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ 278
ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ X ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ 282
ᲠᲘᲗᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲔᲥᲡᲘ – ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘ 284
ᲓᲠᲝᲐ! 287
ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ 290
ᲛᲬᲐᲠᲔ ᲠᲔᲙᲚᲘᲙᲐ 293
„ᲡᲐᲑᲐ“ 296
ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ 298
ᲘᲡᲘᲓᲝᲠ ᲤᲠᲘᲮ-ᲮᲐᲠᲘ 301
„ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲣᲚᲠᲛᲔᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ“ 304
„ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲫᲛᲐᲡ“ 319
ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲙᲚᲘᲙᲐ 321
„ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲦᲔᲑᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ“ 324
ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲦᲔᲑᲐᲜᲘᲫᲘᲡ „ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲔᲑᲘ“ 334

მისალმება და გამოთხოვება

„ნაკადული“ 373
„ცისკარმან ალმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება“ 375
მივესალმები „ბიჭო გოგიას“! 376
ჩემი მეგობარი ნოდარი 377
სამოცდაათი წლის ზურაბს 379
„სიცყვასაც გული ჩიტივით უცემს“ 381
მადლობის ექვსი აბზაცი 382
ერემია სვანაძეს 384
უაღრესი კეთილშობილებით გამორჩეული 385
საქართველომ იცის 387
გზაზე ერთმა კაცმა გაიარა 389
სამწუხარო მშვიდობით 390
ქვიშხეთის ცაცხვების ჩრდილში 393
გოგი ჯაბაშვილი 395
მარი დაბრუნდა 396
დიდება ჩითმას! 399

განაუბრებანი

პოეზია რომ არ არსებობდეს.... 405
სამნახევარს ვენაცვალე! 418
საჭირო დროის დისტანცია 425
მამა-შვილის დაუსწრებელი დიალოგი 438
მარად და ყველგან! 442
გურამიშვილის თანაავტორივით 445
დაგვიანებული დიალოგი 448
თავისუფლების საზღვრები 476

პირთა საძიებელი 480